ISSN 0132—599 X

# მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7

1989

# მნათობი

წელიწადი 65-ე № 7 ივლისი, 1989 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

მიხეილ ქვლივიძე — ახალი ლექსები . . . . . . . . . . . . . . 3
მიხო მოსულიშვილი — დიდი ძუ დათვი. მოთხრობა . . . . . . . 4
ოთარ შალამბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 44
ჯანო ჯანელიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 48
გენო კალანდია — სონეტები სიყვარულზე . . . . . . . . 52
ვანო შატბერაშვილი — გზა გვირაბითა შემოვა... . . . . . . . 58
ბადრი გუგუშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 72
ირაკლი არაბული — ლექსები — . . . . . . . . . . . . 75
ნუგზარ აფხაზავა — ვიდრე ნაპერწკალი ღვივის. მოთხრობა. . . . . . . 77
ხოზე ადეიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 84
გიორგი ლორთქიფანიძე — შედევრის მოლოდინში. მოთხრობა . . . . . . . . 86

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ალექსანდრე მუჯირი — ასჩვიდმეტი წლის შემდეგ. დასასრული . . . . . 106
ელბერდ ბატიაშვილი — ერისა და ერის ცნების საკითხისათვის . . . . . 125
ზაზა სიხარულიძე — „კარმენი“ ანუ „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“ . . . . . 132
ზაზა გოგია — ნაცნობი და უცნობი გალაკტიონი . . . . . . . . 134
გურამ ბენაშვილი — შოთა ჩანტლაძე . . . . . . . . . 138

### მეცნიერება

ნინო ჯაველიძე — „აფხაზური პრობლემის“ არსის გაგებისათვის . . . . . 149

### მოგონებები, ფაქტები

ვახტანგ ჭელიძე — ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან . . . . . . . . . 157

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## წიგნების მიმოხილვა

ტრისტან მახაური — „მე სიყვარულმა მთებში მატარა"... . . . . . . . . 174

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

## პროზა, პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

# ახალი ლექსები

## კახეთში

აყვავებული ტყემლები და ალუბლები.
ბუნება ზეიმობს გაზაფხულის მოსვლას.
მე კი რატომღაც
ომისდროინდელი კინოქრონიკის
კადრი მაგონდება —
თითქოს უხილავმა ბომბდამშენმა
ალაზნის ველს გადაუქროლა
და აქა-იქ,
ერთმანეთის მიყოლებით
აფეთქების თეთრი ქულები დაამჩნია
ბაღებსა და ნახნავებს...

## თბილისური ვერლიბრი

მანქანების სადგომად გადაქცეული
თბილისის ქუჩები
ქოლესტერინის ბალთებით ამოქოლილ
ძარღვებს დაემსგავსნენ,
სისხლს რომ ველარ ატარებენ...

აქედან —
ი ნ ს უ ლ ტ ა მ დ ე
ერთი ნაბიჯია.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

მიხო მოსულიშვილი

# დიდი ძუ დათვი

მოთხრობა

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე, ჭავრი შავაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: „დრო რო მოალის, კარ
გაიღების თავადა“.

**ხალხური.**

ავტორისაგან:

ერთხელ, მედიტაციის დროს მთის სოფელი დავინახე — თავისი ჯერ მიტოვებული, მერმე ისევ ახმიანებული სახლებით, ჯვარდახერხილი ღვთისმშობლის ეკლესიით, მტვრიანი, ხვინჭა-ქვიანი, ვიწრო გზებით. ჩანდა შემოგარენიც — მთა-გორები და ხევები, კავკასიონის მწვერვალები, დაბურული ტყეები და ალპური მდელოები, კირჩხებზე დადგმული თივის ზვინები, ლოდებზე აქაფებული, აშხუვლებული მდინარე და ცაში მონავარდე ფრინველები...

დიადი სიჩუმით აღვსილი, იდუმალი ტყე გამოუცნობი ძალით მეწეოდა თავისკენ, რაც ერთდროულად შიშითა და ცნობისმოყვარეობით მავსებდა. მეც იქით მივდიოდი. გამხმარ ფოთლებზე დავდგებოდი და ზურგს მივაყრდნობდი ტანდახავსებულ რომელიმე მუხას. გავირინდებოდი და მომესმებოდა ფოთლების ჩუმი შრიალი. სადღაც , შორს დაიჩხავლებდა ყორანი, ან ძერა იწივლებდა სადმე და ისევ მდუმარება ისადგურებდა. მერმე უცნაური ხმები მოაღწევდა ჩემამდე — ხმელი ტოტები ტყდებოდა, ძირს დაფენილი ფოთლები შარიშურობდა და გამოჩნდებოდა უზარმაზარი დათვი, ლაწალუწით მოიმტვრევდა წინგადაღობილ რტოებს, სიფრთხილეს აღარ დაგიდევდა და მოდიოდა, ხეების ქვემოთ, ნახევრადსიბნელეში გამოღწეულ, ალმაცერ სხივებზე ოქროსფრად უელავდა ჩალისფერი ბეწვი. იმის თვალებში ერთწამს დავინახავდი გაღვივებულ ნაღვერდლებს და ჩამივლიდა, თავის სუნს დატოვებდა და წავიდოდა, ხეებში იკარგებოდა.

შემდეგ დათვის კვალზე დამდგარი მთის სოფლელები გამოჩნდნენ, შუბურელები.—შეიარაღებული, გოროზი კაცები ნადირის მოსაკლავად მიისწრაფოდნენ ყიჟინით, წინ ნერვიულობისაგან ყბააცახცახებული შეშლილი მოუძღოდათ, უკან კი აჟრიამულებული ქალები, ბავშვები და მოხუცები მოყვებოდნენ; ყველანი დათვის მონადირების სურვილს აეტანა.

ბოლოს კი შუბურში, ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში, წმინდა მუხასთან

მდგარი ფეხშიშველა შეშლილი და გამხდარი ბიჭი შევნიშნე — თეთრი ზეწარი შეებათ ერთი ტოტისათვის და თოვლივით სპეტაკ სურვილს, დათვის გადარჩენას, შესთხოვდნენ უფალს...

მერმე, ვიდრე წერას შევუდგებოდი, ასეთი გრძნობა გამიჩნდა: რომ ეს ამბავი უკვე არსებობდა სადღაც, ჩემგან დამოუკიდებლად. ბევრი იარა თუ ცოტა, ჩემთან მოვიდა, თვითონ ამომირჩია და მისი სწორად ჩაწერაღა მევალებოდა, სხვა არაფერი.

რამდენიმე წელია ვიტანჯები ამ „სწორად ჩაწერით". ვერ მოვითვლი, რამდენჯერ მომიხდა მისი გადაწერა-გადაკეთება. ხშირად საკუთარი ხელმოცარულობით გულგატეხილს, ჯავრიანსა და გამწარებულს ისიც მიფიქრია, რაღა მაინცა და მაინც მე ამომირჩია მეთქი, თავის დანებებაც მდომებია, მაგრამ თვითონ არ მეშვებოდა და სხვა რა გზა იყო, კვლავ ვუბრუნდებოდი. როცა ვკვდებოდი, მქონდა ასეთი არცთუ სასიამოვნო შესაძლებლობაც, გული მწყდებოდა, რომ ჯავრიას ამბავს ვეღარ დავამთავრებდი. ეს შესაძლებლობა ბოლომდე არ გამომიყენებია ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და იარებმოშუშებული ისევ რომ შევუდექი მუშაობას, მივხვდი — შემყვარებოდა ეს ჩალისფერი, შუბლზე თეთრლაქიანი დათვი, მისი საბინადრო კავკასიონის მთები და შუბურელები — ყველა და ყველაფერი...

დავწერდი და ჩავასწორებდი, გადავწერდი და კვლავ ვასწორებდი, თუმცა ვერასგზის ვუახლოვდებოდი იმ იდეალურ ვარიანტს, ჩემში რომ გაჩნდა თავდაპირველად — სისხლის ნთხევით მივრბოდი მისკენ და მივაღწიე მეთქი, რომ ვიფიქრებდი, გამისხლტებოდა და იკარგებოდა — უდაბნოში მოხეტიალე მწყურვალის ზმანებას ჰგავდა, ოაზისი რომ ეჩვენება ერთთავად...

ბოლოს მივხვდი, ვერასოდეს დავწერდი ისე, როგორც მინდოდა. ამას ადრეც ვგრძნობდი, მაგრამ არ ვაცნობიერებდი, რადგან არ მინდოდა დამარცხება. ახლა კი ვიცი — თუ მწერალი არ დაიტანჯა, არ იწვალა და ბოლოს ჩუმსავით არ დამარცხდა; თუ ის დაწერა, რაც უნდოდა; თუ გაიმარჯვა, იგი მკვდარია, როგორც მწერალი... მოკლედ რომ ვთქვათ, ნებისმიერ მწერალს სიკვდილის შესაძლებლობა - ყოველი მომდევნო ნაწარმოების დამთავრებისას აქვს, მაგრამ ალბათ სჯობს, ეს შესაძლებლობა ბოლომდე არ გამოიყენოს...

ასე, რომ დავმარცხდი (ისევ ვცოცხლობ) და მკითხველს ამ ამბის უკანასკნელ ვარიანტს ვთავაზობ.

1.

მთავარი ქედის გაყოლებით გადაჭიმულიყო კავკასიონის სამხრეთ კალთებში მიმოკლაკნილად ჩაჭრილ-ჩაკვეთილი მდინარე ქორათის ხეობა, რომელსაც შემოდგომის მზე ადგა თავზე და ვერცხლისფრად აელვარებდა ბაცლურჯი მწვერვალებიდან ზავთითა და ყიჟინით დაშვებულ, ლოდებზე ჩქაფუნით გადამდინარე, აქაფებულ წყალს.

ტყისთვის ფერი ეცვალა სთვლისჟამს, ჟანგისფერი გადაჰკრავდა ალაგალაგ. მწიფდა წიფელი და წაბლი, რკო და თხილი, პანტა და მაჟალო, შინდი და ტყემალი, ზღმარტლი და კუნელი, ასკილი და მაყვალი, მოცვი და ჟოლო.

ტყის ზემოთ, მწვერვალებამდე ჯერ დეკიანები იყო, მერმე ალპური მდელოები გადაშლილიყო ულამაზეს, ხავერდოვან სანახაობად.

ქორათის შხუილს აევსო მთელი ხეობა და ამ ხმას ალმა-დალმა მონავარდე კვირიონების კრუალი უერთდებოდა. დროდადრო წიოდა ძერა, წრეებს რომ უვლიდა კამკამა ცაში. ყურთასმენა აღარ იყო კუტკალიების ჭრიჭინისაგან.

ტყეს შემოდგომის ნობათი გაემზადებინა და უზარმაზარი, ჩალისფერი დათვიც თავის ორ ბელთან ერთად ქვემოთ ჩამოსულიყო, მცენარეთა ნაყოფით დაენაყრებინა შვილები, თვითონაც ეჭამა და ახლა ქორათის მახლობლად, დამრეცი ფერდობის ზემოთ, იელის

ხშირ ბუჩქებში იწვა. წამოზრდილ ბელებს დრუნჩები თათებში ჩაემალათ, დედის თბილი სხეულის ახლოს მოხერხებულად მოკალათებულიყვნენ და მშვიდად სუნთქავდნენ.

მძინარეებს შავმა ყორანმა გადაუფარინა და დაიყრანტალა.

მურამ თვალები გაახილა, მაგრამ ულრუბლო ცის მეტი ვერა დაინახა რა. მაინც შეშინდა და ის იყო, უნდა აწკმუტუნა, რომ მშობლის თანაბარი სუნთქვა მოესმა. პატარას შიშმა გაუარა, წამოდგა. მისი ნაბიჯების ხმამ ფრთხილი ძუ გააღვიძა, თუმცა საფრთხე არ ჩანდა და ისევ მილულა თვალი. ხოლო მურას სიანცემ მოუარა, მიწიდან ამოჩრილ, გამხმარ ფესვს ჩაეჭიდა, დაეჯაჯგურა. ის კი ჭახანით გატყდა და ბელმა მიწაზე მოადინა ზღართანი.

გამოღვიძებულმა ძუალმა მურასთან მიირბინა, ფესვის ნატეხის წართმევა მოუნდომა და თათებით ჩაეჭიდა. დამხვდურმა თათი უთავაზა. იმას დინგი აეწვა, დაიწკმუტუნა და ჩაეჭიდა.

მოჭიდავე ბელები მოყვითალო-მურა მასად შეიკრნენ და ჯერ ბუჩქებში დაგორდნენ ტოტების ლაწა-ლუწით, მაინც არ მოეშვნენ ერთმანეთს, დამრეც ფერდობზე განაგრძეს კოტრიალი და მდინარის ნარიყალამდე ჩავიდნენ...

ძუს არ ეგონა, თუ მდინარემდე იგორებდნენ ბელები, ახლოს იქნებიანო და დაიმედებული თვალს არ ახელდა, დაღლილი იყო და ძილისთვის ვერ წაერთმია თავი.

გაისმა ბელების ღრიალი.

მერმე თოფმა იქუხა.

თავისი დიდი ტანის კვალობაზე ფიცხლად წამომხტარი, წამლის სუნისაგან გამძვინვარებული დათვი უმალ გამოვარდა იელის ბუჩქებიდან, სწრაფად ჩაირბინა ფერდობი და მდინარის ქვალოდებით მოფენილ კალაპოტში ჩალაჯუნდა.

ტყვიამოხვედრილი მურა სულს ღაფავდა.

ხოლო აცაბაცა გაქცეულ, აწკმუვლებულ ძუალს ტყაპუჭიანი კაცი მისდევდა დასაჭერად.

თეთრშუბლა დათვმა შემზარავად დაიღრიალა.

მონადირემ გაიხედა და ორ ტოტზე შემდგარი გიგანტი დაინახა, რომელმაც ადამიანივით თათები შემოარტყა თავში, თითქოს შეიცნადა, ეს რა ვნახეო, მერმე თოხზე დაეშვა და წარმოუდგენლად ჩქარა გამოიქცა მისკენ.

კაცისკენ მოისწრაფოდა გავეშებული ნადირი, ლოდებს მარჯვედ უვლიდა გვერდს, გარდიგარდმო მოათამაშებდა დიდრონ სხეულს, სოლურად უხლტოდა ჩალისფერი ბეწვი და ეს ყველაფერი ისეთ გამაოგნებელ, ადამიანისათვის უძლეველ, რაღაც ზეგარდმო სიძლიერეზე მიანიშნებდა შემხედვარეს, რომ მონადირეს სიკვდილის სუნი მიუვიდა. ჯერ ყბა აუკანკალდა, მერმე ხელ-ფეხი. გულგამსაყავი შიში უშველებელი მთასავით ამოეზარდა სულში. მხრიდან ინსტინქტურად გადმოღებული თოფი დათვს დაახალა და რაკი მიხვდა, რომ ააცდინა, თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა.

ლოდებს ახტებოდა, ან გვერდს უვლიდა.

იქცეოდა.

დგებოდა.

ისევ გარბოდა.

საშველი არსად ჩანდა. ხე მაინც ყოფილიყო სადმე. თუმცა... იქაც ხომ ამოვიდოდა! რა ექნა? რა ექნა?!

ერთწამს ახლოდან ჩაესმა დათვის ქოშინი და გაჩქარებით გაქცეულს გადარჩენის პატარა იმედი აუკიაფდა, ეგებ დავღალო და თავი დამანებოსო.

გახედა. ჰუხ, იმას რა დაღლიდა! მაინც რამხელა იყო! რა უსაშველო!

უფრო უმატა სირბილს და მაინც იგრძნო, ეწეოდა გამძვინვარებული მხეცი.

„მიშ-ვეე-ლეეთ! მიშ-ვეეე-ლეეეეთ!“ — დაიღრიალა მონადირემ, ცხვრის ტყაპუჭი გაიძრო, წამოწეულ ნადირს ესროლა და კვლავ მოკურცხლა.

ჩალაფერი გიგანტი ერთხანს შეჩერ-

და, ნასროლი დასუნა და ისევ დაედევნა.

ხმაჩახრინწული დევნილი ისევ მშველელს უხმობდა.

დათვის ღრიალმა ჩაახშო მისი ხმა.

ოფლში გახვითქულ კაცს ძალა გამოეცალა, მეტი სირბილი აღარ შეეძლო.

აქოშინებულმა მხეცმა კიდევ მოუმატა სირბილს.

„მიიშ-ვეე-ლეეეეთ!", ღრიალის მაგიერ ხავილი ამოუშვა არაქათგამოცლილმა მონადირემ.

შერჩენილი ინერციით განაგრძობდა სირბილს...

სიკვდილის სუნი უფრო მძაფრად მაშინ იგრძნო, როცა ერთ დიდ ლოდს დაეჯახა და ქვებზე გაიშხლართა.

## 2.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც კავკასიონის მთებში, ერთი მიუვალი ქარაფის თავზე მდებარე ნასოფლარს, შუბურს დაბრუნებოდნენ წინათ აქ მცხოვრები ადამიანები და მათი ოჯახები. ბანჩაქცეული, დედაბოძგებამომპალი სახლები აღედგინათ, გაუვალი ეკალ-ბარდებისაგან, ღიჭისაგან და ჭინჭრისაგან გაეწმინდათ ეზოები, ნაგზაურები, ნაბილიკარები. ქვის ყორეები ხელახლა აეშენებინათ. მდინარე ქორათის ხევში ნაწისქვილარი ისევ აეყივლებინათ. წყაროები გაესუფთავებინათ. ხეობის გაღმა, მოვაკებულ კალთაზე მეძროხეობის ფერმა აეგოთ. ნაყანარები და სათიბები შემოეღობათ. გაეხსნათ მაღაზია, საშუალო სკოლა, აფთიაქი, საბაბაზო, კანტორა, ამბულატორია, საბჭო; კლუბს კი, ვიდრე ახალ შენობას დადგამდნენ, ჯერ-ჯერობით შეუვალად მყოფ ღვთისმშობლის ეკლესიაში აწყობდნენ, რადგან იმისთვის ვერა დაეკლო დრო-ჟამს.

...და სახლობდნენ შუბურში მეცხვარეები და მენახირეები, მთიბელები და მეტყევეები, მონადირეები და მხვნელ-მთესველები, მძღოლები და ტრაქტორისტები, მასწავლებლები და მოსწავლეები, მჭედლები და კალატოზები; ჰყავდათ მეწისქვილე და ფუთგალი, ფოსტალიონი და ხაბაზი, ექიმი და პროვიზორი, ნოქარი და ბუღალტერი, საბჭოს თავმჯდომარე და ფერმის გამგე, მესაფლავე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე...

კვლავ ჩვეულებრივი სოფელი გამხდარიყო შუბური. იქაურების კერიაზე ცეცხლი არ ნელდებოდა. დილა-საღამოს ყიოდნენ მამლები, ბღაოდნენ ძროხები და ყეფდნენ ძაღლები.

თურმე ძველთაგანვე ამ მიუდგომელ, მთებში ჩაკარგულ სოფელს ეხიზნებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოხვეწილი ადამიანები: ბატონს გამოქცეული ყმები, ტყეში ხეტიალით გაბეზრებული ყაჩაღები, მთის თემებიდან მოკვეთილი ოჯახები, ციხიდან გამოქცეული პატიმრები, ხელმოცარული ავანტურისტები და ვალებს გაქცეული გადამხდელები. ასე, რომ გასაკვირი არ იყო, თუ კახელი ჩომახაშვილისა და ჯიქურაშვილის გვერდით ფშაველი თურმანაულისა და კარატიელის, თუში ბასხაჯაურისა და იჟირაულის, ხევსური დიაურისა და თეთრაულის, რაჭველი ჯაფარიძისა და არჩვაძის, ლეჩხუმელი ასათიანისა და ახვლედიანის, იმერელი აბესაძისა და ბერიძის, მეგრელი არქანიასი და ჯორჯიკიას, სვანი ვიბლიანისა და ნაკანის, აფხაზი ახუბასი და წვიჟბას, გურული ნაკაშიძისა და ლომთაძის, აჭარელი ვარშანიძისა და ხალვაშის, მესხი დიასამიძისა და თუხარელის, ქართლელი ზედგინიძისა და მაღალაშვილის გვარებსაც გაიგონებდით.

სოფელი ერთი გზით უკავშირდებოდა გარე სამყაროს — ჯერ ზიგზაგურად ეშვებოდა ქორათის ხეობაში, მერმე კი წინაუკმოდ, აღმა-დაღმა, გაუვალ ეკალ-ბარდებში, ლოდებში და კლდეებში, ტყეებში და სათიბებში, კამკამა ნაკადულიან ხევ-ხუვებში დაბლადაბლა მიიკვლევდა სავალს, თითქოსდა გზა ამგზავრებულიყო და ამ მიკარგული მხარიდან ქვემოთ, ბარისკენ წასულიყო.

შუბურს თხუთმეტსაუკუნოვანი ის-

ტორია ჰქონდა. იგი მეხუთე საუკუნეში დაუარსებია იბერთა მეფეს, ვახტანგ გორგასალის მამას, მირდატს და რაკი მის ქვეყანას ხშირად აოხრებდნენ მტრის ურდოები, სახიზრად და სამალავად, თავშესაფრად და უკანასკნელ ციტადელად ეს სოფელი აუგია მიუვალი ქარაფის თავზე. უფრო სწორად, ჯერ ღვთისმშობლის საეპისკოპოსო ეკლესია აუშენებია, მერმე ციხე-ქალაქიც გაუმართავს — მტკიცე და ურყევი.

...და შუბურსაც ქვეყნის ცხოვრებით უცხოვრია — უშრომია და უომია, ჰირვარამიც გადაუტანია და ლხინიც, დაუპყრიათ და აუოხრებიათ კიდეც, მაგრამ აჯანყებულან და ისევ უკან დაუბრუნებიათ, კერიაზე ცეცხლი არ გაუნელებიათ, მთის არწივები დაუზრდიათ, თავიანთი ლეგა კლდეები ჰყვარებიათ, ღვთისმშობლისთვის სანთლები დაუნთიათ შუბურში.

3.

შუბურელები დათვზე ჰყვებოდნენ ზღაპრებს, თუმცა არც ერთ მათგანს აღარ ახსოვდა, მეორედ როდის გამოჩნდა ამ მიდამოებში უშველებელი ძუ დათვი, ჯავრიას რომ ეძახდნენ ჯერ კიდევ პატარაობისას. ეს სახელი დაანათლეს მისმა გამზრდელებმა — ტყისმცველმა ელია ჩომახაშვილმა და მისმა მეუღლემ, ვიბლიანების ქალმა, მკითხავმა დალიმ.

„ურსა მაიორი" მოგვიანებით შეარქვეს, როცა სოფლის უგზო-უკვლო განათლებულმა მასწავლებელმა ბაიდო ნაკაშიძემ ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის ზემოთ, ტაფისებურად თუ ციცხვისებურად განლაგებულ შვიდ ვარსკვლავს ჯერ „დიდი ძუ დათვი" უწოდა, მერმე კი, მეტი დამაჯერებლობისათვის ლათინური სახელწოდებაც მიაყოლა. მაშინ კლუბ-ეკლესიის ეზოში ქეიფობდნენ აწნახსენები ბაიდო, სოფლის ხუმარა-მძღოლი ბალაშ ბერიძე, მეცხვარე გაჩხო ბასხაჯაური და მეტყევე ელია ჩომახაშვილი.

ბალაშმა „ურსა მაიორს" რომ მოკრა ყური, ოდნავ გრძელი, კვიმატი სახე უფრო ჩამოუგრძელდა, თვალები კოხტად მოეწკურა, როგორც საერთოდ რაიმე სამხიარულოს გაგონებაზე ჩვეოდა ხოლმე და აღარ გაჩერებულა, როგორ, დათვი მაიორი ყოფილა, თან ურსაც რქმევიათ და თავგადაგდებული ახარხარდა, ჩაბჟირდა, ახველა და იფხუკუნა. გადამდები სიცილი — ლამის სხვებსაც აიყოლია. ამან გაამწარა მეურნისმცოდნე ბაიდო ნაკაშიძე და მოყვა: ტურფა — კალისტო ყოფილა მეფე ლიკაონის ასული. ზევსს (ეგ ვილა იყოო, გაუკვირდა უცხო სახელებით დაბნეულ გაჩხო ბასხაჯაურს, შუბლი შეეჭმუხნა და მსხვილი წარბები თითქოს ერთმანეთს მიება) შეუყვარდა იგი. თურმე ყოველდღე აკითხავდა და ეეე... ასე ვთქვათ, იკმაყოფილებდა სექსუალურ მოთხოვნილებას (რაო, რაო, — იკითხა ბალაშ ბერიძემ, — რას იკმაყოფილებდა?) და კალისტოს თმახუჭუჭა ყრმა, არკასი გაუჩნდა. ხოლოთუ ჰერამ, დიადი ზევსის ეჭვიანმა მეუღლემ, შეიტყო ეს ამბავი და მშვენიერი კალისტო ძუ დათვად აქცია. წლების მერმე, ნადირობიდან შინ მიმავალ არკასს ტყეში დიდი ძუ დათვი უნახავს, გადმოუღია მშვილდი (თოფი არ ჰქონდა? — არ იყო-მეთქი!), კარჰაპიდან ისარი ამოუღია (თუ კარპაჭიდან? — კარჰაპიდან!), ჩაუდია მშვილდში, მოუზიდია ლარი და... (მერე? მერე? — აღარ მოვყვები! — თუკი დაიწყე, უნდა დაამთავრო კიდეც! — ჯანდაბას შენი თავი და ტანი!). ამ დროს ყოვლისშემძლე ზევსს კუდში ხელი უტაცია, ცად აუმაღლებია დიდი ძუ დათვი და იმ თანავარსკვლავედად უქცევია, მააშ.

სწორედ ეგ შვიდი ვარსკვლავიაო, დასძინა ბაიდომ და ხუმარა-მძღოლმა რომ იკითხა, ნეტავი, როგორი სამხრეები აქერია, ან რაიმე ორდენი თუ ჰკიდია მკერდზეო, წამოხტა მასწავლებელი, საფეთქლებთან გაგანიერებული თავი გადაიქნ-გადმოიქნია და, შენ, ჩემო ძმაო და მეგობარ-ამხანაგოო, ბალაშს მიმართა, თურმე არ გაზრდილხარ

და ისევ ის დროა, ბებიაშენ შურთხიას ბაყაყები ჩაუსვა კალოშებში, და სა-ხლისკენ დხადგა გზას. ჯერაც ერთი, ვინაა შენი მეგობარ-ამხანაგიო, წასულს მიაძახა ბერიძემ, და მეორეც კიდევ, ცოცხალი აღარაა ის ცხონებული, ვინ მოგცა მისი აუგად ხსენების ნებაო და თანამეინახეებს რომ არ დაეჭირათ, გა-მოდევნებას უპირებდა ნაკაშიძეს, სუ-ლაც აღარ გახლდათ ხუმრობის ხასიათ-ზე; რა ძალიან გყვარებია შურთხია ბე-ბიაო, ეუბნებოდა ელია ჩომახაშვილი და თეთრწვერიან სახეზე ოდნავი ღიმი-ლი უკრთოდა.

ზემოაღწერილი სადამოს შემდეგ, ვინ დაუმორკავდა ბალაშ ბერიძეს ენას (მაგას ენა რომ არ ჰქონდეს, თაგვები სოროში წაიღებდნენო, ბრაზობდა ბაი-დო) და მალე მთელმა შუბურმა იცო-და, რომ ჯავრიას კიდევ „ურსა მაიო-რიც" რქმევია და, ხან ერთი თანასოფ-ლელი მოაყოლებდა იმ ბერძნულ მითს მასწავლებელს, ხანაც მეორე. ჩემი მტე-რი ჩავარდა იმ ტაკიმასხარას ყბაშიო, წუხდა ბაიდო ნაკაშიძე, მაგრამ რა ექნა, სად წასულიყო, საითკენ გაქცეოდა ამ „უტვინოების" ცნობისწადილს, აქედან ხომ არ გადასახლდებოდა, ხომ არ მია-ტოვებდა მამა-პაპისეულ ადგილს, თა-ნაც სხვაგან ნაკლები იყო დაწინაურე-ბის შანსი, აქ კი შეიძლებოდა სკოლის ან კლუბის დირექტორად დაენიშნათ, თუმცა საბჭოს თავმჯდომარეობა ყველა-ფერს ჯობდა. ამასვე უდასტურებდა თა-ნამეცხედრე ზიზილო, უცხო ენას რომ ასწავლიდა სკოლაში...

ხოლო დათვს სულაც არ ადარდებ-და, ჯავრიას დაუძახებდნენ თუ ურსა მაიორს, ის თავისი ცხოვრებით ცხოვ-რობდა — ტყეში დაეხეტებოდა, კლდე-ებზე დაბობღავდა, ხევებში დაალაჯებ-და, ჩქერებში ბანაობდა, ჭამდა რკოსა და წაბლს, მარწყვსა და დიყს, დუცსა და კენკეშას, ზღმარტლსა და ტყემალს, თხილსა თუ ჰიანჭველას, ზავაში მოყო-ლილი ჯიხვისა და არჩვის ლეშს, იალა-ღიდან გატაცებულ ცხვარსა და კლდე-ზე გადაჩეხილ ძროხას — წლის დროს გააჩნდა; მარჯვედ უვლიდა გვერდს ხა-ფანგებს, რადგან ერთხელ უკვე მოყო-ლილიყო შიგ, წვალებით გამოეგლიჯა მარჯვენა თათი, ერთი ბრჭყალი იქ და-ეტოვებინა — იმის ნაკვალევს ყველა ცნობდა; ხოლო ჯავრია მაშინვე იგებდა რკინისა და ადამიანის სუნს და სათო-ფეზე არ ეკარებოდა საეჭვო ადგილებს; მიდიოდა და გაუვალში [illegible] ტოტებს; საკვებშემოკლებული ფერდო-ბზე ჩაჩეხავდა ძროხას, წაიღებდა სად-მე მიუდგომელში, მიწაში დაფლავდა, დაამჟავებდა და ყოველდღე შეექცეო-და; ალპური საძოვრებიდან ცხვარს იტა ცებდა, აპარტახებდა სიმინდისა და ქე-რის ყანებს, ამტვრევდა თაფლის სკებს, ტორის დაკვრით ხოცავდა მიქსეულ ძა-ღლებს, ანდა რა იყვნენ ეს პატარა ოთხ-ფეხები, ურსა მაიორს გავეშებული ხა-რის მოკვლა შეეძლო თავისი მძლავრი ტორებით და მონადირეებიც ვერაფერს უხერხებდნენ ამ ეშმაკ, გამოცდილ და ძლიერ მხეცს.

შუბურელთა სიზმრებში უშველებე-ლი დათვი — მინავლული წარსულიდან ფენიქსისებრ აღმდგარი მითიური ზმა-ნება — ღონივრად დააბიჯებდა; ორ ტორზე მდგარი ამაყად მოდიოდა მათ-კენ, ღრიალებდა გამძვინვარებული და თავზარდაცემული სოფლელები, სიზმა-რში თოფი რომ არ უვარდებოდათ და ხმაც წართმეოდათ, ოფლში გახვითქულ-ნი გააჭყეტდნენ თვალებს და შიშით აღვსილნი ყურს მიაპყრობდნენ ჭოტე-ბის ღამეულ კივილს, ქორათის ხეობის წკვარამს რომ ხაზავდა მეტეორივით, შემაშფოთებლად, მთრთოლვარედ.

დაძინების წინ გაჯიუტებულ ბავშვებს ჯავრიათი აშინებდნენ.

საძოვარზე გასული ნახირიც ცნობდა ურსა მაიორის ოთხბრჭყალიან წინა თა-თის ნაკვალევს და შიშნეულად ბღაო-და.

ქორათის ხეობაში უშველებელი ჯავ-რია ბატონობდა — ამას იუწყებოდნენ მისი ბრჭყალგაკრული, მერქანამძვრა-ლი ხეები, დათვის ბალანი და ტალახი რომ შერჩენოდათ ზედ, ტოტებჩამოლე-

წილი მუხები თუ პანტები, გადამტვრეული არყის ხეები; ამასვე ამცნობდნენ მონადირეებს რამდენჯერმე ნანახი პატარა ძაღლ-დათვების ლეშები, ურსა მაიორს რომ დაეხოცა.

ეგაო, იცნობდა სოფლის საფიხვნოზე კაცებში მდგარი ბალაშ ბერიძე, ამ არემარის გენერალური პროკურორია, რასაც უნდა, იმას აკეთებს; ვისაც როგორ უნდა, ისე ასამართლებსო.

დასტურ, მართალს ამბობო, კვერს უკრავდნენ სხვები, რა მოგვათვლევინებს, რაც მაგან ცხვარ-ძროხა მოგვტაცა, ძაღლები დაგვიხოცა, სკები გაგვიტეხა, სიმინდის ყანები გაგვინადგურა; ძნელია ამეების მოთვლაო.

გენერალური პროკურორი კი არა, გენერალ-სიმუსი აღარ გინდაო? — ჯავრობდა ბაიდო ნაკაშიძე.

გენერალ-სიმუსი ვერა, მაგრამ ხომ აქვს მაიორის წოდებაო, შეპლიმოდა ხუმარა მძღოლი და იმწამსვე ტოვებდა საფიხვნოს უგზო-უკვლოდ განათლებული ფიზიკის მასწავლებელი, ანტიკური ნიღბებივით ცალყბად მომღიმარე თანასოფლელებს თავიდან რომ არ მოეყოლებინათ ის მითი.

4.

პატარა ვაჩეს ელია ჩომახაშვილის ალი-კვალს ეძახდნენ შუბურელები.

ბიჭს დედა არ ახსოვდა, ბებიამ გაზარდა.

უცნაური ადამიანი იყო ვიბლიანების ქალი, დალი. მთელ სოფელში მხოლოდ მას შეეძლო შელოცვები: გვალვისა, ჭია-ღუისა, მგლისა, ტყეში დარჩენილი პირუტყვისა, მაკე ძროხისა, თვალნაცემისა, თვალის ტკივილისა, შაკიკისა, მუცლის ტკივილისა, წითელქარისა, შეშინებულისა, მჭვალისა, დამწვრისა, უემურისა, საწერელისა, სირსვლისა, ბედნიერისა, მუნიანისა, ცოფიანისა, სუკის ნაღრძობისა, ტყირპისა, თიაქრისა, ქაჩლისა; ნიკრისის ქარებიანის განკურნება; ადამიანთა ბედის გამოცნობა ხარის ბეჭზე; ბალახებისგან და სხვა მცენარეებისაგან უებრო წამლების შემზადება. სახელგანთქმული მკითხავი და მკურნალი იყო ეს თეთრთმიანი, ცისფერთვალება მოხუცი და სოფლელებს ისე ეშინოდათ მისი წყევლისა, როგორც მეხის დაცემისა. ათასი ამბავი, უამრავი ზღაპარი, თქმულება, ლექსი თუ ლეგენდა იცოდა და ხშირად უამბობდა წამოზრდილ შვილიშვილს.

ვაჩეს თამაში არ უნდოდა, ოღონდ ბებიისთვის ესმინა და იმ ჯადოსნურ სამყაროში ევლო, სადაც ხორგაის მინდია სახლობდა, ქაჯებს რომ გამოქცეოდა და ყველაფრის ენა იცოდა; სნეული ჩონთას მიერ ვერაგულად, ზურგიდან ნასროლი ისრით მოკლული თორღვა ძაგანი ებრალებოდა; დევებთან მორკინალი გმირების: კოპალას, იახსრის, პირქუშის სახელები ეკერა პირზე, იმათნაირი უნდოდა ყოფილიყო, ლახტის დაკვრით ეხოცა ის ბანჯგვლიანი ურჩხულები; ხომ შეიძლებოდა, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანისთვის მიეგნო და სანამ მჭედლები მოვიდოდნენ, გაენთავისუფლებინა. ეჰ, ნეტავი, მასაც ჰყოლოდა მფრინავი ყურშა, რა კარგი იქნებოდა...

ბავშვებთან სათამაშოდ რომ გავიდოდა ბიჭი, აითვალწუნებდნენ. თანატოლებმა რამდენჯერმე ასმინეს, აქაბის ნაბიჭვაროო. გამწარებული ვაჩე იმათ მუშტებით უმასპინძლდებოდა, მაგრამ ყველას ხომ ვერ მოერეოდა და ხალათჩამოხეული, ნაცემი ბავშვი სადმე, მოფარებულში მიდიოდა და ჩუმად ტიროდა, რადგან ასე იცოდა პაპისაგან: ცრემლი სირცხვილია ვაჟკაცისათვის, თორემ დიაცს ამშვენებს კიდეც.

ვაჩე განმარტოვდა. თანატოლებთან გული აღარ მიუწევდა სათამაშოდ. დღენიადაგ გულჩათხრობილი იარებოდა და თვალებში სევდა ისე ედგა, როგორც ნისლი, მთელ ხეობას რომ ავსებდა ზოგჯერ. მარტო იარებოდა შუბურის ახლო-მახლო მაყვლის თუ ჟოლოს საკრეფად. უყვარდა კავკასიონის მწვერვალების ცქერა, რომლებიც დიდხანს მზერისას ახლოვდებიან, მთელი სიდია-

დით წარმოდგებიან, გაჩვენებენ დეკაღვიან გულმკერდს, ლილო-ჭრელოდ შერჩენილ თვალს, ანკარა ნაკადულებს, ჩხრიალით რომ მოდიან ქვემოთ. ბალახითა და ნარნარა ყვავილებით მოხალიჩებულ ფერდობებს, სადაც ჯიხვები ძოვენ ხოლმე და ცაში მობოინე არწივებს...

გულმხვედრმა ბებიამ შვილიშვილს დარდი შეამჩნია და მიზეზი ჰკითხა.

დედაზე მიამბეო, უთხრა ვაჩემ, თან სთხოვა, აეხსნა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „ნაბიჭვარი".

დალის არა დაუმალავს რა, იცოდა, ვიღაცისგან მაინც გაიგებდა ბავშვი სიმართლეს.

ჯერ კიდევ შუბურში დაბრუნებამდე აქაბს შეუცდენია ელიას შვილი, ლელა. რამდენიმე თვე დაუმალავს ჩომახაშვილებისათვის მათ ერთადერთ ქალიშვილს ეს ამბავი. შვილის წამოზრდილი მუცელი რომ უნახავს, მამამისს არაფერი არ უთქვამს. არც დალის გაუღია ხმა. ლელას შვილი რომ ჰყოლია, ჩვილი სახლში მიუყვანია და თვითონ უგზო-უკვლოდ გადაკარგულა, შუბურის ქარაფზე მოვიკლავ თავსო, წერილი დაუტოვია, მაგრამ იქ ასულებს ვერ უპოვიათ მისი ცხედარი.

რატომ გადაკარგულა?

აქაბის ცოლს, ევგიან იზაბელას გაუგია მათი ამბავი, ლელა უწყევლია, ჩემი ოჯახის დამანგრეველი ალქაჯიაო; ქმრისთვის უჩხუბია. გარდა ამისა, ვიღაც მკითხავი უნახავს ზიარში, უთხოვია, ისეთი წამალი მომამზადე, დათვად გადავაქციო მეტოქეო. ის წამალი უქმევია ჩუმად და მას შემდეგ დაკარგულა ლელა...

ნუთუ, მართლა დათვად გადაიქცა? — ჰკვირობდა თვალებგაფართოებული ბიჭი.

მართლა ასეაო, უდასტურებდა ბებია და მტკიცედ უცქერდა შვილიშვილს, ნამდვილად სჯეროდა.

(წლები რომ გავა, მერმე მიხვდება ვაჩე, რომ დალი ბებიამ მის დასამშვიდებლად, იმედის მისაცემად, მისთვის მოიგონა ლელას დათვად გადაქცევა — უკეთესია, დათვად ქცეული დედა გეგულებოდეს ტყეში, ვიდრე იცოდე, რომ ის მკვდარია. დანარჩენი სიმართლე იყო: იზაბელა მართლა ყოფილა ზიარში, ნამდვილად მოუმზადებინებია ჯადო და აქაბისთვის გამოუკვეთებია კოსტუმის სარჩულში და ეს ამბავი თავისი გულის მესაიდუმლესათვის, ზიზილოსათვის გაუნდვია...

ზემოთ დავწერე, შუბურელები დათვზე ჰყვებოდნენ მეთქი ზღაპრებს, მაგრამ სხვების ნაამბობი დაუჯერებელი იყო და შორსაც იდგა სინამდვილისაგან: ერთნი ირწმუნებოდნენ, კაცივით უყვარს ღვინის სმაო; სხვები ჰყვებოდნენ, ჩასაფრებულ მონადირეს უკანიდან მიეპარება, თოფს წაართმევს, გადაუმტვრევს და ეტყვის, მეორედ აღარ განახო სანადიროდ წამოსულიო; ვინ დათვი და ვინ ადამიანიო, იცინოდნენ დანარჩენები.

დალი ბებიამაც ზღაპარი იამბო, — მართალია, ისეთი, მხოლოდ გულუბრყვილო ბიჭი რომ დაუჯერებდა და სხვა არავინ, მაგრამ სინამდვილესთან ღრმად დაკავშირებული. ასე, რომ თუ ამ ამბავს ჯერ დაცინვით ისმენდნენ შუბურელები, მერმე და მერმე, დროის გასვლისა და დათვის გონივრული, თითქმის ადამიანური ქმედების კვალდაკვალ უფრო და უფრო იჯერებდნენ ლელას დათვად ქცევას (ნებისმიერი ეთნოგრაფი დამიდასტურებს, რომ თავისებური ისტორიული განვითარების გამო შუბურელთა ცნობიერება სამი თანხმიერი, ურთიერთგანმაპირობებელი განზომილებისაგან შედგება: პირველი თანამედროვე უღმერთო დროა, მეორე — ქრისტიანული, ხოლო მესამე კი წარმართული გახლავთ; ნებისმიერ მოვლენასა თუ ამბავს შუბურელები ამ სამ განზომილებაში აითვლიან). ჰოდა, ეს ამბავიც დაიჯერეს მთის სოფლელებმა, მეტ-ნაკლებად, რაღა თქმა უნდა;

ასე დაიბადა მითი დათვად ქცეულ შურისმაძიებელ ქალზე).

შენც ხომ გეხერხება, ბებო, წამლე-

ბის მომზადება, რაიმე მოიგონე და ისევ ადამიანად გადააქციე დედაო, თხოვდა ბიჭი.

არ ვიცი მაგნაირი წამლის მომზადება, მე ვერას ვუშველი, შვილოო.

მართლა დათვია დედაო? — კიდევ ეჭვობდა ვაჩე.

მაშ, რატომ გადაეკიდა შუბურელებსო? — კითხვას უბრუნებდა დალი.

ამ ამბის შესახებ პაპა ელიასაც დაეკითხა ბიჭი.

ტყისმცველი ფიქრობდა, რომ ადამიანშიც არის მთები, ხეები, ფრინველები, ცხოველები, მოკლედ, მთელი ბუნება; როგორც კი დაკარგავს კაცი ამას, იგი არაბუნებრივი, ანუ გიჟი ხდება. აქაბს რომ თავისი ბუნება გადაერჩინა, რაკი ლელა უყვარდა, ცოლადაც უნდა მოეყვანა, მაგრამ ვირის ტვინი აჭამა იზაბელამ, ზიარელი მკითხავიც მოიშველია, რომელიც ისეთი გრძნეულია, როკაპებთან ერთად დაფრინავს და გააგიჟეს პატიოსანი კაცი. წარსული ცხელი შანთებით უნდა ამოვწვა თქვენი ბნელი გონებიდანო, ასე ყვირის, როცა წმინდა მუხაზე ჩამოკიდულ თეთრ ნაჭერს ნახავს, იმის ნიშნად შებმულს, რომ სოფლელები ღმერთთან თხოვნას აბარებენ ბერ გიორგის...

სული უტიროდა ვაჩეს. დედა უნდოდა განსაკუთრებით, ძალიან, ძალიან უნდოდა დედა — რომ მოეფერება, ზღაპარს რომ მოუყვება, რომ გაეღიმებს და ბიჭი ბებიას გაყვებოდა ხოლმე ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში, სადაც ძველთაგანვე სალოცავი წმინდა მუხა მდგარა.

პაპა ელია ჰყვებოდა, რომ ეს მუხა ოდითგან მდგარა აქ. ხე ჯადოსნური ყოფილა, თურმე ცას უერთდებოდა ოქროს ჯაჭვით. აქვე უცხოვრია ბერ გიორგის, რომელიც ხალხის სათხოვარს მოისმენდა, ოქროს შიბს მაღლა აუყვებოდა და ღმერთთან აჰქონდა მათი სურვილები. ერთ ერისთავს მუხის მოჭრა მოუნდომებია. ზროს ცული არ მიუკარებია. საგონებელში ჩავარდნილა წადილაუსრულებელი ერისთავი. მერმე ერთი მოლალატე გამოჩენილა, უსწავლებია, კატის სისხლი წაუცხე და მოიჭრებაო. ასეც მოქცეულან. ხე მოუჭრიათ. ოქროს შიბი ცაში აქცეულა. ბერი გიორგი კი დაპატარავებულა და ფესვებში ჩაუხუჭდია. ღრთ მკურნალია და რომ გასულა, ახალი ყლორტი ამოუზრდია მუხას, გაზრდილა, გაშლილა და ახლა ლონივრად დგას მიწისა და ცის შემაერთებლად, სამი კაცი მკლავებს ვერ შემოაწვდენს, იმხელაა. ბერი გიორგი ისევ ხის ტანში ცხოვრობსო, ბებიაც ასე არწმუნებდა შვილიშვილს.

დილაუთენია საუკუნოვან წმინდა მუხასთან მივიდოდნენ დალი და ვაჩე. ბიჭიც ტოტზე თეთრ ნაჭერს შეაბამდა და ბერ გიორგის დააბარებდა ღმერთთან — ისევ მისთვის დაებრუნებინა, ადამიანად ექცია დათვში ჩასახლებული მშობელი.

ბავშვს სჯეროდა, რომ ღამით ბერი გიორგი — გამხდარი, თეთრწვერა, ჯვალოს ჩოხიანი, ფეხშიშველა — გამოვიდოდა მუხიდან, უფალს ასძახებდა და ისიც ოქროს ჯაჭვის კიბეს ჩამოუშვებდა, რომელსაც ზემოთ აუყვებოდა ბერი, თან ყოველ სათხოვარს მოიგონებდა, არც ერთი არ დაავიწყდებოდა; რადგან თეთრ ნაჭრებს აბამდნენ ტოტებს, მათი სურვილი სუფთა, წმინდა და ამაღლებული უნდა ყოფილიყო, აკი ვაჩეს სათხოვარიც ასეთი იყო, იმის ნატვრასაც მოისმენდა და თუ ღმერთი იყო, თუ უნდოდა, მართლა სამყაროს გამრიგედ მიელო და ელიარებინა პატარა ბიჭსაც, მისი თხოვნა უნდა შეესრულებინა, აუცილებლად უნდა აესრულებინა ნანატრი და ისევ ლელად ექცია ჯავრია. მით უმეტეს, ხომ თვითონაც უწყოდა უფალმა, რომ ჯავრია, პატარა ბელობისას ელიას უპოვია ტყეში, მაშინ ჯერ კიდევ არ გადასახლებულიყვნენ შუბურიდან, და სახლში მიუყვანია. იმხანად დალი ახალგაზრდა ქალი ყოფილა, შვილი მოკვდომოდა, ძუძუთა ბავშვი და დარჩენილ რძეს ჯავრიას აჭმევდა, შვილივით ზრდიდა შუბლზე თეთრნიშნიან ბელს, თურმე. დათვი

ადამიანის რძით იზრდებოდა და ეგებ ადამის მოდგმის გონიერებაც გადაეცა მაშინ და. ზიარელ მკითხავსაც იმიტომ არ გაჭირვებია ლელას ჯავრიაში ჩასახლება; და ბიჭი ბერ გიორგის ეხვეწებოდა ფიქრით, რომ არ დავიწყებოდა მისი სურვილი.

ვაჩე გაურბოდა თანატოლებს, სიცილ-კისკისით რომ ისმენდნენ მის მონაყოლს დათვად გადაქცეულ დედაზე. თუ წმინდა მუხაში ბერი გიორგი ცხოვრობდა, ხომ შეიძლებოდა, სხვა ხეებში მისი ტოლები ყოფილიყვნენ; ალბათ, ასეც იყო და მათთან უნდა ეთამაშა. რა მოხდა, თუ ვერ დაინახავდა — ხეები ხომ ცოცხლები იყვნენ. ნადირ-ფრინველსაც ხომ სული ედგა, კი, ედგა და იმათ ადამიანები კლავდნენ! რადა შორს წასულიყო, პაპა ელია ზოგჯერ მოკლული კურდღლით ან როჭოთი ბრუნდებოდა ტყიდან. ეს არ მოწონდა დალი ბებიას. შენ ჯოჯოხეთში ამოყოფ თავსო, ემუქრებოდა ქმარს; თვითონ ხორცს არ ჭამდა, ცოდვაა ნადირობაო, ამბობდა. პაპა პასუხობდა, რომ ამ ცოდვის გამოსწორება მას აღარ შეეძლო. ეს ამბავი იქიდან დაწყებულიყო, როცა კაცმა პირველად მოკლა სულდგმული, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო. ესეც არ იყოს, მცენარეებიც ხომ ცოცხლები არიან, იმათი ჭამაც ცოდვაა. ასე, რომ, ჩემო ყვავილო, არც შენ ხარ წმინდანი, იმდენი ბალახი მოგიხარშავსო; ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართო, მსჯელობდა მეტყევე ელია, სამოთხეში ჩადენილი შეცოდება არ გვაპატია უფალმა, ერთმა ვაშლმა, ერთადერთმა ვაშლმა დაგვმართა ეს უბედურება — თუ დაიბადები, ან მშიერი უნდა მოკვდე, ანდა შესცოდო და ჭამოო; და რაკი შეჭამ, უკვე ცოდვილი ხარ, რადგან კუჰის ამოსავსებად სულდგმული მოსპე, მცენარე იყო თუ ცხოველი, და ამისათვის პასუხისგება ციურ სამსჯავროზე შენ გეკისრებაო. ასეა ეს ამბავი და მთელი კაცობრიობის დანაშაულს მე, ერთ ცოდვილსა და ჩაჩანაკ ბერიკაცს, ნუ ამკიდებო.

საბუთიანი მსჯელობა ხომ შენი მოგონილიაო, ბრაზობდა ვიბლიანების ქალი, ის მაინც ეცადე, ნაკლები სცოდოო.

მართალი იყო დალი ბებია, ასე სჯობდა...

პატარა ბიჭი მუხურის შემოგარენს ეცნობოდა, უნდოდა პაპასავით კარგად გაეგო მთების, ტყეების და ხევების ასავალ-დასავალი, რადგან ჩუმად ამ დროზე ოცნებობდა, როცა ელია გაუწვდიდა თექვსმეტკალიბრიან თოფს (თვითონ თორმეტიანი ჰქონდა) და ეტყოდა, გამომყეო, ამ დროს ისე ელოდა ვაჩე, როგორც გაზაფხულს ელოდნენ ხოლმე მუხურელი მოხუცები. ეგებ ჯავრიაც ენახა, ცოტა ხნით მაინც მოეკრა თვალი; ბებიაც აღარ უშლიდა და გაკვეთილებს რომ ისწავლიდა, ან უქმე დღეებში მარტო იარებოდა სოფლის მახლობელ ტყეში, კორათის ღრმა ჩქერებში ბანაობდა, ბადით იჭერდა კალმახს, უკვე თვითონვე პოულობდა მელიისა თუ მაჩვის სოროს, მგლებს ხაფანგს უგებდა; მთელი ბუნება, იმის ბინადართა ზნე-ჩვეულებანი კარგად უნდა სცოდნოდა, ვინაიდან ეს არე-მარე ჯავრიას სახლი იყო, მშობელი დედის საცხოვრებელი და სამუდამოდ უნდა აღბეჭდა მეხსიერებაში, რადგან საოცრად ძვირფასია ყოველივე, რასაც დედის სუნი უდის, რაც მას მოგაგონებს, თუნდაც ასეთი ცოდვა ჩაედინოს და დათვად გადაეგვარებინოს ზიარელ მკითხავს, ღრჯოლებიანი, დალმეჭილი, ყვითელი სახით რომ ეცხადება ხოლმე სიზმრებში, თანაც თანატოლების ხმით ეძახის, „ნაბიჭვარო, აჰაბის ნაბიჭვარო!“ და თავზარდაცემული ბებიას აღვიძებდა, ტირილს ვეღარ იკავებდა საბრალო ბიჭი.

ხოლო დალი აუღელვებლად მოუსმენდა, გვერდით მოისვამდა, თბილ ხელს თავზე გადაუსვამდა და მერმე აუხსნიდა, რომ ღმერთმა ადამიანი თავის ხატად, თავისივე მსგავსად შექმნა. და რადგან მას ყველა და ყველაფერი უყვარს, ვაჩესაც უნდა მიებაძა მისთვის,

უნდა შეეყვარებინა ყველანი, თვით ზიარელი მკითხავიც კი, ისიც ხომ ადამიანი იყო და, აღარ დატანჯავდა ავი სიზმრები; ჰო, სიყვარული უნდა ესწავლა, რათა ადამიანთა უგვანობასა და უხეირობას ვერ გაებრძოლებინა, შენდობის ნიჭი ჰქონოდა; უამისოდ გაუძნელდებოდა ცხოვრება, სატანჯველად და საწამებლად გადაექცეოდა სიცოცხლე და სიკვდილს ინატრებდა.

როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი იყო დალი ბებია.

5.

შუბურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო აქაბ ჯიქურაშვილი. დღემუდამ თავის მკრთალ მწვანე ცხენზე იჯდა, რომელსაც „ქაჯიკვნეტიას“ ეძახდა და ჯერ რომ სამუშაოზე გაანაწილებდა გლეხებს, სკოლაში მიმავალ ბავშვებს აერიდებოდა, ვაჩეს რომ არ გადაყროდა გზაზე და ქორათის გადავლით მეძროხეობის ფერმაში მიჭენდებოდა, ყველაფერს დაათვალიერებდა, მოწველილ რძეს აღნუსხავდა, მერმე გაფიცვინებულ გამგეს, ღომფუზო ღვინიხაპიას მოიხელთებდა და მისდგებოდა, შენ რომ ჯავრიას აბრალებ ძროხის გატაცებას, კარგად ვიცი, რასაც სჩადიო.

რასაო?

დაკლავ, ბარში წაიღებ და კილოს შვიდ მანეთად ჰყიდიო; იმ ფულით გაავსე ღვინის კასრებიო!

როგორ გეკადრება ეგ შენ, აქაბო, შეწუხდებოდა ღომფუზო, რომელზედაც მცოდნენი ამბობდნენ, საათში ორი ლიტრის სისწრაფით სვამს ღვინოსო, ერთი ბეხრეკი ძროხა მაგდენს როგორ დაიჭერსო?!

რამდენსაო?

რომ კასრები გავავსოო!

განა ფულით ავსებო?!

მაშ, რითაო?

ყურძნის წვენითაო! თორემ, როდის აქეთ ხარობს შუბურში ვაზიო? ის მარანიც მოპარული ფულით ააშენეო, ამასაც წამოძახებდა მოღიმარ ღვინიხაპიას და ბოლომდე არ დაზოგავდა, შენს ცოლს, თუნთულასაც იმით უყიდე ბეწვის ქურქიო!

ფერმის გამგე ულიმოდა და ხმას არ იღებდა, იცოდა, თხერმა თავისი საქმე. დაღლილი აქაბი რომ გაჩერდებოდა, ამ შემოდგომაზე იზაბელის მოგართმევ ამაზე უკეთეს ქურქსო, ეტყოდა და ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა...

დაახლოებით ამგვარი დიალოგები ჰქონდა ხოლმე: მეცხვარეთა ბრიგადირთან, გაჩხო ბასხაჯაურთან; მაღაზიის ნოქარ ყუყუნო არქანიასთან; მანქანატრაქტორების პარკის უფროს გიო მაღალაშვილთან; მეწისქვილე პაპუნა ზედგენიძესთან; ხაბაზ ვანო ხალვაშთან; და სხვებთან და სხვებთან.

ბოროტი ენები ირწმუნებოდნენ, ამათგან აღებული ფულის მესამედი რაიკომში მიაქვს, მესამედს თავისთვის იტოვებს, მესამედი კი უფრო ზემოთო. ცისკენ იშვერდნენ ხელს; აგრე რომ არ იქცეოდეს, მაგ ადგილზე ამდენხანს ვინ გააჩერებდაო, ამასაც ამბობდნენ...

თავის დროზე მუხლმაგარი, მიზანაუცდენელი მონადირე ყოფილა აქაბ ჯიქურაშვილი, თუმცა ჯავრიას მოსაკლავად წასულ თანასოფლელებს არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა, რაღა დროს ჩემი ნადირობაა, ათასი საქმე მაქვს სადავიდარაბოო. ღვთისმშობლის ეკლესიაში ტრიალებდა ხშირად, დურგალ-კალატოზები მოეყვანა და ამ ნაგებობის კლუბად გადაკეთებას ხელმძღვანელობდა, ხალხს ფაცხაფუცხით ამუშავებდა; თან იმაზე ფიქრობდა დღენიადაგ, თუ როგორ აღმოეფხვრა შუბურელებში ცრუმორწმუნეობა. უხ, რა ბნელი ხალხი იყო! პირველად თავისი ხელით ჩამოხსნა თეთრი ნაჭრები ბებერი მუხის ტოტებიდან, საერთო კრება მოიწვია, ღმერთის არარსებობაზე ილაპარაკა; ბაიდო ნაკაშიძემაც თავი გამოიდო მაშინ და ერთი ათეისტის ბროშურიდან ამოწერილი აზრები თავისად შეასაღა თანასოფლელებს, რომელნიც, რა დასამალია და, უყურადღებოდ უსმენდნენ — თავისსას ფიქრობდ-

ნენ, ოხერ-ტიელნი! მეორე დილით წმინდა მუხაზე ისევ გაჩნდა თეთრი ნაჭრები, ამაოდ ჩაიარა თავმჯდომარის გარჯამ და გამწარებულმა ცოლს შეჩივლა და სწორედ მაშინ თქვა ის ისტორიული ფრაზა, რომელიც იქ დამსწრე ხუმარა მძღოლმა, ბალამ ბერიძემ ყველას შეატყობინა საიდუმლოდ: ცხელი შანთებით უნდა ამოვწვათ ამ ბნელი ადამიანების გონებიდან წარსულიო!

იზაბელამ ურჩია, იმ ეკლესიაში კლუბი გამართე, მუხა კი მოჭერიო. ცბიერი დიაცი გახლდათ იგი, ქმარზე უკეთ ეხერხებოდა დახლართული საქმეების მოკვარახჭინება. აკი იმ კახპა ლელას გამოისობით თავის დანებებას უპირებდა აქაბი, მაგრამ ხომ შეინარჩუნა; ხომ შეარცხვინა სახალხოდ ლელა ჩომახაშვილი, ყველას გააგებინა მისი უნამუსობის ამბავი და ამიტომაც მოიკლა თავი, მართლა დათვად ხომ არ გადაიქცეოდა, ზოგიერთი გონებადაბინდული ცრუმორწმუნე რომ ამტკიცებს.

ეკლესიის სამრეკლოზე აღმართული ჯვარი მოახერხინა თავმჯდომარემ და შენობის კლუბად გადაკეთება დაიწყო; ხოლო მუხის მოჭრაზე ამ ბოლოხანებში დაიწყო ბეჯითი ფიქრი. ხე ძალიან ბებერი იყო, რკინისებრ გამაგრებოდა კანი, ამას რა ნაჯახი მოერეოდა, სულ კბილებს ამოამტვრევდა. ყოველშემთხვევისათვის ბუღალტერს აანგარიშებინა: ნაჯახების სავარუდო რაოდენობა, მუშახელის შრომადღეები, ხელფასები და ძალიან ძვირი ჯდებოდა, თანაც თვითონვე გაეცინა საკუთარ გულუბრყვილობაზე, რომელი ჭკუადმყოფელი მუშურელი აღმართავდა ცულს სალოცავი ხის მოსაჭრელად: რაღაც სხვა უნდა მოეფიქრებინა... ეგებ „დრუჟბა“ გამოეყენებინა?! მაგრამ იმ სოფლელებს, ვისაც ეგ მანქანა ჰქონდათ, ან გაფუჭებოდათ, ანდა ხერხი არ უვარგოდათ, გაუწყდებოდათ მუშაობისას და ვინმეს მოკლავდნენ; საცოდავები! ვის ჯეროდა მაგ ოხერ-ტიელების ტყუილისა!

იზაბელამ ურჩია, ჯერ ხატის ტყიდან დაიწყე და მერმე მაგასაც გაბედავს ვინმეო. ეკლესიის შორიახლოს ხელუხლებელი, აწ დაბერებული ხეები ხელებდაკოჟრილი ბერიკაცებივით იდგნენ და სათითაოდ ჰქონდა დათვლილი საბჭოს თავმჯდომარეს, აბდია კარატიელს, ასიოდე ძირი ეკუთვნოდა და იქიდან წკირს არ მოატეხინებდა არავის.

აქაბმა ძლივს დაითანხმა ორი კაცი: შებულდოზერე ჯუხჯარ დიაური ფულით მოქრთამა, ხოლო მაღაზიის გამგე-ნოქარს, ყუყუნო არქანიას მოხსნით დაემუქრა; მოატანინა „დრუჟბები“, შორიახლო მოხეტიალე ვაჩე გააგდეს, დაქოქეს მოტოხერხები წვალებით და ის იყო, მოჭრას უნდა შედგომოდნენ, რომ აბდია კარატიელი მოვარდა წარბებშეკრული (პაპა ელია ტყეში იყო), სახემოქუფრული და მანქანები ჩაუქრო.

შენ ვილას ტიკი-ტომარა ხარო, უყვირა ჯიქურაშვილმა.

ბუნების დაცვის სამმართველოში გიჩივლებ, აქაბო, დაემუქრა საბჭოს თავმჯდომარე, ამდენი ხის მოჭრის ნება ვინ მოგცაო!

ამან ერთბაშად გააჩუმა ხეების მტერი — მართლა რომ ეჩივლა, ჩამოვიდოდა და კომბინატს რას დააკლებდნენ, მაგრამ ფული მაინც დაუჯდებოდა იმათი გასტუმრება? ნამდვილად იმ ლაწირაკმა (შვილს გულისხმობდა) შეატყობინა კარატიელს ეს ამბავიო, იეჭვა აქაბმა და ხატის ტყეს გაეცალა თანამზრახველებთან ერთად.

ერთხელაც უგზო-უკვლოდ განათლებული მასწავლებელი გამოეცხადა, სულ „ბიბლიური მეფე“ და ბერძენთა ღმერთის, ზევსის სახელი ეძახა; თქვენისთანა მაღალ, ლაშქარმრავალ, გონიერ, უხვსა და განათლებულ ადამიანს ამ ლილიპუტებთან რა გაქვთ სახვეწი, თანამედროვე ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის პირობებში ადვილია ამ ბეხრეკი ხის განაცარტუტება და გაცამტვერებაო.

სად მყავს ლაშქარიო, გაუკვირდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

ერთი კაცი ხშირად ლაშქარს გადაი-

წონის, თუ გამორჩევით მჭნელიაო, მიუგო ბაიდომ.

როგორო? — მოგრძო სახე ვაგლახად შეეჭმუხნა აქაბს.

შვეულმფრენი უნდა მოვიყვანოთ, ტროსი ჩავაბათ ხეს და მოვაგლეჯინოთო, თავისი პროექტი გააცნო ნაკაშიძემ.

მერედა, ვერტმფრენი სადღა ვიშოვოთო, იკითხა ჯიქურაშვილმა, შენ ყოველთვის დაუჯერებელი, თითქმის ფანტასტიკური გეგმების წარმოდგენა იცი; შარშან არ იყო, გაჩხო ბასხაჯაურის მეცხვარეებისათვის ყორანთმთაზე საბარგო გზის მშენებლობა რომ შემოგვთავაზეო?!

დაგეთანხმები, ბიბლიური მეფეო, რომ ცოტა ზღაპრული გეგმა იყო, მაგრამ ახლა ფუნდამენტურად დავდექი რეალისტურ-გამოყენებით პოზიციაზე და ამას ახლავე დაგიმტკიცებო.

აბა, მიდიო, მუხის ფესვზე ჩამოჯდა აქაბი და ეკლესიას გარსშემორტყმულ ხარაჩოებზე მოფუსფუსეთ შეუძახა, ნუ გაჩერდებით, ისევ აქ ვარო!

განცხადება უნდა შევადგინოთ რაიაღმასკომის სახელზე, იმათ რეზოლუცია უნდა დაადონ და თავის მხრივ თხოვნა დაწერონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე, რომელმაც მინისტრთა საბჭოს სხდომაზე უნდა გაიტანოს ეს საკითხი და დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, აეროპორტის უფროსს მიმართოს ბრძანებით ვერტმფრენის გამოყოფის თაობაზე; ხოლო ამ უკანასკნელმა ბრძანებას რეზოლუცია უნდა დაადოს, ბეჰედი დაარტყას და შვეულმფრენი გამოგიწეროს, სადაც ფულის გადახდის ქვითარიც იქნება, ბეჭედდასმული და რეზოლუციადადებულიო; ამ საბუთებს სახელმწიფო ბანკში მიიტან, ფულს ჩარიცხავ, ასლებით ისევ აეროპორტში დაბრუნდები და გამოგატანენ ვერტმფრენსო.

მაგ საქმეს ყუყუნი არქანიაზე უკეთ, კაციშვილი ვერ გააკეთებსო, კარგა ხნის დუმილის შემდეგ ივარაუდა აქაბმა, მაგრამ მაღაზიაში ვიღა გავუშვაო?

ეს საქმე მე მომანდეო, სთხოვა ფიზიკის მასწავლებელმა, ოღონდ სკოლაში ჩემს მაგივრად ჩემმა ცოლმა, ზიზილომ ჩაატარის გაკვეთილებით.

სად უცხო ენა და სად კიდევ ფიზიკა, ის ხომ ფრანგულს ასწავლისო, გაიკვირვა ჯიქურაშვილმა.

ამას რა ვუყოთ, დაეკითხა ნაკაშიძე და, ცერი და საჩვენებელი თითები რამდენჯერმე გაუსვ-გამოუსვა ერთმანეთს.

ძალიან ძვირი დაჯდება ეგ პროექტიო, შეწუხდა თავმჯდომარე.

რატომ, პატივცემულო აქაბ, „მი-2" საათი ხუთასი მანეთი ღირს. სულ ორიოსამი საათი დაჭირდება. ათასი-ათასხუთასი მანეთი იანგარიშეო.

საიდან მოვიტანო ეგ თანხა, შენ მე ფულის მჭრელი ხომ არ გგონივარო?!

თანამდებობის ხალხს დამატებით შევაწეროთ და უცებ მოგვიგროვდებაო.

ჯანდაბას შენი თავიო, ხელი ჩაიქნია ჯიქურაშვილმა, შემაცდინე. წადი ბუღალტერთან, იმან მანქანაზე ბეჭდვაც იცის, განცხადება გაამზადეთ, ოღონდ შავი პირი აიშე ჯორჯიკიას (ქართულის მასწავლებელი გახლდათ სკოლაში) შეასწორებინეთ, გადააბეჭდვინე და აქ მომიტანე; აქ უნდა ვიტრიალო, თორემ გვერდით რომ გავიხედავ, ისეთი ტემპით აღარ მუშაობენ ეს ოხერ-ტიალებიო.

ახლავე, ჩვენო დიადო ზევსო, მიუგო გახარებულმა ბაიდო ნაკაშიძემ.

იმ მასხარას თუ გადაეყარო, აქ გამომიგზავნე, იმას გამოგატან რაიონულ ცენტრშიო.

ვისაო? — ვერ მიხვდა წინაუკმოდ განსწავლული ფიზიკოსი.

ბალაშ ბერიძესო... მოიცაო, შეაჩერა ხუმარა მძღოლის ხსენებით უკმაყოფილო, გაჩქარებით წასული ბაიდო, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ზიზილოს სკოლის დირექტორად გადავიყვან, განათლების განყოფილების გამგე ჩემი მეგობარია; შენ კი იქნებ აბდია კარატიელის ადგილი გაგიხერხო; თუ

არა და ამ კლუბის დირექტორობა სად წაგივაო.

თქვენს სიკეთეს არ დავივიწყებ, მეფეთმეფეო, შეპლალადა აღფრთოვანებულმა, სახეგაცისკროვნებულმა ბაიდომ და სირბილით გასწია კანტორისაკენ.

ამავ დროს ბალამმა ისე შემოაგელვა ეკლესიის ეზოში „ვილისი", კინაღამ გაიტანა თავმჯდომარე.

ნელა, შე მკვდარძაღლოო! — უყვირა აქაბმა.

ჰიო იჭირაულს და ლუხუმ თეთრაულს დათვისგან დატორილი გოჩა ჯიქურაშვილი ეპოვათ ქორათის ხევში.

ცოცხალიაო? ბიჭო, რას გაჩუმებულხარ, შე ოხერ-ტიალო, ცოცხალია ჩემი შვილიო? — თავჩაღუნულ მძღოლს ანჯღრევდა ჯიქურაშვილი.

ბერიძე დუმდა.

ის მაინც მითხარი, რა ადგილზეო?

ბუების მთის ჩასწვრივო, ამოღერღა ბალამმა და დაზაფრულ აქაბს შეხედა — კაცის ფერი აღარ ჰქონდა, სამარიდან ამოღებულს მიუგავდა სახე; თითქოს ჰაეარაც მომატებოდა.

თავმჯდომარემ ღობეზე მიბმულ „ქაჯიკვენტიასთან" მიირბინა, მძღოლს დაუბარა, მომყეო და ქორათისკენ დაეშვა ჭენებით...

იმ ავბედით საღამოს მენახირეებს დათვის ღრიალი და კაცის ყვირილი გაუგონიათ, იქით გაუჭენებიათ ცხენები. წინ ძლოლი ბელი შეჩეხებიათ, მოუკლავთ. ხოლო მოშორებით უზარმაზარი, ჩალისფერი დათვი დაუნახავთ, კაცს რომ ბეჯავავდა. უსვრიათ, დაუჭრიათ და ტყეში გაქცევიათ მხეცი. კი, შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონია. ჯავრია რომ მიმალულა, ლოდთა შორის უკვე დამახინჯებული, გაუნძრევლად მწოლარე, სისხლში მცურავი სოფლის ახალგაზრდა ექიმი და თავგადაკლული მონადირე, გოჩა ჯიქურაშვილი უნახავთ, თურმე აღარ სუნთქავდა.

6.

შვილის დაკრძალვის შემდეგ, თანამეცხედრის ხმამაღალი მოთქმითა და გაუთავებელი ტირილით უფროსი შეწუხებული, შინაგანად გამძვინვარებული აქაბი სახლში ველარ ჩერდებოდა, გააჩაღებდა მამისეულ ყალიონს, შუბურის მოსახლოდ იარებოდა, სასაფლაოს მხარეს და ვაჩეს ხშირად უნახავს, საკუთარ თავს რომ ელაპარაკებოდა ხმამაღლა.

როგორც ჩანს, ჯიქურაშვილს შინაგანად სწამდა წმინდა მუხის არსებობა, ხალხის დასანახად არ იმჩნევდა ამას. ახლა იზაბელას უტრიალებდა მკვდარსა და ცოცხალს, მაგან მომზადებინა ზიარელ მკითხავს ის ჯადო, ნამდვილად ელიას ქალია დათვად გადაქცეული, ყველა ამას ლაპარაკობსო; ეტყობა, ჯავრიამ შური იძია ჩემზე — გოჩა მომიკლა, რაკი თვითონ ცოლად არ მოვიყვანე და ამით, მინდოდა თუ არა, სასიკვდილოდ გავწირეო, ლაპარაკობდა აზრებარეული კაცი.

დაკარგულ ძეს რაღას უშველიდა, სხვა რამ უნდა მოეფიქრებინა.

რაც ხდება, ტყუილუბრალოდ სულაცა არ ხდებაო, ეუბნებოდა მესაფლავე კუკუბო ვარშანიძე, ზამთარ-ზაფხულ გამოძენძილი ტყაპუჭით, უფეხსაცმლოდ რომ იარებოდა და გიჟად თვლიდნენ შუბურელები სხვადასხვა ახირებული საქციელის გამო, ცაშია გადაწყვეტილიო; დააშავებ რამეს და დაისჯები კიდევაც. შენ მოკალი ლელა ჩომახაშვილი და იმანაც, უკვე დათვად ქცეულმა, გოჩა მოგიკლა. რითაც დასჯი, იმით დაისჯები. ვინაიდან შენთვის განსჯისა და დასჯის უფლება არავის მოუცია. მოინანიე ცოდვანი შენნი და იცხოვრე სიმშვიდითაო.

დიდხანს იფიქრა აქაბმა, მერმე მწვანე ცხენზე შეჯდა, გომბორის ქედზე ჩავიდა მოკლე ბილიკებით, ღამე მწყემსებთან გაათია, მთელი დღე იარა ქედის გასწვრივ და დაბინდებისას ზიარს ჩააღწია. იმ მკითხავის ნახვა უნდოდა,

საქ. სსრ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

იქნებ ისეთი ჯადო მოემზადებინა, ისევ ადამიანად ექცია ლელა, რომელიც მარტოობისჟამს ხშირად ახსენდებოდა, ისევ უყვარდა; ადგებოდა და ისევ იმას მოიყვანდა, იმ პატარა ბიჭს კი თავის გვარს მისცემდა და იცხოვრებდნენ ბედნიერად, მშვიდობიანად, წონასწორობით, ვერავინ ვერ შეუშლიდა ხელს, თვით ცბიერი იზაბელაც კი, რომლის კენაც რაღაც ბოროტი ძალა დაჟინებით ეწეოდა მთელი ცხოვრება. მაგრამ ბედისწერა ზოგჯერ მწარედ დაგვცინის ხოლმე და ის სახედამეჭილი დედაბერი ცოცხალი აღარ იყო. სიკვდილით ეხლო დანაშაული. ალბათ, ციურ სამსჯავროზე წარსდგა. ეგებ, ზიარელი მკითხავის სიკვდილი დალის თხოვნამ გამოიწვია, აკი ყოველ განთიადზე მოდიოდა წმინდა მუხასთან და თეთრ ნაჭერს აბამდა ტოტებზე; თან დიდხანს ბუტბუტებდა ხოლმე გაურკვევლად და ეკლესიაში დამალული აჭაბი სარკმლიდან უთვალთვალებდა იმ პატარა ბიჭს, ვაჩეს, თავის ნაკვთებს ეძებდა შვილის სახეზე...

კვლავ სასაფლაოს შორიახლოს იარებოდა აჭაბი; ახლოს აღარ იკარებდა ფეხშიშველა გიჟს და უარესად არეოდა ფიქრები, აზუზუნებული ფუტკრებივით რომ ეხვეოდნენ და გარშემო ვერავის ვეღარ ამჩნევდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა და ჩიბუხს აბოლებდა გაუჩერებლად.

თუ ზიარელი მკითხავი გარდაიცვალა, მაშინ თვითონ და იზაბელაც უნდა მომკვდარიყვნენ, ისინიც ხომ მონაწილენი იყვნენ ლელას თვითმკვლელობისა. თუმცა ელიას ქალი არ მომკვდარა, დათვად იქცა. მართალია კი? ეშმაკმა უწყის! გოჩამ ბელი მოუკლა და დათვმაც შური იძია და მეტი არაფერი. შუბურელები რაღაცას მიედ-მოედებიან! უნდა მოკვდეს? არა, ამას ვერ შეურიგდება აჭაბი! ის კი იცოდა, ერთხელაც იქნებოდა, მოკვდებოდა, მაგრამ ვიბლიანების ქალის სურვილით მომკვდარიყო?! ნურას უკაცრავად! ჯერ ის ებატიებინა, შვილი რომ მოუკლა! რამ წაიყვანა ზიარში, რამ მოანდომა ლოდვის გამოსყიდვა! იმ ჭკვიდან გადაცდენილ მესაფლავეს რომ დაუჯერა, იმიტომ მოუვიდა ასე! ახია! მტრების გამარჯვებას ვერ შეურიგდებოდა! იმათ თუ ღმერთი მფარველობდა, თვითონ ეშმაკთან შეჰკრავდა პირს. [illegible] რა წმინდა სადაა ღმერთი ან ეშმაკი? ცრუმორწმუნეა და სხვა არაფერი! წარსული ცხელი შანთებით უნდა მოეწყვა შუბოურელთა გონებიდან! არა, იზაბელასათვის თავის დანებება არ ივარგებდა, ჭკვიანი ქალი იყო და კარგი რჩევის მიცემა იცოდა.

ბაადო ნაკაშიძე ვერტმფრენის საქმეზე გაგზავნა, უნდა მოეგლიჯა ეს ბებრეკი მუხა. თანაც რა შთამბეჭდავად, გრანდიოზულად — შვეულმფრენით ცაში აგლეჯდა! დიახ, კლუბად უნდა გადაეკეთებინა ღვთისმშობლის ეკლესია! უნდა მოესპო ამ ბნელი ხალხისთვის სალოცავები! გავარვარებული შანთებით უნდა ამოეწვა წარსული! წარსულს რომ თოფს ესვრი, მომავალი ზარბაზანს დაგახლისო, ამბობდა აბდია კარატიელი. ვნახოთ, ვინ ვის რას დაახლიდა, ვნახოთ! ვის ეშინოდა იმ გველისპირ საბჭოს თავმჯდომარის ანდაზებს! მხოლოდ ეგ იყო, ფრესკების ჩამოფხეკის უფლება არ მისცა აბდიამ, დაემუქრა, ძეგლთა დაცვის სამმართველოში გიჩივლებო, მერმე კლუბის გამოტანაც მოსთხოვა ეკლესიიდან; ალბათ, ამაზეც ელია ჩომახაშვილმა შეაგულიანა, სუსტი მხარე მოუნახეს ჯიქურაშვილს, შეატყეს, კომისიების და რევიზიების რომ ეშინოდა, რადგან ოთუსბირი უჯდებოდა იმათი გასტუმრება. აჭაბი ყასიდად დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, სანამ ახალ შენობას ავაგებდეთ, აქ იყოს, რას გვიშლის; შემდეგ კი რესტავრაციაც გავუკეთოთო, დაპირდა.

რაიონული ცენტრიდან დაბრუნებულმა ფიზიკის მასწავლებელმა ამცნო ჯიქურაშვილს, განყოფილების გამგე ყუყმანოზს და დადებითად რომ გადაწყვიტოს ეს საქმე, ამდენი და ამდენი უნდა მივცეთო, ასე ერჩიათ საქმეში ჩა-

ხედულთ. ძვირიაო, მიუგო აქაბმა. მერმე იზაბელა ალაპარაკდა, რაკი დაიწყე ეს საქმე, დაბოლოვე კიდეცო; გოჩას ხსოვნის პატივსაცემად გაილე ეგ ფული, წაუტირა. მოლბა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დიდი „ზევსი“ და ბიბლიური მეფე სრულიად შუბურისა, როგორც ბაიდო ნაკაშიძემ შეპღალადა.

ეკლესიის კლუბად გადაკეთება რომ მოთავდა, ის დრო დადგა აქაბისთვის, რომ წვერი გაეპარსა და შვილის ორმოცი გადაეხადა.

სწორედ მაშინ იყო, რამდენიმე კვირის გადაკარგული ბაიდო რომ დაბრუნდა და თვალებგაცისკროვნებულმა ამცნო, რომ მომდევნო თვის შუა რიცხვებში ვერტმფრენი მოფრინდებოდა, თან საბუთებით გამოტენილი ერთი საქაღალდე გაუწოდა ბიბლიურ მეფეს, ნიშნად ნივთმტკიცებისა...

ამის შემდეგ იქცა კლუბის დირექტორად ყოფილი ფიზიკის მასწავლებელი.

7.

ვაჩეს კარგად ახსოვს ის დღე, როცა ვერტმფრენი მოფრინდა.

შუადღე იყო და ბიჭი ქორათთან ჩასულიყო, მდინარის ზედაპირიდან ამოსროლილ წვეთებს უყურებდა, ლამაზად რომ ბრჭყვიალებდნენ და დათვზე ფიქრობდა.

ამ დროს გაღმიდან სოფლის ვეტექიმი, ნაჩხატ ვარშანიძე მოადგა მდინარეს, ბარბაცებდა და თან მღეროდა:

„პერპეტუმ მობილე, პერპეტუმ ჰექტო...
ვეტექიმი ვარ, რა გავაკეთო?
შუბურში გავხდები ტორეადორი,
ან ძროხა შემჭამს და ან ტრაქტორი.
ტორი... ტორი... და ან ტრაქტორი..
ან ძროხა შემჭამს და ან ტრაქტორი“.

ალბათ, ფერმაში დაალევინა ღომფუზომო, გაიფიქრა ბიჭმა.

მთვრალმა ვეტექიმმა სიმღერა შეწყვიტა, აცაბაცად გაქცეული თვალებით ერთხანს უყურა ქორათს. მერმე წვალებით დაიხარა, შარვლის ცალი ტოტი აიკაპიწა. ამოიხვნეშა. ერთი შენიცაო, ხელი ჩაიქნია, გაიმართა და წყალში შემოვიდა. გააჟრჟოლა. ცალი ფეხი ღრმულში ჩაუვარდა და ასე შეჩერდა. რა ვქნა ახლაო, ვაჩეს გადმოსძახა.

— ხეობაში გუგუნი გაისმა, — თანდათან მოახლოვდა. ორივემ ზემოთ აიხედეს.

შვეულმფრენმა გადაიფრინა და სოფლის თავზე დაიწყო ტრიალი.

ცისკენ თვალებაპყრობილმა [illegible] ნაბიჯის გადადგმა დააპირა და წყალში მოადინა შხლაპუნი.

ვაჩე სოფლისკენ გარბოდა. ყველაზე მეტად მფრინავის ნახვა აინტერესებდა, რომელიც უჩვეულო ადამიანი ეგონა. ეკლესიასთან რომ მიაღწია აქაჩანებულმა, ბალაშ ბერიძე მანქანიდან მსხვილ ტროსს იღებდა. აქაბი და ბაიდო ტყავის კურტაკიან კაცს ელაპარაკებოდნენ, რომელსაც ოქროსემბლემიანი ქუდი ეხურა, სუფთად გაეპარსა პირი და საერთოდ, ჩვეულებრივი კაცი იყო, მხოლოდ ერთი მსხვილი, მუქლურჯი ბუზი არ ეშვებოდა, წამდაუწუმ აჯდებოდა სახეზე.

მფრინავი ლაპარაკს მორჩა. მერმე იმან და ბალაშმა ტროსის ცალი ბოლო მუხას შემოატარეს, გაყულფეს და მაგრად შეკრეს. იმ მარყუჟში მსხვილი ბერკეტი გაუყარეს და დაგრიხეს. გვარლის მეორე ბოლო შვეულმფრენს ჩააბეს იმგვარადვე.

ამასობაში აქაბმა შორიახლო შეგროვილ შუბურელებს გადასძახა, რომ ხეებს ან შენობას მოეფარებოდნენ, თორემ, შეიძლებოდა, ბაგირი გამწყდარიყო და ვინმე მოეკლა. ისინიც ასე მოიქცნენ.

მფრინავი კაბინაში ჩაჯდა, კარი მიიჯახუნა. დაქოქა მანქანა.

დაბზრიალდა პროპელერი.

ქარი ამოვარდა.

მიდიო, ანიშნა აქაბმა და ხეს ამოეფარა.

„რკინის დიდი ნემსიყლაპიას“ (როგორც კუკუბო ვარშანიძე ეძახდა ვერტმფრენს) მოტორმა გუგუნს უმატა. მტვრის ბუღი ავარდა მიწიდან.

მუხის ფოთლები აშარიშურდა. ტოტები ერთმანეთს მიაწყდა.

შვეულმფრენმა მაღლა-მაღლა აიწია. ხის ძირზე გამობმული ბაგირი დაიჭიმა, აღარ კაუშვა მანქანა ზემოთ. აბლავლდა ძრავი. უფრო სწრაფად დაბზრიალდნენ ფრთები.

ამ დროს მუხასთან შავტანსაცმლიანმა ქალმა მოირბინა და დაიჩოქა. ძლიერმა ქარმა მოსახვევი მოხადა და ყველამ იცნო თეთრთმებაფრიალებული ვიბლიანების ქალი, დალი. რაღაცას ბუტბუტებდნენ მისი ფერდაკარგული ტუჩები და კველაზე უკეთ ვაჩემ იცოდა, რომ ლოცულობდა ბებია.

აქეთ გამოდიო, მთელი ხმით უყვიროდნენ შუბურელები, მაგრამ რას გააგონებდნენ და თუნდაც გაეგო, არასდიდებით არ გამოვიდოდა აქეთ, იცოდა ბიჭმა მისი ხასიათი, პაპა ელია მაინც ყოფილიყო სოფელში, ტყეში იყო წასული; მხოლოდ თვითონ ვაჩე დაიხსნიდა ბებიას საფრთხისაგან და იქით წასვლა რომ დააპირა, აბდია კარატიელმა მოასწრო და ფოლადის თითები ჩაკიდა მკლავში, მკაცრად ჩახედა თვალებში და იყავიო, უთხრა. ვაჩე გაუძალიანდა, ცალი ხელით სახე ჩამოაკაწრა საბჭოს თავმჯდომარეს. მერე კუკუბო ვარშანიძემ სტაცა ხელი და ლონივრად დაუჭირა ორივე ხელი...

შვეულმფრენი ღმუოდა.

ტროსი დაჭიმულიყო.

მიმოირხეოდნენ ქარდაკრული ტოტები. აქეთ-იქით ფრიალებდა დალის თმა.

შვეულმფრენის ღმუილი წივილში გადაიზარდა.

მუხის ზროზე შემოჭერილი გვარლი ღრმად ჩაჯდა მერქანში. თუმცა ხე ადგილიდან არ იძვროდა.

აკანკალებული ვაჩე მიხვდა, ასე იდგებოდა წმინდა მუხა, ათასი ვერტმფრენითაც რომ ეცადათ ამოგლეჯა, რადგან შიგ ბერი გიორგი ცხოვრობდა, ღმერთისა და ხალხის შუამავალი; და რად-
...ის არადჩამგდები.

უმშვენიერესი მოხუცი დაჩოქილიყო და ლოცულობდა.

„რკინის დიდმა ნემსიყლაპიამ" მჯახედ დაიკივლა, ბაგირი დაქაჩა, გაჭიმა, დაძაგრა და გაწყვიტა. გვარლის ნაწყვეტმა გველივით გაისივლა ჰაერში და ყველამ დაინახა, თუ როგორ ჩაჭრა მოხუცი მკითხავის სხეული. ბევრს ყვირილი აღმოხდა ყელიდან. სისხლით მოირწყო იქაურობა.

შვეულმფრენმა გვერდზე გადაიხარა და ისე აიჭრა ზემოთ. შავ კვამლს უშვებდა. თან ხრიალებდა. მერმე რამდენჯერმე ამოტრიალდა ჰაერში და ხეობისკენ იწყო ვარდნა. იქ ლოდებს დაასკდა და მყისვე იგრიალა მთელმა მანქანამ, ცეცხლმოდებული ნამსხვრევები ყოველმხრივ გაიფანტა.

წმინდა მუხასთან ამოღწეულმა ერთიანად სველმა და მტვრიანმა ნაჩხატ ვეტექიმმა სისხლში მცურავი მოხუცი რომ დაინახა, იმხელა დაიღრიალა, მთები ინგრევაო, გაუელვა ვაჩეს. მან გონი დაკარგა და იხილა:

მუხიდან ბერი გიორგი გამოვიდა. ლურჯი ცისკენ აიხედა და დაიძახა.

ზეცა გაიხსნა.

იქიდან ოქროს ჯაჭვით გაკეთებული კიბე დაეშვა, რომელსაც მუხის ფიცრისგან შეჭედილი კუბო ეკიდა და სალოცავი ხის წინ ფრთხილად დაეშვა მიწაზე.

მერმე შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ერთიანად გარეცხა დალი ვიბლიანის გვამი, ხე, მიწა თუ ბალახი.

ბერმა გიორგიმ თეთრ სუდარაში გაახვია გვამი და კუბოში ჩადო. სანთლები დაუნთო ოთხივკუთხივ.

საიდანღაც უზარმაზარი, ჩალისფერი დათვი მოვიდა, ხმამაღალი მოთქმით იტირა, ქალივით ამბობდა ზარს. ერთხელ ბიჭსაც მოეფერა ტორით.

ღვთისა და ხალხის შუამავალმა კუბოს თავი დაახურა, ლურსმებით დაჭედა და ისევ ზემოთ ასძახა...

მაღლა-მაღლა მიიწევდა ოქროს კიბეზე დაკიდული დალი ვიბლიანის სამუდამო განსასვენებელი და ვაჩე არ

გრძნობდა არც წუხილს, არც სევდას, არც ეტირებოდა. ყველაფერი ლამაზი, კეთილი შუქით იყო განათებული.

8.

ორი კვირა იძიებდა ავიაკატასტროფის მიზეზებს ქალაქიდან საგანგებოდ მოვლინებული კომისია. ამ დროის განმავლობაში ყველგან თან ახლდათ აქაბ ჯიქურაშვილი და ბაიდო ნაკაშიძე. ხან სად მართავდნენ პურისჭამას და ხან სად. თან კომისიის წევრებს არწმუნებდნენ — რაკი მივხვდით, რომ მუხას ვერ მოგლეჯდა, გვარლი შევხსენით და ქალაქს გამოვისტუმრეთო, მაგრამ ეტყობა, რაღაც დაუზიანდა და იმიტომ ჩამოვარდაო. თუმცა ნურც ავი ხალხის ნათქვამს დავმალავთ — აგრე იაფად ვერ გადარჩნენ აქაბი და ბაიდო, ჯიბეები მოიჩხრიკეს, ფული მოაგროვეს, იმ მკვდარს რაღას ვუშველითო; ჩვენ ნუ გაგვიხდით საციხოდ საქმესო და მოქრთამესო; მოგეხსენებათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს და ამის მერმე მიიღეს კომისიის დასკვნა ვერტმფრენის ტექნიკური გაუმართაობის შესახებო.

იზაბელას ყველაზე მეტად ელია ჩომახაშვილის ეშინოდა, არ გვიჩივლოს ამ ხალხთანო და რაკი გაიგო, რომ მეტყევე მსგავს რამეს არ აპირებდა, გული დაიმშვიდა. მუხის ამოუგლეჯაობა ხომ სწყინდა და სწყინდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის აცოფებდა, ჯავრია რომ ცოცხალი დაეხეტებოდა იხევ. თუ დათვის მოსაკლავად არ წახვალ, სხვა ვერავინ მოკლავსო, არწმუნებდა ქმარს.

ჩემი საქმე ვის გადავაბარო, ხალხს ვილა გაუძლვებაო, წუხდა აქაბი.

მე აქ არ ვარო, პასუხობდა ქალი და ისე მტკიცედ უცქერდა შუბლშეჭმუხნულ მეუღლეს, ნამდვილად შეძლებდა.

თუ აქაბს უნდოდა, რომ საბოლოოდ დამშვიდებულიყო, შური უნდა ეძია დათვზე — ახალგაზრდობა გაეხსენებინა, მგლის მუხლი მოება, ძაღლები ეშოვა, თოფი აელო და ის „ოხერ-ტიელი" ურჩა მაიორი გაესტუმრებინა მოყვასგლეთში .

ერთ დღესაც მანქანაში ჩაუჯდა ბალაშ ბერიძეს, თბილისში წავიდა და მეორე დღეს ორლულიანი თოფით, უამრავი ტყვია-წამლით, დასატენი კაზნებით და ესტონური ჯიშის მდევრებით დაბრუნდა შუბურში. ნადირობაზე თავგადაკლული სოფლელები დაიბარა თავისთან. ჰილზები შმარინსკი-შამბატისის და ბრენეკეს სისტემის ტყვიებით დაატენინა, რომლებსაც ასე სამოცდაათ მეტრზე დათვის გაგორება შეუძლია.

ბაიდო ნაკაშიძემაც გამოიღო ხელი და საიდანღაც ტურბინისებური ტყვიები მოიტანა; ამასო, აღნიშნა მან, ცენტრში გააჩნია ხრახნილის მსგავსი მილები. გაჰტყორცნის დროს ხრახნებს აწვება ჰაერი და ტყვიას საგიტალური ღერძის გარშემო ატრიალებსო...

რომელ წიგნში წაიკითხეო, დაეჭვდა აქაბი.

არცერთშიო.

კარგი. მაშ, ეგ რომელი სისტემისააო?

შტენდენბახისაო!

დათვს თუ მოჰკლავსო?

დედას უტირებსო!

მართლაო?

ნამდვილადო!

მომდევნო დღესვე სანადიროდ აღიკაზმა თავმჯდომარე — სავაზნე შემოირტყა წელზე, ძვირფასი თოფი გაიდო მხარზე, ყუყუნო არქანიას მიერ მოტანილი დათვის ტყავის ქუდი დაიხურა (თურმე, კარგია, დათვის მოსაკლავად თუ მიდიხარ, მისი რაიმე ნიშანი გქონდეს და წინა საღამოს ქალს არ გაეკარო), ცოტა საჭმელი ჩაიდო აბგაში; მდევარი ძაღლები, „ქუფრიად" და „ღრინოდ" რომ მონათლა, აიყოლია; შეჯდა თავის „ქაჯიკვნეტიაზე" და ტყეს მისცა თავი.

შეშლილის გახელებით დაეძებდა აქაბ ჯიქურაშვილი ჩალისფერ დათვს. უნდოდა, ასე, ოც დეკემბრამდე მოეკლა, თორემ მერმე ზამთრის ძილს მიეცემოდა და მარტის ბოლომდე, სანამ

მდგნალი არ აყვავდებოდა, აღარ გამოვიდოდა ბუნაგიდან. წვერი მოუშვა, მთლად გატყიურდა. ორი-სამი დღე იკარგებოდა ხოლმე. ერთხელაც შეწუხებული მობრუნდა სახლში და კვლავ მონადირეთა კონსილიუმი მოიწვია. შეკრებილთ შესჩივლა, თავიდან არაუშავს რა ვისროდი, მაგრამ გუშინ ჭირის ხევში ერთი დიდთავა, ქედანა დათვი ვნახე — აი, ღორდათვასაც რომ ეძახიან — ვესროლე და ავაცდინეო; ჟრუსა მაიორი რომ შემხვდეს და ავაცდინო, ხომ წყალში ჩამეყრება ამდენი წვალება, ტყე-ღრეში ფხოჭიალიო.

ბებიაჩემის მამასგან, ლუკა ჯაფარიძისგან გამიგონია, თქვა კლუბის დირექტორმა, რომ ამ შემთხვევაში ორი მიზეზი შეიძლება იყოსო.

რა და რაო? — გაიკვირვეს სხვებმა.

რა მეირს, მითხარიო, სთხოვა აქაბმაც.

ან თოფია გამრუდებული ,ან ხელი გაგიდგაო.

ხომ არ შეიშალე, ეს ახალი თოფია, რას უნდა გაემრუდებინაო, იარაღს მიწვდა ჯიქურაშვილი, გადახსნა და ლულებში გაიხედა — აშკარად სწორი იყო ორივე.

უნასს ხომ არ მოხვედრია მაქედან გამონაპტყორცნი ტყვიაო?

კარგი რა, ბაიდოო, დაუყვავა თავმჯდომარემ, ყოველთვის არა, მაგრამ ხანდახან ისეთი ლაპარაკი იცი, ვერა გაგვიგია რაო.

რაისთვისო? — იწყინა ყოფილმა ფიზიკის მასწავლებელმა.

აბა, რა ვიცი, უნასი რა ოხრობააო!

გველისთვის ხომ არ გისვრიათო?

თავიდანვე მასე გეთქვა, დალოცვილო, მიუგო აქაბმა, ვესროლე და მოვკალი კიდეცო!

ჰოოდა, სწორედ მაგის ბრალიაო! — სახე გაებადრა ნაკაშიძეს.

რაო?

თოფის გამრუდება და ხელის გადგომაო.

ახლა რა უნდა ვქნათო?

ჯერ თოფის გამრუდებაზე ვიტყვიო, შორიდან დაიწყო ბაიდომ.

თქვიო! — მოთმინება გამოელია ზევსს.

ჰოო, თოფის გამრუდებაზე ორი წამალი ვიცი, გველებისა და ცხელი რძისაო.

აბა, გველებისა თქვიო!

გატენილი თოფის ლულებში პატარა გველები უნდა ჩავაძვრინოთ, გავცალოთ და ისე გასწორდება, საერთოდ აღარ დააცდენო!

შე ოხერ-ტიალო, შენ მე ინდოელი ფაკირი ხომ არ გგონივარ, ჯერ ორი პატარა გველი სად ვნახო, ახლა შიგ როგორ შევაძვრინო?! იქნებ, სხვა რამე გვეცადაო.

მაშინ მაგრად ავადუღოთ რძე და იქამდე ვასხათ თოფის ლულებში, ვიდრე არ გაცხელდება; შემდეგ ორ-სამჯერ გავცალოთ და გამრუდეული ლულები გასწორდებაო.

ასეც მოიქცნენ.

ხელის გადგომაზე რაღა წამალი იციო? — დაეკითხა მერმე ჯიქურაშვილი.

ეეჰო, ამოიოხრა ბაიდომ, ვეღარ ვიხსენებო.

თავს იფასებს ეს გველაძუა ნაკაშიძე, თორემ როგორ არ ეხსომებაო, იეჭვა თავმჯდომარემ და იქნებ გაიხსენოო, მუდარით უთხრა.

ღმერთო, გამახსენე! ღმერთო...

სადაა ღმერთი, შე ოხერ-ტიალოო! — დაუღრინა ჯიქურაშვილმა.

ახხ, შემცდა, პატივცემულო აქაბო, შეწუხდა ბაიდო და სხაპასხუპით განაგრძო, ხელი რომ აღარ გაგიდგეს, ან თოფი სალორეში უნდა ჩამარხო ასე ერთი დღით (აქაბი შეიჭმუხნა), ანდა უნდა შევარცხვინოთო.

ვინო?

თოფიო!

მაშინვე არ გაწითლდესო, ჩაეცინა ოთახში შემოსულ კვიმატ მძღოლს.

შენ ხმა ჩაიკმინდე მანდო, იქუხა ბიბლიურმა მეფემ და გარეთ რომ გაიძურწა შერისხული ხუმარა, დიდის ინტე-

რესით ჰკითხა, ეგ როგორ უნდა გავაკეთოთო?

წადი, იზაბელას ქვედა საცვალი გამოიტანეო!

რაო? რაო?

საწყენად არ მიიღოთ, ასეა საჭიროო.

შენ ხომ არ გაგიჟდიო, იფეთქა აქაბამა და მაინც თავი შეიკავა, იქნებ მიშველოს ლუკა ჯაფარიძის წამლობამო და დაამატა, ფანტაზიებს მოეშვიო.

თუ არ გინდა, არც მე მინდაო, წამოდგა კლუბის დირექტორი, ჩემი დიდი პაპა ლუკა ასე იქცეოდა და ერთხელაც არ აუცდენია, ხუთჯერ დამარხა მიწაში თოფი, ხუთასი სული ნადირი მოკლაო.

ჯანდაბას შენი თავიო, ხელი ჩაიქნია ჭიქურაშვილმა და იზაბელას ქვედა საცვალი გამოატანინა.

ბაიდომ მოვარდისფრო ნიფხავი აიღო და აქაბს უთხრა, მე რომ ამაში თოფს გავატარებ, შენ დასძახე: „არც ახლა მოხვდები? არც ახლა მოხვდები?" ხოლო მე გიპასუხებ: „ოღონდ აქედან გამომიყვანე და მოვხვდებიო!"

უშველის ვითომო? — დაეჭვდა ზევსი.

კი, აბა, რაო!

ცოტა ხანში ასეც იქცეოდნენ ორივენი და ოთახში უჩქამოდ შემოპარული ბალამ ბერიძე პირდაღებული უყურებდა მათ საქმიანობას. კონსილიუმის დანარჩენი მონაწილეებიც არანაკლებად გაკვირვებულნი ჩანდნენ.

წასვლის წინ ნაკაშიძემ დაუბარა, ძილისას მარჯვენა მხარეს დაწექი, ეცადე სიზმარში ლუკა ჯაფარიძე ნახო, რა მოხდა, თუ არ იცნობდი; ან კარგად შეჭურვილ-შეაჭურვული მხედარი; შეკაზმული ცხენი, ანდა ქალი მხარზე შემოსკუპებული ყმაწვილითო; თუ ესენი ნახე, ხელი მოგემართებაო. ოღონდ დილით პირი არ უნდა დაიბანო, სიზმარი რომ არ ჩამოგერეცხოსო. ჰო, არ დაგავიწყდეს, ქალს არ მიეკაროო.

ახლოს არ ჩავუვლიო, დაპირდა აქაბი და სწორედ ისე დაიძინა, როგორც უგზო-უკვლოდ განსწავლულმა ფიზიკის მასწავლებელყოფილმა დაარიგა. სიზმრად ოქროსფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, ვერცხლისფერთმიანი ლელა ნახა, ხელში ვაზი ეჭირა და გახარებულს, ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, გამოეღვიძა. ჩაიცვა, თავისი ძაღლები აიყოლია და სანადიროდ წავიდა. რამდენიმე დღე იარა ალმა-დალმა — ხან ბუჩქების მთას შეუყვა, ხანაც ხევები აიარ-ჩამოიარა, კლდიანებში იფხოტიალა, ალპურ საძოვრებზე ავიდა დეკიანების გავლით, დათვის კვალი ვერსად ნახეს „ქუფრიამ" და „ლრინომ"; ერთგან როჭო აუფრინდა, ესროლა, ააცდინა და შუბურში ამობრუნდა განრისხებული ბიბლიური მეფე, სულ დედ-მამის სული უტრიალა ბაიდო ნაკაშიძეს და იმის სახელგანთქმულ მონადირე პაპას, ლუკა ჯაფარიძეს; დამცინა, მასხრად ამიგდო, ზღაპრები მომიყვა, იზაბელას საცვალში გამაძრომებინა ეს მშვენიერი თოფიო; კანტორაში დაიბარა კლუბის დირექტორი, წმინდა მუხის ამოღლეჯისას განცდილი მარცხიც გაუხსენა, ახლანდელი წარუმატებლობაც და რომ იტყვიან, ტყავი გააძრო. მერმე გამოცდილ მეტყევესთან, ელია ჩომახაშვილთან მივიდა თვითონვე, თავისი ფეხით.

ჯავრიას მოკვლა მინდა და იქნებ მირჩიო რამეო.

აბა, რა უნდა გირჩიოო, გაიკვირვა ელიამ, კვირიონებს ასცქეროდა ცაში მონავარდეთ, შენ რომ გგონია, ისე არ არისო.

მაშ, როგორო?

დათვმაც იცის, რომ მის მოსაკლავად მიდიხარ, ჯერ გერიდება, შენს ზნე-ჩვეულებებს სწავლობს, შორიდან გითვალთვალებს; არ გეგონოს, რომ მხოლოდ შენ ნადირობდე იმაზე, ისიც ნადირობს შენზეო.

მოიცა, ერთი, ჩემო ელიაო, შეაწყვეტინა მოთმინებადაკარგულმა აქაბმა, ურსა მაიორი ცხოველია, ვინ მისცა აზროვნების უნარი! იმან მე როგორ უნდა მაჯობოს, ბაიდო ნაკაშიძე ზევსს მეძახისო!

ჩემი რჩევა ასეთიაო, სახლისკენ მიბრუნდა ჩომახაშვილი და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ვაჩემ, რომელიც ერ-

დოდან ისმენდა ამ საუბარს, პაპის ნათელი, თეთრი წვერით შემოსილი სახე დაინახა; იმ სიმშვიდის უკან რაღაც ფარული, შფოთიანი სულის მოძრაობაც იგრძნო ერთწამს.

ერთი მანახვა და მერე მე ვიცი, როგორ ავუგებ ანდერძსო, მიაყვირა წონასწორობადაკარგულმა ჯიქურაშვილმა.

აქაბო, შემობრუნდა თვალებში რისხვაჩამდგარი მეტყევე, ძალიან მაღლა ნუ აიწევიო!

ვითომ რატომაო? ჰო, რატომო? მაგითი რა გინდა, რომ თქვაო? იქ ვინ არისო? ჰა, ვინო?

მაღლა ღმერთიაო!

ღმერთი არა, ტოროლაო! — ნაძალადევად გადაიხარხარა ბიბლიურმა მეფემ, ღმერთი რომ იყოს, ღვთისმშობლის ეკლესიის კლუბად გადაკეთებას მაპატიებდაო? ანდა ვერტმფრენით რომ უნდა მომეგლიჯა მუხაო? შემინდობდაო?

არც გაპატიებსო, მიუგო ელიამ და ვაჩეს ძალიან შეცვლილი მოეჩვენა პაპის ხმა, თითქოსდა სულ სხვა ვიღაც ალაპარაკდა მისი პირით, ისეთი სიცხე იქნება, საძოვრები და ყანები განადგურდებაო!

ახლა მაგისი დარდი შემომყარე, განადგურება და დათვი აქ არ თარეშობს, გადავაბრალებო!

ზამთარში იმხელა თოვლი მოვა, სახლიდან გამოსვლა გაგიჭირდებაო.

მერედა, რაო?!

ზვავი დაანგრევს კლუბ-ეკლესიას, ამასაც ჯავრიას ხომ ვერ გადააბრალებო?

დიდი ამბავი, ახალს ავაშენებო!

არც ის დაივიწყო, რომ შენი ცოლი ??????დებაო!

ჯიქურაშვილმა ნაძალადევად გადაიხარხარა და დაეკითხა, მე რაღა მომივაო?

ახლა მოწამლულ ისრებს ვინღა ისვრის, რომ იმითი მოკვდეო, მიუგო ელიამ.

მაშ, რითაო?

ტორითაო!

ვისი ტორითაო?

ჯავრიას ტორით მოკვდები, აქაბო!

მაგასაც ვნახავთო, იყვირა ჯიქურაშვილმა, მე მოვკვდები იმისი ტორით, თუ ის მოკვდება ჩემი შტენდენბახის სისტემის ტყვიითო, და სასწრაფოდ გაეცალა.

9

მთელი შემოდგომა დადიოდა აქაბი ქორათის ხეობის ტყე-ღრეებში. მუხლი გაუმაგრდა, გამძლეობა მოემატა და იშვიათად თუღა ააცდენდა წინასწარ დასმულ სანიშნოს. მაგრამ თვითონ რომ ჯაბანიანთ კლდეებში დახეტიალობდა, ჯავრია ზემოთ, გაჩხო ბასხაჯაურის ბრიგადის ცხვარს იტაცებდა იალაღებიდან. ალპურ საძოვრებზე ავიდოდა ჩვენი მონადირე და ურსა მაიორი ქორათის ფერდობზე დაეცემოდა ჰიო იჭირაულის ნახირს, ძროხას უფსკრულში გადაჩეხავდა, ტყეში მიჰქონდა, სადღაც მარხავდა, ხორცს ამჟავებდა და დროდადრო შეექცეოდა; როცა ჯიქურაშვილი ნახირის შორიახლოს ჩასაფრდებოდა, კალმახის მოყვარული მეთევზეები შენიშნავდნენ ჯავრიას მდინარის ჭალაში და ისე მოკურცხლავდნენ იმ ადგილებიდან, ქუსლებს კეფაზე ირტყამდნენ. ამ ჩალისფერი დათვის ცნობა აღარავის აღარ უჭირდა, დაეკოჟლებინა ლუხუმ თეთრაულის ნასროლ ტყვიას, ოთხბრჭყალიან ნაკვალევსა და შუბლზე თეთრ ლაქას რომ თავი დავანებოთ.

მერმე, სთვლისჯამის მიწურულს ჯერ ქარი ამოვარდა, საავდრო — ღრუბელი წამოშალა ხეობის თავზე და გადაბმული წვიმები დაიწყო, ჯანღით აივსო მიდამო. ხეებს ფოთლები დაცვივდა. დილაობით ჭირხლით იფარებოდა არემარე. იმხანად არაფრით არ შეუხსენებია დათვს თავი. იქნებ კავკასიონის იქით გადავიდა და იქ მოკლესო, ეჭვობდა დანაღვლიანებული თავმჯდომარე.

ერთხელაც, ახალმთოვილზე, ეს იყო ხუთ დეკემბერს, თავის ძაღლები წაიყვანა, თოფი გაიდო მხარზე და ხეობაში გავლა გადაწყვიტა. დათვისის ხევის მი-

სადგომებთან, სადაც ლომფუზოს ფერმის ნახირი გაშლილიყო, ჰიო იჭირაულმა ნაკვალევი აჩვენა — ცხადად განირჩეოდა ოთხი ბრჭყალის აღნაბეჭდი, ნამდვილად ჯავრიანი იყო! აჩა-ბაჩად დადგმული ნატორალები ტყეში შედიოდნენ და იკარგებოდნენ.

ძალიან აღელდა აქაბი, ძლივს მიეცა დათვის მოკვლის შესაძლებლობა. „ქაჯიკვნეტია" ხეზე მიაბა, თვითონ თოფი მოიმარჯვა, ჰიოს აუკრძალა უკან გაყოლა (იმას არ მოეკლა ურსა მაიორი!), „ქუფრია" და „ღრინო" ნაკვალევზე მიუშვა და თვითონაც მიჰყვა.

ძაღლები გაიქცნენ, სუნი აიღეს.

ჩქარა უნდა ევლო, რომ წამოგდებული ნადირისთვის ესროლა. არადა, ადვილი ხომ არ იყო აღმართში სიარული. ტოტები და იელის ბუჩქები სახეში სცემდნენ. ესმოდა ტყის ხმები — სადღაც რაღაცა დარბოდა, ხმელ წკირებს ამტვრევდა; ტოტიდან ტოტზე გადახტა ციყვი; ფეხი უცურავდა სულასწრაფებულ მონადირეს, ძლივს მისდევდა ძაღლებს, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მაინც განაგრძობდა აღმართში სირბილს. სადღაც აქ იყო დათვი! — ამბობდა ნაკვალევი, ამასვე ადასტურებდნენ ძაღლები.

ტყე იმუშნებოდა. ხევში ნაკადული ჩხრიალებდა. დაბლა თოვლი იდო. ხეები თითქოს ცოცხლები იყვნენ, უთვალავი საცეცეებივით გაეფარჩხათ შიშველი ტოტები, შეჩერებას თუ უპირებდნენ აქაბს. არა, არ ეშინოდა. უკვე შორიდან მოესმოდა ძაღლების ყეფა და უფრო მოუმატა სირბილს.

მონადირის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითქმის დეკიანებამდე აღწეულს, საიდანაც გაუვალი კლდეებიც იწყებოდა, უკანიდან შემოესმა რაღაც ხმაური; უფრო სწორად, დათვის მზერა იგრძნო ზურგში. (ალბათ, ჯავრიამ უკნიდან შემოუარა თავის ნაკვალევს). გაიხედა და უზარმაზარი, ჩალისფერი ნადირი — მინავლული წარსულიდან ფენიქსისებრ აღმდგარი მითიური ზმანება — დაინახა, მძლავრი ნაბიჯებით რომ უახლოვდებოდა. ოჰ, ეს რა იყო! ეს როგორ ულივლივებდა ოქროსფერი ბეწვი! რანაირად მოათამაშებდა განიერ მხრებს! როცა სულდაჭირხლულმა მონადირემ ორივე ლულიდან დაახალა ტყვიები (შირინსკი-შახმატოვის სისტემისა და არა შტენდენბახისა, როგორც თვითონ აეყვიატებინა), დათვი ორ ტოტზე წამოდგა (ორივე ტყვია ასცდა! ბედი არ გინდა? ოხ, ლუკა ჯაფარიძის!..), წინა თათები განზე გაშალა, კოჭლობით წამოვიდა და ისე დაიღრიალა, ძარღვებში სისხლი გაეყინა აქაბს, ხანჯლის ამოღება ვერ მოიფიქრა და მოახლოებულმა ნადირმა სახე ახლოს მიუტანა აცახცახებულ, შიშით დაზაფრულ, დათვის სუნით ყნოსვაგალიზიანებულ კაცს.

მიშტერებული მხეცის თვალებში ჯერ პატარა, მერმე კი უსაშველოდ გაზრდილი ცეცხლის კოცონები დაინახა ჯიქურაშვილმა, რომლებმაც ლელას თვალები მოაგონეს და მთელი ხმითაც ამიტომ იღრიალა.

ამ დროს „ქუფრია" და „ღრინო" ეკვეთნენ დათვს, რომელმაც ძლიერი ტორებით დახოცა ორთავე და მიწაზე დაცემული, მკლავებში თავჩარგული აქაბის დაბეგვას შეუდგა, სუნთქვა რომ შეეკრა საწყალს და იმედი ჰქონდა, მხეცი დამეხსნებაო.

კიდევ კარგი, ჰიო იჭირაულმა ატეხა ყვირილი, თოფი დაცალა რამდენჯერმე, ზემოთ გამოიქცა.

ურსა მაიორმა ეს ხმა რომ გაიგო, თავი მიანება მსხვერპლს, ზემოთკენ წავიდა და კლდეებში მიიმალა.

ჰიომ დეკიანებში იპოვა დაბეგვილი, თავპირდასისხლიანებული თავმჯდომარე, სასწრაფოდ შემოიხია პერანგი, შეძლებისდაგვარად იარები შეუხვია; მერმე ქვემოთ ჩაიყვანა სიფრთხილით, ცხენზე გადააწვინა და შუბურში მიიყვანა, საიდანაც რაციით ვერტმფრენი გამოიძახეს და სასწრაფოდ გაამგზავრეს დედაქალაქში; იზაბელა არ გაჰყოლია, ქალაქს სასწავლებლად წასულ აქაბის ძმისშვილს, ელენეს დეპეშას გაუგზავნი და ის მიხედავსო, აუხსნა ჰი-

ზილოს, მე აქ უფრო ვჭირდები სოფელსო.

მთელი ზამთარი და გაზაფხული მოუნდა მორჩენას ავადმყოფი ჯიქურაშვილი. აუტანელი ტკივილები ტანჯავდა. ნემსებს უკეთებდნენ წარამარა, რაღაც უგემურსა და მწარე აბებს აყლაპებდნენ დღეში სამჯერ; თავი, ტანი, ხელ-ფეხი გაკერილი, შეხვეულ-შებანდული, თაბაშირში ჩასმული ჰქონდა. თავიდან ძმისშვილი ელენე უთევდა ღამეებს, მერმე სანიტარს ფულს აძლევდა და ის უვლიდა.

ხოლო სიზმრები შფოთიანი და შემაძრწუნებელი იყო. დათვს ხედავდა ლელას სახიანს, პატარა ვაჩეს ძუძუს აჭმევდა; იზაბელა თოფს უმიზნებდა ორივეს. ხარხარებდა ღრჯოლებიანი, სახედამეჭილი ზიარელი მკითხავი; გაწყვეტილი ტროსი კლავდა დალი ვიბლიანს. ფეთქდებოდა ვერტმფრენი. დათვივით ღრიალებდა ვაჩე. წმინდა მუხიდან გამოდიოდა ელია ჩომახაშვილი. ციდან ოქროს კიბე ეშვებოდა. ტიროდა კუკუბო ვარშანიძე. რაღაცას უყვიროდა აბდია კარატიელი. ბაიდო ნაკაშიძეს საფრენი აპარატი მოეგონებინა, ამითი ინადირეთ, ჩვენო ზევსო, სთავაზობდა. გამაცოცხლეო, ეხვეწებოდა გარდაცვლილი შვილი. ლელას მოსაკლავად გამზადებული თოფი არ ვარდებოდა. გრგვინავდნენ მთები...

აქაბი იღვიძებდა და თავის გაჩენას წყევლიდა. გოჩას მაგიერ მე მოვეკალი იმ ოხერ-ტიელ დათვსაო. მერმე აგინებდა თავის ცოლს, ერთხელ რომ არ ჩამოვიდა სანახავად; არც ბაიდო ნაკაშიძესა და დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ლუკა ჯაფარიძეს ზოგავდა, რომლის ხერხებმაც არ გაამართლა, ორივე ტყვია ააცდინა იმ საზარელ ურჩხულს. თვალს რომ მოხუჭავდა, გოჩა ელანდებოდა; ეგონა, ის მკურნალობდა; წვალობდა, იტანჯებოდა, გულს ასკდებოდა და მაინც მოკვლით ემუქრებოდა ჯაგრიას.

10.

გაზაფხულზე, გზები რომ გაიხსნა, ბალამ ბერიძემ თავისი „ვილისით“ ამოიყვანა აქაბი შუბუთში.

შესაგებებლად გამოქცეულმა იზაბელამ ქმარი ველარ იცნო: საფეთქლიდან ნიკაპამდე ღრმა, აწითლებული ღარი ჩასდევდა, მეორე ღაწვზეც ეტყობოდა განაკვერები; თავი თეთრით გადაეხვია, მარცხენა, დავხილი თვალის უბე, ხელი ისევ თაბაშირში ჰქონდა ჩასმული და კისერზე ჩამოება, ხოლო მეორეთი ხელჯოხს ეყრდნობოდა სიარულისას და რომ იღიმოდა, გარდასულ დროთა მრავალტანჯულ ზღვის ყაჩაღს მიაგავდა, ნებაგაუტეხელსა და ზვიადს; ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ ჩიბუხს აბოლებდა კვლავინდებურად.

თვალი, თვალი ვერ ჩაისვიო, დაეკითხა დიაცი.

რა თვალიო?

შუშის თვალიო.

ოპერაცია იყო საჭირო და მე კი ტკივილის ატანა აღარ შემიძლია, ვერ გავუძლებდიო, უპასუხა ქმარმა, დათვისა რა ისმისო?

იმას ნუ იხსენებ. მოეშვი, იმის პატრონიც მოკვდესო, თქვა ქალმა და უნახაობის მიზეზი აუხსნა, იმხელა თოვლი მოვიდა, გზები ჩაკეტა; ერთხელაც ვერ ჩამოვედი სანახავადო; ვინ გივლიდა, შე საწყალოო?

ელენე მივლიდაო, მიუგო აქაბმა და შეიქმუხნა, დათვს თავს როგორ დავანებებ, მაგან დაგვმართა ყველანაირი უბედურებაო.

მერმე სოფლის საქმეები გამოიკითხა საწოლზე წამოწოლილმა თავმჯდომარემ, დიდხანს დგომა ჯერ არ შეეძლო. ყველაფერი კარგად იყო, მხოლოდ სიმინდის და ქერის ჩაზარების გეგმა ვერ შეესრულებინათ, გავალებს გადაეხრუკა ყანები. საჩივარი დაეწერათ დათვისათვის, იმან გაგვინადგურაო, მონკავშირის რესპუბლიკურ გამგეობაში დაემტკიცებინათ მისი მოკვლის ნებართვა.

თუ გზები ჩაკეტილი იყო, თბილისში როგორღა იყავითო, დაეჭვდა აქაბი.

ვიდრე ის ამბავი მოგიხდებოდა, მანამდე გავაკეთებინე გიო მაღალაშვილსო, დაამშვიდა იზაბელამ.

მალე ჯიქურაშვილმა ისევ დაიბარა შუბურელი მონადირენი, თავისი საწოლის გარშემო ჩამოსხა და დაეკითხა, აბა, ახალი რამ თუ მოიგონეთ ურსა მაიორის მოსაკლავადო?

თავები ჩაღუნეს შეკრებილებმა. ისევ ბაიდო ნაკაშიძემ გამოიჩინა თავი. ნახაზები უჩვენა ბიბლიურ მეფეს, აი, ასეთი სარეჯგველა უნდა მოვაწყოთ ტყეში, იმ ბილიკებზე, სადაც დათვი დადისო.

ძნელია მაგისი გაკეთებაო?

არც ისეო, მიუგო კლუბის დირექტორმა, ბილიკზე დავდებთ ორ გრძელ მორს, შუაში ჩავუდებთ უფრო დიდ ძელს. ცალ მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ დავასობთ ორ მკლავისსისმსხო სარს, ზედ მაგარ ძელს ნაჭერს გავდებთ და შუა ადგილზე ჩამოვკიდებთ მაგარ თოკს, რომლის ბოლოში გამოვაბამთ წვერწამახულ ფიცრის ნაჭერს. შუა მორის ქვეშ მთელ სიგრძეზე ჩავდებთ ვიწრო ფიცარს, რომელიც ერთგან ამოხვრეტილია, იქ მაგრდება ის ხანჯალა ფიცარი; რამდენიმე კაცმა უნ და ასწიოს მორი და ფიცარს ზემოდან დააყრდნოსო. ბილიკზე მომავალი დათვი გადააბიჯებს თუ არა პირველ მორს, ფეხს დაადგამს ვიწრო ფიცარს, რომელიც ქვემოთ დაიწევს; ბრახ! — დაეცემა მორი ზემოდან, ქვეშ მოიყოლებს აბურდღუნებულ ჯავრიას და ჩვენც ხომ ეგ გვინდაო?!

მაგასო, რაც შენ აგვიწერე, როგორ თქვი, რა ქვიაო?

ესაა სარეჯგველა, იგივე რაგვიო.

სად წაიკითხე ეგო? — დაეჭვდა აქაბი.

„მონადირის ცნობარში" წერია, ბიძია აქაბო, შესცინა ბალაშ ბერიძემ და კვიმატი ღიმილით შეათვალიერა წინაუკმოდ განათლებული ფიზიკოსი.

რაკი იქ წერებულა, მაშ, მართალიც იქნებაო, დაასკვნა ზევსმა, მაგის დადგმას შენ უხელმძღვანელებო.

ახლავე შევუდგე საქმესო? — გაუხარდა ნაკაშიძეს.

ახლავეო, მიუგო აქაბმა, დრო აღარ ითმენსო; სწვებს რკინის ხაფანგებში უნდა დავაგებინო, მაგრამ იმისი იმედი ნაკლებად მაქვს, ერთხელ ხომ გამოგლიჯა თათიო.

გავიდა დრო.

სარეჯგველებიც გამართეს, ხაფანგებიც დააგეს, მაგრამ ურსა მაიორი არც ერთთან არ მისულა, ახლოს არ გაკარებია და ყველას უკვირდა, ეს რა გონიერი და ჭკვიანი მხეცი ყოფილაო.

ჯავრია შორიდან უვლის იმ ადგილებსო, ბიჭს უხსნიდა პაპა ელია, სადგან იქიდან რკინისა და ადამიანის სუნი სცემსო.

დათვი ისევ თარეშობდა ქორათის ხეობაში და აქაბს ვერაფერი მოეხერხებინა მისთვის. თოფისა და ძაღლების იმედი აღარ ჰქონდა, აღარც საკუთარი თავის, ღონივრად ნაბეგვი და წელატკიებული კლუბ-ეკლესიამდე ძლივსღა მიდიოდა ხოლმე.

ერთხელ ბაიდო ნაკაშიძეს შეჩივლა, წელის ტკივილი არ მასვენებს, ღამით ვეღარ დამიძინია და იმის შიში მტანჯავს, ან ახლა შემომიხსნის კარს ჯავრია, ან ახლაო.

კლუბის დირექტორმა დაამედა, ურსა მაიორის შეპყრობა-გასამართლების კომპლექსური პროექტი მაქვს შედგენილი, ახლა ნახაზებზე ვმუშაობ, მალე საერთო კრებას მოვიწვევ კლუბში თქვენი თავმჯდომარეობით და იქ გაგაცნობთ ჩემს მოსაზრებებსო.

ეჰო, ხელი ჩაიქნია ბიბლიურმა მეფემ, მაგის იმედი აღარ მაქვს... ვაი, ვაი, წელიო!

ასე ფუნდამენტურად გტკივათ, დიადო ზევესო, დაინტერესდა ბაიდო, გამოცდილი მკურნალივით გასინჯა და დაასკვნა, ქარებიაო.

რა ქარებიო? — ვერ გაიგო ავადმყოფმა.

ნიკრისის ქარებიო, უპასუხა კითხუ-

ლმა, მე ვიცი მაგისი წამალიო! ლუკა ჯაფარიძე აღარ უხსენებია, იმისგან ახსოვდა.

მეორე დღეს ტყეში გაგზავნა ჭიო იჭირაული, იქნებ რომელიმე სულელი მგელი იყოს ხაფანგში გაბმული და აქ მომგვარეო. გაგზავნილმა დევთატყეში იპოვა დანაბარები და მოუტანა.

კლუბის დირექტორმა ლუკა ჯაფარიძის წამალი მოიგონა, მოკლული მგელი გამოშიგნა, ტყავი გააძრო, აქნა, დაჭრა და თიხის ქილაში ჩადებულს მჭიდროდ დაუცო თავი; რამდენიმე დღის შემდეგ არყის გამოსახდელი აანთო, ქვაბში სუნდაცემული მგლის ხორცი და ძვლები ჩაყარა, ცოტა გვიმრაც მიამატა და კარგად გააცხელა. ანაორთქლი ქვაბის სარქველს მიაწვა, იქ ხვრელი ნახა, შიგ შევიდა და ცივწყლიან კასრში მიმოხვეულად გაყვანილ მილში განაგრძო გზა, თანაც გაცივდა და კასრის ძირში თავგამოყოფილი მილიდან ქვემოთ შედგმულ ვედროში მგლის არაყი გადმოწანწკარდა; მართალია, ძალიან ცუდი სუნი ჰქონდა იმ არაყს, მაგრამ აქაბმა მაინც დალია როგორღაც, ასე გაიმეორა რამდენიმე დღე და გაუარა წელის ტკივილმა. ცოტა იარებსაც კი ეშველა და გულში სულ ლუკა ჯაფარიძეს ლოცავდა, ეს რა კარგი წამალი უსწავლებია ნაჯაშიძისათვისო. იარების ქავილმაც სულ გაუარა, როცა მგლის ქონი წაუსვა ბაიდომ რამდენჯერმე და ნასიამოვნებმა ჯიქურაშვილმა უთხრა, მოდი, ახლა შენ დაიწყე მკურნალ-აქიმობაო.

რა დროს ეგაა, დიდო მეფეო, თქვა კლუბის დირექტორმა, სულ იმ წყეულ დათვზე ვფიქრობო.

ერთი ციმბირელი იწვა ჩემს პალატაში, კოსწია ლუკიანოვი და ის მომიყვა, თუ როგორ ნადირობდნენ ძველად ტაიგაშიო, აღნიშნა აქაბმა.

გვიამბეო, სთხოვა ბალაშ ბერიძემ და სახაბაზოდან მოტანილი პური მაგიდაზე დადო.

თურმე, მოჰყვა ჯიქურაშვილი, მონადირე დათვს რომ დაინახავს, იდაყვებში მოხრილ ხელებს მაღლა აწევს, ცალ ხელში ხანჯალი აქვს დამალული იმ ოხერ-ტიელს; ატორტმანდება, აძუნძულდება და ფრთხილად წავა მხეცისკენ. დათვი რომ ამას დაინახავს, ისიც უკანა თათებზე დგება, აცეკვდება და კაცისკენ მიდისო.

შესაჭმელადო? — დაინტერესდა კვიმატი მძღოლი.

არა, საჭიდაოდო.

როგორ თუ, საჭიდაოთო?

თურმე, იმას ჰგონია, ადამიანს ჭიდაობა უნდა ჩემთანო!

უყურე, შენო, აღნიშნა ბაიდომ.

მერე, მერეო? — ვერ მოითმინა ბერიძემ.

ერთმანეთს რომ მიუახლოვდებიან, კაცი ამ დროს ხანჯალს მოიმარჯვებს და ატორტმანებულ ნადირს გულში გაუყრისო! ჰა, როგორია, რას იტყვითო?

ეს რა ჭიდაობის მოყვარული დათვები ყოფილან ტაიგაში, ნეტავი, რომელი სახეობა უფრო მოსწონთ, ძიუდო თუ კარატეო, გაეცინა ბალაშს და რაკი მიხვდა, აქაბის რისხვა არ ასცდებოდა, გარეთ გავარდა ახარხარებული.

კინაღამ ბაიდომაც გაიცინა, თუმცა გმირულად შეიკავა თავი და საყვირლად გამზადებულ, პირდაღებულ აქაბს ამცნო, რომ მთელს შუბურში ერთი კაცი ეგულებოდა, ვინც მაგნაირ ნადირობას გაბედავდა ჯავრიაზე და სამწუხაროდ, ისიც უკვე ვეღარ შეძლებდა.

ვინაა ეგ კაციო, დაეკვდა რაღაცას ბუნდოვნად მიმხვდარი თავმჯდომარე.

თქვენ, ჩვენო ზვევსო! — შეჰღაღადა კლუბის დირექტორმა და დასძინა, სჯობს, ჩემი გასრულებული პროექტის ნახაზები მოვამთავრო და წარმოგიდგინოთო.

წადი, წადი, საქმეს მიხედე, ჩემო კარგო ბაიდო; შენ რომ არ გვყავდე, დავილუპებოდითო, ერთადერთი თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა აქაბს, ამ ლაზღანდარას კი არ გავხარო, თვითონვე გაეცინა თავის ნათქვამზე და ყურებამდე გაღიმებულ მასხარას მუშტი მოუღერა, რომელიც ოთახში შემობრუნე-

ბულიყო და ახლა იმაზე ეჯღანებოდა, იქნებ ცოტაოდენი მგლის არაყი გამოიმეტოთ ჩემთვის, ნიკრისის ქარებმა წელი გამიშეშესო, თან ჯიქურაშვილივით კოჰლობდა.

II.

ერთ საღამოს, როცა სასაფლაოს გადალმა, ტყისწინა მდელოზე დაბმული „ქაჯიკვნეტიას" ასაშვებად მიდიოდა აქაბ ჯიქურაშვილი, სახეგაფითრებული ქართულის მასწავლებელი, აიშე ჯორჯიკია დაინახა, ბალაშ ბერიძის მეუღლე, ერთიანად ცახცახებდა შიშით ატანილი.

რა დაგემართაო? — დაეკითხა ხეიბარი.

მამის საფლავის სანახავად წასულ აიშეს ცხენის ჭიხვინი გაუგია მდელოდან, იქით წასულა და უზარმაზარი, ოქროსფერი დათვი დაუნახავს (კოჰლობდა? — დიახ! — ჯავრიააა!). თურმე აქაბის ცხენისკენ მიდიოდა დიდებული ნაბიჯებით და ქალს უკივლია.

ურსა მაიორს მისკენ გაუხედავს და რაღაც ჩაუბურდღუნებია. მერმე უკანა ტორებზე შემდგარა და ასე მიშტერებია აიშეს, რომელსაც გაქცევაც ვეღარ მოუფიქრებია და ვეღარც კივილი გაუბედია.

დათვს დიდხანს უცქერია აიშესთვის და მერმე ტყეს შერევია.

კარგად გადარჩენილხარ იმ სისხლისმსმელ ურჩხულსო, შვებით ამოისუნთქა ცალთვალამ, „ქაჯიკვნეტია" აუშვა და ბალაშის მეუღლე სოფლამდე მიაცილა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მთელმა შუბურმა ეს აუხსნელი ამბავი გაიგო, პაპა ელიამ ძველი ფოტოალბომი გადმოუღო ვაჩეს და დალის ახალგაზრდობის სურათი აჩვენა. საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს დალი ვიბლიანი და აიშე ჯორჯიკია, ლამაზი ქალები იყვნენ.

აი, ხედავო? — ღიმილით დაეკითხა პაპა. ბიჭს ახსოვს მისი სახე, ჩუმ აღტაცებას და აღფრთოვანებას რომ გამოხატავდა, თითქოს დათვს კი არა, თვითონ ხსომებოდეს გამზრდელი.

იმ საღამოს მეორე თოფი გადმოუღო ელიამ და გაემზადეო, უთხრა. გახარებული ვაჩე ზეთის ჭურჭელს ეძებდა. თვალებში სიხარულის ნაპერწკლები უხტოდა. ჩვარიც მოიძია, თოფი დაშალა და წმენდა დაუწყო. გულმოდგინედ შეზეთა საჩახმახე მექანიზმი, შემდეგ გრძელი ჯოხი აიღო, ზედ ზეთიანი ნაჭერი შემოახვია და ლულებში რამდენჯერმე გაატარა; ისე, რომ თუ შიგ გაიხედავდი სინათლეზე, ერთიანად ლაპლაპებდა.

იმ ღამით ვეღარ დაიძინა, რაღაც უცნაურ ძილბურანში იყო, ხვალინდელ ნადირობას ხედავდა ფერად ზმანებებად. წვიმის წვეთების ჩუმი წკაპუნი ესმოდა სახურავიდან.

გამთენიისკამს, ის იყო, ღრმად ჩაეძინა, პაპამ გააღვიძა, ადექი, დროაო და თვითონ, უკვე ჩაცმულმა, მხარზე თოფმოკიდებულმა, წელზე სავაზნე შემოირტყა და ქუდი დაიხურა.

ვაჩემ სწრაფად ჩაიცვა, სავაზნე შემოირტყა, თოფი აიკიდა და გარეთ გავიდა.

აქა-იქ მამლები ყიოდნენ. მკაფიოდ ისმოდა ქორათის შხუილი. ხეობაში ღამის ნისლი გაწოლილიყო. კრიალებდა სუფთა ჰაერი.

ისევ დილის ბინდბუნდი იყო, როცა მდინარის ნაპირს აუყვნენ ზემოთ. პაპა წინ მიდიოდა და ალბათ, ისიც ძერას წივილს და ქორათის შხუილს ისმენდა. სადღაც, ტყეში შაშვმა დაიჭახჭახა. წითლდებოდა სამხეური.

კალაპოტი თეთრი ლოდებით იყო მოფენილი და ერთი შეხედვით ცხვრის ფარას ჰგავდა. ისეთი დიდი არყის ხეები ჩამოეტანა შარშანდელ ზვავებს, იმხელა გროვებად აღმართულიყო, რომ გზაც კი გადაეხერგა ზოგგან და წყალამდე მისულიყო. ძვალსა და რბილში ატანდა სიცივე. მზის სხივები ჯერ გაღმა ფერდობს ანათებდნენ.

პაპა შემოტრიალდა, სახეგალურჯებულ ვაჩეს შეხედა და გზა განაგრძო.

ბიჭი გახარებული იყო, ეამაყებოდა, რომ წინ მიმავალმა კაცმა ხელისგულივით იცოდა აქაურობა და იგი პაპამისი იყო.

იდუმალებას ავსო ქორათის ჩქერები, ლოდები, კლდეები, ხეები და ბუჩქები. ბილიკი მიმოხვეულად მიუყვებოდა მდინარეს, რომელსაც ორივე მხრიდან ხევები უერთდებოდა. ერთ ასეთ თეთრქვებიან ხევთან ელიამ უთხრა, ეს დათვისის ხევია, სათავეში გაუვალი კლდეებია და იქ, ერთ გამოქვაბულში იძინებს ჯავრია ზამთრობითო.

თუ ასე კარგად იცი დათვის ასავალდასავალი, რატომ არ მოკლავო, დაინტერესდა ბიჭი.

რას ამბობ, შვილოო, გაიოცა მოხუცმა, მე და ბებიაშენმა გავზარდეთ, თვითონ გვცნობს, არაფერს გვიშავებს და მე როგორ ვესროლოო:!

არც მე ვესვრიო, თქვა ვაჩემ.

რომ შეგეშინდებაო, იეჭვა პაპამ.

შემეშინდება, მაგრამ მაინც არ ვესვრიო!

რატომო?

ის ხომ დედაა ჩემიო, თქვა მიამიტმა ბიჭმა.

ის არა მარტო შენი, არამედ ყველას დედაა, შვილოო, თქვა ჭაღარა მეტყევემ, რადგან თავად ბუნებაა ჯავრია; ბუნება კი დედაა ადამიანისა, მიტომ ეძახიან დედაბუნებასო.

რა კარგიაო, გაუხარდა ვაჩეს.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ ქორათის კალაპოტი შევიწროვდა და მალე ხევად იქცა. იგი ნაირ-ნაირი, მაღალი ბალახით იყო დაფარული და ფეხის დასადგმელი არ ჩანდა. მერმე ნაშალები დაიწყო .აქ რამდენიმე ადგილზე ზამთარში ჩამოწოლილი ზვავები იყო შემორჩენილი, მთელი ზაფხული დნებოდა წვეთ-წვეთობით და ჯერ კიდევ ვერ გამდნარიყო. ზვავის ზემოდან გადაიარეს, ახლადმოსული კენკეშის ყლორტები ჭამეს. პატარა ბალახი იყო, ფოთლები უნდა მოგეცილებინა, ყლორტი გაგეფცქვნა და ისე დაგეღეჭა. ვაჩეს ძალიან მოეწონა, ადრეული ბლის გემო აქვსო, პაპას უთხრა.

ნაშალს შეუყვნენ ზემოთ. იგი დამრეცი იყო და ჭირდა სიარული. თითებით სინჯავდნენ გამონაშვერებს, თუ დაიჭერდათ, ეჭიდებოდნენ და ადიოდნენ. აქ ნაკვალევი ჩანდა. ეტყობა, ჯავრიამ გაიარაო, თქვა მეტყევემ, აი, ფთხი ბრჭყალი ეტყობაო. მაღალ ბალახში გადავიდნენ. ძირყის თავები მოჭმული იყო. ჩანდა, დათვს ეძოვა კიდეც — გადათელილი იყო ბალახი. მახლობლად ნაკადულის ლიკლიკი ისმოდა. დასხდნენ. ელიამ აბგა გახსნა, საჭმელი ამოიღო .მოშიებულნი მადიანად ილუკმებოდნენ. ბიჭი ხევს გაჰყურებდა, რომელიც მთის ძირამდე მიდიოდა; წყალს წვალებით გაეჭრა ფიქლებში ვიწრო სადინარი. ზემოთ დეკით გადამუქებული მთა ჩანდა; ხოლო სულ მაღლა კი მწვერვალი — შიშველი, მიუწვდომელი.

ჭამას მორჩნენ, წყალი დალიეს და ისევ ზემოთ განაგრძეს გზა, ნაშალზე, რომელიც ტყესთან თავდებოდა, იქამდე აღწიეს და ბუჩქის ტოტებს ჩაჭიდებულნი მდელოზე გადავიდნენ.

ვაჩე დაიღალა, თოფი დაუმძიმდა მხარზე. თუმცა აღარ სციოდა, მზე დანათოდა ხეობას.

ტყე ზოგგან მეჩხერი იყო, სხვაგან დაბურული.

პაპა შეჩერდა და ბიჭს უცნაური სუნი მიუვიდა. მეტყევემ დაუსტვინა. ფრთხილად განაგრძეს გზა. ვაჩემ იცოდა, რომ ელია ზურგიდან გრძნობდა მის გაფართოებულ თვალებში ჩამდგარ შიშს. მალე ბუერებით დაფარულ არყის ხეების კორომში შევიდნენ.

ეტყობოდა, დათვს აქ ეგორავა, სულ მიეთელ-მოეთელა ბალახი; ტოტები ემტვრია არყის ხეებისთვის, ქერქიც ეღრღნა. კარგა მაღალზე, პაპის თავს ზემოთ, ბრჭყალიც გაეკრა ზროსთვის, რათა ამით თავისი სამფლობელო მოენიშნა.

პაპა ზემოთ აუყვა ტყეს, რომელიც როდის-როდის გათავდა და დეკიანი დაიწყო, სადაც ადგილ-ადგილ თეთრი არ-

ყის ხეები ამოსულიყო. ძნელი იყო აქ სიარული. დეკის ტოტები ერთმანეთს გადახლართვოდა, ჩაწვნოდა და ჭირდა ნაბიჯის გადადგმა. ირიბად მიდიოდნენ, მაინც გაიოფლნენ. როგორც იქნა, გათავდა დეკა და ერთი პატარა ხევი გამოჩნდა, იქაც ნაკადული ჩხრიალებდა. მივიდნენ, წყალი დალიეს და ხევის მეორე მხარეს, საიდანაც ალპური მდელოები იწყებოდა, დასასვენებლად ჩამოსხდნენ. ეს საძოვარი ქორათამდე ჩადიოდა და ორივე მხრიდან ტყე ერტყა.

მთების გრეხილს თვალს მიადევნებდა ვაჟი, გამოელილ შიშს ისე გაეთანგა, გარემოს ვეღარ აღიქვამდა საოცნებო, ზღაპრულ სანახაობად. ცაში არწივი ტრიალებდა. ტყე ჯერ მწვანედ ჩანდა, მერმე ლურჯდებოდა. აქ, მაღლა გაზაფხულივით ამინდი იყო.

ქვემოთ გაიხედე, ვაჟო, შეუძახა პაპამ.

მინდორზე მუბურელთა ნახირი მოდიოდა ძოვა-ძოვით. მათში ერთი დიდი ხარიც ერია, მორკალულრქებიანი და ღონიერი, იმისი ყოველთვის ეშინოდა ბიჭს.

დათვს შეხედე, დათვსო, უთხრა მეტყევემ და ტყის მახლობლად მძოველი ჩალისფერი ცხოველი დაანახა.

დათვი თავისთვის ძოვდა.

იმ დიდ ხარს, ეტყობა, არ მოეწონა უცხო მძოველი, თანაც თვალში ეპატარავა და მიუახლოვდა, თანაც ფეხი ღონივრად გაუსვა მიწაზე.

ნადირმა თავი ასწია, ხარს შეხედა და ისევ განაგრძო ბალახის ჭამა.

ხარმა თავი დახარა და წვეტიანი რქებით ოდნავ უჩხვირა ფერდში.

დათვმა მოშორებით განაგრძო ძოვა.

ხარი არ მოეშვა, გაუქანდა და უკვე მაგრად ამოჰკრა რქები.

გამწარებულმა მხეცმა ტორი დაჰკრა შუბლზე და უკან დაიწია.

უკან დაიწია განრისხებულმა ხარმაც და თავდახრილი გაუქანდა.

დათვი როგორღაც გვერდში მოექცა შემხდურს, ცალ ფერდზე ტორი გაჰკრა და სისხლიანი კვალი გაავლო მის სხეულზე.

ხარი მობრუნდა, ისევ რქებით მოუნდომა დაჩხვერა.

ჯავრია კვლავ გვერდით მოექცა, უკანა თათებზე აიწია, მთელი სხეული ღონავრად შემართა და ისე დაჰკრა ხარს ხერხემალზე მარჯვენა ტორი, [illegible] აქ გაიგეს მაყურებლებმა.

ქვემოთ გაიქცა დამფრთხალი ნახირი. ხარმა მიწაზე მთელი ბრაგვანი, ფეხები აქნია და მომაკვდავმა საწყლად დაიწყო ზმუილი.. დიდმა დათვმა ტორების ღონიერი დარტყმით მოკლა და ტყეში შეათრია ლეში...

საღამოს სახლში რომ ბრუნდებოდნენ და ბიჭს თავის სიცოცხლეში პირველად მოკლული როჭო ეკიდა ქამარზე, პაპა უხსნიდა, რომ არამც და არამც დამჯდარი ფრინველისათვის არ უნდა ესროლა, ეს დაუწერელი წესი ყოფილა ყველა მონადირისა...

თუ ესვროდით, ჰკითხა ბოლოს მეტყევემ.

დათვსაო?

ჰო, ჯავრიასო!

ვერა, ვერ ვესროდით.

რატომო?

მართალი იყოო!

როგორ, კარგად ამიხსენიო.

თავისთვის ძოვდა, ხარმა შეუტია და რა ექნა, თავს ხომ არ მოაკვლევინებდაო?!

ყოჩაღ, ვაჟო, უთხრა ნასიამოვნებმა პაპამ, შენ თუ აგრე იფიქრე, კაცი დადგებიო.

მას მერმე ორივენი ერთად იარებოდნენ ქორათის ხეობაში.

12.

ისევ მოვიდა შემოდგომა. ხეებს ფოთლები გაუწითლდათ, მერმე გაუყვითლდათ და დასცვივდათ. მუბურის ზემოთ მავთულის ღობეშემოვლებულ სათიბებში გაფანტული თივის ბულულები ერთად დადგეს მთიბელებმა, საზამთროდ გაამზადეს, რათა იოლად დაეცურებინათ თოვლში. ამინდიც აირია —

ხან ძალაგამოცლილი მზე ადგა ხეობას, ზოგჯერ ნისლით იფარებოდა.

საზამთროდ ემზადებოდნენ შუბურელები, ხოლო ზოგიერთი კი აქაბ ჯიქურაშვილის საგანგებო დავალებებს ასრულებდა:

კრაწა თედო და კრუწა ბენო, ტყუპი მჭედლები დიდ ჯაჭვს ჰქდავდნენ, რომელიც კლიტეებით უნდა ჩაკეტილიყო ორივე მხრიდან.

დათვის ხევთან, სამგან ღრმა ორმოებს თხრიდა კუკუბო ვარშანიძე და მასთან იგზავნებოდნენ სხვებიც, მისახმარებლად და სახმაუროდ, დათვი რომ არ მოსულიყო.

გაბანჯგვლული ჯუხჯარ დიაური თავის ბულდოზერს დასტრიალებდა მანქანა-ტრაქტორების პარკში, სულ ნაწილ-ნაწილ მართავდა.

პროვიზორი ნიკო დიასამიძე აფთიაქიდან აღარ გამოდიოდა, იჯდა და დიდი მონდომებით ამზადებდა რაღაც წამალს.

აქაბი დილაუთენია დაიბარებდა ბალაშ ბერიძეს, კლუბის დირექტორს ჩაისვამდა მანქანაში და ყველას ჩამოუვლიდა, გაკეთებულს უმოწმებდა — ზარმაცს აძაგებდა, მონდომებულს ახალისებდა.

ნელი-ნელ ხორცს ისხამდა წინაუკმოდ განათლებული ფიზიკოსის გრანდიოზული პროექტი და ისიც კლუბ-ეკლესიის სცენაზე ჯაჭვის გამოსაბმელ ხარიხს აშენებდა კედელში — აქ უნდა დაებათ შეპყრობილი დათვი. გარდა ამისა, საბრალდებო სიტყვა ორ ტომად შეეთხზა უკვე. იგი ფიქრობდა თავისი ნაცნობი ტელესტუდიის რეჟისორის ჩამოყვანას ჯავრიას სასამართლოს გადასაღებად, რათა მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინათ მისი მახვილგონივრული პროცესი; თვით ბაიდო სახალხო ბრალმდებლად გამოვიდოდა, მჭევრმეტყველურ სიტყვას წარმოსთქვამდა, ცრემლებს მოადენდა ყველას, გულს აუჩუყებდა; რომელი გამოჩენილი პიროვნება აჭიბებდა მერმე პოპულარობაში! შეიძლება რესპუბლიკის მთავრობაშიც კი მიეწვიათ სამუშაოდ! სარკის წინ იდგა ხოლმე შარვალ-კოსტუმში და ჭრელ ჰალსტუხში გამოწყობილი კლუბის დირექტორი, მოხსენება ბრალდების ნაწყვეტებს კითხულობდა ხმამაღლა, გამოთქმით; თან ათასნაირად იცვლიდა დიქციასა და გამომეტყველებას; ხოლო თანამეცხედრის, ზიზილოს აზრით კი იშანჭებოდა და აფრქრუზინებდა, რომ აქაბივით ისიც შეეშალა, „საჯავრიო" სენი შეფარა და განრისხებული დიაცი შვილებს მიერეკებოდა სახლიდან, არ უნდოდა, სარკის წინ მოსახიობე მამა ეხილათ.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ერთ წვიმიან საღამოს, ბაიდომ აქაბის დავალებით თანასოფლელებს ჩამოუარა, მეორე დილით კლუბ-ეკლესიაში მოიწვია ყველა ქუდოსანი.

რომ გათენდა, წვრილად სცრიდა. ნისლი მოდიოდა მთელ ხეობაში და ქორთას მიუყვებოდა მაღლა.

შუბერელები კლუბთან შეკრებილიყვნენ, სიგარეტს აბოლებდნენ, ლაპარაკობდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

შესასვლელ კართან, სადაც წითელი ლენტი გაება ბაიდო ნაკაშიძეს, და თვითონაც იქვე იდგა თავმჯდომარის მოლოდინში, ერთი დიდი, თეთრ-ყავისფერ ლაქებიანი ნაგაზი იჯდა, უცნაურად იყურებოდა.

რა დიდი იყო ყველას გაოცება, როცა სოფლის გზაზე კოხტად ჩაცმული, თეთრკაბიანი იზაბელას გვერდით ჩოხა-ახალუხიანი, მოკლედ წვერშეჭრილი, დავსებულ თვალზე შავარშიაკრული, თავზე ფაფახდახურული, ხელჯოხზე დაყრდნობით ამაყად, კოჭლობით მომავალი აქაბი დაინახეს, ვერცხლის ქამარხანჯალი ერტყა წელზე და მიუხედავად მოხუცებულობისა, თავმომწონედ იცქირებოდა.

აქაბს გამარჯვებაო, დაიძახეს შუბურელებმა.

ძაღლმა კი არასასიამოვნოდ შეჰყმუვლა.

საზეიმოდ გამოწყობილმა ხეიბარმა

თავი დაუკრა სოფლელებს, კლუბ-ეკლესიის შესასვლელს მიუახლოვდა, ხანჯალი იძრო და წითელი ლენტი ჩაჭრა, შევიდა შიგნით.

ნაგაზი ადგა, იზაბელას გაებლანდა ფეხებში და მხოლოდ ვაჩემ დაინახა, ჯერ დაბლა დავარდნილი ლურსმანი შეჰამა, მერმე მონდომებით დაიწყო წითელი ლენტის ჰამა, რითაც ძალიან გააოცა ბიჭი.

ჰაგაგა, შე სამგლევ და სადათვეო! — უყვირა ქალმა და წვეტიანი ფეხსაცმელი ამოჰკრა ფერდში.

ნაგაზმა დაიღრინა, მუქარით შეხედა იზაბელას, შეაშინა და რაკი დაინახა, რომ ზურგშექცეული ქალი გაქცევას აპირებდა, ორ თათზე აიწია, გასაქცევად ზურგშექცეულ დიაცს წელზე დააბჯინა წინა თათები, კისრამდე უწია კბილებით და მაგრად ჩააფრინდა უკვე წაქცეულს.

განძრევაც კი ვერ მოასწრო ვერავინ.

მერმე გაჩხო ბასხაჯაურმა იმარჯვა, წითელი ლენტის დასამაგრებლად მიწაში ჩარჭობილი მსხვილი კეტი ამოაძრო, დაჰკრა და დაჰკრა აღრენილ ძაღლს, რომელსაც ტკივილმა ყველაფერი გადაავიწყა, იზაბელას მოეშვა, კუდი ლაჯებში ამოიდო და წკმუილით გაიქცა ტყისკენ.

მიწაზე დაცემულ, გონდაკარგულ ქალს მისცვივდნენ შუბურელები, მოასულიერეს; ჭრილობა მოუსინჯეს, ნაკბილარებიდან სისხლი მოჟონავდა. აქაბმა ბალაშის მანქანაში ჩასვა მეუღლე, არ დაიშალოთ, ახლავე მოვალო, სიტყვა დატოვა და სახლში წაიყვანა დაშავებული, ლოგინში ჩააწვინა, მეზობლად მცხოვრები ექთანი დააყენა თავზე და კვლავ კლუბში დაბრუნდა.

სინათლე აენთოთ ცალი მხრიდან მიშენებული კინომექანიკოსის ოთახიდან .ალბათ, ორმოციოდე სკამი იმართებოდა დარბაზში, ხოლო იქ, სადაც ადრე საკურთხეველი იყო, ერთი ნაბიჯის სიმაღლეზე ფიცარნაგი დაეგოთ დურგლებს. ამ პატარა სცენაზე წითელმაუდგადაფარებული მაგიდა და ტრიბუნა დაედგა თადარიგიან დირექტორს. იქვე იდგა სკოლიდან წამოღებული დაფა, რომელზედაც საკანცელარიო ჭიკარტებით დაემაგრებინათ ქორათის ხეობის უმასშტაბო რუკა.

დარბაზი შუბურელებს გაევსოთ. აქაბმა მაგიდასთან დაიკავა ადგილი.

მერმე სცენაზე ბაიდო ნაკაშიძე ავიდა და თავისი გრანდიოზული, ბრწყინვალე პროექტის შესახებ დაიწყო ლაპარაკი, თანაც რუკაზე ჯოხით უჩვენებდა სადაგ ადგილებს.

ბოლოს თავმჯდომარე გამოვიდა. ჯავრიას მიერ ჩადენილ და ჩაუდენელ, მაგრამ მოსალოდნელ ბოროტებაზე ილაპარაკა, შუბურელთ შეახსენა მისი ჯოჯოხეთური საქმეები; სამოქმედოდ აღაგზნო ყველა, რადგან ორატორობის ნიჭიც მიეცა მისთვის. გამჩენს და მეორე დილით ყველანი დათვისის ხევის შესავალთან დაიბარა, თოფით უნდა მოსულიყო ყველა ქუდოსანი, ჯელგაობა უნდა გაემართათ — წრეში უნდა მოექციათ ჯავრია, რომელიც, სავარაუდო იყო, დათვისის ხევის სათავეში იქნებოდა, ალბათ, პირველი თოვლის მოსვლას ელოდა, რომ რომელიმე მიუვალ გამოქვაბულში ზამთრის ძილს მისცემოდა; მერმე ის წრე ნელ-ნელა, ხმაურით და თოფის სროლით უნდა დაეპატარავებინათ და გიჟი მესაფლავის მიერ გათხრილი სამი ორმოდან ერთ-ერთში უნდა ჩაეგდოთ, რომლებსაც ჩელტები ეფარა ზემოდან და ბალახით იყო შენიღბული.

წინააღმდეგი არავინ წასულა.

ავადმყოფმა პაპა ელიამ ეს რომ მოისმინა ბიჭის პირით, თქვა, მე დათვთან ვაჟკაცური შერკინება მწამს და არა ეგ ეშმაკურად დაგებულ მახეში შეგდებაო!

ვაჟკაცური შერკინება რას ნიშნავსო?

დათვიც ისეთივე მოკვლის უფლებით უნდა სარგებლობდეს, როგორც მონადირეო! ეს უკვე ვაჟკაცური დუელიაო! — უხსნიდა ელია და თვალებში შეშფოთება ეხატებოდა.

13.

იმ ქინქლლიან დილით თოფებით შეიარაღებული შუბურელები მოგროვდნენ დათვისის ხევის შესავალთან. ყველა აქ იყო, აბდია კარატიელისა და ელია ჩომახაშვილის გარდა.

ის ადგილები დაათვალიერეს, სადაც ჩელტებგადაფარებული ღრმა ორმოები იყო.

მერე აქაბმაც გასცა ბრძანებები. ხალხი გაანაწილა. წრე უნდა შემოერტყათ დათვისის ხევისთვის. თავ-თავიანთ ადგილებს რომ მიაღწევდნენ, თოფის გასროლას უნდა დალოდებოდნენ. უფრო მაგარმუხლა შუბურელები ალპურ მდელოებზე ააგზავნეს, რამდენიმე კაცი ჰიო იჭირაულის ხელმძღვანელობით ხევის სათავიდან, კლდიანებიდან უნდა წამოსულიყო, იმ ანგარიშით, რომ ბუნაგთან არ მიეშვათ დათვი. დანარჩენები ხევის ორივე მხარეს უნდა გამწკრივებულიყვნენ.

მეტყევე ელია და ვაჩე ტყეში წამოსულიყვნენ, „დრუჟბა“ წამოეღოთ და გაუჩერებლად ალმუვლებდნენ.

დათვის დაფრთხობა უნდაო, ჯავრობდა აქაბი და მიმავალთ აჩქარებდა, დროზე წადით, არ წაგვივიდესო.

ქარს ბენზინის კვამლისა და ხახუნისაგან დამწვარი ხის სუნი მოჰქონდა. ალბათ ,მიაღწიეს დანიშნულების ადგილზეო, აღნიშნა კლუბის დირექტორმა და ჯიქურაშვილმაც დააქუხა თავისი თოფი. უმალ სხვა თოფებიც გავარდა და მოჯელგავეებმა ნელ-ნელა დაიწყეს წრის დავიწროება. ხმაურობდნენ, ყვიროდნენ, ტოტებს ამტვრევდნენ, ქვებს აგორებდნენ.

ზომიერება უნდა დაიცვან ხმაურში, რომ ნადირი მეტისმეტად არ დააფრთხონო, წუხდა თავმჯდომარესთან ერთად ჩასაფრებული ბაიდო, თან სიგარეტს იღებდა ჯიბიდან.

არ მოუკიდოო, უბრძანა გაღიზიანებულმა აქაბმა და თავისი ამალის სხვა წევრებს გადახედა — ლოდებს ეფარებოდნენ მდინარის კალაპოტში.

ზემოდან ჩამომავალნი წარა-მარა თოფებს ცლიდნენ, ყვიროდნენ, ყიჟინებდნენ, მოდიოდნენ და ხმაურით იკლებდნენ ტყეს.

წრე პატარავდებოდა. გამწარებული ღმუოდა ელია ჩომახაშვილის მოტოხერხი და მოდიოდა ბენზინის სუნი.

მერმე ტყისწინა ბუჩქებიდან შუბლზე თეთრლაქიანი, კოჭლი დათვი გამოვარდა, თან უკან გაიცქირებოდა დაშფრთხალი და აქაბმა კინაღამ არ შეჰყვირა სიხარულით.

დათვი დავიწროებულ ალყას ჯერ არ უპირებდა გარღვევას, რადგან ქვემოთ კიდევ ჰქონდა გასაქცევი.

ამ დროს აქაბი და მისი ხალხიც გამოვიდნენ საფარებიდან.

ჯავრია მიხვდა, ქვემოთაც მოჭრილი ჰქონდა გზა. აქეთ-იქით აწყდებოდა სროლის ხმით დაზაფრული ნადირი, ბუჩქებში ეძებდა დასამალს, თუმცა იქაც ჩაგორდა რამდენიმე ქვა და გარეთ გამოვარდა, წინ წამოვიდა, გათხრილი ორმოს ნაპირზე ჩაიარა; უკან მიბრუნდა უმალ. თავისი დიდი ტანის კვალობაზე ისე მოქნილად და მოხდენილად მოძრაობდა, მთლად აცახცახდა ბაიდო ნაკაშიძე, გუნებაში გამოლანძღა საკუთარი თავი, რა მეპროექტებოდა, ახლა ეს ურჩხული ჩემზე რომ წამოვიდეს, ახი არ იქნებაო?!

ტყიდან მოჯელგავეები გამოვიდნენ, ისევ იქუხეს თოფებმა.

ჯავრიამ მდინარისკენ დააპირა გაქცევა. ახლა აქაბის ხალხმა დასცა ველური ყიჟინა, უკან აბრუნა მოახლოებული ურსა მაიორი და ის იყო, მხეცი ზემოთ უნდა გაქცეულიყო, რომ ჩელტზე შედგა, რომელიც დაბლა ჩავარდა; დათვმა იღრიალა, ამოტრიალდა და ორმოში მოადინა ზღართანი.

ყიჟინა დასცეს გახარებულმა შუბურელებმა, ორმოს მიაწყდნენ, გარე უვლიდნენ გნიასით და ჯავრიას უცქეროდნენ, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა და ისე ღრიალებდა, გული მოუკვდებოდა ადამიანს.

ელიამ მოტოხერხი ჩააქრო, მხარზე

გაიდო და ქვემოთ წავიდა. ვაჩემ ცხენს მოკიდა ალვირში ხელი და უკან მიჰყვა.

ორმოსთან შუბურელები იდგნენ.

აქაბ ჯიქურაშვილი ხელჯოხს ეყრდნობოდა და ისე დაკელნაობდა შავად პირდაღებული მთხრებლის გარშემო.

ორმოდან ამოდიოდა რაღაც საზარელი, ენითგამოუთქმელი ღრიალი თუ ხავილი, ვაჩე ვერაფერს ვერ შეადარებდა ამ ხმას, გარდა გოდებისა, დალი ბებოს სიკვდილის შემდეგ რამდენჯერმე რომ სმენია პაპისგან.

ხომ დაგიჭირეო, ხარხარებდა აქაბი, შეშლილს ჰგავდა, ხომ შეგიპყარი დავით გურამიშვილივითო! ხომ არ გაგახარეო! შვილი მომიკალი! მეც არ დამინდე! ძლივს გადაგირჩი და ახლა მიყურე, თუ შენზე არ ვახარხარო მთელი ქვეყნიერებაო! ვნახოთ, ვის გაამართლებენო! ჩემსკენაც ხომ მოვიდა გაზაფხული! ჩემი ჯერიც დადგაო!

ხომ გაამართლა ჩემმა პროექტმა, დიდო მეფეო, ხომ გაამართლაო, იცინოდა თუ მოთქვამდა თვალცრემლიანი კლუბის დირექტორი, მთელი ზაფხული და შემოდგომა ვწერდი ამის საბრალდებო სიტყვას, ორი ტომი მაქვს გამზადებული, ხომ უნდა გავუმართოთ სასამართლოო!

აბა, რა ეგონათ ზოგ-ზოგებსო, იცინოდა ყუყუნო არაქანია, ელიასა და აბდიას გულისხმობდა ალბათ, ხომ გაამართლა ჩვენმა გეგმამო!

ნეტაი, შენ ვილასი ტიკი-ტომარა ხარო, ხითხითებდა ლომფუზო ლვინიხაპია.

სხვები სხვადასხვას ამბობდნენ, ყველას ვერ უსმენდა ვაჩე. ორმოსთან უძრავად გაჩერებულ პაპას ცრემლი ჩამოუგორდა და თეთრ წვერში ჩაიმალა. მოხუცი დაიხარა, „დრუება" აილო, ცხენს ალვირში მოკიდა ხელი და სოფლისკენ წავიდა წელში გადრეკილი.

მესაფლავე კუკუშო ვარშანიძე მთხრებლს არ შორდებოდა, უცნაური შუქი უკრთოდა თვალებში.

გიჟია, საწყალიო, ერთმანეთს გადაულაპარაკეს სოფლიდან მოსულმა ქალებმა.

აქაბ, ღვთის რჩეული ყოფილა ეს დათვიო, უთხრა მესაფლავემ.

რატომო?

შუბლზე თეთრი ლაქა ჰქონიაო, თქვა კუკუშომ, ნაწილიანია ჯაჭრიაო!

გასწი, იქით დამეკარგე, შენღა მაკლდიო, შეუღრინა აქაბმა.

ხალხოო, დაიღრიალა მესაფლავემ, ნაწილიანია ეს დათვიო! თქვენ იარე ვიცი და მე უნდა მოვუბოდიშოო!

მერმე ფეხშიშველა კაცმა ცეკვა დაიწყო ორმოს გარშემო, თან ასე მღეროდა:

„დათვი! დათვი! დათვი? აბა? აგერ!.. ბუა! ბუა! ჰო!

დათვო, შენ არ მეგონე, მე აფთარი მეგონე!

დათვო, შენ არ მეგონე, მე ტურა მეგონე!

დათვო ,შენ არ მეგონე, მე მგელი მეგონე!

დათვო, შენ არ მეგონე, მე მელა მეგონე!

მცოდნოდა, შენ იყავი, ორმოს არ გავთხრიდი!

მცოდნოდა, შენ იყავი, ორმოს არ გავთხრიდი!

არა, არა, არაო! — აქაბ მატყუარაო!

არა, არა, არაო! აქაბ მატყუარაო!"

ამასობაში ჯიქურაშვილმა ბალღამ ბერიძის მანქანით სოფელში გააგზავნა: ჯუხჯარ დიაური — ბულდოზერის ჩამოსაყვანად; ნიკო დიასამიძე — დასაძინებელი წამლის წამოსაღებად; კრაწა თედო და კრუწა ბენო — კლიტეებით შესაკვრელი ჯაჭვის ჩამოსატანად.

ვინაა მატყუარა, გააგდეთ ეს გადარეული აქედანო, იყვირა მერმე, მესაფლავის ბოლო სიტყვებს რომ მოკრა ყური და ახლა ბაიდოს მიუბრუნდა, წადი თბილისში, მიდი ტელევიზიაში, შენი ნაცნობი რეჟისორი ნახე და ჯავრიას სასამართლოზე მოელაპარაკეო; ოღონდ, იცოდე, მანქანით არ წამოხვიდეთ, დღეს-ხვალ თოვლი მოვა და აქ ჩარჩებით, ვერტმფრენი გამოიწერეთო.

კლუბის დირექტორს ჰიო იჭირაულმა ათხოვა ცხენი, რომელზედაც უმალ ამხედრდა ყოფილი მასწავლებელი და ქორათს დაუყვა ჰენებ-ჰენებით.

14.

თავისნათქვამა დიაცი გახლდათ იზაბელა, ძაღლისაგან დაკბენილი იმდენად ჰრილობებს არ დარდობდა, რამდენადაც დახეულ კაბას; გაბრაზებული ძალლის არ იკარებდა ექთანს, ნემსით რომ მოდიოდა ყოველდღე, ცოფის საწინააღმდეგო აცრა უნდა გაგიკეთოო; არავის რჩევას ყურს არ უგდებდა, იწვა ლოგინში და ქსოვდა და ქსოვდა; ეგ თვითმკვლელობააო, უყვიროდა განრისხებული ნიკო დიასამიძე და თბილისში გაწერით ემუქრებოდა. არ იყო, ნიკო, ცოფიანი ის ძაღლი და თუ კაცი ხარ, დამანებე თავიო, პასუხობდა. აღარც აქაბს ეცალა მისთვის, წვიმები არ დაიწყოსო და ტოლი მოატანინა სოფლელებს, სარები დაარჭობინა ორმოს გარშემო და ჩარდახი გააკეთებინა. სამიოთხი დღე უნდა მოეცადათ, კარგად რომ მოწყურდებოდა დათვს და მერმე ჩაუშვათ წყალში გარეული ძილის წამალი. დღემუდამ იქ მორიგეობდნენ ჯუხჯარ დიაური და რამდენიმე კაცი.

მეოთხე დღეს, როცა მწყურვალმა ნადირმა სველი ქვების ლოკვა დაიწყო ორმოში, აქაბმა ვედროს თოკი გამოაბა, წყლით გაავსო, ძილის წამალი შეურია და ფრთხილად ჩაუშვა ქვემოთ.

ჯავრია ვედროს მივარდა, კინაღამ წააქცია, ჩაყო თავი და ფსკერამდე ამოსვლიპა წყალი.

დალიაო, იყვირა აქაბმა და შეზარხოშებულ თანამზრახველებს გადახედა, არაყს რომ შეექცეოდნენ მოშორებით.

დაახლოებით ერთ საათში დათვი მიწაზე იწვა და ეძინა.

კრაწა თედო და კრუწა ბენო ჩავლენო, ბრძანა აქაბმა.

ჩვენ რად უნდა ჩავიდეთო, გაიკვირვა კრუწამ.

ჩვენ რათაო, ტყუპს ცერი დაუკრა კრაწამ.

მაშ, ვინაო?

ვინც გინდათო, ოღონდ ჩვენ არაო!

მხდალები ყოფილხართო, დაანამუსათ ჯიქურაშვილმა.

ვინაა ლაჩარიო, გაიოცა თედომ.

ლაჩრები ხნვეზისკენ მოიკითხეო, შეუბღვირა ბენომ და ორმოში გადახტა ჯაჭვიანად.

სადაც ჩემი ძმა, მეც იქაო, დაამატა ბენომ და ისიც მიჰყვა.

ჰარიქა, ჯუხჯარ, ბულდოზერი მოგვაშველეო, იყვირა აქაბმა და მანქანა რომ წამოვიდა ტრახტრახით, ისევ ორმოში ჩაიხედა.

ვერ მოვერევითო, შემოსჩივლა კრაწამ.

ვერაო, დაუდასტურა კრუწამ, ოთხასი კილო მაინც იქნებაო.

მაშინ გაჩხო ბასხაჯაური და ბალაშ ბერიძეც გადახტნენ. ერთი ვაი-ვიშით ასწიეს ჯავრია, ქვეშ გაუტარეს ჯაჭვი და თოკები, მაგრად შემოუჭირეს მუცელზე, მსხვილი კლიტით გადაკეტეს ჯაჭვი.

ჯუხჯარ დიაურმა ყოში ფრთხილად ჩაუშვა ორმოში. ჯაჭვის მეორე ბოლო ყოშზე შემოახვიეს, ისიც კლიტით ჩაკეტეს და ზემოთ ამოვიდნენ ოთხივენი.

ბულდოზერმა დაიტრახტრახა, შავი კვამლი ბოლქვებად გამოუშვა. დიაურმა რაღაც ბერკეტი გამოსწია, ყოშმა ზემოთ ამოიწია და მძინარე დათვი ციმციმ ამოიყვანა მაღლა.

ყიჟინა დასცეს აღფრთოვანებულმა შემსწრეებმა და წვიმამაც დაასხა კოკისპირულად.

უცნაურტვირთიანი ბულდოზერი აქაბის ბრძანებით სოფლისკენ დაიძრა.

ხალხი უკან მიჰყვა მანქანას.

იჩქარე, დაბმაც უნდა მოვასწროთო, ჯუხჯარს გადმოსძახა ბალაშის მანქანიდან თავგამოყოფილმა თავმჯდომარემ.

წვიმა მატულობდა. ტრახტახებდა ბულდოზერის ძრავი, შავ კვამლს ადენდა უკან ადევნებულ, გალუმპულ სოფლელებს, ხოლო თვით დიაური თამბა-

ქოსგან ჩაყვითლებულ კბილებს უჩვენებდა შუბურელებს, აქაოდა, ნახეთ, რა საჭირო კაცი ვყოფილვარო.

წვიმამ რომ გადაიღო, კლუბ-ეკლესიამდე მოაღწია ბულდოზერმა, ყოში ძირს დაუშვა ფრთხილად. ნიკო დიასამიძემ სიფრთხილისათვის კიდევ ერთი ძილის ნემსი გაუკეთა ნადირს. შემდეგ კლიტე შეხსნეს ყოშიდან მჭედლებმა და ექვსმა კაცმა ძლივს შეიტანა შიგნით ჯავრია, ფიცარნაგზე დააწვინეს და მერმე აქაბმა თავისი ხელით აიღო ჯაჭვის მეორე თავისუფალი ბოლო, ბაიდო ნაკაშიძის ჩაშენებულ რკინის ხარიხაზე ჩაება და კლიტით გადაკეტა საგულდაგულოდ. ვიღაცამ ვედროთი წყალიც დადგა ურსა მაიორის მახლობლად. სხვებმა საჭმელი დაუყარეს.

რაიმე ფარსაგი არ მოგვეწიოს ამ გადარეულმა ურჩხულმაო, დაიჩივლა აქაბმა, შუბურელებს შეუთანხმდა და ყოველ დღე-ღამეში თითო თოფიანი კაცის მორიგეობა დააწესა კლუბ-ეკლესიაში.

და იმავე ღამეს, ყველამ რომ დაიძინა, სახლში ველარ გაჩერდა აქაბი, კლუბ-ეკლესიაში შევიდა, ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა და დათვს დაუწყო ცქერა, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა და გაუგებრად ბურტყუნებდა.

რა გინდოდა, რას გადამეკიდეო? — მონოლოგი დაიწყო კაცმა, ჯერ იყო და შვილი მომიკალი! მერე კინაღამ მეც ზედ მიმაყოლე, ძლივს გადავგირჩი, ოხერ-ტიელოო! სამუდამოდ დამახეიბრეო!.. მართლა, ლელა ხომ არ ხარო?! არა მგონია, ლელა რომ იყო, ხმას გამცემდიო! ხომ არ დაიბოლმეო?.. ეჰ, ბოლმა ჩემი გენახა, საავადმყოფოში რომ ვკვდებოდიო! არ დაგიმალავ, ძალიან მენანება შენი დაჭერა, რაღა უნდა ვაკეთო აწიო!

## 15.

იმარცვლებოდა ამინდებარეული ოქტომბერი, სიცივე მატულობდა. მთებზე თოვლი დადო. გზები მოიყინა.

იზაბელამ მალა, მალა სენი, მაგრამ სენმა თავი არ დამალა. ნაკბენი ადგილები ექავებოდა, ეწვოდა, სტეხდა. ავ სიზმრებს ხედავდა ღამ-ღამობით, სიკვდილის შიშით ითანგებოდა, წყალს რომ მოუტანდნენ, კრუნჩხვები ეწყებოდა.

შემდეგ აგრესიული გახდა. აქაბს მოკვლით ემუქრებოდა, ჭურჭელს ამტვრევდა, ლოგინიდან ამოხტებოდა, ტანსაცმელს იხევდა და გარეთ გარბოდა. დაიჭირეს და თოკებით შეკრეს.

დათვის დაჭერას გადავყევი და სასიკვდილოდ გავწირე საბრალო ქალიო, ქვითინებდა აქაბი, ყურადღება ველარ მივექციეო.

ეშველებაო, აფთიაქარს ანჯღრევდა ჯიქურაშვილი და ვერტმფრენს გასცქეროდა, რომელსაც იზაბელა მიჰყავდა თბილისში, ბიჭო, ნიკო, ხომ ეშველება, ყურადღება ვეღარ მივაქციეო.

ჰოო, თავს უქნევდა პროვიზორი დიასამიძე და თვალცრემლიან ბალაშ ბერიძეს გადახედავდა, მალულად რომ იმშრალებდა თვალებს.

ოო, ღმერთო, მუხლებზე დაეცა თავმჯდომარე, რამდენი ტანჯვა გადავიტანე, აღარ უნდა მაკმაროო? აღარაო! — წამოხტა და ეკლესიასთან მივარდა ჩაქუჩმომარჯვებული, ურტყამდა და ტიროდა, ჯავრიას ღრიალებდა ეს ხმები. ძლივს დაიჭირეს და სახლში წაიყვანეს. დამამშვიდებელი წამალი გამოუწერა ნიკო დიასამიძემ.

საიდან, საიდან იცოდაო? — ქვითინებდა აქაბი.

ვინაო, რაო, ნიკო დაეკითხა.

ელიამო!

რა იცოდაო?

გვალვა რომ იქნებოდაო!

მერედა, რაო? — გაიკვირვა ბერიძემ.

წინასწარ მითხრაო!

ეგეც დიდი ამბავიო!

იზაბელა გაცოფდებაო, ესეც თქვაო!

აუჰ, მართლაო, გაიკვირვა დიასამიძემ და ბალაშს ანიშნა, ეს ცოტა ურევსო.

კლუბ-ეკლესიას ზვავი დაანგრევსო! ხედავ, შენო?!

ისიც მიწინასწარმეტყველა, რომ დათვის ტორით მოვკვდებიო!

ეგ კი აღარ დაიჯერო, ჩემო აქაბო, გაუცინა დიასამიძემ, აკი გადარჩიო! ახლა იზაბელაც გადარჩება და არ გამართლდება ელიას ნათქვამიო!

ოღონდ, ბიძია აქაბ, აი, ეს წამლები დალიეო, სთხოვა ხუმარამ.

იმ დღიდან დამამშვიდებელ წამლებს სვამდა და მომჯობინდა. სხვებთან ერთად ისიც მოუთმენლად ელოდა ბიიდო ნაკაშიძეს. საღამოობით კოცონებს ანთებინებდა შუბურელებს, რათა შორიდანვე დაენახათ; მაგრამ არსაიდან ისმოდა მოტორის გუგუნი.

16.

დეკემბრის დამლევს თოვა დაიწყო და ერთიანად გადათეთრდა მიდამო. შუბურიდან ლურჯი კვამლი აიწელა ცისკენ.

თოვდა და თოვდა. ჯერ მუხლებამდე დადო, მერმე წელამდე მოაღწია. სახურავების გადმოთოვა დაიწყეს სოფლელებმა, ჭერი რომ არ ჩამოქცეოდათ თავზე.

ელია პაპა ავად იყო, პირს აღარ აკარებდა საჭმელს, ერთავად ფანჯარასთან იჯდა, გაჰყურებდა ერთმანეთში მოფარფატე ფანტელებს და უხმოდ წუხდა. ვაჩე ხედავდა ჩამომხმარ მოხუცს და ისიც დარდობდა.

აქაბმა მოიკეთა. თუკი პაპა-შვილიშვილს ღამით არ აძინებდა დათვის ღრიალი, თავმჯდომარეს ეს ხმა სმენას უტკბობდა. მშვიდად ეძინა ცალთვალა ხეიბარს. დღისით სულ გარეთ ტრიალებდა — ჯერ კლუბ-ეკლესიაში შეივლიდა, საჭმელს მიუტანდა დათვს, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა ბურდღუნით და ჯაჭვს აჟღარუნებდა; შემდეგ ვერტმფრენის დასაფრენ მოედანს აწმენდინებდა შუბურელებს; თან ნაჩხატ ვარშანიძეს შესჩიოდა, ეს გადაშიმშილებული ჯავრია არ მოგვიკვდეს, პირს არ აკარებს საჭმელსო.

გაძლებს, ოხერიაო.

ნაკაშიძეც როგორ დაიკარგაო!

მგლებმა ხომ არ შეჭამეს, ბაიდოო, ეჭვობდა ღვინიხაპიხ.

ვაჰმეო, შიშობდა ხაბაზი ვანო ხალვაში, რა გვეშველებაო.

ალბათ, ღრუბელში ვერ მიფრინავენო, ვარაუდობდა პაპუნა ზედგინიძე, რომელსაც წისქვილი გაეჩერებინა და სადაც სვამდნენ, ისიც იქ იყო.

ქარი, ქარი გვიშველისო, — ამბობდა ყოყუნო არქანია, კამგამ [illegible] ეგ მეო.

როგორ გვიშველისო, ვერ ხვდებოდნენ ტყუპი მჭედლები.

თქვენ ამინდისა რა იცით, სულ სამჭედლოში ზიხართ, ეცინებოდა ნოქარს და თვალს უკრავდა გიო მაღალაშვილს.

აგვიხსენიო.

გადარეკავს ქარბორია საავდრო ღრუბლებს, მზე აკიაფდება ბარჩხალა და ვერტმფრენიც მოვაო.

შენ პირს თაფლიო, მიუგებდნენ შუბურელები.

ღამ-ღამობით ისევ ანთებდნენ კოცონებს.

სულ კლუბ-ეკლესიასთან ტრიალებდა ფეხშიშველა, სიცივისაგან აძაგძაგებული მესაფლავე, ნაწილიანია დათვი, ღვთის რჩეულია, მაგისი სიკვდილი არ იქნებაო, ლაპარაკობდა თავისთვის.

ამან საბოლოოდ აურიაო, ხელს ჩაიქნევდნენ ხოლმე კაცები.

მერმე იყო და, თოვა შეწყდა, ქარი ამოვარდა, კავკასიონის გადაღმა გადარეკა ღრუბელი და მზემ გამოანათა.

მაშინ აბდია კარატიელი გადაეყარა აქაბ ჯიქურაშვილს.

გამარჯობაო.

სალამი ღვთისაა, გაგიმარჯოსო, მიუგო ხეიბარმა.

მიმიფურთხებია შენისთანა ღვთისმორწმუნისათვისო, შეუტია აბდიამ, შენ იმდენს იზამ, მიწასთან გაასწორებ მთელ შუბურსო!

როგორ, რანაირადო?

რაც გითხრა ელიამ, ხომ ყველაფერი შეგისრულდაო?

ზოგი — ჰო! ზოგი — არაო!

ჰოდა, რაც არ შეგისრულდა, ისიც

შეგისრულდება, თუ დათვს არ გაუშვებო!

ხომ არ გადაირიე, კარატიელო, ამისთანა ვერაგი მტერი ძლივს ჩავიგდე ხელში; დღე-დღეზე რექისორს ველოდები, როგორ გავუშვაო!

როგორც მოვა, ისე წავა ის რექისორიო!

დათვმა შვილი მომიკლა, მე დამახეიბრა და ჩემი საბრალო ცოლი კი გააცოფაო!

იმას ძაღლმა უკბინა, ჯავრია რა შუაშიაო?

რა შუაშია და, იმ შუაშია, რომ ასეაო, უთხრა აქაბმა, მაგას მაინც არ გავუშვებ, თუნდაც ცა ფეხად ჩამოვიდეს დედამიწაზეო!

არ გაუშვებო, არაა?

არასდიდებითო!

მაშ, იცოდეო, უთხრა აბდიამ, ამ კლუბს ზვავი დაანგრევს, შენ კი ჯავრიას ტორით მოკვდებიო!

ვინ გითხრა ეგ მტკნარი სიცრუეო, გადაიხარხარა ჯიქურაშვილმა.

ელიამ მითხრა ეს „მტკნარი სიცრუე"-ო, მიუგო კარატიელმა, აქაბ, ჰკუას მოუხმე, თავს ნუ წააგებო!

არ წავაგებო!

სხვა თუ არაფერი, იმ შეშლილს შეხედე და მოუსმინე, რას ლაპარაკობს; შენ ეგ მართლა გიჟი ხომ არ გგონია, სიმართლეს ამბობს, ნაწილიანია ჯავრიაო!

მოვრჩი შენთან ლაპარაკსო, შეუღრინა აქაბმა და სამკედლოში თავშეყრილ მუშურელებს შეეხმიანა, ჰეი, ბიჭებო, დაიჭირეთ ეს შიფერდაცურებული კუკუბო, ერთი-ორი ჭიქა არაყი დაალევინეთ, არ მოგიკვდესო!

კარგად ვიცი, ვისაც აქვს შიფერი დაცურებულიო, ხელი ჩაიქნია საბჭოს თავმჯდომარემ და გაეცალა.

შორიდან მოსულმა მოტორის ხმამ ჯერ ძაღლებიააყეფა, მერმე, რაკი გუგუნი გაძლიერდა, გარეთ გამოვიდნენ მუშურელები და ცაში გაიხედეს — „რკინის დიდი ნემსიყლაპია" ეკიდა ხეობის თავზე და გეზი პირდაპირ მათკენ ეჭირა.

მთის სოფლელებმა კოცონები აანთეს დასაფრენ მოედანზე, რომელსაც ორი წრე შემოუარა შვეულმფრენმა, თოვლი ააქარბუქა და თეთრ კორიანტელში გაახვია ყოველივე.

აქარბუქა რომ ჩაცხრა, მანქანა უკვე ჩამქრალი იყო, ინერციით მაინც ტრიალებდა პროპელერი. სხვაგან[illegible] [illegible] ნაკაშიძე [illegible] უთითებდა თბილ ქურთუკებში ჩაცმულ რამდენიმე ადამიანს. ხოლო ვერტმფრენის ღია კარიდან პატარა კიბე გადმოეყუდებინათ და სხვადასხვა ზომის ყუთებს ტვირთავდნენ.

ბატონი აქაბ ჯიქურაშვილიო, ბაიდომ თავმჯდომარე წარუდგინა გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელს, დათვთან ბრძოლის უშიშარი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელიო.

ძალიან სასიამოვნოა, ჩემო ბატონოო, ხელი გაუწოდა ქალღმერთა კაცმა.

ხოლო ეს კი, პატივცემულო აქაბ, საქვეყნოდ განთქმული და მსოფლიო მასშტაბის რექისორი, არდალიონ წვერავა გახლავსო!

გმადლობთ ჩემობრძანებისთვისო, ხელი ჩამოართვა ჯიქურაშვილმა.

სადაა დათვიო, დაინტერესდა რექისორი.

დათვი, ბატონო არდალიონ, კლუბში გვიბია ჯაჭვითო, მიუგო აქაბმა.

გოგიო, მელოტ კაცს შეეხმიანა წვერავა, საშუალო პლანიდან გადაიღე შუბურიო. ბუბა, კადრს მიხედე, თუ ძმა ხარო.

ხოლოთუ ბუბა მხატვარი იქნება ამ ფილმისაო, განმარტა წინასწარ განათლებულმა ფიზიკოსმა, რომელსაც კინოწარმოების ზოგიერთი საკითხი კარგად გაეგო უკვე.

ერთი, აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონოო, ნაკაშიძე ცალკე გაიყვანა აქაბმა და შეუღრინა, მხატვარს გაჩვენებ მე შენ, სად ხართ აქამდეო?! ტყავს გაგაძრობ, ტყავსო!

ცალკე საბუთების გამზადებაო, ცალკე ამინდმა შეგვიშალა ხელიო.

ჩემი ცხენი რა უყავით, შეუბღვირა ჭიომ.

ქვედასოფელში, მოყვრებთან დავტოვე გაზაფხულამდეო.

ბატონო აქაბო, შეეხმიანა რეჟისორი, გაგვიძეხით, გარემო დავათვალიეროთ, დათვი ვნახოთ; მართალია, უსცენაროდ ვიღებ, მაგრამ ზოგადი მონახაზის ჩამოყალიბება, მოგეხსენებათ, მაინც დამჭირდებაო, შენ რას იტყვი, თაიაო, გახსნილქურთუკიან, ჯინსებში გამოკვალთულ ქალიშვილს დაეკითხა არდალიონი.

მართალი ხართ, შეფო! — გაუცინა იმან.

ის დღე აპარატურისა და გადამღები ჯგუფის დაბინავებაში, გარემოს თვალიერებაში და კამათში გაილია.

საღამოს, როცა ახლადდაკლული ძროხის ხინკალი დიდ ქვაბში მოსახარშად ჩააწყეს ქალებმა და დიდი სუფრა გაშალეს აქაბის სახლში, სტუმრები დაპატიჟა თავმჯდომარემ და სუფრის თავში დაჯდა, მოადგილეობა არდალიონ წვერავას არგუნა და თამადობას შეუდგა...

შეზარხოშებულმა რეჟისორმა მეხუთე სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება სთხოვა უფალ თამადას, ნება რომ მისცეს, ყოვლად გაუკვეველი რამ თქვა:

„დროის უწყვეტ, კინოკადრისებრ დინებაზე ჩვენგანვე მიწერილ ტიტრებს ისტორიას ვეძახით; რაც სინამდვილეში სულაც არაა ისტორია, არამედ ჩვენი სუბიექტური შეხედულებებია ისტორიის შესახებ. განა ისტორიად არ იქცევა აწმყო და მომავალი? იქნებ, ბატონებო, ისტორიად ქცეული ჩვენი წარსული მომავალიცაა და აწმყოც ერთდროულად! ეს თუ არ გავითვალისწინეთ, ისტორია ისტერიად გვექცევა და მეყოლეთ უდაბნოს ლომებივით, დინოზავრებივით გადავშენდებით!.. ბატონებო, ნუ გავგლეჯავთ დროს სამ ნაწილად, რამეთუ დრო ისტორიაა!.. მე იმას ვამბობ, რომ ადამიანის კავშირის უმაღლესი ფორმა გარემომცველ სამყაროსთან, მითია. მითები კი ერის სიზმრებია და ამ სიზმრებით ხალხის შეფასებაც შეიძლება... თქვენ კი ახალ მითს ქმნით დათვზე, რაღაც უცნაურ, თვალღია სიზმარს ხედავთ, ჩემო კარგებო! ეს იმიტომ, რომ უდროო დროში ცხოვრობთ! თქვენ გაგიმარჯოთ, შუბურელებო!"

შეფ, ყველაფერი ჩავიწერეო, შესცინა თაიამ და ხმის ჩამწერი იაპონური დიქტაფონი გამორთო.

მადლობელი ვარ, თოვლზე მოსულო ენძელავო, უთხრა არდალიონმა, ქალიშვილს ხელზე ეამბორა და მერელა შესვა ლომფუზ ღვინიხაპიას დაყენებული კახური.

სხვებიც წამოდგნენ და შუბურელები ადღეგრძელეს.

გადაწყდა, მეორე დღესვე შესდგომოდნენ „ჯავრიას სასამართლოს" გადაღებას, ასეთი პირობითი სათაური უნდა ჰქონოდა ამ ფილმს.

თუნდაც ფილმი აკრძალონო, იქადნებოდა რეჟისორი, ერთ ჩემს ნაცნობ მწერალს მივცემ ამ თემას, იცით, რა მხეციაო?!

რა მხეციაო, გაუკვირდა აქაბს.

მგელიაო!

როგორ თუ მგელიო?

როგორ და, დაბეჭდავს სადმე მოთხრობას, მისდგებიან ჩვენი ტიტულოსანსავარძლოსანი კრიტიკოსანნი, ჯერ ოქროს მათრახებით სცემენ, სცემენ და სცემენ, მერმე კი დაუყვავებენ, შოკოლადსა და ათასნაირ ნუგბარს სთავაზობენ; მოკლედ, მისი მოთვინიერება უნდათ, რამეთუ დიდი პატივია მგლის მოთვინიერება და ცირკის არენაზე გამოყვანა! მაგრამ, ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, მგლის თავზე რომ სხვადასხვა ტექსტებს კითხულობდნენ; არ თვინიერდება ის მწერალიო.

თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოსო, უცინოდა ბაიდო.

აქაბი გმირულად აგრძელებდა სუფრის გაძღოლას, თუმცა ღვინომორეული

მეინახეები თავისას მიედ-მოედებოდნენ.

რეჟისორი და მხატვარი ბევრს კამათობდნენ ფილმის შესახებ, თანაც ხმის ოპერატორს, მშვენიერ თაიას ეკითხებოდნენ თავიანთი აზრის სიმართლეს და უმალ ებოდიშებოდნენ სასაყვედუროდ პირდაღებულ თამადას, რომელსაც ვერა გაეგო მათი საუბრიდან, ასეთ ფრაზები და სიტყვები ესმოდა: „ზერეალიზმი“, „მითში უნდა იცხოვრო“, „ფელინიც უსცენაროდ იღებდა“, „კუროსავა უფრო მხეცია“, „იოსელიანი რა, ნაკლები ნადირია?!“ „თაიამ გვითხრას“, „აი, იოსელიანიო, ხედავ?“, „კინოპლაგიატი“, „სოფი-ლორენი“.

17.

შუაღამე იყო და თოვდა შუბურში.

ფანტელების ჩუმი, იდუმალი და მშვიდი შრიალი ესმოდა სახლიდან ჩუმად გამოპარულ ვაჩეს, წელამდე თოვლს რომ მიარღვევდა სალოცავი მუხისკენ. მართალია, ბნელოდა, მაგრამ თოვლს მცირეოდენი შუქიც ჰქონდა და ეს უადვილებდა გზის გაგნებას. ბიჭს დალი ბებიას საწოლიდან აღებული თეთრი ზეწარი შემოერტყა წელზე.

ხესთან მიღწეულს მთლად გაეყინა ფეხები.

ზემოთ უნდა ასულიყო და იქ შეება რომელიმე ტოტზე, რომ არ ჩამოეხსნათ.

ბიჭი ხეს ჩაეჭიდა და აცოცება დაიწყო.

სად მიდიხარო, მოულოდნელად იკითხა ვიღაცამ.

ვაჩემ მიხედა.

დათოვლილი კაცი იდგა გაუნძრევლად.

ვინ ხარ, რატომ ფეხის ხმა ვერ გავიგეო? — შეშინდა ბიჭი.

აქ ვიდექიო, მიუგო იმან, მესაფლავე ვარო.

დათვის გადასარჩენად თეთრი ნაჭერი უნდა შევაბა მაღლაო, თქვა ვაჩემ, თან კანკალებდა.

ჯავრია ნაწილიანია, გადარჩებაო, თქვა მან, დაიხარა, მოსული აიყვანა და ზემოთ, ტოტისკენ ასწია, ფრთხილად ადიო, დაარიგა.

ავიდა ბიჭი, დათოვლილ ტოტზე თეთრი ზეწარი შეაბა წმინდა მუხას და დათვის გადარჩენა ითხოვა.

დაბლა ჩამოსვლამდე კუკუბო ვარშანიძე მიეხმარა.

მერმე ორივემ თოვლში დაიჩოქა. ღმერთო, გვიშველეო, პირჯვარი გადაიწერა მესაფლავემ, მისი სიკვდილი არ შეიძლება, ჩვენი დედაა ჯავრიაო.

პაპა ელიაც ამას ამბობსო, თქვა ვაჩემ და გაიღიმა.

10.

დილით ისევ თოვდა.

აქაბ ჯიქურაშვილს ადრიანად გაღვიძებოდა, ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოერტყა, თავზე ფაფახი დაეხურა, გარეთ გამოეყვანა შუბურელები და ბილიკებს კვალავდნენ წელსზემოთ თოვლში.

პაპა ელია უარესად იყო, ლოგინიდან ვეღარ დგებოდა.

ვაჩეს თბილად ჩაეცვა და სახურავს თოხლავდა. აქედან კლუბ-ეკლესიაც მოჩანდა, სადღაც შუბურელები ტრიალებდნენ. იქვე საქმიანობდნენ გადამღები ჯგუფის წევრები. მოისმოდა ბევრი ხალხის ნახვით დამფრთხალი დათვის ღრიალი.

ბიჭმა საქმე მოამთავრა და ღვთისმშობლის ეკლესიისაკენ გაიქცა. გზად აბდია კარატიელი შეხვდა, ჩვენმა თავმჯდომარემ კუკუბო თოკით დააკვრევინა ლოგინზე, სტუმრებმა არ ნახონო და იმის ასახსნელად მივდივარო, უთხრა...

ვაჩე ძლივს შეიდა სოფლელებით გავსებულ დარბაზში, რომლის შუაგულში კამერა დაედგათ; ორი მხრიდან იუპიტერებით გაენათებინათ სცენა, რომლის ერთ კუთხეში, ჯავრია რომ ვერ მიწვდენოდა, ტრიბუნა იდგა.

კამერაში, ოპერატორის გარდა რეჟისორი და მხატვარიც იყურებოდნენ წა-

რამარა და რაღაცას ხელების ქნევით უხსნიდნენ ერთმანეთს. ხმის ოპერატორი თაია ტრიბუნასთან ამაგრებდა მიკროფონს.

მერმე სცენაზე აქაბი ავიდა და ტრიბუნის აქეთ დადგმულ საპატიო სავარძელში ჩაჯდა ამაყად.

დავიწყოთო, დაიძახა არდალიონ წვერავამ.

„ყურადღება!.. მოტორ!“ — იყვირა რეჟისორმა და სასამართლოს პროცესი დაიწყო.

სიტყვით გამოსული შუბურელები დათვზე ჰყვებოდნენ, თუმცა არც ერთი მათგანის დახატული ნადირი არ ჰგავდა ნამდვილს; თუ მართლა იმდენი რამ ჩაედინა, მაშინ ზღაპრული ურჩხული ყოფილა და არა ჩვეულებრივი დათვიო, ფიქრობდა რეჟისორი და გუშინდელი ნათქვამი ახსენდებოდა — „დროის უწყვეტ, კინოკადრისებრ ძინებაზე ჩვენგანვე მიწერილ ტიტრებს ისტორიას ვეძახით...“

ერთი მოხუცი ქალი გამოვიდა, ჯავრიაზე სიტყვა არ დაუძრავს, თავის დაცურებისას რომ შვილი დაღუპოდა, იმაზე იტირა. როგორც კი მოახერხა, მაშინვე გააწყვეტინა ცალთვალა ხეიბარმა, დათვზე ილაპარაკეო და ნაწყენი დედაბერი დარბაზში ჩავიდა.

ხოლო ბაიდო ნაკაშიძე ორი სქელტანიანი საქაღალდით წარუდგა სასამართლოს.

პირველ ტომში განხილულია დათვების წარმოშობის სავარაუდო გზა; მათი ბიოლოგიური, მითოლოგიური, ზერეალისტური, ზღაპრისმიერი, ისტორიული და ადამიანთა ჭამის გენეზისით, აღნიშნა მან გამოთქმით. აქვეა დათვები ხელოვნებაში — ლიტერატურაში, ფერთაწერაში და მუსიკაშიო; ხოლო მეორე ტომი მთლიანად ეძღვნება ჯავრიას, ანუ ურსა მაიორის დანაშაულებრივ, ანტიმორალურ, ანტიზნეობრივ ქმედებათა ნუსხასო.

პირველი ტომი არ გვინდა, მეორე ტომზე გვიამბე მოკლედო, უთხრა შუბლშეჭმუხნულმა დიდმა მეფემ.

დათვს მოუსვენრობა დაეტყო, აწრიალდა, ჯაჭვი ააჟღრიალა, კბილებიც კი ჩასჭიდა რამდენჯერმე.

ძლივს მოამთავრა მოხსენება წინაუკმოდ განათლებულმა კლუბ-ეკლესიის დირექტორმა და სასამართლოს სასჯელის ზომაც შესთავაზა:

უშველებელ დათვს, ანუ ჯავრიას, ანუ ურსა მაიორს უნდა მისჯოდა თავისუფლებისა და სიცოცხლის აღკვეთა თოფების ზალპებით დახვრეტის გზით; ქონების კონფისკაციით, რაც უნდა გამოხატულიყო ტყავის გაძრობაში, რომელიც აქაბ ჯიქურაშვილს გადაეცემოდა საჩუქრად და, დათვის ხორცის ჭამაში. უგზო-უკვლოდ ნაკითხ-ნასწავლი ფიზიკოსი ირწმუნებოდა, რომ განაჩენი საბოლოო იყო და კასაციას, ესე იგი, გასაჩივრებას ზემდგომ ორგანოებში და ინსტანციებში არ ექვემდებარებოდა.

მერმე აქაბი წამოდგა და გამოაცხადა, რომ უადგილობის გამო სასამართლო ვერ გადიოდა ცალკე, მაგრამ იწყებდა ფიქრს განაჩენის გამოსატანადო.

კვლავ ტრიბუნაზე ავიდა ბაიდო ნაკაშიძე და შეკრებილთ შეახსენა, რომ აქაბს შვილი მოუკლა ჯავრიამ, იზაბელას გაცოფებაც მას გადააბრალა; თვითონ ჯიქურაშვილიც მაგან დაახეიბრა და ასე, რომ ჩვენს თავმჯდომარეს ზნეობრივ-მორალურ-პოლიტიკური უფლება აქვს, განაჩენი გამოუტანოს დათვსაო.

კარში ჩამდგარი ვაჩე სიცივისაგან კანკალებდა. ვერაფერს ვეღარ ხედავდა, მხოლოდ რაღაცით შეშფოთებული დათვს უყურებდა.

ამ დროს გრუხუნ-გრიალი მოისმა გარედან და ჯავრია აქეთ-იქით მიაწყდა მთელი ძალ-ღონით.

კლუბ-ეკლესია ერთიანად შეირყა. რამდენიმე ადგილას კედლები დასკდა, მტვერი და თოვლი ჩამოიყარა შიგნით.

დათვი თითქოს შეიშალა, ზმუნებრივად დაიღრიალა, უკანა თათებზე შედგა, დაჭიმა და დაძაგრა ყოველი კვნ-

თი და ამ არეულობაში მხოლოდ აქაბ ჯიქურაშვილმა შენიშნა, თუ როგორ შეაწყდა ნადირს წელზე კლიტით დამაგრებული ჯაჭვი.

დათვი განთავისუფლდა.

შუბურელები ღრიალებდნენ, ყვიროდნენ, ბღაოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ.

სახეზე მგლისფერდადებულმა აქაბმა ხანჯალი იძრო და მხეცისკენ წავიდა.

მელოტ ოპერატორს რაღაც სასწაულით მოეხერხებინა, შტატივიდან მოეხსნა კინოკამერა, მხარზე გაედო და ისე იღებდა სცენას, სადაც ამაღლებული ტრაგედიის ორი მთავარი გმირივით დაძაბული, ფინალური სცენისაგან ნერვებდაწყვეტილი ორი მსახიობი ერთმანეთს უახლოვდებოდა.

აქაბმა გულში უმარჯვა დათვს ხანჯალი, მაგრამ ურსა მაიორმა უკან დახევა მოასწრო და მხოლოდ თათი ჩაუჭრა ბასრმა ფოლადის იარაღმა.

ტკივილმა გააცოფა ჯავრია, მთელი ხმით იღრიალა და რომელიღაც სკამზე უნებლიედ დამჯდარმა ვაჩემ ამ ხმაში ცის ქუხილიც გაიგო და მთების გრგვინვა-გრიალი, თითქოსდა მთელი დედაბუნება განრისხდაო.

დიდმა ძუ დათვმა ტორი დაჰკრა თავმჯდომარეს და დარბაზში, სკამებზე ისროლა მისი ჯერაც მფეთქავი სხეული...

„და დაიძინა აქაბ მამათა თვსა თანა". (3, მფ. 22-40).

ბიჭი გარეთ გამოვარდა და წმინდა მუხასთან მიირბინა. აქედან ჰკიდა თვალი კლუბ-ეკლესიას, რომელიც ერთი მხრიდან მთლიანად დაეფარა თოვლის ზვავს...

შუბურელები თავ-თავიანთ სახლებში გარბოდნენ.

თოვლში აბდია კარატიელი დააბიჯებდა და ყვიროდა: „ხომ მოგეწია, აქაბ, ღვთის რისხვაო! რად არ გაუშვი დათვი, გამოდი ახლა და პასუხი აგე სოფლის წინაშეო!"

ხოლო სახეშეშლილი კუკუბო ვარშანიძე თოვლში დაჩოქილიყო და ხარხარებდა, ხარხარებდა ისტერიულად და გაუთავებლად; ხმა ჩახლეჩოდა, მაინც არ ჩერდებოდა, ხარხარებდა და ხარხარებდა.

უცებ ვაჩეს გაჩქარებული სუნთქვა მოესმა შორიახლოს. მიიხედა და...

წმინდა მუხის ქვეშ თოფმომარჯვებული ბაიდო ნაკაშიძე იდგა, დაძაბული და ათრთოლებული, მუხლებაკანკალებული და თვალებგაფაციცებული ელოდა დათვს.

ეს ისე ჩადარაჯებია, ნამდვილად მოკლავსო, უმალ იაზრა ბიჭმა და ძალაუნებურად წმინდა მუხაზე ჩამობმული თეთრი ზეწრისკენ გაექცა თვალი...

და მოულოდნელად, თითქოს გარემომ ფერები დაკარგაო, ისე განათდა ირგვლივეთი: დათოვლილი, ზეწარშებმული წმინდა მუხა; ზვავში მოყოლილი კლუბ-ეკლესია, საიდანაც ჯერ ოპერატორი გამოვარდა და სხვების კვალდაკვალ თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა; აყვირებული აბდია კარატიელი; მუხლებზე დაჩოქილი, გაუთავებლად მოხარხარე კუკუბო ვარშანიძე; თოფმომარჯვებული ბაიდო ნაკაშიძე; თვითონაც...

...და ვაჩეს სჯერა, რომ დიდი ძუ დათვი არა მარტო მისი დედაა, არამედ ყველა ადამიანის მშობელია, როგორც ეს პაპა ელიამ და კუკუბო ვარშანიძემ თქვეს, რადგან ბუნებას ჰგავს, თავად დედაბუნებაა ჯავრია.

და სამყაროს შემოქმედი, თუ ის მართლაცდა მამაუფალია, დიადი და ყოვლისმომცველი, არ დაუშვებს დათვის მოკვლას, ბაიდო ნაკაშიძეს პირში ჩალას გამოავლებს; კუდში ჩაჭიდებს გარეთ გამოვარდნილ ოქროსფერ დათვს ძლიერ, ძაძარღვულ მარჯვენას, ზემოთ აიტაცებს და იმ ციცხვისებურ თანავარსკვლავედად აქცევს, დალი ბებიაც ხომ ცაში წაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

## ასპინძისაკენ

მე თუ ასპინძაში მინდა,
სხვა ნებართვა რაში გინდა?
გამარჯობა — გაგიმარჯოს! —
ვითომ ქარი გაშლიგინდა...
მოწმობა თუ მოწმეობა
რისთვის, ანდა რაში გინდა?
მოწმე ჩემივ სურვილია, —
მე რო ასპინძაში მინდა!..

გზა მამულში გაწალდული
ვინ ჩალობა,
რამ ჩალობა?
დიდთურქობა ხომ არ არი,
ყივჩალობა...
ყაჩალობა?..
და თუ ჩემი ჯიში მიხმობს,
სხვა მიზეზი რაში მინდა?
სადაც მომეგუნებება,
იქ ვიქნები მახვშივითა!..

რის საბუთი,
რა საბუთი,
სხვა ქალალდი რაში მინდა?
საქართველოს ისტორია
მეგზურივით მხარში მიდგა!
მე თუ ასპინძაში მინდა,
მე თუ იმ ძველ სახლში მინდა.
გამიშვი და შაბაში თქვი,
ვითომ ქარი გაშლიგინდა!..

## მაიკლ ქოლინზს

„...რაც შეეხება ზემძლავრ სახელმწიფოებს, გასულ საღამოს მივხვდი, რომ ასეთი სახელმწიფო სამია: საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები და საქართველო... ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: ოლიმპიურ თამაშებზე სტუმართმოყვარეობაში რომ იყოს შეჯიბრება, საქართველო უეჭველად ოქროს მედალს მოიპოვებდა. დიდი მადლობა“.

**თბილისში ჩატარებული ჩატოკუას ერთკვირიანი კონფერენციის ერთერთი მომხსენებლის, ამერიკელი ასტრონავტის მაიკლ ქოლინზის სიტყვიდან.**

ბედნიერი ვართ,
    ბატონო მაიკლ,
მასპინძლობა რო გვიქეთ,
        ქართული;
გუნდრუკის კმევით,
        მაინცდამაინც
არ გვანებივრებს
        ბედი ნატრული.

ჩვენიც მიიღეთ
        მადლობა ძმური!
სულგრძელობისთვის

გმადლობთ, სწორედა,
რომ არ აღგიძრათ
ღვარძლი და შური
ქართველი კაცის
თავმოწონებამ.

ამგვარი ნატვრაც
ჩავგრჩენია გულს
და მის გათქმასაც
საქვეყნოდ ვბედავთ, —
რომ ჩვენს ოჯახებს
ჩვენმა მდგმურებმაც
თქვენი თვალებით
შეხედონ, ნეტა.

თავის სიახლით,
თავის სიძველით,
პურ-ღვინითა თუ წუხილით,
ვინძლო —
რა გულითაც თქვენ
ქართლი იგრძენით,
მისმა ხიზნებმაც
იმ გულით იგრძნონ!..

## ზარები

როცა თბილის-ქალაქს
ზარი ირეკება,
ყველა სიბოროტე
ფსკერზე ილექება.

ისმის ქაშუეთით,
ისმის ანჩისხატით;
ზარებს ვცნობთ თავიანთ
სიდინჯე-სისხარტით...

აგერ — დიდუბიდან,
აგერ — სიონიდან —
ხმაში ჩაწურული
ნისლის ფიორითა

რეკავენ დიდი და
პატარა ზარები.
და ყველა მათგანი
მხნეა და ზარიფი...

შობა მოდის, ანთუ
მოდის წირვის ჟამი,
სულით გამოსჭვივის
გრძნობის ჭვირნიშანი...

ჰოიდა, ზარებო,
ვით წყარო კისკისა, —
დაღვარეთ ხმა იგი
ბედისა... ცისკრისა...

იმ ხმაში მე მესმის
ერის მაჯისცემა
და უპირველესი
რწმენის დაფიცება!..

ჰოიდა, ზარებო,
კვლავ გახსოვთ თუ არა
ათასი კოჭლი და
ათასი ყრუალა...

ათასი ბუღა და
ათასი მონგოლი...
ქართველის მტრებს რა მოსთვლის,
მოუკვდათ მომგონი!...

ჰოიდა, ზარებო,
ჰოიდა, ზარებო,
დღეს არც თურქობაა
და არც — ხაზარობა...

და მაინც ბევრია
სათქმელ-საწუხარი,
ქართველს რაც გულს უკლავს,
ქართველს რაც უხარის.

ზოგჯერ თუ დაგვილით
ძველი მრისხანება,
რა უშავს, მომავალს,
ველით მზისხალებას!..

მაშ, ხმები, ო, ხმები
მოჰფინეთ გარემოს!
ჰოიდა, ზარებო!..
ჰოიდა, ზარებო!..

## საქართველო თუ არ გიყვარს

საქართველო თუ არ გიყვარს,
მისი მზე და ატმის ქარვა,
უკვდავების წმინდა წყარო
და კუთვნილი ბაღჩის ბარვა...
მისი ისტორიისადმი
თუ არა გაქვს ეგზომ კრძალვა, —
მხოლოდ შენს თავს დააბრალე
სიყვარულში ხელმოცარვა!..

საქართველო თუ არ გიყვარს,
დღეის დღე და მისი ხვალე;
ლაჟო — სარზე დაკუჭული
და ღელუკა მოწკრიალე...
დილაბინდზე მინდვრის ცვარი,
მისი „ლალე“ და „ძაბრალე“, —
სიყვარულში ხელმოცარვა
მხოლოდ შენს თავს დააბრალე!..

## საინგილოსკენ მიმავალ გზაზე

სულო, უნდა გამამხნევო,
კი არ უნდა დაიკივლო, —
უკვე მოჩანს ულვთისხელოდ
მოსროლილი საინგილო.

გულო, უნდა გამამხნევო,
კი არ უნდა დაიგმინო, —
იგრძენ, განა,
კეთილ სურნელს
როგორ გვაფრქვევს საინგილო?!

აქ ჰაერიც წყაროს წყალს ჰგავს —
ლამის ყელი გაიგრილო;
გადახვეე ხელი ძმურად
მონატრებულ საინგილოს.

და შენც, სიტყვავ, ჭირნახულო,
კი არ უნდა გაიკვირვო,
თუ ვერ მიესადაგები
იმ ზნეჩვევას და იმ კილოს,
რაც სხვის ხელში დაეკვება
შენს მშობლიურ საინგილოს.

თან გემოზე შეუკურთხო
და მტერთანაც აიგივო,
ვინც პატარძლის შაბაშივით
გაიმეტა საინგილო...

შთაგონებავ, არ ჩამიქრე,
აგერ ეზოც...
აი — გრილოც...
მადლი სტუმარ-მასპინძლობის,
კვლავაც მოდის საინგილოს!

## მორჩილების სიმღერა

ო, გაჩუმდი, გაჩუმდი,
არაფერი არა თქვა,
გაზაფხული თვითონ წერს
სიყვარულის პოემას;
გოგონი-გოგო მოარხევს
რითმებიან კალათას,
უკეთესი მსახური
ღმერთსაც არ ეპოვება!..

ო, გაჩუმდი, გაჩუმდი,
და ნუ იტყვი ნურაფერს,
რადგან შენი სათქმელი
უკვე თქმულა მრავალგზის;
დაიხარე მიწისკენ,
ბალახს მიაყურადე
და უსიტყვოდ უარჰყავ
შიშის განცდა ლამაზი, —

რომ სიცოცხლე ბრძოლაა,
სადაც უნდა დამარცხდე
და გაშორდე ყველაფერს,
რაც დღეს გიტკბობს გულს და თვალს;

მაგრამ ახლა, ამ დარში
ფიქრი არ ღირს ამაზე,
შენი კვალი შენ გელის
და გატანა უნდა კვალს.

როცა წყარო წკარუნებს,
ყვავილები ფშვინავენ,
როცა მწყემსის ვარსკვლავიც
მიწის ძახილს მოელტვის,
როცა სულში გიძვრება
სიო მონანინავე.

ვისთვის რა საჭიროა
ლაილაი პოეტის?!.
მაშ, გაჩუმდი, გაჩუმდი,
არაფერიც არა თქვა,
გაზაფხული თვითონ წერს
უკვდავების პოემას;
გოგნი-გოგო მოარხევს
რითმებიან კალათას,
უკეთესი მსახური
ღმერთსაც არ ეპოვება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

## სიზმრების გზებზე

თავი შენს ღვთიურ მუხლებზე მიდევს
და სადღაც შორს, შორს მივემგზავრები,
მიცურავს ნისლის ქათქათა რიდე
და წკრიალებენ ცად ვარსკვლავები.

ო, ცოტაც კიდევ,
ო, ცოტაც კიდევ
და მარადისად ბედს მივნებდები
და უსასრულოდ იდენს და იდენს
შენი ცრემლები ბავშვურ ვედრებით.

რაც დამიკარგავს, ამაოდ ვეძებ,
ცა გადმომცქერის შენი იერით
და მივირწევი სიზმრების გზებზე
მხრებგაწუწული და ბედნიერი.

## ჭეშმარიტად!..

ცხოვრობს კაცი და შხამს ვასმევთ,
ვაძაგებთ და ვიგინებით,
მოკვდება და... უმალ, წამსვე
დავამშვენებთ გვირგვინებით.

დავკრძალავთ და სუფრად რიხით
ვაქებთ, დიდი ამბავია;
მორჩით ლაყაფს, ბედი მისი
უკვე ჩვენ არ გვაბარია.

რაიც დარჩა, ძლომით სრულით
ჭამეთ, შესვით, სწრაფად, ციმციმ,
ხორცი მიწას, მაგრამ სულის
ჭეშმარიტად ღმერთმა იცის!..

## იუდას კოცნა

დადიხარ, დარბი, არა გაქვს მოცლა,
გიცქერს აბელი რა დამშვიდებით!..
და შუბლს გიმშვენებს იუდას კოცნა,
სხვებს კი ჰგონიათ შუქი დიდების.

კვლავაც ცრემლებად იქცა პილატე
და სისხლით იბანს ის ხელებს ბებერს,—
უკეთეს სურათს ვინღა ინატრებს?!.
და სისხლისფერად მეც გადამღებეს.

სადღაც განცხრომით უკრავენ მოცარტს,
მაგრამ სად არის მისი სინაზე?!.
ერთხელ შენც გერგო იუდას კოცნა,
განებივრებულს, ბედის ჯინაზე.

ბევრჯერ გამწუწა მეც ჩემივ ცრემლმა
და მივუყვები ბედის დამრეცებს,
ვგლოვობ გარდასულს, ვით გაოცებას
და რაც დავკარგე, იმას დავეძებ.

მუდამ მარტო ვარ, გიგონებ როცა,
უკანასკნელად მეც დავახანე

და წამსვე მერგო იუდას კოცნა,
ბრბო უზრუნველი კი კვლავ ხარხარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქროვან ეტლით

ლერი ალიმონაკი

ამ წუთისოფლის ვწყევლი სიმკაცრეს,
ბინდით მოსილი მივდივარ მინდად,
ოქროვან ეტლით ის გაიტაცეს
იქ, სადაც ფრთები ჰკრთის ქერუბინთა.

და ვარდებივით ვითვლი იარებს
და ყელს მეფსკვნება მარყუჟი ბაწრის,
გულისპირიდან სისხლი თქრიალებს
და სისხლისფერად მათოვს და მაწვიმს.

სამარადისოდ დავიგვიანე,
შემოღამების ჟამი დგას მკაცრი,
უკანასკნელად კვლავ გაზიარე
ჩამოფლეთილი ამ გულის ნაწილს.

თვალებდათხრილი ტყუპი ძმებივით
ბედის სიმუხთლე ჩვენც განვიცადეთ
და წუხილისგან გამოძერწილი
ისევ თავს გიხრი კრძალვით მიწამდე.

რო აჩქარდები,
იქ უფსკრულია,
იქ უფსკრულია,
აქ კი — მეწყერი.
ანგელოზები ფერხულს უვლიან
იქ, სადაც ცრემლად მეც დავეცემი.

## სამაგიეროდ

მე მიყვარს შენი ცა შორი, უხვი
და მიწიერი შენი სინაზე,
ო, მაგრამ მითხარ, სად არს პასუხი
ათიათასზე ამ ჩემს კითხვაზე?!.

ჩემს ამდენ მწარე უბედობაზე,
ღმერთო, პასუხად ნეტავ რა გეთქმის?!.
რაც სიკეთე ვქენ და ქვაზე დავდე,
სამაგიერო, ვაი, არც ერთი!..

მივმართავ ღმერთებს, —
ღმერთები დუმან.
ზეცას მივმართავ, —
იქაც დუმილი...
და ამ მიწაზე მე ვგავარ სტუმარს
აუხდენელი ათას სურვილით.

და უცბად თვალი ვკიდე და მესმა, —
ჰექა-ქუხილი-ელვა შორეთით, —
სადაც სიკეთის მარცვალი ვთესე,
ცეცხლი მოვიმკე ყველგან,
ყოველთვის.

## ...და საქართველო აყრიდა ვარდებს

ნება რომ მომცა,
იქ,
მთაწმინდიდან
რომ გამომეხმო აქ ლანდი ერთი,
მე ავირჩევდი ღვთიურს და წმინდას
ლანდს აკაკისას პროფილით ღმერთის.

და იმერელის კრძალვით და ეშხით,
თვალებში ცრემლით და მზის ტალებით,

გავებმებოდი მე მგოსნის ეტლში
და საქართველოს მოვატარებდი.

მოვატარებდი,
ეს როგორც ადრე,
ღმერთივით თეთრს და ღმერთივით
მბრწყინავს,

და საქართველო აყრიდა ვარდებს,
აყრიდა ვარდებს,
ეს როგორც წინათ.

მაგრამ, ვაი, რომ ლანდი არა ჩანს,
შენ კი, ბეჩავო, ისევ ვის ელი?!.
და საფეთქელთან მიმაქვს დამბაჩა
ვაჟა-ფშაველას მკაცრი ღირსებით.

## პასუხად

*ნოდარ დუმბაძის ხსოვნას*

ვერ დავიჯერებ, შენ სიძულვილმა
ან სიყვარულმა დაგაკლოს რამე,
ასტრონომების ნიღილისტური
განა ღიმილი გზას უცვლის მთვარეს?!.

და ეს ჭორებიც ეჭვს ნუ დაჰბადებს
და მითქმა-მოთქმის ნუღარ გაქვს
დარდი,
სინოპტიკოსნი ლაყბობენ რამდენს,
მაგრამ მზე მისთვის ამოდის, ჩადის.

## რეაბილიტაცია

რეაბილიტაცია დაცემულთა,
რეაბილიტაცია მკვდართა,
ვისაც უთქვამს და როგორაც უთქვამს,—
რა დიდებული სიტყვაა მართლაც!..

რა დიდებული განცდაა მართლაც,
მოგკლან და ისევ წამოდგე მკვდრეთით,
შიშველი ძვლები რა უცბად გათბა,
ხორცზე კი? ხორცზე, აბა, რა
გვეთქმის?!.

აბა, რა გვეთქმის წასულ პოეტზე,
წასულ შვილზე და წასულ მამაზე?!.
უნდა მოეშვა მიეთ-მოეთებს,
ლეგენდებს, მითებს, ზღაპრებს,
ანდაზებს.

ნუ იკბინები, როგორც კრაზანა,
დე, მოკვდი მშვიდად, როგორც
ფუტკარი,
მოირგე აზრის ძველი მაზარა,
თაობას ასჯერ თქმული უთხარი.

არცა სიახლე,
არცა სიცხადე,
პირდაპირობა ტყვიაა, გწამდეს,
კმარა, ძვირფასო, რაც განვიცადეთ,
დიდება ღვინოს, ბიფშტექსს და
მწვადებს!..

საჯარისობა, დემოკრატია —
განა ერთხელ და ორხელ თქმულია?!.
უკვე აღსრულდა, რაც გვინატრია,
გამარჯვებულნი ფერხულს უვლიან.

ისევ დიდება ბერბიჭაშვილებს,
იქეთ — პუშკინი, აქეთ — დანტესი!..
გროშიც არა ღირს და რად გაშინებთ
აკაკის ბოლოამონაკვნესი?!.

აბა, რა გვეთქმის სულზე ტანჯულზე,
როცა სანთლები ჩაფერფლილია
და წიწამურთან ისევ ასრულებს
სისხლიან სოლოს დიდი ილია.

ჯერ უნდა გვაცვან ჯვარზე ბედობად,
შემდეგ შენდობა ცოცხალთა, მკვდართა,
მართალს და მრუდეს, — ყველას
შენდობა!—
რა დიდებული განცდაა მართლაც!..

რა დიდებული წყალობა მართლაც! —
მოგკლან და ისევ წამოდგე მკვდრეთით,
შიშველი ძვლები რა უცბად გათბა,
ქარმა რა უცბად გახვეტა ფერფლი!..

ეს სულ ერთია, წმინდანს, სისხლიანს
ღმერთი სუყველას წყალობს, ენდობა,
რამდენი სისხლი მიგაქვს ნისიად
და შემდეგ გვიძლვნი, ძმაო, შენდობას.

შენდობა ყველას — მამაცს და ლაჩარს,
მრუდეს და მართალს, მართალს და
მრუდეს,

ვინც უსახელოდ საფლავში ჩაღნა
და ვისაც თავი ვარდებში უდევს.

და ვისაც თავი ბალზამში უდევს
და გვაზიარა ცას და სიმართლეს.
ისევ სისხლისფრად ჰყვავილობს ბუდე
და ფრთებს დაძენძილს ძლივსღა
მივათრევთ.

ღრუბელმა კვლავ ცას გადმოუარა
და ღრუბელს დედის აჩრდილიც ახლავს,
ვით მაწოვარას და მატყუარას,
რევოლუციას დიდება ახალს!..

აკრიფეთ ახლა სისხლის წვეთები
და ფურცელ-ფურცელ შეკინძეთ
წყნარად, —
და პოეტური სულისკვეთებით
ცხოვრება ისევ თავის გზით წავა.

ვენო კალანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სონეტები სიყვარულზე

## სონეტი I

სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი.

გალაკტიონი

— ჩვენთან არს ღმერთი! — ანათებენ სანთლები ედემს,
— ჩვენთან არს იგი! — ვიმეორებ თვალებზე ცრემლით,
ვით საიდუმლო, ღვთაებრივი საუნჯის მცველი,
ვლოცულობ შენზე, ღვთისმშობელზე, პოეტის ბედზე.

ოცნებას, სიზმარს — გაზაფხულის მეწამულ გვირგვინს,
სიყრმიდან ვეტრფი მზენასვამი სხეულით, სისხლით,
ვით ვარდის შტოზე ალაგ-ალაგ დამდნარი სხივი,
მუხლებზე გიდევს სიყვარულის ცისფერი წიგნი.

თვალებში — დილა, თმებში კიდევ — შროშანი მინდვრის,
ბაგე — მაშრიყით მიქცეული მაისის შინდი,
მზესთან — ნაწნავით გადაბმულო, ცასთან — წამწამით.

— ჩვენთან არს ღმერთი! — შრიალებენ ბაგენი შენი,
— ჩვენთან არს იგი! — ვიმეორებ მორწმუნის ენით,
სიშორის შენის სიახლოვის თმენით დამწვარი!

## სონეტი II

გიგზავნი წერილს, საგალობელს ოცნებით სავსეს,
შიგ ჩემი გულის მეწამული მზეები ფეთქავს,
გიგზავნი წერილს გაზაფხულის ყვავილთან ერთად,
საათის სამზე მოგადგება ამაღამ კარზე.

აანთე შუქი... გადაავლე სტრიქონებს თვალი,
გონების კარნახს, მოკრძალებას უკეთუ სძლიე,

ო, მაშინ იგრძნობ და მიხვდები მიყვარხარ ძლიერ,
რომ მთელ ქალაქში შენ ხარ ჩემთვის პირველი ქალი.

გაიგებ რატომ დავამთავრე სიცოცხლე ბრძოლით,
რატომ აღმოვჩნდი მარტოდმარტო ცოდვილთა შორის,
ან კიდევ საით მეწეოდა ჯიუტად ბედი.

უსიტყვოდ, უხმოდ ყველაფერი გახდება ცხადი,
რომ უცოდველი და მართალი ვიყავი ცამდის,
რომ ამ სონეტებს ჩემი სისხლით ნაჟურით ვწერდი.

## სონეტი III

სონეტი — სუნთქვა, სიყვარული უკანასკნელი,
ოქროს მარყუჟი, ბორკილების ხელზე დადება,
სიცხე, წითელა ბატონები, ძვლების ანთება,
მელანქოლია, რომაული ბაღის სურნელი.

ოსტატის ხელით გამოთლილი კოშკი სმარაგდის,
თეთრად დასიცხულ დედოფალთა ლურჯი მარაო,
თოვლის, ზამბახის ელვარება, გედის სანაო,
მოვის უბეში შენახული ცრემლის ბარათი.

ომში, დუელში მიმავალის — სისხლი ფიცხელი,
მწირის სენაკი, კვირის ლოცვა ვარსკვლავთმრიცხველის,
სასჯელის ძელი — ხორცთან გაყრა სიკვდილმისჯილის.

სონეტი — ვარდის ნაფერთალი, თაფლი ველური,
მზეში, მთვარეში, ირმის რძეში ამოვლებული,
კიტსის საფლავზე ამოსული პურის ჯეჯილი.

## სონეტი IV

მშვიდობით, პიკის ქალბატონო, — სულო მაცდურო,
სექტემბრის მზეო, ბროწეულო ჩემი ტროფების,
ვით თეთრი პრინცის ვარდისფერი ფორტეპიანო,
აწ გარდასული მოგონებით მათრობს საწუთრო.

მკვდარია გული შემოდგომის წყნარი ამინდით,
ქალაქის შხამით, საწამლავით მიდის ცხოვრება,
წასულხარ ჩუმად... წაგილია ჩემი ოცნება,
ვით სასთუმალზე დადებული თვალმარგალიტი.

წასულხარ თოვლის, აბრეშუმის ფრთების კანკალით,
პირველი კარით გაგიცია სათიბ-სამკალი, —
თავთუხის ყანა სანახევროდ გაულეწავი,

მკვდარია გული უცნაური ცხადით, ღალატით,
ვით ღამის მეხით დალეწილი მინდვრის ლერწამი,
მშვიდობით, პიკის ქალბატონო, დია, ნახვამდის!

## სონეტი V

ლანას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის პატარძალს — განათებულს უმანკო სხივით,
მთელი საღამო შესციცინებს ყმაწვილი პოეტ,
ლურჯი ალპანით ქარზე მალი მოფრინავს რაში
ვერცხლის უზანგით, უნაგირით, გიშერის მძივით.

სანეფო სუფრას მისხდომია ხუთასი ძმადი,
შელამებულზე ნიკორწმინდით ელიან მაცნეს,
ირმის ტყავები გამოფინეს საჩინოდ ცალკე,
ხაზარებივით შამფურებზე ააცვეს მწვადი.

თამადას უცდის აზარფეშა, ქინქილა, თასი,
შადრევანივით მზის ნაშხეფი წითელი კასრის;
პატარძალს კოცნა, ყვავილები, სენაკის კარი.

ქართული წესით ადიდებენ პირველად მამულს,
მეორედ ისევ საქართველოს მომავალს, წარსულს,
მესამეს თავად გააგრძელებს ერთგული ქმარი.

## სონეტი VI

თქვენ ეს სონეტიც, ალბათ, ისე გემახსოვრებათ,
ვით წყნეთის ირემს შარშანდელი ხმელი ბალახი,
დარღვეული ვარ საკუთარი გულის კარნახით,
ერთფეროვანი სიზმარ-ცხადით მახრჩობს ცხოვრება.

უფსკრულს ჩაჰყურებს მარტის ია — ცრემლისოდენა, —
გაზაფხულის და სიყვარულის უტყვი ზვარაკი,
ვით მხატვრის ხელით მოხატული ბროლის ლარნაკი,
დგას ბეთანია — თვალუდგამი უფლის ქონება.

ლურჯად ხასხასებს ხოდაბუნი — რქებით ნაჩხვერი
და ჯეჯილ-კორდით ბრწყინავს კრავი — წვეთი ჩანჩქერის,
ჩემი მარტვილი, დალალული სულის სალბუნად.

სერზე შედგება სალამურით ყრმა პირტიტველა,
ძველთა ღამეთა, ახალ მზეთა ნათელმხილველად,
ქამთა[illegible] გეტყვის მშობლის სამდურავს.

## სონეტი VII

გულში ჩამკეტე, ტყვე ვიქნები შენი მარადჟამს.
უ. შექსპირი.

მე, ჩვენი შმაგი სიყვარულის მონას და რაინდს,
მთელი წელია ჭრილობაზე მალამოდ მადევს
ფერმკრთალი ხელი... და თაფლობის ღვთაებრივ ვარდებს,
ცხადში, სიზმარში ვხედავ, როგორც ვისის და რამინს.

გულმინდობილი ტრფიალების უცნაურ მორევს,
ვთვრები ნელინელ უცნაური ზეობის ჰანგით,
ვით სოფლის პიტს ხელუკუღმა მიჰირავს ჩანგი,
ლამანჩელივით ვებრძვი შავი სადაფის ქორებს.

მწვანე სამოთხეს, ცისფერ ზღაპრებს ვიგონებ განვებ,
სიამის სხივით გადაბინდულ მეწამულ ბაგეს
სალამურივით აღმოხდება ლოცვისმაგვარი

სიტყვები — ნაზი, სიფრიფანა, ალისფრად მწველი,
და ჩემს მკლავებში მოქცეული ქალწული წელი
ნელი ჭრიალით გადატყდება, როგორც ყავარი.

## სონეტი VIII

მიბოძე, როგორც ვაზის ჯვარი, როგორც ლოცვანი,
მიბოძე, როგორც ხელთათმანი — თეთრი, ქათქათა,
მიბოძე, მარად იდუმალი კიტსი, პეტრარკა,
მიბოძე, როგორც ქრიზანთემა, ტოტი მოცხარის.

მიბოძე, როგორც სიყვარული, სხივი გვიანი,
ამივსე პეშვი, თვალის ჭრილი მათი ლაჟვარდით,
მიბოძე, როგორც დილის სუნთქვა, ცხენის ნავარდი,
მდინარის ვერცხლი, მზის ქვირითი, ფარფლი ნიავის.

მიბოძე, როგორც ვიოლინოს სიმი დამდნარი,
მიბოძე, როგორც მეფისწულის ლურჯი ზღაპარი, —
სამოთხის ჩიტი — პოეზია თავისუფალი.

მიბოძე, როგორც ბედისწერა, ჯვარცმა, წამება,
მიბოძე, როგორც ცის კურთხევა, ღვთის მოწყალება,
ქართული სიტყვის ჯავაირჩი, ჭირისუფალი.

## სონეტი IX

ანა დედოფალი — ბესიკს

„ტანო ტატანო!“ — მესიზმრება შენთა ბაგეთა
ვნებით ნათქვამი, გულთან გულით ნაამბორალი,
შემომეხვია წელზე, როგორც ვერცხლის ოლარი
სევდა, ვილაცა მითვალთვალებს ტაძრის კარებთან.

უბეში მიდევს ქერუბიმის ფრთებით გაფსკვნილი
უცხო შორეთით მოფრენილი ტრფობის უსტარი,
ზედ დაგიხატავს შემოდგომის ცა უტევანი,
სარკმლის ქარგაზე ამოსული ტოტი ასკილის.

შემოაქვს მხევალს მწუხრის წიგნი, კვირის დივანი,
გარეთ ხმაურობს ენკენისთვე, წყალი მდინარის,
ცივია გული, — სიყვარულის ვარდი მარტვილი.

თქვი, სად გეძებო, რომელ მხარეს, რომელ ვარსკვლავზე?
როგორ შევახო ხელი მგოსნის ღვთიურ საკრავებს,
ცრემლში, ხსოვნაში გარდასულო წმინდა ხატივით

## სონეტი X

ბესიკი — ანა დედოფალს ავტორის ეპილოგით

მადლობელი ვარ განაჩენის, ყველა სასჯელის,
თქვენს წამწამებზე დაკიდული ცრემლის წამების,
მხრებზე ხარიხად გადებული თეთრი მკლავების,
შუა მეჯლისში მხევალივით მდგარი ლაზელის.

დარბაზის ლხინი... მასკარადი... მწუხრის დღეები,
მაქვს სამუდამოდ უცხოეთში გამოგლოვილი,
ვით კარდინალის ოქროსფერი ჯაჭვის ბორკილი,
გულზე დამადეთ, დედოფალო, თქვენი ხელები.

სჯულით, გალობით მომიგონებს კარი სასახლის,
თუ სადმე ახლოს დერვიშივით მერგო სამარხი,
ასეთი არის, ალბათ, ბედი ქართლის დესპანის!

. . . . . .

უცხო კორტეჟი, უცხო თემი დგას აკლდამასთან,
ჩუმად დაჰყურებს სამარეში კუბოს ჩამავალს,
ამგვარ აღსასრულს ინატრებდა, ალბათ, ვერჰარნი.

## სონეტი XI

ბესიკი მოკვდა... ანაც გაქრა... ოქროს სასახლეს
მზე ადგას ცხელი, ყავისფერი, ვარდით სნეული,
და როგორც ვაჟი გოლეულით გადარეული,
ველარ გაშორებ თვალებს — ჩემი ხელით დასათხრელს.

მაფიქრებს ღამე — მკერდდაჭრილი წვიმით ავსება,
ჭადრის გაცრეცილ ფურცელს მიგავს ფილტვი მტკივანი,
ვით ძველ როიალს ბანოვანის ძუძუ-მტევანი,
ღვთიური ჰანგი მზეს უკიდებს მყუდრო[illegible]ნს.

წელზე სიმივით გადატყდება ნაზი ტუია,
ო, ეს ტუია, ეს გოგო მთლად სასწაულია
სამოთხის ვაშლი, ფორთოხალი მოაქვს ლამბაქით.

თეთრი მხევლებით გამოყვება ცაცხვის ხეივანს,
სანთლებს აუნთებს საყდარს შინა სოფლის ხეიბარს,
ფიქვის კვარებით განათდება მთელი ყაბახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო შატბერაშვილი

# გზა გვირაბითა შემოვა...

ადრეც ასე იყო. ახლაც და ალბათ მომავალშიც მუდამ შეუგუბდება სუნთქვა, როცა მაყაშვილის შეკიდებული აღმართის ბოლოს მიაღწევს და მარჯვნივ გოგებაშვილზე გაუხვევს. რამდენჯერ სცადა დაეწერა პაპისეული სახლის შესახებ, რომელიც მოთხრობაში. ეტყობა სიყრმიდან გამოყოლილი სენტიმენტების გამო, უფრო ქაჯების მიერ დასაკუთრებულ ციხე-დარბაზს ემსგავსებოდა, ვიდრე საუკუნეთა გასაყარის თბილისის ლამის ჩვეულებრივ, ალაგ-ალაგ აგურგამოვარდნილ ერთსართულიან კოხტა შენობას. მოთხრობაში მუხის მძიმე კარზე ამოტვიფრული საგვარეულო ღერბიც აღწერა. არადა, ისიც კი არ იცოდა, ჰქონდათ თუ არა ღერბი მის წინაპრებს, თუმცა ლიახვის ხეობაში მაინც ეგულებოდა მამაპაპისეული პატარა ციხის ნანგრევი. ვატოს ჰერალდიკისა ბევრი არა გაეგებოდა რა, და თავადვე ხვდებოდა, რომ ვერაფერი შვილი ღერბი შეადგინა. რატომღაც უფრო კარგად გამოუვიდა ის ადგილი, სადაც თავის ფანჯრებს შემომზირალ სახლს აღწერდა: მასიური თეთრი გრანიტის ნათალი ლოდებით ნაგებ არცთუ ისე დიდ შენობას თეთრივე ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომლის მიღმაც კარგა მოზრდილი ეზო უნდა ყოფილიყო, — ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა, რადგან მის იქით კაცი ვერავითარ ქალაქურ პეიზაჟს ვერ დაინახავდა, იმ ოთხსართულიან ნაგებობასაც კი, რომელიც გოგებაშვილის პარალელურ, საგრძნობლად ქვემოთ გამავალ ქუჩაზე იდგა. ალბათ ეს ეპიზოდი იმიტომაც გამოსდიოდა, რომ ამ სახლის ფასადს მიღმა ბევრი არაფერი აინტერესებდა, გარდა იმ კოლინზისებური ამბისა, რომელსაც სტუდენტობისას თავადვე თხზავდა და მხიარული სალამოდან წამოსული, ღვინით გრძნობაწამოშლილი, იდუმალ ხმაზე უამბობდა ქალიშვილებს — ამ შენობის კარ-ფანჯარა გაღებული ჯერ არ დამინახავს და მისი პატრონი ორი შინაბერა და დღესაც გლოვობს შეყვარებულს, ოცდაოთხ წელს მათი ეზოს ჭაში რომ დაიხრჩო თავიო.

ვატო თავისიანთ კარს მისდგომოდა, — შავსა და მასიურს, ზეციურ თაღის სიმსუბუქისაგან გაოგნებული ატლანტის გიგანტურ ფიგურასავით უხერხულად რომ ჩაჭედილიყო ერთსართულიანი კოკროჭინა სახლის კედელში. ადრე არასოდეს სცემია თვალში ეს დისპროპორცია. ეტყობა შემკვეთს მეორე სართულის — ატლანტისათვის შესაფერი თაღის — დაშენებაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

კარზე სხვადასხვა ფორმის ჩუქურთმები ამოეკვეთათ. მათ მოხაზულობასა და სიდიდეში სხვაობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ დაკვირვებული თვალი ვერც შეამჩნევდა. ცენტრში ყველაზე პატარა იყო — კვერცხისებური; მის ზემოთ და ქვევით კი ჩუქურთმები

თანდათან იზრდებოდა და შეუმჩნევლად გადადიოდა მტევნისმაგვარ, გლუვ ფორმებში.

ვატომ ქვემოთა ჩუქურთმას შეახო ხელი — ჟამთასვლას მისგან ლაკი ჩამოერეცხა, გაეხორკლიანებინა. რა სიამოვნებით შეაღებდა ახლა ამ კარს! — პატარა ვატოს თანხლებით საღამოს სეირნობიდან დაბრუნებული პაპა გიორგიც ხომ სწორედ ამ ჩუქურთმას აწვებოდა ხოლმე... კარი ჭრიალით იღებოდა და იხურებოდა. ისინი სადარბაზოში შედიოდნენ და ვატო ფეხქვეშ აგუგუნებული იატაკის ხმით გრძნობდა, რა ცივსა და ვეება სიცარიელეში შეაბიჯა; ეს სიცარიელე და წყვდიადი ნესტიანი საცეცებით ეკვროდა მის თვალებს, სახეს, მთელ სხეულს, და ბიჭს მხოლოდ პაპის დიდი, ბებრულად გამხმარი მძიმე ხელი და ნაბიჯების ხმა აკავშირებდა სამყაროსთან. ნათურა გადამწვარი რომ არ ყოფილიყო, მარმარილოს კიბეებსა და მარმარილოთივე მოპირკეთებულ კედლებს დაინახავდა; მაგრამ ნათურა უმეტესად გადამწვარი იყო ხოლმე და ბიჭს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სიზმარში იყო და დაუსრულებლად გრძელ კიბეს მიუყვებოდა. ბოლოს მარმარილოსავე ბაქანზე შედგებოდნენ; პაპა ხელის ფათურით მოსძებნიდა სახელურს და კვლავ ჭრიალით იღებოდა კარი — ძველ, ვარდისფერ-მომწვანო, ყურძნის მტევნებით მოხატულ შპალიერით გაწყობილი, ძველებურივე ავეჯით ამოვსებული ოთახის მრუმე სინათლეში ორი სილუეტი გამოიკვეთებოდა: მაღალი, ძარღვიანი, ცალულში დაბეჩრეკებული ჯიშიანი ულაყივით თავდახრილი ბერიკაცისა და პატარა ბიჭისა, წელამდე რომ ძლივს სწვდებოდა; ორივე გამოღებულ კართან დგას, უფრო სწორად, კარის ძირში — არანაკლებ მასიურისა, ვიდრე სადარბაზოს კარია, და ოთახის მოპირდაპირე კედელზე დაკიდული ცხენოსნის ფოტოსურათის ქვეშ, სავარძელში, წიგნის კითხვით გართულ მოხუც ქალს შესცქერის...

— ვინ გნებამს?

ვატო შეკრთა. ზევით აიხედა. ბელეტაჟის განათებულ ფანჯარაში მსუქანი ქალი გადმოწოლილიყო, ეს რაფა სამუალო ტანის კაცს, ალბათ, მუხლამდე მოსწვდებოდა, და ამიტომაც იყო, რომ უკვე ხუთი-ექვსი წლისა, ბიჭი თავისუფლად იყურებოდა გარეთ. გამვლელ-გამომვლელნი მთელი დღის მანძილზე ხედავდნენ უზარმაზარი ფანჯრის ღიობში თავგამოყოფილ ვატულის, ესალმებოდნენ, ორიოდ სიტყვას ეტყოდნენ, პაპისა და დიდედის ჯანმრთელობის ამბავს ჰკითხავდნენ; დროდადრო რომელიმე კანფეტს ან სხვა რამ ტკბილეულს ამოაწვდიდნენ და ისიც, ვიდრე მოხუცები შინ არ იყვნენ, იდგა ასე და ქალაქს გასცქეროდა.

...ახლა კი ამ რაფაზე ვიღაც ქალი გადმოყუდებულიყო — დიდი მუცელი ფანჯრის გადმოლმა, ლავგარდანზე დამაგრებულ თუნუქის ფირფიტაზე დაედო, ყვითლად შეღებილი თმა და ჩამოკიდებული ღაბაბი ჰქონდა, ოქროს დიდი მრგვალი სამშვენისებით ყურები დამძიმებოდა, ქათმისებურ სახეს აქეთ-იქით ატრიალებდა და მტუქსველი მზერით დასჩერებოდა.

— თქვენ გეუბნები, ვინ გნებამს? — გაიმეორა ქალმა. ყრუდ ამოთქვამდა ბგერებს, ისე, თითქოს ქონში ჩამალულ ყანყრატოში წარმოქმნილნი, ძლივსღა აღწევდნენ მუქწითლად დაღებილ ტუჩებს.

— არა... ისე... კარზე ამოჭრილ ჩუქურთმას ვათვალიერებდი...

— თქვენ სახლში ათვალიერე. არაფერია აქ სათვალთვალო, გენაცვალე!

ვატომ ბოდიში მოიხადა და კარს გაშორდა. მაყაშვილის გზაჯვარედინს რომ მიაღწია, შედგა. ქარი ამოვარდნილიყო. ლაბადის საყელო აიწია, მოიბუზა; შემოდგომის ღამის სუსხს ვერც წყალგაუმტარი ნაჭერი ელობებოდა. შემოტრიალდა და სახლს გახედა. მათეული ფანჯარა დაეკეტათ... მაინც, რა ნაცნო-

ბი ხმა ჰქონდა... და უცებ მეხსიერების რომელიღაც კუნჭულიდან ამოუტივტივდა მასზე სამი-ოთხი წლით უმცროსი პატარა გოგო, ყოველდღე, დილაბნელში ქალაქის გარეუბნის რომელიღაც სახინკლეში რომ მიჰყვებოდა თავის პაპას. ჯერ იქვე, შორიახლოს მდებარე სკოლაში გადაირბენდა, მერე კი მთელი დღე პავილიონში ტრიალებდა — ლუდის ცარიელ კათხებს და საჭმლის ნამუსრევს სამრეცხაოსკენ მიარბენინებდა. შინ, ძალიან გვიან ბრუნდებოდნენ; ბიჭიც იშვიათად თუ შეჩეხვია ხაკისფერ კიტელში გამოწყობილ ჭმუხ მოხუცსა და დალაქავებულ მოსწავლისფორმიან გოგოს. ამ შეხვედრებიდან მხოლოდ ერთი ახსოვს: თვითონ სადარბაზოს ნახევრადჩაბნელებულ ბაქანზე დგას და მუქმწვანედ ჩაქუფრულ სამზარეულოსკენ იცქირება; ბაქანსა და სამზარეულოს ვიწრო, გრძელი კორიდორი აერთებს, რომელშიც დროდადრო ქალები მიდი-მოდიან. კორიდორში რამდენიმე კარი გამოდის, სწორედ ამ კარებში უჩინარდებიან მეზობლები: ეს პაპისეული სახლია, ახლა კომუნალურ ბინად რომ უქცევიათ... ისმის სადარბაზოს კარის საკეტის ტკაცანი, იღება კარი, უხმოდ შემოსრიალდებიან მეხინკლე და მისი შვილიშვილი და ფეხაკრეფით მოუყვებიან კიბეებს. ვატოს აერეოლებს, კედელთან იწურება და მისასალმებლად ემზადება. ისინი კი ზედაც არ უყურებენ, თავდახრილები გადასერავენ ბაქანს და დერეფნის პირველსავე კარის უკან უჩინარდებიან. იქ ადრე კაბინეტი იყო... ის კი გაშტერებული დგას და მათ მიერ დატოვებულ ამჟავებულ საჭმლის სუნს იყნოსავს. მერე ამ გოოგნებასა და სუნს კაცის ყრუ, ბებრული ხმა გამოეყოფა: „...ამათნაირებიც ბევრი მყავნდა — ერთხელ, ოცდაოთხში, ბოჭკაში რომ ჩავსვით, თავი დავახურეთ... ხოდა დავაწექით... აი... ქვას რო დაადებ მწნილსა... დავაჭედეთ... შორს წაველით... მე და ძიაძია ყორა... ვენოკიანი ვინტოვკა მქონდა... ვენოკი ხო იცი... ტაკოი... აი, შორიდან შიგ კარგა რო მოჩანს... ...ჯერ მე ვიხედებოდი ვენოკში — ბახ!.. მერე ყორა... ძიაძია ყორუ ზნაეშ? ...— ბახ!... დიდი ბოჭკა იყო, ლამის ჩვენი უბორნიის ხელა... ნიძლავი გვქონდა... მე მავიგე... ვენოკში ვხედამდი, როგორ სდიოდა სისხლი ბოჭკასა... „როგ მოდ..." როგორ გამოცვლილა... დაბერებულა... ხმაც სულ პაპისა გახდომია... ეტყობა ის ოთხნიც მაგათ შეერთეს... „არ უნდა მომეხადა ბოდიში", გაიფიქრა. ლამფში გამოკიდებული პატარა ნათურა თავზე დამხობილ დაბალ ცილინდრზე რომ ჩამოკონწიალებულიყო, ალმაცერ სხივებს აფრქვევდა შუაში — სწორედ ნათურის ქვეშ — ჩახნექილ, დაფერდებულ, ორი ქუჩის გადაკვეთით წარმოქმნილ კოკროჭინა მოკირწყლულ მოედანს. მოედნის კიდეებთან ქვაფენილის ბორდიურის გასწვრივ, ჩამოცვენილი ფოთლები მიეხვეტათ; ვატომ გროვში შეაბიჯა და აშრიალა. სასიამოვნო ქრუანტელმა დაუარა და თითქოს ყურში ჩაესმათ: „მომინდა დალრჩომა ფოთლების სევდისგან". დღესაც არ იცის, დიდი ხნის წინ, ნოემბრის ასეთსავე ქარიან საღამოს მართლა წარმოთქვა ის სიტყვები პაპა გიორგიმ, თუ მერე, სტუდენტობისას, ვატომ თვითონვე მოიგონა და ჩაწერა თავის უმწიფარ ლექსში. ამ მოგონებას ის საღამოც გამოჰყვა და თვალწინ წარმოუდგა: მტკვრის სანაპიროზე, სიონის ტაძრიდან გამოსულები მდინარის ჯებირს მიუყვებიან. პაპა გიორგი კი არ მიდის, მიფრატუნებს, ცხენისებური სახე დაბამბული კურტაკის მაღალ საყელოში ჩაუმალავს, ყავარჯენს არც კი ეყრდნობა, დაახლოებით ეს დროა — ნოემბრის დასაწყისი და ქვაფენილი ფოთლებით არის მოფენილი. გიორგი კი მიდის და მათ შრიალს უგდებს ყურს. გვერდში პატარა ვატო მიყვება. მტკვრის შავად მბზინავ, მოსარკულ ზედაპირზე გაურკვეველი ხმები მოხტის, ბიჭის ყურს ეხლება და ისიც ამ ხმების გამომცემი წყაროსკენ იცქირება — ვიდრე დინება მარჯვნივ შეუხვევდეს. სანაპიროს ჯებირს ათიოდე კა-

ცი გადაჰყუდებია და წყალზე ჩამავალ რკინის კიბესთან მდგარ ნავს დასცქერიან. ნავიდან კაცი ხტება და იქიდან რაღაც მუქი სხეულის გადმოტანას ცდილობს, ბიჯი პაპას აჰხედავს, ის კი კვლავ აუღელვებლად მიაღაჯებს. „ალბათ დღევანდელ ქადაგებაზე ფიქრობს. მაინც რა კარგად მოყვა მღვდელი წმინდა გიორგის ამბავს... ნეტა თვითონ თუ იცის, ტყუილად რომ არ ჰქვია გიორგი...“ ფიქრობს ვატო და კვლავ წინ იყურება — მოაჯირს მიმწყდარ ხალხს ერთი ბიჭი გამოეყო და მათკენ მორბის. მერე უცებ ჩერდება, მოხუცს და ვატოს აშტერდება. პატარაა, გამხდარი, სველ ფოთლებში მუხლამდეა ჩაფლული. და ვატოს ანაზდად გიორგის სიტყვები ჩაესმის: „მომინდა დარჩომა ფოთლების სევდისგან...“

ბიჭი იდგა და მათ მისჩერებოდა, მერე წამოიყვირა:

— დამხრჩვალი კაცი, დამხრჩვალი კაცი!

და გაიქცა.

გიორგი გამოერკვა და ხალხისკენ დაიძრა. ხელებს მოწყვეტილივით იქნევდა, ფეხს მიითრევდა და გარბოდა. ვატო ფეხდაფეხ მიჰყვა. მდინარეზე ახლა უფრო მკვეთრად მოისმოდა დისონანსური შეძახილები.

გიორგიმ ნავმისადგომთან შეყრილი ხალხი გაარღვია და რკინის კიბეზე დაეშვა. ვატოს ვიღაც სქელმა კაცმა გადაუღობა გზა.

— შენი საცქერი არაფერია აქ, — თქვა კაცმა და ხელი კრა. მერე აყლაყუდა, ტიროლის შლაპიან სოფლელს მიუბრუნდა და უთხრა:

— გაიბერა და ამოტივტივდა — ეგრე იცის გვამმა.

აყლაყუდამ ქუდი მოიხადა და შიგ ისე ჩაიხედა, თითქოს ჩასუნაო.

— მძიმეა ალბათ და იმიტომ უჭირთ ეგრე ნაპირზე გადმოტანა.

— მძიმე არა — ისა. ხო გითხარი, გაიბერა და ამოტივტივდა მეთქი, — სქელმა ცერი ქამრის ბალთას ჩამოსდო, კოტიტა თითები გაფარჩხა და თანამოსაუბრეს შეაჩერდა, იმან კი ქუდი დაიხურა და კვლავ ნავისკენ გაიხედა.

ვატომ მოაჯირის სქელ რიკულებს შორის გაიჭვრიტა; პაპა გიორგის ცალი ფეხი ნავმისადგომზე ედგა, ცალი — ნავში და რაღაც ტომარისებურ სხეულს ეზიდებოდა, თავსა და ბოლოში ორ კაცს ჩაევლო ხელი და წელში მოხრილებს ხვნეშა-ხვნეშით გადმოჰქონდათ ნაპირზე. —

— იცნობენ რო, ვინ იყო? — იკითხა აყლაყუდამ.

— იცნობენ არა — ისა. მაგას აღარც სახე ექნება და აღარც აღარაფერი, — გაქონილ თმაზე ხელი გადაისვა სქელმა.

გიორგიმ და იმ ორმა გვამი ნაპირზე გადმოიტანეს და როდესაც საკაცეზე დაასვენეს, ვატომ ამ შავ მასაში მოკრუნჩხული ხელი და გალუმპულ შარვალსა და ფეხსაცმელს შორის წითელყვითლად აჭრელებული დახეული წინდა შეამჩნია. გვამს ფარდაგი გადააფარეს და იმ ორმა საკაცე ასწია. გიორგიმ მიხმარება სცადა, მაგრამ იმან, ადრე ნავში რომ იდგა, უთხრა, ისედაც ზედმეტად გაისარჯე და ახლა ამ საქმეს ჩვენც ადვილად მოვუვლითო.

— რა სუნი ექნება?! — ცხვირი აიბზუა აყლაყუდამ, როდესაც საკაცეზე ზემოთ ამოიტანეს და თვალი „სასწრაფო დახმარების“ პირდაფჩენილი საბარგულისაკენ გაექცა. მანქანას ხალხი შემოეხვია. მერე სანიტრებმა საბარგულის კარი დახურეს, თვითონაც შიგ შესხდნენ და წავიდნენ. ხალხმა თავ-თავის მანქანებს მიაშურა და ერთბაშად, სანაპიროზე ბიჭისა და მოხუცის გარდა აღარავინ დარჩა. გიორგის თავი ჩაექინდრა, თმა აბურძგნოდა. ამოხედა; დაღლილი, საწყალობელი მზერა ჰქონდა. ერთხანს ასე იდგა რკინის კიბეზე, მერე ხელი ჩაიქნია, ჯოხს დასწვდა, კოჭლობით ამოვიდა ზემოთ და უხმოდ გაუყვა სანაპიროს.

ფეხს ითრევდა, — ზედმეტ დატვირთვისას ძველი ჭრილობა ახსენებდა ხოლმე თავს. ნელა, თავჩაქინდრული მი-

დიოდა, ფოთლების გროვებს გვერდს უვლიდა. არაფერი უთქვამს არც მაშინ, ვერის ალმართს რომ აუყვნენ, არც იმ ალმართზე უფრო დაკიდებულ ჯავახიშვილისა და მაყაშვილის ქუჩებზე. უსიტყვოდ შევიდა სადარბაზოში, უხმოდ აიარა კიბეები და ფრთხილად გამოაღო კარი. ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდაზე თავჩაქინდრულმა ქალმა სახე ასწია და მათ შემოაჩერდა. გრძელ, ნატიფ თითებში პაპიროსი ეჭირა, — ფერფლს ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა თავდაპირველი ფორმა. მაღალი კისერი გვერდზე შეეტრიალებინა, გრძელი ასკეტური სახე და დიდი შავი თვალები შეკითხვას გამოხატავდნენ.

— რაიმე ხომ არ შეგემთხვათ ყმაწვილებო? რამ დაგამუნჯათ?

ვატოს ყველაფრის მოყოლა უნდოდა, მაგრამ პაპა გიორგის ლურჯი ძარღვებით დასერილი ხელი შეამჩნია — მაგიდას ნერვიულად უკაკუნებდა გრძელ თითებს. მერე ზევით აიხედა — დაფანჩული წარბები ქუთუთოებზე ჩამოშლოდა; იდგა ასე მაგიდასთან თავდახრილი, წელი შეეზნიქა, ერთი ხელით ხშირ, თეთრ თმას ისწორებდა, მეორეთი მაგიდაზე აკაკუნებდა — რაღაც დისონანსური ხუჭუჭები გამოჰყავდა. „არ უნდა რომ მოყვეს“, გაუელვა ვატოს.

— არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ძალიან ბევრი ვიარეთ, — თქვა ბოლოს გიორგიმ, კურტაკი გაიძრო, საკიდზე დაკიდა და ცოლს მიუბრუნდა:

— დამელალა ბავშვი, იმდენი ვატარე. აბა, ნინო, გენაცვალე, სასწრაფოდ ავახშმე და დააძინე — ხვალ სკოლაშია წასასვლელი.

— აბა რა მოუვიდოდა — დილიდან ხართ წასულები, — უცებ წამოენთო დიდედა ნინო, — შენ კი, ბატონო, დაყუდებული ხარ თუ რაღაც ჯანდაბაა — კიდევ ჰო, მაგრამ ამ ბავშვისგან რა გინდა, არც ერთ წირვას რომ არ აცდენინებ? თუ — გგონია — სკოლაში ნამეტანი მოუწონებენ ამ ამბავს? არა, გენაცვალე, დალუპავ ბავშვს..., დალუპავ... მერე რა პასუხს აძლევ ამის მშობლებს?

ერთხანს წყრომით შეჰყურებდა ქმარს, მერე სასწრაფოდ წამოდგა და მაგიდის შლას შეუდგა.

დიდი ხნის შემდეგ არაერთხელ სცადა აღეწერა ეს მაღალი მოხუცი ქალი, მუდამ სიბერეს რომ ებრძოდა. მის მკაცრ, მედიდურ ტანს წვრილ-შავკოპლებიანი აბრეშუმის ერთადერთი კაბა ყოველთვის კარგად ადგა. ინგლისური საყელო ბოლომდე ჰქონდა შეკრული და კაცს ზურგიდან რომ შეეხედა, ვერაფრით იფიქრებდა, ოთხმოცს რომ იყო მიტანებული. ასეთი იყო პაპა გიორგის გარდაცვალების დღესაც; პატარა, მოჩუქურთმებულ საწერ მაგიდასთან ვატოს დედის სამძიმარს რომ ისმენდა: თვალები მოპირდაპირე კედელზე დაკიდულ, თეთრ ცხენზე ამხედრებულ ახალგაზრდა გიორგის სურათისთვის მიეპყრო, თლილი თითები მაგიდაზე ეწყო და მედიდური პოზა და დაბინდული მზერა ოდნავადაც ნაძალადევი არ გეჩვენებოდა. ის კი არა, თუნდაც კალამი აეღო და დაეწერა: „ჰე, ჩემო ესე უსტარიო...“ რამდენჯერ სცადა ქაღალდზე გადაეტანა მისი სახე — მაგრამ ამაოდ...

ნავახშმევს თეჯირის, პიანინოსა და უშველებელი კარადის კომბინაციით გამოყოფილ კუთხეში გაშლილ ლოგინზე დაწვა. ყოველთვის, როდესაც ორკესტრს საგასტროლოდ გაყოლილი მშობლები მამამისის მოხუც ბიძასთან და ძალოსთან ტოვებდნენ (ხოლო გასტროლები მეტისმეტად ხშირი იყო), გიორგისა და ნინოს „სანთიობო კუნჭული“ მისი საბრძანებელი ხდებოდა. ბიჭის დაწოლის შემდეგ ჭერის შუაგულში დაკიდულ ელექტრონის ჭაღად გადაკეთებული ძველებურ ნავთის ლამპას ჩააქრობდნენ, მაგიდის სანათს ჩართავდნენ და დიდხანს, დიდხანს ჩურჩულებდნენ. ნინოს ქალის პირობაზე ბოხი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა დროდადრო ჩაუწყდებოდა, ხველა აუტყდებოდა და კარგა ხანს არ უჩერდებოდა. გი-

ორგი კიდევ უფრო დაუწევდა ხმას. თითქოს ამშვიდებსო, ისე უმარცვლიდა სიტყვებს. ვატო იწვა და უსმენდა — არა, სიტყვების უმრავლესობა მის ყურს არც კი წვდებოდა; ცვალებად ინტონაციასა და მასში გადარეულ ბგერებში გამოკვეთილი ზოგიერთი სიტყვის ჩავლება სიამოვნებდა; ისე, კარგი ოპერის სმენისას რომ დააფიქსირებ ტექსტის რომელიმე ნაწილს; — თუმცა, სინამდვილეში, სიტყვებს არც კი უგდებ ყურს, იმდენად ნაცნობია იგი შენთვის; დააფიქსირებ და მუსიკისა და ტექსტის თანხვედრა გაოცებს. ვატომაც თითქმის ზეპირად იცოდა მათი ტექსტი — გარდასულ ამბებს იხსენებდნენ; დროდადრო შეკამათდებოდნენ. ამ ანაზდეული წამოფეთქების შემდეგ ერთხანს მდუმარება ჩამოვარდებოდა ხოლმე. ალა-ჩინური სახლებითა და მათ გარშემო მოფარფატე წეროებით მოხატული თეჯირის ერთი გამოგლეჯილი კუნჭულიდან თუ გაიხედავდა, მოხუცებს დაინახავდა — ისხდნენ გარინდებულნი. გიორგი ცოლის ხელისკენ დაიხრებოდა და ნაზად დაუკოცნიდა თითებს, მერე შემცბარი სახით ახედავდა კედელზე დაკიდულ ორ სურათს, დამცინავად რომ გადმოსცქეროდნენ მათ ბებრულ ალერსს. ორივე ფოტოზე მხედრები იყვნენ გამოსახულნი. ქალი ნინო იყო — დარახტული შავი ცხენიდან გასცქეროდა მეზობელ ფოტოზე ალბეჭდილ, ყალყზე შეყენებულ თეთრონზე მჯდარ შეყვარებულს. ნათესაობაში ბევრი ყვებოდნენ მათი ბურუსით მოცულ სიყვარულის ამბავს და ამიტომ იყო ალბათ, რომ ბავშვის გონებაში, ეკლესიაში წმინდა გიორგის ხატთან ლოცვად დამდგარი პაპა, ძლევამოსილი წმინდანის ხატი, გიორგობაზე მოსმენილი მღვდლის ქადაგება და მოხუცთან გატარებული დღეები, ერთ სახედ — ფოტოზე გამოსახულ ჭაბუკ მხედრად გამთლიანდა და როდესაც ოთახის აღმოსავლეთის კედელთან მწოლიარე ვატოს შუაღამისას ანაზდად გამოაღვიძებდა სიზმრის შორეულ სამყაროში შემოღწეული სიცარიელე, თვალისცეცებით გიორგის ფოტოს ეძებდა. მოხუცებს უხმოდ ეძინათ. ის კი იწვა და უცქეროდა დაგმანული დარაბების ვიწრო ღრიჭოდან შემოჭრილ ლამპიონების შუქის წვრილ-ძაფს, საოცარ ფიგურებს რომ ხატავდა კედლებსა და ჭერზე. დროდადრო ჩავლილი მანქანა ამ სხივს უფრო გააძაფრებდა, გაამსხვილებდა და კედელზე დაკიდულ ჯოკონდას რეპროდუქციას გაანათებდა. წამით გაკრთებოდა ქალის უკეთური, კატისებური მზერა და ბიჭს გული ეკუმშებოდა. თვალს არიდებდა ქალს, მშვენიერების სიმბოლოდ რომ დაესახათ უფროსებს. გიორგის სურათს შუქი არა და არ ეცემოდა, მაგრამ იგი აქვე იყო — მოპირდაპირე კედელზე, და ამის უეჭველობა სალბუნად ედებოდა გულს. ახლა მთავარი იყო, გიორგის ურჩხული მოეკლა და მერე ყვავილაფერი რიგზე იქნებოდა... კედლისკენ დიდხანს ვერ ტრიალდებოდა — ხელები უსაშველოდ ეზრდებოდა და ჰა, სხეულთან შედარებით ათჯერ დიდიც კი უხდებოდა: თავიდან სიამოვნებდა კიდეც, მერე კი უსასრულობის შიში უფრო და უფრო დარევდა ხელს და თავის სიმცირეს აგრძნობინებდა. რაოდენ პატარა იყო ამ სამყაროში — თვით საკუთარ ხელზე პატარა! იწვა და შორიდან ქარის მოტანილივით ჩაესმოდა გიორგის ყრუ ხმა, შარშან სოფელში გაზაფხულის ერთ ღამეს რომ უჩურჩულებდა მის მუხლებზე წამოსკუპულ ვატოს. გიორგი ვარსკვლავების შესახებ ესაუბრებოდა. თითოეული, დედამიწაზე ათასჯერ დიდიაო. დიდი დათვის თანავარსკვლავედისაკენ იშვერდა ხელს და ეხუმრებოდა — განა ტაფას არა ჰგავსო? ისე შორს იყო იგი, რომ იქიდან დედამიწას — უსასრულობაში ჩაკარგულ წერტილს — ვერც კი დაინახავდა. ეზოს მოყვავილე იასამნის ღობე ერტყა; მათი სურნელი სახეს ეკვროდა და ბიჭი გრძნობდა, ვიღაცის ხელს ეჭირა ისინი მოშრიალე თაიგულად. ის ვიღაც ისმენდა მათ საუბარს და ზეცი-

ურ უფსკრულში კარგავდა... ახლა კი, ჩაბნელებულ ოთახში მწოლიარეს, სადაც ჭერის სიმაღლესაც ველარ ამჩნევდა, თვით ხელიც სამყაროზე დიდი ეჩვენებოდა, სხეული დაჩიავებულიყო და უსიამოვნობის შიშს ველარ იტევდა. უეცარი, ძლიერი მოძრაობით გადმობრუნდებოდა, ხელი ნელ-ნელა უცხრებოდა და სხეულსაც ჩვეული ფორმა უბრუნდებოდა. ქუჩიდან შემოსული სინათლე ახლა პიანინოს დაეცემოდა, მასზე უკრავდნენ დიდედა ნინოს მოწაფეები არაჩვეულებრივ მელოდიებს. ერთი სული ჰქონდა, ოდესმე თვითონაც მისჯდომოდა ინსტრუმენტს და მის არსებაში ჩაბუდებული ბგერებით მოექსოვა ათასფრად მოლივლივე სპარსული ხალიჩასავით ნატიფი, თითქმის ხელშესახები მელოდია, სწორედ ის მელოდია, მისი დაწოლის შემდეგ მოხუცების ფირსაკრავი რომ აფრქვევდა. და შუაღამისას სხეული ფორმას რომ იბრუნებდა, მის ბგერებს იხსენებდა; ნელ-ნელა ევსებოდა შიშისაგან შიგთავსამოფხეკილი, დაცარიელებული ძვლები, უთბებოდა სხეული და მის გარშემო ნელ-ნელა იკვეთებოდა საგნები. მოპირდაპირე კედელზე უკვე ნათლად მოჩანდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ჭაბუკის სურათიც...

იმ ღამესაც, დაძინებულად რომ დაიგულა, გიორგიმ თავისი საყვარელი ფირფიტა გამოიღო და ფირსაკრავზე დადო. რამდენჯერ სცადა აღეწერა ის ღამე! ბგერები ჩურჩულით იბნეოდნენ, ეალერსებოდნენ კედლებს, კარადებს, მაგიდის სიმრგვალეს, მასთან მიმჯდარ ორ მოხუცს... ხმა ნელ-ნელა მატულობდა, თამამდებოდა, ძალას იკრებდა, შორეული ქვეყნების სიოს იმატებდა, ბოლოს ყოველ საგანს ეუფლებოდა, დაგმანული დარაბების ღრიჭოებს აწყდებოდა, გარეთ, ჩაბნელებული ქუჩისკენ მიიონავდა, ცდილობდა გაემართლებინა თავისი სახელი — „გასხივოსნებული ღამე“... რამდენჯერ უცდია იმ წუთის აღწერა და სწორედ იმ დროს მის ყურამდე მიღწეული გიორგის ხმა:

— ის უბედური ჩემზე ბედნიერი იქნებოდა.

— ვისზე ლაპარაკობ? — წაიჩურჩულა დიდედამ.

— ვისზე და იმ დამლრჩვალზე.

— ხომ არ გაგიჟდი, კაცო... რამდენჯერ უნდა გითხრა, ამოიგდე-მეთქი ეგ ფიქრი.

პაპას ხმა არ გაულია. ოთახში მხოლოდ მუსიკის ხმა ირხეოდა. ბიჭმა სმენა დაძაბა, სუნთქვა შეიკრა, წამოიწია, თუჯირის ამონაგლეჯში გაიჭყიტა — ცოლ-ქმარს ხელებში ჩაერგოთ თავი და ერთმანეთს შესცქეროდნენ. მერე გიორგიმ ხელის მტევანი მომუშტა, მაგიდაზე დააწყო და კედელს მიაშტერდა.

— ცოდვილი ვარ, ცოდვილი... — ხავილივით აღმოხდა ბოლოს.

— რეებსა როტავ, ჩემო გიორგი, რომ იცოდე... — ქალს ხმა გაებზარა და ჩაუწყდა. ოთახი კვლავ მუსიკის ხმამ გაავსო. ასე ისხდნენ ჩუმად. მერე გიორგიმ თქვა:

— ტომარა რომ გახსნეს, იქ რომ ყოფილიყავი, პირთამდე იყო სავსე... თავბრუ დამეხვა, ავკანკალდი, მაგრამ თავი მოვითოკე... პატრულმა — როგორ მახსოვს მწითური სახე, ბაჭუა ცხვირი და წვრილი, ღორის წითელი თვალები — ხელი შიგ მოაფათურა, მერე გასწორდა, თავის გასისხლიანებულ მკლავს მზეზე გახედა, კარგა ხანს ათვალიერა, თითები გაატკაცუნა, მოწონების ნიშნად ცერი ასწია და საზეიმო ფალცეტით შეჰყვირა: ახლად დაკლული საქონელიაო, თუ უფროსობას სჭირდება ასეთი კარგი ხორცი, არც ჩვენ გვაწყენდა და კონფისკაცია უნდა მოვახდინოო, და ტომარას თავი მოუკრა. შევქანდი, წავიქცეოდი, მაგრამ იქვე მდგარ ურმის ჭალს ჩავეჭიდე და თვალი დავხუჭე... ასე ვიყავი ნახევრად გულწასული, ვიდრე ჩემი გამყოლის ხმამ არ მომაგონა: ტომარას ჩაფრენოდა, აჭარხლებულიყო და ისე გაჰკიოდა — არაფრის დიდებით არ გაგატანთ, ამ ამხანაგს ხორცის დანიშნულების ადგილზე მიტანა აქვს დავალებულიო. პატრულს დახვრე-

ტით ემუქრებოდა — ფოთში ჩავალ და უფროსობასთან დავასმენო. ბოლოს მაინც შეშინდა პატრული, ხელები გაიქნია, შებრუნდა და გინებით გაგვშორდა. გამყოლი კი ტომარას დასწვდა, ზურგზე წამომკიდა, ხელი დამკრა და აიდაო, დამჰყივლა. გავიქეცი. ზურგს უკან სიცილი შემომესმა, მე მიყვიროდა, აბა შენ იცი, არ დაკარგო ეგ ლეშიო... ფეხს ავუჩქარე, აღარც ჭრილობა არ მახსოვდა და აღარც ჭაობი... მხოლოდ [illegible]თ რამეს ვგრძნობდი, როგორ მიპო[illegible]ოდა ცივი, წებოვანი სისველით ზურგი...

— აბა, დაუმარხავს ხომ არ დავტოვებდი? ისე იყვნენ გაბოროტებულები, ნამდვილად არ ალირსებდნენ საფლავს, ნამდვილად შეაჭმევინებდნენ ძაღლებს... შენს იქით გზა არა მქონდა. აბა სხვა ვინ იკისრებდა იქ შესვლას და იმათ მოსყიდვას, ვინ გამოიტანდა აჩეხილს, მითხარი, შენ გარდა კიდევ ვისთვის უნდა მეთხოვა? — აქვითინდა უცებ ნინო. მერე გამოერკვა, თავი ასწია, გაშეშებულ გიორგის ისე შეაჩერდა, თითქოს რაღაცას მიუგდო ყურიო.

— ბიჭს ხომ არ ღვიძავს? — წამოიძახა უცებ.

გიორგი სასწრაფოდ წამოდგა. ფირსაკრავი გამორთო და თეჯირით გადაღობილი კუთხისკენ გამოემართა. ვატომ თვალი მოხუჭა და თავი მოიმძინარა. გაიგონა, როგორ შემოვიდა გიორგი, ფეხაკრეფით მიუახლოვდა, დააკვირდა, დაიხარა, ნაზად მიაკარა გაყინული ტუჩები, სასწრაფოდ პირჯვარი გადასწერა, შეტრიალდა, „სანთიობო კუნჭულიდან“ გამოვიდა და მაგიდას მიუჯდა.

— სძინავს, — თქვა გიორგიმ და ჩაყუჩდა. ბიჭმა თვალი გაახილა, კვლავ თეჯირის ნახევში გაიხედა, გიორგის ცოლის ხელი ეჭირა, მერე თავი დახარა, ხელზე შუბლი დაადო, ნაზად გაუშვა, ადგა, ჭრიალით გამოაღო უშველებელი წიგნის კარადის კარი, იქიდან წიგნი გამოიღო, მაგიდაზე დადო, თვითონაც დაჯდა, გადაშალა, ერთხანს რაღაც ეძება და თქვა:

— აი ნახე, ბედისწერას ვერც ის გადაურჩა.

— რა ბედისწერას? ვინ ვერ გადაურჩა ბედისწერას? — იკითხა ნინომ.

— ამფონომოსი... „მასაც არ ასცდა ოდისევსის მსახვრალი ხელი“.

— ვისაო?

გიორგი კვლავ მხედრულად გაჭიმული, ფიქრებში დანთქმულს, არაფერი ესმოდა.

— ვისაო? — კვლავ ჩაეკითხა ქალი.

— ვისა და ერთ-ერთ სასიძოთაგანს, — წამოიძახა გიორგიმ, — ერთი იყო მათ შორის, ქვეშეცნეულად რომ იცოდა თავის შესაფერ საქმეში რომ არ იყო გარეული. სწორედ მახსოვდა, მართლაც ამფონომოსი ჰქვია. ითაკაზე მათხოვრის ტანისამოსში დაბრუნებულმა, ოდისევსმა უსაყვედურა კიდეც, შენ რაღა გინდა ამ გარეწრებს შორისო... — გიორგიმ ხმას დაუწია, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ალაპარაკდა, — ამფონომოსმა თავი დახარა და შერცხვენილი წავიდაო, ესა თქვა მხოლოდ ჰომეროსმა. იქნებ იცნო კიდეც ოდისევსი, მაგრამ ხმა არ ამოუღია... ასე დალუნა თავი...

წავიდა... ძალა არ ეყო სასიძოების კამპანიას ჩამოსცილებოდა...

ძალა არ ეყო...

— გაგიჟდი ნამდვილად, — ხელი ხელში ჩაავლო ნინომ, — გაგიჟდი...

— შენი ქმარი იყო, აღარ გახსოვს? აღარ გახსოვს, როგორ მიყვარდი? მაგრამ ახლოს არ გეკარებოდი... რაც უფრო მეტად მიყვარდებოდი, მით უფრო ვერთგულობდი იმას. იმ დღეს შემთხვევით ჭაობზე მიმავალი რაზმი რომ არ გადაგვეყროდა, ანაკლიაში ჩავიდოდით, შენც იქ დაგვხვდებოდი... ნავში ჩავსვამდით და კონსტანტინოპოლში გავიშვებდით... მაგრამ ისინი შეგვეჩეხნენ... ვინ ვის ეძახდა ბანდიტებს, გასაკვირია, სწორედ... მგელივით იბრძოდა... მეც არ დამიხევია უკან — კიტრის ფასი ჰქონდა ჩემს სიცოცხლეს — გინდაც გავსულიყავით, მაინც გკარგავდი... მაგრამ ბოლოს ფეხში დავიჭერი, შენც იცი, დიდი არაფერი ჭრილობა იყო.

უბრალოდ მერე გამიჭირა საქმე. ჰოდა, ეტყობა, სულმოკლეობით შამბნარში გავხოხდი, გაზაფხულზე წყალდიდობისაგან მოტანილ ტოტების გროვაში შევძვერი და დავიმალე... მეძებეს, მაგრამ შიშისაგან ისე ვიყავი გაყუჩებული, ვერაფრით მიპოვეს, თანაც ეჩქარებოდათ და დრო აღარ დაკარგეს, ის ცხენს გამოაბეს და ხობისკენ წავიდნენ; ერთხანს ვიწექი, მერე წელი ავითრიე და ანაკლიაში წამოვედი შენთან. მთელი გზა შენს სახელს ვიმეორებდი, ბოდიშს გიხდიდი, მეც რომ არ შევაკალი იმასთან ერთად თავი... ნინო...

— მეც მიყვარდი — აჩურჩულდა ნინო, — დასაფლავების შემდეგ რომ გაქრი, სულ შენზე ვფიქრობდი, შენზე ვფიქრობდი აქაც და იქაც... რა ბედნიერი ვიყავი იმ დღეს, ვორკუტაში რომ შეგეჩეხე... სამუშაოდან ბრუნდებოდი ბანაკში... შავი სპეცოვკა გეცვა, ცხენის სუნი აგდიოდა... რა ბედნიერი დღე იყო... შენც კარგად გახსოვს, მთლად დავკარგე ჭკუა...

— ჰოდა, შენი ბრილიანტები რომ მივეცი, მითხრეს, ნაკუწ-ნაკუწ ავკეპავთ და ვითომ ხორცი მიგაქვს ფოთში მაგათი ნაწილისთვისო, წამომკიდეს და გამომიშვეს, გზაზე პატრულმა გაგვაჩერა... ღელვისაგან ფეხის ტკივილს ვეღარც კი ვგრძნობდი, მოვრბოდი, ტომარა ზურგზე მეკვროდა, მძიმე იყო, რბილი, თქვენსა რომ მოვიტანე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი ტკივილი, საოცარი იყო, დაკოჭლებულმა ამ სიმძიმე კაცით როგორ გამოვიარე ჭაობი... ხორცი ეგონათ, ხორცი!...

— გაგიჟდი, ნამდვილად, — თქვა ნინომ, — შენც კარგად იცი, ყველაფერი რომ გააკეთე... შენც კარგად იცი...

ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ლოგინთან მივიდა და გაშლა დაიწყო.

— ნუ ფიქრობ ეგეთ რაღაცეებზე, დამშვიდდი, — ხმა გაბზაროდა, ლოგინზე დახრილიყო და ყრუდ ამოთქვამდა ბგერებს.

უცებ გასწორდა, შემობრუნდა, თვალის გუგები გასდიდებოდა, ჩასწითლებოდა, ხელები სახეზე ჩამოისვა, მაგიდასთან მივიდა, პაპიროსს მოუკიდა, ქმარს მხარზე დაეყრდნო და თქვა:

— არ ილაპარაკო ეგეთები... რამდენჯერ უნდა გითხრა... ბიჭმა არ გაიგონოს.

გიორგიმ ცოლს აჰხედა, ნაძალადევად გაუღიმა, ფეხზე წამოდგა, შუბლზე ჰამბორა.

— აღარ ვილაპარაკებ. შენც ნუ ეწევი ამდენს. ხომ იცი, არ გიხდება.

— ეგ არაფერია. გაუმაგრდი, გაუმაგრდი...

გაუღიმა. კედელთან მივიდა, სინათლე ჩააქრო...

რამდენჯერ უცდია სინათლის გამორთვის შემდეგ ოთახში ჩამოწოლილი სიჩუმის აღწერა. მოხუცების სუნთქვის დაჭერას ცდილობდა, მაგრამ ისინი, თითქოს მის ჯიბრზე, ისე ჩაყუჩებულიყვნენ, ჩქამიც ძლივს წვდებოდა ყურს. იწვა და მათ უცნაურ საუბარზე ფიქრობდა. რა უნდა მოსვლოდა პაპას ისეთი, ცოდვილად რომ თვლიდა თავს? რატომ იყო ის დამღრჩვალი მასზე ბედნიერი? ან ნეტავ ვინ იყო ის კაცი, ვისი აჩეხილი სხეულიც პაპას ზურგით მოჰქონდა? მერე გიორგის სიტყვები მოაგონდა, შენი ქმარი იყოო... იქნებ მოეყურა? იქნებ შეცდა და საერთოდაც არ გაუგონია არაფერი? იქნებ ასეც იყო... მაგრამ ამფონომოსი? ჰომეროსის პოემების შინაარსი „ელინურ მითებში" ჰქონდა წაკითხული. სასიძოები საშინელ ხალხად ჰყავდა წარმოდგენილი და ყოველი გადაკითხვისას სიხარულით ელოდა იმ ადგილს, სადაც უპოვარის ტანსაცმელმოსხმული ოდისევსი მისი ოჯახის დამაქცევართა ხოცვას იწყებდა; აქამდე არასდროს შეპარვია მათი სიბრალული, მაგრამ ახლა, როდესაც პაპამ ერთ-ერთ მათგანს შეადარა თავი, საქმე სულ სხვანაირად იყო... ამფონომოსი ...უაზროდ იმეორებდა ამ სახელს. სიტყვები თავისთავად წყდებოდნენ ბაგეს. ამფონომოსი... ამფონომოსი... ამ ბუტბუტში მოელულა თვალი, დაუმძიმდა სხეული. ახლა იგი დარაბების ღრი-

ჰოებიდან შემოჟონილი მკრთალი სხივის ყოველ ნაწილაკს და მის მიერ განათებულ ყოველ საგანს — საწოლს, კედლებს, სურათებს, პიანინოს, თეჯირს, მისი ნახევებით წარმოქმნილ ჰუჰრუტანებს, ჰურჰლის, წიგნებისა და ტანსაცმლის დიდ, მძიმე კარადებს, მათ შორის მდგარი მაგიდის სიმრგვალეს, მასთან მიმდგარ ფართო ტახტზე მწოლიარე მოხუცებს, მათ სუნთქვასა და ყოველ გაფაჩუნებას იტევდა...

არა, უეჭველად უნდა აღეწერა ყველაფერი, რაც ახსოვდა, თორემ შორს, ახალი მიკრორაიონის ნაცრისფერ, უდროოდ დაძველებულ, მეზობლად მდებარე ქარხნიდან ამოვარდნილ მომწამლავ ოხშივარში ჩახუთულ, ბეტონის კედლების უსახურ ტევრში მიკარგულ, გაჯით შელესილ ასანთის კოლოფებისმაგვარ პატარა ბინაში მშვიდად მძინარე გოგო-ბიჭს ვერავინ მოუყვებოდა აქ დაკარგული სამშობლოს ამბავს. ვერც თვითონ — მთელი დღე სამსახურში რომ იყო და ვერც ნესტანი, სამუშაოდან დაბრუნებული, ძლივს რომ ასწრებდა საბავშვო ბაღიდან მათ გამოყვანას და ვახშმის მზადებითა და ბავშვების რეცხვა-ბანით ქანცგაცლილს, შვილების დაძინებისას, ოცდაათიანი წლების, ნიკელის საწოლზე ჩამომჯდარს, იავნანას სიმღერაში რომ სწყდებოდა კისერი. შინ მივიდოდა თუ არა, მაშინვე დაიწყებდა წერას.

მანამდე კი მოკირწყლული, პატარ-პატარა ნათურებით განათებული ერთმანეთის ფანჯრებში მოცქირალი აგურის სახლებით შემოზღუდული ჩაკიდული ქუჩა უნდა ჩაევლო, მარჯვნივ, ჯავახიშვილზე შეეხვია. კუთხის სახლში ვანო შატბერაშვილი ცხოვრობდა. ვანო მისი მოთხრობების ერთადერთი მკითხველი და უახლოესი მეგობარი, უფრო ხშირად, უწუნებდა ნაწერს. თავიდან სწყინდა ხოლმე, მაგრამ მერე თვითონვე ხვდებოდა, რომ ყველაფერი ისე არ გამოსდიოდა, როგორც უნდოდა. ორსართულიანის პირობაზე მაღალი სახლის ბელეტაჟზე უეჭველად ენთებოდა სინათლე, რაც ვანოს სახლში ყოფნის ნიშანი იყო. გამზრდელი დეიდა — დიდედა ნინოს სიცოცხლის ბოლო წლების მეგობარი, ჰყავდა უკანასკნელ დღეში. მომაკვდავი ვერ მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა და ერთთავად კითხულობდა, რადგან ერთხელ რად გადმოგვასახლეს ამ გადასაკარგავშიო. კარგი იყო შეეძინა მეგობრისთვის, მადლს მოისხამდა, ცოტა ხნით მაინც გაერთობოდა საუბრით, მაგრამ გვიანი იყო, ნესტანი უკვე წუხდა ალბათ: მთელი საღამო ელოდა. ახლა ბავშვები დაძინებულიც ეყოლებოდა და ყოველ გაფაჩუნებაზე კარის გაღება და ვატოს შემოსვლა ელანდებოდა.

ვანოს სახლსაც ჩაუვლიდა და ჯავახიშვილის ქუჩას დაუყვებოდა. აეროფლოტის სალაროებთან შედგებოდა. ბაობაბებივით გაბარჯღნილ, ერთმანეთს შეტყუპებულ ორ აკაკის ხესა და შემართზე ვან გოგის ნახატივით დაკიდულ ყვითლად შეღებილ მერაბ კოსტავას სახლს გაჰხედავდა, რუსთაველის ძეგლის სკვერისკენ აუხვევდა და მეტროსკენ გაემართებოდა. ზედა სადგურში შესული ხუთკაპიკიანს ავტომატში ჩააგდებდა, გაივლიდა და ესკალატორზე შედგებოდა. ხორცისფერი მარმარილოს ტლანქი სვეტებით მოლამაზებულ დარბაზში ჩასულს დიდხანს არ მოუხდებოდა ცდა — მატარებელი მალე ჩამოდგებოდა, კარს გააღებდა და ადამიანების გუნდს გადმოისვრიდა. ვატო ძლივს შევიდოდა გაჭედილ ვაგონში, თუკი მოპირდაპირე კართან თავისუფალ კუნჭულს დაინახავდა, იმ ადგილს მიადგებოდა, მქრქალი, ნაცრისფერი ასოებით რომ ეწერა, — „არ მიეყრდნოთ“. მატარებელი დაიძრებოდა; შუშის მიღმა, ტუალეტის კაფელით გაწყობილ კედელზე მონიკელებული რკინით გამოყვანილი სადგურის გახსნის თარიღი — 1965 — გამოჩნდებოდა. მატარებელი სვლას უმატებდა, ჩაბნელებულ გვირაბში ღრიალით შევარდებოდა, ასე იქროლებდა ერთხანს, მერე დაამუხრუჭებდა, ზურ-

გზე ვილაც მიეხლებოდა, — მთვრალი, გაუპარსავი კაცი, ან ნავაჭრით დატვირთული წვრილქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი მსუქანი ქალი, ანდა სულაც ყვიილად თმაშეღებილი, გაწვნიკული, პლატფორმებზე შემდგარი გოგო, პროვინციელი კახპის, მეტისმეტად ბევრი საღებავით შავადამოგლესილ, დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით რომ აცეცებდა; ჭრელ ჩანთას ჩაბღაუჭებული, აქაოდა არავინ მომპაროსო, ამოძრავებულ ხალხს მუჯლუგუნს დაუხვედრებდა და წითლად შეთხიპნილ ტუჩებს უკმაყოფილოდ მოპრუწავდა. სადგურის ბაქნის კიდეს ხალხი მიეჯარებოდა. ვაგონის შიგთავსი უფრო აირეოდა, გოგო ჩანთას უფრო მეტად მიიკრავდა გულზე და კარს მიმწყდარ მოჭიდავე ხალხს შეერწყმოდა. ჩამსვლელები წამით გაირინდებოდნენ და კარი რომ გაიღებოდა, ერთ მუშტად შეკრულნი, შეძახილებითა და ყვირილით დაეძგერებოდნენ გარედან მომდგართ. გაარღვევდნენ და სამშვიდობოს გასულნი გზას სხვა მოყაყანეებსა და მოჩხუბრებს დაუთმობდნენ. კარი დაიკეტებოდა, ვაგონში მყოფნი ერთმანეთს მიეხლებოდნენ, თავიანთ ადგილებს დაიკავებდნენ და გვირაბში რომ შევიდოდნენ, ფანჯრის ჩაშავებულ მინებში მათი გაშეშებული სახეები აირეკლებოდა. ასე გამეორდებოდა რამდენიმეჯერ, ვიდრე ერთ-ერთ გაჩერებაზე დიქტორი ცხვირზე ხელმოჭერილივით არ გამოაცხადებდა: „თქმქა — ბოლო გაჩერება. გთხოვთ გაანთავისუფლოთ ვაგონები“, და ვატო ვაგონში დარჩენილ რამდენიმე კაცთან ერთად ახლადაგებულ თეთრ დარბაზში გავიდოდა. ესკალატორზე, ნოემბრის დღესასწაულის აღსანიშნავად რეპროდუქტორი იქნებოდა ჩართული და საზეიმო მარშებს დაუკრავდნენ. მოპირდაპირე ესკალატორს გახედავდა. ესკალატორზე კანტი-კუნტად იდგებოდა ამომავალთ შემოჩერებული ხალხი. „თბილისი დიდი, მილიონიანი ქალაქია“, მუსიკის თანხლებით დამარცვლიდა დიქტორი, „სიგრძით — ორმოცდაცხრა კილომეტრი. ჩვენი მეტროპოლიტენი — ქალაქის მშვენება, რომელიც ოცდასამი წელია შევიდა მწყობრში, ახლა ოცდახუთნახევარი კილომეტრია და შეიცავს ცხრამეტ სადგურს“. შემდეგ იგივეს რუსულადაც გაიმეორებდა. ესკალატორი საზეიმო მუსიკის თანხლებით, ზევით — რკინის კონსტრუქციებით ნაგებ დარბაზში აიყვანდა. გარეთ გავიდოდა და მიწისქვეშა გადასასვლელისკენ გაეშურებოდა — ქუჩის კიდამდე მისი მასივისაკენ მიმავალი ავტობუსის გაჩერებასთან რომ ამოდიოდა. გადასასვლელის ღიობი ნაცრისფერი ბათქაშით შეთითხნილი, სამოციანი წლების დაბალჭერიანი სტანდარტული სახლის საძირკვლიდანვე იწყებოდა და როდესაც მის დაქანებულ კიბეებს ჩაუყვებოდა, ამიაკის სუნი შეუხუთავდა სუნთქვას. თვალზე ცრემლები მოადგებოდა, სახეზე ხელებს აიფარებდა და გვირაბში შესული, ბოლოში — შავად პირდაფჩენილი ამოსასვლელისკენ, ჩამტვრევას გადარჩენილი, ეულად მბჟუტავი ნეონის ლამპით ასფალტზე შავადვე გამოკვეთილ გუბეებზე ხტუნვა-ხტუნვით გაიქცეოდა. კარგი იქნებოდა, ხვანჯრის მიდამოებში ხელმოფათურე მთვრალს არ დაჯახებოდა. მოპირდაპირე ქვაფენილზე ამოვიდოდა. გაჩერებაზე ერთ-ორ კაცს შეავლებდა თვალს. როგორც ყოველთვის, ამ დროს, ელექტრონის ბოძის ქვეშ, კლიენტების მომლოდინე, ჩაფუნთუშებული, საგულდაგულოდ დახვეული მწითური თმით თავდამძიმებული ქალიც იდგებოდა, „დღის სინათლის“ მკვდარ სხივებს რომ უცმაცუნებდა პაჭუა ცხვირს და ცარიელ ქუჩაზე დროდადრო ჩავლილ მსუბუქ მანქანებს ხელს უქნევდა. იქნებ მისი მეზობელი, კოტიტა მწვანეპიჯაკიანი კაციც მდგარიყო, ფურთხვა-ფურთხებით რომ ეწეოდა „პრიმას“ და „უფულობას რა ვუთხრაო“ გამომხატველი მზერით უცქერდა ქალს. ამასობაში ავტობუსის ფარების სინათლეებიც გამოჩნდებოდა — რბენისაგან ქანცგამოცლილი კაცივით მოყანყალებდა, ზრიალით ჩამოდ-

გებოდა და ჯახანით გააღებდა კარს. კოტიკა კაცი ბოლთის ცემას შეწყვეტდა, სიგარეტს მოისვრიდა და გინებით აახტებოდა ავტობუსს. ვატოც მას მიყვებოდა, ცარიელ სალონში შევიდოდა და ერთკაციან სავარძელზე დაჯდებოდა. მძღოლი კარს დაკეტავდა, მანქანას დაძრავდა, გააქანებდა, უკაცრიელ გაჩერებებთან ყვირილით დაამუხრუჭებდა, ყოველი შემთხვევისათვის ზათქით გახსნიდა კარებს, კვლავ აიახრახებდა ძრავას და მასივისკენ გაჰქუსავდა. ფანჯარაში ალაგ-ალაგ განათებული პოსტხრუშჩოვული სახლები და მათ წინ მეჩხერად დარგული გაუხარელი, დაკრუნჩხული, ჯუჯა ხეები გამოჩნდებოდა. ბოლო გაჩერებაზე ჩამოვიდოდა. კოტიკა კაცი მიესალმებოდა, ბილეთის აღებისთვის მადლობას გადაუხდიდა და „დინამოს" ლანძღვით, შევიდოდნენ განათებულ გვირაბში, რომელიც ხიმინჯებზე შეყენებული მათი მრავალსართულიანი სახლის შესასვლელთან ამოიყვანდათ.

სახლის წინ, და ადამიანის სიმაღლეზე ყავისფრად შეღებილ, ზათქშითა და ნაგვით დასვრილ ბეტონის იატაკიან სადარბაზოში ქარხნის ამონასუნთქის უხერხულობამდე უსიამოვნო სუნი იდგა და ისინიც, სუნთქვაშეგუბებულები, ლიფტის ჩამოსვლას დაელოდებოდნენ. კარი ტკაცანით გაიღებოდა და უხმოდ შევიდოდნენ შიგ. კოტიკა მეცამეტე სართულზე დაემშვიდობებოდა, ის კი მეთექვსმეტეზე ავიდოდა — ვიწრო, მოგრძო დერეფნის ბოლოში თეთრად შეღებილ დაპრესილ მუყაოს კარს გასაღებს მოარგებდა, შეაღებდა და ნახევრადჩაბნელებულ ჰოლში აღმოჩნდებოდა, რომლის ერთ კუთხეშიც წინაპართაგან დანატოვარ კაკლის შავადაპრიალებულ ჩარჩოში ჩამჯდარ, მოჩუქურთმებული თავით ჰერზე მიბჯენილ სარკეში, განიერ, დაჭმუჭნულ ლაბადაში კომიკურად გახვეული აწურული ფიგურა და მისი თმა-წვერგაბურძგნული სახე გაილანდებოდა. ლაბადას გაიძრობდა და გიორგისა და ნინოს ბინიდან გადმოტანილ, პატარა, გაჯისკედლებიანი ოთახისთვის შეუსაბამო ავეჯით გამოვსებულ სასტუმრო ოთახში ფეხაკრეფით შევიდოდა და მრგვალ მაგიდასთან წიგნზე დაძინებულ ნესტანს წაადგებოდა თავს. სწორი, გრძელი, ხშირი ოქროსფერი თმა მაგიდაზე ექნებოდა გაშლილი. სკამის კიდეზე ჩამომჯდარს, ქალის პირთმაზე საქმოდ დადი, აქეთ-იქით გაწვდილი ხელებით მაგიდის კიდეებს ჩაჭიდებულსა და ზედ მთელი ტორსით გადაწოლილს ეძინებოდა, თითქოს რომელიღაც ჯადოქარმა სწორედ იმ დროს გააქვავა, რაწამს წამოდგომა დააპირაო. მთელი დღის ჯაფით გათანგულს, ვერაფრით გაალვიძებდა კაცი. ვატო თმას გადაუწევდა, გრძელ, ნატიფ სახეზე მიეფერებოდა, და როგორც იქნებოდა, გაახელიანებდა ნუშის ფორმის ქუთუთოებს. დიდი, ცისფერი თვალები უაზროდ შეაჩერდებოდნენ. მერე ნესტანი გონს მოეგებოდა, გაუღიმებდა, მაგრამ მხოლოდ ბავშვებს შენი ლოდინით თვალები დაეწყდათო, ჩაიბუტბუტებდა, ძლივს აითრევდა გამხდარ ტანს, სამზარეულოსკენ გაიშვერდა ხელს — ვახშამი თუ გინდა — მზად არისო, საწოლ ოთახში შელასლასდებოდა, შვილების რიკულებიან საწოლებს შორის ჩაჭედილ ლოგინზე გაუხდელად ჩაემხობოდა და გაითიშებოდა. ბავშვებს მშვიდად ეძინებოდათ. ნუციკოს, როგორც ყოველთვის, საბანი ექნებოდა გადახდილი და აწეული პერანგის ქვეშიდან პატარა, მკვრივი ტაკუნები გამოუჩნდებოდა. ნაზად დააფარებდა საბანს, ვარდისფერ ლოყებსა და პაწუა ცხვირზე მოეფერებოდა და საბანში ტკბილად გახვეულ გოგიასკენ მიტრიალდებოდა. ბიჭმა ღრმა ძილი იცოდა; საბნიდან მხოლოდ ქერა კულულები და დედისკენ გაწვდილი წვრილი ხელი მოუჩანდა ხოლმე.

ბავშვები იმ სახლში იყვნენ დაბადებულნი და არაფერი იცოდნენ, აქ, გოგებაშვილზე მიტოვებულ სამყაროს შესახებ. შეჩვეულნი იყვნენ იქაურ ქარსაც, ზათქითა და ზრიალით რომ ასკდებოდა მეთექვსმეტე სართულზე გამო-

კიდებული ბინის ფანჯრებს და იმ სულისშემხუთავ ოხშივარსაც, ერთსა და იმავე დროს, დილა-საღამოს, შორიახლოს მდგარი ქარხანა რომ ანთხევდა; შეჩვეულნი იყვნენ იმასაც, დედა ფაციფუცით რომ იჭერდა თადარიგს — ფანჯრებს გმანავდა და გარეთ არ უშვებდა — დაიხრჩობითო. მთელი დღე დაბალჭერიანი ბინის კედლებთან აწყობილ ძველებურ ავეჯს შორის დარბოდნენ ბავშვები და აზრადაც არ მოსდიოდათ, რამდენი რამის მომსწრე იყო მათი საკუთრების ეს ნამსხვრევები.

არა, არ შეიძლებოდა არ დაეწერა, მათთვის მაინც, ის, რაც მის გონებას შემორჩა, არ აღეწერა ის საღამოები, როდესაც ამ მრგვალ მაგიდასთან მიმჯდარი გიორგი სქელ, გაყვითლებულ ლამაზ ფოტოებზე შემორჩენილ მათი სახლის სხვა ოთახების სურათებს ათვალიერებდა. გვერდზე, გაუქმებულ კარს მიღმა მდებარე კაბინეტიდან, სადაც კიტელიანი მეზინკლე ცხოვრობდა, დროდადრო ვიღაც ქორწილების მომღერლის ხრინწიანი ხმა გამოჰყოდა — „ჩაგიცვია ვიწრო კაბა ველარ დაა-დი-ო-ხარ, ტრამვაიში, ტროლეიბუსში ხადნით ა-ადი-ი-ხარ...“ პაპა ყურს მიუგდებდა, თავს უკმაყოფილოდ გადააქნევდა, წიგნების კარადიდან ფირფიტას გამოიღებდა და ფირსაკრავზე დადებდა. ერთხანს სიამოვნებით მოუსმენდა საყვარელ მელოდიას, მერე ალბომს იმ გვერდზე გადაშლიდა, რომელზეც კაბინეტში მყოფი მამამისი იყო გადაღებული; ჩააშტერდებოდა ხმლითა და დამბაჩებით შემკულ ხალიჩას, ღომის თავებით მოჩუქურთმებულ კაკლის მასიურ საწერ მაგიდას და მასთან მიმჯდარ ღრმა ჭრილობით დიაგონალურად სახეგადასერილ ჭარმაგ მოხუცს, პირქუშად რომ შემოგცქეროდათ. დროშას უმზერდა, ამბობდა გიორგი და იმ ამბავსაც მოაყოლებდა, როგორ მიდიოდნენ სამხრეთ საქართველოს თურქთაგან გასათავისუფლებლად ქართული მოხალისე რაზმები. წინ ეს დროშა მიუძღოდათ — ერთ მხარეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატითა და მეორე მხარეს ძლევამოსილი წმინდა გიორგით, გარშემო ოქროს ასოებით რომ ჰქონდა გამოყვანილი: „ჩვენთან არს ღმერთი. უწყოდეთ, წარმართონ, ჩვენთან არს ღმერთი და გვმორჩილდებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!“ დიდხანს უყვებოდა ჩოლოქის ბრძოლაზე, მის გმირებზე და იმაზეც, რომ დროშა, პაპამისის განსაკუთრებული გმირობის გამო, მათ სახლში ინახებოდა. ამბავს რომ მოათავებდა, ერთხანს გარინდული იჯდა, მერე ალბომის ფურცელს გადაშლიდა და სხვა ამბის თხრობას იწყებდა...

არ შეიძლებოდა არ დაეწერა იმ დღეზეც, გიორგის გარდაცვალების გამო დიდედასთან რომ მიიყვანა დედამ. არ შეიძლებოდა არ აღეწერა ელექტრონით გაჩახჩახებულ მარმარილოს კიბეებსა და მის თავზე მოქცეულ ბაქანზე ბოლთის მცემელი, მოხუტბუტე, სიგარეტმომარჯვებული მამაკაცების უხერხული მიმოხვრა და ის გრძნობა, ოთახში შესულ ბიჭს რომ დაეუფლა. შუაში მდგარ ტახტზე ხეწარგადაფარებული მიცვალებული ესვენა. საწოლები დაეშალათ და სადღაც წაეღოთ, კარადები კედელთან მიედგათ და ოთახის სივრცე ისე ჰქონდა თვალს, რომ ერთხანს გაშეშებული იდგა ზღურბლზე. ფანჯარასთან, კუთხეში, მაგიდასთან მჯდარი ნინო აღგა და მათკენ გამოემართა. წელში გამართული სწრაფად მოდიოდა, მის ფეხქვეშ იატაკი ტკრციალებდა და ეს ხმა ფართოდ გაშლილი ოთახის კედლებსა და ფანჯრის მინებს ეხლებოდა, ზარისებრ ჩაესმოდა ყურში და აქეთობისას მის გონებაში წარმოსახული ვაი-ვიშის ნაცვლად, ხეიმურობის იმპულსად გრილად ეხლებოდა გავარვარებულ სხეულს. ქალი მათთან მივიდა, დედას უსაყვედურა, რად გინდოდა ბავშვის წამოყვანაო, მაგიდასთან მიიწვია. თავს იოკებდა, ქმრის სურათს უყურებდა და ვითომ აქ არაფერიაო, ოჯახურ ამბებს ეკითხებოდა. მერე ცხედრისკენ გაიხედა და თქვა:

— ჩოლოქის დროშა, ციმბირშიც რომ

არ მოუცილებია, ტანზე რომ ჰქონდა შემოკრული,... ჰო, ჰო, დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ასე იყო... და მერეც არავისთვის უჩვენებია, სიკვდილის წინ ამომალებინა, ემთხვია და მითხრა, ვატოს მიეცი, იმან ჩაიტანოს სიონში, მამა თედორე მოძებნოს და უთხრას, გიორგიმ საპატრიარქოს შესწირაო. მაგრამ თედორე ამ დილას თვითონვე მოვიდა, გიორგის სიკვდილი შეეტყო და დროშაც დილასვე მივეცი... — ხმა ჩაუწყდა, ვატოს თავზე მოხვია ხელი და დიდხანს კოცნიდა.

არა, არ შეიძლებოდა წარსული დაეკარგა ბავშვებისათვის, და როგორც კი სახლში მივიდოდა, მაშინვე შეუდგებოდა წერას. უბრალოდ ყველაფერი უნდა დაეწერა, რაც იცოდა. მაყაშვილის შეკიდებულ აღმართს რომ აივლიდა, გოგებაშვილზე გაუხვევდა და სუნთქვა რომ შეუგუბდებოდა, სწორედ აქედან უნდა დაეწყო. მთავარი იყო, საუკუნეთა გასაყარის თბილისის ჩვეულებრივი, ერთსართულიანი, ალაგ-ალაგ აგურგამოვარდნილი კოხტა სახლი კარგად გამოსვლოდა, აღეწერა შავი, მძიმე კარი, უხერხულად რომ გამოჩხერილიყო მის კედელში. კარის სწორ ზედაპირზე ამოჩუქურთმებული სხვადასხვა ფორმებიც არ დავიწყებოდა, აღეწერა ის უმნიშვნელო სხვაობა, რომელსაც ეს ჟამთასვლისგან პოლირებაჩამოცლილი [illegible] ფორმები შეუმჩნევლად ყურძნისმაგვარი, გლუვ ჩუქურთმებში გადაჰყავდა. არც ის ბნელი სადარბაზო გამორჩენოდა, სადაც მხოლოდ ფეხქვეშ აგუგუნებული იატაკის ხმით გრძნობდა ცასა და უსასრულო სიცარიელეში რომ შეაბიჯებდა ხოლმე. სადაც მხოლოდ ნაბიჯების ხმითა და პაპის [illegible] გამხმარი, მძიმე ხელით უკავშირდებოდა სამყაროს. აღეწერა უჩინარი მარმარილოს კიბეები და მარმარილოსავე ბაქანი, ჭრიალით გაღებული კარის ღრიჭოდან გამოჭრილი არცთუ ისე ძლიერი შუქი რომ გაანათებდა და ის ორი ფიგურა — მხრებში მოხრილი, მაღალი, ძარღვიანი, ცალულში დაბეხრეკებული ჯიშიანი ულაყივით თავდახრილი კაცისა და პატარა ბიჭისა, წელამდე ძლივს რომ წვდებოდა. ორივენი გამოღებულ კართან დგანან, უფრო სწორედ, კარის ძირში, არანაკლებ მასიურისა, ვიდრე სადარბაზოს კარია და ოთახის მოპირდაპირე კედელზე დაკიდული ცხენოსნის ფოტოსურათის ქვეშ, მრგვალ მაგიდასთან მიმჯდარ წიგნზე თავდახრილ მოხუც ქალს შეჰყურებენ. ქალი თავს ზევით სწევს, კისერი გვერდზე შეუტრიალებია, გრძელი, ასკეტური სახე და დიდი, შავი თვალები შეკითხვას გამოხატავენ.

— რაიმე ხომ არ შეგემთხვათ, ყმაწვილებო? — კითხულობს ქალი.

ბადრი გუგუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ ვიბადებით

ჩვენ არ ვიბადებით მთვარის ალერსში
ან ჰრიჰინობელის ხმის მოლოდინში —
ჩვენ ვიბადებით
უპატრონო ძაღლების ყმუილში
და ჩვენი პაპისპაპის დარგული ჰადრების
ზათქით დახეთქებაში.
ჩვენ ვიბადებით
პრეისტორიული სოფლების უკანასკნელ ამოკივლებაში,
ხევისბერების უკანასკნელ ამოოხვრაში,
ციდან მოწყვეტილი ჩანჩქერების დაარტახების
და ქარხნის მილების ღრუბელგამჰოლი ყალიონების ეპოქაში.
ჩვენ ვიბადებით მაშინ,
როცა გზები
ასფალტის და რკინის ხელებით
გუდავენ დედამიწას.
ჩვენ ვიბადებით მაშინ,
როცა ჩვენივე მარჯვენით ვფხრიწავთ იმ გარსს,
რომელიც გვიცავს.
ჩვენ ვიბადებით
და დაბადებიდანვე
— იქმენ ნათელის! — ნაცვლად
ვისმენთ:
ვ ი ლ უ პ ე ბ ი თ!

* * *

თვალს ყოველთვის
ვარიდებდით
ერთიმეორეს —

რაღაცას
მუდამ იმ დღისთვის ვდებდით,

როცა ერთ-ერთი
ამ ქვეყნად უკვე არ ვიქნებოდით.

ახლა იგი
აღარაა.

მე მის თვალებში
ჩახედვისა
აღარ მცხვენია,

რადგან ასეთ დროს
ჩემს სულშიღა თუ
ვიხედები.

## მარცვალი

დამინახა და
— გამომადგებაო —
იფიქრა,

მე კი ჩემი გაჭირვება
მქონდა:

— ნეტავ როგორ მომივლის,
ნეტავ როგორ მომივლისო —
ვფიქრობდი.

— მის ხელში ნაყოფი გამოვიღო,
თუ არ გამოვიღოო —
ვფიქრობდი.

თანაც იმას ვფიქრობდი —
როგორი ნაყოფი გამოვიღო:
როგორიც იმას უნდაო,
თუ როგორიც მეო?!

## სამყარო, როგორც ფიქრი

1.

ნეტავ წყალი,
წამწამებს რომ მოსწყდება ხოლმე
საიდან მოდის?

ის ხომ ფიქრის ღრუბლებიდან
იღებს სათავეს.

ყველა მდინარეს
ყინული შობს,

ყინული ღღვება
და წვეთ-წვეთობით
ივსებიან
მდინარეები.

ვერა, ვერ იტანს
ყინული სითბოს
და იწყებს ტირილს.

მაგრამ შენ სხვა ხარ,
საპირისპირო, —
ჰოდა, როცა მოდის სიცივე,
შენ იწყებ დნობას
და ცრემლებიც
სწორედ მაშინ გადმოგცვივდება.

ო, შენ სითბო ხარ,
რომელსაც ადნობს სიცივე
და შენი წყალიც
წამწამებიდან
გადმოდინდება.

თუ იქ, სადღაც,
სითბოთი დნება
ბუმბერაზი ყინულის მთები.

შენში სიცივით
დნება ხოლმე
ფიქრის ღრუბლები.

2.

ფიქრმა, როგორც
ხე მოისხამს ხოლმე ცახცახა ფოთლებს,
ისე მოისხა —
ნათესავები, შვილები, გზები, სახლები,
სამშობლო და ექვენებივით მოკამკამე
თეთრი ხომლები,
ღმერთი, დუმილი...
და სიკვდილის წინ, შემოდგომაზე,
ისე დაგცვივა შენც ყველაფერი,
ვით ხეს ფოთლები.
მერე ვინ იცის,
იქნებ მაგ ხეშ, იგივე ფიქრმა,
უკვე ახალი გამოისხას
ნაზი კვირტები
და შენც დაიწყო სხვა სიცოცხლე
განახლებული.

3.

შენ იშლები სამყაროში,
თუ სამყარო იშლება შენში?!
მაგრამ ამას აქვს განა აზრი,
შენ ხომ მუდამ შენს თავს უსწრებ
და რაც წინ გხვდება,
ის უკვე შენ ხარ.
ვინ იცის, როდის გაიშალე ამ
ვარსკვლავებად
და ამ სიშავედ,
რომელსაც ახლა დუმილით უმზერ?
ვინ იცის როდის დაიშალე იმ
ჰორიზონტად,
რომლის იქითაც ახალ-ახალ
ჰორიზონტებს ჭვრეტ?
ვინ იცის, როდის იქეცი იმ ზღვად,
რომელიც ახლა ტერფებს გისველებს?
შენ ხომ იმიტომ მოსწყდი ქალის
ხორბლისფერ საყდარს,
რომ გეწყო გაშლა!

4.

გეკითხებით —
რამდენი თვალით ვიყურები,
როდესაც მძინავს?

გეკითხებით —
რამდენი თვალით ვიყურები,
როცა აღარ ვარ?

იქნებ არ ყოფნა,
სულაც უთვალავ თვალად
ყოფნაა?!

და იქნებ მანამ,
სანამ ორი თვალი მაქვს მხოლოდ,
უნდა ვისწავლო
იმ სიმდიდრის გამოყენება,
რომელიც ხელში ჩამივარდება მაშინ,
როცა
მე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები?!

ვინ იცის, იქნებ
ამ ვარსკვლავებით,
უნაპირო სივრცეებად რომ გაფანტულან,
ჩემს სხეულს ვხედავ?

5.

უნდა ვიპოვო თვალების თვალი,
თვალი რომლითაც
„უთვალონი" იხედებიან,
თვალი რომლითაც იხედება ხე და
ბალახი,
მდუმარე მთა,
ზღვა, ხევები...

უნდა ვიპოვო თვალების თვალი,
თვალი რომელიც არ თხოულობს
სხეულს და ზომებს.
(თვალი, რომლისთვის სულ ერთია
წარსული, აწმყო თუ მომავალი;)
თვალი, რომელიც ნებისმიერ სივრცეებს
განჭვრეტს.

თვალების თვალი
ნებისმიერ ადგილსა ხედავს.
თვალების თვალი
ყველაფერს ხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ირაკლი არაბული

* * *

დრო ჩათავდა სიზმრად ყოფნის,
ეჰე, გულიც ჩამობერდა,
რაც ვახარე, ის ნაყოფი
ქარმა ერთ დღეს ჩამობერტყა.
წლებმა ადრე დაგვითოვეს
იმედებით სავსე მთვარე;
მიდის, მიდის და გვიტოვებს
დრო ბილიკებს ნასევდარებს.
ეს ცხოვრება ასე მიდის,
ალგვამაღლებს სოდომამდის,
სავსე სიბრძნით, სავსე მითით,
აუწყველი ცოდო-მადლით...
დრომ არავინ შეიწყალა.
გვეტევება, გვედავება,
დე, გვაჩვენონ დევის ძალა
წლებმა რკინის მკვნეტავებმა!..
ჟამი როდი აგვიანებს
(კაცმა რაგინდ აგვიანოს!)
დროვე კურნავს მაგ იარებს,
გზავ, რაც გვკაწრე, ჯაგიანო...
წლებმა კი არ ჩაგვიარეს,
ახლა უნდა ჩაგვიარონ...

* * *

შენთვის ყოფილა სულ ერთი
აჯა, თხოვნა, თუ ქენება,
ბოლოს გვალანდე სულეთი —
ისა ქენ, რაიც გენება...
ვერ მათქმევინებ: „ავახმე“,
სიყრმეს ვერ დამიბერება:
სამოთხის კართ რომ შავალებ,
ერთს მაინც შავიმღერნება!..

* * *

რა ვუყოთ, თუ გულს ნამცხეთარს,
ერთი ტკივილი წამოსცდა!
შენ გთხოვდი სულის განწმენდას,
როგორც მოგვთა და სალოსთა...
რად მიმატოვე ამ წლებთან —
ოხვრით გალეწილ კალოსთან?..

* * *

თუ შენში მაგრობს ფესვები ვაზის
და გინდა ქვეყნად კვალის გატანა,
ჯერ ეს განსაჯე — შენს სულში რა ზის —
ეგებ ღმერთიც და ეგებ სატანაც!
ეგებ მორჩილებს კეთილი ბოროტს,
გზას ნათლისაკენ ხმლებით ხაზავენ;
სულს იმსხვერპლებენ ბოლოს და ბოლოს:
კეთილს ბოროტთან რა დააზავებს?..
ცეცხლი ედება, ცეცხლი სანიშეს
და სასწორზე ძევს ყოფნა-არყოფნა;
ეს მიგვანიშნებს, ეს მიგვანიშნებს,
რომ სიკვდილი ჯობს სულის გაყოფას...

* * *

შენზე ფიქრი გამარინდებს —
ერთი შანსი გადარჩენის...
ოღონდ დარდი ამარიდე,
გულს ახსენი სატანჯველი!
ვით ჭაშნიკი საფერავის,
მმატებს იმგვარ სითამამეს...
სულს უმეფებს სხვა ვერავინ,
სხვა ვერავინ ითამარებს...
შენ გიმზერ და ცა ნათელობს,
მთა მაღლდება, ბარი ბარობს...
სხვას არას გთხოვ, სანატრელო,
შენმა ლოცვამ დამიფაროს!..
გულში ლახვარდამასობლად
ჯობს, წაიღო ბევრი წყლული,
ვიდრე იყო ამა სოფლად
სატრფოსაგან შერისხული!..
დღეს ის ნიში არ ინთება,
საიდუმლოს რომ მალავდეს.
წუთიერი გარინდება
მაინც შენს თავს მომალანდებს...

ნუგზარ ჟუხაზავა

# ვიდრე ნაპერწკალი ღვივის

მოთხრობა

„ჩემი გული ყვითელ ფოთოლივით ჩამოვარდა წუხელ... დრო სიზმარივით გადის...“

ტერენტი გრანელი.

## 1. მწუხრი

როგორც იქნა, დამშვიდდნენ. დალაგდნენ, მიწყნარდნენ.

დაღლილობამ თავისი გაიტანა, იძალა და, სიკოს სიტყვებით რომ ვთქვათ (სიკო ჩემი მძახალია, ძველი მოჭიდავე), შუაკაურით გააკრა ბეჭებზე დიდი და პატარა.

ცხადია, დაიღლებოდნენ. რამდენი რამ გადახდათ თავს ამ ორი კვირის განმავლობაში!

ჯერ ერთი, მოლოდინი.

აკი თვითონვე მოვისმინე პროფესორის ნათქვამი: დიდი-დიდი, ორი კვირა გასძლოს, თუმცა უბედურებისთვის ყოველდღე მზად უნდა ვიყოთო (ეს ისეთნაირად თქვა, გეგონებოდა, თვითონაც ფეხმოუცვლელად, დღისითა და ღამით, მომაკვდავის სასთუმალთან ჯდომას აპირებსო; ისემც რა ვუთხრა! ჩაუცურა ალბათ რეზომ პიჯაკის გარეთა ჯიბეში ცინცხალი ხუთთუმნიანი და, შესაძლოა, კიდევ იქით დაამშვიდა და დააიმედა: ნუ სწუხართ, ბატონო, ფხიზლად ვიქნებითო). ცნობილი ამბავია — პროფესორებიც ადამიანები არიან და ზოგჯერ ისინიც სცდებიან ხოლმე, მაგრამ ეს ჭაღარა სიმპათიური კაცი ნაღდზე უნაღდესი პროფესორია და, როგორც იტყვიან, ტყუილიც კი დაეჯერება, ამიტომაც იყვნენ ჭირისუფლები მთელი ამ ხნის განმავლობაში დაძაბულნი და ნიადაგ ავი ამბის მოლოდინით გულგადალეულნი. მეტისმეტად დამღლელია ეს მოლოდინი, საკუთარ თავს არ უტყდები, თორემ ერთი სული გაქვს, როდის მოეღება ბოლო (მოლოდინს, რა თქმა უნდა! აბა მომაკვდავზე ამის გაფიქრებას რომელი ქრისტიანი გაბედავს!).

ეს — ერთი.

ახლა — მეორე.

ავადმყოფი მილიონნაირი არსებობს და ყოველი მათგანის მოვლა, ცნობილი ამბავია, ათას პრობლემასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ძნელი (სწორედ „ძნელი“ და არა „მძიმე“) ავადმყოფის პატრონობაა. ძნელი იმ ავადმყოფს ჰქვია, რომელიც შეგნებულად უშლის ხელს მკურნალობის რთულ პროცესს — არ ყლაპავს აბებს („მაინც არ მშველის...“), უარს ამბობს ინექციაზე, არ ჭამს და არ სვამს. და ამას აკეთებს ან იმიტომ, რომ სნეულებამ დაღალა, მობეზრდა ყველაფერი ეს და სურს თვითონაც მოისვენოს და სხვაც დაასვენოს, ან კიდევ იმიტომ, რომ ჭამასა და სმას აუცილებლად მოჰყვება ხოლმე რეგულარული განტვირთვის სურვილი, ავადმყოფს კი ადგომა არ შეუძლია... და მომვლელს დამატებითი საზრუნავი რომ არ გაუჩინოს, სნეული ჭამასმაზე უარს ამბობს („არ მინდა, არ მშია, არ მწყურია, ვერ ჩავყლაპავ...“) ...იმას კი ვერ ხვდება ან არ სურს მიხვდეს, რომ ამით უარესად ანერვიულებს და კიდევ უფრო ..ვლის ქანცს ისედაც გაწამებულ მომვლელებს . რას იზამ, ყველა მძიმე ავადმყოფი, ცნობილი ამბავია, მეტნაკლებად ეგოისტია.

ესეც — ორი.

ახლა — მესამე.

დეფიციტური მედიკამენტებისათვის გაქცევა-გამოქცევისა და საგანგებო კვებაზე ზრუნვისაგან, მადლობა უფალს, კი გაათავისუფლა მომაკვდავმა თავისიანები (ესეც კარგი შეღავათია, კაცმა რომ თქვას), მაგრამ აი, მნახველების საკითხში... აქ ის უღონო იყო, ამათ ვერ აუკრძალავდა მისვლა-მოსვლას, უბრალოდ — არ ჰქონდა ამის მორალური უფლება თუნდაც მხოლოდ ორი მიზეზის გამო: ეს ხალხი, ფაქტობრივად, მისი, მომაკვდავის სანახავად კი არა (რა აზრი აქვს ენაჩავარდნილ და სმენაწართმეულ ავადმყოფთან ათწუთიან ვიზიტს თვით ავადმყოფისათვის?), უფრო ოჯახის წინაშე ვალის მოსახდელად მოდიოდა; გარდა ამისა, ოჯახის წევრებს, თავიანთი მხრივ, ხომ უნდა მოეწონებინათ თავი მნახველთა წინაშე (ნათესაობა, მეგობრები, მეზობლები, თანამშრომლები...) — აი, რა მყუდრო კუთხე მივუჩინეთ ავადმყოფს, რა გაკრიალებულ-გაქათქათებულ ლოგინში გვიწევს, თავს რარიგ ვევლებითო!.. ადამიანები ვართ ყველანი და, ცნობილი ამბავია, უამრავი სისუსტე აქვს ადამიანს... ჰოდა, ყველა მომსვლელთან წინდახედული და მობილიზებულ უნდა იყო, ღმერთი რომ არ გაგიწყრეს და ურიგო არაფერი დაგცდეს, ზომაზე მეტი საყვედური არ გაურიო შენს ნათქვამში, როცა დაიჩივლებ — რა ვქნათ, ბატონო, წამლები არ გაიკარა და საჭმელზედაც ცივ უარს გვეუბნებაო. ამას რომ იტყვი, საყვედურზე მეტი ალერსი და გულისტკივილი უნდა ისმოდეს ხმაში. თუ თვალები აგიწყლიანდება (გინდ ბუნებრივად, გინდ „ისე"), მთლად უკეთესი... ჰოდა, გასავათდები ამდენი სიფრთხილისა და დაძაბულობისაგან, აბა რა იქნება, ქვა კი არ არის, მართლა და მართლა, ადამიანი!

ეს მესამეა, ხომ?

ახლა — მეოთხე.

ზაფხულის თაკარა ნაშუადღევს სოფლის მიმყუდროებულ ორღობეში მიმავალ ჩაფიქრებულ მგზავრს რომ ძაღლი წამოეპარება (ციდამტკაველა ფინიაც რომ იყოს), მოულოდნელად შეუყეფს და მუხლებში ჩაკეცავს, აი, იმ მგზავრმა იცის, რა არის ელდა. კი ბატონო, ხელადვე შეხტება და შემოტრიალდება ეს ჩვენი მგზავრი, ქვას ხელს წამოავლებს და, მოგეცა ლხენა, იმ ძაღლს დაიფრენს, მერე შებრუნდება და გზასაც განაგრძობს, მაგრამ გული საგულეს მაინც დიდხანს არ ჩაუდგება და ფეხებიც კარგა ხანს ექნება ისე დამძიმებული, თითქოს მარათონული დისტანცია გაერბინოს. და ყველაფერი ეს ერთ ნამში, ჰა და ჰა, ერთ წუთში მოხდა, და თანაც სიცხისაგან გასავათებული ძაღლის ერთმა შეყეფებამ გამოიწვია. ჰოდა, ახლა ისიც ვიფიქროთ, რა დღეში ჩავარდები, როცა ერთი წუთით მეორე ოთახში გასული უკანვე შემოხვალ და ავადმყოფის სასთუმალთან ჩამომჯდარ სიკვდილს დაინახავ?.. ან კიდევ გვიანი გაზაფხულის გრძელ დღეს, დილიდან საღამომდე აეროპორტში ნაყურყუტევი — იქნებ ტაშკენტიდან ჩამოფრენილ ვინმე ქრისტიანს (შეიძლება მაჰმადიანიც იყოს — ამ შემთხვევაში სულერთია) საზამთრო გამოვთხოვეთ (ჰო, უყვარდა, მაგრამ თუნდაც მოუნდა, შეჭამდა კი, ან გემოს გაუგებდა კი მომაკვდავი იმ საზამთროს?) — ლიფტიდან რომ გამოხვალ და შენი ბინის ღია კართან თამბაქოს ლურჯ კვამლში გახვეული ორი-სამი მეზობელი მამაკაცი დაგხვდება, რიგ-რიგობით ხელს რომ გამოგიწვდიან და მზერას აგარიდებენ? (ან: „რას იზამ, ასე ეწერა ალბათ..." ან: „ასეა, ხვალ თუ ზეგ ჩვენი რიგიც მოვა...)... ან დირექტორი რომ საკლასო ოთახის კარს შემოგიღებს გაკვეთილზე სწორედ იმ წუთს, როცა მოსწავლეებს ლადო ასათიანს უკითხავდი („და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!"), დერეფანში გაგიყვანს, მკლავში მსუბუქად მოგკიდებს ხელს და გეტყვის, სახლიდან დაგირეკეს, ვერაა კარგად საქმე, წადი ახლა შენ, გაკვეთილს მე გავაგრძელებო?. მერე რა, რომ თითქოს რალაცნაირად შემზადებული იყავი უკვე საამისოდ, თითქოს უკვე შეეგუე იმ აზრს, ბოლო გარდაუვალია, საამქვეყნო აღარ არისო!.. ააარა, ბატონო, ტყუილია, სიკვდილთან შეგუება ვინა თქვა, სად გაგონილა! ორი კვირა კი არა, მენდეთ, წლობით რომ ელოდო და ემზადო, მაინც მოწმენდილ ცაზე გავარდნილი მეხივით მოულოდნელად დაგეცემა თავს, მხრებში მოგკაკვავს, წელში გაგლუნავს და მუხლებში ჩაგკეცავს (სხვისას ვამბობ, თორემ საკუთარი ადვილია!). სიკვდილი ისეთი ელდაა, იმასთან ძაღლის ერთი შეყეფება რა სახსენებელია!..

ეს ხომ — მეოთხეზე ვილაპარაკეთ.

ახლა — მეხუთე და მთავარი.

საკუთარი გამოცდილებით ვიცი (ბევრმა სხვამაც იცის ალბათ), რომ მიცვალებულს გარდაცვალების ჟამიდან (ტრადიციისამებრ, წამს ვუწოდებ დროის ამ მონაკვეთს, თუმცა, როგორც ვატყობ, მალე მოგვიწევს მისთვის სახელის გადარქმევა) დაკრძალვის მომენტამდე (და შემდეგაც, წლისთავამდე მაინც) იმდენი სამსახური, მთელი ახლო ნათესაობის, მეგობარ-მეზობლების ისეთი ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება, რამდენიც, შესაძლოა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ღირსებია. პირველი შეცხადება, თმის გაშლა, ლანების ჩამოხოცვა და გულშემოყრა ჩათავდება

თუ არა, მაშინვე, ცნობილი ამბავია, დგება ოთახის დაცლის ჯერი („ჩემთან გავიტანოთ, ზოგს ლოჯიაში დავაწყობთ, ზოგს — აივანზე", — ეს ვაჟაა, მოპირდაპირე მეზობელი, სადარბაზოს ყოველგვარი ჭირისა და ლხინის, ასე ვთქვათ, დირექტორ-განმკარგულებელი); საშოვნელია ცხედრის დასასვენებელი ტახტი, რომელიც შუა ოთახში უნდა დაიდგას („სამოვარას უნდა ჰქონდეს სარდაფში, გამომყევით რომელიმე, ამოვიტანოთ", — ეს სანდროა, ზემოთ სართულის მეზობელი); საწოლიდან ტახტზე ცხედრის გადასვენებას ოთხი კაცის ღონე მაინც სჭირდება („მართალია, ხომ იცი, მიცვალებული მძიმდებაო", — ამას კიტა ამბობს, სანდროს სიძე); მებალზამეც მოსაყვანია (ვაჟა: „ერთი საათის წინ ვნახე, მოთ-კეცული მთვრალი შეიყვანეს სახლში. ამას დილამდე არაფერი უჭირს, სიგრილეა. თანაც ცარიელი ძვალი და კანია, რაში ედგა სული, საოცარია პირდაპირ!"). გაზეთ „თბილისის" მეშვიდე გვერდზე მოსათავსებელი განცხადების ტექსტიც დასადგენია („მამიდაჩემს დავურეკე წელან, — ეს რეზოს ხმაა, — ნამოსული იქნება ახლა, ბარემ დავუცადოთ, ვინმე არ გამოგვრჩეს"); ახლა სამოქმედო გეგმა უნდა ჩამოიწეროს — სახვალიო, საზეგიო, სამაზეგიო (ვაჟა: „სასახლე, შავი ხავერდი, ავტობუსები, მუსიკა ხვალ უნდა გამოვიწეროთ, სურათის შეკვეთაც ხვალვე მივცეთ. საფლავის საქმე როგორ იქნება, ადგილი გაქვთ?" — ეს შეკითხვა, ალბათ, მიცვალებულის მეუღლისადმია მიმართული...); დეპეშები („რეზო: „მამიდაჩემი და დემნა ბიძია ჩამოწერენ სიას").. მოკლედ, გვიან ნაშუღამევამდე ამ საქმეს უნდებიან და, ისედაც ძალგამოლეულებს, მთლად ქანცი გაუწყდებათ, აბა რა მოუვათ, რკინა რომ რკინაა, ისიც კი იღლება, არამცთუ ადამიანი!..

ჰოდა, როგორც იქნა, დამშვიდდნენ. დალაგდნენ, მიწყნარდნენ.

## 2. გზა

როგორც იქნა, დამშვიდდნენ. დალაგდნენ, მიწყნარდნენ.

ახლა შეუძლია იფიქროს. ხმაური ხელს აღარ შეუშლის, გონება აღარ გაეფანტება. ჯერ მაინც არ ეძინება. საერთოდ, შესძლებს კი დაძინებას?

მძიმე დღე იყო. თუმცა თვით დღეს არა უშავდა, სხვებზე უარესი არ ყოფილა... საღამო იყო მძიმე.

ჯერჯერობით მხოლოდ ნათესავთა და ახლობელთა ვიწრო წრემ იცის ნოდარ ფარტაზის გარდაცვალების ამბავი. მერე გაფართოვდება ეს წრე (წყალში რომ ქვას ჩააგდებ და ზედაპირზე წარმოქმნილი წრე რომ გაიშლება, იმნაირად), თბილისს გადაუვლის და წავა საქართველოს პერიფერიებისაკენ. თითქმის ყველა კუთხეში ჰყავდა (თუ ჰყავს;) ნოდარ ფარტაზს ან ნათესავი, ან მეგობარი, ან — თუნდაც — მეითხველი.

მშვიდად, ნოდარ...

თუმცა... თუმცა არასოდეს ყოფილხარ ასეთი მშვიდი.

შენ უკვე იცი, როგორ მიდიან ამა ქვეყნიდან: სულთაბრძოლა... ხრიალი... უკანასკნელი, მწარე გაზმორება... უფრო და უფრო ნელა ფეთქავს ყელზე მთავარი ძარღვი... მერე საერთოდ ჩერდება ფეთქვა... და... სიჩუმე..., შენ უკვე იცი, — საკუთარი თვალით გინახავს... მკვდრის გეშინოდა და — შენ გადაასვენე საწოლიდან ტახტზე... კუბოს დანახვა გზარავდა და — შენ ჩაუფინე შიგ მიცვალებულს თან წასატანი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი... მკვდარს ხელს როგორ ახლებდი და — მხრითატარე სასაფლაომდე...

ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ცხრაჯერ...

ეჰ, ნოდარ ,ნოდარ...

ნოდარ ფარტაზი — ჰო, იყო ერთი ასეთი პიროვნება...

ქვეყანა არ აუშენებია (არც დაუქცევია!), არც ვარსკვლავები დაუკრეფია, მაგრამ ვიდრე ცოცხლობდა, თავისი ადგილი ეკავა, ხოლო როცა წავიდა, მცირეოდენი კვალიც დატოვა დედამიწაზე.

ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა მისი ცხოვრების გზა. საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა: ომი, მწირი საზრდო, ყველანაირი სახადი... ერთი სკოლა, მეორე, მესამე... ოქროს მედალი... ერთი ინსტიტუტი, მეორე, მესამე... წარჩინების დიპლომი. სწავლის დროს მუშაობდა: კალატოზიც იყო, მებეტონეც, მებათქაშეც, ტაქსისტიც, დღიური მუშაც... ერთი სიყვარული, მეორე, მესამე (საბოლოო)... ცოლი ადრე შეირთო. კარგა ხანს უბინაო იყო. მერე — შვილები, ერთი, მეორე. მაშინ დაიწყო დაღვინება. დედ-მამა ადრე დაეხოცა. ბავშვობისას დარღვეული ჯანმრთელობა ველარ აღიდგინა. თუმცა ზომიერად სვამდა და თამბაქოს არ ეწეოდა, მაინც გამუდმებით სტკიოდა რაღაც, ხან — ეს, ხან — ის. მედიკამენტებით ჰქონდა სავსე მაგიდის უჯრა და პიჯაკის ჯიბე. ყოველი ახალი წელი უკანასკნელი ეგონა. მაინც, მაინც მოვიდა აქამდე, მოაღწია როგორღაც, თითქოს მოიწყო ცხოვრება, შვილებიც დაზარდა, ნორმალურად დააბინავა. რაც თავი ახსოვს, სულ მუშაობდა. ახლაღა დაისვენა.

დაისვენა?

ვითომ დასვენებაა ეს?..

ბავშვობაშიც წერდა, ჭაბუკობაშიც, მერეც. წერდა და ინახავდა. ბოლოს გაბედა და მიიტანა რედაქციაში. დაუბეჭდეს. მაგრამ პირველი ჰონორარის აღებისას ისეთი რამ შე-

ემთხვა, კინაღამ საერთოდ აიღო ხელი წერაზე: მასთან ერთად ერთი ცნობილი მწერალი იღებდა ჰონორარს. ნოდარი წინ იდგა, მაგრამ იცნო (სკოლაში სწავლობდა მის ნაწარმოებებს) და რიგი დაუთმო. ცნობილს მრგვალი თანხა—ოთხი ათასი მანეთი ჰქონდა ასაღები, ახალბედა ფარტაზს — სულ რაღაც ორასიოდე. სამუშაო დღე იწურებოდა, პარასკევი იყო. „ბატონო, — მიმართა მოლარემ ცნობილ მწერალს, — სალაროში სულ ოფხი ათას ოთხი მანეთი მაქვს, თქვენ რომ სრულად მოგცეთ თქვენი კუთვნილი ჰონორარი, ეს ამხანაგი, — ნოდარზე მიუთითა, — სულ უფულოდ დარჩება". „მე რა გავაკეთო?" — წარბები აძგიფა ცნობილმა, ნოდარისკენ არც გაუხედავს. „დაუთმეთ ორასი მანეთი, — სთხოვა მოლარემ. — ორშაბათს მობრძანდით და მოგართმევთ". „ორშაბათს არ მცალია, — მოიღუშა ცნობილი. — თანაც, მე სრულად მჭირდება ეს ოთხი ათასი. გარდა ამისა, — მხრები აიჩეჩა, — კიდევ ოთხი მანეთი ხომ გაქვთ, მიეცით ის, როგორმე ორშაბათამდე იმყოფინებს". ნოდარს თვალთ დაუბნელდა, ის ერჩია, მიწა გახეთქოდა. განა იმიტომ, რომ ფული, მართლაც, ძალიან სჭირდებოდა. მთავარი სხვა იყო — ბავშვობიდანვე ყველა მწერალი ღმერთკაცი ეგონა, ამან კი... მაგრამ თითო მახინჯი, თურმე, ყველა სოფელში ყოფილა... სნვათა შორის, მოგვიანებით იმ ცნობილი მწერლის ნაწარმოებები სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს — რა კაციც იყო, პერსონაჟებიც ისეთები ჰყავდა დახატულ-გაპუდრულ-გალამაზებული.

ეძ, ნოდარ, ნოდარ...

ცოტა ხანს რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა რედაქტორის მოადგილედ. ერთხელ შეესწრო, როგორ დატუქსა რედაქტორმა გაზეთის ახალბედა ფოტოკორესპონდენტი — რა არის ეს, რა სურათი მოგიტანია, ნარკვევი მოწინავე კოლმეურნეზე გაქვს, ამას კი ცხვირ-პირი ჩამოსტირის, საავდრო ცასავით მოღუშულაო. კაცს დედა უკვდებაო, — აუხსნა ახალბედამ, — აბა როგორი სახე უნდა ჰქონდესო? გაგიჟდა რედაქტორი: თვითონ ეს ორმოცდაათი წლის კაცია, დედა სამოცდაათისა ხომ მაინც ეყოლება, მოკვდება ანი, აბა რა იქნებაო! გაშრა ახალბედა ფოტოკორესპონდენტი. რედაქტორმა კი ესეც არ იკმარა, — ანეკდოტს მოუყვებოდი და გაალიმებდიო, — ასწავლა გამოსავალი (სამერმისოდ). ფოტოკორესპოენდენტი იქვე მიუჯდა მაგიდას და განცხადება დაწერა, გამათავისუფლეთო. რედაქტორს ხმა არ ამოუღია, მყისვე დაადო რეზოლუცია (წითელი ფანქრით, ცხადია) — „თანახმა ვარ!" მაშინ ნოდარმაც დაწერა განცხადება და უკანმოუხედავად გამოვიდა კაბინეტიდან.

ასეთი იყო — პასიური პროტესტის იქით არ მიდიოდა.

მთელი ცხოვრების გზა ასე განვლო.

ვინ იცის, მეტი ბრძოლის უნარი რომ ჰქონოდა... იქნებ უფრო ადრე და უფრო მყარად დამდგარიყო ფეხზე და... ცხოვრებისეულ წვრილმანებში არ დახარჯულიყო..., მეტიც შეექმნა, უკეთესიც... იქნებ ასე ნაადრევადაც არ წასულიყო ამ ქვეყნიდან.

თუმცა...

თითო-ოროლს ახლობელს დასწყვიტა გული ჭეშმარიტად, თორემ არც „ამა ქვეყანას" და არც „მისთა მდგმურთა" ბევრი არაფერი დაჰკლებიათ მისი წასვლით.

ეგ რა არის, იმ ერთ წამში, ერთი დედამიწელის, ნოდარ ფარტაზის გული რომ გაჩერდა, ამ უსასრულო და უკიდეგანო სამყაროში, სულ ცოტა, მილიონი ვარსკვლავი მაინც დაიღუპა — იფეთქა და თვალის დახამხამების უმალ არარაობად იქცა თავის პლანეტებიანად.

ცნობილი ამბავია...

ეჰ...

უნდა დავიძინო. ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას მოიტანს.

დილით მებალზამე მოვა!

ბრრრ!..

### 3. ირმა

— ვაიმეე, ნოდარ, ჩემი გულის ნაწილო, რატომ ვარ ცოცხალი, რატომ შენს გვერდით არა ვწევარ, ბიჭო, ხომ გპირდებოდი, მარტო არ გაგიშვებ, მეც შენთან ერთად უნდა წამოვიდე-მეთქი, ნოო-დარ!..

ეს ირმაა.

— კარგი ახლა, ირმა, გაჩუმდი! ასე თუ ქენი, ხუთშაბათამდე სულს ვერ მიიტან, შე ქალო!

ეს ვაჟას მეუღლეა, მადონა.

— ირმა, თავს მიხედე, ეს ბავშვები შენი საპატრონოა, ხომ იცი!

ეს ვერ ვიცანი, ვინ არის.

— არ მინდა, არ-მინ-და! ნო-დარ! ნემსის ჩხვლეტას ვერ უძლებდი, ბიჭო, წვეთი სისხლის დანახვაზე ცუდად ხდებოდი, ნოდარ! ახლა რამხელა ჭრილობა მოგაყენა იმ უგულო კაცმა, ბიჭო, როგორ გაუძელი, როგორ, როგორ, როგორ!

— ირმა!

— დედა, შენი ჭირიმე, დედა, გაჩუმდი, რა, გაჩუმდი, გეხვეწები, რა!

ეს ფატია. შვილი. სიყრმის შვილი. ფატი.

და კიდევ ვიღაც ტირის გულამოსკვნილი. ჰო, ეს ლამარა იქნება, დაი. არ შეუძლია მოთქმა! ეზოში რომ დაასვენებენ ცხედარს, მაშინ იკივლებს ალბათ ერთს გულის გამგმირა-

ვად, იკივლებს და მთელ ქალაქს გადააწვდენს: „ნოდააააარ...“

— აა-რა! არა, ნოდარ! როგორ გაგიმეტა იმ კაცმა, სისხლის მაგივრად ფორმალინის ხსნარი როგორ შეგიშვა ძარღვებში იმ უსისხლომ, ნო-დარ!..

...ოოო, გაჩუმდი, ირმა, გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს. მაინც აღარაფერი ეშველება ამ საქმეს და გაჩუმდი ახლა. პაწია ანგელოზს, ჩვენს შვილიშვილს ნუ გააგონებ ტირილს, ნუ შეაშინებ, ცოდვაა ბავშვი. გული ეტკინება, პატარაა ჯერ, თოთო...

— რა ექნა, ნოდარ, რა! როგორ უნდა გავძლო, როგორ უნდა ვიცოცხლო უშენოდ, ნოდარ, რო-გორ! ვაიმე, დედა, როგორ მტკივა გული, დედა, როგორ!..

ეჰ, ყველაფერს სჯობდა, ალბათ, ნოდარ, შენი თავდაპირველი ჩანაფიქრი. ირმასთვისაც არაერთხელ გითქვამს, შვილებისთვისაც მარტინ იდენივით უნდა წავიდეო. როცა აღსასრულის მოახლოებას ვიგრძნობ, საქმეებს მოვაწესრიგებ, ანდერძს დავტოვებ, ღამე ჩუმად დავკოცნით და გავიპარებიო. ვლადივოსტოკში გავემგზავრები (რატომ მაინცდამაინც ვლადივოსტოკში — არ ვიცი!), გემში ჩავჯდები, ზღვაში გავალ, შუაღამისას ქართული კონიაკით შევთამამდები, გემბანზე გავალ და ისე, რომ ვერავინ შემნიშნოს, მოაჯირს გადავევლებიო. დატირების ცერემონიალსაც ავაცილებთ, ქელეხ-ორმოცა-წლისთავის დავიდარაბას გადაგარჩენთ, სასაფლაოზე სიარულის მოვალეობასაც მოგხსნითო...

ვერ ჰქენი, გულმა არ დაგანება, ხომ, ნოდარ? მართალია: ცოდვაა ის შვილი, ვინაც მამის საფლავი არ იცის...

## 4. „ᲓᲐᲕᲘᲚᲐᲚᲔ“

ჰო, ისინი არიან:

დიტო, ლეო, დემნა, თაზო, გოჩა, ლადო...

ერთად არ ვშობილვართ, თორემ სხვაფრივ... ერთად დავკაცდით. ასაკს არ შეუშლია ხელი ჩვენი ერთობისათვის.

მე ხომ ვიცი:

მოგონებებიც იქნება ამაღამ, ანეკდოტებიც, შეკავებული ჩაცინება-ჩაფრუტუნებაც. ვიცი — მე მითვლია ღრმა მიცვალებულისთვის.

ვიქნები ჩემთვის და მოვუსმენ.

ღმერთო, ნუ გამოულევ სალაპარაკოს!

მიდით, ბიჭებო! ჰე, მასე!..

რაღაც ხდება ტვინში... ფიქრი მიქრის...

ფორმალინი?..

თუ — დავილალე?..

## 5. ᲑᲘᲭᲔᲑᲘ

— ...არა, ის როგორ იყო, აბანოში ნალევა საპონი რომ...

— მე კი არა, დემნას, ჭკვიანო!

— ჰოო?

— რა წანაწარობა იქნებოდა!

— რა იცინა, ბიჭო, რა იცინა თურმე საწყალმა!

— აბა, რა იქნებოდა!

— ნოდარმა კი იცინა, მაგრამ შენ მე უნდა გენახე, რა დღეში ჩავვარდი. ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისა მეშინოდა.

— ფხუკ...

— წარმოუდგენია!

— სხვათა შორის, თუ იცით, ჭკვიანებო, რომელი საათია?

— გეძინება, ლონდრევ? აბა ერთი, სეკას ან ჯოკერს თამაშობდე!

— კი არ მეძინება, ჭკვიანო! ახლა მადრიდში რა ხდება, იცი?

— ბიი-ჭოო! სულ არ გადამავიწყდა?!

— რაა?

— „რეალს“ ვეთამაშებით დღეს ნახევარფინალში!

— მართლა?!

— მოგცლიათ.

— აუ, რა ფერადი ტელევიზორი მიდგას ლოჯიაში! სამი დღეა, რაც გამოვიტანე.

— ჩემი კახა ზის ახლა ეკრანთან და არის ერთ ამბავში. დედამისიც, ხომ იცით, რა გულშემატკივარია!

— დაურეკე...

— ბიჭო, მართლა! ანგარიშს მაინც გვეტყვის.

— მორჩით, კაცო...

— ა, ტელეფონი. ოღონდ ხმადაბლა.

— ნინო ხარ?.. ჰო, მე ვარ. სად ვიქნები... როგორაა საქმე?.. რისი და თამაშის... ვერთობი კი არა... აღარ მეტყვი?.. მართლა?!.. ქალი ხარ დიდებული!.. ორით ნულს ვიგებთ, ბიჭებო!

— ნუ ბღავი, შე...

— როგორ გაიხარებდა ნოდარი!

— აბა!

— ეჰ, რანი ვართ ადამიანები! ეს აქ, ჩვენ კი... ეჰ!..

— მართლაც...

## 6. ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

მეჩვენება თუ... მეჩვენება...

რა დროა ახლა? დილაა ალბათ... თუ ისევ დაღამდა?..

კი, ვიღაც არის ოთახში. ნაბიჯებით... რეზოს ჰგავს...

— მამა!

ჰო, რეზოა. ჩურჩულით ვცნობ... ისაა...

— მაპატიე, მამა...

რა პატიებას ითხოვს... მოიცა... ალბათ იმის... რა ჰქვია... ჰო, რომ არ დაიჯერა ავადმყოფი... მამის სიტყვა. შეპირდა, დავიცდით და... თავისი გააკეთა... მართლაც... დაეცადა ცოტა... რა დროს მაგისი ულელში გაბმა იყო... მაგრამ ახლა ყველაფერი... აწყობილია, კარგადაა... პატარა ბიჭიც... ბიჭი... ბაბუს სეხნია..

— შენი ჭირიმე, მამა...

სულელო. მტერსა და... შენს დამაწყევარს მამაშენის ჭირი, ბიჭო...

— ხომ მაპატიებ, მამა, ხომ მაპატიებ...

ტირის...

— რეზო!

ეს ფატია ფატი-გოგო. ფატი.

— რას შვრები, ბიჭო, აქ?

— ფატი... როგორი ცივია... ნახე, ფატი... ყინულივითაა მამა... მართლა არაფერს გრძნობს, ფატი?..

— ვაიმე, ჩემი მამა, ჩემი საწყალი მამა... რეზო, წამოდი, რა, თუ ჩემი ძამიკო ხარ, წამოდი, რა, თუ გიყვარვარ, რა...

წაიყვანე, შვილო, ჰო, წაიყვანე... მიხედეთ, შვილო, ერთმანეთს, მოუარეთ...

— წამოდი, თორემ გასკდა, ბიჭო, გული!.. მამა, ჩემი მამა...

ჰო, ჰო, გული გეტკინებათ, შვილებო, მართლა... გეტკინებათ... გულს გაუფრთხილდით... წადით ორივენი ახლა, დაიძინეთ... დაისვენეთ... დედას მიხედეთ, ეგლა დაგრჩათ... მეც, მეც დამასვენეთ... მიჭირს ფიქრი... მიჭირს...

## 8. ნატვრა

„რექვიემია". მოცარტი.

აღარ გათავდა ამ ხალხის... მისვლა-მოსვლა... დავიღალე...

— ქალბატონო ირმა...

ეს ვისი ხმაა?.. ჰეჰ... ბიძინა... ნეტავი ახლაც... ღიღინებს გულში?.. ჩვევად აქვს... პანაშვიდზე რომ შევდივარო, მითხრა... რაიმე მელოდია ამეკვიატება და... გულში ვღიღინებო... გაუთავებლადო... დედაჩემს რომ ვასაფლავებდიო, მაშინაცო... გულში „ჩემო ციცინათელას" ვღიღინებდიო... ახლაც, ალბათ... რაღაც სხვას... იქნებ „ხასანბეგურას"...

— ძალზე დაგვწყდა გული, ქალბატონო ირმა...

გურამ გვარამაძეც მოვიდა. საკვირველია... წიგნის რეცენზია... ვითომ გადაიტანა ის კრიტიკა?.. თუ ნიშნის მოსაგებად... ისე, არ ვიყავი გურამთან მთლად მართალი... სხვები უარესსაც... წერენ...

ჟუჟუნა თუ დგას, ნეტავ... სადმე გარეთ... ვერ შემოვა, ვიცი... ახლაც ცრემლად იღვრება, ალბათ... საერთოდ ვერ უძლებს... სამგლოვიარო მუსიკას... ცხარე ცრემლით ატირებს...

ვერც დათო შემოვა... ვერ დახედავს ცხედარს... დგას ეზოში, აბოლებს...

ეს ვინლაა? სალომე... ჰო, ისაა. სა-ლო-მე... არ დავვი... წყეთ-ვარ... მაინც მოვიდა... არ ვიყავი მართალი... თუმცა, მაინც უნდა მოსულიყო... შეიკავებს თავს?.. აი, მივიდა... მიუსამძიმრა ირმასაც... ჰო, აბა როგორ... სიკვდილი ყველას... ათანასწორებს... სიკვდილი უდიდესი მომრიგებელი... შუამავალია...

აღარ გათავდა... ეს მისვლა-მოსვლა... ცუდად ვარ...

შორენა არაა ალბათ თბილისში... თორემ მოვიდოდა უსათუოდ... დამიტირებდა... ხმით...

აღარ მინდა ეს... „რექვიემი..."

ნეტავი ახლა ერთი... „ქარი ჰქრის" მომასმენინა... დედა-შვილი რომ... მღერის... რა ჰქვიათ... „ქარი ჰქრის... როგორ თოვს... ვერ გპოვებ... ვერასდროს... ვერასდროს... ვერასდროს"... ღმერ... თო...

## 8. კოცონი

— მოდით, ბიჭებო...

ისევ დემნა ლაპარა... ახალი... სადღეგ...

— ეს ერთიც დავლიოთ და გვეყო... თორემ ორიოდე საათით თვალი თუ არ ვიოვატყუეთ...

ჰო, დაიღალნ... რა თქმა...

— გაგვიჭირდება და შევრცხვებით, ველარ ვივარგებთ. არა და, ყველაზე ძნელი საქმე, ხომ იცით, დღეს მოგველის...

მართალს... ლაპარა... ცნობილი... ამბა...

— მოდით, ბიჭებო, ამ ჭიქით... დღეს ხომ ბოლო დილა უთენდება ამ ჭერქვეშ, ამ კედლებს შორის ჩვენს ნოდარს, ჩვენს ძმას, ჩვენს სისხლსა და ხორცს...

ბოლო... დილა...

— დღეს უკანასკნელად შეხედავს მზეს...

მზეს...

— ახლობლებს, მეგობრებს...

ახ...

— ჰოდა, რა მინდა, იცით, გითხრათ? ყოველი კაცი თავის სიცოცხლეში კოცონია, დაბადებისთანავე... არა, უფრო ადრე, ჩასახვისთანავე რომ აინთება და სიკვდილამდე იწვის...

სიკვდი... იწვის...

— ზოგი დიდი კოცონია, ზოგი — პატარა, მაგრამ მაინც ყველა ერთნაირად ანათებს...

ყველა... ერთნ... როგ...

— საქმე ისაა, თუ რამდენად ახლოს ხარ ამა თუ იმ კოცონთან. აი, მზეც ხომ კოცონია, უზარმაზარი კოცონი...

მზეც... კო...

— მაგრამ შორსაა და ახლა ეზოში რომ მე და თქვენ კოცონი გავაჩაღოთ, ის იმ ვეებერთელა მზეზე უფრო გაგვათბობს და გაგვინათებს.

ჰო... მართ...

— ასე იყო ჩვენი ნოდარიც. სხვებზე უფრო ახლოს ჩვენთან იყო. მკითხველი სხვა საქმეა, მისი წიგნების მკითხველს არ ვგულისხმობ. ჩვენზე — ოჯახის წევრებზე, ახლობლებზე, მეგობრებზე უკეთ არავინ იცის მისი ნამდვილი ფასი. ენთო კაცი მთელი სიცოცხლე, გვათბობდა და გვინათებდა. სწორედ ჩვენთვის იყო იგი ყველაზე დიდი და მცხუნვარე კოცონი. მზეზე დიდიც...

კოცო...ნი...

— ინათა, ინათა და დაიწვა. ერთი ნაკვერცხალიღა დარჩა მისგან, ფერფლგადაკრული. დედის სულს გეფიცებით, თუ არ მჯეროდეს, რომ არ შეიძლება, სადღაც, სიღრმეში, ახლაც არ ღვიოდეს ამ კოცონის ნარჩენი გულისგული, ერთი პატარა ნაპერწკალი მაინც. მაგრამ მალე ისიც ჩაქრება... და ვიდრე სულ ჩაქრებოდეს, ვიდრე მთლიანად და საბოლოოდ ფერფლად იქცეოდეს, მოდით, ამ კოცონს გაუმარჯოს, ბოლომდე რომ დაიწვა ყველასათვის, ვინც კი მის სიახლოვეს ცხოვრობდა და მისი სითბო და სინათლე ერგო მცირეოდენ წილად მაინც!

კარგა... დ... თქვა... მაგ...

— ბიჭებო, ერთი შეხედეთ, თითქოს ილიმება! თქვენი არ ვიცი და მე, რომ ვუყურებ, ასე მგონია, ყველაფერი ესმის-მეთქი...

მეს... მის...

— მართლაც, ისეთი სახე აქვს... მაგრამ მტერმა გაიგონა ისე...

მეს... მის...

— ეჰ, გაუმარჯოს!..

— გაუმარჯოს!..

გა... უ...

### 9. წერტილი

ფერფ...' ლი...

ფერფლ...

ფერფ...

ფე...

ფ...

.

### 10. კვირტი

— მე დღეს, იცი, ბაბუს მიწა მივაყარე. მამიკომ მითხრა და ჩემი ხელით აი, ამდენი მიწა ავიღე და მივაყარე და მერე შემეცოდა და ვიტირე. მერე ყველა წამოვიდა და მეც წამომიყვანეს და ბაბუ მარტო დარჩა...

### 11. მზე

ქვესკნელში მშვიდი და სევდიანი,
ყოვლისმომცველი, მარადიული
წყვდიადი იყო
განფენილი.
ხოლო ზესკნელში
თვალისმომჭრელად ჩახჩახებდა
მ ზ ე —
მხიარული დიდი კოცონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოზე ადეიშვილი

## ქუთაისის მონატრება

ასე მგონია რატომღაც დღემდე,
მაინც ვალში ვარ შენთან,
ისე გულწრფელად იქნება ვერ ვთქვი,
შენთვის რაც უნდა მეთქვა.

თუ დაგჭირდება, შენი გულისთვის,
შენთან დავდგები მყისვე,
როგორც მიყვარდი იმ სიყვარულით,
მოგეფერები ისევ.

მე თვითონ მიკვირს როგორ ვატარე,
ცოდვის უღელი მძიმე,
მომენატრები, როგორც არასდროს
მომნატრებია ვინმე.

ვერ გამიგია, სხვაგან უშენოდ
როგორ გავძელი დღემდე,
ასე მგონია, დაგიბრუნდები
მაინც ცოტა ხნის შემდეგ.

სამიათასი წლის წინანდელი
სიყვარული მაქვს შენი,
იქით შენ, აქეთ მე ვიტანჯები,
ერთმანეთს ველარ ვშველით.

როგორც ყოველთვის ადრე ილვიძებ
და ალბათ გვიან წვები,
გამახსენდები, დამესიზმრება
შენი ბებერი ძვლები!

## იმერეთი

იმერული დაპირება,
მისი ტურფა ტყე-ველი,
ზღაპარივით მეჩვენება,
ჯერაც აუხდენელი.

ახლო-მახლო სოფლებით და
ჩემი წყალწითელათი,
როგორც ადრე ბავშვობაში
მესიზმრება გელათი.

ზოგჯერ ახალ ტკივილებთან
ძველ ტკივილებს ვიხსენებ,
შენი უღალატო სიტყვის
მაინც მჯერა ისევე.

წუთისოფლის აღმართებზე
გული დარდით დავლალე,
სხვას შენს გარდა ქვეყანაზე
თავი ვერ შევაყვარე.

ბევრჯერ უმეთვალყურეოდ
ბეწვის ხიდზე გავედი,
შენი ტკბილი მოფერებით
იმეთი და ამეთი.

## ძლიერ ვღელავდი...

დღე მოკლდება და იცვლება
ქვეყნად ყოველი,
რა ვქნა, კაცი აღარ დამრჩა
გვერდში მდგომელი.

უნებლიედ სხვის საქმეში
მიყვარს ყურება,
ეხლა უფრო ადვილია
კაცის ცდუნება.

მას შემდეგ, რაც მიმატოვა
ერთხელ მშობელმა,
ბევრჯერ მწარედ გამომცადა
წუთისოფელმა.

ეს გზა სანამ მომიყვანდა
ახლოს შენამდის,
ძლიერ, ძლიერ, ძლიერ, ძლიერ,
ძლიერ ვღელავდი.

## თეონას

ჩემო ენაკვიმატო,
თანაც გულით საწყალო,
შე ეშმაკის არჩივო,
მითხარ, რით გაგახარო.

ავლაბარი, დიდუბე,
მოვიარე ცისკიდე,
მე რომ კაბას დაგპირდი,
როგორც იქნა, გიყიდე.

რა ვქნა, თუ დამიჯერებ
და თანაც თუ მენდობი,
ხვალე ჯინსსაც გიყიდი,
მოდის მისი სეზონი.

ჩემო ჩიტო ჩიორა,
გადმოფრინდი ტოტიდან,
შენი დაბადების დღეს
26 მარტს მოგიტან.

## არ გადიწურო იმედი...

წმინდა ნათელში ყოველთვის
მიყვარს ოცნება ფარული,
რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ
არ ვიცი სხვა სიყვარული.

გულზე მაქვს ამოკვეთილი
ნატიფად შენი სახელი,
კვლავ აქედან და შენამდი
ცოტა გზა დამრჩა საფრენი.

თანდათან ვუახლოვდები
ადრე დამსხვრეულ ოცნებას,
ცხადია თუ სიზმარია,
არ ვიცი, ეს საოცრება.

პირველად მაინც გრძნობაა,
სიყვარული კი მერეა,
არ გადიწურო იმედი,
ცდა ბედის მენახევრეა.

ქართული ბიბლიოთეკა

გიორგი ლორთქიფანიძე

# შედევრის მოლოდინში

მოთხრობა

დაეხეტები უმოწყალო სიცხისგან დარბილებულ ტროტუარებზე და ლამაზ, გაუხუნებელ სიუჟეტს დაეძებ. ანუ: მარადისობის უნაზეს სურნელს, განთიადის სევდიანი ნარინჯივით რომ ნაკრავს ცოდვილ, უსახურ ყოველდღიურობას და მით საყოველთაო დაშმორების უკურნებელ სნეულებას თუ არ ამარცხებს, შეუპოვრად უპირისპირდება მაინც.

სიუჟეტები ისეა მიმოპნეული ქუჩებში, როგორც მარტოსული გამსვლელი პაიკები ვეება და მაგიურ საჭადრაკო დაფაზე, — ნეტავ თუ მოესწრება და იზეიმებს რომელიმე მათგანი უნატიფეს და უძლეველ ფიგურად — ჯადოქარ ლაზიერად — ტრიუმფალურ გადაქცევას?

დღის პირველი, უმხურვალესი ნახევარი და პაპანაქებისგან მგმინავი ავტორების მდოვრე, ნაღვლიანი ნაკადი ქალაქის მთავარ მოედანს ამოფარებულ ვიწრო და ხალხმრავალ ქუჩებში. შენც კი, უნეტარეს სიუჟეტზე უნყვეტ ფიქრებში გართულს, უეცრად გაფხიზლებს მანქანის ჭრიალით დამუხრუჭება ცხვირწინ: ალმოსავლური ზიზილ-პიპილებით მორთული ძველებური ყაიდის „ვილისი“, — მონადირეთა, გადამდგარ სამხედროთა და შეძლებულ კოლმეურნეთა საშობაო ოცნება, — თავის გზას აცდენია, ახლა კი, ნაბორძიკებული ნაკადის გულის მოსაგებად, სასწრაფოდ ადგილზე შეტოკებულა და ასე ლამობს მარცხნივ, ნანატრი ალაყაფისკენ იბრუნოს პირი, რათა შეაფაროს თავი ნაცნობი ეზოს სანდომიან შუქჩრდილს, მაგრამ, საუბედუროდ, არა გამოსდის რა. შენი სულის წიაღში ალმოცენებული სიუჟეტის მიხედვით წინდაუხედავმა მძღოლმა დააგვიანა, წამით გამოეთიშა სინამდვილეს და ამაოდ ლამობს გაურჩებული საჭის დამორჩილებით უიმედო ვითარების გამოსწორებას. თვალში აუცილებლად გეცემა ოფლის ბლანტი ზოლებით დასერილი მისი წითელ-ყვითელ-მყვირალა, უგემოვნოდ შეკერილი, დაჭმუჭნილი პერანგი, დასვრილი საყელო, დაბნეულობისგან სასაცილოდ აშლილი და აბურძგნული ხეშეში თმა, შავგვრემანი, უბრალო სახის აშკარად არაქართული და არაქრისტიანული გამომეტყველება. მაგრამ, ო! — რა გემრიელად და თავდავიწყებით ილანძღება სავსებით გამართულ, თუნდაც ოდნავ კოსმოპოლიტურ ქართულ ენაზე, რარიგ აფრქვევს გარე სამყაროში უშვერი სიტყვებით გარემოცულ უზერელეს ცნებებს, და ეს გინება, ქანცგამცლელი სიცხისა და პირადი უნიათობის კრიმინალური შერწყმისაგან უკანონოდ შობილი, ეხება ყველას და ყველაფერს საკუთარი უმწიკვლო პერსონის გარდა: ცას, დედამიწას, ულმობელ და კაშკაშა მზეს, დამპალი ქუჩების სივიწროვეს ამ დამპალ ქალაქში, იმ დაწყევლილ დღეს, როდესაც მიქარა და შეიძინა ეს ბორბლებით მოკაზმული ჯართი, მეტადრე კი უკანმავალ „ფიატს“, რომლის არანაკლებ გასავათებული მესაჭე იძულებულია არათუ შეაყოვნოს თავისი მანქანის წინსვლა, არამედ ოდნავ უკანაც კი დაწიოს იგი, რათა უხიაკ და მოუთმენელ „ვილისთან“ უცაბედ შეტაკებას მოარიდოს თავი. ბავშვისთვისაც კი ნათელია, რომ შექმნილ ვითარებაში მხოლოდ ერთი გონივრული გამოსავალი არსებობს: „ვილისის“ მძღოლმა საბოლოოდ ხელი უნდა აიღოს უადგილო მობრუნების მცდელობაზე და მორჩილად შეეპუოს მოწოლილი ნაკადის მკაცრად გამოხატულ ნება-სურვილს. შესანიშნავად ხვდება ყოველივეს „ურჯულო“ მძღოლი და, გაშმაგებული, უფრო დაუზოგავად ლანძღავს ნამდვილ თუ მოგონილ მტრებს, ოღონდ ვერ ითვალისწინებს, რომ გავარვარებული

ჰაერი ისეთივე სიხარულით ატარებს ბგერების სწრაფ ნჯებებად ქცეულ უწმაწურ სიტყვებს, როგორიც ეუფლება გამოცდილ და კინკრიხოდან ჩექმების წვეტებამდე მოსყიდულ საბაჟო მოხელეს ქვეყნის ფარგლებში კონტრაბანდისტთა ქარავნის შემოპარვისას. უშვერი სიტყვები ნატყორცნი ბუმერანგივით უმალ ისევ „ურჯულოს“ უბრუნდება: შეუგნებელი გადამთიელის უსაზღვრო უტიფრობამ „ფიატის“ უქრისტიანესი მესაჭე სამართლიანი გულისწყრომითაც აღავსო და საბრძოლო სულისკვეთებითაც. ო, მისი თავმოყვარეობა სასტიკადაა შელახული, იგი თავს შებღალულად გრძნობს საკუთარ სახლში, სამშობლოს შუაგულში, და თავმომწონე მისი ბუნება, მრავალგზის ჩამოფასებული და პატივაყრილი, ვეღარ იტანს ამ ახალ შეურაცხყოფას. აი, პირველი შედეგიც: „ფიატის“ მესაჭე, სახეალეწილი და განრისხებული, მანქანიდან გადმოდის და გამალებით იწევს შემგინებლისკენ. მზის სიმხურვალე და სამშობლოს შერყვნილი სუვერენიტეტი, მზარდი ოჯახური უსიამოვნებანი და ასაკით შერყეული ჯანმრთელობა, ყელში ამოსული სამსახურებრივი გარიგებანი და ბაზრის სიძვირე, გამოუსწორებელი შეცდომებით დახუნძლული წარსული, შემაძრწუნებელი აწმყო, აღარაფრის მომასწავებელი საზარელი მომავალი და რაც გნებავთ კიდევ, ამოიკითხება ჭორფლიან, დუჟმომდგარ, ულევი ზიზღით ამღვრეულ პირისახეზე. მშრალ ჰაერში დაუკმაყოფილებელი შურისგებისა და მანქანათა გამონაბოლქვის ოხშივარი ტრიალებს, სასწაულად გაჰკივიან კლაქსონები, შენ კი იქვე დგახარ და სეირს უცქერ, ჯერ არც კი იცი, მოგიწევს თუ არა, ან რანაირად მოგიწევს ჩარევა გარდუვალ კონფლიქტში, თუმცა, ტკბები კიდეც მოხდენილი სიუჟეტის უნაკლო კომპოზიციით, ცხოვრება ხომ საუკეთესო და არაანგაჟირებული მხატვარია...

მაგრამ კოხტა სიუჟეტის აღმოჩენა თვითმიზანი როდია. საშუალებაა უფრო. მისჯილი გაქვს ხალხის შუაგულში ტრიალებდე, ყური უგდო მის გამოუთქმელ წადილს, ერთდროულად ამბოხის ამტეხიც იყო და დამაშოშმინებელიც, ვერაგიც იყო და მარტივიც, ფხიზელი კომერსანტიც და უანგარო იდეოლოგიც, მოციქული სატანის და მოციქული ქრისტესი. ლუდიც უნდა გიყვარდეს აუცილებლად ან, თუ არ გიყვარს, შეიყვარო როგორმე, რადგან ლუდი — სასარგებლო, სადა, ჭეშმარიტად ხალხური სასმელია, განსაკუთრებით ასეთ ცხელ ამინდშია გემრიელი და მისი შემოქმედებითი პოტენციის უგულებელყოფა მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. სად თუ არა ლუდხანაში ვლინდება მშვიდობიანობის ჟამს ე. წ. „თავისუფალი მამაკაცის სინდრომი?“ სად თუ არა ლუდხანაში შესწევს არაქათგამოცლილ, მშრომელ კაცს ძალა მცირედი დროით მაინც გათავისუფლდეს ყოველგვარ ვალდებულებათა მძიმე უღლისაგან, ერთბაშად განზე მოისროლოს ათეულობით წლები, ისევ იმ სისხლსავსე ჭაბუკად შეიგრძნოს თავი, როდესაც რომ ცისფერ ოცნებათა აღსრულების საამურ მოლოდინში პოულობდა თავშესაფარს. შენც, მით უმეტეს, ვერ იქნები გამონაკლისი; შენც ნაკისრი მისიით აღფრთოვანებული, — ბეჯითად მიემართები ნოსტალგიური წყურვილის მოსაკლავად სტალინის სანაპიროზე ამაყად აზვირთებულ ლუდის სასახლეში, ქვის კიბით მეორე, უფრო გრილი სართულისკენ ფრთხილად მიიკვლევ გზას, უმწეოდ და პატიოსნად დგები უნდო და მფეთქავ რიგში, რათა როგორმე მიაღწიო წუნკ, მსუნაგ და შენზე, ალბათ, გაცილებით მდიდარ დახლიდარამდე და გამოსტაცო ორიოდე „გვარდეისკი“, პირამდე შევსებული, ქაფის კოპწია წინაფრით მოკაზმული კათხა. თან წამითაც არ გავიწყდება, რომ აქ არა გასართობად, არამედ სამუშაოდ მობრძანებულხარ და უნებური შიში გიტაცებს, რომ არამკითხე და ხელგაშლილი ნაცნობი შეგეჩეხება, მაგიდასთან მოგიხმობს, უაზრო საუბარში ჩაგითრევს, შენ კი, ცდუნებას უნებისყოფოდ აყოლილს, სული წაგძლევს მესამე კათხას მეოთხე მიუმატო, მეოთხეს — მეხუთე და მორჩა, გათავდა: შენი საქმიანი მივლინებიდან ხეირიანი აღარაფერი გამოვა. საბედნიეროდ, გატაცებით მსმელ და მჭამელ თანამოქალაქეთა გარდა ირგვლივ არავინაა, რის ვაი-ვაგლახით პოულობ მოკრძალებულ ალაგს გახვრეტილ ტენტს ქვეშ, — სიცოცხლე ჩქეფს და უკეთესი ადგილები, რა თქმა უნდა, დაკავებულია, — ნელ-ნელა, რათა დაიზოგოს, წრუპავ ყინულივით ცივ ლუდს, თვალმოჭუტული გადაჰყურებ სანაპიროზე გაშლილი ქალაქის პანორმას და უამრავი, — შესაძლოა, უბადრუკიც, შესაძლოა, მომავალი სიუჟეტისთვის გამოსადეგიც, — აზრი გიფეთქავს ტვინში. მაგალითად, დემოკრატიაზე: რა მშვენიერია დემოკრატია, მგზნებარე პუბლიცისტის მიერ აღწერილი, და რაოდენ საშიშად გეჩვენება იგი აქ, ხალხით გამოჭედილ ლუდის სასახლეში. უნებლიედ გახსენდება სხვადასხვა გადახვევები დემოკრატიული იდეალიდან, წვრილბურჟუაზიული ბოყინი „ჰაილ“, ადოლფ ჰიტლერის ტრიუმფალური სტარტი, სხვადასხვა ჯურის მაფიები და, პირველი ყლუპებით ოდნავ შემთვრალი, იძულებული ხარ ჩაუფიქრდე, რა უფრო ნაღდადაა მორგებული ცხოვრებას: საყოველთაო, საიდუმლო და პირდაპირი არჩევნების ეიფორია, მრავალგზის რედაქტირებული, აწონილი და საშობაო ზღაპარივით წარმტაცი მოთხრობა კეთილი ადა-

მიანების ამაღლებულ ზრახვებზე თუ ქვენა ინსტინქტების დაუღალავი გენერატორი — მრავალრიცხოვანი ღრიანცელით აზანზარებული ლუდხანა? მაგრამ ალღომ ჯერჯერობით არ გიღალატა და სულ მალე იმასაც იხსენებ, რომ ფუყე ნიადაგზე ამოზრდილი ფსევდოლირიული ნარგავი მწიფე ლიტერატურულ ნაყოფს ვერ გამოისხამს, ჭეშმარიტების ტაძარი განდიდების თუნდაც მიჩქმალული მანიის საფუძველზე არასოდეს აიგება, ხოლო ყალბი და ორლესული საშუალებებით ამქვეყნიურ ზღვა ნაცარსა და ფერფლში ხარბი ზენაარსის მიერ გადამალული მარგალიტების მიგნება, არათუ ხიფათიანი, უიმედო საქმეც კი არის. ხელოვნების უძვირფასესი სამკაულები ყოველთვის იქმნებოდა რაღაც ბოლომდე ამოუცნობი და, იმავ დროს, უაღრესად ზოგადი და ლაღი ადამიანური მისწრაფებებიდან გამომდინარე, ასეთი მისწრაფება კი, უპირველესად, სიყვარულია და სწორედ მის, თვალთაგან მალულ, მაგრამ მუდამ ანკარა და ამოუწურავ წყაროთა აღმოსაჩენად და, რასაკვირველია, გადასარჩენად უნდა იყოს მიმართული შენი მფეთქავი აზროვნების ენერგია...

ასეა, უცხო მხარეს მოგზაურობას მონატრებული, გადაჰყურებ სტალინის სანაპიროს გზატკეცილზე ხალისიანად მიმაქროლ მანქანებს და ხან ჩუმი ნიავი დაგიბერავს, მაშინვე რომ აგიჩქროლოს ზანტად მომუშავე გული, ხანაც ეტლებისა და ფაეტონების სიცოცხლით ოდესღაც ალსავსე კორიანტელი წარმოგიდგება თვალწინ. მერე, აღუსრულებელი იმედების დაჭიმული სიმის უეცარი აწკრიალებით აღტყინებული, ძალაუნებურად მიენდობი შემაწუხებელ ფიქრს მოძრაობასა, წარმავლობასა თუ უსასრულობაზე, რამეთუ სასაცილოდ მოძრავნი არიან ადამიანის მახვილი გონებით შეთხზული ნაირფერადი ავტოები, განუმეორებლად წარმავალნი მათი საკუთარ თავში ბრმად შეყვარებული მფლობელნი და უსასრულოდ გრძელია სანაპიროზე გაჭრილი შარაგზა, ამდენი მოკვდავის ბედს ერთდროულად რომ განაგებს. ერთი დიდრონი ყლუპიც, შედევრთა მძებნელო, და მწუხარებით შემოსილ წარმოსახვას შენსას ახალი ნისლი გადაეფარება, ახალი ნააზრევი სისწრაფეზე, ვით სულიერი უკმარისობის უებარ წამალზე, ანუ, რაც იგივეა, სილამაზის მიტაცებისა და დაუფლების საუკეთესო ტექნიკურ ხერხსა და მორალური თვალსაზრისით შეუზღუდავ საშუალებაზე. ო, ჭეშმარიტება მარტივიცაა და სასტიკიც: მუხლმაგარი მგელი თუ ხარ და არ იფანტება ტყუილუბრალოდ შენი გონება, თუ ყველას ყველგან და ყოველთვის ასწრებ, რაინდული ტურნირის მთავარი ნადავლი — სილამაზე — შენი იქნება, ხოლო თუ ფეხს ითრევ და, ბრჭყვიალა ჯიპების ელვარებით დატყვევებული, საცოდავად მიჩანჩალებ შარაგზაზე, ცხადია, შეჯიბრში გამარჯვება დარჩება სხვას, უფრო ყოჩაღს, სწრაფმავალსა და გაბედულს. ო, ეს დიდრონი ყლუპები! გემრიელად შეექცევი მწკლატე, სასიამოვნო სასმელს, ბენო ყურადღებასაც აღარ აქცევ მომავალი სანიმუშოდ დემოკრატიული მთავრობის რიგიანად გაშრუებულ ელექტორატს და მეხსიერების მცირედი დაძაბვით იგონებ შენი გამქრალი, მიუწვდომელი გაზაფხულების იდეფიქსს — ჯეირანივით წელში მოქნილ და ვარდივით გაშლილ უკარება გოგონებს, — დღესდღეობით მათი უმრავლესობა ბედით იქნებ კმაყოფილი და საზოგადოების მიერ სავსებით დაფასებული მანდილოსანია, — რომელთა მოტაცებაზე ოდეს გიოცნებია, მაგრამ აღმზრდელთა მიერ შენში ჩანერგილი ჩვევებისა თუ გაუბედაობის გამო ვერ აგისრულებია სანადელი. შენ ვერ გაბედე, მაგრამ სხვამ თუ გაბედა? შენზე ძლიერ ჰყვარობდა თუ, უბრალოდ, უფრო მიზანდასახული და უსინდისო იყო? რას წარმოადგენს მომტაცებელი, როგორც პიროვნება: საზიზღარ მოძალადეს თუ ლომგულ ვაჟკაცს, რომელსაც სასოებით შეჰყურებს ათასგზის იმედგაცრუებული ერი? ხოლო ქალი, — შენი სიზმრების გმირი თუ ხატი,განძი თუ ანგელოსი, — ვის მხარეზეა იგი: მომტაცებლის, საკუთარი თავის თუ ორივესი ერთად? იქნებ მხოლოდ დარწეული აკვნისა? ვის მხარეზეა მაღალი ღმერთი? როგორ გინდა მიაგნო სიმართლეს ამ მომჟავო ლუდითა და ბუნებრივი ეგოცენტრიზმით გაპიპინებულ სამყაროში?

ყოველივე ეს ჯერ სიუჟეტი არ არის, მხოლოდ მინიშნებაა სიუჟეტისა. პირველი კათხა უკვე დაგიცლია და მით უფრო ადვილია მისანივით გაითქვიფო კაცობრიობის იდუმალ და აუხდენელ სურვილებში, თავი დაირწმუნო, რომ მინიშნება განვითარების ღირსია, ფრთები მოისხა, თავი დაალწიო დედამიწის მიზიდულობას, ცაში აფრინდე, გადაუფრინო ქალაქსა და მის შემოგარენს, თან ისე მაღლა იფრინო, მთელი საქართველო ხელისგულზე მოქარგულივით რომ სჩანდეს, თან ისე დაბლა, საშუალება მოგეცეს ნებისმიერი ნიუანსის დაკვირვებისა. დაცურავ ამ უცნაურ სიმაღლეზე და ახალბედა წმინდანის სიფრთხილით იწყებ მომავალი შედევრის უმსუბუქესი კონსტიტუციის აგებას. ხოლო როდესაც მტვრიან, ტრიალი მინდვრის უილბლო მარწუხებში მოქცეულ შოსეზე მიმომქროლ მანქანებს აედევნები, კაეშნის ღრუბელში მოლაპლაპე შედევრის ნაკვთები უფრო მკაფიო, უფრო ადვილად გასარჩევი ხდება. ორად-ორი, სულ რაღაც ათიოდე კილომეტრით ერთმანეთს დაშორებული მანქანაა ამ უკაცრიელ

შარაზე და რადგანაც წინა მანქანის მძღოლმა უკანას შესახებ არაფერი იცის, მათ შორის მანძილი თანდათანობით და უმოწყალოდ მცირდება. და მიუხედავად იმისა, რომ გზას უეცრად, თითქოს ბოროტი ლიუციფერის საგანგებო ბრძანებით, ღამის ნისლი გადაეფინა, შენს სულს ვეღარ დათრგუნავს ჯოჯოხეთის მოციქულის ხიბლი და ჯადო, თავისუფალი ხარ და მქრქალი მთვარის მოციმციმე შუქზეც კი უცდომელად ათავსებ წინმავალ მანქანაში მოტაცებულ ქალიშვილს და უკანაში — გააფთრებულ მდევრებს. შენი ჩანაფიქრისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა გზატკეცილზე სახელმწიფო ავტოინსპექტორის ლანდის გამოჩენაც კი, მაგრამ ეს ხიფათი, საბედნიეროდ, შედარებით იოლადაა დასაძლევი, რამეთუ, ჯერ ერთი, შენ, როგორც ავტორს, სრული უფლება გაქვს უხილავი ლაბვარი ჩასცე და გზიდან ჩამოიცილო მოურიდებელი ინსპექტორი, მეორეც, კონფლიქტის მონაწილენი არ არიან დაინტერესებულნი კომპეტენტურ ხელისუფალთა ჩარევით, რაც, მაღალი ალბათობით, ნაღდი ფულის უზომო ხარჯვასთან თუ არა, საქმის გამოაშკარავებასთან მაინცაა დაკავშირებული. ამრიგად, ორივე მძღოლი ფრიად შესამჩნევ სიფრთხილეს იჩენს, ხოლო შენთვის, ამ სიუჟეტის გენერალური არქიტექტორისთვის, ძირითადია არა საკმაოდ ჩვეულებრივი ფაქტი ლამაზი ქალის მოტაცებისა, არამედ კულმინაციისკენ მიმაქროლი ავანტიურისტების მსოფლმხედველობა და სახასიათო თავისებურებანი.

ამ „კალიფორნიული მარულას" მონაწილე გმირები მანქანებში თანაბრად განაწილდებიან — სამი სამზე. წინა მანქანაში მოვლენათა სწრაფი განვითარებით თავიდან საოცრად ნირწამხდარი, მაგრამ უკვე საგრძნობად დამშვიდებული პატარძლის გვერდზე მთავარი გამტაცებელი და მიჯნური მოკალათებულა და გაფაციცებით აკვირდება სატრფოს თითოეულ მოძრაობას, თუმცა ცხადია, რომ ქალიშვილი, ნაწილობრივ მაინც, შეურიგდა ბედს, აღარ აპირებს ვისიმე ყურადღების მოდუნებით ისარგებლოს და რამე სისულელე ჩაიდინოს, მაგალითად: კარი გააღოს და მანქანიდან პირდაპირ ღამის ბურუსში გადაეშვას. საჭეს კი ძლიერად ჩასჭიდებია მთავარი გამტაცებლის უერთგულესი და უმამაცესი მეგობარი, მას მთავარი გამტაცებლის ოჯახის კუთვნილი ციხე-დარბაზისკენ მიჰყავს მანქანა, იქეთ, სადაც, ბოროტგანმზრახველთა ვარაუდით, საკმაო ხნის განმავლობაში თავსაც შეაფარებენ და მოტაცებულ სარძლოს საბოლოო და დადებით პასუხს გამოსძალავენ კიდეც. სურვილი, ცხოველური ჟინია წინა მანქანაში დამკვიდრებული ატმოსფეროს ძირითადი ელემენტი. სურვილი ქალისა, მასთან უკიდეგანო ბედნიერებისა, დასახული მიზნის მიღწევისა, განსაცდელისგან თავის ხსნისა თუ, პირუკუ, წარმართული ღვთაებისთვის მსხვერპლის გაღებისა, საბოლოო ჯამში კი — დაუოკებელი სურვილი უკვდავებისა. ამ წუთებში აქ მდევრებზე ფიქრით არავინ იწუხებს თავს.

სულ სხვაა მეორე მანქანა. თუ პირველში მონადირეული გრძნობათა აპოთეოზია, მეორეში მოჩვენებითი სიმშვიდისა და უმკაცრესი მიზანდასახულობის ატმოსფერო სუფევს. საჭესთანაა მდევართა სახელდახელოდ შეკოწიწებული პატარა რაზმის მეთაური: საშუალო ასაკის, ჩასკვნილი, ღონიერი, ლოყებდაბერილი, ულვაშა, ერთის შეხედვით გულკეთილი და კაი მომლხენი კაცი, რომლის ცხოვრებისეული ამპულა კარგადაა ცნობილი ჩვენი სანაქებო საზოგადოებრიობის ერთობ გავლენიანი ნაწილისთვის. ამბობენ, რომ რამდენიმე თვის წინათ, როდესაც თურმე ეს კაცი მშვიდად იჯდა ნაცნობი დალაქის სავარძელში და წვერს იპარსავდა, საპარიკმახეროში შეიარაღებული ბანდა შემოიჭრა. შეშინებულმა დალაქებმაც და კლიენტებმაც უყოყმანოდ ამოაწრიალეს ჯიბეები, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში ეს ლხინის მოყვარული კაცი არ დაიბნა და ისეთი გვარ-სახელები ჩამოურაკრაკა გათამამებულ მძარცველთ, რომ ავაზაკთა წინამძღოლმა არათუ ხელი აიღო შავბნელ განზრახვაზე, არამედ დალაქს უბრძანა ამოერიდან უფასოდ მომსახურებოდა ესოდენ პატივცემულ კლიენტს. ეს ამბავი იქნებ იყოს და რაზმის მეთაური მართლაც რომ სამაგალითო თამადაა, მეგობრებიც ბევრი ჰყავს, ფულსაც ბლომად შოულობს, თუ ხელეწიფება უმწეოთა გამოსარჩლებასაც არ თაკილობს, ჩინებული მოსაუბრეცაა და სხარტი, გამჭრიახი ჭკუის პატრონიც. რაც მიმდინარე სიუჟეტისთვის მთავარი თუ არა, ფრიად მნიშვნელოვანია, სწორედ ეს კაცი გახლავთ ბავშვობაში ადრე დაობლებული ჩვენი მზეთუნახავის საგულდაგულოდ მზრუნველი და მფარველი ბიძა. სწორედ მას, ვით მფარველ ანგელოსს, გაჭირვების ჟამს მიაკითხა მოტაცებული გოგონას გულგახეთქილმა დედამ, — კიდევ კარგი, მხიარული წვეულებიდან ვერაგულად გატყუებული საპატარძლოს ერთმა განსაკუთრებით ეჭვიანმა დაქალმა გაბედა და მარდად მიუტანა ენა ქალიშვილის მშვიდად მომლოდინე მშობელს. და მაშინ მან, მზრუნველმა და მფარველმა, იხმარა მხოლოდ მისთვის მისაწვდომი ხერხები, სასწრაფოდ შეიტყო მთავარი გამტაცებლის ვინაობა, — ის, თურმე, ჩვენი სახელოვანი თემის მეტად პოპულარული და ძლევამოსილი მსახურის ვაჟი ყოფილა! — და გადამჭრელი ზომები მიიღო: ჩააგდო თავისი მკვირცხ-

ლი და მოხდენილი, შავ ბაზარზე შეძენილი რძისფერი ნოლშვიდი „ჟიგულის“ საბარგულში ნაცადი სანადირო თოფი თავის ტყვიაწამლით, მოუხმო ორ უახლოეს, სანდო ნათესავს და, მეძებრის უტყუარ გუმანს აყოლილმა, თემიდის მსახურის საგვარეულო ციხე-დარბაზისკენ აიღო გეზი. ღმერთმა ნუ ქნას და ვითარებამ არ აიძულოს, თორემ უფალ რაზმის მეთაურს არაფერი მოერიდება, მართლა გაისვრის ტყვიას და ავკაცს მოსაკლავად თუ არ გაიმეტებს, დაჭრით ნამდვილად დაჭრის. სამართლიანიცაა, მამაციც და ჭკვიანიც: ახლობელს არავის დააჩაგვრინებს, თანაც, საზრიანობის თანდაყოლილი მადლით, იმასაც ანგარიშობს, რომ დოვლათიან სახელმწიფო მოხელესთან დამოყვრება, — რასაკვირველია, თუკი ადათი არ შეილახა და მთავარი გამტაცებელი ადგილზე მოსასპობი გარეწარი არ გამოდგა, — იქნებ უსაზღვრო სიკეთის მომტანი იყოს როგორც მისი უსაყვარლესი ძმისშვილისთვის, ისე მთელი მათი სანათესაოსთვის. ამიტომ მისთვის ჯერჯერობით თოფი უფრო არგუმენტია მოსალოდნელ მოლაპარაკებაში, ვიდრე დამნაშავის დასჯის ულმობელი საშუალება, — მთავარია რას მოისურვებს და რა გზას დაადგება თვით მოტაცებული ქალი.

რაზმის მეორე წევრი სულ ახალგაზრდა ბიჭია, ასაკით წინა მანქანის მგზავრებზე ოდნავ უფროსი. დაძაბულია, მთელი გზა პირმოკუმული ზის და სუნთქვაშეკრული ელოდება ამ დახლართული კვანძის გახსნას. ო, უნივერსიტეტის ეს ნიჭიერი, ხუთოსანი სტუდენტი, ახირებული ავტორის ნებით უზუსტესი მეცნიერების მიმდევარი, უამრავი შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნებაა. მას, არჩეული სპეციალობის მიმართ საკმაოდ ორჭოფულად განწყობილს, სრულიად სხვა სარბიელზე თავის გამოჩენის ღრმად დამალული იმედი ასულდგმულებს და, ამდენად, მისი, როგორც სამომავლო გმირის, ბედ-იღბალი სიუჟეტისთვის გამორჩეულადაა მნიშვნელოვანი. ნიღაბს ამოფარებული კაცია. სათუოა, რაიმე წარმოდგენა — გარდა ფრიად ბუნდოვანისა — გააჩნდეს ისეთ უზოგადეს ღირებულებებზე, როგორიცაა პატიოსნება და უანგარობა, თუმცა გულწრფელად თვლის, რომ უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ ვინ არის ამქვეყნად პატიოსანი და უანგარო და ვინ არა. მას სასტიკად, ვით მეფის ოჯახი მგზნებარე რევოლუციონერს, სძულს სახელმწიფო წესრიგის წამწყმედელი თანამდებობის პირნი, რომელთაც ხაზინაში ხელის ფათურს და ქრთამის გამოძალვას შეაჩვიეს თავი და, აქედან გამომდინარე, მთავარ გამტაცებელთან, უფრო კი მის ძლევამოსილ მამასთან, სრულიად განსაკუთრებული უწყისით გამოწერილი ანგარიში აქვს გასასწორებელი. სხვა მხრივ, მისი ამ საბრძოლო კამპანიაში მონაწილეობა ნათესაური ვალის მოხდაა, მეტი არაფერი — მოტაცების ფაქტით მას ვერ აღაშფოთებ, პირიქით გაბედული ადამიანების მიმართ ერთგვარ პატივისცემასაც კი გრძნობს. ზუსტი მეცნიერება მისთვის მხოლოდ დროებითი ნავსაყუდელია, რადგან, მოზვავებული პატივმოყვარეობით აღტყინებულს, სწამს, რომ მისი ჭეშმარიტი მოწოდება — საზოგადოებრივი მოღვაწეობაა. ვინ იცის, იქნებ მართლაც ფლობს რაღაც ისეთ სიბრძნეს, რასაც უბრალო მოკვდავნი მოკლებული ვართ. შესანიშნავად იცის, თუ რა არის ხალხისა და სამშობლოსათვის სასარგებლო და გამოსადეგი, ხოლო რა — უკუსაგდები და ზიანის მომტანი, ქვეყანაში მოქმედი კანონები კი მეტისმეტად ლმობიერად მიაჩნია. სავსებით დარწმუნებულია, რომ საკმარისადაა მომზადებული, რათა მმართველი პარტიის გენერალური მდივნის თუ არა, საგარეო საქმეთა მინისტრის ჭაპანი მაინც გასწიოს. ყველაზე ნაკლები, რაზედაც, ბედის ბორბლის უკუღმართად დატრიალების შემთხვევაში, იქნებოდა თანახმა — ეს ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის მთავარგანმგებლობაა. რა თქმა უნდა, მას შეგნებული აქვს, რომ ძალაუფლების მწვერვალებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა, ამიტომ მეგობრებთან თუ ნათესავებთან ყოველდღიური ურთიერთობისას ცდილობს არაფერში არ „გაიყიდოს“ თავი, თუმცა, ეს გასაგები სიფრთხილე ხელს როდი უშლის საკუთარი პოლიტიკური კონცეფციის შემუშავებას. ავტორი თავს აძლევს უფლებას ყურადღება გაამახვილოს ამ კონცეფციისთვის დამახასიათებელ ერთ ძირითად დებულებაზე: გულწრფელი საქმიანი თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან, დასავლეთი სამყაროს ცივილიზატორული მისიის აღიარება, ხელის აღება მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაზე, უარყოფა ან დაკნინება „რევოლუციური ბელადის“ როლისა — დაღუპულ რევოლუციონერ თაობათა ხსოვნის, ჩაგრული მილიარდების, თანასწორობისა და სამართლიანობის დიადი იდეალების ღალატია. სიმდიდრე და ფუფუნება რყვნის ადამიანს, ეროვნული კარჩაკეტილობა ძირს უთხრის ხალხთა ძმობას, რა გასაკვირია, რომ ჭამა-ყლაპვაზე გადასული კაცობრიობის სამსახურში ჩადგომა სტუდენტს ულირს, ამორალურ, ბოლო-ბოლო არასაინტერესო საქმიანობად მიაჩნია. ამიტომ, არავითარი უკანდახევა ამერიკული იმპერიალიზმის წინაშე; ავღანეთიდან ჯარის გამოყვანა — ან ტაქტიკური უკანდახევაა, ან ტრაგიკული, არასაპატიო შეცდომა: სამწუხაროდ, ელიტარული ინფორმაციის უქონლობის გამო სტუდენტს უჭირს

ამის თაობაზე ცალსახა დასკვნის გამოტანა. აზრის ჩამოყალიბებისას სტუდენტი თავს იკავებს სტალინის გამართლებისგან, აუგად იხსენიებს მაო ძედუნსა და პოლ პოტს, შემდეგ კი მაინც ძალადობის აუცილებლობაზე და სოციალური გათიშვის სარგებლიანობაზე ლალადებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული კონცეფცია მკაცრადაა მოქცეული ამ უცნაური სტუდენტის ცნობიერების ფარგლებში და მეგობრებთან აბსტრაქტული ხასიათის დისკუსიებისას თუ იჩენს თავს. პირად ცხოვრებაში სტუდენტი ჩვეულებრივი ყმაწვილია: ბევრს კითხულობს, გული შესტკივა საყვარელი საფეხბურთო გუნდის თამაშზე, ლმობიერებით ეკიდება ახლობელი ადამიანების, — მაგალითად, მანქანის მესაჭის, — გასაგებ სისუსტეებს, შეგუებულია უნივერსიტეტში გამეფებულ წესებს და იმდენად გულჩვილია, რომ, თუმცა არც უცდია, მაგრამ ძალზე გაუჭირდებოდა სანადირო თოფით უმწეო ფრინველისთვის ესროლა. დღესდღეობით მისი გამორჩევა სხვა ხუთოსანი სტუდენტებისაგან არც ისე ადვილია.

რაზმის მესამე წევრი ყველაზე ხანდაზმულია, თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ დანაოჭებული სახისა და თვალების მუდმივად დარდიანი გამომეტყველების გამოისობით თავის ასაკზე გაცილებით უფროსად გამოიყურება. არც უმიზეზოდ. ახლობელთა წარმოდგენით კეთილი და ნათელი პიროვნებაა, მაგრამ, ნეტავი რაში გამოადგა ან რბილი და დამთმობი ხასიათი, რომლის წყალობითაც თავი შეაყვარა მეგობრებსა თუ ნათესავებს, ან ის პატიოსნება, რომლითაც ასე ამაყობდა კოლეგებისა თუ კაცობრიობის წინაშე? დაუფასდა? დაუფასდა კი არა, ისე მწარედ დაისაჯა, რომ წრფელი გულით საკუთარ შვილებსაც კი ველარ შთააგონებს: ჰა, ბიჭებო ,სკოლას რომ დაამთავრებთ, დაკაცდებით და ცხოვრებას შეეჭიდებით, ისმინეთ ჩემი დარიგება, ისე მოიქეცით, მამის სახელი არ შეარცხვინოთ. ადრე ერთი მსხვილი საწარმოო გაერთიანების მთავარ ბუღალტრად თუ ეკონომისტად, — სამწუხაროდ, ავტორს ზუსტად ვერ დაუდგენია რად, — მუშაობდა, სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა და აზრადაც ვერ გაივლებდა ვილაც ჯიბესქელი, მაგრამ ფულს კიდევ მეტად დახარბებული საქმოსნები მის ამ სავარძელს მიზანში თუ ამოილებდნენ. არადა, ჯერ მისი მოსყიდვა სცადეს, იქნებ ასე უფრო მოვდრიკოთო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: ბუღალტერი არათუ დანებდა ბოროტმოქმედთ, არამედ, მთელი მისი ბუნებრივი თვინიერების მიუხედავად, ფულის დასტა პირდაპირ სახეში მიახალა ერთ-ერთ არამზადას. მაშინ ნაძირალებმა უფრო ამაზრზენ ხერხს მიმართეს: აავსეს საზიზღარი შინაარსის „ანანიმკებით"" რაც კი რამ ზემდგომი ინსტანცია არსებობდა. „ანანიმკებს", როგორც იმხანად სჩვევიათ, რევიზიები მოყვა, პირველი, მეორე, მეათე, ჩვენში კი, მოგეხსენებათ, ცოცხალ კუნძს თუ არ ემსგავსები და სასარგებლო საქმის გასაკეთებლად ილვწი, რა ქველი და უანგაროც არ უნდა იყო, აუცილებლად დაარღვევ ვიღაც უნიათოსა თუ შლეგის მიერ გამოგონებულ წესს. ჰოდა, ამოუჩხრიკეს ამ ჩვენს უპატიოსნეს ბუღალტერს უმნიშვნელო, ცხადია, დარღვევა, ეს კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა სისხლის სამართლის საქმის შესათითხნად. მორჩა, ამაო იყო ყოველი ფიცი თუ ლოცვა, ჩაეჭიდნენ ერთმანეთს, ჭრიალით ამოძრავდნენ მოუქნელი სახელმწიფო მონყობილობის კბილანები, გამოტანილ იქნა საბრალდებო განაჩენი და წააბრძანეს ეს უდანაშაულო კაცი იქ, სადაც სიცივესაც და სიცხესაც ქურდები და ბაცაცები განაგებენ. ხუთი წლით ჩამოაშორეს ოჯახს. რვა წელი ჰქონდა მისჯილი, ფუჭი იყო ჩივილი და კასაცია და ისევ ნოლ-შვიდი „ჟიგულის" მფლობელის ფხიანობისა და ძალისხმევის წყალობით, თორემ ამჟამადაც ციხისა თუ კოლონიის, — ზედმიწევნით არც ეს დაუდგენია სიუჟეტის შემთხზველს, — კედლებს იქით იქნებოდა გამომწყვდეული მდევართა რაზმის მესამე წევრი...

მიჰქრის ორი მანქანა მთვარის ნაზი ღიმილით გაცისკროვნებულ შარაზე, უცილოდ შეებმებიან ადრე თუ გვიან ერთმანეთს გოლიათნი. ვინ იცის, დაეპკურება ისევ ქართულ მიწას სისხლი ქართული, კანონის ბასრი მახვილი იმძლავრებს თუ მშვენიერი ასულის მტკიცე სიტყვა დააშოშმინებს გაყოყოჩებულ მამლაყინწებს, ვინ იწინასწარმეტყველებს ნეტავ!.. მაინც რა წარმავალია ყოველი მეყი ჩვენი არსობისა, რა სწრაფად ცვალებადი, ქალივით ჟინიანი და აკვიატებულია სამყარო, რაგინდ დიადად და უცვლელად არ გვევლინებოდეს იგი ზოგჯერ! უნდა მოგსპობს, უნდა აგლაზევებს, უნდა ამირანივით კავკასიონის ცივ მწვერვალებს მიგაჯაჭვებს, უნდა კვლავ გამლღვალ, კაშკაშა მზით გასხივოსნებულ სანაპიროზე, ზომიერად ნასვამი ხალხის ფარისევლური ჟრიამულით ალსავსე ლუდხანაში, გახვრეტილ ტენტის ქვეშ მიგიჩენს ადგილს და ძირამდე დაგაცლევინებს გვარიანად შემთბარი ლუდით სანახევროდ შევსებულ უკანასკნელ კათხას. ო, რა ტყუილად, უიმედოდ გარჯილხარ, რა ხელმოცარული დაბრუნებულხარ, შედევრის მაძიებელო, შენი შორეული მოგზაურობიდან, როგორ ულონოდ ჩამოგიშვია შენი სულ ახლახან გაშლილი ფრთები! რამ დაგაბნელა, როგორ იფიქრე, რომ ნეტარი ალმაფრენის მადიდებელ შე-

დევრს შეუფარდებდი შენს ახირებულ წარმოსახვაში დაბადებულ ულაზათო, მდაბიურ სიუჟეტს? დიდი, გაუგონარი ამბავი, ქალი თუ მოიტაცეს, — არც პირველია ეგ, არც უკანასკნელი. ან რა სახსენებელია ხელოვნების დიდ ტაძარში, მორწმუნეთა ამ კურთხეულ სამლოცველოში, „ანანიმკა“, „საწარმოო გაერთიანება“, „ამერიკული იმპერიალიზმი“ და სხვა მაგდაგვარი? გამოსცადე თუ არა საკუთარ თავზე, რომ აქ, ამ ჭუჭყიან ლუდხანაში, რომელსაც შენ, ფიზიოლოგიური წყურვილის გრძნობით შელონებული, რატომღაც „სასახლეს“ უწოდებდი, ადგილობრივი ყოფის მკრთალი ჩანახატის გარდა ვერაფერს შექმნიდი. და ეს საცოდავი ესკიზი, ეს ღრძო, მახინჯი, უხეირო პაროდია სინამდვილეზე, არათუ შედევრი, შენივე ფარული გულისტკივილის ასლი თუ ანარეკლია მხოლოდ. განა თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო ცხადი, რომ ეს მანქანებითა და ინტრიგებით გადაჭედილი ქალაქი შეუფერებელი ალაგია გონების თავისუფალი ალმაფრენისთვის, რომ აქ ამაღლებული გულის აჩქარებულ ძგერას რა ხანია არა მარადისობის ეფემერული სუნთქვით ასაზრდოებენ, არამედ აფთიაქში ნაყიდი წვეთების საშუალებით ებრძვიან? ამაოდ დამშვრალხარ, თუ დაგვიწყნია, რომ დიადი, ამაყი, დაუხურდავებელი ტილო — შედევრი, — რომლის შესაქმნელად, თურმე, ილვნი, კოხტა ფრეილინას ნატიფი თითებით ნაქარგი ბატისტის ცხვირსახოცი როდია; ამ ტილოს განუყოფელი კომპონენტები სივრცე, დრო და ეროვნული გრძნობაა, ხოლო ეს ყოველივე დაღლილ და მორცხვი სურვილების სამოსელით შესუდრულ ქალაქში კი არ უნდა ეძებო, არამედ გასწიო შორით, ბუნების წიაღში, წიაღში თუ არა, მის სიახლოვეს მაინც, იქით სადაც თვით ჰავაა დამწუხრებული სულის პირველი მკურნალი და მარჩენალი. თუნდაც... თუნდაც იქ, სადაც ჩვენი სამხრეთი საზღვრების სადარაჯოა, როგორც გაზეთებში სჩვეულიათ წერა, — განსაკუთრებული ზონა, რომელშიც საგანგებო საშვის გარეშე უცხო კაცი ვერ შეადგამს ფეხს; იქ, სადაც საუკუნოდ ანთია ჩვენი ჭალარა სამშობლოს უწმინდესი კელაპტარი — ვარძია... ყოფილხართ ვარძიას? უმჯობესია ზაფხულში, როდესაც მწვანედ აბიბინებული მდელოების თვალწარმტაცი სანახაობა გულს მოუხიბლავს ყველაზე ამპარტავან ტურისტსაც კი, — საიდუმლო როდია, რომ ჩვენს ძლევამოსილ ფედერაციაში ჯერ არ გადაშენებულან არც უმეცრები, არც ჩერჩეტები, — ამოუდექით გვერდში რომელიმე ცნობისმოყვარე ჯგროს, გაყევით მას იმ საბედისწერო მიწისძვრით გაშიშვლებულ გამოქვაბულებისკენ, მოკრძალებითა და რიდით მიაყურადეთ არქეოლოგიური უკუნეთის წიაღიდან ჩვენამდე მოღწეულ საგალობელს, ხელქმნილი ტერასიდან თვალი შეავლეთ კიდით კიდემდე გაშლილ აყვავებულ ფერდობებსა და ხასხასა ზურმუხტისფერ საძოვრებს, გონების ძალით მიწვდით ტურფა შორეულ უღელტეხილებს, განსჭვრიტეთ მათი უხილავი ხიბლი და მაშინ, იქნებ, მოგეკიდოთ კიდეც, ცხოვრების არსზე ხელჩაქნეულს, თვალზე ცრემლი და გულზე ცეცხლი და სულის ქვესკნელამდე განიმსჭვალოთ იმის შეგრძნებით, თუ რა და როგორი იქნებოდა ჩვენი სათაყვანებელი, უწმინდესი და უნეტარესი სავანე — საქართველო, თუკი... ისე როგორ მოხდება, რომ ასეთ ტერასაზე თავმოყრილ მრავალეროვან ურდოს საქმის ჭეშმარიტი ვითარება რომელიმე ადგილობრივმა პატრიოტმა არ შეახსენოს: ეჰ, სულ იმ გონებაამღვრეული ნიკიტას ბრალია, სტალინი ჭირის დღესავით ეჯავრებოდა, ამის გამო ქართველებს არ გვენდობოდა, არცა გვწყალობდა და ერთხელაც ეს მშვენიერი, ქართული სისხლით უხვად მორწყული მიწები აილო და თურქეთს დაუთმოო. გარწმუნებთ, ურდო კეთილშემწყნარებლურად მოეკიდება ესოდენ მიამიტ ახსნა-განმარტებას, ამ დიდებული მხარესა და ჰავისთვის შეუფერებელ შემოდავებასაც მოერიდება და რაღა შენ გამოიდებ თავს, რათა მოლაპარაკეს მიანიშნო დაშვებულ უზუსტობებსა თუ დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევაზე, მით უმეტეს, თუ საქმე ჩვენი ისტორიის ბნელეთით მოცულ ფურცლებს ეხება. მაინც გაგიელვებს აზრი იმის თაობაზე, რომ არსებული ისტორიული სინამდვილე, უპირველესად, უამრავ ერთმანეთზე გადაჯაჭვულ შემთხვევითობათა ნაყოფია და საკმარისია ამოიღო ან, თუნდაც, სხვა კუთხით შემოაბრუნო წინამორბედ რგოლთაგან ერთ-ერთი, რომ ჩვეულმა და მყარმა დღევანდელობამ ფერიც იცვალოს და გემოც. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ორნახევარი საუკუნის წინათ, კერძოდ კი 1721 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ვახტანგ მეფეს „მფარველი“ შაჰის მითითება არად ჩაეგდო, ჯერ ჭარ-ბელაქანი დაეჭირა და ლეკები გაერეკა, ხოლო აუცილებელ შინაგან ღონისძიებათა რკინისებრ განხორციელების შემდგომ ძალა მოეკრიბა, ისფაჰანი დაელაშქრა და სპარსეთის სატახტო ქალაქის აღებითა და შემუსვრით ერთიანად შეეცვალა საქართველოს მომავალი თუ მოსალოდნელი ისტორიული ხვედრი...

ეს ადრეც გამოთქმული, თუმცა მეტად სათუო ვერსია ოდენ იაფფასიან ფანტასმაგორიად არ მოგეჩვენოთ. ოღონდ ჩაინიშნეთ თქვენს უბის წიგნაკში, რომ ქართველთა ძლევამოსილ ლაშქარს მეთაურობს არა რომანტიკულად განწყობილი ვახტანგ მეექვსე, არამედ დავით აღმაშენებელი, — გნებავთ კი, ჩინგის-ყაენი,

— ანუ ,ნიჭიერი, მამაცი, იღბლიანი, ვერაგი, სასტიკი და თავისი მრწამსისა და ქვეყნისთვის თავდადებული მბრძანებელი, და გონების ფხიზელი თვალით მიმოიხილეთ, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილიყო იმხანად სეფიანთა ოდესღაც მძლავრი სპარსეთი. განა აუცილებელი იყო 1722 წელს ისფაჰანი ქართველების მაგივრად ავღანელ მეამბოხეთ დაეპყროთ, ხოლო 1723 წელს თბილისი გამძვინვარებული ლეკეთის ლუკმა გამხდარიყო? არამც და არამც! მაგრამ ბუნებრივი კითხვა იბადება: საკმარისი თუ იქნებოდა ქართლის მაშინდელი ხელმწიფის სიმარჯვე და პატრიოტული მოწადინება საქართველოს ისეთი აღორძინებისთვის, რომ მეოცე საუკუნის დასასრულისთვის ეს ქვეყანა ძლიერ, განვითარებულ, ყველასათვის ანგარიშგასაწევ, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიონის მთებიდან არზუმამდე და თავრიზამდე ფრთაგაშლილ სახელმწიფო გაერთიანებად მოვლენოდა შთამომავლობას?

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი: მართ ოდენ ბრწყინვალე წარმატებით დაგვირგვინებული მარში ისფაჰანს და თბილისის ციხის გამაგრება ასეთ უმაგალითო აღზევებას ვერ უზრუნველყოფდნენ. მაგრამ სწორედ ამ ფასდაუდებელმა სამხედრო გამარჯვებებმა შეამზადეს ისტორიული წინაპირობები — ოსმალთა თარეშის აღკვეთა დასავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთ-იმერეთის მტკიცე კოალიციის წარმოქმნა, ალა-მაჰმადის მიერ თბილისის დალაშქვრაზე ხელის აღება, — იმ სასწაულისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში რადიკალურად შეცვალა ქართლის ბედი. თუმცა წინა ასწლეულის ძირითადი პოლიტიკური ტენდენციები კვლავინდებურად აგრძელებდნენ განვითარებას და ძალაში რჩებოდა ქართველ მეფეთა და ქართული ეკლესიის სულიერი ორიენტაცია მართლმადიდებელ რუსეთზე, ახალ რეალობაში შესამჩნევად დაგვიანდა გეორგიევსკის მსგავსი ტრაქტატის ხელმოწერა რუსეთ-საქართველოს შორის, — ანალოგიური შეთანხმება დაიდო მხოლოდ 1809 წელს, ასტრახანში, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის და ქართლ-კახეთის ხელმწიფე იულონ პირველის მიერ, ხოლო 1810 წელს ხელშეკრულებას შეუერთდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. ეს შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ითვალისწინებდა რუსეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში, პრაქტიკულად არ განხორციელებულა, — იმხანად მიმდინარე რუსეთ-საფრანგეთის ომის გამო, იმპერატორმა ალექსანდრემ ვერ გაბედა საქართველოში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის წარგზავნა. სამასკაციანი რაზმი პოლკოვნიკ ტუტოლმინის მეთაურობით, თუმცა კი იყო დიდი პატივით მიღებული მეფე იულონის კარზე, უფრო დიპლომატიური დაახლოების მიზნებს ემსახურებოდა და მმართველი დინასტიის უფლებებს რაიმე საფრთხეს არ უქმნიდა. სულ მალე კი პოლიტიკური პაექრობის ევროპულ თეატრზე დატრიალებულმა ამბებმა მოულოდნელად და ფრიად სასიკეთოდ გადაასხვაფერეს საქართველოს აწმყოც და მომავალიც.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ 1812 წლის ივნისში ნაპოლეონ ბონაპარტეს უზარმაზარმა არმიამ, რომლის უმცირესობას ფრანგები, ხოლო უმრავლესობას მათ მიერ დაპყრობილ თუ დამცირებული ერების წარმომადგენლები შეადგენდნენ, გადალახა მდინარე ნემანი და განაგრძო სწრაფი, თუმცა დამქანცველი მოძრაობა აღმოსავლეთის მიმართულებით. თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ 7 სექტემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც ბოროდინოს ველზე ნაპოლეონის 50 ათასსა და კუტუზოვის 58 ათას დაცემულ მეომარს სამარადჟამო ძილი მოერია, ომის ღრმა ზურგში, პარიზში ელვისებურად იფეთქა და გაიმარჯვა საოცრად გაბედულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ჰერცოგი ტალეირანი და პოლიციის მინისტრი გრაფი კოლენკური თავკაცობდნენ. თვით ნაპოლეონის შტაბ-ბინამდე ამ საზარელმა ცნობამ მოატანა მხოლოდ რვა დღის შემდეგ, როდესაც დამხობილი იმპერატორი თავის ამალითურთ უკვე მოსკოვის მიტოვებულ კრემლში შესახლებულიყო. უადგილოც კი არის კიდევ ერთხელ ამ ფურცლებზე იმ უსაზღვრო რისხვის აღწერა, რომელმაც ნაპოლეონი მოიცვა, მით უმეტეს, რომ იმპერატორის საქციელი იმ დრამატიზმით აღსავსე ვითარებაში შესანიშნავადაა ასახული დიდი ვიქტორ ჰიუგოს ბრწყინვალე რომანში „უფლისწულის აღსარება“; არც საფრანგეთში ბურბონთა რესტავრაციის გამომწვევ მიზეზებზე მასლაათით შეგაწყენთ თავს, დავძენ მხოლოდ, რომ ეს ღალატი პატივმოყვარე და თავმომწონე კორსიკელს განსაკუთრებულ ისტორიულ სიმუხთლედ სწორედ მაშინ უნდა აღექვა, როდესაც იგი, საერთო აღიარებით, ამაყად და უშიშრად აზვირთებულიყო აღზევებისა და დიდების მარადიულ კვარცხლბეკზე. შემთხვევითი როდია, რომ ანდაზად იქცევა ამ უმძიმეს ჟამს ნაპოლეონის მიერ ერთგული ადიუტანტისთვის მწარე სინანულით ნატყორცნი მეტად საგულისხმო მაქსიმა: „დიდების მწვერვალიდან დავიწყების უფსკრულამდე — ფეხის გადადგმაა მხოლოდ“. ერთხანს მაინც სასწაულის მოლოდინში იყო კრემლში გამოკეტილი მხედართმთავარი, მით უმეტეს, რომ მისი გულდაწყვეტილი, ბრძოლებში გაკაჟებული სარდლები არათუ აიმედებდნენ, კვლავინდებურად

გუნდრუკსაც უკმევდნენ დამხობილ იმპერატორს: როგორ, ნუთუ მოიძებნება მსოფლიოში ვიგინდარა, რომელიც ეჭვს შეიტანს იმაში, რომ სწორედ მისმა უდიდებულესობამ აღადგინა საფრანგეთის ეროვნული ღირსება? განა იმპერატორმა სულ ახლახან არ დასცა შიშის ზარი მის წინაშე კრძალვით დაჩოქებული კონტინენტის კუდაბზიკა ხელმწიფეებს, მიწასთან არ გაასწორა ისინი? განა თავის მარჩენალს თაყვანს აღარ სცემს ყოველი ჭეშმარიტი ფრანგი, სულ ერთია მარშალი თუ ჯარისკაცი, მუშა თუ გლეხი, მღვდელი თუ ვაჭარი? ან იქნებ გადაუდგა და იმ არამზადების, ტალეირანისა და კოლენკურის მხარეზე გადავიდა მისი უძლეველი და უსაყვარლესი გვარდია — იმპერატორის სახელოვანი არმიის უკეთილშობილესი სამკაული? არასდროს და არავითარ შემთხვევაში! სამართლიანობა იმის აღნიშვნას მოითხოვს, რომ უღირსი მოხელეების უბადლო გამცემლობით გაოგნებული ამალა იმაზე მეტად როდი პირფერობდა, ვიდრე გაჭირვებაში მყოფ დიად ნაპოლეონს ეკადრებოდა და საზოგადოდ: საერთო განსაცდელმა და მოღალატეთა მიმართ საერთო სიძულვილმა უფრო მტკიცედ შეადუღაბეს რუსეთის უკიდეგანო სივრცეებში შემოჭრილი ლაშქარი. თავდაპირველად ბონაპარტე უახლოეს მრჩეველთა ვაჟკაცური მონადინების გარეშეც არ აფასებდა შექმნილ მდგომარეობას როგორც თავისთვის უიმედოს, პირიქით, სასოებით ელოდებოდა ახალი და ახალი შიკრიკების ხელითა თუ პირით მოტანილ ამბებს: მას ხომ ამჟამად არათუ დამარცხებული მტრის დედაქალაქი უპყრია, არამედ უზარმაზარი ჯარის და, რაც მთავარია, მისთვის თავდადებული, საუკეთესოდ შეიარაღებული გვარდიის სათაყვანებელი მბრძანებელია. გარდა ამისა, სათვალავშია მისაღები გზად ჩაყენებული უამრავი ციხიონი, რეზერვები ევროპაში, ორასათასიანი არმია ესპანეთს, იმ დიდ თუ პატარა სამეფოთა მოსახლეობა, რომლებიც მან ასე უხვად ჩამოურიგა თავის მრავალრიცხოვან ნათესავებს, თუნდაც ის გენიალური ბუტაფორია, „ჯიბის" სახელმწიფო საბჭო, რომლის სხდომებში, ანუ ეპოქის შესაფერ თეატრალურ წარმოდგენებში, ენთუზიაზმით მონაწილეობენ კომედიური ჟანრის მსახიობები, რომლებიც მან არარაობიდან ქველმოქმედ მოღვაწეებად აქცია. ნუთუ მისი უთვალავი მომხრეები ასე უჩუმრად და მორჩილად მოიდრეკენ ქედს უსინდისო ჯაშუშთა, ინგლისელების მიერ ფაქტიურად მოსყიდულ მოხელეთა წინაშე? ნუთუ საფრანგეთმა ასე უცებ, ასე სამარცხვინოდ დაკარგა საკუთარი სახე, ის სახე, რომელიც მისი იმპერატორის გარჯამ და მუდმივმა გამარჯვებებმა შეუქმნა? მაგრამ ამაო გამოდგა ყოველი, მორიგი და მორიგი შიკრიკების ჩამოტანილმა ცხელ-ცხელმა ამბებმა მალე გადაუწურეს იმედი რეალისტურად მოაზროვნე ბონაპარტეს: გამოირკვა, რომ სახელმწიფო საბჭომ თითქმის ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ახალ ხელისუფალთ; რომ ვესტფალასა და ოლდენბურგში, პრუსიასა და საქსონიაში, ჰოლანდიასა და პიემონტში აჯანყების კოცონი გიზგიზებს; რომ მისმა სიმამრმა და ყურმოჭრილმა მონამ იმპერატორმა ფრანცმა, რომლისთვისაც ნაპოლეონი მხოლოდ ძლუბსიდან სტიქიონის უკუღმართი ნებით აღზევებული უზურპატორია, დრო იხელთა და მარი-ლუიზა — უმაღლესი ჯილდო, მოპოვებული ბონაპარტეს მიერ ავსტრიის სამეფო კარზე, — უკვე ვენაში გასამგზავრებლად ემზადება; რომ ესპანეთის ლაშქარი ბლოკირებულია ინგლისელთა და ადგილობრივ პარტიზანთა მიერ; რომ დაპყრობილ ქალაქებში ბედის ანაბარა მიტოვებული გარნიზონები განიცდიან სურსათისა და ტყვია-წამლის სასტიკ ნაკლებობას; რომ ევროპული რეზერვები მოუმზადებელი და, აქედან გამომდინარე, უმწეოა; რომ მოსკოვიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში ჩასაფრებულია მელაძუა კუტუზოვი დიდძალი ჯარით, თვით მოსკოვში აფეთქდა უაზრო ხანძრების გაუგებარი ეპიდემია და, — რაც იქნებ ყველაზე შემაშფოთებელია, — კარზეა მომდგარი სუსხიანი რუსული ზამთარი. შედევრის მაძიებლის მიზნებში არ შედის სექტემბრის გადატრიალებისა და ბურბონთა დინასტიის რესტავრაციის ამომწურავი ისტორიული ანალიზი, მაგრამ მას სრულიად აუცილებლად მიაჩნია შეახსენოს მკითხველს, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო დიადმა კორსიკელმა ამ მეტად საჩოთირო და კრიტიკულ სიტუაციაში. პოლიტიკურ და სამხედრო გარემოებათა გამო ნაპოლეონმა, უპერსპექტივოდ ჩათვალა ევროპაში დაბრუნება და უაღრესად პარადოქსული და, უეჭველია, გენიალური ნაბიჯი გადადგა: ნაბიჯი, რომლის შემწეობით მან საკუთარი მომავლიდან განდევნა ჯერ სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, შემდგომ ვატერლოო, დაბოლოს კი წმინდა ელენეს კუნძულზე ულიმღამო გადასახლებაც: ცეცხლმოდებულ მოსკოვში სამკვირიანი დაყოვნების შემდეგ მან ყველასთვის მოულოდნელად სამხრეთით, რიაზანისა და ტამბოვის ომით ხელუხლებელი გუბერნიების მიმართულებით, და როგორც საკმაოდ მალე გამოირკვა, შედარებით ცუდად დაცული ამიერკავკასიისკენ დაძრა თავისი თითქმის ასათასიანი არმია, კუტუზოვმა, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა ფრანგებისთვის გადაეკეტა თითქოს და ყველაზე ხელსაყრელი უკან-

დასახევი გზა — კალუგის, ველარ მოასწრო ნაპოლეონის ფანტასტიური მარშის დროული აღკვეთა. დიდი რუსი მხედართმთავარი არავითარ შემთხვევაში არ მოელოდა ღირსეული მეტოქის ესოდენ ბრწყინვალე მანევრს.

სამხრეთის ექსპედიციის სახელდახელოდ შედგენილი გეგმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ავანტიურისტის ბნედიანი გონების ნაყოფი როდი იყო. ნაპოლეონს შესანიშნავად მოეხსენებოდა თუ რაოდენ დაძაბულია ამიერკავკასიაში ურთიერთობა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროებს შორის, მით უმეტეს, რომ არც თუ დიდი ხნის წინათ, 1807 წელს, მისი მითითებით საფრანგეთის მთავრობამ დასდო ფადიშაჰთან ხელშეკრულება, რომლის მეორე და მესამე პუნქტების მიხედვით აღიარებულ იქნა სპარსეთის სრული სუვერენული უფლებები ურჩ ჩრდილო პროვინციაზე — საქართველოზე. ამასთან ნაპოლეონს ფადიშაჰის დასჯის სათანადო საბაბიც გააჩნდა და მიზეზიც: ოდნავ მოგვიანებით ფატჰ ალი-შაჰმა სტრატეგიული კავშირი გააბა იმპერატორის მოსისხლე მტერთან — ინგლისთან. თუმცა ბონაპარტეს ნათლად წარმოედგინა თუ რა ხასიათის სიძნელეების გადალახვას მოითხოვდა გვიან შემოდგომაზე რუსეთის ვრცელი ტრამალებით ამიერკავკასიაში შეღწევა კუტუზოვთან მუდმივი ჭიდილის პირობებში, მაგრამ გამართლებულად მიიჩნია დიდი რისკის გაწევაც კი. ჯერ ერთი, საკმარისად კარგი რუკები ჰქონდა მომარაგებული, რადგან თავიდანვე რუსეთის კამპანიის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში არც ინდოეთში გალაშქრებას გამორიცხავდა, მეორეც, — ერთგულ, გაწვრთნილ და გამოცდილ გვარდიაზე ამყარებდა უდიდეს იმედს. ნაპოლეონი მზად იყო სასიკვდილოდ გაეწირა რეგულარული ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ოღონდაც სასტიკ ომებში გამობრძმედილი ბირთვი — გვარდია, განსაკუთრებით კი ამ ბირთვის უსახელოვანესი ბირთვი — ძველი გვარდია, შეენარჩუნებინა. სამხრეთის ექსპედიციის საბრძოლო გზის აღწერით აქ თავს არ მოგაბეზრებთ, მხოლოდ იმაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რომ ნაპოლეონის ძირითადი სტრატეგიული ჩანაფიქრი საბოლოოდ ბრწყინვალედ გამართლდა და 1812 წლის ნოემბრის დამლევს ევროპის ყოფილი მპყრობელის რიგიანად შეთხელებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ბრძოლისუნარიანმა არმიამ კასპიისპირეთის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოაღწია და დაბანაკდა ტფილისის სიახლოვეს, იქ, სადაც დღევანდელი რუსთავია გაშენებული.

საქართველოს ისტორიის ამ გარდამტეხ მომენტში ნაპოლეონიც და იულონ პირველიც მეტად საჩოთირო არჩევანის — ომი თუ მშვიდობა — წინაშე დადგნენ. საკითხის უშფოთველი გადაწყვეტა თითეოს უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა. ერთის მხრივ, ბონაპარტეს სულის სიღრმემდე ჰქონდა გააზრებული, რომ საომარი მოქმედების შემდგომი წარმოება სრული უგუნურებაა, რადგან მას ხელთ აღარ უპყრია მართვისთვის აუცილებელი სახელმწიფო სადავეები და უცხო მიწა-წყალზე მოპოვებული ცალკეული გამარჯვებათა შედეგების მშვიდობიანი ხერხებით განმტკიცება მისთვის ამიერიდან პოლიტიკურადაა შეუძლებელი. ამიტომ, თუ იგი, დროებით მაინც, შეძლებდა საკუთარი პატივმოყვარე ამბიციების მოთოკვას, ქართველთ ქრისტიან ხელმწიფეს თავს მოყვრად მოაჩვენებდა . შესთავაზებდა მთელი თავისი ჯარითურთ მი სამსახურში ჩადგომას, ვინძლო, იულონიც დათანხმებულიყო ამგვარი ღვთისნიერების ფასად ლტოლვილი იმპერატორისთვის თავშესაფრის მიცემას, ხოლო შეიარაღებული იმიგრაციის ზედაფენისთვის გარკვეულ პრივილეგიათა მინიჭებასაც. მეორეს მხრივ, მსოფლიოს უპირველეს მხედართმთავართან აშკარა და პირდაპირი შეტაკება არც იულონ მეფისთვის უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც სახარბიელო. პირიქით, საქართველოს სამხედრო ძლიერების ასეთ რადიკალურ და, რაც მთავარია, უსასყიდლოდ შემოთავაზებულ ზრდაში მას იქნებ ცით მოვლენილი ნიშანი, თითქმის განწირულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი ისტორიული შანსი დაენახა. იულონისთვის, ისევე როგორც საქმეში მეტნაკლებად ჩახედული ყველა დიპლომატისთვის, სავსებით ცხადი იყო, რომ ასტრახანის ხელშეკრულება, მიუხედავად შეთანხმების ტექსტში უხვად მიმოპნეული მაღალფარდოვანი გამონათქვამებისა, მოასწავებდა რუსეთის ფაქტიურ პროტექტორატს როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ნაპოლეონის ხიშტებს, ზარბაზნებსა და მხედრულ ნიჭს იქნებ გაებათილებინათ კიდეც იმ ეროვნული თავისუფლების წამწყმედელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი და ბედკრული სამშობლოსათვის ამოსუნთქვის შვება მოეტანათ. ერთი სიტყვით, თუ ლაშქრობით დაქანცულ ნაპოლეონს ჰაერივით სჭირდებოდა იულონის გულის მოგება, იულონიც, თავის მხრივ, უარს არ იტყოდა ნაპოლეონის თავის ბანაკში გადმობირებაზე, ოღონდაც ამ უკანასკნელს გონი მოეკრიბა და ქართველთ ხელმწიფისა და თავად-აზნაურობისადმი სამარადჟამო ერთგულების გამომხატველი საკმარისად დამაჯერებელი საბუთი გამოენახა.

დღეს მთელი განსწავლული მსოფლიოს ხელოვნებათმცოდნეებისთვისაა ცნობილი გამო-

ჩენილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის მიერ შექმნილი, ჰაეროვანი სილაღითა და მასშტაბურობით გასხივოსნებული ტილო „კეისრის გარდასახვა“. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც არაერთხელ დამტკბარხართ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მთავარ დარბაზში მოწიწებით გამოფენილ სურათზე აღბეჭდილი ეპიური ჟღერადობის სცენით: ნაპოლეონ ბონაპარტეს იულონ მეფის წინაშე მუხლი მოუყრია და გულის ფანცქალით იულონის საბოლოო, თუმცა მოლაპარაკების პირველი ტურის შედეგებით განსაზღვრულ ლმობიერ განაჩენს ელოდება. დავით კაკაბაძემ ეს ტილო ჩვენი შფოთიანი საუკუნის ქრონოლოგიურ და იდეურ გარდატეხაზე, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მიუძღვნა კაცობრიობას. ფორმალური თვალსაზრისით მხატვარმა გარკვეულწილად დაამახინჯა ისტორიული სინამდვილე, ვინაიდან სკოლის სახელმძღვანელოებშიც კი აღნიშნულია, რომ მუხლმოდრეკისა და, ასერიგად, ნაპოლეონისა და მისი უმაღლესი ოფიცრობის მეფე იულონის ამალაში ჩარიცხვის ცერემონიალი გაიმართა სიონის ტაძრის შენობაში და არა მის გარეთ. სურათზე კი მთავარი მოქმედი პირნი, — ნაპოლეონი, მეფე იულონი და კათალიკოსი, — გამოსახულნი არიან დაზრქილი, თავჩაქინდრული, მდუმარე გვარდიელების, ჰაერში მსუბუქად ატყორცნილი სიონის მქრქალი სილუეტისა და ფუნჯის განგებ უხეში მოსმებით დახატული ქალაქის ფონზე, მუქი ლურჯი, ალაგ-ალაგ იისფერ ლაქებად და მენამულ ღრუბლებად ალებული ცა კი გუმბათივით გადმოპირქვავებულა და შეფარული წუხილის ელფერს გადაკრავს მთელ კომპოზიციას. მოქმედ პირთა სახეები პროფილშია მოცემული: გაბედული, მსხვილი იულონ მეფე და ტანხმელი, მხნე, შეჭაღარავებული კათალიკოსი ხელში აღმართული ოქროს ჯვრით — მარცხნივ, მუხლმოდრეკილი ბონაპარტე კი მარჯვნივ. ფარისევლურად დაჩიავებული, მდაბიურ თაგვისფერ სამოსში საგანგებოდ გადაცმული ნაპოლეონის პერგამენტისებურ ფერმკრთალ სახეზე თითქოს ადამიანური გრძნობის ნასახიც კი არაა აღბეჭდილი, იძულებითი თვითდამცირების ულმობელი განცდითაა დამწუხრებული მისი ბეჩავი, მომცრო, მეფე იულონის წინაშე მორჩილად ქედმოხრილი ფიგურა. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ბონაპარტე იულონის ჩექმებს ემთხვევა. მაგრამ საკმარისია მოიცილო თვალთაგან ყოველდღიური ცხოვრების უმეცრებითა და უხალისობით მოკიდებული ლიბრი, ოდნავ მაინც დაიძაბო ოჯახზე ზრუნვით დაღლილი გონება და მხატვრის მომხიბლავი ჩანაფიქრის არსში ჩაწვდომას შეეცადო, უმალ ინამებ, რომ გენიალურმა მთავარსარდალმა ეს უმაგალითო პირადი მსხვერპლი მხოლოდ თავის ერთგულ ჯარისკაცთა ხათრით გაიღო, მათ სიცოცხლესა და მხედრულ ღირსებას შესწირა თავმოყვარეობა, მათ მიუძღვნა მაღალი იმპერატორული წოდების ესოდენ უმოწყალო შელახვა. სამაგიეროდ უცხო მხარეს ტყვედ ჩავარდნილი მისი გვარდია იარაღის სამარცხვინო აყრას გადაურჩა და რა გასაკვირია, რომ ნაპოლეონი წმინდანის ნამებულის შარავანდედით იყო მოსილი მის გულნატკენ თანამებრძოლთა თვალში, — ასე მოიპოვა მან პოლიტიკური რევანში ერთი მუხლმოყრისა და სულიერი გვემის ფასად. სურათზე ის, თუნდაც მუხლმოდრეკილი, მზადაა ახალი ბრწყინვალე მომავლის აღსაშენებლად, რამეთუ ასაგები შენობის მყარი [illegible]რკველი ეს-ეს არის ამოყვანილია, ხოლო [illegible]ლონ მეფე[illegible]ო, სულ სხვაა იოლად, უხარჯოდ და უდანაკარგოდ მოპოვებული გამარჯვებით გაბრუებული ქართველთ ხელმწიფის თვითკმაყოფილებით აღსავსე იერი. მის ავხორც, მსუნაგ თვალებში ზეციური ნეტარება გამოსჭვივის, ბროწეულივით აჭარხლებული მისი ლოყებიდან ბავშვურად მიამიტური სიამოვნების ფლუიდები მოედინებიან, ჯიუტადაა დარწმუნებული, რომ მისი ახალი სამხედრო მრჩეველი ვერასდროს გაბედავს კანონიერ მართლმორწმუნე ხელმწიფეზე ხელის ბოროტად აღმართვას.

მაგრამ დღეს ჩვენ გაგვაჩნია ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგა ჩვენი სამშობლოს ისტორია, თუმცა საბოლოოდ ჯერაც ვერ განსაზღვრულა იულონის ღვაწლი და ადგილი ქართველ მეფეთა პანთეონში. ერთის მხრივ, პოლიტიკური სიბეცე და სიბრიყვეც კი, ყოველგვარი ლხინის უზომო ტრფიალი, მეორეს მხრივ — საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში შეტანილი დიდი პირადი წვლილი... არადა, როგორც დროთა განმავლობაში გამოირკვა, სურათზე გამოსახული სიხარული იულონისა საკმაოდ უსაფუძვლო იყო. ჯერ ერთი, ვარაუდი იმისა, რომ ფრანგი მეომრები ბრძოლის ველზე ძირითადად ქართველების ბრძანებათა უსიტყვო შემსრულებლების როლით დაკმაყოფილდებოდნენ, ყურით მოთრეული გამოდგა და გაქარწყლებულ იქნა თვით ომის წარმოების ლოგიკით: აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ტიპის ჯარი ვერ იარსებებდა გამოცდილ, სამხედრო თვალსაზრისით განათლებულ და ჯარისკაცთა ნდობით აღჭურვილი უფროსების გარეშე და ქართველთ უმაღლესი მთავარსარდლობა თანდათანობით იძულებული შეიქნა ფრანგი ოფიცრების მასობრივ გამოყენებაზე აეღო გეზი, რადგან არმია საჭირო რაოდენობის საკმარისად მომზადებული ეროვნული კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, ხოლო ქართულ ნაწილებზე ფრან-

გულების უპირატესობა შემტევი თუ დაცვითი ოპერაციების წარმოებისას სრულიად აშკარა ხდებოდა. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ იულონის ლაშქრის ჭეშმარიტი განმგებელი და სტრატეგი, რასაკვირველია, ბონაპარტე იყო და პირველ რიგში მის სწორუპოვარ სამხედრო გენიას უნდა უმადლოდეს საქართველო 1813-1816 წლების კამპანიის ბრწყინვალე შედეგებს. არასრული ოთხი წლის განმავლობაში მოხერხდა გრანდიოზული ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა: აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ შერწყმა. ქართველი ხალხის გაერთიანების საუკუნო ოცნების ახდენას, რა თქმა უნდა, მრავალი შესანიშნავი ვაჟკაცი შეეწირა. ბრძოლებში გმირულად დაეცნენ და, ბუნებრივია, პოლიტიკურ ასპარეზს, ჩამოცილდნენ იულონის ისეთი ძლიერი კონკურენტები, როგორც იმერეთის მეფე სოლომონ მეორე და სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი, ასევე უმოწყალოდ ამოწყვეტილ იქნა მათი პოლიტიკურად სახიფათო შთამომავლობა. დიდ წარმატებას მიაღწია საქართველომ რუსეთთან ხანმოკლე ომში, რომელიც განრისხებულმა ალექსანდრე პირველმა გამოუცხადა იულონს ასტრახანის ხელშეკრულების დარღვევის, ავანტიურისტ ბონაპარტესთვის თავშესაფარის მიცემის და ტუტოლმინის რაზმის განიარაღებისა და დატყვევების საბაბით, თუმცა ეს რაზმი ნაპოლეონის მუხლმოდრეკის ცერემონიის გამართვის შემდეგ მშვიდობიანად გასტუმრებულ იქნა თავის სამშობლოში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე პეტერბურგიდან კრულვასა და მუქარას არ აკლებდა გათავხედებულ იულონსა და მის ანტიქრისტე მთავარსარდალს, ფელდმარშალმა რაევსკიმ პირველ მტკივნეულ დამარცხებათა მერე ველარ გაბედა ღრმად შეჭრილიყო მტრულად განწყობილი საქართველოს ტერიტორიაზე. ამასობაში კი ნაპოლეონმა კავკასიონის სამხრეთ ფერდობებს შემორჩეული ლეკების ნაწილს მუსრი გაავლო, ნაწილი კი მოისყიდა და ლოიალურ მოკავშირედ გაიხადა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დასახლებულ დიდძალ უცოლო ფრანგ მამაკაცთა ზეგავლენით ნელ-ნელა, ფრთხილად, მაგრამ მაინც იცვლებოდა თანადროული ქართული საზოგადოების ცხოვრების ყაიდა და წესი. უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონის არმიაში, მეტადრე მაღალი წოდების ოფიცერთა შორის, საკმაო რაოდენობით იყვნენ განსწავლული ადამიანებიც: სამხედრო ინჟინრები და მშენებლები, გამომგონებლები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, რამდენიმე მხატვარიც კი. ეს ადამიანები, მართალია, ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ თავის იმპერატორს, მაგრამ არც ის იდეები ჰქონდათ ბოლომდე დავიწყებული, რომლებმაც საფრანგეთში ჯერ კიდევ ბონაპარტეს პირველ კონსულად დანიშვნამდე მოიკიდეს ფეხი. მათ, კერძოდ, გარკვეული წარმოდგენა გააჩნდათ ვოლტერსა და რუსოზე, იაკობინელებსა და ჟირონდელებზე, რესპუბლიკასა და მონარქიაზე, რევოლუციასა და კონტრრევოლუციაზე, ზოგიერთმა მათგანმა კი თან, - მიუხედავად ლაშქრობის მძიმე პირობებისა, [illegible]აში მანამდე არნახული წიგნები ჩამოიტანა. ქართული კულტურა უაღრესად მდიდარი, მაგრამ მეტად სპეციფიურია და ბუნებრივია, რომ იმდროინდელ საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა ფრანგ იმიგრანტებზე ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურესი სოციალური ჩამორჩენის შთაბეჭდილებას ახდენდა. სხვათა შორის, ისტორიული მასალებიდან ცნობილია, თუ როგორი დაჟინებით შთააგონებდა ნაპოლეონი იულონს შეხედულებას ბატონყმობაზე, როგორც ველურობაზე, რომლის მოსპობის გარეშე რაიმე პროგრესულ განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია და მოითხოვდა, თუმცა წარუმატებლად, ქვეყნის ეკონომიკიდან მეურნეობის გაძღოლის ფეოდალური მეთოდების აღმოფხვრას. თავის მხრივ, ქართული თავად-აზნაურობის შესამჩნევი ნაწილი (მეტადრე კი ფრანგების სიტყვაკაზმული დელიკატურობით აღფრთოვანებული გაუთხოვარი და, იშვიათ შემთხვევაში, გათხოვილი ქალები), გასაგებ შემწყნარებლობას იჩენდა საუკეთესო რაინდული თვისებებით შემკობილ მარტოხელა ევროპიელ ოფიცერთა მიმართ. უცხოელებისკენ ასეთ ლტოლვას თავიდან რამდენიმე გაუგებრობა და რაღაც დუელის მსგავსიც კი მოყვა, მაგრამ, საბედნიეროდ, ნაპოლეონმა დროულად აღკვეთა მოსალოდნელი საშიშროება, სასტიკად, დახვრეტის მუქარით, აუკრძალა თავის მეომართ, მიუხედავად სამხედრო რანგისა თუ აზნაურული წოდებისა, სტუმართმოყვარე მასპინძლების ეროვნულ გრძნობათა და წეს-ჩვეულებათა აბუჩად აგდება. ამასთან, თავისთავად ცხადია, რომ დროთა განმავლობაში ფრანგი ყმაწვილკაცებისა და ქართველი ქალიშვილების კანონიერად კურთხეული შეუღლება საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ბონაპარტესა და მისი ამალის როლი იულონის სამეფო კარზე დღითი დღე იზრდებოდა და 1817 წლის გაზაფხულისთვის, შთამბეჭდავ სამხედრო გამარჯვებათა ფონზე, საქართველოში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობა დამყარდა. სულ უფრო ნომინალური ხდებოდა მეტისმეტად გაბღენძილი და გალოთებული იულონის მმართველობა და სულ უფრო ხორციელი მისი სახელოვანი სამხედრო მრჩეველისა. თანაც, უთუოდ საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის მართლაც რომ განუ-

ზომელი ნდობა, რომლითაც ძლევამოსილი მხედართმთავარი სარგებლობდა პირადად იულონისა და მისი ოჯახის თვალში. ცხადია, ასე არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. სახელმწიფო კრიზისმა იჭექა მაისის ერთ-ერთ მშვენიერ, მთვარის სინათლითა და ნაადრევი სითბოთი ავსილ ღამეს, როდესაც გორის ტურფა მიდამოებში ნადირობით გამოძლარ მეფე იულონს მის პატივსაცემად გამართული ნადიმის შემდეგ მშვიდად და უშფოთველად ეძინა გორის დიდი თავადის საზაფხულო სასახლეში. მიძინებულ შენობაში საოცარი სისწრაფით გავრცელებულმა ცეცხლმა ხანძარმა იმსხვერპლა თვით მეფე იულონი, იულონის უმცროსი ძმა — ფარნაოზი, ტახტის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე უფლისწული ზურაბი, გორის დიდი თავადი ოჯახითურთ, მეფის პირადი დაცვა და მრავალი დიდგვაროვანი აზნაური — სულ სამოცდაათამდე კაცი. ოფიციალური ცნობის მიხედვით ხანძარის მიზეზი ერთ-ერთი მოსამსახურის უბრალო გაუფრთხილებლობა ყოფილა, მაგრამ ლოგიკურია დაისვას კითხვა: რა მანქანებით გახდა შესაძლებელი რაიმე ოფიციალური ვერსიის გამოცხადება, თუკი გამოძიებას ამ შემზარავი ამბის არც ერთი მოწმე არ დაუკითხავს, ან როგორ დაკითხავდა, თუ იმ ჯოჯოხეთში ცოცხლად არავინ გადარჩენილიყო, ხოლო ხით ნაშენი სასახლის ადგილას დანახშირებული მიწის გარდა ველარაფერს ნახავდა კაცი? გასათვალისწინებელია ის არსებითი გარემოებაც, რომ იმხანად იულონს სხვა შვილი, ძმა თუ და არ ჰყოლია და უფლისწულის სიკვდილთან ერთად იმ საზარელ ღამეს საბოლოოდ აღესრულა ბატონიშვილების სახელოვანი დინასტია. თუმცა ისტორიკოსებს დღესაც არ მოეპოვებათ უტყუარი საბუთი იმისა, რომ ხანძარი ნაპოლეონის პირადი მითითებით მოეწყო და, მაშასადამე, ჩვენთვის იურიდიულად დაუდგენელია მისი თანამონაწილეობის ფაქტი მომხდარ ბოროტმოქმედებასა თუ ტრაგედიაში, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო თუ ვის გაეხსნა გზა უმაღლესი ძალაუფლებისკენ მას მერე, რაც ცეცხლმა შთანთქა საცოდავი ბატონიშვილები. სხვათა შორის, ამ საიდუმლოებით მოცულმა ხანძარმა დასაბამი მისცა ლამაზ ლეგენდას უფლისწულ ზურაბის სასწაულებრივი გადარჩენისა და უცხო მხარეს გადახვეწის თაობაზე. ლეგენდის წარმოშობა იმან განაპირობა, რომ ნახანძრალზე აღმოჩენილ დაბუგულ გვამებს შორის ვერავინ აღმოაჩინა უმცირესი ნაშთიც კი ტრაგიკულად დაღუპული უფლისწულის დამწვარი ცხედრისა, რამაც, თავის მხრივ, დაკრძალვის სევდიან ცერემონიას ერთობ მისტიკური ხასიათი მისცა. ფანტასტიური, თუმცა ბოლომდე გამოუკვლეველი და გაუქარწყლებელი ვერსიებისა და სპეკულაციების საზოგადოების სხვადასხვა ფენაში დროებითმა გავრცელებამ ოდნავ გაუფერულა ნაპოლეონს საქართველოს დაობლებული ტახტის დაუფლება, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. საქართველოს სამეფოში მაშინ არ მოიძებნებოდა სხვა ღირსეული პიროვნება, გარდა ნაპოლეონისა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა როგორც უმაღლესი ოფიცრობისთვის, ისე ქიშპობას გადაყოლილი მსხვილმემამულური თავად-აზნაურობისთვის და 1818 წლის ბარაქიან შემოდგომაზე ბონაპარტემ, ოფიციალურად დაიბრუნა თითქოს სამუდამოდ დაკარგული იმპერატორის წოდება, ზარ-ზეიმით ავიდა საქართველოს ტახტზე იულონ მეორე კეისრის სახელით და ერთპიროვნულად მართავდა კიდეც საქართველოს იმპერიას თავის გარდაცვალებამდე 1841 წელს, სამოცდათერთმეტი წლის ასაკში.

სანამ დღევანდელი, ამიერკავკასიის კიდით კიდემდე გაშლილი საქართველოს კონსტიტუციური რესპუბლიკის ზოგიერთ მიღწევასა თუ ჭირ-ვარამზე მოგახსენებდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ ისტორიული გზა, რომელმაც ჩვენი სამშობლო მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ჩიხში მოამწყვდია, — ეს ზოგ-ზოგი მეტისმეტად თვითმყოფადი აზროვნებით გამორჩეული და განსაკუთრებით ახირებული ინტელიგენტის რწმენით. იულონ მეორე კეისარმა გამეფებისთანავე რკინის ხელით დაიწყო ერთიანი საქართველოს ფარგლების სამხრეთით და აღმოსავლეთით გაფართოება და პროგრესულ ბურჟუაზიულ რეფორმათა განხორციელება. ეს გახლდათ ზევიდან რევოლუციის ფრიად საინტერესო, იქნებ განუმეორებელი და ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი მაგალითი, რომელსაც ფიზიკურად შეეწირა ბევრი გამოჩენილი მოწინააღმდეგე და რომლის მიმდინარეობამ თანადროულ და მომდევნო თაობათა მრავალ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა პოლიტიკურ აზროვნებას წარუშლელი კვალი დააჩნია. საკმარისია ითქვას, რომ ბატონყმობა საქართველოში გაუქმდა იულონ კეისრის დეკრეტით 1821 წელს, მაშინ როდესაც მეზობელ რუსეთში — მხოლოდ 1861 წელს. გონიერი, წინდახედული და ლაშქარმრავალი იმპერატორის რუდუნებით ზეშთაგონებულმა ახალმა მინისტრებმა, — კეისრის მთავრობის წევრებს სწორედ ასე ეწოდა: „მინისტრები“, — ევროპულ ყაიდაზე დაიწყეს ქვეყნის მოვლაპატრონობა. ძირეულმა კაპიტალისტურმა გარდაქმნებმა ქალაქად და სოფლად, ჯერ უბრალო მანუფაქტურების, შემდეგ კი მანქანადანადგარებით აღჭურვილი ფაბრიკების მშენებლობამ, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ინტენსიურმა დამუშავებამ, მეცნიერე-

ბათა აკადემიის დაარსებამ, საბანკო საქმისა და ვაჭრობის განვითარებამ, შეიარაღებათა დიდი ნაწილის დამოუკიდებელმა წარმოებამ, მრავალმა სხვა კარგად გააზრებულმა ღონისძიებამ, რომელთა ოდენ ჩამოთვლა ძალზე დაგვღლიდა, ათეული წლების განმავლობაში სრულიად შეცვალეს ქართლის ბედი. ჯერ კიდევ იულიონ კეისრის გარდაცვალებამდე საქართველომ რეგიონის ყველაზე განვითარებულ და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევა მოასწრო. 1822 წელს იმპერიაში შემოღებულ იქნა რეკრუტების ჯარში ყოველწლიური გაწვევა, ოცდაათიან წლებში გაყვანილ იქნა პირველი ლიანდაგი ტფილისიდან ახალციხემდე, იულონ კეისართან ურთიერთობის გამწვავებას „რუსული დათვიც" კი ერიდებოდა, ხოლო სხვა მოსაზღვრე ქვეყნების შეიარაღებული ძალები პროფესიონალიზმის, მობილურობისა თუ ალჭურვილობის დონით საქართველოს არმიასთან ახლოსაც ვერ მოდიოდნენ. საქართველოს სამხედრო და საერთაშორისო პრესტიჟის აწევას ბუნებრივ შედეგად მოჰყვა დიპლომატიური კავშირების აღდგენა თუ დამყარება რუსეთთან და საფრანგეთთან, ამ ქვეყნებთან ახალი, ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებების დადება, ფულადი და სასაქონლო მიმოქცევის განვითარება. ქალაქების განუხრელ ზრდასა და თანამედროვე ტიპის არმიის ჩამოყალიბებასთან ერთად მიმდინარეობდა ქართული საზოგადოების ზედაფენების თანდათანობითი ფრანკოფიკაციის პროცესი. ეროვნებით ფრანგნი ხშირად ინიშნებოდნენ გავლენიან სამოქალაქო თანამდებობებზე, ქართველი აზნაურები თავს აწონებდნენ ქალებს ფრანგული სიტყვების ცოდნითა და ლაპარაკის ფრანგული კილოთი, ქართველი ქალები თავს აწონებდნენ აზნაურებს ფრანგული სუნამოებითა და პარიზულ მოდაზე შეკერილი კაბებით, ტფილისსა და ქუთაისში საზეიმო ვითარებაში გახსნილ ფრანგული ყაიდის ლიცეუმებში სავალდებულო გახდა ფრანგული ენისა და ისტორიის სწავლება, შეძლებული მშობლების შვილები არც თუ იშვიათად მიემგზავრებოდნენ ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლების მისაღებად, ხოლო აზნაურული წარმოშობის ცალკეული ქართული გვარები „დე" და „ლე" წინდებულებითაც კი მოიკაზმა. მრავალრიცხოვანი სამხედრო ლაშქრობებისას გამოიკვეთა, რომ ალლუმებისა და მეტოქეთა პოზიციებზე შეტევების დროს ქართველი მეომრები ფრანგებზე ხმადაბლა როდი გაჰკივიან „ვივ ლეპელოლ" და ასრულებენ სარდლობის პასუხსაგებ და სახიფათო დავალებებს. სხვა მიზეზებთან ერთად, ამ გარემოებამაც განაპირობა საქართველოს თურქეთთან და სპარსეთთან ხანგრძლივ ომებში გამარჯვება და გარკვეული ვადით თურქული ანატოლიის აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ვილაიეთების, ასევე განჯის, ყარაბაღის, შირვანის, ირანული აზერბაიჯანის საქართველოსთან შემოერთება. ოდნავ წინ გავუსწრებ თხრობის ქრონოლოგიურ მსვლელობას და აღვნიშნავ, რომ მიუხედავად მომავალ ათწლეულებში სახელმწიფო საზღვრების განუწყვეტელი მოძრაობისა რეგიონში, საქართველომ მცირე დათმობების ფასად შეინარჩუნა კეისრის დროინდელ ტერიტორიულ მონაპოვართა დიდი უმრავლესობა და ამიტომაა, რომ დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, ჩვენი სამშობლო ამაყადაა გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიონიდან არზრუმამდე და თავრიზამდე.

მონარქიის დამხობა იულონ მეორე კეისრის სიკვდილისთანავე და საქართველოში მართვის მონინავე, რესპუბლიკური ფორმების დამკვიდრება ჩვენი ახალი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და კარგად შესწავლილი ფურცელია, მაგრამ მისი წაკითხვა საგანგებო ყურადღებასა და გარჯას მოითხოვს და ამჯერად, დროის სიმცირის გამო, ნება მიბოძეთ მხოლოდ იმ ნაკლებად მეტყველი განცხადებით შემოვიფარგლო, რომ სუსტი ჯანმრთელობის უფლისწულმა ამირანმა, იულონ კეისრისა და დედოფალ მზევინარის ერთადერთმა ვაჟიშვილმა, ანგარიში გაუწია სახელოვანი მამის ანდერძში გამოხატულ უკანასკნელ სურვილს და უდრტვინველად, ჯანმრთელობისთვის მავნე ზედმეტი ბუზღუნის გარეშე, აიყარა უზენაესი ძალაუფლების კუთვნილი ნიშნები. სამაგიეროდ კი, იგივე ანდერძის თანახმად, სახელმწიფო მრჩეველთა კომისიამ მოქალაქე ამირან ბონაპარტე ერთხმად აირჩია ეროვნული პალატის პრეზიდენტის მეტად საპატიო პოსტზე. ტფილისში საგანგებოდ შეკრებილმა რწმუნებულებმა ერთი თვის განმავლობაში შეიმუშავეს და დაამტკიცეს საქართველოს პირველი კონსტიტუცია, დასაბამი მისცეს კლასიკური ტიპის მრავალპარტიულ პარლამენტს, აღუთქვეს ხალხს ადამიანის ურყევ უფლებათა დაცვა და უკანონოდ მხოლოდ ისეთი კავშირებისა და ჯგუფების არსებობა გამოაცხადეს, რომლებიც ეროვნული უმცირესობებისთვის ყალბად გაგებულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ და ყოველნაირად უთხრიდნენ ძირს სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას. მიუხედავად მერყევი და არაკეთილსაიმედო ელემენტების ურცხვი და გამუდმებული ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისა, „მსუყე" დემოკრატიული პრაქტიკით გამდიდრებულმა პარლამენტულმა სისტემამ მცირედი ცვლილებებით დღემდე მოაღწია, საქართველოს თავიდან აიცილა პირველ და მეორე მსოფლიო სისხ-

ლისლვრაში უშუალო მონაწილეობა და ჩვენს თაობას ედემის ნალკოტივით ტურფა ქვეყანა მოართვა. რა გინდა, რომ ვერ შეამჩნიოს კეთილმოსურნეს გონიერმა თვალმა პლანეტის მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ ზედაპირზე მანათობელი ზურმუხტივით აკიაფებულ საქართველოში! ფართო, ექვსრიგიანი ავტოსტრადები და საზღვაო ლაინერივით ზვიადი საერთაშორისო აეროპორტი „იულონ კეისარი", ბრწყინვალე ხუთვარსკვლავიანი ოტელები შავიზღვისპირეთსა და დედაქალაქში და ხევსურეთში, არაგვის გასწვრივ მოხდენილად გაშენებული „ქართული დისნეილენდი", თანამედროვე ქარხნების ათასგვარი ნაწარმი: ლიმუზინები „იულონი" და კომპიუტერები „ნაპოლეონი", სარაკეტო დანადგარები „იმპერიის მახვილი" და მსუბუქი ტანკები „ბონაპარტე", უსახელო ატომური ბომბები და ელექტრონიკით გატენილი სათამაშოები, ავიაგამანადგურებლები „ცის კეისარი" და სერიული ატომური რეაქტორები „დავით აღმაშენებელი"; მრავალი-მრავალი სხვა ღირსშესანიშნაობა..., ყოველივე ზემოთქმული, — მასთან კი უნებურად გამოტოვებულიც, — აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს შედევრის იმ მაძიებელმა, რომელიც გაბედავს, გადაწყვეტს და შეეცდება მოუთხროს ამქვეყნიურ სიფლიდეში ნებაყოფლობით ჩათრეულ კაცობრიობას ამბავი გენერალ რამინ ბაქრაძის ქველურ მოღვაწეობასა და ტრაგიკული დაღუპვის შესახებ; იმ გენერალ ბაქრაძეზე, ვისი ღვაწლიც ჯერ არც კია თანამემამულეთა მიერ სათანადოდ დაფასებული და ვისი პატრიოტული რეპუტაციის საბოლოო აღდგენა უთუოდ უახლოესი მომავლის საქმეა.

სანამ შედევრის მაძიებელი გენერალ ბაქრაძის ცხოვრების გზის აღწერას შეუდგებოდეს, მან აუცილებლად იმგვარად უნდა მოახერხოს თავისი ნაწარმოებისთვის კულმინაციური წერტილის შერჩევა, რომ თხრობის პოლიუსში მოექცეს რამინ ბაქრაძის შედარებით გულწრფელი საუბარი პოლკოვნიკ რუმიანცევთან — ყოფილ საბჭოთა მოქალაქე, ამჟამად კი საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს სამხედრო ატაშატის თანამშრომელთან. ნაწარმოების სიუჟეტს ჩვენ აქ არ შევეხებით, — სიუჟეტი მთლიანად ავტორის ზრუნვის საგანია და შედევრის მაძიებელი, რა თქმა უნდა, სრულიად თავისუფალია ტექნიკური ხერხების არჩევანში. მან შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს, — და ჩვენ უყოყმანოდ მხარს ვუჭერთ მის ამ ჩანაფიქრს, — გამართოს ასეთი შეხვედრა ადრე შემოდგომის ერთ-ერთ თბილ და მშვენიერ საღამოს გაგრის მახლობლად მდებარე დახურულ სამხედრო სანატორიუმში, — თავისი თითქმის უკაცრიელი, ოქროს ქვიშით მოფენილი პლაჟით, გულდასმით განყობილი მწვანე ხეივნებითა და მსუბუქი ფანჩატურებით, მით უმეტეს, რომ ორივე ოფიცერს კანონიერი საშუალება აქვს სწორედ აქ გაატაროს კუთვნილი ხანმოკლე შვებულება. ვიმეორებ, ყოველივე ეს შედევრის მაძიებლის პირადი გემოვნების საკითხია, ვინაიდან იგივე შინაარსის შეხვედრა შეიძლება გამართულიყო სადმე სხვაგან, მაგალითად, ერთ-ერთ მიღებაზე ინგლისის საელჩოში, ან წყნეთში, გენერალ ბაქრაძის ვილაში, ან მესხეთ-ჯავახეთში, საქართველოს სა[illegible] ჯარების საწვრთნელი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ გამართულ ბანკეტზე, ან პრეზიდენტ დ'ავალიანის საგვარეულო მამულში, მოკლედ, თითქმის სადაც გნებავთ, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, უბრალოდ გაგრის სანაპირო ზოლი, თანაც სექტემბრის „ხავერდოვანი" სეზონის დასაწყისში, ჩვენ მიგვაჩნია ისეთ ალაგად, სადაც სულიერად ოდნავ მოშვებულ ნარჩინებულ სამხედრო პირთ აზრთა გულწრფელი ურთიერთგაზიარება უადვილდებათ, სადაც თვით მშვიდი და ამაღლებული ბუნება საუკეთესოდ განაწყობს მუდმივი დაძაბულობითა და პასუხისმგებლობით გათანგულ და ილაჯგაწყვეტილ ადამიანებს არაჩვეულებრივად ლაღი და თავისუფალი მოქცევისკენ.

დახურული სანატორიუმის მორიდებულად განათებულ ნომერში ორი ოფიცრის „საიდუმლო სერობას", — არადა, შემჩნეულია, რომ ქვეყნის ასავალ-დასავალზე გულითად მასლაათს ყველაზე უკეთ სწორედ ნყვილი ბოთლი ცივი არაყი, სოკოს მწნილი და კარგად გამოყვანილი ლორი აჩაღებს, — წინ უძღვის მოკლე ახსნა-განმარტება რუსეთიდან გადმოხვეწილი პოლკოვნიკის ვინაობასა და საქმიანობაზე. შედევრის მაძიებელი, ცხადია, ითვალისწინებს იმას, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის მეთაურ გენერალ ბაქრაძისთვის, მაღალი თანამდებობისა და სამსახურებრივი კავშირების წყალობით, ნაწილობრივ მაინც მისაწვდომია გასაიდუმლოებული ინფორმაცია თავისი სტუმრის ჭეშმარიტ მისიაზე და მხოლოდ მკითხველთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით გვამარაგებს ძუნწი ცნობებით პოლკოვნიკ რუმიანცევის გარეგნობაზე, ასაკსა და კარიერაზე. ამ პიროვნების სახის ნაკვთები და წლოვანება ჩვენთვის ნაკლებადაა საინტერესო, ხოლო რაც შეეხება კარიერას... ორი წლის წინათ რუმიანცევი საბჭოთა გენერალური შტაბის დელეგაციის შემადგენლობაში დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ჩავიდა, იქ კი, გააოგნა მტერიც და მოყვარეც, ყველასთვის მოულოდნელად შეერთებული შტატების საელჩოში გამოცხადდა და პოლიტიკური თავშესაფარი

მოითხოვა. იქნებ გახსოვთ კიდეც, რა ქარბუქი ატყდა მაშინ დასავლეთის პრესაში! მრავალრიცხოვან დაკითხვებზე პოლკოვნიკი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ არასდროს ყოფილა ჯაშუში, ან თავისი ხალხისთვის ავის მოსურნე, და რომ მისი ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო იმ სასონარკვეთით, რომელიც დაეუფლა მის სულსა და გონებას მას მერე, რაც ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ქვეყნის განვითარების ძირითად გეზად ე. წ. „განწმენდა" გამოაცხადა, გააჩაღა ფსევდო-დემოკრატიული ლაყბობა, დაუკარგა ხალხის მასებს რწმენა, ხალისი და მყარი ორიენტირები და ხელი აიღო რუსეთის ისტორიულად გამართლებული სტრატეგიული და სამხედრო ინტერესების მტკიცე დაცვაზე. ამასთან პოლკოვნიკი ახალ პატრონებს ერთგულებას აღუთქვამდა, კეთილი ნების ნიშნად მზად იყო გადაეცა ამერიკელებისთვის მთელი რიგი სრულიად საიდუმლო მონაცემებისა და საფასურად ითხოვდა ერთადერთს: რაიმე სამსახურს მოქმედ არმიაში. რუმიანცევი არ მოერიდა სამშობლოში ცოლისა და სამი შვილის მიტოვებას, ოღონდ კი გამიჯვნოდა ახალ ხელისუფალთა კატასტროფულ კურსს — იმდენად დიდი იყო მისი სიძულვილი განწმენდის პოლიტიკის მიმართ. მეტიც, მან ნება დართო გავლენიან ჟურნალ-გაზეთებს კამპანია გაეშალათ მისი ოჯახის ამერიკაში გამოსაშვებად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლკოვნიკის განცხადებით, ასეთი ღალატის შემდეგ ყველა მის ახლობელს სასტიკი შევიწროება და ათასგვარი ტანჯვა-დამცირება არ ასცდებოდა. თავს არ შეგაწყენთ ამჯერად ამ კამპანიის შედეგებზე ლაპარაკით, ჩვენი წარმოდგენით ეს სულ სხვა ნაწარმოების თემაა, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ხანგრძლივი, გულმოდგინე და ყოველმხრივი შემოწმების მერე და სადაზვერვო სამმართველოს დასკვნის თანახმად პენტაგონს უფლება მიეცა პოლკოვნიკის პროფესიული ნიჭი, ოსტატობა და გამოცდილება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისთვის გამოეყენებინა. მაგრამ როგორი ავტორიტეტულიც არ უნდა ყოფილიყო დაზვერვის დასკვნა, შეიარაღებულ ძალებს საკუთარი გარანტიები სჭირდება; მათი ნდობის დამსახურება, თანაც თავისი ქვეყნის — რაგინდ იდეური — მოღალატისთვის, უაღრესად ძნელი საქმეა და სანამ რუმიანცევს ვაშინგტონში მისი კვალიფიკაციის სათანადო ადგილს გამოუნახავდნენ, ჯერ აქ, მოკავშირე ინგლისის საელჩოს ატაშატში მიავლინეს სტაჟირებაზე; რა თქმა უნდა, დროებით და, რა თქმა უნდა, ინგლისისა და შეერთებული შტატების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, — თუმცა, ეს ამბავი ცნობილი გახდა პრეზიდენტ დ'ავალიანისთვის და საქართველოს ზოგიერთი სხვა პოლიტიკური თუ სამხედრო მესვეურისთვის პოლკოვნიკ რუმიანცევის მოქმედების სფეროში შედიოდა რადიოელექტრონული დაზვერვის ოპერატიული დაგეგმვა მისივე ყოფილი სამშობლოს წინააღმდეგ. შედევრის მაძიებლის ნებსით პოლკოვნიკი პირნათლად ასრულებდა თავის ახალ მოვალეობებს, ზუსტად ისე, როგორც ეს შეგნებულ ანტიკომუნისტს, — ან საგანგებოდ მომზადებულ ფანატიკოს აგენტს, — მოეთხოვებოდა და ჩვენ ამ ორჭოფულ საავტორო კონცეფციაში ეჭვის შეტანა უბრალოდ აკრძალული გვაქვს.

მაშ ასე: უხილავი მეთვალყურე, სანატორიუმის სანახევროდ ჩაბნელებულ ნომერში გამართული ფარული ნადიმის მოკრძალებული დამსწრე, გარკვეული დროის შემდეგ, — მას მერე, რაც დაიცალა პირველი ბოთლი, — აუცილებლად აღნიშნავდა უჩინმაჩინის ბოროტი ღიმილით, აღნიშნავდა კი არა, შეიტანდა კიდეც, რომელიმე ასევე უხილავ და მეტისმეტად გაბერილ დოსიეში, რომ პოლკოვნიკიც და გენერალიც აშკარად შემთვრალან, სხაპასხუპით მეტყველებენ ისეთ ბუნდოვან საკითხებზე ჩვენი არსობისა, რომელთა ხსენებაც კი უხერხულია მათი სამსახურებრივი მდგომარეობისა და სამხედრო წოდების ადამიანებისთვის და სულ უფრო იმსჭვალებიან ერთმანეთისადმი წმინდა ბიოლოგიური ნდობით „მე მაგათი დედა ვატირე, — მრისხანედ ბუტბუტებს შეწითლებული, ზორზოხა რუმიანცევი, — განა გამოვიპარებოდი, წესიერ ხალხთან რომ მქონოდა საქმე! მაგრამ ჩვენთან აღარ არის წესიერი ხალხი". „მაშ, მაშ, — დასტურს აძლევს მაღალი, ახოვანი ბაქრაძე, — მე თვითონ ხუთი შვილის მამა ვარ, ხუთის! სამი ვაჟკაცი, სამი ლომი და ორი გოგო, ორივე სკოლაში სწავლობს. ხუმრობა ამბავია ოჯახის დატოვება იმ ანტიქრისტეების ხელში!" „ე, ოჯახი... — ორაზროვნად გამოცრის კბილებში რუმიანცევი, — რა ოჯახი? განა ოჯახია მთავარი? იცით, დაკითხვებზე ყველაზე ხშირად რას მეკითხებოდნენ? კარგი, ცოლი ჯანდაბას, კაცნი ვართ, მაგრამ ქალიშვილები როგორ მიატოვეო! ჩასვრილი ფსიქოლოგები და არა ჯარისკაცები! თუმცა რას ვერჩი, ასე ასწავლიან იმ დაწყევლილ ამერიკულ სკოლებში. ძლივს დავარწმუნე, თქვენთან გადმოსვლის არავითარი სხვა გზა არ იყო, ოჯახს კი მაინც არ შევარჩენ, თქვენი და ღმერთის შემწეობით გამოვტაცებთ იმ ურჩხულებს-თქო. დიდი მეოჯახე ხალხია ამერიკელები, გენერალო. ქართველებზე გაცილებით უფრო ფარისეველი, რომ იცოდეთ! მოდი, ამ ჭიქით ჩვენი შვილებისა იყოს, მაგრამ ოჯახი... სიყვარული — ძალიან კარ-

გია, ყველამ უნდა გამოსცადოს, მაგრამ ოჯახური ცხოვრება, ოჯახი არათუ ჭეშმარიტ მეგობრობას გამორიცხავს, სიყრმის ძმაკაცებს გაკარგვინებს, ოჯახი — ბორკილია ენერგიული, ძლიერი პიროვნებისთვის, თუ ის კაცობრიობისთვის აპირებს თავის გადადებას. განა რევოლუცია ამით არ დაიწყო? რევოლუცია ერთადერთი გამოსავალია უკლებლივ ყველა ჩასვრილი მდგომარეობიდან, კეთილი ნებითა და ლოლიაობით კი ვერას გახდები... ეს „განწმენდაც" იმიტომ მეზარება, რომ ჩემს სამშობლოში სიმდიდრის რეაბილიტაციაზე და ოჯახის კულტის აღდგენას მოასწავებს. სიმდიდრე — ეს კარგია თქვენთვის, კაპიტალისტებისთვის. განა მე სამშობლო არ მიყვარს, მაგრამ ეს, აბა, რა სამშობლოა? ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, მალაზიის გამყიდველი მინისტრზე მეტი ძალაუფლებით სარგებლობს, სულ ფეხზე ჰკიდია მთავრობაცა და ცეკას დადგენილებაც, ყველგან მექრთამეობაა, ეს მოგონილი „განწმენდაც" კი არამზადებმა და მომხვეჭელებმა მოიხელთეს, თითქოს „ავრორას" მათი ჯიბის გასქელებისთვის გაუსროლია, თითქოს ტყუილად დავიპყარით ნახევარი ევროპა ოცი მილიონის სიცოცხლის ფასად, —' მე თქვენ გეკითხებით, გენერალო, შეიძლება ასეთ ქვეყანაში ცხოვრება? ასეთი უნდა იყოს მთავრობა, რომელსაც ემსახურები?" „რაღაც დაუჯერებელი ამბავია, — ნამიერი დაყოვნების შემდეგ პასუხობს ბაქრაძე, — ამით ჩვენს შვილებს გაუმარჯოს, რაც ჩვენ დაგვაკლდა, მათ მოემატოს... შეუძლებელია მალაზიის გამყიდველს მინისტრზე მეტი ძალაუფლება ჰქონდეს, რაღაც გეშლებათ უთუოდ. პირიქით, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მთავრობა ისე მართავს სახელმწიფოს, როგორც მოეპრიანება". „რა ტოტალიტარული, რის ტოტალიტარული გენერალო. ნამეტანი ნუ კი გჯერათ მაგ თქვენი ბოზი ქალივით მატყუარა გაზეთების. ტოტალიტარიზმი კი არა, ყველაფერი იშლება და ინგრევა. ორში ერთი: ქვეყანას ან კაპიტალიზმის რესტავრაცია არ ასცდება, ან ახალი ოცდაჩვიდმეტი. არც ერთი არ მაწყობს და იმიტომაც წამოვედი. ოჯახსაც გადმოვიყვან შტატებში, რა გგონიათ... სულ ამ „განწმენდის", ამ სამარცხვინო ავანტიურის ბრალია. რა საჭირო იყო? მერე რა, რომ უამრავი ნაკლოვანება გვიმწარებდა ცხოვრებას? ერთბაშად არ გაასწორონ! გვქონდა დალოცვილი სიმშვიდე გუგულივით ქვეყანაში და ვიყავით კარგად: ხალხსაც არავინ გვიპატიმრებდა და სოციალიზმის მონაპოვრებსაც არაფერი ემუქრებოდა. გვიჭირდა, მართალია, მაგრამ ახლა უფრო გვიჭირს — ერთი კათხა ლუდი რაღაა, იმასაც ველარ დალევ თავისუფლად დარბაისელი კაცი. წინათ თქვენ და თქვენისთანებს გებრძოდით და ახალგაზრდებსაც ვუნერგავდით ნათელი მომავლის რწმენას. გასაჭირს გამართლება ჰქონდა და ცხოვრებას — აზრი, აზრი, რომლის სიდიადე მთლიანად მოიცავდა პატარა ადამიანის მოკრძალებულ ზრახვებს და მის სიცოცხლეს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებდა. მოდით, ამ ჭიქით ცხოვრების აზრს გაუმარჯოს, [illegible] იფურჩქნება და ილუპება პიროვნებაც და სახელმწიფოც — ვერავითარი სოციალიზმი ვერ უშველის. რიდი იყო მსოფლიოში ჩვენი და შიში ორმაგი, სამმაგი შიში, ეხლა კი, ამ „განწმენდის" გადამკიდე... — [illegible] დაუმეღოდ გადაკრავს ჭიქას, — ნახეს ეხლა დაბალი ლობე, აქაო და ცოცხალი აღარ არისო, და მოსდგნენ უფროსს. ესაო და მისი ბრძანებით უამრავი უდანაშაულო დახვრიტეს და გადაასახლესო, უსამართლობას სჩადიოდაო, გლეხკაცი გალლიტაო, განათლებული ხალხი გაანადგურაო, ვინც კი ოდნავ შეეკამათა — ყველა გააცამტვერაო. ის კი არა, ომის მოგება არ უნდოდა და ძალით მოაგებინესო. უსინდისო ბრიყვები, რომელთა ადგილი ან საგიჟეთშია, ან საკონცენტრაციო ბანაკში, — იმიტომ რომ მართლა სჯერათ თავისი სიბრიყვის! თქვენ თუ წარმოგიდგენიათ, გენერალო, ჩინგის-ყაენი, რომელსაც, თურმე, არაფრით არ უნდოდა საკუთარი იმპერიის შექმნა, მაგრამ რა ექნა — პროგრესულად მოაზროვნე ყმებმა აიძულეს. მაგ უშნოებს უფროსმა ძლევამოსილი იმპერია ჩააბარა, მიწასთან გასწორებული და მკვდრეთით აღდგენილი ქვეყანა უანდერძა, ამათ კი ჯერ დანაზოგი გაანიავეს, მერე გოშიებივით აწკმუტუნდნენ — გვშია, გვშიაო, ბოლოს კი, — ქვეყანაში მათი მომდრეკი მტკიცე ხელი რომ არ მოიძებნა, — მთელი დუნიის გასაგონად მორთეს ყეფა: ადრე ბავშვები ვიყავით და ცუდად ვიქცეოდით, სამაგიეროდ ეხლა გამოვსწორდით, ცოდვები მოვინანიეთ და, თუ ღმერთი გწამთ, შეცდომები გვაპატიეთ და ისევ თქვენს ნატიფ საზოგადოებაში მიგვიღეთო. აი, სულ ეგ არის თქვენი „განწმენდა", ყოველდღე გაზეთებში და ოფიციალურ გამოსვლებში ხოტბას რომ ასხამთ. გასაგებიცაა რატომ". „ბუნებრივია, რომ მოგვწონს, — ეღიმება ბაქრაძეს, — საქართველომაც მშვიდობით ამოისუნთქა. თუმცა ჩვენც გაგვაჩნია ატომური იარაღი, მაგრამ კონფლიქტის შემთხვევაში ეს ვერ გვიშველიდა — ჩემგან არ გესწავლებათ... საქართველომ კი არა, მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ ამოისუნთქა. მართალი გითხრათ, ცუდად მესმის, რატომ ხართ „განწმენდის" წინააღმდეგი. ჩემი აზრით, კრემლის ხელმძღვანელობის პოლიტიკა — თქვენი სამშობლოს ერთადერთი შანსია". „არა, გენერალო, — როხროხებს

რუმიანცევი, — თქვენ ამას მხოლოდ იმიტომ ამბობთ, რომ ჩემს სამშობლოს არ იცნობთ, მე კი ვიცნობ. იცით, საქართველო ყველა ქვეყანაზე უფრო მომწონს, თუმცა, მოგეხსენებათ, ბევრი მიმრგზაურია. მოდით, ამ ჭიქით თქვენს ულამაზეს სამშობლოს გაუმარჯოს, ამ ზღვას, ამ ჰაერს, ამ გოროზ ბუნებას, თქვენს კოხტა ლამაზმანებს, თქვენი იულონის ჯავარს... ჰმ, კარგია, სოკო ძალიან უხდება... ჩვენ უნდა გვეკმარა უფროსის იდეები, ჩვენი ხალხისათვის ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. ნამით წარმოიდგინეთ, რომ „განწმენდის" ფანატიური მომხრე ვარ, — მერე რა? ეჰ, გენერალო, ჩემს სამშობლოს ერთი მეტად სპეციფიური თვისება ახასიათებს: ყველანაირ რა გინდა რა ამაღლებულ იდეასა და ფანტაზიას უკვალოდ შთანთქავს. იქ თუ ცხოვრობ, საზოგადოებრივ საქმეს არ უნდა შეეჭიდო: რაც უფრო ვაჟკაცურ გეგმას ჩაიფიქრებ, მით უფრო სავალალო შედეგი მოყვება მის პრაქტიკულ განხორციელებას. რაც უფრო კარგი — მით უარესი: ასეთია მისი ხვედრი. ამიტომ, თუ შენი ხალხისთვის მართლა კეთილი გინდა, ყველაფერს უნდა შეურიგდე, ყოველგვარ ბოროტებას, უგვანოებასა და სისულელეს, რაიმეს პრინციპულად შეცვლა სრულიად მომაკვდინებელია. რაც შემეხება პირადად მე... იცით, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო პირი ვარ, არ მსურს ვიყო რობოტი. ერთხელ ვცოცხლობთ. არ მინდა იმ გაიძვერებთან ერთად ვიყო, ხმამაღლა ხალხს რომ ატყუებენ: წმინდანები ვართო, ჩუმ-ჩუმად კი თქვენისთანებს უძვრებიან. თვალთმაქცობა ყელში ამომივიდა. მგონი, ბოლოს და ბოლოს ამას ამერიკულ კონტრდაზვერვაშიც კი მიხვდნენ, თუმცა მათი ეჭვები საფუძველს მოკლებული როდი იყო: მე ხომ კომუნისტური პარტიის წევრი ვიყავი. დიახ, მე ფიცი გავტეხე და ამით დავამტკიცე კიდეც, რომ უსიტყვო რობოტი არ ვარ. ამ ჭიქით კი თქვენ გაგიმარჯოთ, გენერალო, თქვენ და საქართველოს გულად და ამაყ არმიას... ბოდიში მომიხდია ასეთი უცნაური და, იქნებ, თავხედური კითხვისთვის, გენერალო, მაგრამ ჩვენმა სუფრამ არა მარტო ალკოჰოლით, ზედმეტი სითამამითაც ამავსო და გთხოვთ მაპატიოთ თუ რამე... რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თქვენმა უმაღლესმა მთავარსარდალმა, უკანონო განკარგულება რომ გასცეს, შეასრულებთ თუ არა მას? როგორ არის ამ მხრივ საქმე თქვენს დემოკრატიულ ქვეყანაში? ესვრით ბავშვებსა და უიარაღო მოხუცებს, ამოჟლიტავთ ტანკებზე კეტებით მომავალ ქალებს, როგორც ეს გააკეთა თქვენმა კოლეგამ ლ'იმხნელმა ექვსი წლის წინათ სამხრეთის აჯანყების ჩაქრობისას?" „მაშინ სხვა დრო და სხვა მთავრობა იყო, — ენთუზიაზმის გარეშე პასუხობს თანამოსაუბრეზე ნაკლებად გონებამღვრეული ბაქრაძე, — პრეზიდენტი დ'ავალიანი საქართველოს მთელი მოსახლეობის ნდობით სარგებლობს და არასდროს გასცემს ისეთ ბრძანებას, რომელიც მისი ოფიცრების ღირსებას შელახავს. თანაც უკანონო არც ლ'იმხნელის მოქმედება გახლდათ. მან ამოწურა ყველა სხვა შესაძლებლობა და უკანდასახევი გზა აღარ დარჩა". „ნუ იტყვით, გენერალო, ნუ მაგონებთ ჩემს საკუთარ თავს, — გესლიანად წამოთქვამს რუმიანცევი, — მაინც რომ გასცეს ასეთი ბრძანება? სამხრეთის ტერიტორიებზე, სწორედ იქ, სადაც თქვენი სატანკო დაჯგუფებაა დისლოცირებული, თქვენივე გაზეთების ცნობებით, დიდი დაძაბულობაა. საერთოდ, რამდენადაც ვიცი, არაქართველი ერების სულიერი ლიდერები დღენიადაგ დამოუკიდებლობას მოითხოვენ თავთავისი ხალხებისთვის — იქნებ მათი მოთხოვნა უსამართლოა? თანამედროვე ანგლოსაქსები, მოგეხსენებათ, დიდი სიმპატიით ეკიდებიან დაჩაგრული ერების დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას, — პირდაპირ არ ვიცი, რა პოზიციას დაიკავებს გაერთიანებულ ერებში მისი ალმატებულობა დედოფლის მთავრობა, თუ საქართველოში კვლავ ადგილი ექნება ადამიანის უფლებათა მასობრივ შებღალვას. მაშ, ესვრით თუ არა?" „ეს ვის გადავეკიდე, — აეშლება ფიქრი უმალ დადარდიანებულ ბაქრაძეს, — სულ აქაური მოშვებულობის ბრალია. ასეა, ლოთს, შფოთს და სამშობლოს მოღალატეს რომ გადაეყრები. აი, უსაქმურობის სავალალო შედეგიც: პირველ შემხვედრ გადამთიელ სახედართან ავწიე ჭიქა". ხმამაღლა კი ამბობს: „მე ფიცი მაქვს დადებული და სათანადოდ მოვიქცევი. ქართველი ოფიცერი თავს არაფრით შეირცხვენს, მაგრამ სამშობლოს დაუძინებელ მტრებსა და ტერორისტებს არ ვაბოგინებთ, კვლავაც დავიცავთ კონსტიტუციასა და ჩვენი მოსახლეობის სიმშვიდეს. ამით კი თქვენ გაგიმარჯოთ, პოლკოვნიკო, თქვენ და თქვენს მამაც შეიარაღებულ ძალებს. აბა, დავლიოთ!" „გმადლობთ, გენერალო, ჩემსას, რა თქმა უნდა, ჩემსას", — ირონიულად ეთანხმება რუმიანცევი. ისევ დაცლიან ჭიქებს...

არ ვიცი, რა მხატვრულ ხერხს უნდა მიმართოს შედევრის მაძიებელმა იმისთვის, რომ ზემომოყვანილი სიტყვაკაზმული შეპაექრება მაინცდამაინც ნაწარმოებისა და მარადისობის ფოკუსში მოექცეს, ან რა მოსწრებული ფანდის გამოყენებით დაძლევს ენობრივ ბარიერს: თუ გენერალ ბაქრაძის ზედმიწევნით ნატიფი ფრანგული სრულიად

არაა გასაკვირი, რუმიანცევი — ლოგიკის უბრალო კანონებიდან გამომდინარე — უკეთ მაინც ინგლისურს უნდა ფლობდეს. თუმცა ეს დილემა, ცხადია, უაღრესად პირობითია და მისი გადაწყვეტისას სჯობს ისევ ავტორის გემოვნებას ვენდოთ. ჩვენთვის აქ სულ სხვა გარემოებაა ნიშანდობლივი: სამი თვეც კი არ იყო გასული იმ „საიდუმლო სერობის“ მერე, რომ სამხრეთის ტერიტორიებზე იფეთქა კარგად მომზადებულმა და განტოტვილმა შიითურმა აჯანყებამ, რომლის ჩაქრობას სახელმწიფო კარგა ხანს მოუნდა. ფანატიურად განწყობილი მოსახლეობის დროებით დაშოშმინებას სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდა, ხოლო სასტიკ და მასობრივ რეპრესიებში იძულებითი მონაწილეობა მიიღეს გენერალ ბაქრაძის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქის ჯარებმაც. მეამბოხეებთან ბრძოლებში გამოჩენილი სიმტკიცისთვის პრეზიდენტმა დ'ავალიანმა საკუთარი ხელით გადასცა გენერალს მთავრობის მაღალი ჯილდო და დიდი ფულადი პრემია, იმავე დღეს გენერალმა ტფილისის ყველაზე ფეშენებელურ რესტორან „მთაწმინდაში“ დიდი ნადიმი გამართა ამ მოვლენის აღსანიშნავად, ხოლო მეორე დილით, როდესაც საუზმეზე დაგვიანებული გენერლის დასაძახებლად წამოსულმა მეუღლემ სხვენზე აღმოაჩინა გალურჯებული და ენაგადმოგდებული, ორდენებით მორთულ საპარადო მუნდირში გამოწყობილი ქმარი, უკვე გვიან იყო: მოქალაქე რამინ ბაქრაძეს გული აღარ უცემდა, თავი მისი, მუხის სამაგრ ფიცარზე საიმედოდ გადანასკვული თოკის ულმობელ მარყუჟში ფაქიზად გაყრილი, გიგანტური საპნის ბუშტივით ირთოდა ღია სარკმელში ნიავის ოდნავ შემობერვაზე და უმწეოდ გაწორებული მისი სხეული თითქოს რაღაც ზერელე და გაურკვეველ უნდობლობას აცხადებდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ეროვნული პოლიტიკის მიმართ. თვითმკვლელობამ, — სასწრაფოდ შეკრებილმა კონსილიუმმა დაასკვნა, რომ გენერალი სიცოცხლეს ნებაყოფლობით გამოესალმა, — დედაქალაქის მმართველ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია. სკანდალი თითქმის გარდუვალი ჩანდა, ხუმრობა საქმეა: ეროვნული გმირი თავს იკლავს სწორედ მას მერე, რაც საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი და წარჩინება, ასეთ საქციელს კი პროტესტის ელფერი წაკრავს, — უნებურად დაგებადება უკეთური აზრი უმწიკვლო მხედართმთავრის მიერ განცდილ სინდისის ქენჯნაზე, ხელების დაბანის სულმოკლე და დანაშაულებრივ სურვილზე, ან მის ფარულ სულიერ დაავადებაზე მაინც. ბუნებრივია, რომ თვითმკვლელის საფლავს მიბარებასთან დაკავშირებით წარმოიშვა რიგი რელიგიური ხასიათის სირთულეებისა, ვინაიდან მიცვალებულის ქრისტიანულად წესის აგება თითქოს გამორიცხული იყო, მოვლენათა ასეთი განვითარება კი არა თუ არასასურველ დაღს დაასვამდა თვით ბაქრაძეების დამწუხრებულ ჯალაბობას, არამედ უარყოფით გავლენას მოახდენდა დედაქალაქის ქართული მოსახლეობის მორალურ სიმტკიცეზე. გენერლის უკანასკნელი თვითნებური ნაბიჯით ფრიად უკმაყოფილო ხელისუფლებმა მაინც მოახერხეს ეშმაკური გამოსავლის პოვნა: შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუხედავად საექიმო კონსილიუმის დასკვნისა, გამოაქვეყნა მოკლე კომუნიკე, სადაც იტყობინებოდა, რომ თანახმად მიმდინარე გამოძიების წინასწარი მონაცემებისა, გენერალი რამინ გიორგის ძე ბაქრაძე მოკლულ იქნა მარტოხელა პანისლამისტი ფანატიკოსის მიერ, რომელმაც სხვენში შემოაღწია ღიად დარჩენილ ერთ-ერთი სარკმლიდან, ჩაუსაფრდა სახლის პატრონს, ჯერ თავში კეტის უძლიერესი დარტყმით დაარეტიანა მსხვერპლი, შემდეგ კი საგანგებოდ მომზადებული თოკის მეშვეობით ჩამოახრჩო იგი. სამინისტროს მიერ შექმნილმა საექსპერტო კომისიამ დაადასტურა დაბეჟილობის არსებობა მოკლულის კეფის ძვლის არეში. დასასრულს გამოძიება დამნაშავის უცილო დაჭერასა და სამართალში მიცემას პირდებოდა მოსახლეობას. ამგვარად შეკოწიწებულმა ოფიციალურმა ვერსიამ საერო და საეკლესიო ხელისუფალთ ხელ-ფეხი გაუხსნა, შეამზადა ვითარება იმისთვის, რომ დაკრძალვის ცერემონია ყველა რიტუალური წვრილმანის გათვალისწინებით გამართულიყო. მერე — რა და რამდენი კახური დალია ქელეხში...

სიუჟეტი ანუ, გნებავთ, შეფარული სამგლოვიარო სიტყვა ჯერ არნახულ საქართველოზე, ალბათ შეიძლება შედევრის მაძიებლის გარკვეულ მიღწევად ჩაითვალოს. მაგრამ ამ ნეკროლოგის ხელწერაში მაინც იგრძნობა რაღაც ხელოვნური, რაღაც მოკლებული იმ ჭეშმარიტ აღმაფრენას, რომელიც მხოლოდ ირგვლივ მჩქეფარე ცხოვრების ფრთხილი დაკვირვებისას ეუფლება დედუქციის ნათელი ნიჭით მომადლებულ მხატვარს. ჩანს, შედევრის მაძიებლისთვის სულაც არ იყო აუცილებელი ასე შორს, განსხვავებული ისტორიული რეალობის საუკუნეთა წიაღში გამგზავრება, საკმარისი იქნებოდა მხოლოდ კერპის დამსხვრევა, — ხელის აღება ადამიანური წესიერებისა და კეთილგონიერების ისეთ მდაბიურ გააზრებაზე, რომელიც ესოდენ გავრცელებულა მსუბუქი ლიტერატურული სიუჟეტების მოყვარულთა თუ თაყვანისმცემელთა უაღრესად

ქრელ საზოგადოებაში. დიახ, სავსებით საკმარისი იქნებოდა, ოღონდაც გაებედა და დროულად გაეხსენა დარდიმანდ მაძიებელს უჩინარი შედევრისა, რომ ის — ძალაუნებურად — მუდმივად ჩასაფრებულთა და კეთილ ინკვიზიტორთა უცნაურ კასტას ეკუთვნის, რომ მომაკვდინებელი, შეუძლებელიც კი არის მისთვის იყოს უმეცარი და ყალბი შეზღუდვებით მოთვინიერებული კაცი, რომ ყოველთვის მზადაა ნებისმიერ ფათერაკს გადაეყაროს, რათა კიდევ ერთხელ დაამსხვრიოს გავრცელებულ ჩვევათა კიდევ ერთი ბორკილი, და მაშინ, ყოველგვარი ხელოვნური ხრიკების გარეშე, უბრალოდ ახლობელი ადამიანების ყოველდღიური არსებობის მკაცრი და ფაქიზი ანალიზის ფასად, უკვდავ შედევრს თუ არ შექმნიდა, უთუოდ მაქსიმალურად მიუახლოვდებოდა ასეთ სანადელ, მაგრამ ჰორიზონტის ხაზივით მიუღწეველ მიზანს. გეთანხმებით, რისკი მართლაც რომ დიდია: საკმარისია, შედევრის მაძიებლის ნაცნობ-მეგობრები თუ ახლობლები ოდნავ მაინც დაეჭვდნენ, რომ, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ასრულებენ მისი ლიტერატურული პროტოტიპების საკმაოდ დამამცირებელ როლს, სავსებით მოსალოდნელია არა თუ ზურგი შეაქციონ, განწყვიტონ მასთან ყოველგვარი საქმიანი და, — რაც გაცილებით უფრო გულსადასწყვეტია, — ჴრასაქმიანი ურთიერთობა, არამედ აქტიურ და დაუძინებელ მტრებადაც მოევლინონ. რას იზამ... დასანანია, მაგრამ ყოველდროს ასეთი იყო შედევრის მაძიებლის არასახარბიელო ხვედრი — იგი მუდამაა სხვათა სულიერ სიფაქიზესა და შეწყნარების უნარზე დამოკიდებული. შეუნდეთ მას! წარმოიდგინეთ, რომ მილიონობით ადამიანი ცხოვრობს სრულფასოვანი ცხოვრებით, ბედნიერია, უბედური, მშიერი, მაძღარი, ცეკვავს, თამაშობს, ტყუის, ღალატობს, კარგავს, პოულობს, იპარავს, კლავს, აშენებს, ილწვის, ათასნაირ სისაძაგლესა და ბოროტებას სჩადის და ამდენსავე სიკეთესა და სიქველეს, ხოლო შედევრის მაძიებელი მხოლოდ ცდილობს არ მიიღოს მონაწილეობა საყოველთაო ფუსფუსსა და ამაოებაში, თუმცა იცის, რომ ეს შეუძლებელია, თან კი, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ისწრაფვის თავისი სამარადისო ვალის მოსახდენად: მოგიყვეთ მხიარული ამბავი თავქარიან ახალგაზრდაზე, რომელსაც არ ჰქონდა მუსიკალური სმენა და მაინც სწავლობდა გიტარის დაკვრას; ან სევდიანი — ადამიანებზე, რომლებმაც სამუდამოდ დაკარგეს ერთმანეთი, რადგან მოერიდათ ერთადერთი საჭირო სიტყვების წარმოთქმა იმ ერთადერთ, განუმეორებელ მწვერვალში მათი ცხოვრებისა; ან საშინელი — კაცზე, რომელიც სასტიკად დათვრა და უდიერად მოიქცა, ეს კი სისხლისღვრით დამთავრდა; ან უცნაური — წყვილზე, რომელიც... ო, ეს ძალზე სახიფათოა, წყვილის ხსენება, შედევრის მაძიებლისთვისაც კი; ან...

განებავთ შეისმინოთ ლამაზი ზღაპარი სიცხის გამყიდველზე? ფრიად სასიამოვნოა. მაშ ასე... მაგრამ ამის შესახებ, სჯობს, — შემდეგ მოთხრობაში...

# ქრიტიკა, პუბლიცისტიკა

ქართული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მუჟირი

## ასჩვიდმეტი წლის შემდეგ

### ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა

ინგლისელები საქართველოში შემოსვლისთანავე შეეცადნენ ანგარიში არ გაეწიათ ნოე ჟორდანიას მთავრობისათვის. განიზრახეს თბილისში გაევრცელებინათ პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისინი ამიერკავკასიაში მხოლოდ წესრიგის დასაცავად შემოდიანო. ნოე ჟორდანიამ დაუყოვნებლივ აკრძალა პროკლამაციის გავრცელება, მან ინგლისის სამხედრო მისიის უფროსს, გენერალ ტომსონს განუცხადა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად საქართველოს მთავრობას ინგლისის ჯარი არ სჭირდებაო. მალე ინგლისელები იძულებული გახდნენ „საქმიანი მოლაპარაკება" გაემართათ ნოე ჟორდანიას მთავრობასთან.

ინგლისის მთავრობამ თავის დიპლომატიურ წარმომადგენლად თბილისში გამოგზავნა საქართველოს ძველი მეგობარი, მარჯორი უორდროპის ძმა, ოლივერ უორდროპი. პირველსავე შეხვედრისას იგი ნოე ჟორდანიას შეეკითხა, შეძლებდა თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის დაცვას, თუ ჩრდილოეთიდან შეიარაღებული ძალები შემოიჭრებოდნენ? ნოე ჟორდანიამ გულდაჯერებით უპასუხა, რომ საქართველოს შეუძლია არა მხოლოდ საკუთარი თავის დაცვა, არამედ მთელი კავკასიის ტერიტორიის დაკავება როსტოვამდე. მაგრამ ამის აუცილებლობა არ არისო. ერთი შეხედვით, ასეთი პასუხი მთლად უსაფუძვლოდ როდი გამოიყურებოდა. სწორედ იმ დროისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში წითელი არმიის ნაწილებსა და თეთრგვარდიელებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. ხან ერთი მხარე აღწევდა გამარჯვებას, ხან კიდევ მეორე. ამიტომ მესამე ძალის ჩარევას, თუნდაც მცირერიცხოვანი ყოფილიყო იგი, გარკვეული როლის შესრულება შეეძლო. მაგრამ დიდი გამჭრიახობა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა არ იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ სამოქალაქო ომი მარადიულად არ გაგრძელდებოდა და ბოლოს საქართველოს საზღვრებთან ან საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდებოდა, ან კიდევ ქვეყანა რომელიმე თეთრგვარდიელი გენერლის „ულუფა" გახდებოდა.

ინგლისელთა მოსვლამ ამიერკავკასიაში სომეხ მოღვაწეთა დიდი სიხარული გამოიწვია. იგი მათ „სომხეთის საკითხის" გადაწყვეტის საწინდრად აღიქვეს, რამდენადაც ამ საკითხს მთელ ევროპაში ჰქონდა „ხმა გავარდნილი". დაშნაკებს იმედი მიეცათ, რომ ინგლისელთა შემოსვლით ამიერკავკასიაში მათ მაშველი ძალა გაუჩნდათ საქართველოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების ხორცშესხმისათვის.

1918 წლის 9 დეკემბერს დაშნაკურმა სომხეთმა ომი წამოიწყო საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილისათვის, რომელიც სადაოდ მიაჩნდა. ეს იყო მეტად სამწუხარო ომი ორ ყველაზე უფრო ახლო, ისტორიულად ურთიერთ ჭირისა და ლხინის გამზიარებელ მეზობელს შორის. ამ ძმათა მკვლელი ომის გამო შემდეგ თავიანთ მოგონებებში გულწრფელად ნანობენ სომხეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ოვანეს კაჩაზნუნი და მისი მომდევნო მეთაური მთავრობისა, რევოლუციამდე თბილისის ქალაქისთავი ალექსანდრე ხატისოვი.[1] ო. კაჩაზნუნი წერდა:

«Воевали с тем соседом, которым

1 „ალექსანდრე ხატისოვი, მოგონებები, „ზარია ვოსტოკა", 1925 წ., თებერვლისა და მარტის ნომრები.

დასასრული. იხ. „მნათობი", № 6.

нам надо было иметь самый тесный контакт... только через Грузию мы связывались с внешним миром.

Мы в этом сознавались и искренно желали жить с грузинами дружно. Но не сумели. В этом сыграло не малую роль, помимо той позиции, которую заняла по отношению к нам независимая Грузия, также наше собственное бессилие, наша политическая недоразвитость[1] и неумение вести государственный аппарат»[1].

ომის მსვლელობაში ჩაერია ინგლისის სარდლობა...

ინგლისელმა გენერალმა ნოე ჟორდანიას მოსთხოვა ლორეს საზღვრებთან შეეჩერებინა თავისი ჯარისა და სახალხო გვარდიის წინსვლა. ამგვარად, სადავო პროვინცია, რომელიც სომხეთის ჯარმა უკვე დაცალა, ხოლო ქართულმა ჯარმა ვერ დაიკავა, ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, შერეული მმართველობით. ახალქალაქის მაზრაში ქართული მმართველობა რჩებოდა. მოგვიანებით, 1920 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, საქართველომ დაიბრუნა ნეიტრალური ზონა, რასაც დაშნაკური სომხეთიც დაეთანხმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთელი ლორე სომხეთს გადაეცა. სომხეთმა მიიღო ლორეს არა მარტო სამხრეთი ნაწილი — სანაინითა და ახპატით, არამედ ჩრდილოეთის ნაწილიც — ახტალითა და სპილენძის საბადოებით.

ეს მოხდა ს. ორჯონიკიძის ინიციატივით, მისი მოღვაწეობის შიშველი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდის გზით. მან აღნიშნულ საკითხზე რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს მიაღებინა ერთპიროვნული, ე. ი. ფაქტობრივად უკანონო დადგენილება. აი ეს დოკუმენტიც იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს პლენუმზე 1921 წლის 7 ივლისს:

Слушали. I. О присоединении нейтральной зоны к Грузии или к Армении. Постановили: Вся нейтральная зона входит в состав ССР Армении (голосуют: за 1, воздержался 1)[1].

აი ასე, ერთი ხელის მოსმით გადაწყდა ეს რთული საკითხი. არც ქვორუმი იყო საჭირო? ერთად-ერთი ხმა, როცა საქმე არჩევანს ეხება, როდის ყოფილა გადამწყვეტი?! მით უფრო, რომ 8 დღით ადრე იმავე რკპ (ბ) კავბიუროს სხდომაზე, მთიანი ყარაბაღის საკითხის განხილვისას კენჭის ყრაში მონაწილეობდა 7 კაცი (ეს რკპ (ბ) კავბიუროს 10-მდე წევრიდან უკვე ქვორუმია). დიდი გამომგონებლობა და მიხვედრილობა არაა საჭირო, თუ ვინ იყო ის ერთი, ვინც მხარი დაუჭირა რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს პლენუმის დადგენილებას ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ იმავე კავბიუროს სომეხი წევრები საერთოდ არ მონაწილეობდნენ კენჭისყრაში.

როგორც კი დამთავრდა სომხეთ-საქართველოს ომი, 1919 წლის იანვარში, თურქეთის აგენტების მიერ შეკოწიწებული შეიარაღებული რაზმები შემოიჭრნენ ფოცხოვში, თებერვლის თვეში კი მოაწყვეს აჯანყება ახალციხის მაზრაში და ქართული არმიის ნაწილებს უკან დაახევინეს. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ათაბაგთა (ჯაყელთა) ჩამომავალმა სერვერ ბეგმა წამოიწყო აჯანყება და თავისივე თავმჯდომარეობით შექმნა მთავრობა — „ახალციხე-ახალქალაქის მაზრების კომისარიატის“ სახელწოდებით, რომელშიც ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების გაერთიანებას ვარაუდობდა — „კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიების რესპუბლიკის“ სახით. იგი ავტონომიის უფლებით ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. მთავრობაში ძირითადად მაჰმადიანი ქართველები შედიოდნენ.

მაგრამ, სულ მალე, გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით, საქართველოს ჯარმა მთელი სამხრეთ საქართველო გაწმინდა თურქი და ადგილობრივი ბანდებისაგან. სერვერ ბეგი, რომელსაც აქეზებდნენ და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ თურქი ხელისუფალნი, მალულად თურქეთში გადაიხვეწა.

ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა დამფუძნებელ კრებას, რომლის არჩევნები 1919 წლის თებერვალში მოეწყო, ხოლო 12 მარტს შედგა მისი პირველი სხდომა. დამფუძნებელმა კრებამ პირველივე სხდომაზე მიიღო და დაადასტურა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს ქ. თბილისში მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი. დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 109 სოციალ-დემოკრატი იყო. დანარჩენი ადგილები სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს, ესერებს, დაშნაკებს, ეკავათ. დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ინტელიგენცია ერთობ სუსტად იყო წარმოდგენილი. მის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები. ვინაიდან ნოე ჟორდანიას დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავ-

[1] Ов. Качазнуни. Дашнакцутюн больше нечего делать! Акц. О-во «Закнига», 1927 г. стр. 32 33.

2 მლიცუა, ფ. 64, აღწ. 2, ს. 1, ფურც. 123.

ლესობა უპირდა მხარს. მან არსებითად შეადგინა წმინდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რითაც შეიცვალა აქამდე არსებული კოალიციური მთავრობა. თვით ნოე ჟორდანიას აღიარებით, დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული მთავრობა არაფრით არ განსხვავდებოდა წინანდელი მთავრობისაგან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე (სოციალ-დემოკრატი), თავმჯდომარის უფროს ამხანაგად (პირველ მოადგილედ) ალექსანდრე ლომთათიძე (სოციალ-დემოკრატი), თავმჯდომარის ამხანაგებად (მოადგილეებად) — ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი), დამფუძნებელი კრების უფროს მდივნად აირჩიეს კონსტანტინე ჯაფარიძე (სოციალ-დემოკრატი), მდივნებად — ქრისტინე შარაშიძე (სოციალ-დემოკრატი) და გიგო ნათაძე (სოციალისტ-რევოლუციონერი).

დამფუძნებელმა კრებამ თავისი 21 მარტის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარედ დაამტკიცა ნოე ჟორდანია, მინისტრებად: საგარეო საქმეთა და იუსტიციისა — ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლებისა — ნოე რამიშვილი, მიწათმოქმედების, შრომისა და გზათა — ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა — კონსტანტინე კანდელაკი. შემდეგ მთავრობის შემადგენლობა გაფართოვდა. მასში შევიდნენ ახალი მინისტრები (განათლების, იუსტიციის, შრომისა და ა. შ.).

დამფუძნებელი კრება რეალურად მაინცდამაინც არ იყო დიდი უფლებებით აღჭურვილი. მთავრობა ყველა მნიშვნელოვან საკითხს თავის სხდომებზე წყვეტდა, რის გამოც დამფუძნებელი კრება მხოლოდ უკანა რიცხვით ადასტურებდა უკვე მიღებულ დეკრეტებს, სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებს. დამფუძნებელ კრებაში მთავრობას არ ჰყოლია ძლიერი ოპოზიცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ეროვნულ-დემოკრატს.

როგორც ნოე ჟორდანიას მთავრობის, ისე დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ბათუმის ოლქი, რომლის მმართველობა ინგლისელთა ხელში რჩებოდა (მუდროსის დროებითი ზავის ძალით), თუმც მოსახლეობა საქართველოსთან შეერთებას ეშურებოდა. აჭარის მცხოვრებთა წარმომადგენლების ყრილობამ 1919 წლის აგვისტოში დედა საქართველოსთან შეერთების მოთხოვნა წამოაყენა და 20 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია თბილისს აახლა საქართველოს მთავრობისათვის ამ გადაწყვეტილების გადასაცემად. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ბათუმის ოლქი საქართველოსთან შემოერთებისა და ავტონომიის შესახებ. 25 დეკემბერს ნოე ჟორდანიამ მთავრობის სახელით აჭარლებს მიწოდებით მიმართა. მიწოდებაში აღნიშნული იყო, რომ რამდენიმე საუკუნის წინ აჭარა, ჟამთა სიავის გამო, მოწყდა ძველ საქართველოს და მის ჭირსა და ლხინს გამოეთიშა, მაგრამ აჭარლებს სამშობლოსთან, ერთან კავშირი არასდროს გაუწყვეტიათ. სასტიკი დევნისა და დამცირების მიუხედავად, მათ შეინარჩუნეს ენა, მამა-პაპათა ადათები. მიწოდებაში მთავრობის სახელით ნოე ჟორდანიამ გადაჭრით განაცხადა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამაჰმადიანო საქართველოს ავტონომიას ანიჭებდა. ეს მოგვიანებით დაადასტურა კიდეც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ.

მალე ბათუმში მოეწყო რეფერენდუმი. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ანტანტის უმაღლესი საბჭოს 1920 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს უნდა გადასცემოდა. 6 ივლისს ქართული ჯარი ბათუმში შევიდა, 7 ივლისს ინგლისელებმა თავიანთი დროშა ჩამოხსნეს და ბათუმზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა აფრიალდა.

ეს გადაწყვეტილება განხორციელდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების იმ საიდუმლო მუხლის შესაბამისად, რომლითაც საქართველოს მთავრობა უფლებას იტოვებდა აეკრძალა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა ყოველგვარი ორგანიზაციისა და სამხედრო ძალების არსებობა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ვ. ნოზაძესთან საუბარში რ. არსენიძეს უთქვამს, რომ 7 მაისის ხელშეკრულების არსებობა მას გვიან გაუგია, ხელშეკრულებას თან ახლდა საიდუმლო მუხლი, „რომლის ძალითაც საქართველოს მთავრობას უნდა აეკრძალა მის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა ყველა ორგანიზაციის ყოფნა, ან სამხედრო ძალების არსებობა. მაშინ ეს არ ვიცოდით, ბევრმა არ იცოდა! მახსოვს მაშინ (1920 წელს) ბათუმი და მისი მხარე ინგლისელებს ეკავათ... სულ მალე ჩვენ პრესაში და ყრილობებზე დაიწყო კამპანია ინგლისელების წინააღმდეგ. გაშმაგებით მოვითხოვდით ინგლისის მიერ ბათუმის მხარის დატოვებას. რამდენი ცხარე სიტყვა ვთქვი. გავიმარჯვეთ! ინგლისმა მიატოვა ბათუმი და აიბარგა. რა ვიცოდით მაშინ, რომ ეს თურმე ჩვენი დიდი დამარცხება იყო!? რა ვიცოდი, მე თურმე მოსკოვთან დადებული ხელშეკრულების საიდუმლო მუხლს ვასრულებდი?! არა, არ ვიცოდი! და ამას ახლა ძალიან ვნანობ. ძალიან!“.[1]

1 „კავკასიონი“, XII, პარიზი, 1967, გვ. 141).

ამასთან დაკავშირებით ვ. ნოზაძე იხსენებს, რომ ინგლისელთა გადაწყვეტილება, დაეტოვებინათ ბათუმი და მისი მხარე, მან ლონდონში ყოფნისას გაიგო. ინგლისის მთავრობას უთხოვნია საქართველოს მაშინდელი ელჩის დ. ლამბაშიძისათვის, წაყოლოდა ინგლისის წარმომადგენლებს და დასწრებოდა საქართველოსათვის ბათუმის და მისი მხარის გადაცემის ცერემონიალს. „მაშინ ვნახე, —წერს ვ. ნოზაძე, — დ. ლამბაშიძე, რომელმაც მითხრა: — ვილოცებით, ვიქტორ! ინგლისი სტოვებს ბათუმს და ბათუმის მხარეს! დავილოცეთ! ჩვენ მარტო ვრჩებით წითელი რუსეთის წინაშე. დეგ! დამცველი არავინ გვეყოლება".[1]

ქ. ბათუმი და მისი ოლქი ოფიციალურად საქართველოს შეუერთდა და საქართველოს დაუბრუნდა აჭარა. ამრიგად, კვლავ აღდგა გაერთიანებული საქართველო, თუმც მისი მთელი რიგი ისტორიული ტერიტორიების გარეშე.

აფხაზეთის ახლად არჩეულმა სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს მიიღო დადგენილება, რომლითაც აფხაზეთი შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, როგორც მისი ავტონომიური ნაწილი. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის გამოსამუშავებლად და საქართველოსთან ურთიერთობის ფორმის დასადგენად გათვალისწინებული იყო შერეული კომისიის არჩევა, რომელშიც თანასწორი უფლებით შევიდოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლები.

საქართველოს მთავრობა პირდებოდა სახალხო საბჭოს, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ მოწყობას განსაზღვრავდნენ დამფუძნებელი კრება და რესპუბლიკის კონსტიტუცია.

საკონსტიტუციო კომისიამ, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე პ. დ. საყვარელიძე, შეადგინა კონსტიტუციის პროექტი. პროექტში ფართოდ იყო გათვალისწინებული მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების (შვეიცარია, საფრანგეთი და ა. შ.) კონსტიტუციები. პროექტის განხილვა ერთობ გაჭიანურდა. კომისიამ პროექტი შეიმუშავა და განსახილველად წარუდგინა დამფუძნებელ კრებას 1920 წლის 14 ივნისს. დამტკიცებულ იქნა მხოლოდ 1921 წლის 21 თებერვალს.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაეს კანონად ცხადდებოდა. რესპუბლიკის ადმინისტრაციული დანაწილება და ავტონომიური საზღვრების შეცვლა მხოლოდ კანონით იყო შესაძლებელი. აიკრძალა სიკვდილით დასჯა, სასამართლოს განაჩენის გარეშე იკრძალებოდა ვისიმე პატუსხისგებაში მიცემა, ვინც არ უნდა ყოფილიყო. მთავრობის თავმჯდომარე ირჩეოდა ერთი წლით. იგი შეიძლებოდა კიდევ მხოლოდ ერთხელ არჩეულიყო. მთავრობის თავმჯდომარე ითვლებოდა რესპუბლიკის უზენაეს წარმომადგენლად. პრეზიდენტს ანუ მთავრობის თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონებოდა იმაზე მეტი უფლება, რაც მას კონსტიტუციით ენიჭებოდა.

კონსტიტუციის 107-ე მუხლი ეხებოდა [illegible] ეროვნული და ადმინისტრაციული ოლქების უფლებებს. ამ მუხლით აფხაზეთი (სოხუმის ოლქი), მაჰმადიანური საქართველო (ბათუმის ოლქი) და ზაქათალა ([illegible]), როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილები, ადმინისტრაციულ საქმეებში ავტონომიური უფლებებით სარგებლობდნენ.

გატარდა აგრარული რეფორმა, რომლითაც ყველა, სახელმწიფო, სასულიერო (მეფის გვარეულობის) და კერძო მესაკუთრეთა მიწები, კონფისკებულ იქნა უსასყიდლოდ და ჩაირიცხა მიწის განსაკუთრებულ ფონდში. დანარჩენი მიწები კი ეძლეოდათ უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე გლეხებს. თითოეულს ეძლეოდა ფაქტობრივად 7 დესეტინა. ამასთან, კანონით განსაზღვრული იქნა აგრეთვე ყოფილი მემამულეებისათვის დასატოვებლად 7-7 დესეტინა მიწა.

მართალია, ორი-სამი წელი აგრარული რეფორმის რეალიზაციისათვის არასაკმარისია, მაგრამ მას მაინც შეეძლო აღნიშნულ პერიოდშიც კი გარკვეული პოზიტიური შედეგები მოჰყოლოდა.

გატარდა ზოგიერთი ღონისძიება სოციალურ სფეროში. შრომა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-17 მუხლით, გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის საფუძვლად. ვიდრე კონსტიტუცია იქნებოდა დამტკიცებული, მანამდე კანონით გატარდა 8-საათიანი სამუშაო დღე, ქალთა შრომის შეზღუდვა და მცირეწლოვანთა შრომის აკრძალვა ქარხნებში და ა. შ.

თავისი არსებობის მოკლე დროის მანძილზე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოასწრო ზოგიერთი პოზიტიური ღონისძიების გატარება მმართველობის, კულტურისა და განათლების სფეროებში. ადგილებზე შემოღებული იქნა ერობები. სამაზრო ერობებს გადაეცათ სახელმწიფოებრივი მმართველობის უფლებები. ერობები შეუდგნენ სოფლად სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნას, გზების გაყვანას, ჭაობების დაშრობას, სამედიცინო პუნქტების დაარსებას და ა. შ. რუსული მიწერ-მოწერა და საერთოდ საქმის წარმოება შეიცვალა ქართულით. დაიწყო ქუჩების რუსული სახელწოდებების ქართულით შეცვლა. თბილისი გაქართულდა, ქართველი ქალაქისთავითა და ქართველი ხმოსნებით. შემოღებულ იქნა საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება. სკოლა-გიმნა-

[1] „კავკასიონი", XII, პარიზი, 1967, გვ. 141.

ზიებში რუსულად სწავლება შეიცვალა ქართულით. ქართულ ენაზე გამოიცა საჭირო სახელმძღვანელოები. 1919 წლის სექტემბერში გაიხსნა ახალი 166 პირველდაწყებითი სკოლა. 1920 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში იყო 1500-მდე პირველდაწყებითი სკოლა. გეგმით გათვალისწინებული იყო 1923 წლისათვის საქართველო უზრუნველყოფილიყო სკოლების საჭირო ქსელით. განათლების სამინისტროსთან დაარსდა სავანგებო კომიტეტი, ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა შემადგენლობით. გამოცოცხლდება დაეტყო მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას. საოპერო თეატრში დაიდგა „აბესალომ და ეთერი", „ქეთო და კოტე" და ა. შ. უფრო ადრე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ევალებოდა წინადადებათა შემუშავება სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ. 1918 წლის 17 ივლისს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა შემუშავებული წინადადებანი, რომლებიც 20 ივლისს დეკრეტის სახით დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

დეკრეტით რესპუბლიკის იმ არაქართველ მოქალაქეებს, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა, მაგრამ სურდათ სამსახურში დარჩენა, აგრეთვე, დახასიათებით დატოვებულებს, უნდა შეედგინათ ხელწერილი, რისი ძალითაც სამი თვის განმავლობაში იმდენად შეისწავლიდნენ ქართულ ენას, რაც საკმარისი იქნებოდა საქმის წარმოებისათვის.

სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის მიზნით, პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთ სხდომაზე იდგა საკითხი ამ სახელმწიფო ორგანოში სალაპარაკო ენის შესახებ. ფრაქციის ერთ-ერთი წევრი შეეკითხა ნოე ჟორდანიას, რომ წარმოდგენილი ფორმულით, მაგალითად, სომეხ დეპუტატს ნება ეძლეოდა სიტყვა რუსულად წარმოეთქვა, მაგრამ შეეძლო თუ არა ქართველ დეპუტატს, კერძოდ ი. წერეთელს, პასუხი გაეცა რუსულად. ნ. რამიშვილს ადგილიდან წამოუძახია: „ვოზმოჟნო!" ამის გამო ნოე ჟორდანია ძლიერ აღშფოთებულა, მაგიდაზე მაგრად დაუკრავს ხელი და ხმამაღლა მიუმართავს ნ. რამიშვილისათვის: „ჩტო ვოზმოჟნო?" როგორ შეიძლება ქართველმა დეპუტატმა ქართულ პარლამენტში რუსულად წარმოთქვას სიტყვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნად გამოცხადდა კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება". რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე ფრიალებდა ქართული ეროვნული შინდისფერი დროშა, შავ-თეთრი ზოლებით.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული რესპუბლიკის კონსტიტუციით სახელმწიფო დროშად გამოცხადდა სწორედ ეს შინდისფერი, თეთრ და შავზოლებიანი დროშა, ხოლო სახელმწიფო ღერბად — ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ.

სახელმწიფო ღერბთან დაკავშირებით ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე, პარლამენტში ორი წინადადება იყო: ერთი — „მიჯაჭვული ამირანი", რომელსაც იცავდა ი. წერეთელი და ემხრობოდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობა; მეორე, „თეთრი გიორგი", რომელსაც თანაუგრძნობდა ნ. ჟორდანია, მაგრამ ოფიციალურად ფრაქციაში არ დაუცავს. როდესაც „მიჯაჭვულმა ამირანმა" სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ხმათა უმრავლესობა მიიღო, მაშინ ნ. ჟორდანიამ წინადადება წამოაყენა, რომ ღერბის საკითხის განხილვისას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს ნება დართოდათ პარლამენტში ხმა თავისუფლად მიეცათ. ფრაქციამ ეს წინადადება გაიზიარა. პარლამენტის სხდომაზე ი. წერეთელი გაღაჭრით იცავდა „მიჯაჭვულ ამირანს", ხოლო პოეტი კოტე მაყაშვილი — „თეთრ გიორგის". ფრაქციის დადგენილების თანახმად, რამდენადაც პარლამენტის წევრ სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ თავისუფლად მიეცათ ხმა, მათმა ერთმა ჯგუფმა, სხვა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, მხარი დაუჭირა „თეთრ გიორგის" და ხმების უმრავლესობით სახელმწიფო ღერბად „თეთრი გიორგი" გავიდა. იგი ბაგრატიონთა დინასტიის ღერბისაგან განსხვავებული იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განაგრძობდა თავის აქტიურ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას. როგორც კი დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი, რესპუბლიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ შეადგინა დელეგაცია და გააგზავნა პარიზს, სადაც საზავო კონფერენციის მოწვევა იყო განზრახული.

რვა კაცისაგან შემდგარი დელეგაცია 1919 წლის 18 იანვარს ჩავიდა სტამბოლს. აქ მან ერთ თვეზე მეტი დაჰყო და მხოლოდ შემდეგ დელეგაციის ორ წევრს — კ. ჩხეიძესა და ი. წერეთელს, დართეს ნება პარიზში გამგზავრებულიყვნენ.

1919 წლის 28 აპრილს პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც დაარსდა „ერთა ლიგა".

უკვე პარიზში მყოფმა კ. ჩხეიძემ 1920 წლის 21 მაისს მიმართა „ერთა ლიგის" აღმასკომს წერილით, რომლითაც ითხოვდა საქართველოს

მიღებას ამ ორგანიზაციაში. მხოლოდ 16 ივლისს აცნობა „ერთა ლიგის" ალმასკომის მდივანმა საქართველოს დელეგაციას, რომ ანალოგიური თხოვნით მას უნდა მიემართა საზავო კონფერენციისათვის. ვიდრე ეს საკითხი განიხილებოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით, საყურადღებო ცვლილებები მოხდა. იგი იურიდიულად და ფაქტიურად მსოფლიოს მთელმა რიგმა ქვეყნებმა (გერმანია, საბჭოთა რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და ა. შ.) აღიარეს.

1920 წლის 1 სექტემბერს კ. ჩხეიძემ კვლავ განიმეორა თხოვნა „ერთა ლიგაში" საქართველოს მიღების თაობაზე 18 სექტემბერს გადასცა ამ ორგანიზაციის ალმასკომს თავისი მთავრობის მოხსენება. ყველა მასალა საქართველოს შესახებ განსახილველად გადაეცა „ერთა ლიგის" მეხუთე კომისიას. 1920 წლის 14 დეკემბერს კომისიამ „ერთა ლიგის" კონფერენციას წარუდგინა თავისი მოხსენება, რომლითაც ურჩევდა კონფერენციას, ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის, რომ მისი თხოვნა განხილულია კეთილმოსურნეობის ვითარებაში, მაგრამ გარემოებანი საშუალებას არ აძლევენ ლიგას, საბოლოო გადაწყვეტილება მიელო. ამასთან, კომისია განმარტავდა, რომ მომავალი გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო „ერთა ლიგის" ტექნიკური ორგანიზაციების მუშაობაში.

1920 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საკითხი ოფიციალურად დადგა „ერთა ლიგის" კონფერენციაზე. ნორვეგიის წარმომადგენელმა ფრიტიოფ ნანსენმა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელმა რობერტ სესილმა მხარი დაუჭირეს საქართველოს „ერთა ლიგის" წევრად მიღებას.

„ერთა ლიგის" წესდების მეათე მუხლის მიხედვით, თუ კი მის რომელიმე წევრ სახელმწიფოს თავს დაესხმოდნენ, „ერთა ლიგის" წევრი სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ შეიარაღებული დახმარება გაეწიათ მისთვის. სწორედ ამ მიზეზით არ დაუჭირა მხარი ინგლისმა საქართველოს „ერთა ლიგაში" მიღებას, რამდენადაც იგი ვარაუდობდა, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტს ვერ ასცდებოდა. რუსეთთან კი ინგლისი სავაჭრო ხელშეკრულების დადებას აპირებდა.

ინგლისის წარმომადგენელი ფიშერი ამტკიცებდა, რომ „ერთა ლიგა" ჯერ ნორჩია და ნუ ვიღებთ ახლავე ისეთ პასუხისმგებლობას, რომელიც შემდეგ სანანებლად გაგვიხდება. მისივე სიტყვით, საქართველოს ან სომხეთის მიღება „ერთა ლიგაში" იმას ნიშნავდა, რომ ისინი შეიარაღებული ძალით დაეცვათ, თუ კი მათ მეზობელი ქვეყნები დაესხმებოდნენ თავს. ეს კი ჩვენ არ შეგვიძლიაო. ბოლოს სიტყვა წარმოთქვა ფრ. ნანსენმა, რომელმაც პირდაპირ მიუთითა, რომ ჩვენ ვასუსტებთ „ერთა ლიგის" ძალას და მისადმი ნდობას, როდესაც მას ვაკლებთ ისეთი ერის თანამშრომლობას, როგორიც ქართველი ერიაო.

„ერთა ლიგის" საზავო კონფერენციამ კენჭისყრით გადაწყვიტა საქართველოს საკითხი. კონფერენციას ამ დროს ესწრებოდნენ მხოლოდ 28 სახელმწიფოს წარმომადგენლები. „ერთა ლიგაში" საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირა ათმა სახელმწიფომ, ხოლო ცამეტმა უარყო იგი. ასევე მოექცნენ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ (1921 წ.) გახდნენ ისინი „ერთა ლიგის" წევრები.

1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურედ აღიარა ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, რომლის წევრები იყვნენ: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია. აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარემ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არისტიდ ბრიანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს აცნობა, რომ მისი წერილი, რომელშიც საქართველოს დე იურედ ცნობას ითხოვდა, მან დაუყოვნებლივ გაუგზავნა საზავო კონფერენციას, რომელმაც ერთსულოვნად გადაწყვიტა ეცნო საქართველოს მთავრობა დე იურედ. ამასთან, დაასკვნიდა, რომ მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან ერთხელ კიდევ დაადასტურონ ის „კეთილგონიერება", რომლითაც ისინი ადევნებდნენ თვალყურს ქართველი ერის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებასო.

ამ ამბავმა დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია. ეს ადვილი გასაგები იყო: საქართველო, პირველად თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიდ ანსამბლში შედიოდა. ნახევრად დამშეული ხალხის უმრავლესობა მზად იყო უდრტვინველად გადაეტანა ყოველივე გაჭირვება, ოღონდ კი ეროვნული სახელმწიფოს საძირკველი განმტკიცებულიყო.

ამავე დროს, ინგლისის კოალიციურ მთავრობაში ორ ურთიერთ საწინააღმდეგო თვალსაზრისს ჰქონდა ადგილი. კონსერვატორ ლორდ კერზონის აზრით, ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები რუსეთის შემოსევისაგან უნდა დაეცვათ ინგლისსა და მოკავშირეებს. პრემიერ-მინისტრი ლიბერალი ლოიდ ჯორჯი კი რუსეთის დანაწილების წინააღმდეგი იყო და, მით უმეტეს, არ უჭერდა მხარს განაპირა მხარეებში აღმოცენებულ სახელმწიფოთა შეიარაღებულ დაცვას. 1920 წლის ბოლოს ამ საკითხში გაიმარჯვა ლოიდ ჯორჯის ხაზმა. თუმც ამას ხელი არ შეუშლია ინგლი-

ხისათვის ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ნ. ჟორდანიასათვის, ბოლოს და ბოლოს, ცხადი ხდებოდა, რომ მას აღარ შეეძლო დაეცვა ნეიტრალიტეტი და საბჭოთა რუსეთის დასავლეთზე ორიენტაცია ამჯობინა. მიუხედავად ამისა იგი იყო საბჭოთა რუსეთთან 7 მაისს დადებული შეთანხმების ინიციატორი.

როგორც კი გახდა ცნობილი საქართველოს დე იურედ აღიარება ანტანტის საბჭოს მიერ, საქართველოს მთავრობამ პარიზში გაგზავნა აკ. ჩხენკელი. მაგრამ სწორედ იმ დღეს, როდესაც საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთის პრეზიდენტთან მიემგზავრებოდა თავისი რწმუნების სიგელის გადასაცემად, თბილისში უკვე წითელი არმიის ნაწილები შემოდიოდნენ, ხოლო ბათუმის ნავსადგურიდან ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ელჩები აპირებდნენ გასვლას. რა მოხდა?

1921 წლის 11-12 თებერვალს, ღამით, „აჯანყებულ" ლორეს სომეხ გლეხთა დასახმარებლად XI არმიის ნაწილები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ისე, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

საზღვარზე მყოფმა სამი ათასმა ქართველმა ჯარისკაცმა ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა წითელი არმიის მრავალრიცხოვან ნაწილებს. ქართველ ჯარისკაცთა ნაწილი დახოცილ იქნა, ნაწილი კი დაატყვევეს.

ვიდრე წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდოდნენ, წინა დღეებში ისინი საქართველოს რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მთავარსარდალმა გენერალმა გ. კვინიტაძემ, როგორც ერეკლე მეორემ 125 წლის წინათ, გადაწყვიტა მთავარი ბრძოლა მოწინააღმდეგისათვის თბილისის მისადგომებთან გაემართა. 19 თებერვალს, გამთენიისას, თბილისელებს შემოესმათ მეთერთმეტე არმიის ქვემეხთა გრიალი. საქართველოს არტილერიამ, რომელსაც სათავეში ედგნენ სახელგანთქმული ქართველი ოფიცრები, მოწინააღმდეგეს ენერგიული პასუხი გასცა.

მეორე დღეს, საღამოს, ქართული რეგულარული ჯარი, გენერალ გ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით და სახალხო გვარდია, ვ. გოგუაძის ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით, შეტევაზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს. დატყვევებულ იქნა ათასხუთასზე მეტი წითელარმიელი. როდესაც მეორე დღეს დილით, ტყვეები სასახლის წინ ჩაამწკრივეს, სასახლის კომენდანტმა დ. ქარცივაძემ უბრძანა ტყვეებს დამჯდარიყვნენ, რაც მათ დაუყოვნებლივ შეასრულეს, თან გაიძახოდნენ „ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ, ებრაელები მოგვდევნიანო" („ჟიდი ნას გონიაიუტ"). XI არმიის სარდალი გეკერი ეროვნებით ებრაელი იყო.

კავალერიის არ არსებობის გამო ქართულმა ჯარმა ვერ შეძლო პირველი გამარჯვებით ესარგებლა. წითელი არმიის ნაწილებს დრო მიეცათ გადაჯგუფებისათვის. ამასთან, მოვიდა ცნობა, რომ საბჭოთა არმიის ახალი ნაწილები მოდიოდნენ მამისონის უღელტეხილით. მაგრამ ეს ნაწილები იმდენად მცირერიცხოვანნი აღმოჩნდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ რაიმე გავლენა მოეხდინათ საომარ ოპერაციებზე. მით უმეტეს, მოულოდნელი იყო თბილისის მოსახლეობისათვის მთავრობისა და მთავარი შტაბის გადაწყვეტილება დედაქალაქის დატოვების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო თვით ფრონტისათვისაც.

როგორც ჩანს, ნოე ჟორდანია მოერიდა ზედმეტ მსხვერპლს და მისი ინიციატივით მოხდა თბილისის უბრძოლველად დატოვება 24 თებერვალს, საღამოს. 25 თებერვალს დედაქალაქში მეთერთმეტე არმია შემოვიდა. გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში. თუმცა საქართველოს კუთხეებში კიდევ გრძელდებოდა ბრძოლები.

თბილისში შემოსვლისთანავე მეთერთმეტე არმიის ნაწილებმა ქალაქის მთავარ მოედანზე პარადი გამართეს, მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, სანგრებიდან ჩამოტანილ ქართველ ჭაბუკთა გვამებით. მათ უკან ნელი ნაბიჯით, მდუმარე და თავჩაქინდრული, მგლოვიარე ხალხი მიჰყვებოდა. პროცესია იმდენად ტრაგიკული იყო, მოკრძალების გრძნობასაც კი იწვევდა მეთერთმეტე არმიის მებრძოლებში. ახალ ხელისუფლებას აზრადაც არ მოსვლია პროცესიისათვის ხელი შეეშალა. დახოცილი ქართველი მებრძოლები დასაფლავებული იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მინისტრთა საბჭოს შენობაა.

სწორედ აქ, მთავრობის სასახლესთან, 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის გამო ავადმოსაგონარი კიბეებისა და ქვაფენილების ქვეშ დასაფლავებულია 800 ქართველი იუნკერი, ოფიცერთა სკოლის მსმენელები, რომლებიც დაიღუპნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლაში. ისინი ქართული ჯარის ნაწილების უკანდახევას იფარავდნენ და ბოლო წუთებამდე თავგანწირვით იბრძოდნენ, ვიდრე ყველა არ დაიღუპა. აქვეა დაკრძალული 17 წლის მოწყალების და, ცნობილი ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო, რომლის სისხლს შეუერთდა 9 აპრილის უდანაშაულოდ დახოცილ ქართველ ასულთა უმანკო სისხლი.

რა გამოირკვა? როგორ უნდა შეფასდეს

1921 წლის თებერვლის ამბები საქართველოში?

დღემდე ისტორიკოსთა რიგებში გაუთავებელი დავაა, თუ როგორ უნდა შეფასდეს 1921 წლის 25 თებერვლის აქტი. რა უნდა ვუწოდოთ მას, ჩვეულებრივი სახის ანექსია, საქართველოს განთავისუფლება „მენშევიკური დიქტატურისაგან", თუ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება? ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ბოლო დროს მოეწყო არაერთი შეხვედრა, ინტერვიუ, თათბირი თუ „მრგვალი მაგიდა". მაგრამ მარტო ანალოგიური აქციებით, მეტადრე ადმინისტრაციული ზომებით, ვერ მივალთ ჭეშმარიტებამდე, ობიექტურად, მთელი სიმართლის დაცვით ვერ გადავწყვეტთ პრობლემას.

საქმე ტერმინებში როდია. მთავარია იმდროინდელი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების მიუკერძოებელი, ობიექტური ანალიზი, არსებული დოკუმენტური მასალების საფუძვლიანი შესწავლა, მემუარული ლიტერატურისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, არსებული კონკრეტული სიტუაციისაგან იზოლირებულად ცალკეული დეპეშების, 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლების მოშველიება სრულიადაც არ არის საკმარისი ჭეშმარიტების დასადგენად.

იმდროინდელი კონკრეტულ-ისტორიული პირობების ზედმიწევნით გათვალისწინებას ლოგიკური აუცილებლობით მივყავართ კითხვამდე: იყო მაშინდელ საქართველოში უშუალო რევოლუციური სიტუაცია? არსებობს არც თუ უსაფუძვლო მოსაზრება, რომ რევოლუციური სიტუაცია არ არის რეგიონალური მოვლენა; როგორც ამიერკავკასია, ისე, კერძოდ, საქართველო ფაქტობრივად 1917 წლის ოქტომბრიდან ჩამოშორდა რუსეთს. ამდენად, მარტო ზოგადი ფორმულა არ არის საკმარისი კონკრეტული ვითარების შესაფასებლად. რისი ძალითაც საკითხი უშუალო რევოლუციური სიტუაციის შესახებ 1921 წლის თებერვლის წინ საქართველოს შეეხებოდა და, ამდენად, კონკრეტულად მის ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ხხვანაირი პოლიტიკური ვითარება იყო აზერბაიჯანსა და სომხეთში. მუსავატელების ხანხოისკის, უსუბეკოვის, თოფჩიბაშევის ტლანქ, ცბიერ ალმოსავლურ, პროთურქულ, ნახევრადდეროვნულ პოლიტიკასთან, დაშნაკ კაჩაზნუნის, ხატისიანის, აგაროიანის, „დიდი სომხეთის" შექმნის ავანტიურისტულ და ურაპატრიოტულ კურსთან შედარებით ჟორდანიასა და ჩხეიძის, რამიშვილისა და ჩხენკელის, გეგეჭკორისა და წერეთლის სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა ბევრად უფრო მოქნილი და გამძლე გამოდგა.

ეს უპირატესობა განპირობებული იყო იმითაც, რომ ქართველ მოღვაწეებს პარლამენტარული ბრძოლისა და პოლიტიკური პოლემიკის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, დატოვილი თვითმპყრობელური წყობილების დროს თავაწყვეტილ ადვოკატებთან ჭიდილში, როგორიც იყვნენ სტოლიპინი და პურიშკევიჩი, მარკოვ მეორე, პოლოვცევი და სხვები.

ოვ. კაჩაზნუნი ალიარებდა:

«В Думе грузинские депутаты опираясь на такую мощную организацию, как Российская с. демократия, давно уже занимали важные позиции, приобрели влияния и связи... для ведения государственных дел грузины имели более или менее подготовительных людей, которые благодаря большой политической партии и затем Думы, имели определенный навык и практику и приближались к типу государственных деятелей, ни мы и ни «Мусаватисты» такой школы не проходили, не имели этой подготовки»[1].

შემდეგ:

«В Закавказье грузинский народ был наиболее сознательным и наилучше организованным»[2].

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება „უმტკივნეულოდ" დამყარდა, მუსავატელებმა ძალაუფლება აზერბაიჯანელ კომუნისტებს ფაქტობრივად ნებაყოფლობით გადასცეს. სომხეთში კიდევ უფრო განსხვავებული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ იხსნა იგი თურქთა ოკუპაციისაგან. ამიტომ რევოლუციური სიტუაციის პრობლემას სამივე რესპუბლიკაში უშუალოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ განსხვავებული კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სხვადასხვანაირი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა და უშუალო რევოლუციური სიტუაციის პრობლემაც კონკრეტულად ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეული, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი გამოსვლები სხვადასხვა კუთხეში წინა წლებში და, უმთავრესად, „წინასწარი შეკვეთით", არ ატარებდნენ მასობრივ ხასიათს, არ ადასტურებდნენ უშუალო რევოლუციური სიტუაციის არსებობას, როდესაც „ზედაფენებს" ნამდვილად აღარ შეეძლოთ ძველებური მეთოდებით მართვა. პარლამენტური მმართველობის სისტემა ნაადრევად „დავმარხეთ", „ჩამოვწერეთ" და „მოძველებულად" გამოვაცხადეთ. ფაქტობრივად სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველაზე ცხოველმყოფელ სისტემად საბჭოების

1 ოვ. კაჩაზნუნი, დასახელებული წიგნი, გვ. 16–17.

2. იქვე, გვ. 17.

ხელისუფლება ჩავთვალეთ, ხოლო პარლამენტარიზმი „უკან გადადგმულ" ნაბიჯად მივიჩნიეთ. ასეთ თვალსაზრისს თვით ცხოვრებამ გამოუტანა „განაჩენი". მსოფლიოს ბევრი ქვეყნის და, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე პარლამენტარიზმი განაგრძობდა სიცოცხლეს და იგი ბევრად უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ქართველი ხალხი ასჩვიდმეტი წლის შემდეგ ეღირსა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეროვნული თავისუფლების სიყვარულმა, საკუთარი ქართული სახელმწიფოს დამკვიდრებისა და უკეთესი მომავლის იმედებმა გადაავიწყეს მოსახლეობას ნივთიერი გაჭირვება და სიმარტოვე, მრავალი სიძნელე და დაბრკოლება, ეკონომიკური კრიზისები, შიმშილიც კი და მან მტკიცედ დაუჭირა მხარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ქადებითად აღიქვეს ხალხის ფართო მასებმა, განსაკუთრებით ქართველმა ინტელიგენციამ. ამ მოვლენას მათ დაუკავშირეს სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა, ეროვნული კულტურის, განათლების, ქართული მეცნიერების ზრდა-განვითარება. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის უმრავლესობა არ იყო განწყობილი საქართველოში არსებული მთავრობის დასამხობად და ნებისმიერი გარეშე ძალის მხარდასაჭერად. ამიტომ უსუსურად გამოიყურება ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსის მტკიცება, რომლითაც მეთერთმეტე არმიის დახმარების გარეშე საქართველოს მშრომელებს არ შეეძლოთ მენშევიკური მთავრობის დამხობა. იმას კი არ კითხულობენ, ასეთი სურვილი არსებობდა იმ დროს? ცალკეული გამოსვლები, ეკონომიკურ თუ ეროვნულ ნიადაგზე, „საერთო ამინდს" ვერ ქმნიდნენ. ქართველი ხალხის უმრავლესობის სურვილი იმ დროისათვის არ იყო არსებული ხელისუფლების ძალდატანებითი დამხობა. მისთვის მიუღებელი იყო საქართველოში ნებისმიერი გარეშე ძალის შემოსვლა, უცხო ქვეყნის ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსება, რასაც ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეში აღიქვამდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვად, ანტიეროვნულ აქციად მიიჩნევდა. ხალხი გმირულად იტანდა რა ყოველგვარ გაჭირვებას, დარწმუნებული იყო საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაკარგული და მკვდრეთით აღდგენილი საკუთარი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში.

თებერვლის ამბების უშუალო მონაწილე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ლომინაძე საქართველოს კომპარტიის III ყრილობის პოლიტიკური მოხსენების დამატებით მასალებში აღნიშნავდა:

«Нашей революции в 21-ом году пришлось начать с завоевания Грузии штыками Красной Армии, которую грузинские патриоты рассматривали, как внешнюю иностранную силу. Сама Советская революция представлялась как оккупация Грузии русскими войсками. Это обстоятельство и явилось причиной того, что в течении двух почти лет меньшевистская партия пыталась, главным образом за счет уязвленного национального чувства широких масс не только собственнических кругов, но и трудящихся Грузии»[1].

ახლა შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ ამ განცხადებას, მაგრამ იგი გაკეთებულია საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი ყველაზე პასუხისმგებელი მუშაკის მიერ და მისთვის ანგარიშგაუწევლობა არ იქნებოდა მართლზომიერი.

ყოველივე ეს და სხვა ანალოგიური გარემოებანი აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რის გამოც განცხადება იმდროინდელ საქართველოში უშუალო რევოლუციური სიტუაციის არსებობის შესახებ, ბაერში გამოკიდული რჩება. ისტორია შეუქცევადი პროცესია. იგი არავის არ აპატიებს მოუფიქრებელი და მოუმწიფებელი დასკვნის გაკეთებას. მაშინდელ საქართველოში გრძელდებოდა დემოკრატიული რევოლუციის ეტაპი, ხორციელდებოდა ამ რევოლუციის ამოცანები, და, უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ, ვიდრე რუსეთის დროებითი მთავრობის მესვეურნი, რომელთაც თავიანთი რვათვიანი მმართველობის პერიოდში ვერაფერს ვერ მიაღწიეს. დროის ანალოგიურ მონაკვეთში სახელმწიფოებრივი მშენებლობის სფეროში დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელებმა, როგორც ვნახეთ, მთელი რიგი პოზიტიური ღონისძიება გაატარეს.

1921 წლის თებერვლისათვის საქართველოში უშუალო რევოლუციური სიტუაციის თვალსაზრისის მომხრენი ოდნავადაც კი არ უფიქრდებიან: იყო კი საქართველო მაშინ მზად სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის? გამოდიოდა ამ საქმის მეგემონად საქართველოს მუშათა კლასი? ცხოვრებამ თვით შეიტანა კორექტივი ამ საკითხში. ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ანალოგიური მტკიცებით ვლალატობთ კლასობრივ პრინციპს. რა უნდა ითქვას ამის შესახებ? ცხადია, კლასობრივი პრინციპის ერთგულება-

---

1 მღისთება, ფ. 14, აღწ. 2, ს. 4, ფ. 53.

სათვის წინასწარ „დაგეგმილი ტყუილი" არ გამოდგება. კლასობრივი პრინციპის დაცვა ხომ თვით მოითხოვს ისტორიული მოვლენების ობიექტურ (და არა ობიექტივისტურ) გაშუქებას და სწორედ ამ გზით კლასობრივ პოზიციაზე დგომას და არა სუბიექტურ. ჩვენ ცნობიერებაში წინასწარ ვოლუნტარისტულად შექმნილი მოდელის მორგებას „კლასობრივი ინტერესებისათვის". რომელი კლასის ერთგულებაზეა ლაპარაკი? ცხადია, მუშათა კლასი საქართველოში იყო, მაგრამ შედარებით მცირერიცხოვანი, ამასთან, მისი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) უჭერდა მხარს. ბ. ლომინაძე წერდა, რომ «Ко времени 2-го съезда КПГ (ე. ი. 1923 წლის მარტისათვის) партия меньшевиков представляла из себя значительную силу, удельный вес которой в широких массах трудящихся Грузии был во всяком случае не меньше, если не больше, удельного веса и роли нашей партии»[1], შემდეგ: ««Меньшевитская партия, во всем общественном движении начиная с начала 20-го века и до последних лет — была гегемоном в Грузии, была единственной силой, имевшей огромный авторитет в массах...»[2].

მეთერთმეტე არმია საქართველოში ხომ მოულოდნელად და თან საბჭოთა რუსეთის მიერ აღიარებული კანონიერი მთავრობის ნებართვის გარეშე შემოვიდა? რაც შეეხებოდა რევკომს, როგორც საგანგებო ორგანოს, რომელიც ორჯონიკიძისა და მისი ამხანაგების ინიციატივით 16 თებერვალს ჩამოყალიბდა შულავერში, მას არც იურიდიული და არც ფაქტობრივი უფლება ჰქონდა დასახმარებლად მიემართა საბჭოთა მთავრობისათვის. ქართველი ხალხის სახელით. ამიტომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კანონგარეშე გამოაცხადა რევკომის წევრები.

ახლა უფრო კონკრეტულად 1921 წლის თებერვლის ამბებზე. დღემდე ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში, რომელიც აღნიშნულ ამბებს შეეხება, მტკიცდება გატარებული მოსაზრება რომ 1921 წლის 11-12 თებერვალს სომეხი გლეხობა აჯანყდა ლორეში. ლორე წარმოადგენდა საქართველოს პატარა, მთაგორიან პროვინციას, რომლის მოსახლეობა თითქმის მთლიანად სომხური იყო. იგი კულტურის თვალსაზრისით ალბათ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი რაიონი იყო. ბევრს დღესაც არც კი გაუგონია საერთოდ აღნიშნული რაიონის არსებობა, ხოლო მაშინდელ საქართველოში ლორეს აჯანყებაზე საერთოდ არავის არაფერი არ სმენია.

დავუშვათ, რომ ლორეს მოსახლეობა მართლაც აჯანყდა და რევკომის მეშვეობით საბჭოთა ჯარების დახმარება ითხოვა და თან იმდენად კონსპირაციულად და ისე მალულად, რომ აღნიშნული თხოვნის შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით, ოფიციალური „დოკუმენტებისა" და კრებების შემწეობით.

ნიშანდობლივია, რომ 16 თებერვალს ლენინისადმი საქართველოს ე. წ. რევკომის „მიმართვა" გამოქვეყნდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" ფურცლებზე და თან მხოლოდ 20 თებერვალს. მთლიანად მოვიტანოთ „მიმართვას", როგორც სრული ულოგიკობისა და რეალური სინამდვილის შეგნებული ფალსიფიკაციის ნიმუშს, იმ ენაზე, რომელზედაც იგი გამოქვეყნდა.

«Обращение Революционного Комитета Грузии к председателю Совета народных комиссаров В. И. Ленину.

16 февраля 1921 г.

Революционный Комитет Грузии, вышедший из огня и дыма восстания народных масс против контрреволюционного правительства меньшевиков, шлет восторженный привет вождю Великой пролетарской революции. В течение трех лет пытаемое международным империализмом правительство меньшевиков создало личный полицейский и военный аппарат для подавления трудящихся. Против коалиции международной реакции (и) мелкобуржуазного национализма грузинских меньшевиков трудящиеся Грузии были слабы, и все попытки сбросить ярмо насильников оканчивались поражением. Но последнее восстание народных масс оказалось победоносным (ხაზი ჩვენია, ა. მ.).

На помощь грузинскому правительству спешат силы европейской реакции. Противостоять натиску соединенной черной рати может лишь соединенная красная социалистическая рать. Мы надеемся, мы уверены, что страна не только Великой пролетарской революции, но и великих материальных возможностей не оставит нас в неравной борьбе и придет на помощь новорожденной Советской Социалистической республике Грузии.

Да здравствует Советская Россия!
Да здравствует ее великий вождь!
Да здравствует Красная Армия!

Зам. предревкома Грузии
Орахелашвили

Шулаверы»[1].

1 „მნათობი", ჟ. 14, ოქტ. 2, ს. 4. ფ. 49.
2 იქვე, ფ. 55.

1 „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", ტომი მესამე, (რუს.), მ., 1959, გვ. 526-527.

შეიძლება დავეყრდნოთ ამ „ფაქტებს" მაშინდელ საქართველოში უშუალო რევოლუციური სიტუაციის არსებობის გასამართლებლად, იმ დროისათვის შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად? რისთვის და ვის დასჭირდა „ლორეს ვერსიის" ინსცენირება, როდესაც ხალხისათვის ყველაფერი ნათელი იყო? მხოლოდ მის ორგანიზატორებსა და ინიციატორებს რევოლუციური სიტუაციის არსებობის გასამართლებლად და საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად „შინ და გარეთ". შეიძლება ასეთი მონაჭორი გავასაღოთ სერიოზულ ისტორიულ არგუმენტად, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გადაწყვიტა საბოლოოდ საკითხი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემოსვლის შესახებ საქართველოში „აჯანყებული" ქართველი ხალხის დასახმარებლად? ეს ისტორიული ვერსია ბევრისათვის იმდენად დაუჯერებელი და ხელოვნურად შეთითხნილი იყო, რომ მისმა ინიციატორებმა და ავტორებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ აღნიშნული ვერსიის რამდენადმე ტრანსფორმაცია, არ დაეტოვებინათ იგი „შიშველი სახით" და სცადეს კიდევაც „გაუმჯობესება" და „დასაბუთება". მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა, შეთხზული და გამონაგონი სინამდვილედ მაინც ვერ გადაიქცა. პირიქით, მან კიდევ მეტი გაუგებრობა და ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ლორეს „ახალი ვერსია", რომელიც „გაამდიდრეს" მისმა შემთხზველებმა და რასაც დღეს თუთიყუშივით იმეორებს ისტორიკოსთა დიდი ნაწილი შემდეგნაირი ვარიანტით ჩამოყალიბდა: ლორეში 11-12 თებერვალს დაიწყო „აჯანყება", რომელმაც სულ მალე მოიცვა არა მხოლოდ მაშინდელი ბორჩალოს, არამედ გორის, დუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის მაზრები და გავრცელდა მეზობელ რაიონებში. ამ „ახალი ვერსიით" „საყოველთაო აჯანყება" საქართველოში დაიწყო ლორელ სომეხთა ინიციატივით; მათ აყვნენ და მიბაძეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მშრომელებმა.

„ლორეს ვერსიის" პრელუდიას წარმოადგენდა ჯერ კიდევ 7 თებერვალს სომხეთის კომპარტიის წევრების მიერ საქართველოს ამავე ტერიტორიაზე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შექმნა, სომხეთის კომპარტიის ცეკას წევრის ლაზიანის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ კომიტეტმა მოაწყო ლორეს სომეხი გლეხების „აჯანყების" ინსცენირება ს. ორჯონიკიძისა და მისი ამხანაგების უშუალო მითითებით. „კომიტეტის" შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე აშკარად ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების იმ საიდუმლო მუხლს, რომლითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა აეკრძალა თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ყველა ორგანიზაციის ყოფნა. რამდენადაც სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შექმნეს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის — სომხეთის კომპარტიის წევრებმა, აქცია სრულიად უკანონო იყო. საქართველოს მთავრობას შეეძლო მისი კანონგარეშე გამოცხადება.

ცხადია, თავისთავად საქმე ლორეს მშრომელთა ინიციატივაში როდია, რომელი ობიექტური და რეალისტურად მოაზროვნე ისტორიკოსი წავა ამ ინიციატივის წინააღმდეგ, რომ იგი სინამდვილე იყოს. ამიტომ შეუძლებელია გაზიარებული იქნას ისტორიული ფაქტების თვითნებური ახსნა, რაც პირწმინდად აყალბებს სინამდვილეს. რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი დაიჯერებს თუნდაც „საბუთები" თვალებში მივაყაროთ, რომ რევოლუციური წარსულით საყოველთაოდ ცნობილ ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, დასჭირდებოდა ლორელ სომეხთა ინიციატივა და მაგალითი, მათი საბრძოლო სიგნალი საყოველთაო გამოსვლებისათვის. გამოცხადებული იქნას ლორეს ერთი მუჭა სომხური მოსახლეობა საქართველოში საყოველთაო აჯანყების (რასაც საერთოდ ადგილი არ ჰქონია) წამომწყებად და მედროშედ, აშკარად არარეალურია. ადრე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ გლეხთა აჯანყებებში ლორეს მოსახლეობის მონაწილეობას საერთოდ არ ჰქონია ადგილი.

ძველი ბოლშევიკი, ცნობილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი ს. ქავთარაძე იგონებს:

«В 1921 году, в одну из своих поездок по Грузии я случайно выдвинул ящик стола в купе представленного мне вагона, натолкнулся на рукопись в несколько листов писчей бумаги без подписи. Но по почерку я сразу догадался, кто был ее автором. Я не мог удержаться, чтобы ее не прочитать. Мне думается, что всякий политически мыслящий человек сделал бы тоже самое... Она принадлежала человеку, который в то время в Грузии (и в Закавказье) играл роль самой высшей руководящей, направляющей и решающей инстанций. Это была докладная записка, несомненно предназначенная для посылки в Москву. Мне конечно неизвестно была ли она направлена туда, подвергалась ли коренной переработке... все это не столь важно. Важно главным образом то, что записка содержала мысли, соображений, доводы и выводы весьма ответственного лица по всем существенным вопросам, касающимся Грузии. Не трудно догадаться, что в нем шла речь о положении Грузии в связи с установленнем в ней Советской власти... Основ-

ная идея высказываний автора, его оценка обстановки и положения в стране сводилась к следующему: вступление советских войск в Грузию отнюдь не явилось всенародным праздником, объявление и установление Советской власти произошло в неблагоприятной политической атмосфере (ხაზგასმა ჩვენია, ა. მ.), не сопровождалось бурным выражением симпатий широких масс трудящихся, не говоря уже об интеллигенции, обывательском населении и учащейся молодежи, не имели место не то, что организованная подготовка, но даже стихийные факты радостных встреч, дружеского общения и приветствий»[1].

თუ ეს მოსაზრება სწორია და საქართველოს მაშინდელი ვითარების პირუთვნელი და ობიექტური შესწავლა წერილის ძირითად აზრს ადასტურებს, ეს კიდევ ერთი მაჩვენებელია თებერვლის წინ საქართველოში უშუალო რევოლუციური სიტუაციის არ არსებობისა.

რევკომის „მოწოდება" საქართველოს მშრომელებისადმი ნაწილობრივადაც კი არ ასახავს ქართველი ხალხის ნამდვილ განწყობილებას. ამ „მოწოდების" შესახებ საქართველოში მაშინ თითქმის არავინ არაფერი იცოდა. ეს ბუნებრივია, რამდენადაც როგორც „მიმართვა", ისე „მოწოდება" ბაქოში გამოქვეყნდა. ვისთვის და რისთვის გამოქვეყნდა ეს „მოწოდება" აზერბაიჯანში? ეგებ ბაქოში მცხოვრები რამდენიმე ათასი ქართველისათვის, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ „აჯანყებებზე" მაშინდელ საქართველოში, ისე როგორც თვით საქართველოში. ამ უკანასკნელთათვის ცნობილი იყო მხოლოდ მეთერთმეტე არმიის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე და ბრძოლა თბილისისათვის.

აი ეს „მოწოდება" უცვლელად და თარგმნის გარეშე:

«Возвание Революционного Комитета Грузии рабочим, крестьянам и всем трудящимся Грузии.

20 февраля.

Социалистическая Советская Республика Грузии!

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Рабочие, крестьяне, солдаты, все трудящиеся Грузии!

Прибыл час Вашего освобождения из-под ярма грузинских меньшевиков, верных лакеев международного реакционного империализма. Три года издевались они над трудящимися Грузии, три года плевались они в душу народностей, населяющих Грузию, три года боролись они против революции трудящихся во славу контрреволюции и империализма. Ответом на насилие, бесстыдства и наглость меньшевиков были восстания народных масс, всегда жестоко подавляющиеся ими при содействии внутренних и внешних реакционных сил, бешено мстили трудовому народу за попытки свергнуть иго капитала и национального гнета.

Ныне трудящиеся Борчалинского уезда вновь подняли знамя восстания против насильников. Восставшие, которым друг за другом сдаются полки меньшевистского правительства, победосно двигаются к столице меньшевистской контрреволюции Тифлису. Восстание ширится, восстание охватывает район за районом. Трудящиеся всюду берутся за оружие.

Для возглавления восстания, выполняя волю восставших, в городе Шулаверы 16 февраля 1921 г. образовался Революционный Комитет Грузии, который беря в свои руки всю полноту государственной власти, объявляет правительство грузинских меньшевиков во главе с Н. Жордания низложенным. Грузия отныне — Социалистическая Советская Республика.

Вся власть отныне принадлежит трудящимся — рабочим и крестьянам.

Братские народы Аджарии, Абхазии и Осетии сами определяют свою судьбу. Восставшее трудовое население Борчало свободным волеизъявлением решает вопрос о присоединении к Советской республике Армении, Азербайджана или Грузии.

Товарищи, братья, труженики города и деревни! Над измученной, скованной льдом меньшевистской реакции Грузией восходит солнце пролетарской революции. Не дадим силам черной реакции затмить ее и вновь вернуть в ад. Свергните всюду власть меньшевиков. Берите на местах всю власть в свои руки. Образовывайте местные революционные комитеты.

За оружие, труженики!

Вперед за власть Советов!

Да здравствует новорожденная, из огня и порохового дыма народного вос-

---

1 მლისფვ, ფ. 8, აღწ. 15, ს. 284, ფურ. 545-546)

стання вышедшая Социалистическая Советская Республика Грузия!

Да здравствует мировая Советская Республика!

Революционный комитет Грузии:

Махарадзе Филип,
Орахелашвили Мамиа,
Мдивани Буду,
Элиава Шалва,
Окуджава Михаил,
Думбадзе Ладо,
Омар Фаик,
Назаретян Амаяк,
Квирквелия Бесо,
Гегечкори Александр»[1].

რაიმე კომენტარისაგან თავს ვიკავებთ. და ეს არც არის საჭირო. ნებისმიერი მკითხველისათვის ამოუცნობი არ უნდა იყოს „მოწოდების“ შინაარსის ჭეშმარიტი აზრი და დანიშნულება.

ზოგიერთს დღესაც ბავშვური გულუბრყვილობით სჯერა, დიდი ხნის წინათ უავლგასული ვერსია, რომ

«Вооруженное восстание началось в ночь с 11 на 12 февраля в так называемой «нейтральной зоне» Лори и сразу же охватило весь Борчалинский уезд». თურმე «Лорискне крестьяне подняли восстание против меньшевистских оккупационных войск. Более тысяч грузинских солдат почти без всякого сопротивления побросили оружие и сдались повстанцам. За несколько дней почти весь, Борчалинский уезд был освобожден от меньшевистских войск»[2].

აქვე შევნიშნავთ, რომ ე. წ. „აჯანყებული“ ლორელი გლეხები ფაქტობრივად იყვნენ XI არმიის მებრძოლები, რომლებიც სომხეთიდან შემოვიდნენ. აღნიშნულ ანეკდოტისნაირ მონაჭორს დღეს დაწყებითი სკოლის მოსწავლეებსაც კი ვერ დააჯერებ. განა რამდენიმე ათეულმა (თუნდაც ასეულმა) „შეიარაღებულმა“ სომეხმა გლეხმა დაამარცხა სამი ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი, რომლებმაც იარაღი დაყარეს და უბრძოლველად ჩაბარდნენ „აჯანყებულებს“? დაუჯერებელი ამბავია. ცხადია, საქმე ეხებოდა სომხეთიდან შემოსულ XI არმიის მებრძოლებსა და საქართველოს მესაზღვრე ჯარებს შორის შეიარაღებულ შეტაკებას.

იგივე ავტორი გვარწმუნებს:

«К концу 1920 года и вначале 1921 года в Грузии складывается революционная ситуация. Революционный подъем охватил все слои общества. Пролетариат Грузии под руководством Компартии был готов к социалистической революции, которая настойчиво стучала в дверь»[1].

იმ პერიოდისათვის ადგილი არ ჰქონდა საქართველოში მშრომელთა, მეტადრე პროლეტარიატის რაიმე სერიოზულ გამოსვლას.

მაშინდელი სიტუაციის ფალსიფიკატორული შეფასების შედეგია ზოგიერთი ისტორიკოსის ტენდენციური განცხადება, თითქოს „1921 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში მშრომელთა უკმაყოფილება გადაიზარდა დემონსტრაციებში, შემდეგ კი აჯანყებაში. ყოველივე ეს თითქმის პარტიული ორგანიზაციების ჩაურევლად მოხდა“. 20-იან წლებში შეთხზულ ვერსიას, ამ ხელოვნურ გამონაგონს რეალურ სინამდვილედ გვთავაზობენ „მრგვალი მაგიდიდან“ თუ ტელევიზიით, ინტერვიუთი თუ პრესის ფურცლებზე. როდემდე უნდა გაგრძელდეს სინამდვილის გაყალბება? რა სარგებლობა მოაქვს ამას? ვის სჭირდება დღეს ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაცია? დღეს ძნელია ჩვენს ახალგაზრდობას ტყუილი სინამდვილედ მოაჩვენო.[2]

რევკომის „მიმართვის“ გაგზავნამდე XI არმიის ნაწილები უკვე შემოსული იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ბორჩალოს მაზრაში. „მიმართვაში“ უკვე ნათქვამი იყო „აღსდგომილ“ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ, რომლის სახელითაც ითხოვდა დახმარებას რევკომი.

ამ თხოვნამდე ერთი დღით ადრე, 15 თებერვალს, ს. ორჯონიკიძეს მოსდის ი. სტალინის დეპეშა, რომლითაც ატყობინებდა, რომ თბილისის აღების ნებართვა იყო, რომ ამ მიზნით XI არმიის ნაწილები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ.[3] იმავე დღეს ს. ორჯონიკიძეს კვლავ მოსდის დეპეშა მოსკოვიდან, რომლითაც იქ უკვე ელოდნენ ცნობას სამი დღის შემდეგ თბილისის აღების შესახებ.[4]

---

1 სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, ტომი მესამე (რუს.), მ. 1959, გვ. 527-528.

2 ა. მ. მენთეშაშვილი, ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (რუს.), თბ., 1987, გვ. 184.

1 იქვე, გვ. 182.

2 საქართველოს 1918-1921 წლების ისტორიის ფალსიფიკაციის გზით მთელმა რიგმა ისტორიკოსებმა სამეცნიერო ხარისხები და პრემიებიც კი დაიმსახურეს, ზოგიერთმა მათგანმა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევაც კი მოასწრო. იწერებოდა სქელტანიანი წიგნები ეშუალო რევოლუციური სიტუაციის შესახებ აღნიშნული პერიოდის საქართველოზე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების კანონზომიერებაზე და ა. შ.

3 მლიცპა, ფ. 558, აღწ. 1, ს. 2044, ფურც. 1.

4 იქვე. ს. ,2052, ფურ. 1.

ს. ორჯონიკიძე 17 თებერვალს აცნობებდა მოსკოვს — „ბორჩალოს მაზრის მშრომელთა აჯანყებამ გრანდიოზული მასშტაბი მიიღო და თვით საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა. საქართველოს მუშები და გლეხები იარაღით ხელში აჯანყდნენ თავიანთ მოძალადეების წინააღმდეგ და დასახმარებლად მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა მხსნელ წითელ არმიას ქართველი გვარდიელების ძალადობის წინააღმდეგ".[1]

დავუშვათ, რომ აჯანყებას მართლა ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი, თურმე, დაწყებულა საქართველოს ფარგლებს გარეთ და თან ისეთი გრანდიოზული ხასიათი მიუღია, „თვით საქართველოს ტერიტორიაზე" გადასულა. რა შეიძლება ვუწოდოთ ამას, უცოდინარობა თუ სინამდვილის შეგნებულად დამახინჯება? ალბათ, ორივე ერთად.

ბორჩალოს მაზრის ტერიტორია, როგორც კერძოდ ლორე, ისტორიულად და იმ დროისათვის საქართველოში შედიოდა.

ცხადია, შეიარაღებულ შეტაკებას, სისხლისღვრასა და მსხვერპლს ნ. ჟორდანია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას არჩევდა, რაც უნდა გამოხატულიყო მშვიდობიანი მოლაპარაკების, ურთიერთდამთობლობის გზით კოალიციური მთავრობის შედგენაში ქართველი კომუნისტების მონაწილეობით.

ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრენი საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობის განმტკიცებას უჭერდნენ მხარს და აცხადებდნენ, რომ წავიდოდნენ „ყოველგვარ კომბინაციაზე გარედან დაპყრობის თავიდან აცილების მიზნით, და სისხლისღვრას ურჩევნიათ საბჭოთა ხელისუფლება".

ამასთან, გასათვალისწინებელია მთავრობაში მემარჯვენე დაჯგუფების არსებობა — ნ. რამიშვილის მეთაურობით, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ დათმობას და მთავრობაში კომუნისტების შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ახე რომ, გარკვეულ თანაგრძნობას, რასაც ნ. ჟორდანია იჩენდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტის მისეულ განზრახვას ფრთები ეკვეცებოდა.

ნ. ჟორდანიას მთავრობას აშინებდა გარედან შეიარაღებული ჩარევა საქართველოს საქმეებში, ამიტომ ის არ იყო ქვეყნის შიგნით მყოფ კომუნისტებთან საქმიანი მოლაპარაკების წინააღმდეგი, რათა მათ მიეღოთ საჭირო ზომები საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამის შესახებ მეტყველებდა კერძოდ 1920 წლის 1 ოქტომბერს ნოე ჟორდანიასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის შეხვედრა. „პარტიის მოღვაწეობისა და არსებობის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხის" გამოსარკვევად. ინიციატივა (ცხადია, ნოე ჟორდანიას თანხმობით) მოდიოდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის გრ. ლორთქიფანიძიდან, რომელმაც გადასცა დელეგაციას მოწვევა ნ. ჟორდანიასთან შესახვედრად. მოლაპარაკების ცენტრში იდგა „თანაცხოვრების" ფორმათა საკითხი. თუ ქართველი კომუნისტები ხელს აიღებდნენ მოწოდებაზე უცხო სამხედრო ძალის საქართველოში შემოსასვლელად, მაშინ საქართველოს მთავრობა მზად იყო მიეცა მათთვის ორგანიზაციის, პროპაგანდის, აგიტაციის და ა. შ. სრული თავისუფლება.

ნოე ჟორდანიასთან დელეგაციის ორსაათიანი საუბარი შემდგარა. ამ საუბრის შინაარსს გადმოსცემს მისი მონაწილე მ. ორახელაშვილი: საქართველოს კომპარტიის ლეგალიზაცია ფაქტი იყო, ხოლო მიმდინარე დაპატიმრებები ხშირად ადგილობრივი თვითმართველობების განკარგულებებით ხდებოდა. ჩვენ გვეშინია, რუსეთის, — გამოუცხადებია დელეგაციისათვის ნოე ჟორდანიას, — და ვიდრე ჩრდილოეთ კავკასია და აზერბაიჯანი არ მოგვეშვებიან ომის მუქარით, მეტი თავისუფლების მოცემა ჩვენ არ შეგვიძლია. ბოლოს ნოე ჟორდანიას უთქვამს: „როგორც კი შეგვატყობინებს ელჩი გერასიმე მახარაძე მოსკოვიდან დამამშვიდებელ ამბავს, ხოლო აზერბაიჯანი დაამყარებს ჩვენთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მაშინ, რასაკვირველია, ყველა თავისუფლება მოგეცემათ".[1]

დელეგაციას ნოე ჟორდანიასათვის განუცხადებია, რომ მოსკოვი არ წამოვიდოდა საქართველოს დასარბევად. „მაგრამ თუ კი ის მაინც წამოვიდოდა, ხოლო საქართველო ბოროტად გამოიყენებდა თვითგამორკვევას, მაშინ, რა თქმა უნდა, ქართველი კომუნისტები მოსკოვის ბანაკში იქნებიან. ჟორდანიამ ეს ბუნებრივად და თავისთავად ნაგულისხმევად აღიარა. მით უმეტეს, რომ ჩვენმა დელეგაციამ დაუმატა: გამოგვაცხადეთ მაშინ კანონგარეშე და მოგვექეცით ისე, როგორც გსურთ".[2] საუბარს რაიმე თვალსაჩინო შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიები შენელდა.

1920 წლის 11 ნოემბერს საბჭოთა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარი მ. ჰუსეინოვი თბილისიდან ბაქოს ატყობინებდა, რომ „მენშევიკური მთავრობის საიდუმლო სხდომაზე ჟორდანიამ დააყენა საკითხი მოსკოვთან სა-

---

1 გ. კ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986, გვ. 117.

1 მლიცმა, ფ. 64, აღწ. 2, ს. 28, ფ. 1.
2 იქვე.

ქართველოს დაახლოების შესახებ“.[1]

როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანია არ კმაყოფილდებოდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით და საბჭოთა რუსეთთან კიდევ უფრო მეტი დაახლოების მომხრე იყო.

1920 წლის ბოლოსათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მთავარი შტაბი ღებულობდნენ ცნობებს საბჭოთა რუსეთის გადაწყვეტილების შესახებ შეიარაღებული ძალების საქართველოში შემოსაყვანად. ამიტომ საქართველოს მთავრობამ დაადგინა, 1920 წლის ნოემბერში ჯარის რაოდენობა 40 ათასამდე გაზრდილიყო. ამავე დროს, მთავრობას ხელში უვარდება მეთერთმეტე არმიის სარდლის გეკერის მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მზადდებოდა საქართველოზე თავდასხმა.

1920 წლის 8 დეკემბერს ს. ორჯონიკიძეს მოსკოვიდან ატყობინებენ:

**«Частичный ввод войск, проводимый с большой осторожностью разрешаем. Ввод войск должен быть произведен по распоряжению фронта или армии и от имени фронта или армии, но не от имени Правительства.**

**Соблюдай большую осторожность, никаких опрометчивых шагов не допускай... Втягиваться нам в войну нельзя»**[2].

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მთავრობა ფრთხილობდა, საქართველოში შეიარაღებული ძალების შემოყვანაზე მთელს პასუხისმგებლობას არმიის ხელმძღვანელობას აკისრებდა, ამასთან, ომში ჩაბმა იკრძალებოდა, მაგრამ შეიარაღებული ძალების შემოსვლას საქართველოში ომი არ მოჰყვებოდა?

საქართველოს მთავრობამ დაავალა თავის მოსკოველ ელჩს გერასიმე მახარაძეს საბჭოთა რუსეთის მთავრობა საქმის კურსში ჩაეყენებინა.

გ. მახარაძე 1920 წლის ბოლოს თავის მთავრობას ატყობინებდა: „დეკემბრის 13-ს საღამოს 8 საათზე დამინიშნეს შეხვედრა ვ. ი. ლენინთან. ცნობა შეხვედრის შესახებ ნახევარი საათის წინ გადმომცეს და აგრეთვე ამ დროისათვის ჩვენი შეხვედრა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო. საუბრისათვის განსაზღვრული იყო ნახევარი საათი, რის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო პატარა სოვნარკომის სხდომა, მაგრამ საუბარმა იმდენად საყურადღებო ხასიათი მიიღო ორივე მხარისათვის, რომ თითქმის ერთ საათზე მეტი გასტანა. მოლაპარაკებას დაესწრნენ ჩვენი წარმომადგენლობის პოლიტიკური მრჩეველი კ. ს. ქავთარაძე და... ა. ენუქიძე.

ლენინმა დიდი მეგობრული ხალისით მიგვილო და სიხარულით აღნიშნა, რომ მას საქმე აქვს ქართველი ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან. მან რამდენჯერმე გადაჭრით და გარკვევით განმარტა, რომ საბჭოთა მთავრობას საქართველოს ხალხთან და მის მთავრობასთან სურს კეთილმეგობრული და სოლიდარული განწყობილების განმტკიცება და არა ომი. ამ მხრივ, თქვა ლენინმა, მე და მთელი მთავრობა სავსებით ვიზიარებთ ამას. ჩიჩერინის ოფიციალურ განცხადებას, რომელშიც ის არწმუნებდა თქვენს მთავრობას, რომ საბჭოთა რუსეთს არა აქვს არავითარი აგრესიული მიზნები საქართველოს მიმართ, რომ ჩვენ მტკიცედ ვდგავართ მაისის 7-ს დადებული ხელშეკრულების ნიადაგზე. ლენინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა არ არის შედეგი პირადი, განკერძოებული პიროვნების პოლიტიკური ზრახვებისა და განწყობილების. ის არის აგებული იმ სოციალურ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა მთელ მსოფლიოში... მას საფუძვლად უდევს მშვიდობიანობის მიზნები. საბჭოთა რუსეთთან პატარა ერების გადაკიდებაში ლენინმა ანტანტას დასდო ბრალი“.[1]

ისმება ლოგიკური კითხვა: შეიძლებოდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემების მოლაპარაკების გზით მოწესრიგება, გადაწყვეტა უმსხვერპლოდ, რაც მოჰყვა მეთერთმეტე არმიის შემოსვლას საქართველოში? შეიძლებოდა. იმ დროისათვის, როგორც ვნახეთ, საქართველოში არ არსებობდა უშუალო რევოლუციური სიტუაცია. ქართველი ხალხის უმრავლესობა არ იყო განწყობილი („ქვედაფენებს“: არ სურდათ) არსებული მთავრობის დასამხობად, ამიტომ ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ გზად რჩებოდა საბჭოთა რუსეთთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, 1920 წლის 7 მაისის შეთანხმების მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ახალი ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულების დადება და კოალიციური მთავრობის შექმნა. ამ მთავრობაში შევიდოდნენ ბუდუ მდივნისნაირი ქართველი კომუნისტებიც. ეს თავიდან აგვაშორებდა 1924 წლის, 30-იანი წლების, 1956 წლის 9 მარტისა და ა. წ. 9 აპრილის სისხლიან ტრაგედიებს.

საბჭოთა რუსეთთან ახალ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა, კერძოდ 1920 წლის 7/V-ს შეთანხმების პირველივე მუხლი, რომელშიც ნათქვამია:

**«Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республики права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от государства, в состав которого они входят,**

1 იქვე, ფ. 85, აღწ. 15, ს. 15, ფ. 1.

2 იქვე, ს. 33, აღწ. 14, ფ. 27.

1 საქართველოს ცსა, ფ. 54, აღწ. 1, ს. 24, ფ. 10-14.

Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность грузинского государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав кой принадлежали в отношении к грузинскому народу и земле»[1].

მაგრამ ქართველ კომუნისტთა მაშინდელი ხელმძღვანელები ყოველმხრივ აფერხებდნენ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობის მშვიდობიანი გზით მოგვარებას და საქმე სამხედრო კონფრონტაციამდე მიჰყავდათ. მათ ყოველთვის (7 მაისის შეთანხმების ჩაფუშვასაც შეეცადნენ) ხელი შეუშალეს ნოე ჟორდანიას ინიციატივას, რომელიც გარედან შეიარაღებულ ჩარევას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არჩევდა. მისი ყოველი ცდის მიუხედავად, ამ მიზნით შეიარაღებული ჩარევა ვერ იქნა თავიდან აცილებული. ამიტომ ნოე ჟორდანიამ უკიდურეს ზომას მიმართა—თურქეთში მყოფი საქართველოს ელჩის ს. მდივნის მეოხებით, თხოვნით მიმართა ქართველი ხალხის ისტორიული მტრის თურქეთის მთავრობას დახმარებისათვის. ნოე ჟორდანიას მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო თურქეთის თანხმობა, სამაგიეროდ თურქეთი ითხოვდა ართვინის, არტაანისა და არტანუჯის დათმობას. ნოე ჟორდანია იძულებული გახდა ამ დათმობაზე წასულიყო, მაგრამ თურქეთის მთავრობამ არ შეასრულა დაპირება, ისარგებლა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და აღნიშნული ქართული ისტორიული მიწა-წყალი მიიტაცა.

ამ ფაქტზე რსფსრ-ის საგარეო საქმეთა კომისარიატმა მოგვიანებით პასიური რეაგირება მოახდინა. აშკარა გახდა ქემალისტური თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის თანდათანობით დაახლოება.

ჯერ კიდევ 1920 წლის 19 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დელეგაცია, საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ხელშეკრულების დადების მიზნით. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1920 წლის ივლის-აგვისტოში. მიღწეულ იქნა შეთანხმება თურქეთისათვის რუსეთის სამხედრო და ფინანსური დახმარების შესახებ. მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება თურქეთსა და დაშნაკურ სომხეთს შორის საზღვრების დაწესებასთან დაკავშირებით. სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გზა გაუხსნა შეთანხმების გაფორმებას.

ამითაც აიხსნებოდა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა კომისრის პასიური რეაგირება თურქეთის მიერ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მიტაცებაზე. იგი მოსკოვში თურქეთის ელჩს აცნობებდა:

«Нами получено телеграфное сообщение о том, что турецкая армия на основании соглашения с прежним грузинским правительством оккупировала Ардаган и Артвин.

Примите уверение в моем высоком уважении Георгий Чичерин»[1].

ეს იყო და ეს. მხოლოდ ფაქტი აღინიშნა და არავითარი პროტესტი და უკმაყოფილება. პირიქით, ჩიჩერინი ელჩს არწმუნებდა თავისადმი მაღალ პატივისცემაში.

ამიტომ ელჩის პასუხიც ორპირულად და რამდენადმე აგდებულადაც კი გამოიყურებოდა. ელჩი მეორე დღესვე აცნობებდა რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ თურქეთს არავითარი შეთანხმება არ დაუდვია საქართველოს რომელიმე მთავრობასთან, რომ ჩვენსა და საქართველოს შორის მხოლოდ „მეზობლური ურთიერთობა არსებობს", ხოლო ართვინისა და არდაგანის დაკავების შესახებ არავითარი ცნობა არ მიმიღიაო.

«Однако, — если названные местности действительно оказались бы заняты ми турецкими войсками, то это просто надлежало бы рассматривать как весьма естественное следствие нашего Национального Пакта в отношении трех пограничных санджаков. К тому же совпадение означенной оккупации с моментом провозглашения Советской власти в Грузии исключает возможность какого бы то ни было соглашения с меньшевитским правительством; напротив эта оккупация приобретает значение материальной помощи, оказываемой турецкой армией грузинским рабочим, борющимся за свое освобождение против меньшевитского правительства.

В нынешний столь важный период в наших отношениях дружбы и сотрудничества я прошу Вас, г-н Комиссар, не придавать телефоным известиям, могущим проистекать из различных источников, значения, коего они не заслуживают»[2].

ამაზე მეტი მკრეხელობა და ცინიზმი მართლაც რომ წარმოუდგენელია. თურმე, აღნიშნული ქართული მიწა-წყლის ოკუპაცია თურქეთის მიერ „უაღრესად ბუნებრივიც" კი ყო-

1 ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. დოკუმენტები და მასალები (რუს.), 1917-21 წწ.). თბ. 1958, გვ. 563.

1 სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, მესამე ტომი, მ. (რუს.), 1959, გვ. 556.

2 იქვე.

ფილა, კიდევ მეტი, ქართული ისტორიული ტერიტორიების ანექსია, „მატერიალური დახმარებაც" კი უოფილა ქართველი მუშებისათვის, რომლებიც მენშევიკური მთავრობის წინაამდეგ იბრძოდნენ.

როგორც ჩანს, თურქეთის ელჩს უკვე სცოდნია ორი კვირის წინათ თურქეთის მიერ ქართული ტერიტორიების მორიგი მიტაცება („პასუხში" რასაც უარყოფდა). რამდენადაც „პასუხში" მითითებულია არა ორი, არამედ სამი სანჯაყის ოკუპაციის შესახებ.

სულ მალე, 1921 წლის 16 მარტს, როდესაც ბათუმიდან ჯერ კიდევ არ იყო წასული ემიგრაციაში ნოე ჟორდანიას მთავრობა და ქალაქში მასობრივად შემოდიოდნენ თურქეთის ჯარები, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო „მეგობრობისა და ძმობის" ხელშეკრულება. მასში ნათქვამი იყო, რომ ორივე მთავრობამ

«Разделяя принципы братства наций и права народов на самоопределение, отмечая существующую между ними солидарность в борьбе против империализма, равно как и тот факт, что всякие трудности, созданные для одного из двух народов, ухудшают положение другого, и всецело воодушевляемые желанием установить между ними постоянные сердечные взаимоотношения и неразрывную искренную дружбу, основанную на взаимных интересах обеих сторон, решили заключить договор о дружбе и братстве...»[1].

აქვე შევნიშნავთ, რომ „მეგობრობისა და ძმობის" ეს ხელშეკრულება არსებითად დაიდო, როგორც იტყვიან, „პატრონის დაუკითხავად", საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების ხარჯზე; მათი ეროვნული ინტერესების საზიანოდ. რამდენადაც რსფსრ რესპუბლიკას იურიდიული ძალით ისეთივე საგარეო-პოლიტიკური უფლებები ჰქონდა, როგორც საქართველოსა და სომხეთს. ამდენად ამ უკანასკნელთა ისტორიული ტერიტორიების თურქეთის ფარგლებში იურიდიულად დაკანონების ან ხელშეკრულებაში ამაზე თანხმობის უფლება რსფსრ-ს ცხადია არ ჰქონდა. სსრ კავშირის შექმნამდე სხვა რესპუბლიკები საბჭოთა რუსეთს უკავშირდებოდნენ სახელშეკრულებო ფედერაციის საფუძველზე, როგორც თანასწორი თანასწორს, რამდენადაც არც ერთ მათგანს იურიდიულად არ ჰქონდა სხვა რესპუბლიკაზე მეტი უფლება. ეს იყო არსებითად სახელმწიფოთაშორისი და არა შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობა, რომე-

1 იქვე, გვ. 597.

ლიც დამყარდა აგრეთვე სხვა რესპუბლიკებს შორის.

ხელშეკრულებით თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი დაწყებული სოფელ სარფიდან და გადიოდა შავშეთის მთებზე (ხედისმთის გავლით), შემდეგ გრძელდებოდა არდაგანისა და ყარსის ჩრდილოეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე და ა. შ.

ხელშეკრულებას თან ერთვოდა რუკა, რომლითაც ცხადი ხდებოდა საქართველოსა და სომხეთის უზარმაზარი ისტორიული ტერიტორიების თურქეთის ფარგლებში მოქცევა.

„გამონაკლისს" წარმოადგენდა ბათუმი, რომელზედაც სიუზერენიტეტი თურქეთმა საქართველოს „დაუთმო", მთელი რიგი პირობების წაყენებით. თუმცა რა ჰქონდა საქართველოს თურქეთისაგან დასათმობი? ბათუმი და მისი მხარე, სხვა ქართულ ისტორიულ მიწა-წყალთან ერთად, თავის დროზე ხომ ძალით მიიტაცა თურქეთმა? სწორედ რსფსრ-თან დადებული ხელშეკრულების ძალით კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები ადრე მიტაცებულ სომხურ და ქართულ ისტორიულ მიწა-წყალზე თურქეთმა.

ჯერ კიდევ ნოე ჟორდანიას მთავრობა ბათუმში იმყოფებოდა, როდესაც ქალაქში შემოიჭრნენ თურქეთის ჯარის ნაწილები. თავიდან ისინი მშვიდად იქცეოდნენ, შემდეგ კი თავს დაესხნენ ცალკეულ უბნებს და ფაქტობრივად ქალაქში გაბატონდნენ. ამ დროისათვის პატიმრობიდან განთავისუფლებული ს. ქავთარაძისა და სხვების ძალისხმევით შეიქმნა ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის რევკომი. რევკომში შევიდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. რევკომმა სთხოვა რსფსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენელს ა. შეინმანს, რომელიც იმ დროს ბათუმში იმყოფებოდა, მიეღო საჭირო ზომები თურქ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ამასთან, რევკომის წარმომადგენელმა მას განუცხადა, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, და შესდგომოდა თურქეთის მხარესთან მოლაპარაკებას, რათა თურქ ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ დაეცალათ საქართველოს ტერიტორია. ეს ა. შეინმანის პირდაპირი მოვალეობა იყო. მიუხედავად ამისა, მან მიიჩნია, რომ ეს საკითხი არ შედიოდა მის კომპეტენციაში, სამხედრო საქმის არაფერი გაეგებოდა, და დაუყოვნებლივ თბილისში გამგზავრება ითხოვა. როგორც ჩანდა, თავისი მთავრობა უკრძალავდა მას კიდეც ანალოგიურ აქციას, რამდენადაც, როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რასაც მოჰყვა კიდეც „მეგობრობისა და ძმობის" ხელშეკრულების დადება. ამიტომაც ა. შეინმან-

1 იქვე, გვ. 598.

ზე არც უმოქმედია რევკომის ადგილსამყოფელში თურქი ოფიცრების მოსვლას. ერთ-ერთმა ოფიცერმა მას პირდაპირ განუცხადა, რომ ამიერიდან ბათუმი და მისი ოლქი „გადადის თავისი ძველი დედის თურქეთის წიაღში“-ო. ამაზე მეტი მკრეხელობა აღარ შეიძლებოდა.

მცირე პაუზის შემდეგ ა. შეინმანმა თურქ ოფიცრებს უპასუხა, რომ აღნიშნულ საკითხზე თავისი მთავრობისაგან არავითარი მითითება არ ჰქონდა მიცემული. ა. შეინმანმა თავი აარიდა (თუ აარიდებინეს) თავის პირდაპირ მოვალეობას და საქმეში ჩაურევლობა ამჯობინა.

საჭირო იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში გაფანტული ნაწილების შეკრება და მომზადება. ამისათვის კი აუცილებელი იყო რიგიანი სარდალი. ასეთად აღიარებულ იქნა სახელგანთქმული გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც, ოჯახთან ერთად, ემიგრაციაში წასასვლელად ემზადებოდა. პატრიოტმა ქართველმა ოფიცრებმა იგი დაუყოვნებლივ აახლეს რევკომს. მან თავიდან უარი განაცხადა, ჯარისკაცებში ქაოსი და დისციპლინის არარსებობა მოიმიზეზა. ბოლოს, როგორც იქნა, დათანხმდა. იგი დაუკავშირდა გაფანტული ჯარის ნაწილებს და ერთ დღეში შეძლო მათი შეკრება. სულ რაღაც ორი დღის განმავლობაში თურქები განდევნილ იქნენ ქალაქიდან. ბათუმი და მისი მხარე საქართველოს შეუნარჩუნეს ისეთმა პატრიოტმა ოფიცრებმა, როგორიც იყვნენ ძმები პეტრე, ვლადიმერ და დავით ქარუმიძეები, სახელგანთქმულმა ქართველმა გენერლებმა გიორგი მაზნიაშვილმა და ვარდენ წულუკიძემ, რიგითმა ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით მოსწავლე და სტუდენტმა ახალგაზრდობამ. საბჭოთა არმიის არცერთ ჯარისკაცს არ მიუღია მონაწილეობა ბათუმის განთავისუფლებაში. ჟლობას კაზაკთა ცხენოსანი რაზმი მაშინ შევიდა ქალაქში, როდესაც იგი, აგრეთვე ოლქი მთლიანად იყო განთავისუფლებული თურქი ოკუპანტებისაგან. ცხადი ხდებოდა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ არ გაეწიათ რაიმე წინააღმდეგობა თურქებისათვის, ვინაიდან ბათუმი, საქართველოს სხვა ისტორიულ მიწა-წყალთან ერთად, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთს უნდა გადასცემოდა რეფერენდუმის გზით, აგრეთვე, როგორც ითქვა, უკვე დადებული იყო ორ ქვეყანას შორის „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“.

თურქებთან სამხედრო შეტაკებას ბევრი ქართველი ჯარისკაცი და სტუდენტი ახალგაზრდა შეეწირა. მათი საძმო საფლავი ბათუმში მუდამ იქნება ქართველი მეომრების თავდადებული გმირობისა და მგზნებარე პატრიოტიზმის ნიმუში. მათ სიცოცხლე შესწირეს ბათუმისა და მისი ოლქის თურქი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებას, სამშობლოს მთლიანობის აღდგენას.

ამრიგად, ბათუმი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ფაქტობრივად ორჯერ გადასცა თურქეთს, შენარჩუნებულ იქნა საბჭოთა არმიის მიერ დამარცხებული ქართველი ჯარის გმირობისა და თავდადების წყალობით.

ძვირად დაუჯდა ჩვენს ერს ქართველი კომუნისტების მეცადინეობა, ჩაეშალათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველგვარი მშვიდობიანი მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან. არსებობს მრავალი საბუთი იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ აყალბებდნენ სინამდვილეს, საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას მთელი რიგი ქართველი და სხვა ეროვნების კომუნისტები. ცენტრალური პარტარქივის ფონდებში მოიპოვება ორჯონიკიძის, ორახელაშვილის და სხვების, აგრეთვე, სომეხი კომუნისტების — მიქოიანის, კასიანის, რუსი კომუნისტის კიროვის (კოსტრიკოვის) დეპეშები, წერილები საბჭოთა მთავრობის, ვ. ი. ლენინის სახელზე, რომლებშიც, მაშინდელი ვითარება საქართველოში მრუდე სარკეშია წარმოჩენილი: ისინი ყოველმხრივ აბრკოლებდნენ საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას და „ცეცხლზე“ ნავთს ასხამდნენ.

არასწორი ინფორმაციის, უფრო ზუსტად, დეზინფორმაციის შედეგს წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის განცხადება მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 1921 წლის 28 თებერვალს: „სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ ავეღელვებინეთ და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა, და ეს იმით გათავდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგ შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა. ჩვენ ვიცით, რომ აჯანყება დაიწყო სომხეთში, სწორედ იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარეობს და რომელიც საქართველომ ანტანტის იმპერიალისტების ნებართვით დაიკავა“.[1]

იმ დროისათვის სომხეთსა და საქართველოს შორის შეტაკებას, მით უმეტეს ომს, ადგილი არ ჰქონია. პირიქით, 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში სომხეთში დაშნაკებმა ამბოხება მოაწყვეს, გარკვეული დროით ძალაუფლება დაიბრუნეს და ნოე ჟორდანიას მთავრობას აცნობეს, რომ მზად იყვნენ, საქართველოსთან ერთად, ებრძოლათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება ე. წ. აჯანყებას, იგი არ

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 176.

შეიძლებოდა სომხეთსა და საქართველოს შორის არ არსებულ ომს მოყოლოდა. თბილისში საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა არა აჯანყების, არამედ მეთერთმეტე არმიის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარულ ჯარსა და სახალხო გვარდიასთან, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. რაც შეეხება ე. წ. ნეიტრალურ ზონას (ინგლისის სარდლობის ინიციატივით გამოცხადდა ასეთად), ის ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში იყო, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ 1920 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში დაიკავა საქართველოს ჯარმა დაშნაკთა თანხმობით.

როგორც ჩანს ვ. ი. ლენინი არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას. იმავე პლენუმზე იგი ამბობდა: „ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა, ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტ ხანს უნდა გაგვეჭიანურებინა საქმე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხობა ასე როდი უყურებდა ხელშეკრულებას, და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც ხოლცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც. ცნობები იქიდან ძლივსღა მოდიოდა, და უკანასკნელმა ცნობამ, რომელიც ჩვენ გვქონდა, გაამართლა, ის რასაც მოველოდით".[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიაში იმ დროისათვის არსებული პოლიტიკური ვითარების აღნიშნული დახასიათება ს. ორჯონიკიძის სუბიექტივისტური დეპეშებისა და საქართველოს ე. წ. რევკომის „მიმართვის" უშუალო შედეგი იყო.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა საქართველოში ქართველი მენშევიკებისა და ბოლშევიკების კოალიციური მთავრობის შედგენას პარიტეტის საფუძველზე. უნდა შექმნილიყო ქართული წითელი არმია, შეცვლილიყო არსებული კონსტიტუცია საბჭოთა კონსტიტუციით, ეკონომიკურ პოლიტიკაში ანგარიში უნდა გასწეოდა წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების ინტერესებს. მართალია, წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს ამის შესახებ, მაგრამ ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილში, 2 მარტს, ს. ორჯონიკიძისადმი დაახლოებით ანალოგიური იდეაა გატარებული. ეს წერილი, რომელიც მხოლოდ 6 მარტს გამოქვეყნდა, დაგვიანებული აღმოჩნდა. ნოე ჟორდანიას შემობრუნება უკვე შეუძლებელი გახდა. მასთან რამდენჯერმე გაიგზავნა ქართველ ინტელიგენტთა დეპუტაცია (გერონტი ქიქოძე, მიხაკო წერეთელი, თედო

[1] იქვე, გვ. 176-177.

ღლონტი) ბათუმში, მაგრამ უნაყოფოდ. არ მოყვა რაიმე პოზიტიური შედეგი არც ს. ქავთარაძის რჩევას.

ემიგრაციაში წასვლის წინადღით (1921 წ. 16 მარტს) ნოე ჟორდანიამ თავისთან დაიბარა ჯერ კიდევ ქალაქის საპატიმროში მყოფი ს. ქავთარაძე. მათ შორის გაიმართა დიალოგი, რომელსაც თვით ს. ქავთარაძე გადმოსცემს. ნოე ჟორდანიას მისთვის უთქვამს: „— მე თქვენ მოგიწვიეთ, რათა მოგელაპარაკოთ, სანამ ჩვენ საქართველოს დავტოვებდეთ... მთავრობა იძულებულია დატოვოს საქართველო. ჩვენ ვერ გაუძლეთ საბჭოთა ჯარების შეტევას. განთიადზე გადავალთ კრეისერზე... მე მოგმართავთ თქვენ როგორც პარტიულ მუშაკს... მიიღეთ ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ დაარბიონ ხალხი და ქვეყანა, არ დაანგრიონ და არ მოსპონ კულტურული და ისტორიული განძეულობა, რომელიც შექმნილია ჩვენი ხალხის მიერ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი აქ ამ მიზნით მოდიან? — ვკითხე მე.

— არა, მე ამას არ ვფიქრობ... მაგრამ ომი ომია, ვინც არ უნდა აწარმოებდეს მას... ის საზოგადოდ ვერ ეგუება კანონიერებას და წესრიგს... იგი ყოველთვის ძალადობაა და მას ყოველთვის უბედურება მოაქვს ხალხისათვის, ქვეყნისათვის.

— თქვენი შიში მით უფრო უსაფუძვლოა, რომ, როგორც თქვენ თვითონ სთქვით, ახლა საბჭოთა ჯარები არ ხვდებიან უკვე არავითარ წინააღმდეგობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ომი ფაქტიურად აღარ წარმოებს.

— მთავრობამ დაჰყარა იარაღი, მაგრამ შესაძლებელია ჯარის ცალკეული ნაწილები ან ჯგუფები განაგრძობენ წინააღმდეგობას. მე გავგზავნე ცარიელი მატარებლები ქუთაისის მიმართულებით, რომ თქვენი ჯარები სასწრაფოდ შემოვიდნენ აქ... ქალაქში უკვე შემოდიან თურქები...."[1]

ნოე ჟორდანიასათვის ს. ქავთარაძეს უთქვამს: — „მე არავითარი რწმუნება არა მაქვს ამ საკითხში... თქვენ კარგად გიცნობენ ლენინი, სტალინი და პარტიის სხვა მოღვაწეებიც. დარჩით საქართველოში... თქვენ ნახავთ ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო სამუშაოს. პოლიტიკის გარეშე, დაუმატე...

მცირე პაუზის შემდეგ მან მიპასუხა: — არ შემიძლია, მე მთავრობის თავმჯდომარე ვარ. მთავრობა კი ტოვებს ქვეყანას... არ შემიძლია".[2]

ნოე ჟორდანიამ, საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად, სამუდამოდ იბრუნა პირი დასავლეთ ევროპისაკენ, პარიზისაკენ, სადაც აღესრულა კიდეც 1953 წლის 11 იანვარს.

[1] ჟურნ. „მნათობი", 1957, № 11, გვ. 145.
[2] იქვე.

ელბერდ ბატიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერისა და ერის ცნების საკითხისათვის

ახალი ისტორიის თვითეულმა საუკუნემ თავისი განუმეორებელი დაღი დაასვა ცივილიზაციის განვითარებას. მალე 500 წლის იუბილეს ვიზეიმებთ დედამიწის მეორე ნახევრის აღმოჩენიდან. ამ ხნის მანძილზე ჩვენი პლანეტა ათიოდე სახელმწიფოს მონოპოლიური საკუთრებიდან თანდათანობით სუვერენულ სახელმწიფოთა საკრებულოდ იქცა და რაც მთავარია, ამ ისტორიულ პროცესს შეუქცევადი ხასიათი სწორედ ჩვენმა საუკუნემ მისცა. ამიტომაც, მე-20 საუკუნე, ალბათ, ეროვნულ რევოლუციათა სახელით შევა ისტორიაში: ხუმრობა საქმე ხომ არაა, მსოფლიო სახელმწიფოთა ნახევარზე მეტი ამ საუკუნეში იშვა და ვინ იცის, დარჩენილი ათწლეული ამ მიმართებით კიდევ რას იტყვის.

ეს გლობალურ ასპექტში. რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს ქირსა თუ ლხენას, მრავალეროვან ჩვენს ქვეყანაშიც ამ მიმართებით ძირეული ცვლილებები ხდება: გარდაქმნის წყალობით ეროვნული საკითხის „საბოლოო გადაჭრის" 70-იანი წლების შოვინისტური თეზისი, ისე როგორც ყურით მოთრეული „მეცნიერული" დებულება „ხალხთა ახალი ისტორიული ერთობის" შესახებ, უარყოფილი იქნა. გარდაქმნის რევოლუციურმა პროცესმა სრულიად ახლებურ ასპექტში დააყენა ეროვნულ ურთიერთობათა თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. ამით კიდევ ერთმა ისტორიულმა სიმართლემ თავისი „პური ჭამა": ერები და ეროვნული ურთიერთობანი საზოგადოებრივი სინამდვილის იმ სფეროებს როდი განეკუთვნებიან, რომელთა ჩვენს ნება-სურვილზე გადაკეთება და ასე ხელაღებით „საბოლოო გადაჭრა" შეიძლებოდეს.

ასეთი ვითარება კვლავ აქტუალურად აყენებს ერისა და ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემების კვლევის აუცილებლობას. ეს კვლევა ცხოვრების რეალურ მოთხოვნებს უნდა დაეფუძნოს და არა თითებიდან გამოწოვილი ძველი დოგმების მედავითნურ გადამღერებას. ყველას გვახსოვს 60-70-იანი წლების სხვადასხვა მაშსტაბებისა და რანგის დისკუსიები, ეროვნული საკითხის „საბოლოო გადაჭრის" უზენაეს გამოცხადებას რომ უძღოდნენ წინ: სხვანაირი რედაქციით, მაგრამ არსებითად გამეორებული იქნა ის, რაც ამ საუკუნის დასაწყისში ითქვა. ეს პირველ რიგში, ერის ცნებისა და ერის ნიშნების სტალინისეულ დეფინიციებზე ითქმის.

არადა, სტალინის თეორიული თუ პრაქტიკული მემკვიდრეობიდან პირველ რიგში, სწორედ ეს თხოულობს გადასინჯვა-გადახალისებას. მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ განსაკუთრებით რელიეფურად გამოკვეთა საზოგადოებრივ განვითარებაში ფსიქიკური ფაქტორების პრიმატულობა. ერის სტალინისეული დეფინიცია კი სრულიად სხვა საწყისებზეა დაფუძნებული. ერის ცნების განსაზღვრებაც და მისი ნიშნების კლასიფიკაციაც მატერიალურის ნაცვლად ფსიქიკურ საწყისებს უნდა დაეფუძნოს, ე. ი. ერის იმ არსებით ნიშანთვისებათა ერთობლიობას, რაც ქართველს ქართველად ხდის, სპარსელს — სპარსელად, ინგლისელს — ინგლისელად... ერის ნიშნების დამკვიდრებული კლასიფიკაციიდან ფსიქიკური ფაქტორების წინა პლანზე გადმოტანა მარტო რიგობითობის გადანაცვლების საკითხი არაა. მას კონცეფციურ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იგი არსებითად ცვლის ერის ცნებისა და თვითონ მისი ობიექტის არსის გაგებასაც, რასაც ჩვენის აზრით, უფრო სრულყოფილად ასახავდა ახალი ცნება — „ფსიქოგენეტიკური კომპლექსი". მის არსში ერის რაობის ყველაზე სუბსტანტურ საწყისებს ვგულისხმობთ. იგი გაიაზრება, როგორც გენეტიკური ინჟინერიით დაპროგრამირებული და მუდმივადგანახლებადი ერის „თანამდევი უკვდავი სული". მასზე უნდა დაფუძნდეს ერის ყველა სხვა ნიშნების გააზრება-გაცნობიერება.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რიგით ბოლო, მე-4 ნიშანი ერისა — „ფსიქიკური წყობის ერთობა", ცალკეც კი არაა გამოყოფილი — იგი სტალინის მიბაძვით ეროვნულ კულტურასთან არის თითქმის ყველგან მიტმასნებული, თითქოსდა ეროვნული ფსიქიკა კულტურის გარდა სხვა სფეროში არსად ვლინდებოდეს — ვთქვათ ეკონომიკაში სამეურნეო ფსიქიკის სახით; სამეურნეო ფსიქიკის სხვადასხვა პარამეტრებით თუ აიხსნება თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მართლაც რომ საოცარი პარადოქსები თვით ერთტიპოვან ეკონომიკურ სისტემებშიც კი.

სულიერ ღირებულებათა დევალვაციას საბოლოო ჯამში ტრაგედიამდე მიჰყავს კაციც და ერიც, პიროვნებაც და საზოგადოებაც. ისტორია — ძველიც და განსაკუთრებით ახალი, არაერთ მკუისსახწავლებელ მაგალითს იძლევა ამისას. თვითონ სტალინის პიროვნებაც ხომ ამ ფენომენმა მიიყვანა ჯუღაშვილის პოეტური სულიდან დიქტატორის ტირანულ სულამდე. ერსაც და კაცსაც ასეთი მეტაფორმოზისა უნდა ეშინოდეს ყველაზე მეტად — სულიერ ღირებულებათა გაუფასურებისა: მას არასოდეს კეთილი ბოლო არა აქვს, ტოლფასია მაცოცხლებელი ფესვების მოკვეთისა.

კითხვა რომ დავსვათ — რამ გადაარჩინა ყველაზე მეტად ქართველი ერი?, — ალბათ ყველაზე უპრიანი პასუხი უნდა იყოს: სხვათა მიმართ შემწყნარებელმა ხასიათმა უპირველესად. დიახ, ეს ეროვნული ფსიქიკური ფენომენი, ზოგადქართველის დიდბუნებოვნობა მტერსაც კი არჯულებდა, თვით ყველაზე დიდ ბოღმასა და შურს ანელებდა სულ თუ არა, დროებით მაინც. ამიტომაა სხვა ერთა მიმართ ცხოველურ სიძულვილს — კაცთმოძულეობის ველურ ფსიქიკას ქართული ხასიათი, ქართული ისტორია, მიუხედავად თავისი ტრაგიზმისა, ფაქტიურად არ ცნობს — სიკეთე ზეობს უკეთურობაზე, „არა კაც ჰკლას" ზნეობრივი ფილოსოფია. დავაკვირდეთ: თვით ევროპის ქვეყნებიც კი ვერ გადაურჩნენ ებრაელების მოძულეობას, ანტისემიტიზმის კვალს კი საქართველოს ისტორიაში ვერსად ნახავთ. ამიტომაც აქვს ასე გაორებული სამშობლოს გრძნობა პალესტინისკენ მიბრუნებულ ებრაელობას. ჭეშმარიტად, რომ სანთელ-საკმელი არასოდეს არ კარგავს გზას...

„...ებრაელები ერს არ შეადგენენ", — ეს მარტო სტალინის თეზისი არაა, მას თვით ევროპელი სოციალ-დემოკრატიის ბევრი ლიდერებიც იმეორებდნენ. ისტორიაც, როგორც ჩანს, იუმორის გარეშე ვერ ძლებს და 30-ოდე წლის შემდეგ ნებით თუ უნებლიედ, თვითონ სტალინი გახდა ერთ-ერთი ინიციატორი ებრაული სახელმწიფოს აღორძინება-დამკვიდრებისა. რუსული, ისე როგორც ევროპული სოციალ-დემოკრატია ებრაელებში ყველაფერს ხედავდა — ეროვნული ენის, ტერიტორიალური საზღვრების, ერთიანი ეროვნული კულტურის და ა. შ. უქონლობას, გარდა ერთისა და ყველაზე განმსაზღვრელისა — მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელების ფსიქო-გენეტიკური ფესვების მთლიანობას, ფსიქიკური საწყისების სუბსტანტურ ხასიათს.

ყველაფერი ეს წარმოადგენდა არასწორი მეთოდოლოგიური პრინციპის შედეგს: დროჟამივით მოუხელთებელის, თვალუხილავისა და უზომ-უწონადის კონკრეტულ-მატერიალურ გარსში მოქცევა ყველაზე ადვილი გამოსავალია ხოლმე ჰეგელისეული „ცუდი უსასრულობის" მსგავსი პრობლემებიდან. ფსიქიკა კი, სწორედ ასეთ ზერთულ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. სამართლიანობა კი მაინც მოითხოვს ითქვას: სტალინი ბოლშევიკებს შორის, ყველაზე ღრმად ჩასწვდა და გაიცნობიერა „დამკვირვებლისათვის ფსიქიკური წყობის მიუწვდომლობა", „ნაციონალური ხასიათის" სრული და ყოვლისმომცველი გახსნისა და გაცნობიერების მთელი სირთულე და აკი, ამას თავისებური გულდაწყვეტით განუსაზღვრელი ნაცვალსახელითაც აღნიშნავს — „რაღაც მიუწვდომელი რამაა"...ო... ოღონდ, იგი არ ცდილა, მეცნარის ფესვთა ათასნაირად განშტოებული სისტემისა არ იყოს, ერის ამ „რაღაც მიუწვდომელი" ფენომენთან მიახლოებას მაინც, მისი ზოგადი ფონისა და კონტურების მოხაზვას, მისი საოცარი ჰარმონიის წვდომას, ისე დააკავშირა ერის რაობის ეს ყველაზე არსებითი და განმსაზღვრელი ნიშანი კულტურის სფეროს, ხოლო თვითონ ეს რაობა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით შემოსაზღვრა და გაალარიბა.

ემპირიული მასალა. — ჩვენი და მსოფლიო ისტორიისაც, თვალნათლივ გვიჩვენებს: ისტორიული პროცესის ბუნებრივი მსვლელობისას ცალკეული ფორმაციები ერის განვითარებაში მის შინაგან არსებას ვერ ცვლიან, ასეთი ცვლილებები მხოლოდ უხეში და ამასთან, ხანგრძლივი და ინტენსიური ფიზიკური ძალადობით თუ შეიძლება, უფრო ხშირად კი ესეც უძლურია მის მისაღწევად: ასეთი ძალადობით შეიძლება ერს მოუსპონ ენაც, სახელმწიფოებრიობაც, ერთიანი ტერიტორიალური საზღვრებიც, ეროვნული კულტურაც, მაგრამ მის ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსს ვერაფერს დააკლებენ. აღნიშნული თვალსაზრისით გადასახსინჯია ერის წარმოშობის კატეგორიულობის და აგრეთვე, თვითონ ფორმაციების ზოგად-სოციოლოგიური არსის საკითხიც, თვით მარქსიზმის ფუძემდებლებიც კი, ისე ერთხაზოვნად და გაქვავებულ დოგმად როდი განიხილავდნენ მათ, როგორც ჩვენ, ცნობილია, რომ ფ. ენგელსი იზიარებდა კაცობრიობის განვითარების

მორგანის ალტერნატიულ კლასიფიკაციასაც — ველურობა-ბარბაროსობა-ცივილიზაცია. ფსიქო-გენეტიკური პოზიციებიდან გამომდინარე ერის წარმოშობა ბიოლოგიური კატეგორიის რიგს უნდა მივაკუთვნოთ და არა ისტორიულისას: ერების მომავალი შერწყმის კი არა, ურთიერთპარალელური განვითარების გზაა. ამ მიმართებით ცივილიზაციის განვითარების მაგისტრალური გზა ე. წ. „ერთიანი მსოფლიო ერის" ფორმირებაში კი არ არის საძიებელი, არამედ ერთა მსოფლიო თანამეგობრობის სუვერენულ და ჰარმონიულ განვითარებაში. იმპერიების ისტორიული ბედიც ხომ ამით არის ხოლმე წინასწარ განსაზღვრული...

ერის თანამედროვე თეორია, გვერდს უვლის რა ერის ყველაზე მდგრადი, დროსა და სივრცეში პრაქტიკულად უცვლელი სულიერ-ფსიქიკური საწყისების პრიმატულობას, ყველგან და ყოველთვის წინა პლანზე მატერიალურ-უოფით ფაქტორებს აყენებს. კვლევის ასეთი მეთოდი მატერიალიზმის ვულგარიზაციად მოჩანს. სტალინის ცნობილი ნაშრომი და მის კვალდაკვალ მთელი ჩვენი ლიტერატურა ეროვნულ საკითხებზე, თავიდანვე ისეა ჩაფიქრებული, არსებული ემპირიული მასალა მათში ისეა გაანალიზებული, რომ ყოველთვის პირველობა მატერიალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კლასობრივ ფაქტორებს აქვთ მიცემული. ბუნებრივია, რომ ამით თავისთავად უკანა პლანზე გადადის ერის განვითარების შინაგანი მამოძრავებელი ფაქტორები. ფსიქიკურის კულტურასთან ხელოვნური მიტმასნება-დაკავშირებაც ამით აიხსნება. მატერიალიზმის ასეთი ვულგარიზაცია და მასზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის მანკიერება იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ მისგან გამომდინარე „ერების ფორმალური და ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციას" უკავშირდებოდა თავიდანვე ეროვნული საკითხის „საბოლოო გადაჭრაც". ამ უტოპიზმის არასასურველი შედეგები დღეს ყველას თვალწინა გვაქვს. ამასთან დაკავშირებით უცილობელ გადასინჯვას თხოულობს ერის III ნიშანი.

ჩვენი ინტელექტუალური ძალების ეროვნული საკითხით დაინტერესება, მასზე ფიქრი და განსჯა შემთხვევითი არაა. ეს ქვეყნის კოლონიური ვითარებით აიხსნება უპირველესად. ჩვენი მოღვაწეებიდან ყველაზე ღრმად ამ საკითხსაც ილია ჭავჭავაძე ჩასწვდა — ქართული აზრისა და საქმის ეს ამოუწურავი სიბრძნის წყარო და გზა-მკვლევი წარსულშიც და ახლაც.

გადავხედოთ მის წერილებსა და სტატიებს ერსა და მის ისტორიაზე, მისთვისაც კი აზრობრივად უჩვეულოდ დატვირთულ წერილს დავით აღმაშენებელზე და განსაკუთრებით, სიტყვას გაბრიელ ეპისკოპოსის ნეშტთან, მთელ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას... ყველგან, სადაც კი იგი ერის რაობას, მის წარსულსა და აწმყოს, სულიერ და მატერიალურ კულტურას, ერის თვითმყოფადობასა და ცხოვრების წესს ეხება, ყველგან და ყოველთვის ჭეშმარიტებისაკენ სავალი მისეული გზის სანათი ფსიქიკური საწყისები იყო. ყველგან ადამიანისა თუ ერის სულიერ ძალას, აზრის და სიტყვის უშლეველობას ძლევდა პრიორიტეტს, რამეთუ „სიტყვის პირველობის" პოზიციაზე მდგომმა კარგად უწყოდა: აზრი განუხორციელებელი საქმე [illegible] კი [illegible] განხორციელებული აზრი. ამასთან, ილია ღრმად ჩასწვდა ფსიქიკური საწყისების მთელი მრავალფეროვანი კომპლექსის სირთულესაც და უსაზღვრობა-მიუწვდომლობასაც. მაგრამ იგი სტალინივით კი არ გაექცა მას, კი არ მიაფუჩეჩა სიტყვათა ფორმალურ-ლოგიკური თამაშით, არამედ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით აღიარა იგი: „...ადამიანის მრავალფერი ბუნების ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალთათვის... ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა უღონოა ამისათვის". დიახ, ზევით მოყვანილი შედარებისა არ იყოს, ხის ტანს, შტოთა განშტოებას, ფოთოლ-ნაყოფს, ყველა ვხედავთ ხორციელი, თვალხილული და მისაწვდომია, მაგრამ მიწის წიაღში ჩამარხულ-ჩაფლულ ფესვთა საოცარ ჰარმონიას განა ყველა ვხედავთ, ყველა აღვიქვამთ მთელი მათი სირთულითა და სიღიადით? ყველაზე თავზარდამცემი მეხი თუ ქარიშხალი — ერთიანად რომ მოსრავს ხოლმე ხის ხილულ ნაწილს, ხომ უძლურია რაიმეავნოს ამ თვალუხილავ სიცოცხლის საწყისს? სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები ერის გარსია, მისი თვალხილული, გარეგნული გამოვლენაა, არსი კი ერისა მისი შინაგანი ფსიქიკური, სულიერი სამყაროა. ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის ფესვთა ეს რთული სისტემა კვებავს მოცემული ერის თვითმყოფადობას თაობიდან თაობაში, ათასწლეულიდან ათასწლეულში და არა ეკონომიკური ცხოვრების რაიმე ერთობა, რა ხასიათისა და მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი.

ამიტომაც უნდა მიენიჭოს პირველობა კაცისა თუ ერის ცხოვრებაში ამ მიუწვდომელს, მიღმურს, მაგრამ სწორედ ამიტომაც, ყველაზე მნიშვნელოვანს, განმსაზღვრელს, არსებითს. სწორედ ეს ქმნის ერთობას ერისას, მისი ისტორიული ბედისას, თორემ ერთიანი ენისა თუ ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა თუ კულტურის მქონე რამდენი ერი ცხოვრობს საუკუნეთა მანძილზე „ერთსულობისა და ერთხორცობის" გარეშე სრულიად სხვადასხვა ისტორიული ბედით. ახლო არეალებს თავი რომ დავანებოთ, მარტო დიდი ბრიტანეთის კუნძულების გახსენებაც კმარა. მაგრამ იქ.

სადაც ფსიქო-გენეტიკური მთლიანობა „გვარტომობისა“, თუნდაც რომ „...დროთა ბრუნვას განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემხვედრება, იდუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს... დაძინებულმა ერთსულობამ“, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე.

ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის მიღმურობა-მიუწვდომლობაზე ხაზგასმა შეიძლება მკითხველში რასების სიწმინდის ასოციაციებს წარმოშობდეს, მაგრამ ეს კომპლექსი სწორედ რომ პირიქით, ერების წარმოშობისა და განვითარების საპირისპირო საწყისებს გულისხმობს: მოცემული ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის სიმძლავრე და ცხოველმყოფელობა იმითაც განიზომება, თუ რამდენად შეუძლია მას შეიწოვოს და შეისისხლხორცოს ისტორიულად თანმდევი სხვადასხვა უცხო ეთნიკური და თვით რასობრივი ელემენტები. ამიტომ ამერიკელი ან ებრაელი ზანგის ფაქტი ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის წინააღმდეგ კი არ ლაპარაკობს, არამედ უპირველეს ყოვლისა, მოცემული ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის ხაზგასმულ სიძლიერესა და ცხოველმყოფელობაზე. ჩვენდა საამაყოდ, ქართველი ერის ისტორიაც იმის ბევრ მაგალითს იძლევა თუ როგორ გადახარშავდა მისი ფსიქო-გენეტიკური კომპლექსი, ამ კომპლექსში შემავალი ცხოვრების ქართული წესი შემოხიზნულ უცხო ეთნიკურ ელემენტებს, მათ შორის თვით დამპყრობელი ხალხებისაც კი.

ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის ცხოველმყოფელობა ბევრწილად იმითაც განიზომება, თუ რამდენად შეუძლიათ კვებონ მისმა ფესვებმა ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის ახალ-ახალი მასაზრდოებელი ძალები ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში. ილიას კლასიფიკაცია რომ მოვიშველიოთ, 5 თავისებურ ტიპად შეიძლება დაიყოს ამ ძალის შემადგენელი პიროვნებანი: 1. „ზოგადკაცი“, 2. „ერისკაცი“, 3 „თემისკაცი“, 4. „გვარისკაცი“ და 5. „ოჯახისკაცი“. პირველი ორი და ნაწილობრივ მესამე ტიპი ეროვნული ძალებისა, ერის ინტელექტუალური პოტენციის მასაზრდოებელი და ამასთან ცივილიზაციის მაგისტრალურ ხაზთან დამაკავშირებელი ძალაა, ხოლო ბოლო ორი და ნაწილობრივ მესამეც, ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის მეორე მხარეს — მატერიალურ ყოფას უდგას ერთგულ დარაჯად. ამ ძალების ერთიანობაში უნდა იქნეს მოაზრებული ეროვნული კონსოლიდაციის იდეალი. ამასთან, ამ ერთიანობაში „ზოგადკაცზე“ ნაკლებმნიშვნელოვან კომპონენტს როდი შეადგენს „ოჯახისკაცი“, სწორედ რომ პირიქით, ერსაც და ქვეყანასაც ის ედგა ყველგან და ყოველთვის შეუვალ ბურჯად. ცნობილია თუ რა მაღალი სოციოლოგიური ღირებულების რანგამდე აჰყავდა ილიას ოჯახის ადგილი და როლი ეროვნულ ცხოვრებაში. რა სარკაზმით აკრიტიკებდა „მესამედასულებს“ მისდამი ნიჰილისტური დამოკიდებულებისათვის. და განა ერის ნიშნებიდან რაიმე შეიძლება დავაყენოთ ოჯახის ფენომენზე მაღლა წარსულშიც და ახლაც?

დეფინიციის მოყვარულებს კი ილია ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ლაკონურ განსაზღვრებას სთავაზობს: „ერი... არის ისტორიით შედუღებული ერთსული და ერთხორც-მკვიდრთა კრებული“ თუ ამ უაღრესად ლაკონურ და ღრმააზროვან განსაზღვრებას რაიმეს დავუწუნებთ, ეს ალბათ, მასში დღეისათვის დამკვიდრებული ტერმინოლოგიის უქონლობაა. ამ პოზიციიდან ილიას დეფინიცია შეიძლება ასე გამოითქვას: ერი ერთგვაროვან ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსზე აღმოცენებული ადამიანთა ისტორიულ-ეთნიკური მთლიანობაა.

სტალინსაც კი, ლაკონიზმის ამ მეორე დიდ მოყვარულსა და დიდოსტატს, ერის რაობის დამაკმაყოფილებელი დეფინიცია რომ გადმოეცა, მისთვის უჩვეულოდ გრძელი განსაზღვრება დასჭირდა. ილია კი ერთი მარტივი წინადადებით გადმოსცემს იმ საგნის არსს, რომელიც უმეტესწილად განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს კაცობრიობის ისტორიულ ბედ-იღბალს. დავუკვირდეთ: „ისტორიით შედუღებულს“ და „ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებულს“ — ამ ორი აზრის სინთეზით სწორედ ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის ერთობის არსია გადმოცემული, რამეთუ ისტორიით შედუღება-შეკავშირება უპირატესად ერთგვაროვანთა საფუძველზე შეიძლება მოხდეს. „ერის ისტორიით შედუღება-შეკავშირება“ ყველაფერს მოიცავს, ყველაფერს გულისხმობს, ეროვნული ცხოვრების ყველა კომპონენტს — ენითა და ტერიტორიით დაწყებული, და ეროვნული ტრადიციებითა და ოჯახით დამთავრებული, სხვანაირად ნამდვილი სიმტკიცე, შეუვალი დუღაბიც არ მიიღება.

შეიძლება შემოგვედაოს პირველად შემოღებული ცნების — ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის პირველობის შესაძლო ოპონენტები: თუ ასეთი ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველია იგი, მაშინ რაღა ვუყოთ ისტორიულად წარმოშობილ კონგლომერატულ ერებს, ვთქვათ ამერიკელ ერს? ისინი ხომ, — ახლო თუ ჭერ კიდევ ბიბლიურ ისტორიულ ეპოქებში წარმოშობილი ერები, ისტორიული განვითარების პროდუქტები არიან — სად არის აქ ერების ბიოლოგიური კატეგორიულობის ელემენტები?

არ შეიძლება უარყოთ ის, რომ ახალ ბუნებრივ-ისტორიულ გარემოში მოხვედრილი ნებისმიერი ერი მნიშვნელოვნად იცვლის თა-

ვისი მატერიალური ყოფის არსსაც და ცხოვრების საერთო წესსაც. ე. ი. ბევრ იმ მატერიალურ ფაქტორს, რომელთაც ფსიქო-გენეტიკური კომპლექსი შეიცავს, მაგრამ ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ იგი კარგავდეს თავისი არსობის სულიერ საწყისს რა ისტორიულ გარემოშიც არ უნდა მოუხდეს ცხოვრება. ამერიკელი ერი, რომლის 80%-ზე მეტი თავიდანვე ანგლოსაქსურ ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსზეა აღმოცენებული, სწორედ უფრო იმის დადასტურებაა, რომ გადამწყვეტი საწყისი და საფუძველი ამ და მსგავს შემთხვევებშიც (შორეულ წარსულში — იტალია, ახალ ისტორიაში — ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ძირეული ეთნოსის ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსშია საძიებელი და არა წარმოშობილი კონგლომერატის სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების უბრალო მათემატიკურ ჯამში...

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის მიუწვდომლობის, იდუმალების, მილმურობის საკითხს. ბუნებრივია, რომ თვითეული ერის ფსიქო-გენეტიკური კომპლექსი რალაც შემადგენელ კომპონენტებს უნდა შეიცავდნენ, სხვადასხვა ერთა მიმართებაში ერთმანეთისაგან რალაცით უნდა განსხვავდებოდნენ, სხვანაირად სხვადასხვა ერებთანაც არ გვექნებოდა საქმე.

ფსიქო-გენეტიკური ფენომენის ამ მიუწვდომლობა-იდუმალობა-მილმურობის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათემატიკურ რიცხვთა მწკრივისა არ იყოს, მას ბოლომდე ვერც როდის ვერ ჩავწვდებით, ვერც როდის გავიცნობიერებთ. ეს იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანის ნებელობის, ქცევა-ქმედებისა და აზროვნების ისეთ ფსიქიკურ პროცესებს, რომელთა ფუნქციონირების საიდუმლოებით მოცულ მექანიზმში თვით ყოვლისშემძლე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამაც კი ოდნავადაც ვერ ჩაგვახედა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ჩვენ იმაზე ბევრად მეტი არ უნდა ვიცოდეთ მათ არსებაზე, ვიდრე თუნდაც ანტიკურ ეპოქაში...

ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის სწორი კვლევისა და ანალიზისათვის, მასში შემავალი ნიშნების მიმართ ერთობის გარდა, სხვაობის მეთოდიც უნდა იქნას გამოყენებული. ამ ფაქტორსაც, ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის მსგავსად, კონცეფციალური მნიშვნელობა უნდა მივცეთ: ერთობა-სხვაობის დუალისტურ საწყისებზე თუ შეიძლება ფსიქიკის მიუწვდომელ სამყაროსთან ოდნავ მაინც მიახლოება. უპირველეს ყოვლისა, ერები სწორედ იმით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან, თუ ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსში შემავალი ძირითადი კომპონენტები: — სამეურნეო ფსიქიკა, ეროვნული ტრადიციები და ცხოვრების წესი, რელიგია. ქალისა და ოჯახის ისტორიულ-ეროვნული თავისებურებანი, მწარმოებელი და ინტელექტუალური ძალების განვითარების სოციალ-ეკონომიკური და ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, საერთო-ისტორიული ბედის შეგნება, იდეოლოგიურ-კულტურული გარემო, სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ესა თუ ის ფორმა, სხვა ერებთან დამოკიდებულების ზნეობრივი პრინციპები როგორ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან და რამდენად არიან ფსიქიკურად შეთავსებადნი სხვა ერების შესაბამის კომპონენტებთან. ერთი სიტყვით, წინამძღვრებიც ძირითადად ამით უნდა იყვნენ გაპირობებულნი. ბარათაშვილის გენიალური წვდომაც — „ვით შერთვისოს" ფსიქიკური დილემის სახით, უთუოდ ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის შემადგენელ კომპონენტთა სხვაობის ამ ფაქტზეა გათვლილი და გაანგარიშებული. ათასი ჯურის მტერ-მოყვარესთან ურთიერთობის ხანგრძლივმა ისტორიულმა გამოცდილებამ ჩვენს ხალხს ამ მხრივაც თავისი მსოფლგაგება შეუმუშავა, ხოლო მისმა ენამ სხვაობის ამ ეთნიკური ფენომენის საფუძველზე ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის თავისებური მოდუსიც შექმნა „ზნე" — „ხასიათისა" და „ჯიშ-ჯილაგის" ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა სახით. ისე, რომ ჩვენს მიერ წერილის დასაწყისშივე შემოტანილი ცნება ამ მოდუსითაც არის მნიშვნელოვანწილად გაპირობებული.

ფსიქო-გენეტიკური კომპლექსის ზევით ჩამოთვლილი თუ სხვა შესაძლო კომპონენტები კვლევის ცალკე და ვრცელ ობიექტებს შეადგენენ, მაგრამ აქ მაინც უნდა აღინიშნოს მათი გააზრება-გაცნობიერების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: ისინი იმიტომაც არიან ერთიანი მთელის შემადგენელი ნაწილები, რომ ატომგულის ნაწილაკებივით მჭიდროდ და ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს. ვთქვათ, ქართველი ერის სამეურნეო ფსიქიკის ასეთი კავშირის არსი ვლინდება იმაში, რომ ნებისმიერი, სულ უმნიშვნელო ცვლილება მასში დიალექტიკური უკუქმედებით შესაბამის ცვლილებებს იწვევს დანარჩენებშიც. ეს ფსიქიკა, რომელიც ოდითგანვე სოფლის მეურნეობასთან იყო ორგანულად დაკავშირებული, უკანასკნელ ათწლეულებში სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ინდუსტრიალიზაციის შედეგად, გარკვეულად დარღვეული იქნა: „ნამგლისა და გუთნის საქართველოს" იდეალის დაწუნებამ, ინდუსტრიალიზაცია-ურბანიზაციის ფეტიშურმა კულტმა სამეურნეო ფსიქიკის კვალდაკვალ, არასასურველი ცვლილებები გამოიწვია ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. დღევანდელი საქართველოს პრობლემები — მთისა თუ ზღვისა, სოფლისა თუ ქალაქისა, ნარკომანიისა თუ დე-

მოგრაფიისა უმეტესწილად სამეურნეო განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესიდან გადახვევამ განაპირობა. ისტორიულად მომდინარე ერის სამეურნეო ფსიქიკა — საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების არსებას შეადგენს, ხოლო მისი გაუთვალისწინებლობა — დიდ პოლიტიკურ შეცდომას. ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამ ფსიქიკური ფენომენის საფუძველზე ამაღლებდა ვაზის კულტურას ერის უმაღლეს სულიერ ღირებულებათა რანგამდე. დღეს კი საეჭვოა, რომ ცარიელი მოწოდებებით აღვადგინოთ ქართველი გლეხკაცისა და „შვილივით ნაზარდი ვაზის“ ძველი მორალურ-ზნეობრივი სიმტკიცე — ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული ტრადიცია. ამ „მამაშვილური“ ურთიერთობის აღსადგენად რანტიათა ბიუროკრატიული არმიისაგან თავისუფალი მკვიდრი ეკონომიკური საფუძველია საჭირო. წარმოებით ურთიერთობას პირველ რიგში ერის ძირითადი მწარმოებელი ძალების ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა და არა ერისათვის უცხო და შეუთავსებადი ინდუსტრიული გიგანტომანიაობისა და კოლექტივიზაციის რუსული შაბლონი.

ანდა, ავიღოთ, დღეს ასე აქტუალურად მიმდინარე დისკუსია განათლების საკითხებზე. განა დიდი მტკიცება უნდა იმას, რომ ცოდნისა და კულტურის განვითარების ეროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე, თითოეულ ერს განათლების განსხვავებული პრინციპები და სისტემა სჭირდება? აქაც შტამპები და სტანდარტები არანაკლებ მავნე და ზიანის მომტანია. ქართველის შინაგანი ბუნება, მისი ტემპერამენტი, ინდივიდუალური თუ ოჯახური აღზრდისა და ცხოვრების ეროვნული ტრადიციები, განსხვავებული ფსიქიკურ-ნებელობითი ფაქტორები სხვა ერებისაგან განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმებსა და პრინციპებს თხოულობენ ამ სფეროშიც.

სავალდებულო საშუალო განათლების უტოპიურმა პრინციპმა ისე არსად მოიტანა იმდენი ვნება, როგორც ჩვენთან. ერთი შეხედვით პროგრესული ეს პრინციპი რეგრესულად ვაქციეთ, როგორც კი იგი თავის, ასე ვთქვათ, „გონივრულ ზღვარს“ გადავაცილეთ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ პრინციპის სოციალური პროგრესულობა განათლების ელემენტარული (დაწყებითი) დონით უნდა განისაზღვროს და არა მეცნიერების საფუძვლების დაუფლებით. ელემენტარულ ჭეშმარიტებად მოჩანს ისიც, რომ ეროვნული განათლება, ისე როგორც ერის მთელი კულტურული განვითარება, ბუნებრივ-ისტორიული პროცესით უნდა წარიმართოს და არა ზევიდან თავსმოხვეული დიქტატით. ასეთ „მეთოდებს“ მოსდევს ის კრიზისული მოვლენები და გამწვავებული პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც არა ერთი და ორი თაობის დრო და ენერგია ჭირდებათ ხოლმე და ისიც, არცთუ იშვიათად, ამაოდ. უზენაესი ბრძანებებით ცხრამთას იქიდან არ უნდა გვასწავლიდნენ ჭკუას რა და როგორ ვასწავლოთ საკუთარ შვილებს. განა ნორმალურია, რომ ეროვნულ სკოლებში ეროვნული ისტორიის სწავლება ფაქტიურად იგნორირებულია? მსგავსი პარადოქსები იმაზე მიგვითითებენ, რომ ცენტრალიზმი — საზოგადოებრივი განვითარების წინაღობად იქცა.

ახლა ორიოდე სიტყვა ცნება „ერის“ შესახებ.

„ერი“ ძირ-ძველი ქართული სიტყვაა, ძირითადი მნიშვნელობით ეთნიკური ფუძის გამომსახველია, მისი (ეთნოსის) უძველეს ისტორიულ-გენეტიკურ ფესვებს მოიცავს და არა მხოლოდ კონსოლიდაციის ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპს შორეულ თუ ახლო წარსულში. ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ, როგორც სალაპარაკო, ისე სალიტერატურო ქართულში ცნება „ერი“ გაცილებით ადრე ფუნქციონირებდა, ვიდრე ჩვენი საზოგადოება ფულად-სასაქონლო ურთიერთობაზე გადავიდოდა და ამასთან, სულ სხვა მნიშვნელობით, ვიდრე დღეს მას სპეციალურ ლიტერატურაში ვხმარობთ.

ერის განვითარების ცალკეულ ისტორიულ ეტაპებს ხელოვნურად არ უნდა ვთიშავდეთ და ილიას ოფიცრისა არ იყოს, „მეცნიერულად“ არ უნდა ვართულებდეთ ერის ფსიქო-გენეტიკური მთლიანობის ნათელ საკითხს. რიგითი მკითხველი თუ მსმენელი იბნევა ხოლმე, როცა ეუბნებიან — ქართველი ერი წარმოიშვა მე-19 საუკუნეში, სიზუსტის მოყვარულნი კი უფრო აკონკრეტებენ — მის II ნახევარშიო. აბა, მანამდე, რანი ვიყავით? — გულუბრყვილოდ, მაგრამ სამართლიანად კითხულობენ ჩვენგნით გზაკვალაბნეულები...

მართლაც და რანი ვიყავით მე-19 საუკუნემდე ქართველობა? არა ბურჟუაზიული „ერი“, არამედ მხოლოდ ფეოდალური „ხალხი“?!.. რატომ ვივიწყებთ, რომ ეთნოსის კონსოლიდაციის ესა თუ ის ხარისხი, მათ შორის უკანასკნელი ისტორიული ეპოქებისაც, მხოლოდ მის გარეგნულ ფორმას ცვლის და არა შინაარსს. ერის ეს შინაგანი არსი კი, გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე შეძენილი რომელიმე ფაქტორი, ვთქვათ „ეკონომიკური ცხოვრების ერთობა“ კი არ არის, არამედ თანდაყოლილი ფსიქო-გენეტიკური კომპლექსი. მათემატიკის ენაზე, პირველი დამოკიდებული ცვლადია, მეორე კი — დამოუკიდებელი ცვლადი.

ჩვენი ენის სიმბოლური სინონიმები — „სიკვდილი“ და „გარდაცვალება“-ც რომ მოვიშველიოთ, ერის გარეგანი გარსი — ჩენჩო პერიოდულად უკვალოდ კვდება და ქრება, მაგრამ მის შიგნით მოთავსებული განახლების

მარადი თესლი აახლებს, „გარდაცვლის" ხოლმე მასაც და საკუთარ თავსაც. ქართველი ერი მე-19 საუკუნეში კი არ წარმოიშვა, არამედ დრო-ჟამის უსასრულო მდინარების ამ კონკრეტულ მომენტში მორიგი სახეცვლილება განიცადა მხოლოდ. წარმოშობით კი იგი მაშინ წარმოიშვა, როცა მის ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსს მიეცა საწყისი წერტილი — „გეორგიენთა" სულ პირველ თაობებიდანვე: მარჩენალ მიწასთან ტყუილა როდია დაკავშირებული ქართველის სახელი, მისი ყველაზე შორეული ისტორიული ფესვები. ქართველმაც ალბათ, შემთხვევით არ უწოდა უკიდეგანო სამყაროში სიცოცხლის ჩვენს წილადრგებულ ბუდეს ღრმა ფილოსოფიური აზრის მქონე სახელი — „დედამიწა", ხოლო მისი პირველი მაცხოვრებელი კაცის — ბიბლიური ადამის სახელიც ხომ ვგონებ, რომ ზოგადი ცნების სახით, მარტო ამ უცნაური ბედის მქონე ენამ შემოინახა უცვლელი ფორმით. ადამიანის სახით ბუნების თვითშეცნობის ისტორიული პროცესიც — სამყაროს სასწაულებიდან ეს ყველაზე დიდი სასწაული, თავისებურად ესადაგება ზემოდ ხსენებულ ღრმა ფილოსოფიურ აზრსაც და არსსაც... იოანე ზოსიმე როდი ტყუოდა — ბევრი ასეთი ფარული განძია „დაფლული" ქართულში... „ერი"-ც ქართული ენის ლექსიკური მარაგის ისეთი განძთაგანია, რომლის დამცრობა-გაუკუღმართება არ გვეპატიება. იგი იყო და უნდა დარჩეს განუყოფელი და ერთიანი ქართული ეთნოსის განუყოფელ და ერთიან სახელად.

რაც შეეხება ცნება „ერის" დღეისათვის დამკვიდრებულ ვიწრო-სპეციალურ გაგებას, ამისათვის ქართულში, ისე როგორც მსოფლიოს უმრავლეს ენებში, თავის დროზე დამკვიდრდა ახალი ისტორიის ამ მოვლენის შესატყვისი საერთაშორისო ტერმინი — „ნაცია". ამ ცნებას ხმარობდნენ სტალინიც და ჩვენი სხვა სოციალ-დემოკრატებიც. მისი ძველი, ვიწრო სპეციალური მნიშვნელობით აღდგენა, შექმნილი გაუგებრობიდან ყველაზე გონივრულ გამოსავლად მოჩანს, თუკი საერთოდ, აუცილებელია ერის წარსულისა თუ მომავლის განვითარების სხვადასხვა ისტორიული პერიოდებისათვის ახალ-ახალი ცნებების გამოძებნა.

დასასრულ ალბათ, ღირს შევჩერდეთ „კონფედერაციის" ცნებაზეც, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის განზრახული პლენუმის წინ არარუსი ხალხების სულ უფრო პოპულარული ლოზუნგი ხდება და როგორც ჩანს ხელისუფლებაც თანდათანობით ამ პოზიციაზე დგება. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები და ლამაზი დაპირებები არასოდეს გვკლებია, „ციებისა" და „იზმების" მეტიც რა გვსმენია, მაგრამ მათგან რაიმე ღირებული საქმე იშვიათად თუ გვღირსებია. თუ გარდაქმნის მიმდინარე პროცესი ბოლოსდაბოლოს სიტყვისა და საქმის ერთიანობის ამ დილემას დაძლევს, მაშინ „კონფედერაციაც" და, ერების თავისუფალი განვითარების ობიექტური მოთხოვნაც ჩვენს ქვეყანაშიც თავის ლოგიკურ შედეგამდე მივა. ამ მიმართებით კონფედერაციის იდეა ჩვენ გეორგევსკის ტრაქტატის დაგვიანებულ რეალიზაციად გვესახება დღეს, მომავლისთვის კი იგი სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გარდამავალ ეტაპად უნდა გაცნობიერდეს. მთავარია, რომ ქვეყნის გარდაქმნის პროცესი მომავალშიც თავისი ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით წარიმართოს, რითაც ეპოქის შესატყვისი ინტელექტუალური, მშვიდობიანი გზით გადაწყდება წარსულის ყველა იმპერიებისათვის თანმდევი ისტორიული ბედი — გამწვავებული ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის ყველა შესაძლებელი გზებიდან ყველაზე მისაღები და სასურველი. ცივილიზაციის დღევანდელ დონეზე ეს რეალურ მიზნად უნდა იქნას მიჩნეული. ყოველშემთხვევაში, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ძველი და დასავლეთ ევროპის დღევანდელი მაგალითები ასეთი სასურველი ევოლუციის მანიშნებლები უნდა იყვნენ ჩვენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა სიხარულიძე

# „კ ა რ მ ე ნ ი“
# ანუ „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“

სინანულით უნდა ვთქვა, რომ მე არ ვეკუთვნი ტრაგიკულად დაღუპული პოეტის თამაზ ბაძაღუას მეგობართა წრეს. ჩვენ ხალმით ვიცნობდით ერთმანეთს, ერთი-ორჯერ გამოვლაპარაკებივართ კიდეც ერთურთს. ეს იყო და ეს. ჩვენს უბრალო ნაცნობობას იმიტომაც ვუსვამ ხაზს, რომ, ცხადია, რაც დრო გავა, თამაზ ბაძაღუას, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, მნიშვნელობა თანდათან კიდევ უფრო გაიზრდება, რის გამოც, საფიქრებელია, მისი „მეგობრების“ რიცხვიც განუხრელად იმატებს და პოეტის ნამდვილ ახლობლებს ხმის ამოღება გაუჭირდებათ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა.

მაგრამ 1987 წლის ნოემბრის იმ საბედისწერო დღის შემდეგ, ეს ახალგაზრდა კაცი და პოეტი უკიდურესად ახლობელი გახდა ჩემთვის.

და აი, რატომ:

თამაზ ბაძაღუას მომავალი ჩემში (და, ვფიქრობ, ბევრშიც) ეჭვს არ იწვევდა: იგი ჩვენი თაობის ერთ-ერთი გამორჩენილი პოეტი უნდა დამდგარიყო. მის შემოქმედებით თუ პირად წარმატებას წარმატება მოსდევდა.

და უცებ...

თუმცა ეს მაშინ მეჩვენებოდა, რომ „უცებ“...

ახლა კი, როცა გავეცანი პოეტის რჩეული ლექსებისა და თარგმანების საკმაოდ მოზრდილ კრებულს („ქვასა და მიწას შორის“, გამომცემლობა „მერანი“, 1988 წ.), სხვა პუბლიკაციებს, მეგობარ-კოლეგათა მოგონებებს, სულ სხვაგვარად ვიაზრებ უდროოდ წასული კაცის შემოქმედებით თუ ცხოვრებისეულ გზას.

თამაზ ბაძაღუას ცხოვრება-შემოქმედება ჩვენი თაობის განვითარება-ჩამოყალიბების გზის ეტაპის გამოხატულებაა. პოეტის ბედი ბევრ საჭირბოროტო საკითხავ-საფიქრალს... აღძრავს ამ თვალსაზრისით.

ყოველ ლიტერატურულ თაობას, სამწუხაროდ, თავისი ტრაგიკული ხვედრით გამორჩეული შემოქმედი ჰყავს: 30-40-იანი წლებისას — ლადო ასათიანი, 50-60-იანისას — გურამ რჩეულიშვილი... 70-იანი წლებისას — ჯემალ თოფურიძე.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ 80-იანი წლების ახალთაობისათვის ამგვარ პიროვნებას წარმოადგენს თამაზ ბაძაღუა...

ჟურნალ „ცისკრის“ 1989 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა როსტომ ჩხეიძის მომცრო, მაგრამ ბევრისმთქმელი ესეი „წინათგრძნობა“, მიძღვნილი თამაზ ბაძაღუას ხსოვნისადმი.

ახალგაზრდა მწერალი ჩინებულად ჩაწვდა თავისი თანატოლი პოეტის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, ხასიათის განმსაზღვრელ თავისებურებებს.

როსტომ ჩხეიძე მართებულად აღნიშნავს, რომ პოეტის მთელ შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი — სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ ნაწარმოებში ყველგან საგრძნობია მძაფრად შემოჭრილი სიკვდილის თემა. ახლა შეიძლება მიხვედრა, რომ ამ საკაცობრიო თემას ინტუიციურად ალბათ წინათგრძნობის ფარული განცდა გადაეჭაჭვა. მაშინ ამაზე არავინ დავფიქრებულვართ და არც შეიძლებოდა რაიმე გვეეჭვა, პოეზია ხომ სიკვდილსიცოცხლის პრობლემებს უტრიალებს, თანაც სიკვდილის თემა სავსებით ლოგიკურად ერწყმოდა მისი ლექსების პირქუშ, ირეალურ ფონს“.

როცა როსტომ ჩხეიძე ამ სტრიქონებს წერდა, ვერც თვითონ წარმოიდგენდა და ვერც სხვა ვინმე, თუ რა გველოდა სულ უახლოეს მომავალში...

ვაი, რომ პოეტის წინათმგრძნობელური თვალი გაცილებით შორსმჭვრეტელი ყოფილა...

ცხრა აპრილი...

ახლა სრულიად სხვა ასპექტით წარმოჩინ-

დება ჩვენი უახლოესი წარსულის არაერთი საკითხი, მათ შორის, ჩვენი თაობის ბედი... სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ ადრე წასული პოეტის შემოქმედებაც...

როგორც ჩანს, მარტოოდენ პირადული ხვედრის მაცნე არ ყოფილა პოეტის წინათგრძნობა...

თაობისა და პოეტის ბედი ერთურთს სისხლიანი ყვავილებით დაწნულ გვირგვინად შეენივთა...

ცხრა აპრილის ავადმოსაგონარი განთიადის მეწამულ შუქზე ცხადლივ ვხედავთ, რომ, თუმცა თამაზ ბაძაღუას ცხოვრებისეული გზა ტრაგიკულად დასრულდა, პოეტის მიერ სამოღვაწეოდ არჩეული გზა ერთი იმ ორ გზათაგანია, რაც თავისუფლების ტაძრამდე მიგვიყვანს...

ერის საკეთილდღეოდ გამიზნული ეკონომიური და კულტურული შემოქმედება — აი, ეს ორი გზა...

თამაზ ბაძაღუა, როგორც პოეტს შეეფერება, მეორე გზას ადგა...

თამაზ ბაძაღუამ თავისი მრავალფეროვანი შემოქმედება სამი ძირითადი მიმართულებით გაშალა: პოეზია, თარგმნა და დრამატურგია.

მართლაც, გასაოცარია ახალგაზრდა მწერლის შრომისმოყვარეობა და ნაყოფიერება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ერთი შეხედვითაა გასაკვირი, რადგანაც თამაზ ბაძაღუა იმ გამონაკლის ქართველ ინტელიგენტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავისი საქმის პროფესიონალებს ვუწოდებთ...

ადრე წასული კაცის მთელი შემოქმედების ხასიათის ლაკონურად გამოხატვა შეიძლება ორი ლექსიკური წყვილით:

წინათგრძნობა — სიკვდილი,
სიყვარული — სიცოცხლე...

სწორედ ეს ურთიერთგადაჯაჭვული თემაა ის შთამაგონებელი წყარო, რითაც იკვებება „აღმოსავლეთის ვარსკვლავის“ ავტორის შემოქმედებითი ნიჭი და ძალა.

მოახლოებული უბედურების წინათგრძნობამ დააწერინა პოეტს თანამედროვე ქართული სატრფიალო ახალგაზრდული ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „კარმენი“ და „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“.

ეს ორი მცირე ლირიკული პოემა განწირულობის უსაშველო განცდითა და სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულითაა ნასაზრდოები.

არ შემიძლია, არ შეგახსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“-დან.

მე კვლავ იმ ცხელი სისხლით ავივსე,
გულთან იმ მწარე ენებამ იელვა.
და კვლავ ჩავყვინთე შუაღამისფერ
თმების წყვდიადში, როგორც მორევში
და მომეწონა ტანზე ალერსი,
როგორც მზის სხივი შუა ზამთარში,
მე შენ გეძებდი... ასი ათასი
წელი შენს სხეულს ვუთვალთვალებდი...

და შემდეგ:

მე შენ გიპოვე, მაგრამ დღეიდან
სულ სხვა მდინარე მითრევს თავდაღმა...

და კიდევ:

ჩვენ სიყვარულზე ცოტა მეტი ვართ,
ჩვენ სიყვარულიც თურმე არ გვყოფნის...

და ბოლოს:

მე თითქოს შენგან გავრბივარ, მაგრამ
თურმე ყოველთვის შენ გიბრუნდები,
ეგ სველი თმები ჩამხვიე მაგრად,
ჩამბორკე მისი რკინის ბუნდებით...

ამ სტრიქონებს ხშირად ვიმეორებ ხოლმე ჩემთვის ჩუმად, რადგანაც ჩემი თაობის პოეტმა ჩემი სათქმელიც ბრწყინვალედ გამოხატა...

ვწერ ამ სტრიქონებს და ფიქრში ვესაუბრები იმ შუაღამისფერთმიან ასულს თუ მუზას, ეგებ, შეგეძლო გადაგერჩინა განწირული...

რატომ...

მაგრამ ფუჭია ჩემი საყვედური, რადგანაც ადამიანის ძალას აღემატება განგების განაჩენის შეცვლა...

და მაინც არაფრით მსურს, შევურიგდე იმ აზრს, რომ სიყვარულს ყველაფერი არ ძალუძს...

არამც და არამც! ჭეშმარიტ სიყვარულს თვით სიკვდილის დამარცხებაც შეუძლია...

უფალო, შენ მიეც თვითეულ კაცთაგანს ძალა სიყვარულის ტვირთის ზიდვისა!

„კარმენ, ნულარავის განწირავ დღეიდან, იკმარე მსხვერპლი...

მე შენ მიყვარხარ, კარმენ!“

ზაზა გოგია

# ნაცნობი და უცნობი გალაკტიონი

„მსურს, რომ გადაცმული ვიჯდე თქვენს შორის“, — ასე მიმართავს ნიცშეს ალმატებული გმირი უბრალო მოკვდავთ.

„საოცარი ბედი ხვდა წილად ამ კაცს. მას ველარ ცნობდნენ თვით უახლოესი ადამიანებიც, რადგან იგი მიუწვდომელი იყო მათი ჩვეულებრივი მხედველობისათვის“, — ამ სიტყვებით კი გურამ ასათიანი გალაკტიონ ტაბიძის მიწიერი ცხოვრების დრამას მოხაზავს.

სწორედ ასეთი „გადაცმული“, გაუცხოებული და ბურუსით მოცული გალაკტიონის სამყაროს დანახვის ცდაა მოცემული ვახტანგ ჯავახაძის წიგნში „უცნობი“, რომელიც დიდი პოეტის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალ საგულისხმო ეპიზოდს მოიცავს.

როგორც ჩანს, „უცნობის“ ავტორმა გალაკტიონზე სერიოზული ფიქრი ჯერ კიდევ 1958 წელს დაიწყო, როდესაც გამომცემლობამ ახალბედა პოეტსა და ლიტერატორს გალაკტიონ ტაბიძის რჩეული კრებულის შედგენა-რედაქტირება დაავალა. სწორედ იმ დროიდან დღემდე გაწეული შრომა დიდი პოეტის ავტოგრაფებზე, სხვადასხვა პერიოდის გამოცემებზე, დღიურებზე, წერილებზე, ჩანაწერებსა და ჩანახატებზე, ამასთანავე, პირადი შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებები ქცეულა „უცნობის“ დაბადების ძირითად წყაროდ.

ჩემი თანატოლების, ორმოცდაათიან წლებში დაბადებული თაობის, მეხსიერებას ცოცხალი გალაკტიონის სახე არ აღუბეჭდავს, მაშინ როცა ჩვენი მამების ცნობიერებაში იგი თბილისის ისეთივე განუყრელი ნაწილია, „როგორც რუსთაველის ძეგლი და გამზირი, როგორც მტკვარი, როგორც მთაწმინდა“ (ვ. ჯავახაძე).

პოეტური ფიგურის ასეთი მონუმენტური სიმბოლიკის რკალში მოქცევა, ცხადია, ამ რკალის გარღვევას, შესაბამისად, პოეტის კერძო და შემოქმედებით ცხოვრებას შორის გარკვეული დიალოგიური ურთიერთობის გაბმასაც გულისხმობს.

მაგრამ დიალოგი ყოველთვის ურთიერთშეთანხმება როდია.

ვახტანგ ჯავახაძის წიგნის არსებითი ღირსება, ვფიქრობ, სწორედ ამ ორი პლანის ერთიანობასა და, ამავე დროს, მათ წინააღმდეგობაშია. წინააღმდეგობაში, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით და ცხოვრებისეულ დრამას შორის გველეშაპივითაა გაწოლილი. მართლაც, გულუბრყვილო მკითხველს ანაქრონიზმად შეიძლება მოეჩვენოს ის, რომ ზედროული მასშტაბებით მოაზროვნე გენიოსი კერძო ცხოვრებაში ზოგჯერ წვრილმან ვნებებსა და მისწრაფებებს აყოლილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ შემოქმედება ყოველთვის არ არის მწერლის პირადული ცხოვრების უტყუარი საბუთი.

და ეს მხოლოდ გალაკტიონთან დაკავშირებული პრობლემა როდია.

ერთი უცხოელი მწერალი აღნიშნავს, რომ ლამარტინი, „ეს უზარმაზარი ბურგუნდიული ურჩხული“, რომელიც ლოთობდა, ნადირობდა, ჰუსარივით იგინებოდა და მეზობლებს გაუთავებლად ეომებოდა, თავისი მგრძნობიარე ლექსებით აქვითინებდა ზანოვანთ, ამიტომ იყო, რომ იგი ცხოვრებაშიც ნაზ და სენტიმენტალურ პიროვნებად ჰყავდათ წარმოდგენილი; ან ვინც იცნობდა ჟან-ჟაკ რუსოს პირადული ცხოვრების ზოგიერთ მხარეს, ეჭვი შეჰქონდა მისი „აღსარების“ გულწრფელ პათოსში, რადგან დიდი ჰუმანისტის სიტყვასა და საქმეს შორის ყოველთვის ვერ ჰვრეტდა ერთობას.

თუმცა, ჭეშმარიტი მწერლის ძირითად საქმედ, საბოლოო ჯამში, მაინც სიტყვა რჩება. გალაკტიონ ტაბიძეც, უწინარეს ყოვლისა, „ლურჯა ცხენების“, „სილაჟვარდის“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტის“, „პოემა ვეფხისა“, „ეფემერას“, „კოსმიური ორკესტრისა“ და „ნიკორწმინდის“ ავტორად — დროისა და სივ-

რცის უსასრულობაში მოხეტიალე ჯადოსნად წარსდგა შთამომავლობის წინაშე.

სანამ აინშტაინი შექმნიდა ფარდობითობის თეორიას, ან ბახტინი შემოიტანდა ლიტმცოდნეობაში დრო-სივრცის სინთეზური „ქრონოტოპის“ ცნებას, პოეზიას იგი უკვე დიდი ხნის აღმოჩენილი ჰქონდა. ნიმუშად „მერანის“ გახსენებაც იკმარებდა, რომლის ავტორის აზრი და საგონებელი დროის უსასრულობაში გაზფენილი სივრცის ძლევაა.

მაგრამ თუკი ბარათაშვილი მხოლოდ იწყებს ახალი ქართული პოეზიის კონტურების მოხაზვას, გალაკტიონი თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ტრანსცენდენტური, ზედროული მოდელის საბოლოო ჩამოყალიბებისა და დასრულებისაკენ ილტვის. თუმცა, ისიც შედრკა ერთხელ საკუთარი მისიის წინაშე, როცა წამოცდა, „— მე ვიცი, რომ ვერ ავცილდები იმ საზღვარს, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული“. მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი შეკრთომა იყო ბედისწერის უგუნურებას შეჭიდებული ტიტანისა, რომელიც უმალვე დაუპირისპირდა თავისივე თეზას ანტითეზით: „— მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევო“.

ეს, ერთი შეხედვით, ოპტიმისტური პათოსით გაჟღენთილი ფრაზა ვახტანგ ჯავახაძეს თავისი წიგნის იმ თავში გამოაქვს, რომელშიც გალაკტიონის თვითმკვლელობის საიდუმლოებას ეხება. ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც, რადგან გალაკტიონმა — პოეტმა თავისი სიკვდილითაც გაიმარჯვა გალაკტიონ-ადამიანზე.

„ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მ-ო-მ-ა-კ-ვ-დ-ა-ვ-ი გალაკტიონი.

იგი არ კ-ვ-დ-ე-ბ-ო-დ-ა.

იგი მოკვდა.

სიკვდილითაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დაგვაყენა.

მთელი თავისი ცხოვრებით მომზადებული იყო ასეთი სიკვდილისათვის“, — წერს ვახტანგ ჯავახაძე.

თავად გალაკტიონმაც ხომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე საოცარი სიმშვიდით იწინასწარმეტყველა მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი მიწიერი აღსასრულის მოახლოება, თვითონვე გამოუტანა საკუთარ თავს უკვდავების განაჩენი:

„მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი.
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი“.

ვახტანგ ჯავახაძის წიგნი მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველია. მასში საუბარია ყველაფერზე, რასაც კი შეუძლია შუქი მოჰფინოს გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე ნაკლებად ცნობილ დეტალებს. საუბარია საზოგადოებაში გამეფებულ ზნეობრივ ანარქიაზე, პოეტის ყოველდღიურ ყოფასა და მატერიალურ სიდუხჭირეზე, ჩვევებსა და მიდრეკილებებზე, ეპიგრამებზე, ფუნაგორიებსა და ექსპრომტებზე, გალაკტიონისეული ლექსის რიტმსა და მეტრიკაზე, ორნამენტსა და მასში ჩაღვრილ მელოდიაზე. „ტექსტი და მუსიკა გალაკტიონ ტაბიძისა“ — ამ შინაარსის მინაწერი უკეთებს გალაკტიონი ერთ-ერთ თავის ლექსს, რომელშიც თვალნათლივ იკვეთება ავტორის ესთეტიკური პოზიციაც და ბუნება, რწმენაც საკუთარი პოეტური თუ მუსიკალური შესაძლებლობებისადმი.

ჯერ კიდევ პეტრონიუსს უთქვამს, სიღარიბე ტალანტის დაიო. ამ აზრის ჭეშმარიტებას ქართული კულტურის ისტორიაც ადასტურებს. მაგალითისათვის ბარათაშვილის, ფიროსმანისა და გალაკტიონის დასახელებაც იკმარებდა.

ვახტანგ ჯავახაძეს არქივებში გალაკტიონის ხელით შედგენილ განცხადებათა ასლებისათვის მიუკვლევია. აი, რამოდენიმე ნაწყვეტი ამ დოკუმენტებიდან:

„— გთხოვთ, პირადი საჭიროებისათვის, გასცეთ განკარგულება, რათა მომეცეს მატერია საზამთრო პალტოსა და კოსტუმისათვის“.

„— გთხოვთ გამომიყოთ სამოსახლო და დამეხმაროთ, როგორც ერთ ღარიბ მწერალს — სახლის აგებაში“.

„— ვინაიდან მეტად ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ, არა მაქვს ტანისამოსი, ფეხსაცმელები, გთხოვთ გამომიყვანოთ ამ მდგომარეობიდან: მე მაქვს ხუთი თუმნის (50) ობლიგაციები. გთხოვთ ნებართვას მისი გადახურდავებისას“.

„— ვინაიდან დედა ძლიერ ავად მყავს და მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი, გთხოვთ ნება დამრთოთ ავიღო ნოემბრის თვის პენსია“ და ა. შ.

ვახტანგ ჯავახაძე გალაკტიონის სხვა ჩანაწერებსაც აქვეყნებს:

„— ჩავკეტე კარები და ვწევარ, მწოლიარე კაცი უკეთესად იტანს შიმშილს.

— უნდა დავუბარო ვინმეს, რომ პატივი სცენ მინა ომიაძეს, მშიერი ვიყავი და ორი სადილი მაჭამა“.

დიდი პოეტი აკაკის ლექსსაც დასესხებია:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
. . . . . . . . . . .
მასესხე, მომეხმარეო“.

კომენტარი, ალბათ, ზედმეტია.

ეხლა ყველაზე დიდ მოულოდნელობაზე ვახტანგ ჯავახაძის წიგნში — გალაკტიონის ნახატებზე.

პოეტებს, რომლებიც ხატავდნენ, ხელოვნების

ისტორია უხვად იცნობს. ხატავდა დავით გურამიშვილი, ხატავდნენ პუშკინი და ლერმონტოვი, ხატავდნენ ვერლენი და რემბო (ვერლენს რემბოზე საინტერესო კარიკატურაცა აქვს შექმნილი: „რემბოს მდევნელი სინდისის თვალი“), ხატავდა, თურმე, გალაკტიონიც.

გალაკტიონის გრაფიკული სურათები თემატურად მრავალფეროვანია: რუსთაველის, ედგარ პოს, ვერლენის, რემბოს, ტიციან ტაბიძის, გრიშაშვილის პორტრეტები, თავდაკემსილი შკლოვსკის პორტრეტი, სავარაუდო ავტოპორტრეტები, ანიმალისტური ნახატები, აბსტრაქციონისტული ფანტაზიები და ჩახლართული კომპოზიციები, ეკლესიები, კარნავალური ნიღბები, მთვარის დაბნელება, ქანდარაზე შემომსხდარი თუთიყუშ-ადამიანთა გროტესკული სურათი, მაცხოვრის ჯვარცმის მისტერია უამრავი მინაწერით, ადამიანის (ან ქანდაკების) თავზე წამომჯდარი უზარმაზარი ფრთებგაშლილი ფრინველი, რომელიც ედგარ პოს „ყორანის“ გრაფიკულ ალეგორიას უნდა წარმოადგენდეს და მრავალი სხვა. ამ ნახატებში, თუკი „უცნობის“ ავტორის სიტყვებს დავიმოწმებთ, გრძელდება გალაკტიონისეული ლირიკის „სასწაულები და და დღესასწაულები“.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს და ვახტანგ ჯავახაძეც ხაზს უსვამს, რომ გალაკტიონი ყველაზე ხშირად მაინც ტიციან ტაბიძეს ხატავს. ამის მიზეზი, შესაძლოა, სისხლისმიერი, შესაძლოა, სულიერი ნათესაობა იყოს და შესაძლოა ისიც, რომ თავდაპირველად ტიციანმა აღიარა გალაკტიონ ტაბიძე დიდ პოეტად და „მარტოობის ორდენის კავალერად“ ჯერ კიდევ 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში.

ერთი სურათი მაინც განსაკუთრებით სამახსოვროა — გიაცინტის ყვავილი და მის შუაგულში ჩახატული ტიციანის პორტრეტი წარწერით — „გიაცინტო“. ეს გრაფიკული კომპოზიცია, ვფიქრობ, გაცილებით ვრცელი მსოფლმხედველობრივი პერსპექტივის მომცველია, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანს.

გიაცინტი ბერძნულ მითოლოგიაში სპარტის მეფის შვილი და მუზების მეურვის — აპოლონის უახლოესი მეგობარია, რომელმაც საკუთარი ძალმოსილების დასამტკიცებლად თვით სწორუპოვარი აპოლონიც კი გამოიწვია შეჯიბრში. მაგრამ აპოლონის მიერ ნატყორცნმა დისკმა იგი შემთხვევით იმსხვერპლა (ცნობილია, რომ კლასიკური მითის ლოგიკით, შემთხვევითობა, როგორც ბედისწერის გამოხატულება, გარკვეული ობიექტური კანონზომიერების მომცველია). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქალაქ ამიკლაში (საიდანაც გიაცინტი იყო წარმოშობით) გიაცინტის კულტი სწორედ აპოლონის კულტმა გამოაძევა, შესაბამისად, გიაცინტის დღესასწაულიც აპოლონის დღესასწაულად იქცა.

ხომ არ ნიშნავს გალაკტიონის მიერ ტიციანის გიაცინტის ყვავილში ჩახატვა საკუთარი უპირატესობის აღიარებას თავის „ნახევარძმაზე“?! (და არა მხოლოდ მასზე). თუკი ასეა, მაშინ აღნიშნული სურათი საკმაოდ მარტივ გრაფიკულ სქემამდე დადის: ტიციანი — გიაცინტი, გალაკტიონი — აპოლონი. ყოველ შემთხვევაში, იგი ძლიერ ჰგავს აზროვნების გალაკტიონისეულ სტილს და პოეტს ძალიც შესწევდა ამდილსა. განსხვავებული ლოგიკით გალაკტიონს თავისუფლად შეეძლო სხვა ყვავილის დახატვა, თუნდაც — მიხაკის, რადგან ცნობილია, რომ ცისფერყანწული პოეზიის გრანდის საყვარელი ყვავილი სწორედ მიხაკი იყო.

და ბოლოს, ორიოდე შენიშვნა თუ მოსაზრება.

ვახტანგ ჯავახაძეს თავისი წიგნის 169-ე გვერდზე მოაქვს გალაკტიონის ლექსის ერთი სტროფი:

„აი, რა მზის სიზმარია,
აირევი, ივერია...
აი, დროშა აშორდია,
აერების სიბერეა“.

„უცნობის“ ავტორის აზრით, ეს პირველი ქართული პალინდრომია, რაც არ არის სწორი.

ცნობილია ხალხური პალინდრომი, რომელიც ერთნაირად იკითხება ორივე მხრიდან: „ატამი ითესა, ასეთი იმატა“, წაღმა-უკუღმა წასაკითხი ანუ „შუამბრუებული ლექსები“ გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაშიც. არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეულ ხელნაწერზე მიწერილი პალინდრომი, პალინდრომებს თხზავდნენ იაკობ შემოქმედელი, ონანა მდივანი და ვახტანგ VI. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პალინდრომები ხშირად საეჭვო ლიტერატურული ღირებულებისა და მათგან ნათელი აზრის გამოტანა ძნელდება. მაგალითად, ასე იკითხება ვახტანგისეული ლექსის ერთი ტაეპი:

„აბანა დარად იდება, აბედი დარად ანაბა“.

მაგრამ, ასეა თუ ისე, პალინდრომის არსებობა ძველ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია და ამ დარგის პიონერად გალაკტიონის გამოცხადება შეცდომაა. საკითხში უკეთ გარკვევის მსურველს შეუძლია გაეცნოს წერილს გივი მიქაძის წიგნში — „ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან“, 1974 წ. გვ. 85-88.

ვფიქრობ, ეს წიგნი საინტერესო იქნება ვახტანგ ჯავახაძისთვისაც, რომელიც, როგორც პოეტი, თავადაც არ არის გულგრილი მსგავსი ლექსალური „სავარჯიშოებისადმი“.

შემდეგ — ვახტანგ ჯავახაძის მიერ ციტირებულ სტროფში არის ერთი ასეთი ტაეპი —

„აირევი, ივერია“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკური „ტანდემი“, სადაც მეორე სიტყვა პირველის შებრუნებული და, ამავე დროს, ირონიული ვარიანტია, ნასესხებია ალექსანდრე ყაზბეგისაგან. ცნობილია, რომ ყაზბეგს სერიოზული უთანხმოება ჰქონია „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებთან და ამიტომაც გაუშარჟებია გაზეთის სახელწოდება.

„აირევის“ ციკლის ლექსებსა და ეპიგრამებზე, რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ყაზბეგის ფონდშია დაცული, საკმაოდ ვრცლად გვესაუბრება ალექსანდრე კალანდაძე თავის წიგნში — „ცეკვა ხანჯლებით“, 1988 წ., გვ. 408-411.

გალაკტიონსა და ალ. ყაზბეგს შორის ლიტერატურული გადაძახილის ფაქტს ადასტურებს, აგრეთვე, გალაკტიონისეულ „ლონისძიებათა პროექტის“ ერთ-ერთ პუნქტში გამოტანილი თემის სათაური — „ყაზბეგი და გალაკტიონი“ („უცნობი“, გვ. 109).

ვახტანგ ჯავახაძე, წიგნის 194-ე გვერდზე, გალაკტიონის თარგმანებზე საუბრის დროს, აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის თორმეტტომეულის მეშვიდე ტომის ორიგინალურ ნაწარმოებებში შეცდომით არის შეტანილი კონსტანტინე ბალმონტის ლექსის ვალერიან გაფრინდაშვილისეული თარგმანის ფრაგმენტი — „ნუ მაგონებ წარსულს დროსა, დამანებე თავი...“

სინამდვილეში, ვახტანგ ჯავახაძემ ტომის შემდგენელთა შეცდომა ახალი, საკუთარი შეცდომით „გაასწორა“, ვინაიდან ბალმონტის ლექსის დასახელებული ფრაგმენტის თარგმანი ეკუთვნის არა ვალერიან გაფრინდაშვილს, არამედ — პაოლო იაშვილს.

ლალი ავალიანი 1986 წლის „ლიტერატურული საქართველოს“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჩვენთვის საინტერესო თარგმანი ჯერ კიდევ 1914 წელს გამოქვეყნებულა გაზეთ „თემში“ და მოგვიანებით იგი პაოლო იაშვილის ლექსების ოთხ კრებულში შესულა.

ვახტანგ ჯავახაძე ერთგან წერს:

„1926 წელს „მნათობის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა და 1927 წლის წიგნში შევიდა „კოსმიური ორკესტრი“. ამ ლექსში თუ პოემაში, როგორც თვითონ (გალაკტიონი — ზ. გ.) უწოდებს, ერთი ასეთი სტროფია:

შენი, შოტლანდია, სული სრულხმოვანი,
ბარდნი რომ გეხვივნენ უნაირონი,
მეფურ უგონობით ეხლაც ის ლანდია
უფრო უმაღლესი — შენი ბაირონი.

მთელი ნაწარმოების სტრუქტურა გვკარნახობს, რომ პირველი სტრიქონი მესამესთან უნდა ყოფილიყო გარითმული და ასე უნდა იკითხებოდეს:

შენი სრულხმოვანი სული, შოტლანდია...

ანდა:

სული სრულხმოვანი შენი, შოტლანდია...“
(გვ. 222).

შესწორების შეტანისას, როგორც „უცნობის“ ავტორი თავად აღნიშნავს, მას არ უსარგებლია ავტოგრაფით ან რომელიმე სხვა წყაროთი (როგორც ჩანს, ვ. ჯავახაძეს არ გაუთვალისწინებია, რომ აღნიშნული „შესწორება“ უკვე შეტანილია გალაკტიონის ლექსების 1977 წელს გამოცემულ კრებულში, რომლის რედაქტორ-შემდგენელია რ. თვარაძე).

მსგავსი ჩარევები ნაწარმოების სტრუქტურული მთლიანობის გამართლების მიზნით, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გალაკტიონის ზემოთ გამოტანილ სტროფში ლექსის ევფონიკა არ ირღვევა.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სალექსო წყობაში მოულოდნელობათა შეტანა გალაკტიონ ტაბიძისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ — გვეუბნება გალაკტიონი და ეს პრივილეგია — წეროს, როგორც უნდა, მას არ შეიძლება რომ ჩამოვართვათ, თუნდაც, ლექსის ლოგიკითა და კლასიკური პოეტიკის ნორმებით ზოგიერთი რამ არც იყოს გამართლებული.

დასასრულ, როგორც მკითხველმა, მადლობა მსურს მოვახსენო ბატონ ვახტანგ ჯავახაძეს საინტერესო წიგნისათვის, რომელშიც ნათლად არის გამოხატული ავტორის პოეტური თუ კრიტიკისმიერი დამოკიდებულების არსი ისეთი დიდი მოვლენისადმი, როგორიც გალაკტიონია.

გურამ ბენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა ჩანტლაძე

შევყურებდი და გულწრფელად თანავუგრძნობდი სევდიან თვალთა სიღრმიდან სითბოსა და თანაგრძნობას მოწყურებულ, მაგრამ მაინც სამყაროს სუსხთან ჯიუტად მოპაექრე პოეტს. არ მეგონა, უფრო სწორად კი არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ სუსტი, მობრილი ბეჭების უცნაური თრთოლვით იგი ნელნელა უახლოვდებოდა მოუწესრიგებელი არსებობის დასასრულს. ადვილი შესაძლებელია ბოჰემური ცხოვრების სტილმა თავისი თაყვანისმცემელნი დაბადოს, მაგრამ ძალზედ მეეჭვება ისეთი ბუნებრიობითა და ისეთი დოზით განსახიერდეს იგი, ვითარცა შოთა ჩანტლაძის უჩვეულო სახეში... ასე შემორჩა იგი ჩემს მეხსიერებას....

ბედთან შერიგებული, ამაყიცა და ქედდადრეკილიც ერთსა და იმავე დროს, პროზაული სიტუაციით დათრგუნული, მარტოსული და საკუთარი სულის სიღრმეს შეფარებული; რაღაც არსებითსა და მნიშვნელოვანში ღრმად დარწმუნებული და გასარიყად განწირული ნაფოტივით უმწეოდ მოფარფატე... სულ უბრალოდ წავიდა ამ ქვეყნიდან... სხვანაირად ალბათ წარმოუდგენელიც იყო, თუ არა მისი ლექსები, ცოტას თუ გაახსენდებოდა ამ უცნაური კაცის სახელი, მისი უჩვეულოდ უხმაურო და უპრეტენზიო ცხოვრების გამო.

საოცარია, რომ მისი ლექსების ფონზე სხვა მნიშვნელობასა და აზრს იძენს ყოველივე ის, რაც მასთან არის დაკავშირებული, უფრო რომანტიკული და ამაღლებული ჩანს გულში დამარხული გაუმხელელი ტკივილებით გატანჯული კაცის ქალაქის ქუჩებში ხეტიალი, იაფფასიან სასაუზმეებში ლუდის კათხასთან და ახალგაზრდა თაყვანისმცემლებთან „მეფურად" მდგარი, ტკბილად მზირალი და შიგადაშიგ სენტენციებად გადმოღვრილი საბრალო შოთა...

გავიდა წლები და ბევრი რამ ახლებურად წარმოუდგა ჩემს თვალთახედვას. აწ უკვე უდროოდ წასული კაცის ამაო ფუსფუსის გარეშე ცხოვრებამ მიანიჭა ღირებული მნიშვნელობა მის პოეზიას და ყოველივე იმას, რაც მისი ნიშნითაა დაღდასმული.

მე შორსა ვარ ამ უდაოდ საინტერესო ლირიკოსისა და პიროვნების იდეალიზაციისაგან, თუმცა ვერც იმის პირობას დავდებ, რომ მასთან ურთიერთობის გახსენებით გამოწვეულ ახალგაზრდულ ზმანებებს წინ აღვუდგე და მის პოეტურ სამყაროში ხეტიალის ჟამს დავიწყებას მივცე სულითხორცამდე პოეტად მოვლენილი ადამიანის უშუალო ხილვებით გამოწვეული მოკრძალებისა და თავმოდრეკის სურვილი.

* * *

„ჩვენ, შენთან ერთად, ძალზე ადრე და, იმავ დროს, ძალზედ გვიან მოვევლინეთ ამ ქვეყანას, — სწერდა ფლობერი ერთ ნაცნობ პოეტს, — ჩვენი საქმეთებელი ყველაზე ძნელია და ყველაზე ნაკლებ სახელოვანი: გ ა დ ა ს ვ ლ ა".

შოთა ჩანტლაძეს, რამოდენიმე მისი თაობის შემოქმედთან ერთად ბედმა არგუნა პოეზიაში თვისებრივად ახალი ესთეტიკის მაძიებელი ყოფილიყო. ეს არ გახლდათ ადვილი, თუ გავითვალისწინებთ ირგვლივ ალმართულ მწვერვალთა თვალისმომჭრელ სიქათქათეს და მათი თვალშეუდგამი სიმაღლიდან ჩამოწოლილ უფსკრულთა სიპირქუშეს.

ავად თუ კარგად, ამ თაობამ შეძლო, ამ ურთულეს ულელტეხილებთან შეჭიდება და გ ა დ ა ს ვ ლ ა უცხო, ახლადაღმოჩენილ სივრცეში, რომელსაც, ბუნებრივია შეგუება და ბოლომდე გათავისება სჭირდებოდა.

მისი თაობის რამოდენიმე მწერალმა ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც შეძლო, ბუნებრივად შერწყმოდა საკუთარი ძალისხმევით მოპოვებულ ადგილსა და გარემოს და ამ გადასახედიდან, შინაგანად მაინც ალბათ კმაყოფილსა და დამცხრალს, ამაყად მიმოევლო თვალი აწმყოსა და მომავლის პერსპექტივისათვის.

შოთა ჩანტლაძემ ვერ შეძლო განეცადა ადაპტაციის სხვათათვის აგრერიგად სანუკვარი

კმაყოფილება, რადგან უჩვეულოდ მძიმე „უღელტეხილის“ გადასვლა მისგან ნიჭისა და ბავშვურად ანთებული სულის გარდა პრაქტიკული მოაზროვნის სიბრძნესა და იღბალსაც მოითხოვდა...

...ცხოვრებისა და შემოქმედების ციცაბო ქარაფებსა თუ ფრიალო კლდეებზე ბობღვით დაღლილსა და განაწამებს შემოაღამდა და თვალწინ ჩაუქრა უფრო მაღალ სიმაღლეებთან ჭიდილის მაცდური იმედის ნაპერწკალი.

საოცრად მედიტაციურია მისი ლირიკა.

საკუთარი სულის ხვეულებში ჩაძირული, იგი ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენდა იქ, სადაც ყველაფერი ძველი და მოსაწყენი ეგულებოდა.

დიდი გულისყურითა და დაკვირვებით სწავლობდა საკუთარ შეგრძნებათა სიღრმესა და ჭეშმარიტ ღირებულებას, რადგან ყველაზე უფრო ახლობელი და შეუმღვრეველი მეგობარი მისთვის საკუთარი სული და მისგან დაძრული იმპულსები იყო. თვითკრიტიკული, მძაფრი გონებიდან მომდინარე ირონიული ღიმილით ჩხრეკდა გრძნობათა და ემოციათა ძალუმ თრთოლვაში დაფარულ იდუმალებას, რასაც სატანური შეუბრალებლობით დაქუცმაცებულთ და თითქოს, ჯერ კიდევ სისველეშეუშრობელთ ლექსებში გამოჰკვეტავდა საწამებლად.

სასაცილოში მე ათასებს ათასჯერ გავრევ,
მაგრამ ჩემს თავზე მე სიცილი დამმძიმებია,
თუმცა მინდა რომ გამოგიტყდეთ, ყველაზე
მწარედ,
მე მხოლოდ ჩემზე, მხოლოდ ჩემზე
გამცინებია.

გულწრფელი იყო ამ სუსხიანი ირონიის სათავე, რადგან შინაგანი ინტუიცია ჰკარნახობდა უაზრობისა და უნიადაგობის წაღიდან ამოზრდილ ოცნებათა ამაოებას, სურვილთა და შესაძლებლობათა უიმედო შეუსაბამობა უმწეო რომანტიკოსის ნიღბით მოსავდა მას, და ისიც, ვითარცა საბრალო არლეკინი, მისი შინაგანი ბუნებისათვის არაორგანული ფსიქოლოგიურყოფითი აქსესუარებით მოსილი, უმწეოდ დაათრევდა უმაქნისსა და დაკნინებულ სულიერ პოტენციას. ამას ხედავდა, ამას მშვენივრად გრძნობდა და ხშირად ცრემლიანი სიბრალულით იმსჭვალებოდა საკუთარი თავის მიმართ.

ეს მერამდენე არის ფიქრები,
ეს მერამდენე არის საღამო,
ბოლოს და ბოლოს როდის იქნება,
როდის იქნება, ღმერთო მაღალო,
ძარღვებში ცეცხლი რომ ჩაიქრება
და ქვეყანაზე ვიყო აღარა.
ვარ მოწყენილი და მოწყენა მე აღარ
მიკვირს,
რადგან მოწყენაც მომწყინდა უკვე.

რა საზროვნო ფორმითაც უნდა გადავხსნათ მისი ამ ტიპის პოეტური ოპუსების დედაზრი, საფუძველში მხოლოდ და მხოლოდ მარტოსულობის ტრაგიკული იდეის უშინაგნესი განცდაა, რომლის წარმომშობიცა და ამაღორძინებელიც კვლავ საკუთარი წიაღია, წიაღი შეურყვნელი და ბუნებრივზე ბუნებრივი.

ეს არის მსოფლჭვრეტათაგან ყველაზე უსახარულო რამ, როცა იდეალი განუწყვეტლივ მომავლის კუთვნილებაა, როცა ყოველი წუთი გარდამავალი კრთომაა, ასევე გარდამავალ კრთომაში — რომლის უსასრულობაშიაც უიმედოდ მიექანება აზრი და არ არის წერტილი მოსაჭიდებელი და დასაყრდენი. უამრავი, მტანჯველი წინააღმდეგობები ბადებენ ამგვარ წარმოდგენებს. ისინი სუბიექტურნიც არიან და ობიექტურნიც. ამგვარი უცხო თრთოლვით შეპყრობილი უკომპრომისო სული, როგორც აუცილებლობა, მაღლდება დროის ცრუურწმენათა ქარსზე და შინაგანი ზიზღით აღსავსე გასცქერის უაზრო სუბორდინაციის მოზაიკით „აფერადებული“ სამყაროს პანორამას.

საკუთარი ღირსების გადარჩენას იგი განმარტოებასა და ლირიკულ წიაღსვლებში ცდილობს და შესაძლოა, ახერხებს კიდეც.

ყოველი გრძნობით გენიოსი ვარ უთუოდ,
ყოველი ლექსით — საცოდავი ადამიანი.
და ეს სირცხვილი აღარ ძალმიძს, ღმერთო,
ვითმინო,
მოდი სიკვდილო, გრიგალივით გადამიარე.

შოთა ჩანტლაძის ლექსებში პიროვნების უინტიმესი გრძნობები შინაგანი თავშეკავებითა და მოწიწებით არის ყოველთვის წარმოსახული. არაფერი სანტიმენტალური, სულისშემძვრელი და გონებისდასაბნელებელი — მხოლოდ საკუთარი ღირსების თვალსაწიერიდან მონიშნული განცდა, ახლოს ჩავლილი, მაგრამ მაინც შორეული ტკბობით აღბეჭდილი და წამიერად აყვავებული.

...კვლავ ფიქრი და ლირიკული ანალიზი, შეფერილი ირონიული სურნელით...

მახსოვს სიფითრე და ჩურჩული თქვენი
ბაგისა,
მეუბნებოდნენ: — ჩამოგყვებით
სამარეშიცო,
სად სიყვარული შეიძლება უსპეტაკესად —
სამარადისოდ...
ყველამ დამტოვა, დავშთენილვარ თქვენი
ამარა,
და ახლა ვხედავ — საიქიოს ვლიან ლანდები:
დიდი ხანია მე მიმელის ჩემი სამარე,
წამობრძანდებით?

ხევდიან გროტესკში იყო მისთვის რაღაც უჩვეულოდ მომხიბლავი. იგი შეესაბამებოდა მის შინაგან სულიერ იმპულსებსა და განაწ-

ყობდა არა ტკბობისათვის, არა უმოქმედო ეიფორიისათვის, არამედ ხანგრძლივი პროტესტანტული მოწყენილობისათვის, როცა მიუხედავად ბედისწერის ფატალური გარდუვალობისა პიროვნების სული იბრძვის და აწყდება საკუთარ ადამიანურ შესაძლებლობათა უკიდურესად ვიწრო კედლებს.

იგი იმ ანალიტიკოსთა ტიპს განეკუთვნება, რომელთაც განსაკუთრებით აქვთ გამძაფრებული ყოფიერების პროზაული რიტუალებისადმი რეაქცია. მისი ცხოვრება — თითქოს უსიცოცხლო აკვარიუმია, რომელშიაც იშვიათად თუ შეირხევა საგანთა შედედებული მასა. ყოველი დღე ზუსტი განმეორებაა წინა დღისა. ყოველგვარი ილუზიების გარეშე მისი ცნობიერების წინაშე წარმოისახება ერთი თვისა თუ ერთი წლის უსიხარულო პერსპექტივა და ყოველივე ეს მწარე ლირიკულ ჩანაწერებად ლაგდება მარტოსულის დღიურებში.

საშინლად ვიწრო ინტერიერი, ლირიკული გმირის ღრუბლიან განწყობილებებს, გალიზიანებულსა და შინაგანი დაკნინების კომპლექსით შეპყრობილის ვნებათაღელვას განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს.

ოთახი მძიმე, როგორც სული წასული მკვდრეთით,
ვიწრო სარკმლიდან მოელვარე ატმის ტოტები.
ბრძენთა მამათა გარინდებულ სახეთა გვერდით
დაკიდებული დიდებული ავტოპორტრეტი.
და დედაჩემი — თბილ ღუმელთან მიმჯდარი წყნარად,
ჩემთვის არჩევს და ჩალაგდება შავი კარტები,
მერე წუხილით შეირხევა თმები ჭაღარა
და მგლოვიარედ იტყვის: „შვილო, რა გემართება?“
ო, დედაჩემის თეთრი თმების სათნო ციმციმი
ჩემში აღვიძებს პირველ თოვლის მელანქოლიას;
ოთახში თბილა და ქუჩებში დაძრწის სიცივე,
ოთახი მძიმედ დაგმანულა, როგორც სქოლიო.
ო, მე კი ვდუმვარ, ვიქრმა სიტყვა, წარიღო სრულად,
ღამის ლანდები მოდიან და მელანდებიან,
ბრძენთა მამათა და საკუთარ შევყურებ სურათს,
მათნი დუმან და ჩემი ამბობს — ყველა ვკვდებითო.
საცაა მოთოვს და ვარდები მოვლენ აწრილად
და მერე თოვლი, მომაკვდავი, მზისგან გალღვება
და მე დარდები, დაშთენილი, ნელა გამწირავს,
მეც გამაღლობს და სული ჩემი ზამთარს გაჰყვება.
ო, ასე მძიმედ დასრულდება ჩემი წვალება,
მოსდება მზეთა უამრავი გარდაცვალება.

სხვა ლირსებებთან ერთად, ამ მედიტაციებს, ერთი განსაკუთრებული რამ ანიჭებს ადამიანური დოკუმენტების ძალასა და მნიშვნელობას — გრძნობათა შეუბღალავი სიწრფელე და აღწერის უჩვეულო სიმართლე. არაფერია მისთვის, მხატვრული სამკაულების სილარიბეც კი, თუ მოწოლილი განცდა სადა, მაგრამ ამაყი სიმართლის სამოსელში ითხოვს ავანსცენაზე გასვლას.

მან კარგად იცოდა, რომ პოეზიაში არის თემები, რომელნიც თავისთავად, იმდენად „სიროთიონი“ არიან, რომ შეუძლიათ გასრისონ ყოფილი, ვინც მათ მაღლა აზიდვას შეეცდება. სიუჟეტის არაორდინალური ხასიათის გამო, ისინი უფრო ხშირად ულიმლამონი არიან და არაფერს ეუბნებიან, ამ თემით პროვოცირებულ მკითხველს.

ამ წინააღმდეგობის დაძლევის ყველაზე საიმედო გზად მან ფორმის სისადავე და მხატვრული განცდის უბრალოება მიიჩნია.

ხომ არ არის იშვიათი შოთა ჩანტლაძის თაობის პოეტებში ნიჭიერებით აღბეჭდილი სახელები, და მიიუმეტეს, ძალზედ იშვიათია მათ შორის ისეთი, რომელიც მას გაუტოლდება შემოქმედებითი პატიოსნებით (მხატვრულ აზროვნებაზეა ამ შემთხვევაში აქცენტი გამახვილებული). იგი თითქოს (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება) ყველაზე ბუნებრივად ფლობდა პოეზიის ერთ უნიკალურ იდუმალ საგანძურს — „მელანქოლიური მხიარულების“ ხელოვნებას — რისი ნიადაგი და საფუძველიც მისი პირადი ცხოვრება იყო.

არა აბსტრაქცია და ხელოვნური წარმოსახვებით უტრირებული სამყარო, არამედ ყოფიერების გაცრიატებულ ნისლოვანებაში მორიალე ფაქიზი სულის დღიურები, პოეტური ფორმით გამხელილი აღსარებანი — რომელთაც ძალუძთ მკითხველამდე მიიტანონ აწ უკვე დამცხრალი და დადუმებული სულისკვეთების მღელვარება.

დამოუკიდებელი, ყოველგვარი შეზღუდვისაგან განშორებული გემოვნება, თავთავისას მიუზღავდა ირგვლივარსებულ საგანთა თუ მოვლენათა გაცვეთილ ფორმებს. მისთვის რაიმეთი უსაზომო გაოცება გულუბრყვილობა იყო, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ის, რაც ირგვლივაა, რასაც თვალთახედვა სწვდება, უფრო მეტად დაბადებიდან შენში მიმალული წარმოდგენების ანარეკლია და იხევეა შენში, როგორც ტკივილისა და სიხარულის შეგრძნება.

ჩემი ცხოვრება არის მოწყენა,
უშინაარსო მოწყენა არის,
ამაში ღილა დამემოწმება
დამემოწმება ნათელი მთვარის
დამემოწმება დღე თვითეული, ძილივე გათრეული არყით ბოლომდე,

გაგრძელებული, გადიდებული და სიბოროტე.
ჩემი ცხოვრება არის სიარული, არის
საუბარი ღიმილგარეული.
მივდივართ დასალევად ხალისიანები,
იაფფასიანი არაყი მიგველის.
ძალიან არყით ვერ ისიამოვნებ, სამაგიეროდ
სიმთვრალეს იგემებ.
და იხეტიალებ ქუჩაში დილამდე, როცა
იღვიძებენ ხეზე ბეღურები
და მიესალმები ბეღურებს პირადად
და გაეხუმრები, თუმცა რა გეხუმრება...
და გულის კიბე და გაშლილი ლოგინი და
ტკბილი წამები დაწოლის.
დაწევები, ძილი და სიზმარი მოგივა...

თურმე შესაძლებელია საკუთარი ცხოვრების პულსი შეიმეცნო ბედისწერასთან ხმაურიანი დავის გარეშე; ეტყობა ზოგჯერ სიბრძნესთან გაზიარებს არა ზათქი და გრიალი, არამედ გულისცემას მინდობილი ფიქრი, რომელიც მკითხველს დაანახვებს იმას, რაც არის და არა იმას, რაც მოჩვენებითი სურვილებითაა მოხილი. დამწუხრებული სიმართლე აქ წინაღუდგა იაფი ტაშისცემის მომლოდინე „ამაღლებული“ გმირის ნიღაბს... მისთვის, ალბათ, ცნობილი იყო, რომ ძველადაც და ახლაც, მრავალი კეთილშობილი გონება გაიგუდა ორმაგი ბოროტებით — განცხრომისადმი ხარბი თაყვანისცემით და ბრბოს გაუკულმართებული და გარყვნილი აზროვნებით. პირველი სულის სიღრმეში რომ ილექება, მეორე კი დაძონძილი ფლასივით შემოევლება მას irგვლივ, და ჰკნება იგი, ჰკარგავს რა სიმართლის სწორი აღქმის უნარს.

რა თქმა უნდა, დიდი ღირსებაა აზროვნებდე და სწერდე ნატიფი ხელოვნებით, მაგრამ შეუძლებელია, სწერო უბრალოდ — ამ უმაღლესი ესთეტიკური კრიტერიუმის შესაბამისად — თუ საკუთარი მისწრაფება არ დააუნჯე და არ მოარგე იგი აუცილებლობასთან.. ამგვარად „მოდრეკილი“ ყოველთვის ნათელია და თავისი პროტესტანტიზმითაც კი შინაგანად წყნარი. მან, სამწუხაროდ იცის, რა სურს, და მის სურვილს, შემდგომ უმნიშვნელო რამ თუ ემატება. ამიტომაც პოეტური ხელოვნების სამკაულთაგან შემოძარცვული, იგი თავისი შინაგანი არსებიდან ამოიწვდის, მხოლოდ მისი სულისათვის ნაცნობ მელოდიას.

შოთა ჩანტლაძის პოეზია ნაკლებად სწვდება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებსა და სახელებს — არ არის მისი პოეტური დიაპაზონი დიდი სივრცეებით აღბეჭდილი, რადგან იგი სენსუალისტური მსოფლშეგრძნების შემოქმედი უფროა, ვიდრე ტრანსცენდენტური ხილვების ერთგული ვიზიონერი.

თუ არ ვცდები, შორეული საუკუნეების სუხტი გამოძახილი მის ერთ-ორ ლექსში თუ იგრძნობა. მათში, ვითარცა ყველგან, ლირიკული სევდა მიწიერი ემოციებითაა აღბეჭდილი, ღვთის მიტოვებული სახლის საკრალიზაცია, ჩვეული ქართული პოეზიისათვის, ადამიანური თანაგრძნობის გამომხატველი ჰვრეტით იცვლება.

აქ ერთ დროს რეკავდნენ ზარები თამამი
და თითქოს დიდებას ამბობდნენ ღმერთების.
აქ ერთ დროს ილოცდნენ წმინდანი მამანი
და ბოლოს დასტოვეს მონასტრის კედლები.
და ბოლოს დასტოვეს მონასტრის არენი —
[illegible]
ქარსა და ქვიშაზე უმიზნოდ ნარენი,
ქარმა და ქვიშამაც [illegible]
დაინგრა მონასტრის ზეცა და გუმბათი,
დაინგრა კარები აღსავლის,
დადუმდნენ ზარები და დუმილს უმატეს
და ხმა არ ისმოდა არსაით.
წავიდა წვიმა, და მოვიდნენ ქარები,
წვიმები, ქარები, მეასედ,
ციოდა მარიამს და დედის მკლავებში
ციოდა პატარა იესოს.

აღსანიშნავია, რომ პოეტის მხატვრულ წარმოსახვებში იცვლება სივრცისა და დროის აღქმის პროპორციები. კონკრეტული არეალის ხილვა ის მკაცრად შემოსაზღვრული ასპარეზია, საიდანაც უნდა გამჟღავნდეს პოეტის თვალთახედვის ელასტიურობა. საკუთარი იმპრესიები, ანუ სახილველიდან ამოფრენილი შთაბეჭდილებები მხოლოდ ამგვარად იძენენ თავისუფალი და გულწრფელი გამოხატვის სასურველ სახეს. არა ასოციაციათა ტალღებთან ჭიდილი, არამედ სიღრმე და ჭეშმარიტი ღირებულება თვალითა და გულით განცდილისა. ასეთია მისი უმრავლესი ლექსების მხატვრული აღქმის რაკურსი.

რა საოცრად ზუსტია, სიტყვის უფაქიზესი „იუველირის“ გუსტავ ფლობერის დაკვირვების შინაგანი აზრი: „ჩვენ გვღუპავს და გვავიწროვებს, რაღაც ერთობ სულელური: „გემოვნება“. კარგი გემოვნება. ჩვენ იგი, სამწუხაროდ, საკმარისზე მეტი გვაქვს. მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ უფრო მეტად ვწუხვართ მასზე, ვიდრე საჭიროა. ცუდი გემოვნების შიში გვტბორავს როგორც ნისლი (საზიზღარი დეკემბრის ნისლი, რომელიც ანაზდად ეშვება, ყინავს შიგნეულობას, სიმყრალით გვალიზიანებს და თვალებს გვიწიწკნის) და ვერ გადაგვიწყვეტია რა, ნაბიჯის გადადგმა, ვრჩებით უმოძრაოდ. ნუთუ არა ვგრძნობთ, რამდენად კრიტიკულები გავხდით — ჩვენ გაგვიჩნდა საკუთარი პოეტური თეორიული, პრინციპები, აკვიატებული იდეები, წესები, ზუსტად ისეთი, როგორც დელილსა და მორმანტელს. წესები ხხვაა, მაგრამ განა ამაშია არსი? გამბედაობა, აი, რა არ გვყოფნის ჩვენ. ო, დაბრუნდი ჩემი ყრმობის ოქროს ხანავ, როცა მე შემეძლო სამი დღის განმავლობაში გამომეცხო ხუთაქტიანი დრამა.

ექვებით შეპყრობილნი ჩვენ იმ საბრალო მორწმუნეებს ვემსგავსებით, რომელნიც ჯოჯოხეთის შიშით განიზიდნენ ცხოვრებისაგან და სიხხამდილით ალვიძებენ სულიერ მოძღვარს, რათა სიზმრად ნანახი ტრფიალი მოინანიონ. თუ ვიქნებით ზედმეტად შეძრწუნებულნი შედეგების მიმართ. გავაგრძელოთ სიყვარული... გვიყვარდეს; განა სულერთი არ არის, როგორ ჩვილს დაბადებს მუზა! განა მის ამბორში არ არის ყველაზე წმინდა სიამოვნების განცდა?"

პიკანტური სიმსუბუქით წარმოთქმული, საკუთარი გამოცდილებიდან გამოტანჯული ეს ლიტერატურული განხჯა, ერთხელ კიდევ დავაფიქრებდა ნოვაციათა დაბადების შესაძლებელ იმპულსებზე. ლიტერატურულ ატმოსფეროს თავისთავად ამოვარდნილი ქარიშხალი და თუნდაც ნიავი კი არ ქმნის, არამედ პიროვნების შინაგანი გაბედულების გაძლიერება და გამოვნების რეგლამენტაციებით სათუთად ნარწევი აკვნის არტახებიდან თავდახსნა. სხვანაირად წარმოუდგენელია საკუთარი არსის შეგრძნება და ამ ერთადერთი ორიენტირიდან სინამდვილისათვის თვალის გასწორება.

ალბათ, სისულელეა კამათი იმაზე, რომ ყოველ საგანსა და მოვლენას აქვს თავისი განუმეორებელი აზრი და მნიშვნელობა, მითუმეტეს, ეს ინდივიდუმის (შემოქმედი ინდივიდუმის) სულის სიღრმიდან მომდინარე განცდაზე ითქმის, რომელიც ისევე კანონიერი და ღირებულია, როგორც მილიონთა მოთხოვნილება. — ამიტომაც უნდა მიეცეს, მიენდოს მხოლოდ საკუთარ პოეტურ ცნობიერებას, დარწმუნებული იმაში, რომ თუნდაც მოზეიმე და ბედნიერებით ატაცებული საერთო კონტექსტიდან განზიდული სევდა და ეჭვი, არ შეიძლება იყოს უკუსაგდები და უარსაყოფი, რადგან ისინიც საკუთარ ბუნებრივ ვალს ასრულებენ, ემორჩილებიან რა უმაღლესი ნების სურვილსა და სიკეთის და სიმართლის იდუმალ კარნახს.

ო, როგორ მინდა, ვიწვე კუბოში, თალხით
შემოსილ პატარა ოთახში.
ო, როგორ მინდა, მესმოდეს ქვითინი
უცნობი ქალების,
ქვითინი ჩუმი და დამაჩუმებელი,
ო, როგორ მინდა, უცნობ ქალებს ჰქონდეთ
თვალები ბნელი და ფართო.
ო, როგორ მინდა იწოდეს სანთელი,
რომელსაც თითქოს
მუხლი ეკეცება და აღარ ეცემა მაინც
და იფანტება.
რომ აღარ ეცემა და აღარ ეცემა მაინც.
ო, როგორ მინდა მეამბორონ ძალიან ნაზად
ო, როგორ მინდა დამეწვეთოს ბაგეზე
ცრემლი;
ო, როგორ მინდა, შუაღამით, როდესაც
ცაზე
აღარ არიან ვარსკვლავები და სიბნელეა,
ძალიან კარგი და საყვარელი აწიონ კუბო
ტლანქმა კაცებმა უხეში ხელით და
წამასვენონ სასაფლაოსკენ.
ო, როგორ მინდა, ჩემს ბნელ კუბოს ნელი
ნაბიჯით
მიყვებოდნენ უცნობი ქალები, რომელთაც
ექნებათ
თვალები ბნელი და ფართო.
ო, როგორ მინდა ჩემი ქვითინი მათი.

მისტიურ ილუზიებში მოლივლივე ტანჯული სულის ოცნება, აღუსრულებელი და ამიტომ სინანულის გამომწვევი — არ, ამ ელეგიის ემოციური იმპულსების თავი და ბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ოცნების ეს რომანტიკული სფერო არ არის პირველგანმცდელის უბიწოებით მოსილი, თვითგანცდის ტკივილების სიწრფელე და მისი მხატვრული სალებავების სადა ფერადოვნებაა აქ თვალსაჩინო. რაც მთავარია, ეს არ არის მაღალფარდოვანი ფრაზებით თავმოწონების ნიმუში.

კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ პოეტის ერთი უპირველესი ღირსება გრძნეული უბრალოებით აღბეჭდილი სიტყვათა შერჩევის სასწაულებრივი ხელოვნებაა. ემოციის ძლიერება ღვთაებრივი სიზუსტით იქმნება და მათში, როგორც მუსიკალურ ხელოვნებაში, ყველაზე მშვენიერი და იმავ დროს ყველაზე იშვიათი ტონების სიწმინდეა.

მისი ლექსების „სიუჟეტთა" ღრმა ანალიტიზმი, სინამდვილის ე. წ. ანატომიური შესწავლის ძლიერი პათოსი ორიგინალური და თავისუფალი პოეტური აზროვნების ლოგიკური შედეგია. ეს არ არის მისი თაობის შემოქმედთა საერთო ნიშანი ანუ მათი ესთეტიკური კოდი. შეუძლებელია, ხაზგასმული „სიტლანქითა" და პროზაული ინსტინქტებით მოდელირებული პოეტური აზროვნება აღმოაჩინო სხვათა ქმნილებებში:

მე ახლა დავდივარ რედაქციაში,
სადაც კედლების ჰაერია,
სადაც ჭერი იატაკზე მაღლაა, სადაც
მაგიდები თავს გრძნობენ ბუნებრივად,
სადაც კალამი მუდამ მელნიანია,
სადაც გახსენდება, რომ მილიციაში
გამოცვალე პასპორტი.
სადაც გახსენდება, რომ ამბულატორიაში
ამოგიღეს ჭიანი კბილი,
სადაც ისე უკიდებ პაპიროსს, რომ ვერ
ამჩნევ
ასანთზე წარწერას: „გამარჯვება".
სადაც რედაქტორი თავს ისე გრძნობს,
როგორც საკუთარ სახლში
და ისე გელაპარაკება, როგორც
ტრამვაის გაჩერებასთან,
როდესაც ტრამვაი უკვე ახლოვდება.

პოეტის მეხსიერებას ადევნებული აზრი ლექსის ფორმას იღებს და მისი ობიექტური ლირებულების ჭეშმარიტ გამომხატველად გვევლინება. ჩვეულებრივი ყოფითი ემოციები, როგორც აუცილებლობა, ხაზგასმით დამიწებული და არაესთეტიზირებულია. ყოველი ფრაზა ლაკონიზმის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. და ეს იმიტომ, რომ ლირიკულ გულისთქმას არ მიეცეს ყალბი ფერადოვნების სახე და ხასიათი. მასში უსაგნო მეოცნებეობა გზას უთმობს მრავალთა მსგავსი, ერთი ჩვეულებრივი რომანტიკისაგან გაძარცვული დღის ბანალობას, თავისთავად მოსაწყენს და პიროვნების დამაჩლუნგებელს. პოეტის ამ ტიპის ლექსებში წარმოუდგენელია ლირიკული გმირის სულის მშფოთვარება, რაღაცის დათრგუნვის და გადალახვის პათოსი, რადგან მშვენივრად მოეხსენება, რომ გულუბრყვილო ჩივილი, ყოველივე იმაზე, რაც გვაწუხებს და გვაღიზიანებს — ნიშნავს იწუწუნო არსებობის თვით არსზე, ანუ იმაზე, რასაც ველარაფერი შეცვლის.

გამოსახვა ამ გამაოგნებელი ჩვეულებრიობისა — ესეც პოეტის მტკივნეული ვალი და მოწოდებაა.

თავზე მოხვეული, დიდი თუ პატარა ტანჯვანი ვითარცა ხაერო პოეტს, მასაც საკუთარ გაცრეცილ სამოსელში ხვევენ. ორივე ხელით მასში ჩაფრენილი, დაქანცული და ვნებაგამქრალი, თითქოს მისტიციზმის ბინდში იძირება. როცა ირგვლივ ვერ გრძნობ ნატიც „მეგობართა" თანადგომის სურვილსაც კი, როცა გარესამყარო გულგრილი, მოსაწყენი, გამრუვნული და გამომათაყვანებელია, გარიყულნი, თავისავე თავში ეძებენ სუფთა ადგილს საცხოვრებლად. როცა მოაზროვნე სულს არ ძალუძს განვრცობა, იგი თავს უყრის მთელ თავის სულიერ შესაძლებლობებს და საკუთარი სიღრმეებისაკენ მიემართება, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ ჰერალდიკად სტოვებს მაღალი საზოგადოებრივი სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეტურ მანიფესტს:

ბატონებო და ქალბატონებო, ეს გახლავთ
 ჩვენი უკანასკნელი სიტყვა,
ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვა
გახლავთ ეს: პოეტები დაეშვნენ ოლიმპოდან,
იმათთვის, ვინაც წინ მიგვიძღოდა ჩვენ,
 პოეზია გახლდათ ფუფუნება;
ჩვენთვის კი — იგი პური და წყალია და
 წარმოუდგენელია ცხოვრება უამისოდ.
პატივისცემით უნდა მოგახსენოთ —
 წინაპრებისაგან განსხვავებით —
ჩვენ მიგვაჩნია: ალქიმიკოსი როდია
 პოეტი, იგი სხვასავით ადამიანია.
იგი კალატოზია სახლის მშენებელი, იგია
 მშენებელი, რომელიც კედელში
ფართო კარებს და ფანჯარას ჰკვეთს.
ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობთ ჩვენი
 დღეების უბრალო ენაზე,
კაბალისტიკის არ გვწამს არაფერი,
 და კიდევ ერთი:
დედამიწაზე იმიტომ არსებობს პოეტი,
რათა ხე მრუდედ არ ამოიზარდოს აროდეს.
ჩვენ ამით მივმართავთ თქვენ და
 ვდგებით გზაზე პოეტ-დემიურგის,
თვით პოეტის, [illegible] ვითხას
 რომ გავს,
პატივისცემით მოგახსენებთ — ყველა ეს
 ბატონი [illegible],
რამეთუ აგებენ ჰაეროვან კოშკებს და
 უმოწყალოდ ფლანგავენ სივრცესა
 და დროს,
უძღვნიან სონეტებს მთვარეს, სიტყვებს
 აწყობენ ალალბედზე,
იცავენ პარიზის უკანასკნელ მოდას,
 ხოლო ჩვენებურად კი ასე არ არის:
აზრი იბადება არა ბაგეებზე, არამედ
 გულისგულში იბადება აზრი...
გთავაზობთ — ნათელი თვალის პოეზიას,
 გაშიშვლებული სულის,
შიშველი თავის პოეზიას. არ გვწამს
 არაფერი ალის და ფერიების.
პოეზია არის ასული, ერთი იღლია
 მწიფე თავთავებით
ანდა პოეზია საერთოდ არ არის.

პოეტის ამ დეკლარაციაში განსახიერებულია მისი ესთეტიკური მოდელი, რაც საფუძველში სცილდება ლირიკისათვის ტრადიციულ რომანტიკული ვიზიონების პოეტიკას — „ჩვენი დღეების უბრალო ენა" უნდა გაიმართოს არა ალალბედზე აწყობილი სიტყვებით, არა ბაგეებზე დაბადებული აზრებით, „არამედ გულისგულიდან გამოტანჯული, გონების სასწორზე აწონილი სათქმელით, ნათელი თვალითა და გაშიშვლებული სულის ძახილით" უკიდურესი რადიკალიზმი — „ანდა პოეზია საერთოდ არ არის!" — ხელეწიფება იმგვარ ლირიკოსს, რომლის სულსა და გარესამყაროს შორის გაბმული სიმების ვიბრაცია ყოველდღიურობის მოტივს ახმიანებს. მართალია ამ ჰანგებს აკლია მელოდიურობა და წარმტაცი ჰარმონიისათვის დამახასიათებელი ჰაეროვნება, მაგრამ მას აქვს ურბანისტული ყოფის დისონანსური განცდის ბუნებრიობა და ცხოვრების ამოუცნობი იეროგლიფთა გაშიფვრის ვნება. ერთი ადამიანის სივრცეში დატრიალებული ქარიშხალი, საკუთარი სულის შემოსაზღვრულ კედლებს აწყდება და მისი ყრუ გუგუნი წარმომშობ ჭურჭელშივე იკარგება.

საკუთარ თავთან უკომპრომისო საუბარი, აქ სხვა მომენტსაც გულისხმობდა, კერძოდ კი იმას, რომ პოეზიის მატერიალიზაციის პრინციპი, სულიერი განცდის მომენტსაც არ გამორიცხავდა. ყოველი დროის მეოცნებეთა საიმედო

ბეგზურის როლში რომ ევლინებოდა მისკენ მიდრეკილთ. ამდენად, პოეტი არა მხოლოდ თანამედროვეობის უგრძნობელი სეისმოგრაფი და მოვლენათა ვნებადაცლილი მემატიანე, არამედ ზნეობრივი და ზოგადად სულიერი იმპულსების დაუცხრომელი სათავეა.

შენ ეხლა ამბობ, რომ გათავდა ყველა
ლოდინი,
რომ გადიარეს ყველა ქარებმა,
არ შეგაშფოთებს სიყვარული მციროდენი
და სიძულვილიც არ გეყვარება.
როს გაუყვება გზას მარადი უზენაესი,
ნათელი, როგორც შემოდგომის ფოთლების
ცვენა,
სილაჟვარდეში შეერევით შენ და მისი
და იტყვის ზენა: — ო მოვედ ჩემთან,
ერთგანო, მოკვდავთაგანო,
აქ უკვდავების არს მეუფება,
და შენ მარადი და სილაჟვარდე
მარად სამარეს განესვენები,
არ გაწმენდებენ ფარისევლები
ჰოი, მარადო!..

საით მიგვანიშნებს პოეტის ალმსარებელი სულის მოძრაობა, ალბათ ამაო კმაყოფილებისაკენ, მოჩვენებითი კეთილდღეობის ლანდურობისაკენ, დაქანცულობისა და არააამქვეუნიური მოსვენებისაკენ. მისთვის სისხლხორცეულად განცდილი ადამიანური არასრულყოფილება და ცხოვრების ფუჭი ილუზიურობა ერთ სათქმელად შეიკრა და მისი სულის წინაშე გადაიშალა. ახალი პოეტიკის „თავდავიწყებული" ალმსარებელი მიხვდა, რომ მავანთაგან მკაცრად რეგლამენტირებული გრძნობებითა და ემოციებით გონებადაბინდულ ადამიანებს ჯერ ღრმად ეძინათ, თუმცა შინაგანი ინტუიციით იმასაც გრძნობდა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა მომხდარიყო სასტიკი გამოფხიზლება, ანუ დამდგარიყო ის ნეტარი ჟამი, ოდეს ადამიანი მთელი არსებით მიეცემოდა თავისუფლების სიხარულს, რადგან მისი წმინდა გრძნობების ფრთაგაშლილ ნავარდს ველარ შეავიწროვებდნენ და დააკნინებდნენ „ამაღლებული სათოფურებიდან" დადევნებული დიდაქტიკური შეგონებები. ხომ დღესავით ნათელი იყო მისი გონებისათვის, რომ მონასტრის ასკეტური ცხოვრების ანალოგიური რეგლამენტაციებით გაჯერებულ ატმოსფეროს სულიერი სიბერწე და უმეცრება მოსდევს, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო სწორედ აქ, ამ ატმოსფეროში დაბორიალობდა საკუთარი განაჩენით „თავისუფლებამისჯილი" და ამიტომაც უცნაური და საბრალო პოეტი, რომლის სულის ნაღვაწის არსებობა ცოტამ თუ იცოდა.

ეს ყოველივე არც-თუ შორეული წარსულია ჩვენთვის და ამიტომ ჯერაც მტკივნეული და, სამწუხაროდ, ბოლომდე ალმოუფხვრელი...

...საოცნებო თავისუფლებამდე ჯერ შორს იყო და საკუთარი სულისა და ქალაქის პეიზაჟების ხატვით დაღლილს, შედიხწერისადმი საყვედური მიაცილებდა „ტკბილი" სიზმრებისაკენ...

და ვერ [illegible], ჩემო [illegible]
ყველგან არის, სადაც არ ჩანს,
შენ გევედრები უფალთ-უფალო, რომელც
[illegible] წყალობა თუ კი რამ დაგრჩა,
თორემ მტანჯავენ სულით და ხორცით,
ბოლოს [illegible]
ჩემებრ ტანჯულო, შენ გვედრებ, ლოცვით,
თორემ მოკვდავნი რას გამიგებენ.
ო, შენი სული ჩამიდგი წამით, იქნებ
გადავურჩე სატანჯველს ამით.

ეს იყო უკიდურესი სასოწარკვეთის წუთები... თბილისის დილა ჩვეული სიხალისით აიკრეფდა ხოლმე ბინდს და კვლავ ცოცხლდებოდა უმნიშვნელო სიამოვნებათა მოლოდინის ტკბილი ილუზია. ნაცნობ სახეთა წრეში თრობას, კვლავ ქუჩებში მარტოდ ხეტიალი მოსდევდა... ვითარცა გუშინ და ვითარცა ყოველთვის... ღვინითა და შთაბეჭდილებებით მოქანცული სხეული, საწერ მაგიდასთან ჩამოისვენებდა. ქალაქური რომანტიკის მოტრფიალე, თუმცა აწ უკვე მისი პაროდირებული ინერციის მსხვერპლი, ირონიის შხამით იგრილებდა ნაღვინევზე მოწოლილ ამბიციათა სიმხურვალეს. ამ დროს ხდებოდა მზვაობარი ბუნებით ნაბოძები თვითდაკვირვების ნიჭი. „იცით თუ არა, ვინა ვარ მე?" კითხულობდა იგი და ასე აცნობდა ცნობისმოყვარე თანამედროვეთ თავს:

უპირველეს ყოვლისა, მე ვარ ადამიანი,
ეს თქვენ იცით,
შემდეგ კი პოეტი — თქვენ ესეც იცით,
თქვენ იცით, ვინ ვარ მე,
მაგრამ თქვენ შეიძლება არ იცოდეთ,
როგორი ვარ მე.
გაინტერესებთ, როგორი ვარ მე
გარეგნულად?
მაშინ დაივიწყეთ ჩემი საყოველთაოდ
გავრცელებული სურათი,
რომელიც იყიდება ყოველ მაღაზიაში
და ყველა კიოსკში,
რომელიც კიდია ყველა კინოში და ყველა
რესტორანში,
თუ გაინტერესებთ, როგორი ვარ მე
გარეგნულად,
გირჩევთ წაიკითხოთ ჩემი ნაწარმოები
„როგორი ვარ მე გარეგნულად".
რაც შეეხება ჩემს პოეტობას, უნდა
მოგახსენოთ შემდეგი:
ერთადერთი მოქმედი პოეტი გახლავართ მე.

მე ისე ვიმორჩილებ ქართულ სიტყვას,
როგორც ლექსის კითხვის დროს საკუთარ
ხმას.
დანარჩენს მოგახსენებენ ჩემი ლექსები,
ისინი მეტყველებენ ნათლად და ხსნილად.
გარეგნობის გარდა გამაჩნია მე ხასიათიც.
როგორი ვარ მე?

თვითირონიას ენაცვლებოდა გულწრფელი კაეშანი, მწარე ცხოვრების ბუნებრივი გამოხატულება და სულიერი ანარეკლი. იგი სწუხდა თავისი უსახელოდ ჩავლილი სიცოცხლის გამო, ჩუმი ნაღველით გამოხატავდა მის მიმართ არსებული გულგრილობის სუსხით მიყენებულ წყენას.

ის, რასაც მისი ცხოვრება ერქვა, არც მისთვის იყო ადამიანურ არსებობათაგან საუკეთესო, მაგრამ სულიერ ძალთა მობილიზება და შემობრუნება რესპექტაბელური ყოფიერებისაკენ, მხოლოდ განუხორციელებელ ოცნებად ესახებოდა. დაუძლურებული და უსასოო დასახმარებლად ღვთაებრივი ძალებისადმილა იყო სავედრებლად მიდრეკილი.

მიწიერი ცხოვრებით გამოწვეული სინანული ერთ გაბმულ ტკივილად გასდევდა უსიხარულო დღეთა დინებას. მაგრამ, საბედნიეროდ არსებობდა სულიერი თავშესაფარი, მყუდრო და ადამიანთა გესლიანი ქირქილისაგან საიმედოდ დაცული იდუმალი სამყარო, რომელიც საკუთარი ღირსებების შთამაგონებელ შეგრძნებებთან აზიარებდა ხოლმე კეთილგანწყობისა და თანადგომის სითბოს მონატრებულ პოეტს; და, მაშინ იგი ლირიკული მონოლოგებით ამკვიდრებდა საკუთარ სულიერ პორტრეტს, ჯიუტი ნებით ეპაექრებოდა დროსა და სივრცეს და მომავლისაკენ თუნდაც მკრთალი იმედით მაყურებელი სტოიკურად იშუშებდა მიწიერ ცრუმორწმუნეთაგან დაწყლულებულ იარებს.

ნუ გაგვაღიზიანებს მისი ზოგჯერ თვალშისაცემი განდიდების სურვილი, საკუთარი თავის მესიად გამოცხადება და ქართული პოეზიის ცის კაბადონზე ჩაუქრობელ მოკაშკაშე ვარსკვლავად წარმოდგენა. ეს ყოველივე სვეგამწარებული ადამიანის გულუბრყვილო პოლემიკაა ვილაცასთან და რაღაცასთან. შესაძლოა, იგი საბრალოდ მოხეტიალე სხეულის შეცოდება და მისი სულიერი რეაბილიტაციაც იყოს და ბოლოს მის ნაღდ ნიჭიერებასაც ხომ ჰქონდა უფლება საკუთარ თავთან სრულ სიმარტოვეში, თუნდაც ერთი წამით, უტკბეს ილუზიებში ჩაძირულიყო და ეთამაშა როლი ცხოვრებისაგან შეუცნობელი გენიალური პოეტისა.

ძნელია გაითვისო და ზუსტი კონტურებით გაიცნობიერო ამ ურთულესი სულიერი წყობის პიროვნების და შემოქმედის ფსიქოლოგიური იმპულსები. არც ის არის ადვილი, მისი გარემომცველი სამყარო შეაჩვენო და საყვედურებით აავსო, ამგვარი სურვილები ბავშვური მიამიტობაა მხოლოდ. ობიექტური რეალობის გაწცდა უსაგნო აბსტრაქციას არ უნდა გულისხმობდეს არასოდეს.

არავინ იცის და ვერც ვერავინ წარმოიდგენს პოეზიის ვნებაატეხილი „ჭურჭელი" წარმატებებითა და პოპულარობით მოჩუქურთმებული ცხოვრების მაღალ ტახტრევანზე ამაყად ჯდომას ამჯობინებს თუ სულით ობლობის უნეტარესი ტკივილებით ჩრდილში დგომას, რომლისთვისაც ბუნებას მხოლოდ ერთადერთი სიხარულით ტკბობის უფლება მიუნიჭებია — საკუთარი შინაგანი მოწოდებით ძალუმი თრობა, რომ ჰქვია სახელად (რა შემაძრწუნებელია, ალბათ, პოეზიის დღევანდელ მსახურთა მიერ ჩრდილში დგომის წარმოდგენაც კი).

ეს მისი ცხოვრება იყო, ერთადერთი და ამიტომაც კანონზომიერი. თვითონაც სჯეროდა ფატალური ბედისწერისა, თავისი ცივი მკლავებით გაყინულ მკერდზე მიხუტებულს რომ მიაქანებდა უსასრულობისაკენ.

დუმილი იყო ჩემი გზა და ჩემი წარსული
და მერე, როცა დადუმების ზეცამ გადილო,
სიამისაგან მოთენთილმა და... და ლუდნასვამმა
მე პოეზია ამოსუნთქვით წელში გავტეხე
და ერთი ორჯერ კამათელიც გამისროლია,
ასე დამთავრდა ჩემი გზა, თუ პრეისტორია.
ეხლა — ცოცხალი — სიკვდილისკენ
მივეჩქარები,
ფინიში მოსჩანს და მგონია, ვერვინ
მიმასწრებს...
მიმაჩქარებენ ასფალტები და მანქანები
და მიჰკივიან სიკვდილისკენ, საიქიოსკენ.
სწორი მაქვს ალო და სიკვდილის წამი
მენიშნა, —

ამ თაობიდან მე პირველი მივალ ფინიშთან.

„იშვიათია, რომ ვინმეს ნაწერმა ან გმირულმა საქციელმა მისი ავტორისა თუ აღმსრულებლის სიცოცხლეშივე ჰპოვოს მოწონება, ადამიანის დიდება მისი სიკვდილის შემდეგ იწყება და იცი რატომ? იმიტომ, რომ სხეულთან ერთად ცოცხლობს და მასთან ერთად კვდება შური... და, მართლაც, გადახედე, ვისკენაა მიმართული სადიდებელი სიტყვები, მოიძიე ავტორები — და შენ დაინახავ, რომ ისინი უკვე დიდი ხანია მიწაში გაიხრწნენ. გინდა, რომ შენი ქმნილებებიც აქონ? მოკვდი! რადგან ადამიანის სიკვდილიდან იწყება ხალხის კეთილგანწყობილება თუ შემწყნარებლობა, და სიცოცხლის დასასრული — სახელის აღზევების დასაწყისია; თუ კი იგი ადრევე დაიწყო, უჩვეულო და არადროულია, მეტსაც გეტყვი: თუ კი ვინმე შენი ნაცნობთაგანი კიდევ შემორჩა ქვეყანას, სრულად ვერაფრით მიაღწევ სასურველს. ყველა ერთად უნდა შთანთქას საფლავმა, რათა მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ სიძულვილისა და გულისწ-

ყრომის გარეშე განსჯა. ასე, რომ, დე, ამ საუკუნემ გამოიტანოს ნებისმიერი განაჩენი ჩვენზე: იქნება იგი სამართლიანი — სულის სიმშვიდით მივიღებთ მას, არ იქნება სამართლიანი — მოუხმობთ უფრო ალალმართალ მსაჯულთ, ანუ შთამომავალთ, რადგან სხვა ალარავინაა.

განუწყვეტლივ ყველას თვალწინ ყოფნა — ვერაგი რამ არის, უმნიშვნელო საბაბით მრავლდება აქ წყენა... და ადამიანები ნაკლებად აფასებენ მათ, ვისთანაც ახლო და ხშირ ურთიერთობაში არიან".

ასე „გოდებდა" გენიალური ფრანჩესკო პეტრარკა, პოეტი და მოქალაქე. მის ამ ზნეობრივ-ფილოსოფიურ სენტენციას, შესაძლოა, გარკვეული დოზით უტრირებული დრამატიზმის სურნელი დაჰკრავდეს, თუმც არავის შეეპარება ეჭვი და წარმოუდგენელია, იგი არ იყოს ცხოვრების ღრმა დაკვირვების, ფაქიზი ანალიზისა და ფრთხილი მსჯავრის ნაყოფი. თუ გავითვალისწინებთ მისი დროის იტალიაში ამ ელეგიური ალმსარებლის ღვთაებრივ პოპულარობას და საყოველთაო აღიარებას, თითქოს ძნელდება ისტორიის ავანსცენის მიღმა დაუნჯებული ინტრიგებითა და გესლით გარემოსილი პოეტის წარმოდგენა.

მთავარი აქ ამ უნივერსალური სკეპსისის სიცოცხლისუნარიანობაა.

ჩვენი დროის საზოგადოებრივი ფსიქიკა დაგვიდასტურებდა საუკუნეების მიღმა აგრერიგად გამძლავრებული ზნეობრივი სენის პერმანენტულობას.

არავინ გაიკვირვოს, რომ შოთა ჩანტლაძის მარტოსულობისა და მიუსაფრობის მწარე სინამდვილე და საზოგადოებრიობისადმი საყვედური, თავისი სიღრმითა და გაქანებით გამორჩეულ ადრერენესანსული ეპოქის ზნეობრივი უკულმართობის ასოციაციებით გავისიგრძეგანო. რადგან, ხომ აშკარაა რომ უსამართლო გულგრილობით და დაუმსახურებელი შეურაცხყოფით მიყენებული ჭრილობები ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს.

ნებისმიერი ეპოქის ნიჭიერ შემოქმედთა გულგასენილი არსებობის ტკივილები ანგარიშგასაწევი და ჭკუისსასწავლებელია.

პოტენციით თუნდაც მცირეთაც, აქვთ უფლება უკმაყოფილონი იყვნენ ბედისა და მომავალს ანდონ საკუთარი ნაღვაწის მიუდგომელი შეფასების უფლება. ვერავინ დაუშლის მავანთა და მავანთაგან ხელნაკრავთ სიცოცხლის მოახლოვებული მიმწუხრის გაგრძელებად არაკეთილგანწყობილი დღეებიდან გამოტანჯული საკუთარი ლექსები წარმოიდგინონ და ამგვარად მიეცნენ სულიერ სიმშვიდეს

რა ძლიერია, რა ტკბილია, რა წარმტაცია,
ო! ეს ამბავი, ამბავი ზეცის,
ღმერთო ძლიერო, ზეცისკენ მსურს ავიტაცო,
თორემ ეს გული მიწაზე კვნესის.
ცით შთაგონებულს აქ რა მინდა დედამიწაზე,
ო! ყურთა ჩემთა ეს ძახილი მარადჟამს ესმის.
ო! მე მაქვს ფრთები გასაფრენად ერთობ
ძლიერი,
მაგრამ ფარ[illegible] და [illegible] გრიგალნი —
ზეცისას
რომ გაიშალონ და დასტოვონ სიცარიელე,
სიცარიელე შავი მიწის და ზღვეთისა.
ო! როდის მოვა ეს გრიგალი (ო! სულო
მოლოდინს!),
რომ განსვენება ნაგრიგალევს მელირსოს
ბოლოს.

პრაქტიკული მოღვაწეობისათვის რომ არ იყო იგი დაბადებული, ამისი დასტური მისი ცხოვრებაა. ამგვარი „ექსცესი" არ არის უცხო რამ კალმით მოსაქმეთათვის. მრავალი მათგანი განცალკევებია ყოველდღიური სამსახურეობრივი მოვალეობის მომქანცავ ტვირთს, რასაც თან ახლავს ადამიანური ღირსების გამანეიტრალებელი, სუბორდინაციის მკაცრად განსაზღვრული უფლებრივი რეგლამენტაციები, ზემდგომთაგან ხელდასმული ფუნქციონერის განუწყვეტელი ამოძახილები, რომელთა პირნათლად აღსრულებას ჯილდოდ ამსოფლიურ „სიამეთა" მიღება აგვირგვინებს.

საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ყოფნაა ამ კატეგორიის შემოქმედთა ყველაზე დიდი ბედნიერება.

მაგრამ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთაც ყოველივე ამასთან ერთად აზროვნების პრაქტიციზმიც პარალიზებული ჰქონდეთ.

და თუ პირველთა პიროვნული თავისუფლება დროდადრო საოცრად „აქტიურდება" და კონიუნქტურული პოეტური ფეიერვერკებით მიიკვლევს ცხოვრების გზას, მთელი გატაცებით უმღერის რა უმაღლეს ფუნქციონერთა „ბრძნულ" გადაწყვეტილებებსა და მათგან მოსალოდნელ განსაცვიფრებელ შედეგებს — მეორენი ამასაც გაურბიან და გზადაკარგულებივით დაეხეტებიან პროზაული ყოფის ბნელ ლაბირინთებში. ხეტიალით დაღლილები მოსასვენებლად საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ მიტორტმანებენ და იქ ათევენ ნეტარ ღამეებს.

შეუთავსებლობის კომპლექსით დასნეულებულნი, ზოგჯერ საკუთარი თავისათვისაც კი უცხონი არიან და ყველაზე დიდ გაოცებას თავისავე სულთან განმარტოება ჰგვრით. ხან სიბრალულისა და ხან აღფრთოვანების სალბუნით იამებენ უცხოდ ატეხილ ნოსტალგიის მოძალებას.

აი, ამ სულისკვეთებით აღბეჭდილი რეფლექსიების თვალნათელი მაგალითი:

მე ვარ სამყარო, მე ვარ ღმერთი,
მე ვარ გენია,
ვიძახდი მუდამ დაჯერებით, ვიძახდი
გზნებით,
კი არ მივლია, გზები თურმე გამირბენია,
გამირბენია — მიჩვენეთ გზები.
მიჩვენეთ გზები, სული ითხოვს ქარსა და
გრიგალს,
ქარსა და გრიგალს სამყაროს მნგრეველს
რადგან ეს სული აღშფოთებულ გრიგალებს
მიგავს,
გრიგალი მე ვარ, სამყარო მე ვარ.
მაგრამ ვიღაცა დამხარხარებს, ყურში
ჩამძახის,
ო! თქვენი გზნებით ყველა გზები უცებ
გალიეთ,
თქვენ მხოლოდ ერთი გზა დაგირჩათ
ბრძოლით გადაღლილს
და ვიდრე წახვალთ, ჯერ ცოდვები
მოინანიეთ.

ასე ენაცვლებოდა თბილისის ქუჩების რომანტიკულ ინტიმს, გაუცნობიერებელი ვნებათაღელვით გამძაფრებული სასოწარკვეთა.

არის განა ეს ზიზღი და უარყოფა აწ უკვე გარბენილი გზებისა, რომელთა სიარულით გათელილმა ქვაფენილებმა, მკაცრი და დაუნდობელი მოძღვრის გულმოდგინებით შეასწავლა მას მწუხარების სასტიკი განცდა და ყველა შესაძლებელი სახეობა მელანქოლიისა, გააგებინა უცნაურად საინტერესო ფსიქოლოგიურ ფენომენთა არსებობა, რომელთა შესახებაც ძალზედ ცოტას თუ აქვს წარმოდგენა, და თითქმის არავის მათი შინაგანი განცდის ბედნიერება.

ცოტა ხნის შემდეგ, მას კვლავ მოენატრება დაწყებული გზისკენ მიბრუნება, რადგან ავად თუ კარგად ის ასრულებდა მისი მაცდური ცხოვრების აკვნის დამრწევის როლს.

ახლა კი სხვა, ამაღლებული ოცნებითაა იგი სავსე, სხვა სივრცეებში ლივლივებს ცას მონატრებული საბრალოდ დაუძლურებული სული, რადგან ფრთების საბოლოო დაკეცვის ჟამიც შეუბრალებლად ახლოსაა, ხოლო ცოდვების მოსანანიებლად კვლავ მიწის მშობლიური სიცივეა საჭირო.

თითქოს მთავრდებოდა შემოდგომის წვიმიან დღეთა ჟრუანტელი და სადღაც, სულ ახლოს, ზამთრის მელანქოლია ეფინებოდა მოწყენილ თვალსაწიერს.

უაზრო იყო ლაჩრული გარინდება და გლოვად გამზადება. სრული სიცივის განცდა სასურველი შორეული სტუმარივით შემოდიოდა არსებობის ტანჯულ სამყაროში.

არ გსურდა სიცოცხლე და მაინც იცოცხლე,
არ გსურდა სიკვდილი და მოკვდი მაინც,
და ... ... ეხლა სუფევილეთი.

უკან დარჩენილი წარსული უიმედო ნისლში განქარდა, ახლის, რაღაც განსაკუთრებულისა და ამაღლებულის მოსვლამ კი ხაოცრად დაიგვიანა და იმედგადაწურული თითქოს მიხვდა უაზრო მოლოდინიდან ერთადერთი ღირსეული გამოსავალი რომ არსებობდა.

მე მინდა სიცოცხლე შენი, შენ გინდა
სიკვდილი ჩემი.
რადგან შენ სიცოცხლე გშვენის,
რადგან მე სიკვდილი მშვენის.

* * *

არაფერი მითქვამს შოთა ჩანტლაძის პოეტური სიტყვის ხელოვნებაზე. სინამდვილის მხატვრული ინტერპრეტაცია აზრის იმგვარი გამჭვირვალებითაა მასთან აღბეჭდილი, რომელიც გამორიცხავს „ღრმა“ ბუნდოვანების უმნიშვნელო ელემენტსაც კი.

ტრაგიზმით, ღრმა გულწრფელობით, ფრაზის უნიკალური ენერგიითა და სიტყვის უზუსტესი განცდით შემოდის იგი მკითხველის ცნობიერებაში. ფრიად გაბედული მეტაფორით და მკაცრი მელოდიური არანჟირებით პოეტი ჰქმნის მხატვრული ფორმის საინტერესო ტიპს.

მას აქვს ლექსი, რომელიც უაღრესად საინტერესოა სწორედ მხატვრული ქსოვილის ორიგინალური ფერადოვნებით.

აქლემის ყელზე დაკიდულა ზარის წკარუნი,
გრძელი არაბი უკურნავმა დასწვა წყურვილმა
ზარის წკარუნი — სულს ელვრება ცხელი
წყარონი,
კუზნი მაღალნი, აზიდულან და აწურვილან
არსად იმედი... ამომშრალთა თვალთა
წვალება,
და უდაბნოში გათანგული გველი ისვენებს.
და ირგვლივ ქვიშა, როგორც მიწის
გარდაცვალება,
და სადღაც მწვანე მცენარენი — მიწის
სისველე.
მიდის არაბი... ბოლოს ქვიშას ბინდი ეცემა,
მერე არაბიც დაეცემა ქვიშას ბინდივით.
დაეცემა და დაქანცული ძილს მიეცემა.
აქლემის კუზნი — წაქცეული პირამიდები.
დაღლილ თვალებში დაიბუდა მძიმე
სიზმარმა,
ეზმანა არაბს, ღრიალებდა ლელე ლომივით:
და მერე ბარად ჩამოვარდა და გაიზმორა, —
გაექცა ველებს ლომის ბრდღვინვით და
ნახტომებით.
გათენდა დილა... გაიღვიძა მზემ უწინარეს, —
ლომი ყმუოდა კაცის ძვლებზე, როგორც
მდინარე.

... ...ეტის მიზანი ...

ლი სახეებით გატაცება, რომელმაც უნდა დაჩრდილოს და გაანელოს ეგზოტიკური აქსესუარების მოჩვენებითი და ხაზგასმულად ხელოვნური ე. წ. ბუტაფორიული დრამატიზმი.

რა საოცრად სასიამოვნოა დიალოგი პოეტთან, რომელიც გულწრფელია თავისი გრძნობებითა და ემოციებით, რომელიც აშკარად გაჭერებს საკუთარი ვნებათაღელვის, მწუხარებისა და სევდის ბუნებრიობაში. რა ახლობელი ნაღვლიანი ზღაპარივით მოსასმენია მისი უიღბლო ცხოვრების ამბები, ასე რომ შეუღლახა სახელი „ყველაფრით მოწესრიგებული“ საზოგადოების თვალში.

მე მჯერა მისი ტრაგიკული ინტუაციისაც, რომელმაც წინასწარმეტყველის ნათელხილვით გაიშინაგანა საკუთარი სიკვდილიცა და დასაფლავების მწუხარე რიტუალიც.

არ მინდა სანტიმენტალური ვიყო, მაგრამ თითქოს გული მწყდება და მენანება მასთან განშორება, რადგან კარგად ვიცი, რომ ამგვარად ალარასოდეს მივუბრუნდები წასული პოეტის მართალ, ცრემლამდე გულწრფელ ლირიკულ მონოლოგებს, რომელთაც შეეძლოთ სულ რამოდენიმე სიტყვით შეექმნათ სულის დაუნჯებული ქვითინის პოეტური ექვივალენტი —

წავიდა თოვლი
მოვიდა მიწა.

როგორ მიიღებს მას მომავალი მკითხველი, რიტორიკული კითხვაა და უაზრობაა ამის წარმოდგენა თუ განსაზღვრა.

მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ როგორ უნდა გარდაისახოს და გარდაიქმნას ცხოვრება, რა ნეტარი ყოფაც უნდა ჩამოდგეს ირგვლივ, ამ ქვეყანაზე მაინც ივლის სევდასთან დამეგობრებული კაცი.

და თუ იგი სულიერ მეგობარს მოინატრებს, ერთ დროს მახავით მღელვარე უიღბლო სიცოცხლის პოეტური მონოლოგები გაუწევენ ალბათ გულწრფელ თანაგრძნობას. მხოლოდ ამიტომაც ღირს ამ ქვეყანაზე პოეტად დაბადება...

---

# „აფხაზური პრობლემის“ არსის გაგებისათვის

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დღეს უკვე იბეჭდება წერილები აფხაზეთისა და აფხაზების, ე. წ. „აფხაზური პრობლემის“ შესახებ. მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, რომ ეს „პრობლემა“ არ არის ახალი, იგი წლების განმავლობაში პერიოდულად იჩენდა ხოლმე თავს და მხოლოდ უკანასკნელი ხნის მოვლენებით არ საზრდოობს. თავი გავანებოთ იმის მტკიცებას, რომ ყოველთვის, როცა კი საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა აღინიშნებოდა, მავანი და მავანი „აფხაზურ პრობლემას“ უმალვე წინ წამოწევდა და ამ გზით ცდილობდა შეეფერხებინა, ან კი საერთოდ შეეჩერებინა ეს პროცესი. ვფიქრობთ, ამჯერად მთავარი ეს არ არის. ახლა ყველას გასაგონად უნდა ითქვას შემდეგი: რა დროიდან, როდის იღებს სათავეს ასეთი დაძაბული ვითარების მიზეზები და რით უნდა ავხსნათ დღევანდელი მდგომარეობა. ამის გასარკვევად კი, უპირველესად, უნდა ვიცოდეთ, არსებობს თუ არა ჩვენს სინამდვილეში, ერთის მხრივ, აფხაზებისა და, მეორეს მხრივ, დანარჩენი ქართველი ხალხის განცალკევებისა თუ დაპირისპირების ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიმე ტრადიცია, თუ ეს გათიშულობა სხვა, არც თუ შორეულ წარსულში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების უშუალო შედეგია? ალბათ დამეთანხმებით, რომ მხოლოდ მაშინ შევძლებთ ავხსნათ დღევანდელი ვითარების არსი, დაუფარავად წარმოვაჩინოთ მისი ნამდვილი მიზეზები, როცა ზემოთ დასმულ კითხვას გაეცემა ობიექტური პასუხი. ყოველივე ეს კი უცილობლად აფხაზეთის ისტორიის მეცნიერულად დასაბუთებულ, გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებს.

ამთავითვე მინდა მოგახსენოთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზეთის ისტორიის ძირითადი საკითხები ისევე, როგორც საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციებისა, დიდი ხანია, რაც შესწავლილია და გარკვეულიც. ქართველმა მეცნიერებმა თავის დროზე მეტნაკლები სისრულით გამოიკვლიეს ეს პრობლემა და ცხადყვეს, რომ აფხაზეთი, შემდგომში აფხაზეთის სამთავროს სახით რომ ჩამოყალიბდა, თავისი შინაგანი ცხოვრების წესით, პოლიტიკურ-სოციალურ თუ ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობათა ხასიათის მიხედვით ყოველთვის იყო ქართული ერთეული, სადაც მოქმედებდა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება, მისთვის დამახასიათებელი ფეოდალური ინსტიტუტებითა

და მმართველობის სისტემით. იგი იყო ტიპიური ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელიც მთლიანი სახელმწიფო ორგანიზმის ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და სადაც სახელმწიფო ენად ქართული ენა იხმარებოდა. აფხაზები კი—მისი ერთ-ერთი მკვიდრი მოსახლეობა — ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი იყო, როგორც ქრისტიანობის მაღიარებელი და ამდენად ქართული კულტურის ზიარი ხალხი. არც ერთ ეპოქაში, საზოგადოებრივ-კლასობრივი განვითარების არც ერთ ეტაპზე არ მდგარა აფხაზებისა და ქართველების, როგორც ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის დაპირისპირების პრობლემა. აფხაზთა ზედა ფენის ცნობიერებაში არასოდეს დარღვეულა მათი და სხვა ქართველების ერთიანობის, თუნდ საქართველოს, როგორც მათი სამშობლოს იდეა. აფხაზეთი მუდამ განიხილებოდა როგორც ქართული მიწა-წყალი, ქართული სამთავრო და აფხაზები ყოველთვის შეადგენდნენ ქართველი ერის ორგანულ ნაწილს. ამას მეტყველებს მთელი ჩვენი ისტორიული წარსული და დღემდე შემონახული ტრადიცია.

მით უფრო დასანანია, რომ ქართველ მეცნიერთა შრომები, რომლებშიც ეს საკითხები, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, სათანადოდაა გაშუქებული, ან აღარ დაბეჭდილა, ან არადა ძლიერ შეკვეცილი, შემოკლებული სახით მიაღწია მკითხველამდე. ამის გამო, ყოველივე ის, რაც მეცნიერულ წრეებში დასაბუთებულია და შესწავლილი, ფართო საზოგადოებისთვის, სამწუხაროდ, ნაწილობრივ თუა ცნობილი. ამას ისიც დაერთო, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქართველ მეცნიერთათვის აფხაზეთის ისტორიის შემდგომი კვლევა-ძიება გაუმართლებლად ტაბუდადებული დარგი გახდეს. ჩვენს მკვლევარებს არ შეეძლოთ ხელი მოეკიდათ ამ საქმისთვის და საქართველოს ზოგიერთი ისტორიული მოვლენა, რომლებიც საკუთრივ აფხაზეთის წარსულსაც ასახავენ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღარ გაშუქებულა. ზემოთქმულის გამო, მართალია, აფხაზეთის ისტორიის ძირეული პრობლემები უკვე შესწავლილია, მაგრამ მაინც არსებობს ცალკეული საკითხები, რომელთა კვლევა დღესაც უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაც.

ქვეყნის მთლიანობა, ხალხის ერთობა, როგორც ზემოთ ვთქვით, საზოგადოების შინაგანი ცხოვრების საერთო წესით განისაზღვრება, ამასთანავე იგი (მთლიანობა) საგარეო სფეროშიც პოულობს ასახვას და უცხო ქვეყნებთან კონტაქტების დროს ვლინდება კიდეც. ამ საგარეო კონტაქტების ხასიათს ქვეყნებს შორის დამყარებული ურთიერთობების არსი განსაზღვრავს და, ამდენად, ეს კონტაქტები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს, დაწყებული დიპლომატიური მოლაპარაკებებით და დამთავრებული ომებით. ამ მხრივ, ხალხის ერთობის, შემდგომში კი ერის ერთიანობის გამოხატვისა და თვითდამკვიდრების ერთ-ერთი ასპარეზი მუდამ იყო უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც უპირატესად მცირერიცხოვან ერთა ხვედრია. საქართველოში ამ ბრძოლების თუ ომების ისტორია მრავალ საუკუნეს მოითვლის და მას, მიზეზთა გამო, ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა სფეროში უმთავრესი ადგილი ეკავა. ისიც ცნობილია, რომ ჩვენში ეს ბრძოლა, უმეტესწილად, საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და იმავდროულად ქრისტიანობის დაცვასაც გულისხმობდა. ეროვნული ბრძოლების ქრონოლოგიური პერიოდის უდიდესი მონაკვეთი სწორედ ის ხანაა, როცა საქართველო წინ ეღობებოდა ისლამური სამყაროს მოძალებას. ქართველი კაცი მიწის ნაგლეჯის, შემოსაზღვრული ტერიტორიის ხელყო-

ფის გამო კი არ იბრძოდა მხოლოდ, იგი თავის თავს, თავის სულს იცავდა იმ უცხო სჯულისაგან, საკუთარი რწმენისაკენ სავალ გზად რომ ვერ გამოადგებოდა. ქართველისათვის ეს იყო ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელიც გარდა ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისა, სულიერი სამყაროს გადარჩენასაც გულისხმობდა უცილობლად. ამ დროს საქართველოს ყოველი კუთხე-პროვინცია ერთიან ძალად იქცეოდა, და ეს ძალა ეთნიკურ თავდაცვით ინსტინქტებს როდი ემყარებოდა მხოლოდ, არამედ ეროვნული ფსიქოლოგიითაც საზრდოობდა. უნდა ვიფიქროთ, ამ ერთიანი, თავდადებული ბრძოლების შედეგიცაა, რომ მცირე აზიისა თუ ამიერკავკასიის სხვა, შესაძლოა უფრო ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოებივით საქართველო არ აღიგავა მიწისაგან და ქართველი ერი უცხო, ჩამოთესლილ ტომთა შორის არ გაითქვიფა სამუდამოდ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორია თავისთავად მრავლისმომცველი თემაა და მისი თუნდაც ზოგადი განხილვა ერთ წერილში, ვფიქრობთ, შეუძლებელია. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ამ ბრძოლების ისტორია ჩვენთვის საგულისხმოა აფხაზთა და ქართველთა ერთობის საკითხის წარმოსაჩენად და წინამდებარე წერილშიც გვსურს შევეხოთ ერთი გარკვეული პერიოდის (XVII-XVIII ს. ს.) მოვლენებს. ეს არჩევანი არაა შემთხვევითი, რადგანაც ამ დროს ერთიანი საქართველო უკვე აღარ არსებობდა და იგი დაშლილი იყო ცალკეულ სამეფოებად. ლიხთიქეთში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა იმერეთის სამეფო, რომელიც გურია-ოდიშ-აფხაზეთის სამთავროებსაც იერთიანებდა. ეს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ფეოდალური გათიშულობა და მთავართა განცალკევებულობა დამახასიათებელი იყო გვიანფეოდალური ხანის საქართველოსთვის და იგი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ იყო მიმართული. თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკვე XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის იმპერიის თვალსაწიერში მოექცა, ბოლო აფხაზეთის სამთავრო“... XVIII საუკუნიდან ქართულ ერთეულად... თურქთაგან მიტაცებულად განიხილებოდა“, ამიტომ, საინტერესოა, თუ როგორ ვლინდებოდა სამეფო-სამთავროების ერთიანობა საგარეო კავშირების დროს, რა ასახვა ჰპოვა ქვეყნის თავდაცვით პოლიტიკაში აფხაზეთის სამთავროსა და „სხვა საქართველოს“ მთლიანობამ და რა წილხვედრი ზიდა აფხაზმა მოსახლეობამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში საერთოდ.

თუკი გვიანფეოდალური ხანის ქართულ წერილობით წყაროებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ამგვარი საყოველთაო შინააშლილობის პირობებშიც კი ქვეყნად არ გამქრალა ის ძალა, რომელიც ხალხის თავდაცვით პოტენციალს ასაზრდოებდა. სამეფო-სამთავროები ერთიანად ებრძოდნენ დამპყრობელს და აფხაზი მთავრებიც სხვა ქართველ მეფე-მთავრებთან ერთად მონაწილეობდნენ ამ მოძრაობაში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზთა და სხვა ქართველთა „მთლიანობის“ ტრადიცია შემონახულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ იმ უცხოენოვან წყაროებშიც, რომელთა ავტორები ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკითხებს ეხებიან. „უცხო თვალისთვისაც“ — ევროპელი მოგზაური იქნებოდა ის თუ რომელიმე მუსლიმი მემატიანე, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, როგორც სხვა დანარჩენი სამეფო-სამთავროები და აფხაზებიც ქართველ ხალხად იყვნენ მიჩნეულნი. ჩვენ ხელთ არსებული სხვადასხვაენოვანი წყაროები, რომელთა მონაცემებიც ქვემოთ მოგვყავს, ადასტურებენ ყოველივე ზემოთქმულს:

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ 1548 წელს გურიის, ოდი-

შის და აფხაზეთის სამთავროების ლაშქარს განზრახული ჰქონია წინ აღდგომოდა ოსმალებს, რომელთაც სურდათ ციხე-სიმაგრე აეშენებინათ გონიოსთან. სამწუხაროდ, ქართველთა ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრებულა და დამპყრობელს ხსენებული სიმაგრე აუგია. (ქართლის ცხოვრება. 1973 წ. გვ. 814). იმავე საუკუნეში იმერნი ორჯერ ამარცხებენ ოსმალთა ლაშქარს; „მოსწყვდნეს მრავალნი და აოტეს... ლტოლვილნი მცირედნიღა წარვიდნენ“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 410, 817). — წერს მემატიანე. წინააღმდეგობები გრძელდება XVII საუკუნეშიც. ვახუშტისავე გადმოცემით, 1609 წელს მამია გურიელი დევნის აჭარიდან ოსმალებს და „კუალად თვითვე“ იკავებს ამ მხარეს (ქართლის ცხოვრება, გვ. 824). ამას გარდა, ევროპელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ XVII საუკუნეში ხშირი ყოფილა ოდიშელთა მასობრივი აყრა და გახიზვნაო. მასთანვე ვხვდებით ოდიშის სამთავროში აჯანყებულთა გაბრძოლების ერთ ეპიზოდსაც. მოგზაურის გადმოცემით, ოსმალთა ჯარს „ადგილობრივი ჩვეულებისამებრ“ თავს ესხმოდნენ ჩასაფრებული მეამბოხეები და სროლას უტეხავდნენ მტერს. მათ დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის რელიეფი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ხშირი, გაუვალი ტყეები და ჭაობიანი ადგილები. (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938 წ. გვ. 25-26).

ოდიშისა და აფხაზეთის მთავართა ერთობლივ გამოსვლას აღწერს თავის მოგზაურობათა წიგნში ვაჟარი ჟან შარდენი. მისი თქმით, XVII ს-ის II ნახევარში, 1672 წელს ოდიშის მთავარს ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზებისთვისაც მოუხმია. (შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975. გვ. 101). ცხადია, ამ პერიოდის წყაროები არ გამოირჩევა ჩვენთვის საინტერესო მასალათა სიუხვით, მაგრამ ამ მწირი ცნობებიდანაც კარგად ჩანს, რომ იმერეთის მეფე, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები დამპყრობლის წინააღმდეგ ერთმანეთთან მტკიცედ იყვნენ შეკავშირებულნი და ეს კონტაქტები, იმდენად ხშირი ყოფილა, რომ იგი, არც უცხოელთა ყურადღების მიღმა დარჩენილა.

განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ანტიოსმალური მოძრაობა XVIII საუკუნის I ნახევრიდან, როდესაც ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოს მიმართ გააძლიერა აგრესია. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, 1700-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეფემ და გურია-ოდიშის მთავრებმა უარი განუცხადეს ოსმალებს დამორჩილებოდნენ, მათი მაგალითით აფხაზეთის სამთავროც აჯანყდა. (ქართლის ცხოვრება, გვ. 866). ოსმალო მემატიანე მეჰმედ რაშიდიც ეხება ამ ფაქტს, მისი თქმით: ...„საქართველოს ქვეყნების მოსახლეობიდან დადიანის, გურიელის და აფხაზი აყანყებულები რამდენიმე წლის განმავლობაში უარს ამბობდნენ ჯიზიას[1] გადახდაზე და, ამას გარდა, თავს ესხმოდნენ და ძალას იყენებდნენ ისლამის ქვეყნების ზოგიერთი საზღვრის მიმართ“. (მეჰმედ რაშიდის ცნობები, თბ. 1976, გვ. 21). ოსმალური იურიდიული დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ეს ცნობები უფრო განვავრცოთ, ვგებულობთ, რომ „აჯანყებულ დადიანს“, რომელიც ხმელეთზე მოქმედებდა, ზღვის მხრიდან შეუერთდა „ქაფირი აფხაზი“. მათ გზები ჩაუკეტეს ზღვითა და ხმელეთით გამოგზავნილ პროვიანტის მიმწოდებლებს და სურსათი დაიტაცეს. ოსმალო ვაჭრები დახოცეს, ნავები დაწვეს. თავდასხმა მოაწყეს რუ-

1 ჯიზია — გადასახადი, დაწესებული დაპყრობილი ქვეყნის არამუსლიმი მოსახლეობისათვის.

ხის ციხის ოსმალთა გარნიზონზეც: 1709 წელს აჯანყებულმა აფხაზმა, მეგრელმა და სხვა ქართველმა ქაფირებმა დახოცეს ზაჰირეჯიები,[1] ხოლო მკვიდრ მოსახლეობას აუკრძალეს ურთიერთობა ოსმალო ვაჭრებთან. (ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თბ., 1982. დოკ. № 1, 2, 52, 58 და სხვ.). 1714 წელს მათ კვლავ დახოცეს „ისლამის ხალხი“ და განიზრახეს ბათუმში სავაჭროდ ჩამოსული ოსმალების გაწყვეტა. იგივე მდგომარეობაა 1720-იან წლებშიც. 1722 წელს „აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად“ შეკავშირდნენ, თავს დაესხნენ გონიოს, ბათუმის და ანაკლიის ციხეებს, ისინი თავს აფარებდნენ მათ გარშემო მდებარე სოფლებს. აჯანყებულები ჩეთეს ტიპის ნავებით ზღვის სანაპიროზეც მოქმედებდნენ. რუხის და ანაკლიის ოსმალო მეციხოვნეები ჩიოდნენ: „ვერაგი და ცბიერი ყაჩაღებისაგან მოსვენება არ არის“-ო. (იქვე, დოკ. № 18, 14, 15, 17, 51, 54); ანტიოსმალური აჯანყებით აღინიშნა 1725 წელიც. ქართული წყაროების მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობამ ალყა შემოარტყა სოხუმის ციხე-სიმაგრეს და შეეცადა დამპყრობელთა განდევნას. იმავე წელს ოსმალთა წინააღმდეგ აპირებდნენ გამოსვლას — ზურაბ აბაშიძე, ბეჟან დადიანი და რაჭის ერისთავი, მაგრამ მათი ჩანაფიქრი, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა. (საქ. ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. 1973 წ., გვ. 464) აფხაზეთის სამთავრო ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყდა 1728 წელსაც. თუმცა კი მათ ვერც ამჯერად შეძლეს სოხუმის ციხის აღება. ორი წლის შემდეგ, 1730 წელს, აფხაზეთის სამთავრო კვლავ მოიცვა აჯანყებამ. მიზეზი ამბოხებისა ის გახდა, რომ ფოთიდან ხახმელეთო გზით ჯიქეთზე მიმავალმა ოსმალებმა დაიკავეს აფხაზეთი და მისი მოსახლეობა გაამაჰმადიანეს. აჯანყებულები თავს დაესხნენ მტერს, დაამარცხეს და სამთავროს ფარგლებიდან განდევნეს. ამის შესახებ ცნობები ოსმალურ წყაროებშიც მოიპოვება, ირკვევა, რომ აჯანყების დროს აფხაზეთისა და გურიის მთავრები ერთობლივად მოქმედებდნენ. აფხაზეთის მთავარს როსტომს გაულაშქრავს სოხუმის ოსმალო მეციხოვნეების წინააღმდეგ და ოსმალეთის სასაზღვრო რაიონებამდეც მიუღწევია. მას ბრძოლაში ეხმარებოდა გურიის მთავარი და აჯანყებას ფართო სახე მიუღია. ი. ჰ. უზუნჩარშილი, ოსმალეთის ისტორია, ანკარა, 1959, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 126). ერთ-ერთი ოსმალური ისტორიული საბუთის მიხედვით კი, „ურჯულოებს“ (აფხაზებს) მწყობრიდან გამოუყვანიათ არხი, რომლითაც სოხუმის ციხე-სიმაგრე მარაგდებოდა სასმელი წყლით. ამის გამო სოხუმის ოსმალო მეციხოვნეებს შეუწყდათ წყლის მიწოდება და ისინი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილან, (კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი“, თბ., 1983, გვ. 124).

XVIII ს-ის ოსმალურ იურიდიულ დოკუმენტებში შემონახულია შემდეგი ცნობები: სოხუმისა და კიდევ ერთი სხვა ციხის მახლობლად მოსახლე აფხაზები და სხვა მოსახლეობა ზღვაზე თავს ესხმოდნენ ოსმალთა გემებს, ისინი იმალებოდნენ მდინარეების შესართავებთან, სადაც მტრის დიდი ზომის გემები ვერ აღწევდნენ. სტამბოლში, სასწრაფოდ უბრძანებიათ აეგოთ მსუბუქი ნავები სათანადო საბრძოლო აღჭურვილობით. (ოსმალური დოკ. წყაროები... დოკ. № 25, 26, 37, 65). წინააღმდეგობებით აღინიშნა 1780-იანი წლებიც, კერძოდ, 1732 წელს ოსმალო სერასქერი შემოიჭრა დასავლეთ საქართველოში და იმერეთის მეფე ალექსანდრე აიძულა თან წაჰყოლოდა სალაშქროდ აფხაზეთის სამთავროში. ვახუშტი ბატონიშვილი იმერეთის მეფის შესახებ წერს: „რა განვიდნენ მდინა-

1 ზაჰირეჯი — სურსათ-სანოვაგით მოვაჭრე.

რესა კოდორისასა... ესე შეუძნდა ალექსანდრეს და იმერთა და ღამესა მას დაუტოვეს ყოველნი სამძიმარნი თვისნი, წარმოვიდეს". ე. ი. ალექსანდრე მეფე გამოჰპარვია სერასქერს და არ გაჰყოლია იმერთა ლაშქრითურთ აფხაზეთის დასარბევად. საინტერესოა სხვა ეპიზოდიც: მას შემდეგ, რაც სერასქერს დაულაშქრავს აფხაზეთი, გაუმაჰმადიანებია მისი ზედაფენა და ტყვედ წაუსხამს მოსახლეობის ნაწილი, ამჯერად აფხაზეთის მთავარი წამოუყვანია ძალით იმერ-ოდიშის დასარბევად. აფხაზები კი: „განევილტნენ და უწყეს ღამით პარვა, კლვა კაცთა და კირთება ოსმალთა... მოსრეს ბანაკი ოსმალთა და აოტნეს... დაუტოვეს მაჰმადიანობა და დაიპყრეს აფხაზთა თვისივე სჯული" — გვაუწყებს ქართული მატიანე. (ქართლის ცხოვრება, გვ. 887).

მსგავსი ფაქტების მოხმობა კვლავაც შეიძლება, ვფიქრობთ, საკმარისია. აქ მოყვანილ მასალას თუ განვაზოგადებთ, დავინახავთ, რომ ამ პერიოდში ამბოხებები ეწყობოდა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ სისტემატური ხასიათი ჰქონდათ და ამ საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში მთელი დასავლეთ საქართველო — ყოველი სამეფო-სამთავრო ერთიანად მონაწილეობდა.

ზემოხსენებული ცნობები ჩვენთვის მრავალმხრივაა საინტერესო: ჩვენ შევიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს ბრძოლას უდიდესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ; იგი შემადგენელი ნაწილი იყო ამიერკავკასიის ქვეყნების ანტიოსმალური წინააღმდეგობისა, რომელიც ბოჭავდა, თავისკენ იზიდავდა დამპყრობლის ძალებს და ამდენად, ასუსტებდა კიდეც მათ. ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ თავისი არსით ეს ბრძოლა ეხმიანებოდა შავი ზღვის აუზის იმ ხალხთა ინტერესებს, რომელნიც ერთიანდებოდნენ ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ; აგრეთვე ისიც ცხადია, რომ თავდადებული, საერთო ბრძოლის შედეგად დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან არასოდეს გასცილებია ვასალური დამოკიდებულების ზღვარს, ქართველი მეფეები დამოუკიდებელნი იყვნენ საშინაო საქმიანობის სფეროში და მანვე მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რათა იმერეთის მეფეს — სოლომონ II-ს წარმატებით განეხორციელებინა ქართული ეროვნული პოლიტიკა.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ამ ბრძოლების ისტორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და სხვა მხრივ უფრო საგულისხმო და საყურადღებო. ჯერ ერთი, ეჭვგარეშეა, რომ ოსმალეთი, როგორც სიუზერენი, თავისი ვასალის — დასავლეთ საქართველოს უკლებლივ ყველა სამეფო-სამთავროს განიხილავს, როგორც ქართულ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულებს, მათ მოსახლეობას კი ქართველ ხალხად მიიჩნევს. მართლაც, მკვიდრი მოსახლეობა ოსმალურ წყაროებში ამგვარად მოიხსენება: „აფხაზები და მეგრელები სხვა ქართველ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ", „ოდიშისა და აფხაზეთის ქაფირები სხვა ქართველებთან ერთად შეკავშირდნენ" და სხვ. ე. ი. ოსმალეთის იმპერიაში ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ მისი ყმადნაფიცი ქვეყნის — დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მცხოვრებლები ქართველები იყვნენ და მათ შორის აფხაზებიც — ერთ-ერთ ქართველ ტომს წარმოადგენდნენ. მეორეც, ზემომოხმობილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ ოსმალებმა ვერც XVIII საუკუნეში შეძლეს აფხაზეთის სამთავროს სრული გამუსლიმება. წყაროების მიხედვით, აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობა ქრისტიანობის მაღიარებელი რჩებოდა და აფხაზთა მთავრები და თავად-აზნაურობა თავგამოდებით იცავდნენ ამ რწმენას. ოსმალებს უჭირდათ მაჰმადიანობის დანერგვა, და, თუკი ნაწილობრივ მაინც ახერხებდნენ ძალით გაემუსლიმებინათ აფხაზები, ეს უკანასკნელნი ყოველ ხელსაყრელ დროს უარყოფდნენ ხოლმე თავს მოხვეულ რწმე-

ნას და კვლავ ქრისტიანდებოდნენ, (ასე მაგ. ოსმალურ წყაროებში აფხაზებს და არა მხოლოდ აფხაზებს), როგორც წესი, წინ ერთვის ეპითეტი ქაფირი. ქაფირი ნიშნავს ურჯულოს, ე. ი. იმას, ვინც არაა მუსლიმი. ამ ეპითეტით ამკობდნენ ოსმალები დაპყრობილი ქვეყნების არამუსლიმ მოსახლეობას — ქრისტიანებს, თანაც ოსმალური წყაროების მიხედვით გურულების, მეგრელების და იმერთა მსგავსად, აფხაზებიც იხდიან არამუსლიმი მოსახლეობისათვის დაწესებულ გადასახადს — ჯიზიას. ამას გარდა, შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ ძალით გამუსლიმებული აფხაზები კვლავ „თავისივე სჯულს“ უბრუნდებოდნენ ხოლმე). ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ ამ პერიოდის (XVIII ს.) აფხაზეთში, სხვა ქართულ სამთავროთაგან შედარებით, უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა მაჰმადიანობის გასავრცელებლად, რადგანაც XVI-XVII საუკუნეებში სამთავროს ტერიტორიაზე ჩამოსახლებასა და დამკვიდრებას იწყებენ ჩრდილოკავკასიელი მთიელი ტომები, რომლებიც წარმართები იყვნენ. ერთის მხრივ, ამ მთიელთა მოჭარბებული შემოსევებისა და მეორეს მხრივ, მკვიდრი ქრისტიანი აფხაზების ამოწყვეტა-შემცირების გამო, სამთავროში ქრისტიანობის გავლენა ძლიერ შესუსტდა. ამ ვითარებას თითქოსდა საუკეთესო პირობები უნდა შეექმნა აქ ისლამის გასავრცელებლად, მაგრამ აშკარაა, რომ აღნიშნულ პერიოდში ოსმალებს მაინც უჭირთ ქრისტიანობის სრული აღმოფხვრა და სამთავროს გამუსლიმება. მკვიდრი მოსახლეობა ეწინააღმდეგება ამ პროცესს და ამის საუკეთესო მაგალითს თვით აფხაზი მთავრები და, საერთოდ ზედაფენა იძლევა. ისიც უნდა ითქვას, რომ ოსმალებმა, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, მასობრივად მხოლოდ დაბალი ფენების გამაჰმადიანება შესძლეს, თორემ აფხაზეთი თავად-აზნაურობა, არსებითად მუდამ ქრისტიანობის და ქართული კულტურის მალიარებელი რჩებოდა.

დაბოლოს, მესამეც: ოსმალეთის მიზანი იყო დაეპყრო ქვეყანა და დაემორჩილებინა ქართველი ხალხი. ამგვარად იდგა ეს საკითხი ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მსგავსად, აფხაზეთის მთავრისთვისაც ოსმალეთი საკუთარი ქვეყნის — საქართველოს დამპყრობელი იყო. მეზობელ პოლიტიკურ ერთეულში შემოჭრილი მტერი ყოველ მეფე-მთავარს ერთიანად მიაჩნდა საკუთარ მტრად. აფხაზი მთავრების სხვა ქართველ ხელისუფლებთან ერთად თანაბრად მონაწილეობდნენ საერთო მოძრაობაში და ასევე იცავდნენ ქართულ მიწა-წყალს უცხოთა აგრესიისაგან. ეს იყო ჩვეული მოვლენა, როდესაც ქვეყნის შინაგანი ერთობა მკაფიოდ ვლინდებოდა თავდაცვისუნარიანობის დროს. ასეთია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული საქართველოს ისტორიული სინამდვილე, რომელიც სხვადასხვაენოვან წყაროებში აისახა. სხვაგვარი თვალსაზრისი ამ ერთიანობის შესახებ ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ცნობილი არ არის, რასაც, ჩვენი აზრით, დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.[1]

ამრიგად, სრული სიცხადით შეიძლება ითქვას, რომ „აფხაზური პრობლემის“ მიზეზების წარმოსაჩენად არაა

---

1 აფხაზ მთავარ-ფეოდალთა სეპარატისტული გათიშულობა ჩვეულებრივი ფაქტი იყო შუა საუკუნეების საქართველოსთვის და სხვა ქართულ სამეფოებშიც შეინიშნებოდა. უფრო მეტიც, ამგვარი შული თანმდევი პროცესი იყო ფეოდალური საზოგადოებისა საერთოდ და ფეოდალიზმის ეპოქაში იგი ერთნაირად ახასიათებდა ყველა სახელმწიფოს. ამიტომ პოლიტიკური განცალკევებულობა ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი არ არის. მისი არსებობა ფეოდალური ქვეყნის შინაგანი ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს.

აუცილებელი საუკუნეთა სიღრმეებში წიაღსვლა და ისტორიული წარსულის განჩხრეკა. ამგვარი საქმიანობა ყოვლად უსაფუძვლოა, იგი შედეგს ვერ გამოიღებს. რადგანაც არანაირი დამამტკიცებელი ფაქტი ამისა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არ მოიპოვება. ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ამ „პრობლემის“ ძირებს ჩვენს უახლოეს ისტორიაში მოვიძიებთ, როდესაც შორს გამიზნული პოლიტიკური მოსაზრებები გეგმაზომიერად, საპერსპექტივოდ ისახებოდა და ხორციელდებოდა კიდეც. ეს იყო დრო, როცა ქართულ მიწას განზრახ ავსებდნენ სხვადასხვა ტომის ხალხებით, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა თავისი სამკვიდრო ადგილებიდან იყრებოდა და იხიზნებოდა, ხოლო ქართული ისტორიული პროვინციები კი სხვა — ახლადშექმნილი რესპუბლიკებისა თუ მოსაზღვრე სახელმწიფოების საკუთრებად ცხადდებოდა. თანაც, ამ აქციებს კანონის ძალა ეძლეოდა, იმ კანონისა, დღესაც რომ მძლავრობს საყოველთაოდ. იქიდან მოყოლებული „პრობლემას“ სიმწვავე როდი მოჰკლებია, პირიქუ, სხვადასხვა ობიექტური (ნაკლებად) და სუბიექტური (უმეტესად) მოვლენების ხელშეწყობით იგი სულ უფრო ღრმავდებოდა და დღეს ჩვენ უკვე იმ სახით მოგვახვიეს თავს, რასაც „უკიდურესად დაძაბული ეროვნებათაშორისი ურთიერთობა“ ჰქვია. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი სიტუაციის გაღრმავებას უპირველესად საქართველოშივე უწყობდნენ ხელს. ჩვენ ზემოთ გაუწყეთ, რომ ქართველ მეცნიერთათვის აფხაზეთის ისტორიის კვლევა ნებადაურთველ დარგად აქციეს. სამაგიეროდ ფართო გზა ჰქონდათ მიცემული საკუთრივ იმ მკვლევარებს, რომელნიც არა თუ განზრახ აყალბებდნენ საქართველოს ისტორიას, არამედ ცდილობდნენ საეჭვო მეცნიერული ღირებულებების მქონე ოპუსებში ქართველ მკვლევართა შრომები უსაფუძვლოდ განექიქებინათ. ქართველი მეცნიერნი კი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას პასუხი გაეცათ მათთვის. საბოლოოდ ამგვარი სურათის მოწმენი შევიქენით: აფხაზები, რომელთა წინაპრებმა 80-იან წლებში თავად აღიმაღლეს ხმა აფხაზეთის საქართველოსაგან დროებითი გამოყოფის წინააღმდეგ, დღეს უკვე საკუთარ თავს ეთნიკურად განსხვავებულ, დამოუკიდებელი ისტორიისა და წარსულის მქონე ხალხად წარმოგვიჩენენ და ცდილობენ ეს თვალსაზრისი მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტად გაასაღონ კიდეც.

იქნებ დროა სრული სახით გამოიცეს დღემდე გამოუქვეყნებელი ყველა ნაშრომი და ხელი მივყოთ საქართველოს (აფხაზეთის) ისტორიის საკითხების შემდგომ კვლევა-ძიებას? ალბათ აქედან უნდა დავადგეთ გზას სიმართლისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძე

# ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან

სანამ პირადად შეხვდებოდი ერეკლე ტატიშვილს, იგი უკვე გაცნობილი გყავდა ათასნაირი ლეგენდებით. რაღას არ გაიგონებდით: ეს იყო ცხოვრებაზე გულგატეხილი კაცი; თავის დროზე ისეთი რამ შემთხვევია, რომ საბოლოოდ გასცრუებია იმედი და ხელი ჩაუქნევია ყველაფერზე — ამქვეყნიური აღარაფერი სწამს, ცხოვრობს ერთ პატარა ოთახში, ყველასგან მოწყვეტილი, განმარტოებით, ახლოს არავის იკარებს. არის ღვთის მორწმუნე და მალულად დადის ეკლესიაში, საეკლესიო საბჭოს წევრიც კია. ეს იმ დროს გმირობა იყო და ძველი მარტვილების თავდადებას უტოლდებოდა. ახალგაზრდობაში უყვარდა ქალი და, რაკი ეს სიყვარული უიღბლო გამოდგა, სამუდამოდ შესძულებია ქალის სახსენებელი. დაუფლებულია რამდენიმე მეცნიერებას (სტამბოლში ექიმადაც უმუშავია), მაგრამ ნიჰილისტია და თვითონვე არაფერი სწამს იმ მეცნიერებებისა... რამდენიმე უცხო ენა იცის, ძალიან კარგი პედაგოგია, მაგრამ გულჩახვეულია, პირქუში, ცივი, მიუკარებელი, გაუღიმარი...

მგონი ყველაფერი ვერც კი ჩამოვთვალე, რაც იმ წლებში მასზე გამეგონა. ისეთ რომანტიკულ საბურველში ხვევდნენ, რომ უცნაური გრძნობა გეუფლებოდა — თან ფარული შიში გიპყრობდა და თან ესწრაფვოდი მასთან შეხვედრას.

ასეთი შიშით, და ამ შიშით დათრგუნვილი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი წარვსდექი მის წინაშე 1986 წლის 1 სექტემბერს, როგორც მისი სტუდენტი.

იქნებ იმიტომაც, რომ წინასწარ მომზადებული ვიყავი, პირველმა შთაბეჭდილებამ თითქოს დაადასტურა აქამდე გაგონილი — მართლაც პირქუში და გაუცინარი ჩანდა. მაშინვე ის გავიფიქრე — მეტისმეტი სითამამე ხომ არ გამოვიჩინე, რომ ამ ფაკულტეტზე შესვლა გადავწყვიტე-მეთქი. ჯერ შორიდან შევყურებდი, ჯერ აუდიტორიაში არ შევსულიყავი. კარი ღებული იყო და, რომ შევიხედე, კათედრასთან იჯდა, ადრე მოსულიყო. კარგად ჩანდა მისი სახე. იქვე იდგა ორი უფროსკურსელი სტუდენტი და ქაღალდის ფურცლებს ჩაჰყურებდნენ; გაფაციცებით ჩაჰკირკიტებდნენ, რაღაცას ამოწმებდნენ. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ—მათი ხმა ჩემამდე არ აღწევდა. ეცვა ძველებურად შეკერილი ჩესუნჩის კოსტიუმი (ძნელი სათქმელია, როდის იყო შეკერილი, მაგრამ მთელი იმ ათი წლის განმავლობაში, ზაფხულობით, ამ კოსტიუმს ატარებდა და დაძველება არც დასტყობია, მუდამ გაუთოებული და სუფთა ეცვა), პენსნე ეკეთა, შლიაპა იქვე კათედრაზე იდო. ერთი პირობა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, შეალო. საშუალო ტანის კაცი იყო. საშუალოზე ცოტა მომაღლოც. უკვე კარგად შეჭაღარავებული. მაგრამ თმა მხოლოდ საფეთქლებზე შერჩენოდა. ხარბი გაფაციცებით ვადევნებდი თვალს და ყოველ მის მოძრაობას გულში ჩემებურ შეფასებას ვაძლევდი. რომ წამოდგა, მარცხენა ხელი წელზე შემოიდო. ნაბიჯი მოკლე ჰქონდა, არამყარი, და იმაზე მეტი ხნისა ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ დროს იგი ორმოცდაათს ცოტათი თუ იყო გადაცილებული. დროდადრო პენსნეს მოიხსნიდა და აუდიტორიას გადახედავდა. დიდ აუდიტორიაში, კათედრისაგან მოშორებით მერხებზე ახლები ისხდნენ, პირველკურსელები, რაღაც გაურკვეველის მოლოდინში განაბულები; ჯერ ერთმანეთს არ იცნობდნენ, პირველად შეყრილიყვნენ ერთად და, როგორც ასეთ ვითარებაში ხდება ხოლმე, ცნობისმოყვარეობითა და ჩამოუყალიბებელი ინტერესით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ესენიც ადრე მოსულიყვნენ. ჩემს შემდეგ მო-

---

ფრაგმენტები მოგონებების წიგნიდან.

სულთაგან ზოგი პირდაპირ შევიდა, მერხებზე მსხდომთ შეუერთდა, ზოგი კი იქვე იდგა და შეღებული კარიდან იჭვრიტებოდა, შესვლა ვერ გადაეწყვიტა. როგორც იქნა, გაილია ის გაჭიანურებული წუთები. ერთ-ერთმა უფროსკურსელმა თითის მიყოლებით დათვალა აუდიტორიაში მსხდომნი, მერე კარებთან მოვიდა და, შემოდითო, გაგვიღიმა. კარებთანაც უკვე საკმაოდ მოგროვილიყვნენ ახლები. როცა ყველანი დავსხედით, ტატიშვილმა კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ მოავლო თვალი მერხებს და თქვა: აბა, ყმაწვილებო, ახლა გავარკვიოთ, ვის რომელ ენაზე სურს...

მაშინ ამაზე არ დავფიქრებულვარ, ეს ალბათ მერე გავიცნობიერე, რომ პირველი, რამაც ამ კაცთან დაკავშირებული დაძაბული მოლოდინი შეარბილა, მისი ხმა იყო. საოცრად ლამაზი ტემბრის დაბალი ბარიტონი ჰქონდა, რაღაცნაირი თანადგომისა და გულითადობის სირბილე დაჰკრავდა, და შეუძლებელი იყო, ამ ხმას კეთილად არ განეწყვე მის მიმართ. საერთოდ, ადამიანის ხმა ერთგვარი პასპორტია, რომელიც პირველი მოსმენისთანავე თითქმის უტყუარად გადმოგვცემს მის ხასიათსა და ბუნებას... მაგრამ მაშინ, რა თქმა უნდა, ამაზე არ მიფიქრია. მაშინ თითქოს ერთგვარი შვება ვიგრძენი, თითქოს ცოტათი მომეხსნა ის გაუცნობიერებელი დაძაბულობა.

ვის რომელ ენაზე სურსო, რომ იკითხა, ჩვენთვის გასაგები იყო, რას გულისხმობდა. ეს იყო დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრა — ფრანგულის, გერმანულისა და ინგლისურის განყოფილებებით — და სამივე განყოფილება მაშინ ერთ ჯგუფად ითვლებოდა. ბევრი საგანი — საქართველოს ისტორია, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ანტიკური ლიტერატურა, დასავლეთ ევროპის ხალხთა ლიტერატურა, მსოფლიო ისტორია, ფილოსოფია, ლათინური ენა და, საერთოდ, ყველა ჰუმანიტარული საგანი ერთად გვეკითხებოდა. რაც შეეხება სპეციალურ ენებსა და ლიტერატურას, ესე იგი — ფრანგულს, გერმანულსა და ინგლისურს — ცალ-ცალკე ასწავლიდნენ და მისი შეკითხვაც ამას ეხებოდა. მართალია, უნივერსიტეტში შესვლისას განცხადებაში თითქმის ყველას ჰქონდა მითითებული, რომელ ენასა და ლიტერატურას ირჩევდა სპეციალობად, მაგრამ ახლა კიდევ ერთხელ ამოწმებდნენ, კიდევ ერთხელ გეძლეოდა საშუალება, შენი გადაწყვეტილება შეგეცვალა. აქ სხვა რამაც უნდა გაგერკვიათ. ინგლისურზე შესვლის მსურველი ძალიან ცოტა იყო; შედიოდნენ, უმთავრესად, გერმანულზე. ნაწილობრივ ფრანგულზეც, ეს ალბათ იმიტომ, რომ საშუალო სკოლებში უმთავრესად გერმანულს ასწავლიდნენ, აქა-იქ ფრანგულსაც, ინგლისურს კი თითქმის არსად. მგონი, სულაც არსად. და ახლა ერთგვარი აგიტაცია იყო საჭირო, რომ გადაენაწილებინათ, ინგლისური განყოფილებაც შეევსოთ. ესეც უნდა ითქვას, ევროპული ენებისა და ლიტერატურის სექციაზე საერთოდ უხალისოდ შედიოდნენ, ცოტა მსურველი იყო. მაშინ ცალკე ფაკულტეტიც არ არსებობდა. საერთო ფილოლოგიურ ფაკულტეტში შედიოდა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექცია ერქვა.

ერთი სიტყვით, იმ სიების დაზუსტებისა და კიდევ ერთხელ შემოწმების ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, ინგლისური განყოფილება შეევსოთ. ამას გარდა, იქვე იყვნენ ის ყმაწვილებიც, რომელთაც ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართულ განყოფილებაზე სურდათ შესვლა, მაგრამ რაკი იქ უფრო მეტი კონკურსი იყო, ქულები დააკლდებოდათ და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექციაზე მიეწერათ. ახლა ისიც უნდა გარკვეულიყო, ამათგან ვინ რომელ ენასა და ლიტერატურას ირჩევდა.

ტატიშვილი ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მაგრამ ამავე დროს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგე იყო — სამივე ენა ჩინებულად იცოდა — და ამიტომ ცალკეული ენებისა და ლიტერატურის მიხედვით სწორედ ის ანაწილებდა — რაღა თქმა უნდა, სტუდენტების სურვილის მიხედვით.

როგორც იყო, მორჩნენ სიების დაზუსტებას, ამასობაში ზარიც დაირეკა. ასე დამთავრდა ჩვენი უნივერსიტეტში ყოფნის პირველი საათი. გაირკვა, ვინ რომელ ჯგუფში რჩებოდა და ცალ-ცალკე აუდიტორიებში დაგვანაწილეს.

დაიწყო მეორე საათი, პირველი ლექციის მეორე საათი. ენის თითო ლექცია ორ-ორ საათიანი იყო და პირველ-მეორე კურსზე ყოველდღიურად ორი ლექცია გვქონდა, ესე იგი ოთხ-ოთხი საათი. ერთს თვითონ ტატიშვილი გვიტარებდა და მეორეს ინგლისელი ქალი, გვარად ჯონსონი, რუთ ჯონსონი. მაგრამ ახლა ქმრის გვარს ატარებდა — მეგდისოვს. ახალგაზრდა რომ იყო, თურმე გუვერნანტად წამოიყვანეს, მოხვდა მდიდარი სომხის — მეგდისოვის ოჯახში და მერე მასვე მისთხოვდა. ჩვენს დროს უკვე დაქვრივებული იყო, ხანში შესული. ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც აქაურ რუსზე გათხოვილიყო.

ერთი სიტყვით, დაიწყო პირველი ლექციის მეორე საათი. ამჯერად უკვე პატარა აუდიტორიაში შეგვიყვანეს — სულ ათიოდე კაცი აღმოვჩნდით ინგლისურ განყოფილებაზე. ზარი რომ დაირეკა, თითქმის მაშინვე შემოვიდა ტატიშვილი. ხელით გვანიშნა, დასხედითო, თავისი განუყრელი რბილი, ყვითელი ტყავის პორთფელი კათედრაზე დადო, გვკითხა, რვეულები ხომ გაქვთო, თვითონ დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო, წინასწარ გაგვაფრთხილა — რასაც დაფა-

ზე დავწერ, თქვენ გადაიწერეთო. და ცარცით წერა დაიწყო.

მე — და ალბათ სხვებიც ყველა — გაფაციცებით ვადევნებდით თვალს ყოველ მის მოქმედებას. ბუნებრივია, ვეშურებოდით გაგვეგო, ბოლოს და ბოლოს როგორი იყო ეს კაცი, ვისთანაც ხუთი წელი უნდა გაგვეტარებინა. მისმა პირველივე მოქმედებამ ცოტა არ იყოს დაგვაბნია. მოველოდით, რომ ჯერ გაგვეცნობოდა, რაიმეს გამოგვკითხავდა, საუბარს ჩაგვიტარებდა საერთოდ საუნივერსიტეტო განათლების და კერძოდ უცხო ენის მნიშვნელობაზე... ძალიან ბუნდოვანი იყო ჩვენი წარმოდგენა, თუ რას გაგვკვეთებდა ის პირველ ლექციაზე, მაგრამ ამას კი არაფრის დიდებით არ მოველოდით. ვერ გეტყვით ამან — ჩვენი მოლოდინის გაცრუებამ — გული დაგვწყვიტა თუ გაგვახარა, რადგან ეს რეაქციაც ისეთივე ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, როგორც ჩვენი მოლოდინი. რვეულები გადავშალეთ და დაფიდან გადმოწერა დავიწყეთ ლათინური ასოებით გამოყვანილი სიტყვებისა. ახლა უკვე იმან გაგვაკვირვა, რომ წინასწარ ანბანი არ გვასწავლა — პირდაპირ სიტყვები ჩამოგვიწერა ,ოცდაათამდე სიტყვა წაგვაწერინა, მარტივი სიტყვები იყო. გადაწერას რომ მოვრჩით, გაგვაფრთხილა, რომ ყურადღებით ვყოფილიყავით — იგი წაგვიკითხავდა ამ სიტყვებს და ჩვენ უნდა გამოთქმა დაგვემახსოვრებინა. უნდა ვცდილიყავით, როგორმე კარგად დაგვემახსოვრებინა, რადგან ინგლისური დამწერლობა რთულია: ის, რასაც წერ, სულ სხვაგვარად გამოითქმის, მისი ფონეტიკური შესატყვისი ზოგჯერ დიდად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, წინასწარ გაგვაფრთხილა — არ ჩაგვენიშნა, თუ როგორ გამოითქმოდა ესა თუ ის სიტყვა. მკაცრად გაგვაფრთხილა. ორჯერ წაიკითხა თავიდან ბოლომდე ეს სიტყვები, ძალიან ნელა, მკაფიოდ, და მერე სათითაოდ წაგვაკითხა. თავად ისე მკაფიოდ კითხულობდა, რომ განმეორება არ გაგვძნელებია.

ამის შემდეგ ქართულად გვითხრა რამდენიმე მარტივი წინადადება, რომლებიც ჩვენ ინგლისურად უნდა გვეთარგმნა — იქვე, გაკვეთილზე. ახლაც მახსოვს ეს წინადადებები: „ჩემი პატარა ძმა არის დიდ ოთახში", „მამაჩემი არის ბაღში", „მე მყავს ოთხი ძმა და ერთი და", „სად არის დედათქვენი, ისიც ბაღშია?" „არა, ის ბაღში არ არის, ის სამზარეულოშია"... და დაირეკა კიდეც ზარი. დაგვავალა, იმ სიტყვებიდან, რაც ჩვენ რვეულებში ჩავიწერეთ, ხვალისათვის შეგვედგინა ექვსექვსი წინადადება. ამგვარად, ჩვენ უკვე ავლაპარაკდით. პირველსავე გაკვეთილზე! ძალიან გახარებული ვიყავით, თავადაც გვიჭირდა დაჯერება, რომ უკვე ინგლისურად ვლაპარაკობდით...

იმავე დღეს კიდევ ერთი მოულოდნელი სიხარული გველოდა. მეორე ლექციაც, როგორც უკვე ითქვა, ინგლისური გვქონდა. ამჯერად ინგლისელ ქალთან. და რაკი ადრევე ვიცოდით, რომ ინგლისელი იყო, ძალიან ცივსა და ქუშ ადამიანს ველოდით, რატომღაც — ასეთი ყალბი წარმოდგენა იყო — და დღემდეც არის — ინგლისელებზე. ახლაც სასიამოვნოდ გაგვიცრუვდა მოლოდინი. ეს ჩვენი მასწავლებელი, იშვიათად რომ შეხვდები, ისეთი ალერსიანი გამოდგა. თვალები ერთთავად უცინოდა, უღუღუნებდა. საშუალო ტანის სრული ქალი იყო, უკვე ხანში შესული, მაგრამ არა ძალიან ხუცი — ხალისიანი, ცელქი. ქართული ხომ არაფერი გაეგებოდა და არც რუსული იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ შვილიშვილები რუსები ჰყავდა. ორი მკვირცხლი ბიჭი იყო, ზოგჯერ მოაკითხავდნენ ხოლმე ბებიას. არ ვიცი, რუსული როგორ იცოდნენ, ინგლისურად კი თავისუფლად მეტყველებდნენ. ერთი სულ პატარა იყო მაშინ — ეშმაკი, ეშმაკი. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობდით და მერე და მერე ვცდილობდით ინგლისურად გამოვლაპარაკებოდით. გულიანად იცინოდა ჩვენს ინგლისურზე. ძალიან უშუალოდ და ლაღად გაზრდილი ბავშვი იყო. უფროსი მამას ჰგავდა — მამასაც შევხვედრივართ. პატარა ბიჭი არა ჰგავდა რუსს — ბებიამისს უფრო მიამგვანებდით, ალბათ ისიც ასეთი იქნებოდა პატარაობისას.

ერთხელ...

ეს 1937 წლის შემდეგ იყო. ამ დროისათვის ჩვენი მასწავლებლის ქალიშვილი უკვე დაეპატიმრებინათ და ბავშვები ბებიის ანაბარა იყვნენ. საშინელ დღეში იყო საბრალო ქალი, არავის იცნობდა, ენა არ იცოდა, ცალკე შვილის ამბავი აწუხებდა, ცალკე შვილიშვილები დააწვნენ, ლექციებით დატვირთული იყო და წუთი რა არის — თავის დღეში ერთი წუთიც არ დაუგვიანია ლექციებზე. თუმცა უნივერსიტეტიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა. ეტყობოდა, დარდი სჭამდა. ალბათ თავადაც ეშინოდა, არ დამიჭირონო. ეს ჩვენთვის არ უთქვამს, მაგრამ აშკარად შეეტყო — ეს ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ქალი განადგურდა, თვალში ნაპერწკალი ჩაუქრა. თუმცა ცდილობდა, არ შეემჩნია. თანდათანობით გახდა და გაიცრიცა, ეტყობა, უკვე შეპარვოდა საშინელი სენი. მაგრამ თავსაც არ უტყდებოდა, თვალები კვლავ ღიმილიანი ჰქონდა, თუმცა სევდა მორეოდა მის ნაცრისფერ თვალებს. თავს არ უტყდებოდა იმიტომ, რომ უფლება არა ჰქონდა ავადმყოფობისა უცხო ქვეყანაში უთვისტომოდ დარჩენილს. ძმა კი ჰყავდა ინგლისში, მაგრამ იმ წლებში ძმასთან მიწერ-მო-

წერაც გაძნელებული ექნებოდა, თუ სულ შეწყვეტილი არა. სიბერეში ნოსტალგია მოსძალებოდა, განსაკუთრებით ახლა, ამ პირობებში. ჩვენთან არ ამჟღავნებდა სამშობლოს ასე მტკივნეულ მონატრებას — ესეც კი საშიში იყო — მაგრამ ყველაფრით ეტყობოდა. როცა რაიმე მხატვრულ თხზულებას გვიკითხავდა და ლონდონის რომელიმე უბანს, ან ქვეყნის რომელიღაც კუთხეს შევხვდებოდით, თვალები გაუბრწყინდებოდა და ახლა უკვე თავად აგვიწერდა იმ ადგილსა თუ კუთხეს — გატაცებით, უცნაური დეტალებით, იმასაც გვეტყოდა, მისი ცხოვრების რაიმე ეპიზოდი თუ იყო დაკავშირებული ამ კუთხესთან. ერთხელ, მახსოვს, რომელიღაც თხზულებაში ბიგ-ბენს შევხვდით და მაშინ მოაყოლა სიტყვას ხევდიანად — საათს ყოველთვის ინგლისის რადიოზე ვასწორებო. ომამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა რადიომიმღებით ინგლისის დაჭერა. სამშობლოს ხევდიან სიყვარულს ამით იკლავდა... შვილიშვილების ბედი აწუხებდა. დედის დაპატიმრების შემდეგ პატარა ბიჭს უფრო ხშირად ვხვდებოდით ხოლმე — მას სულ არ შესტყობია არც უდედობა და არც რაიმე წუხილი, ძველებურად მხიარული და ეშმაკი იყო...

და, აი, ერთხელ — ეს იქნებოდა ალბათ 1940 წელი — რუსთაველის პროსპექტზე შეგვხვდა მე და ალექსანდრე საჯაიას, ბებიაცა და პატარა შვილიშვილიც. მუდამ უნივერსიტეტში ვხვდებოდით ხოლმე და ქუჩაში გამოსული პირველად ვნახეთ. გაეხარდა, გამოგველაპარაკა, ამბავი გვკითხა. ამ დროს საჯაიას უკვე დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი. უცებ წაავლო ხელი საჯაიამ ამ პატარა ბიჭს და იქვე მაღაზიისაკენ გააქანა. ბებიამაც და მეც გაკვირვებულებმა გავაყოლეთ თვალი. ლაღიძის წყლების გვერდით პატარა მაღაზია იყო, საათებს, ფოტოაპარატებს და ამისთანა რაღაცეებს ყიდდნენ. დიდი ხანი არ გასულა, რომ ვხედავ, მაღაზიიდან ჯერ ის პატარა ბიჭი გამორბის გახარებული, ხელში ფოტო-აპარატი უჭირავს. „გრანი! გრანი!“ შორიდანვე ეძახის ბებიას და აპარატს უჩვენებს. უკან საჯაია მოჰყვება, თვალებგაბრწყინებული და ბედნიერი, რომ ასეთი სიკეთის გამოჩენის საშუალება მიეცა. ცოტათი რომ დამშვიდდა ბიჭი, ახლა საჯაიას შესძახა — Mad! Mad! You mad!

— „გიჟი! გიჟი! გიჟი ხარ!“... სხვაგვარად ვერ მოახერხა დიდი სიხარულისა და მადლიერების გამოხატვა...

ინგლისელი ქალი უმთავრესად ტექსტებს გვაკითხებდა და ცოცხალ მეტყველებას გვაჩვევდა. მარტივი ტექსტებიდან დაგვაწყებინა. მაგრამ ეს მარტივი ტექსტებიც ძალიან საინტერესო იყო. ეს არ ყოფილა უცხოელებისათვის საგანგებოდ გამარტივებული ინგლისური ტექსტები, უმთავრესად საბავშვო წიგნები იყო, ინგლისური სკოლების დაწყებითი კლასების საკითხავი წიგნები. აქ მოთხრობილი იყო ისტორიულ პირთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, ძალიან ცოცხლად და მიმზიდველად დაწერილი. ასე გავეცანით უოლტერ სკოტის, ბერნსის, დიკენსის, სვიფტის ბიოგრაფიებს, მათი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს, ზოგჯერ კურიოზულსა და სასაცილოსაც. ზოგიერთი ეპიზოდი დასურათებულიც იყო. ახლაც ცოცხლად მახსოვს ნელსონის სურათი — როგორ ეთხოვება სასწავლებელში წასვლის წინ პატარა ნელსონი თავის ბებიას. მისი სიტყვები ტრაფალგარის ბრძოლის წინ: England expects that everg man will do his duty... (ინგლისი მოელის [მოითხოვს], რომ ყოველი ინგლისელი თავის ვა მოიხდის). მგონი არ მეშლება.

ეს ქალბატონი ბავშვური გატაცებით გვიკითხავდა — ესე იგი ზეპირად გვეუბნებოდა — ძალიან ლაღსა და მიმზიდველ პატარა საბავშვო ლექსებს, რითაც მდიდარია ინგლისური ფოლკლორი. და, საოცარია, ზოგიერთი მათგანი წააგავს კიდეც ჩვენს ხალხურ ლექსებს — ვთქვათ, „თხა და ვენახს“, „რწყილსა და ჭიანჭველას“... წააგავს არა შინაარსით, არამედ ხასიათით, აღნაგობით... გვიკითხავდა ამ ლექსებს და ღიმილით აჟუჟუნებულ თვალებზე ცრემლები უბრწყინავდა. ზოგჯერ საბავშვო ფოლკლორის პერსონაჟთა სახელებს ჩვენს სტუდენტებს შეარქმევდა — ან ფიზიკური, ან სახელის ფონეტიკური მსგავსების მიხედვით და ამით, გარდა იმისა, რომ სახალისოდ მიმდინარეობდა გაკვეთილი, სტუდენტებსაც იშინაურებდა, იახლოვებდა; ჩვენ ვგრძნობდით, როგორი მშობლიური სიყვარულით უყვარდა მას ეს ახალგაზრდები — რომელთა ენა არ იცოდა, რომლებიც სავსებით უცხონი იყვნენ მისთვის. ერთი მორჩილი ტანის გოგონა გვყავდა — თინა ერქვა სახელად, იმას „ტაინიტინა“, ესე იგი პაწაწინა, ნამცეცა (Tiny აგრეთვე საბავშვო ფოლკლორის პერსონაჟის ეპითეტია) თინა დაარქვა. ერთ ჩვენს სტუდენტს პეტრე ერქვა, ძალიან კეთილი ბიჭი იყო საწყალი, მერე ომში დაიღუპა — იმას პიტა-პაიპას ეძახდა. ეს პიტა-პაიპა (Peter-piper) ინგლისელი ბავშვებისათვის ძალიან საყვარელი საბავშვო ლექსის პერსონაჟია. piper სალამურზე დამკვრელს ნიშნავს და ამ ბიჭს მართლაც საყვარლად გამობერილი ლოყები ჰქონდა... ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამით მარტო თავის კეთილ დამოკიდებულებას კი არ გამოხატავდა ახალგაზრდა სტუდენტების მიმართ, ამით გონებაში მტკიცედ გვჭედობდა უცხო სიტყვები (ამ შემთხვევაში — ting, piper, რომელთაც შემდეგ ვეღარაფერი ამოშლიდა მეხსიერებიდან.

რა საყვარლები იყვნენ ჩვენი მასწავლებ-

ლები! სკოლიდან უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილი ახალგაზრდისათვის მუდამ ძნელია ეს მძაფრი ცვლილება — პატარაობიდანვე შეჩვეულ მასწავლებლებს და სკოლის გარემოს მოშორება, სადაც ყველაფერი ძალიან ახლობელია, ძალიან მშობლიური და თბილია, და ერთბაშად ოფიციალურ გარემოში მოხვედრა, სადაც პირველ ხანებში, სანამ შეეჩვეოდე, ამხანაგებიც უცხონი არიან, მასწავლებლებიც გარკვეული ჯებირით თქვენგან დაშორებულნი; შემოვლენ, ლექციას წაიკითხავენ და გავლენ; შეიძლება ისე დაამთავროს ერთი საგანი, რომ თქვენი სახელი და გვარიც არ იცოდეს, მხოლოდ გამოცდის დროს მატრიკულით გაიგოს თქვენი გვარი.

ჩვენ ეს უხერხულობა არ გვიგრძნია. ჩვენ პირველი დღიდანვე მოვხვდით ძალიან თბილსა და მშობლიურ გარემოში. ერეკლე ტატიშვილმა პირველი დღიდანვე იცოდა ჩვენი სახელი და გვარი — საოცარია, საგანგებოდ თითქოს არც კი უკითხავს — და ყოველთვის სახელით მოგვმართავდა ყველას. ერთხელაც არ მახსოვს, გვარით მოემართოს. იგი იცნობდა არა მარტო უშუალოდ თავის სტუდენტებს, თავის ინგლისურ ჯგუფს, არამედ გერმანული და ფრანგული ჯგუფის სტუდენტებსაც. თავისთავად ესეც კი ძალიან თბილ, სასურველ ატმოსფეროს ქმნიდა. და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მძიმე ოცდაათიანი წლები...

მერე და მერე უფრო რთულ ტექსტებზე გადავედით. მოკლე ტექსტი იქნებოდა თუ ძალიან დიდი, სულერთია, მუდამ ჩვენს რვეულებში უნდა გადმოგვეწერა. ეს სავალდებულო იყო. ამას თვითონ ტატიშვილი უწევდა კონტროლს. სხვათა შორის, თავად ერთხელაც არ დასწრებია ინგლისელი ქალის ლექციას; ეტყობა, ერიდებოდა ამას — შემოწმებასავით რომ არ გამოსულიყო. მაგრამ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, როდის რას ვსწავლობდით და ვინ როგორ სწავლობდა. როგორც ითქვა, სწორედ ის მოითხოვდა დაბეჯითებით, რომ ტექსტები უსათუოდ გადმოგვეწერა. მახსოვს, ასე გადმოვიწერეთ თითქმის მთელი „დავით კოპერფილდი“, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკას, სადაც ტატიშვილისვე რეკომენდაციით ვიყავით ჩაწერილი, ამ წიგნის რამდენიმე ინგლისური ეგზემპლარი ჰქონდა. ისედაც იშოვებოდა — მაშინ ბუკინისტებთან ხშირად შეხვდებოდით შესანიშნავ ინგლისურ წიგნებს. დიკენსი განსაკუთრებით უყვარდა ჩვენს ინგლისელ მასწავლებელს. იქნებ იმიტომაც, რომ დიკენსის რომანებში ხშირად ხვდებოდა თავის საყვარელ ბავშვობისდროინდელ ადგილებს, და დიდ ნეტარებასაც განიცდიდა; როცა გვიკითხავდა, ან გვაკითხებდა, ბავშვივით იცინოდა და თან თვალებზე ცრემლები მოადგებოდა ხოლმე. ასეთი გახლდათ ჩვენი ქალბატონი რუთ ჯონსონი-მეგდისოვა, ჩვენი ტკბილად მოსაგონარი ინგლისელი მასწავლებელი. რამდენიმე თაობა აღზარდა მან და მეტ დაფასებასაც მოითხოვს ჩვენგან... ბოლოს საშინელი სენი შეეყარა და მალე [illegible]. მაშინ ჩვენ უკვე დამთავრებული გვქონდა უნივერსიტეტი... მაგრამ ისევ დაწყებულ საუბარს დავუბრუნდეთ.

მეორე დღეს და შემდგომ დღეებშიაც ტატიშვილი [illegible] იმავე წესით გვასწავლიდა სიტყვებს, ჯერ საშინაო დავალებებს შეგვიმოწმებდა, ყურადღებით, გულმოდგინედ — ზეპირად გვათქმევინებდა შინ შედგენილ წინადადებებს და მერე ჩვენს ნაწერს წაიკითხავდა, ჩაასწორებდა. ბოლოს დაფაზე ჩამოგვიწერდა ახალ სიტყვებს და ჩვენ რვეულში გადავიწერდით — ახლაც ისე, როგორც პირველ ლექციაზე: ჯერ თავად წაიკითხავდა ორ-ორჯერ, მერე ჩვენ წაგვაკითხებდა სათითაოდ ყველას. ამის შემდეგ ჩვენ თვითონვე ვადგენდით და ვთარგმნიდით წინადადებებს, ოღონდ უსათუოდ უნდა გამოგვეყენებინა წინა ლექციებზე შესწავლილი სიტყვები. ეს სავალდებულო იყო, ამას მტკიცედ მოითხოვდა. ასე რომ, ერთი კვირის, თუნდაც ერთი თვის წინათ შესწავლილი სიტყვები მუდამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქტიურ მოქმედებაში იყო და, საბოლოოდ, სტუდენტებს მტკიცედ ებდობოდათ მეხსიერებაში.

სულ მალე გადავედით მარტივსიუჟეტიანი ტექსტის შედგენაზე. ლექციებზე ვადგენდით ასეთ ტექსტებს და საშინაო დავალებადაც გვაძლევდა. მგონი, ორი თვე არც კი იქნებოდა გასული, რაც სწავლა დავიწყეთ, — ამასობაში სიტყვების საკმაო რაოდენობა დაგვიგროვდა, — და, აი, ერთ დღეს გამოგვიცხადა, მოთხრობა უნდა წავიკითხოთ და ვისწავლოთო. გაკვირვებულებმა ყურებს არ დავუჯერეთ — ნუთუ უკვე შეგვეძლო ინგლისური მოთხრობის წაკითხვა?!

ეს უკვე ზეიმი იყო. პერიოდულად გვქონდა ხოლმე ასეთი პატარა ზეიმები. ეტყობა, საგანგებოდ აწყობდა ამას, რომ გარკვეული დროის შემდეგ რაღაცნაირი საზეიმო განწყობილება შექმნილიყო. იქნებ ესეც ერთ-ერთი წინასწარ მოფიქრებული ხერხი იყო, რომ სწავლის ხალისი არ გაგვნელებოდა! ამ დროს ჩვენი მასწავლებელი განსაკუთრებით საზეიმო განწყობილებით მოვიდოდა. ვერ ვიტყვი, რითი იყო განსხვავებული იმ დღეს, მაგრამ აშკარად უფრო დიადი და ბრწყინვალე ჩანდა...

ერთი სიტყვით, გამოგვიცხადა, დღეს მოთხრობას ვსწავლობთო. წიგნი აიღო, გადაშალა, დაფასთან მივიდა და იმ წიგნში არც კი ჩაუხედავს, ისე დაგვიწერა ცარცით. მოთხ-

რობა, როგორც მოგახსენეთ, პატარა იყო, სახუმარო, სულ რამდენიმე სტრიქონს შეიცავდა. და იუმორი აგებული იყო ზმნის რთულ ფორმაზე. ეს გრამატიკული ფორმები ჩვენ ჯერ კარგად არ ვიცოდით, მაგრამ სიუჟეტური სიმარტივის გამო, მოთხრობა მაინც ადვილად გავიგეთ; სიტყვები ნაცნობი იყო — წინა დღეებში გვასწავლა, წინასწარ საგულდაგულოდ მოამზადა ნიადაგი მოთხრობის შესწავლისათვის. იგი ცდილობდა, პირველი ინტერესი, რაც სტუდენტებში გააღვივა, არ ჩამქრალიყო, მუდამ ხალისიანი ყოფილიყო გაკვეთილები.

მართლაც, ძალიან ხალისიანად მიდიოდა მეცადინეობა. ჩვენ მთელის ცხოველმყოფელობით ვგრძნობდით, როგორ თანდათანობით შევდიოდით მანამდე სავსებით უცნობ სამყაროში. როგორც საღამოს ბურუსიდან თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით გამოიკვეთება ხოლმე ვარსკვლავები, ისე ეხდებოდა ფარდა და თანდათანობით ელვარება ემატებოდა ჩვენთვის მანამდე დაფარულ იდუმალ განძს. და სიხარულით ვივსებოდით იმის შეგრძნებით, რომ მარტო მჭვრეტელები კი არ ვყოფილვართ ამ ზღაპრული სილამაზისა და სიმდიდრისა, არამედ თითქოს პირველაღმომჩენები ვიყავით მისი. ასეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა ტატიშვილის გაკვეთილებზე.

ასეთი სიხარულით, მახსოვს, ბავშვობაში „ბუნების კარს“ ვკითხულობდი. მას შემდეგ ჩვენი თაობის ხალხს ბევრი უსიამოვნო და კურიოზული ექსპერიმენტის გამოვლა მოუხდა სკოლაში, რაც ბავშვს თავიდანვე აძულებდა საგანს და საერთოდ სწავლას.

ეს სულ სხვა იყო. აქ სწავლა სახალისო იყო — სწავლობდი და გიხაროდა, როგორც სასიამოვნო აღმოჩენები ახარებს ხოლმე ადამიანს. მოუთმენლად ელოდი, როდის მოხდებოდა კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა...

რით აღწევდა ამას ტატიშვილი?

უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, თვითონ პიროვნება იყო... მიძნელდება ერთი სიტყვით დავახასიათო. ღრმა? საინტერესო? გულითადი? თბილი? მომხიბლავი? თანამდგომი?.. ყველა ეს თვისება მართლაც ჰქონდა მას. მაგრამ ჰქონდა კიდევ რაღაც სხვა, რითაც ყოველი შეხვედრისას გავლენას ახდენდა შენზე. როგორც ბიოდენები, ისე გადმოდიოდა რაღაც უხილავი ძალა. არ მინდა ვთქვა, გამდიდრდება-მეთქი — ეს შაბლონური და ტლანქი გამოხატვა იქნებოდა სათქმელისა. მაგრამ რაღაცნაირად გავსებდა, დაგაფიქრებდა; გეხმარებოდა, რომ შენი თავი შეგეცნო და პიროვნებად ჩამოყალიბებულიყავი, ადგილს გაპოვნინებდა ცხოვრებაში; ხელს გიწყობდა, რომ რაიმე საინტერესოსათვის მიგეგნო, რაც შემდეგ, რაგინდ მძიმე განსაცდელი შეგხვედროდა, ცხოვრებას გაგიადვილებდა, გაგამძლიერებდა. თანაც ეს ხდებოდა არა შეგონებით, არა ჭკუის დარიგებითა და ნოტაციებით, არამედ თითქოს თავისით, შენ ვერც კი ამჩნევდი, ისე...

მო, ეს იმას მოვაყოლეთ, როგორ აღწევდა ტატიშვილი, სწავლა ხალისიანი და სიხარულის მომგვრელი ყოფილიყო...

უცხო ენის შესწავლის ერთი სიძნელე ის არის, რომ უმთავრესად უინტერესოდ ასწავლიან, თუ დაკვირვებიხართ, მემუარებში — როცა სკოლის წლებს იგონებენ ხოლმე — თითქოს პირი შეუკრავთო, ყველაზე მოსაბეზრებლად უცხო ენების გაკვეთილებს მოიხსენიებენ ხოლმე და ყველაზე კურიოზულები უცხო ენის მასწავლებლები არიან. ახლა ეს საქმე გაუმჯობესებულია, მაგრამ ჩვენი თაობის ადამიანებს ახსოვთ, როგორ ასწავლიდნენ უცხო ენებს სკოლებში, რა მოსაბეზრებელი იყო გრამატიკის ზუთხვა და რა უინტერესო — ტექსტები, რასაც გრამატიკასთან ერთად ასწავლიდნენ. მარტო სკოლებში კი არა, უმაღლესი სასწავლებლების იმ ფაკულტეტებზედაც, სადაც უცხო ენა მაპროფილებელი საგანი არ იყო. ერთი მეგობარი მიამბობდა — იმ წლებში იგი ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდა — რა ტექსტებს გადიოდნენ ფრანგულის გაკვეთილებზე. „ხარ შენ ზღვა?“ — ეკითხება პედაგოგი სტუდენტს. „არა, მე არა ვარ ზღვა. მე ვარ ხე“. როგორც ვხედავთ, პედაგოგი ორ უცხო სიტყვას ასწავლის ამ დროს. „ვინ არის ზღვა?“ გრძელდება დიალოგი. „ჩემი ძმა არის ზღვა“. „არის შენი ძმა ხე?“ „არა, ის არ არის ხე, ის არის ზღვა“. „ვინ არის ხე?“ „მე ვარ ხე“... როგორც ვხედავთ, ეს დასაწყისი სტადიაა ენის შესწავლისა. და ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მოსწავლეს თუ სტუდენტს სწავლის ინტერესი გაუქრეს. ვინმეს იქნებ მოეჩვენოს, რომ აქ მოტანილი მაგალითები უტრირებულია. მაგრამ მე თვითონვე გამომიცდია. ასპირანტურაში რომ შევედი, სავალდებულო იყო კიდევ ერთი უცხო ენის შესწავლა. დავიწყე ფრანგული. იმდროინდელი ცნობილი პედაგოგები გვასწავლიდნენ, უნივერსიტეტის ლექტორები. და ასეთივე მაგალითების მოტანა შემიძლია. ახლაც ყურში მიდგას ათასჯერ დასმული შეკითხვა და პასუხი: „კეს-კ-ილ-ია ოტურ დე ლ-ოდიტუარ?“ „ოტურ დე ლ-ოდიტუარ ილ-ია კატრ მიურ“ („რა არის აუდიტორიის გარშემო?“ „აუდიტორიის გარშემო არის ოთხი კედელი“).

ასეთი იყო იმდროინდელი სახელმძღვანელოებიც.

ყველა დიდი მეცნიერი უსათუოდ პოეტიაო, ტატიშვილს უყვარდა თქმა. არ ვიცი, ენის სწავლება რა რანგის მეცნიერებას შეიძლება

მიეკუთვნოს, მაგრამ ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, შემოქმედებაა და უსათუოდ სიყვარული სჭირდება, გულის რაღაც ნაწილი უნდა დაუთმო. პედაგოგს კი იმის უნარიც უნდა შესწევდეს, სხვასაც შეაყვაროს საგანი. ერეკლე ტატიშვილის ლექციებზე გვავიწყდებოდა, რომ ეს ენის გაკვეთილი იყო. უცხო ენა თითქოს საშუალება იყო, რათა სულ ახალი და ახალი საინტერესო ამბები გაგვეგო. განათლებული ადამიანისათვის იმ აუცილებელ ცოდნას იძენდი, რაც სკოლაშივე უნდა მიეღო ადამიანს, მაგრამ ჩვენი სკოლა ასეთ ცოდნას არ იძლეოდა. ენის ლექციებზე, ტატიშვილთან, თქვენ სწავლობდით ბერძნულ მითებს, ეცნობოდით შუა საუკუნეების განთქმულ თქმულებებს — ართურის ციკლის ამბებს, ბიოვულფის, გრაალის ციკლის თქმულებებს, ინგლისის ისტორიის ნოველებივით დაწერილ სხვადასხვა ეპიზოდებს, ძველი და ახალი აღთქმის იგავებს — იოსებისა და მისი ძმების ამბავს, დავითისა და საულის, სამსონისა და დალილას თავგადასავლებს, იაკობის სიზმარს... ჩამოთვლაც კი ძნელია; შერჩევით სწავლობდით ათას ერთი ღამის ზღაპრებს, დაწვრილებით ეცნობოდით ვასკო და გამას, კოლუმბის, მარკო პოლოს მოგზაურობებს... რას აღარ. საგანგებოდ შეარჩევდა ხოლმე ისეთ წიგნებს, სადაც ეს ამბები იყო გადმოცემული. იყენებდა პალმერისა და უესტის დიდებულ სახელმძღვანელოებს, ზოგიერთს თავად ადგენდა. თანაც, ეს მოთხრობები ისე იყო შედგენილი, რომ ახალ-ახალი, თქვენთვის ჯერ უცნობი სიტყვები თანდათანობით შემოდიოდა. როგორც უკვე ითქვა, წინა მოთხრობებში, ანუ წარსულ გაკვეთილებზე შესწავლილ სიტყვებს ყველა მომდევნო მოთხრობებში ხვდებოდით, სულ სხვა კონტექსტებში, სხვადასხვა სიხშირით. მერე და მერე ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა მოთხრობები და ლექსები დაგვაწყებინა. ადაპტირებული ტექსტები არ უყვარდა — ერჩივნა, ცოტა წაგვეკითხა, ოღონდ ტექსტი გაუმარტივებელი ყოფილიყო. ჩვენ თვითონ შეგვარჩევინებდა, რომელი ავტორის ლექსი გვსურდა და ზეპირად გვასწავლიდა. ერთხელ, მახსოვს, ინგლისური პოეზიის ანთოლოგია მოიტანა — ასეთი ანთოლოგიები ინგლისში ბევრი გამოდიოდა, სულ სხვადასხვა ფორმატის, სხვადასხვა მოცულობის და სხვადასხვა გემოვნებით შედგენილი — და წაგვაკითხა, მერე კი დასაზეპირებლად მოგვცა რომელიღაც უცნობი ავტორის ლექსი: იგი სევდიანი განწყობილებისა იყო, განშორების სევდას აღგიძრავდა. ნავსადგურიდან გადის გემი და ნაპირზე მდგომთ სევდა მოიცავთ. წაგვიკითხა და გადმოგვხედა — შეამოწმა, როგორ იმოქმედა ჩვენზე ლექსმა. მერე გვითხრა, ხომ გამოგიცდიათ, რა აუხსნელი სევდა შემოგაწვებათ ხოლმე, როცა მიმავალ მატარებელს დაინახავთ, თუნდაც მასში თქვენთვის ძვირფასი ადამიანი არც კი იჯდეს... ახლა უკვე ძნელი გასაგებია ეს განწყობილება — რეაქტიული თვითმფრინავის დანახვა, რომელსაც საშინელი ხმაურიც თან ახლავს, მხოლოდ უსიამოვნო მღელვარებას იწვევს. საგულისხმოა, რომ ამ დროს ჩვენ ვსწავლობდით ერთი, ჩვენთვის უკვე ცნობილი სიტყვის ახალ მნიშვნელობას. და ამ ლექსში იყო სტრიქონი, სადაც ამ სიტყვას ერთადერთი, სწორედ ეს — ჩვენთვის ჯერ უცნობი მნიშვნელობა ჰქონდა. და საგულისხმოა ისიც, რომ ლექსიდან სწორედ ის ფრაზა დამამახსოვრდა. „right sad we were"... აქ, კონტექსტში, სწორედ იმ სევდის სიღრმეს, ანუ ლექსის მთელ განწყობილებას განგვაცდევინებს ეს სიტყვა. ასე მარჯვედ შეარჩევდა ხოლმე ტექსტს. და ასე ხალისიანი იყო გრამატიკის გაკვეთილები.

ტექსტებს, როგორც ითქვა, რვეულებში ვიწერდით. ჯერ დაფიდან. მაგრამ თანდათანობით იზრდებოდა ეს ტექსტები. ზოგჯერ მოზრდილი წიგნი იყო გადასაწერი. და თუ მხოლოდ ერთი ეგზემპლარი ჰქონდა ამ წიგნისა და მეტი არა, პირველად ალექსანდრე გამყრელიძეს გადასცემდა, ჯერ ის გადაიწერდა. მერე ალექსანდრე რიგრიგობით გვათხოვებდა და ახლა ჩვენ გადავიწერდით. ეს ყველაფერი წინასწარ ხდებოდა, იმ ვარაუდით, რომ როცა ამ წიგნის შესწავლას დავიწყებდით, ტექსტი ყველას გვქონოდა. სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ვთქვა, რომ ალექსანდრე გამყრელიძე — შემდეგში ცნობილი მეცნიერი — ყველაზე უფრო დაახლოებული იყო მასთან ჩვენი თაობიდან. ამ გამორჩეულად ბეჯითმა და გულმოდგინე სტუდენტმა, პატიოსანმა, პირდაპირმა და სამართლიანმა ადამიანმა, ბოლომდე ერთგულა თავის მასწავლებელს; ერთი ბეწო შური არავის მიმართ არა ჰქონია და მზად იყო ყველას დახმარებოდა. ასე გაატარა მან მთელი თავისი სიცოცხლე და სწორედ პირდაპირობასა და სამართლიანობას შეეწირა ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი. რამდენი გააკეთა ქართული კულტურისათვის და რამდენის გაკეთება შეეძლო კიდევ.

ტატიშვილი ცდილობდა გაეღვივებინა სტუდენტებში დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების უნარი, გამოემჟღავნებინა მისი შესაძლებლობის მაქსიმუმი და, რაც ჩემის აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შთაეგონებინა და გაეძლიერებინა მისთვის საკუთარი თავის რწმენა. უკვე მეორე კურსის დასასრულს იგი გვაძლევდა ზოგად თემებს, ვთქვათ: „ჩემი გმირი", „ჩემი საყვარელი მწერალი", რომელიმე ლიტერატურული თხზულების ჩვენეული გადმოცემა... ლექციაზე ვისხდით და

ვწერდით, ვის როგორ მოგვიხერხდებოდა. ორ საათში უნდა დაგვემთავრებინა. მერე წამოკრეფდა ჩვენს ნაწერებს და წაიღებდა — შინ უნდა გაესწორებინა, როგორც სკოლის მასწავლებელს. ხალისით აკეთებდა ამას. დღემდე შემომრჩა ორი ასეთი თემა, მისი ხელით გასწორებული. გასწორება ენობრივ შეცდომებს შეეხებოდა, სხვა მხრივ იგი არაფერს გვისწორებდა. ჩვენ თანდათანობით ვრწმუნდებოდით, რომ იგი ყველაფერს არათუ დაუზარლად, არამედ სიყვარულით აკეთებდა. საგნის, ანუ თავის საქმის სიყვარულით და ახალგაზრდობის სიყვარულით. იგი მონაწილე გახლდათ ჩვენი შრომისა, ჩვენი სიხარულისა და გულდაწყვეტისა.

ერთხელ დამავალა რეფერატი თუ მოხსენება წამეკითხა ინგლისურად რომელიმე ისტორიულ პირზე, ან რაიმე მოვლენაზე საქართველოს ისტორიიდან. ამ დროს ჩვენ მესამე კურსზე ვიყავით. მე რატომღაც გიორგი სააკაძე ავირჩიე. იმ ორსაათიან ლექციაზე ერთი საათი მე მეთმობოდა — ჩემი სათქმელიც უნდა მომესწრო და შეკითხვებზეც მეპასუხა, თუკი ვინმეს ექნებოდა შეკითხვები. მოხსენებას იმ ჩვენ ათკაციან აუდიტორიაში ვკითხულობდი, ჩვენს კურსზე. იმ ეპოქას და თვით სააკაძის მოღვაწეობას საკმაოდ ვიცნობდი. ახლა კიდევ ერთხელ წავიკითხე „დიდმოურავიანი“, ანტონ ფურცელაძის მონოგრაფია და „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ადგილები... თან ვკითხულობდი და თან გონებაში ინგლისურ შესატყვისებს ვურჩევდი, თეზისებიც ჩამოვიწერე. მაგრამ ერთი დიდი შეცდომა მომივიდა — მოხსენება არ დავწერე. და დავისაჯე კიდეც. დადგა მოხსენების დღე. ზარი დაირეკა. შემოვიდა ტატიშვილი და კათედრისაკენ მიმითითა, თვითონ კი სტუდენტების მერხზე დაჯდა. შევდექი კათედრაზე, წარმოვთქვი წინასწარ მოფიქრებული რამდენიმე წინადადება და უკვე მივხვდი ჩემს შეცდომას — ის, რაც გონებაში თითქოს ლაღად ჩამოვაყალიბე, ადვილი წარმოსათქმელი არ აღმოჩნდა, ზეპირი ლაპარაკის დროს სიტყვების შერჩევა ჭირდა, საგანგებოდ უნდა მეძებნა გონებაში. ამას მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ნავარაუდევი მქონდა. აზრი ქართულად ლაღ დინებად მოდიოდა გონებაში, მაგრამ ინგლისური გაუვალ ჯებირად ხვდებოდა მას და ძალიან მძიმედ ატარებდა. და როცა ამას მივხვდი, ნერვიულობა დავიწყე. ამან კიდევ უფრო გაართულა საქმე, უფრო გაძნელდა გონებაში საჭირო სიტყვების ძებნა. ზარი დაირეკა. დერეფნიდან შემოდიოდა შესვენებაზე გამოსული სტუდენტების მხიარული ჟრიამული. რას არ მივცემდი ახლა, მეც იმათ შორის ვყოფილიყავი! მაგრამ მე კათედრაზე ვიდექი — აწურული, დაღლილი, იმის შეგნებით შეწუხებული, რომ ჯერ სათქმელის ნახევარიც არ მეთქვა. ცალი თვალით გადავხედე. მანიშნა, განაგრძეო. ესე იგი, ლექცია გადაება — შესვენებაზე გარეთ არ გვიშვებდა. ხდებოდა ხოლმე ზოგჯერ ასე. არადა, მერჩივნა დასასვენებლად გავსულიყავით, იქნებ შესვენების დროს უფრო ადვილად მომეყარა თავი დაფანტული სათქმელისათვის, შემეკუმშა და დანარჩენი ნაწილი მოკლედ მეთქვა. ეს ახლა ვეღარ მოხერხდებოდა და მეც განვაგრძობდი. დროდადრო ბატონ ერეკლეს გადავხედავდი. ის თითქოს თვალს მარიდებდა, სახეზედაც ვერაფერს ვატყობდი, ვერც წყენას, ვერც გაბრაზებას. თუმცა, საერთოდ, თავისი გრძნობების გამოხატვას არ ერიდებოდა ხოლმე. და როცა შეატყო, მეორე საათიც არ იკმარებსო, შეამოკლეო, მითხრა. ვიცოდი, რისი ნიშანიც იყო ეს, მაგრამ ახლა ჩემთვის ხსნა გამოდგა. რამდენიმე წინადადებით მოვჭერი ჩემი ბედუკუღმართი ლექციის დასასრული და კათედრიდან ჩამოვედი. სტუდენტები დიდი მოთმინებით მისმენდნენ. ახლა კი უხერხული დუმილი ჩამოვარდა — აღარ ვიცოდი, მერხზე დავმჯდარიყავი თუ იქვე ვმდგარიყავი, კათედრის გვერდით. ისევ ალექსანდრე გამყრელიძემ მიხსნა, ჩემმა საშამ — რაღაც შეკითხვა მომცა. ეს მართლაც ხსნა იყო და ერთბაშად შვება ვიგრძენი. ამან თითქოს მართლაც დაამსგავსა ჩემი მოხსენება რაღაცას, უფრო სერიოზული გამოდგა, რაკიღა მსმენელთა ასეთი ინტერესი გამოიწვია. საოცარია, შეკითხვას უფრო რიხიანად ვუპასუხე, აღარც სიტყვების შერჩევა გამჭირვებია. ცოტა შვება ვიგრძენი. საშა დაუცხრომელი კაცი იყო — ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა, შემომედავა. და ესეც მოუხდა საქმეს. ამასობაში ზარიც დაირეკა. ბატონი ერეკლე წამოდგა. სტუდენტებიც წამოიშალნენ. „Well“, ეხლა თქვა, პორთფელი აიღო, ქუდი დაიხურა და კარისაკენ გაემართა. მეტი აღარაფერი უთქვამს — არც კარგი, არც ცუდი. ოღონდ სანამ აუდიტორიიდან გავიდოდა, ორჯერ შედგა, თავი მოაბრუნა და შემომხედა. ჩვენ უკვე ვიცნობდით ამ მოძრაობის შინაარსს — ეს მოჩვენებითი საყვედური იყო, ხუმრობაგარეული საყვედური. ნამდვილ საყვედურს იგი უფრო შეუკავებელი აღშფოთებით გვეტყოდა ხოლმე. ამას კი საყვედური არც ეთქმოდა; ან არა-და, რბილად გამოთქმული საყვედური იყო, ხუმრობასავით. მითუმეტეს, მეორეჯერ რომ გამომხედა. უკვე კარგად ვიცნობდით ჩვენს მასწავლებელს. და თვითონვე იცოდა, რომ ჩვენ ყველაფერს ვგრძნობდით.

ხშირად არა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა დაუვალებია: ესა თუ ის მოთხრობა, რაც ინგლისურად უკვე გვასწავლა, ქართულად დაგვეწერა, — სრულიად შეუზღუდავად,

როგორც გვინდოდა ისე, რა ფორმითაც ჩვენ თვითონ გვერჩივნა. ამას არც ასწორებდა, იქვე წაგვაკითხებდა ხოლმე. ეს ხდებოდა პირველ ხანებში, როცა ჯერ კარგად არ გვიცნობდა, და სურდა გაეგო, როგორ ვიყავით დაუფლებული წერით მეტყველებას ქართულში. ამით იმასაც გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენგან იგი ქართულის კარგ ცოდნასაც მოითხოვდა და ნიადაგს ამზადებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმისათვის.

ვგულისხმობ იმ შემოქმედებით-ლიტერატურულ საღამოებს, რასაც ერეკლე ტატიშვილი უფროსკურსელი სტუდენტების მონაწილეობით მართავდა. ეს საღამოები დიდ აუდიტორიებში ტარდებოდა ხოლმე, დიდძალი ხალხი ესწრებოდა და საზეიმო იერი დაჰკრავდა, ერთგვარი ანგარიში იყო ყოველი წლის ბოლოს. სტუდენტები ინგლისურად კითხულობდნენ რეფერატებს ამა თუ იმ ინგლისელი თუ ამერიკელი მწერლის შემოქმედებაზე, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კითხულობდნენ საკუთარ თარგმანებს.

სამზადისი ადრევე იწყებოდა და ყველა კურსი მონაწილეობდა. დიდ ფაცაფუცში იყვნენ, საგულდაგულოდ ამოწმებდნენ მონაწილეთა სიებს, რათა არავინ გამორჩენილიყო, ვისაც კი მონაწილეობა შეეძლო, გული არავის დაწყვეტოდა. ყველა მღელვარებით მოელოდა ამ საღამოს და საგულისხმო ისაა, რომ თვით ჩვენს მასწავლებელსაც ეტყობოდა მღელვარება. სწორედ ეს უნერგავდა ყველას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას. ერთი კვირით ადრე უნივერსიტეტის შესასვლელში, გამოსაჩენ ადგილზე, გამოაკრავდნენ ლამაზად გაფორმებულ აფიშებს — დაწვრილებით იყო აღნიშნული რეფერატების თემები და მონაწილეთა სახელები და გვარები.

ასეთ საღამოებს ის სიკეთეც ჰქონდა, რომ ამ დროს უფრო კარგად ხდებოდა დაახლოება სხვადასხვა კურსელთა შორის. სტუდენტებს თანდათან უმუშავდებოდათ ერთგვარი თანადგომისა თუ სოლიდარობის გრძნობა. ამას თავად უწყობდა ხელს. საგანგებო აგიტაცია არასოდეს გაუწევია, მაგრამ მთელი თავისი მოღვაწეობით შთაგვაგონებდა ამას. თქვენ გულთან მიგქონდათ არა მარტო თქვენი კურსელების წარმატება ან მარცხი, არამედ სხვებისაც — თქვენი წინა თუ მომდევნო კურსელებისაც. ეს თითქოს ერთი მტკიცე ოჯახი იყო და ყველა ამ ოჯახის წევრად გრძნობდა თავს.

ბატონი ერეკლე დიდი ყურადღებით, — ყურადღებით და მოთმინებით, — მთელის სერიოზულობით ისმენდა ყველა გამოსვლას. ბავშვივით უხაროდა, როცა ვინმე კარგად გამოვიდოდა და აუდიტორიასაც მოეწონებოდა, და ბავშვივითვე მტკივნეულად განიცდიდა, თუ ვისიმე რეფერატი სასურველ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. ერთხელ ამგვარ საღამოზე რეფერატი წაიკითხა გამოსაშვები კურსის სტუდენტმა. ენა კი იცოდა ამ ქალმა, მაგრამ გამოთქმა ჰქონდა ცუდი — რაღაცნაირი ზლაზვნით და გაწელვით გამოთქვამდა სიტყვებს. სხვათა შორის, ქართულად მეტყველების დროსაც ჰქონდა ეს ნაკლი. ინგლისურში ეს უფრო თვალშისაცემია. მაგალითად, „ბაირონს“ ინგლისელები შეკუმშულად გამოთქვამენ, სიტყვის ბოლო ხმოვანი „ო“ თითქმის არც კი გამოითქმის და პირველი ორი ხმოვანიც შეკუმშულია. ეს სტუდენტი კი თითქოს საგანგებოდ გაწელავდა ხოლმე — ბ-ა-ი-რ-ო-ო-ნ“. ქართულადაც კი უხერხული გამოდიოდა და მით უმეტეს ინგლისურად. მოხსენება ინგლისელ რომანტიკოსებზე ჰქონდა და ამ სახელის გამეორება ხშირად უხდებოდა. ასევე გამოთქვამდა სხვა სიტყვებსაც. მოხსენება გრძელი არ ყოფილა, მაგრამ ასეთი მეტყველების გამო მეტისმეტად გაჭიანურებული გამოჩნდა. სტუდენტმა — სხვათა შორის, იგი არც ისე ახალგაზრდა იყო, — თავად იგრძნო ეს და ძალიან შეწუხდა. ტატიშვილს, რაღა თქმა უნდა, იმ დღეს არაფერი უთქვამს, და არც შემდეგ, მგონი. მაგრამ გულში, ეტყობა, ხინჯად ჩარჩა. აკი ითქვა — თავისი სტუდენტების წარმატება თუ მარცხი მუდამ გულთან მიჰქონდა ხოლმე. იმ საღამოს, რაღა თქმა უნდა, სხვებიც გამოვიდნენ რეფერატებით, თარგმანებით. ზოგი — კარგად, ზოგიც — შედარებით სუსტად, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი. იმ საღამოს შთაბეჭდილებები უკვე განელდა, აღარავინ ლაპარაკობდა მასზე. და ერთ დღეს ბატონი ერეკლე (იგი საპროფესოროდან გამოვიდა, ერთად წავედით აუდიტორიისაკენ) მეუბნება: „ხედავ, კაცო, რა გვიყო კიროვმა?“.. სახტად დავრჩი, ყურებს ვერ დავუჯერე. გამიკვირდა, რომ ჩვენმა მასწავლებელმა ასეთ საგანზე დამიწყო ლაპარაკი — ჯერ უმცროსი კურსის სტუდენტი ვიყავი; ეს ხდება 1937 წელს. ამ დროს ხალხი ჩუმჩუმად ლაპარაკობდა, რომ ეს საშინელი რეპრესიები კიროვის მოკვლამ გამოიწვია. და მეც ასე გავიგე მისი სიტყვები. იმიტომაც გამიკვირდა — ჯერ მას ასეთი გულახდილი საუბარი არა ჰქონია ჩვენთან. შემატყო, რომ გაოცებული დავრჩი — ალბათ იმას ვერ მიხვდა, რაც მე ვიფიქრე, მაგრამ განაგრძო დაწყებული სიტყვა: „გამოთქმა კი ცუდი აქვს, მაგრამ თავის დღეში ასე არ მოსვლია“. ერთბაშად მივხვდი ყველაფერს, და ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გადამეხარხარა. საქმე ის არის, რომ იმ სტუდენტს, რომელმაც იმ დღეს რეფერატი წაიკითხა, კვიროსი ერქვა და ბატონი ერეკლე შემოკლებით „კირო“-ს ეძახდა. ეს საუბარიც მას და მის იმდღევანდელ მოხ-

სენებას შეეხებოდა — მან თურმე მითხრა „რა გვიყო კირომაო“, და მე ვერ გავიგე. აქამდე გულში დარჩენოდა ის ტკივილი.

იგი თამამად ანდობდა ახალგაზრდებს დიდ საქმეს და ბოლომდე ყურადღების არეში ჰყავდა. ერთი ასეთი შემოქმედებითი სალამოს წინ — ამ დროს უკვე მესამე კურსს ვამთავრებდი — დამავალა ნაწყვეტის თარგმნა „რომეო და ჯულიეტადან“. ეს ასეთ ვითარებაში მოხდა. ინგლისური პოეზიის ერთ-ერთ ანთოლოგიაში დაბეჭდილი იყო ე. წ. აივნის სცენა „რომეო და ჯულიეტადან“. ამ ანთოლოგიიდან ჩვენ რომელიღაც ლექსი ვისწავლეთ. გადავშლიდი თუ არა წიგნს, თითქოს განგებო, სწორედ ის ფურცელი მომხვდებოდა, რომელზედაც შექსპირის ეს ნაწყვეტი იწყებოდა. ერთხელ ჩემი მეგობარი ალექსანდრე საჯაია იყო ჩემთან. იგი წინა კურსზე სწავლობდა, მაგრამ ჩვენ თითქმის სულ ერთად ვიყავით. ზოგჯერ ერთმანეთის ლექციებსაც კი ვესწრებოდით, და ლექციების შემდეგ უნივერსიტეტიდან ერთად წამოვიდოდით ხოლმე. და აი, ალექსანდრე საჯაიას ვეუბნები — აბა, ერთი ვცადო, ამის თარგმნას თუ მოვახერხებ-მეთქი. ამ დროს მე მარკ ტვენის ერთი პატარა მოთხრობა მქონდა თარგმნილი, ლექსი ჩემს დღეში არ მეთარგმნა და არც დამეწერა. დავიწყე პირველი სტრიქონის თარგმნა, მაგრამ, ბუნებრივია, გამიძნელდა. ორიოდე სტრიქონი ვთარგმნე და, რომ დავრწმუნდი, არ გამოდიოდა, თავი მივანებე. და იქნებ არც არასოდეს მივბრუნდებოდი, თუ არა ეს შემთხვევა. იმავე ხანებში დიდ შემოქმედებით სალამოს ამზადებდნენ. ჩვეულებრივ, უფროსკურსელები — ესე იგი, მეოთხე-მეხუთე კურსელები გამოდიოდნენ. საქმე იმ ეტაპზე იყო, უკვე მონაწილეთა სიებს აზუსტებდნენ. სალამოში მონაწილეობდა მაშინ მეოთხეკურსელი ალექსანდრე საჯაია — მას უნდა წაეკითხა შელისა და ლონგფელოს თარგმანები. და საჯაიას ბატონი ერეკლესთვის უთქვამს ჩემზე — „რომეო და ჯულიეტას“ ნაწყვეტს წაიკითხავსო, ოღონდ თავად არ სურს გამოაჩინოს და მას ნუ ვკითხავთ, პირდაპირ შევიტანოთ სიაში, ფაქტის წინაშე დავაყენოთო. ბატონ ერეკლეს გახარებია ეს და მართლაც, უკვე აფიშას ამზადებდნენ — ათი დღის შემდეგ სალამო უნდა გამართულიყო — რომ ტატიშვილი მეუბნება, შენ შექსპირის ნაწყვეტს წაიკითხავო. მაშინვე მივხვდი, ვინ ეტყოდა ამას — გამოგიტყდებით, გულის სიღრმეში გამიხარდა კიდეც. მაგრამ მეშინოდა — ჯერ ერთი, როგორი გამოვიდოდა თარგმანი, და მეორეც — მოვასწრებდი კი ამ ათ დღეში? ნაწყვეტი დიდი არ იყო, მაგრამ, როგორც ითქვა, ორიოდე სტრიქონი მქონდა თარგმნილი. როგორც მოგახსენეთ, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე საჯაიამ მოაწყო. იგი მუდამდღე ჩამჩიჩინებდა, მოსვენებას არ მაძლევდა, მომეკიდა ხელი, მაგრამ ვერ გამებედა, ვერ გადამეწყვიტა და, აჰა, ეს ხერხი მოიგონა.

მოახლოვდა სალამოც. წინა დღით ტატიშვილმა მითხრა, აბა, ერთი მაჩვენე, როგორი გაქვს თარგმნილიო. წაიკითხა, კარგიაო, მითხრა. ერთი სიტყვაც არ ჩაუსწორებია. ალბათ გამიფრთხილდა, არ დავაფრთხოო, თორემ ჩასასწორებელი, რაღა თქმა უნდა, ბევრი იყო. დღემდე შემომრჩა თხელი რვეული, რომელშიაც ეს ნაწყვეტი მქონდა ჩაწერილი. დღემდე ცოცხლად მახსოვს ის სალამო. მომეჩვენა, თითქოს ტატიშვილმა განსაკუთრებული ხაზგასმით გამოაცხადა, შექსპირის პიესიდან ერთ სურათს წაიკითხავს მესამე კურსის სტუდენტიო.

ზემოთ ითქვა, საოცრად რბილად გამოხატავდა იგი საყვედურს. იცოდა გაბრაზებაც, მაგრამ ხშირად არა. უმეტესად ასე, ხუმრობით... თუ არ ვიცი, რა დავარქვა ამას: „საპრისტი! საპრისტი!“ მოჩვენებითი მრისხანებით იტყოდა ხოლმე და ეს იმის ნიშანი იყო, რომ უნდა დამჯდარიყავი. თუ ვერ მიუხვდებოდი და არ დაჯდებოდი, დააყოლებდა: „სიტ! სიტ! სიტ დაუნ ფორევერ!“ — დაჯექი დაჯექი და აღარც ადგეო. „საკრამენტო!“ — ამ სიტყვას ერთხელ წარმოთქვამდა და თვალებს ზეაღაპყრობდა — თითქოს, რა ამაოა ყველაფერიო. „კვირიკეთში, კვირიკეთში, უკვე ჩახვედი კვირიკეთში, კვირიკეთში ხარ!“ — ამას რომ იტყოდა, უკვე ცუდად იყო საქმე. იცოდა წამღერებაც და ეს უკვე მართლაც ხუმრობასავით იყო.

რი-ი-ი რა რა რა,
რი-იი რა რა რა
რი რა რა რა რა რა...

„ვალპურგის ღამიდან“ წაუმღერებდა ხოლმე ვალსს, მაგრამ რატომღაც ერთ ტაქტს ყოველთვის გამოტოვებდა. ალბათ განგებ, უფრო რომ გასმოდა ხაზი ხუმრობას, თორემ სმენა კარგი ჰქონდა. ამ წამღერებით იმას გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენ ადვილად წარმოგვედგინა სწავლაცა და ცხოვრებაც, და ისეთ მოჩვენებით ნეტარებაში ყოფნა გვერჩივნა, რა განწყობილებასაც ეს მუსიკა ქმნის. როცა შეგვატყობდა, წინა დღით მეგობრულ სუფრასთან გაგვეტარებინა დრო და გაკვეთილი კი მომზადებული არა გვქონდა, მაშინ წაიმღერებდა ხოლმე ამას. ქართულადაც იცოდა წამღერება — „ჭრელი კაბა შეგიკერავს“... როცა უფრო გაუბრაზდებოდა გოგონებს, მაშინ — „მონასტერში! მონასტერში, ოფელია!...“

იგი არაფერს გვიშლიდა — არც მეგობრულ ქეიფსა და დროსტარებას, არც თეატრში სიარულს, თუნდაც ლექციის ხარჯზე (ჩვენ ხომ მესამე კურსიდან ლექციები სალამოობით გვქონდა). უსათუოდ შეგატყობდა მეორე დღეს

და გაგრძნობინებდა, შეგატყვეო. ამ დროს გაკვეთილს არა გვკითხავდა. ერთ დღეს გაკვირვებული ამბობდა ერთ-ერთ პროფესორზე: „მაგონილა, თავის ასპირანტებს უთვალთვალებს თურმე, თეატრში ხომ არ დადიანო!.. ერთი გამოუტეხია კიდეც, წუხელ ოპერაში ვიყავიო... ხედავ, რა ხდება?!".

იგი ცდილობდა, საერთო განათლება მიეცა სტუდენტისათვის, მარტო თავისი საგნით არ იზღუდებოდა.

მახვილი თვალი ჰქონდა, საკმარისი იყო, ერთი შემოეხედა და მაშინვე მიხვდებოდა შენს სულიერ მდგომარეობას — ან რაღაც გაწუხებდა, ან რაღაცას გაეხარებინე, ან რისიმე გეშინოდა. ზარი რომ დაირეკებოდა და შემოვიდოდა, ჩვეულებრივ, გადახედავდა სტუდენტებს, მიესალმებოდა და იმდენი ადამიანის გამომეტყველებაში ხელადვე გამოარჩევდა, ვთქვათ, შენს განსაკუთრებულ, უჩვეულო განწყობილებას. ამოიღებდა წიგნს, რომელიც იმ დღეს ლექციაზე სჭირდებოდა და ახლა უფრო დაკვირვებით შემოგხედავდა, თავის პირველ შთაბეჭდილებას შეამოწმებდა, მაგრამ სხვებისთვის შეუმჩნევლად, თითქოს არაფერია — და შენ იგრძნობდი, რომ იგი მიხვდა. გამოკითხვას და ნუგეშისცემას არ დაგიწყებდა. ლექციის დამთავრების შემდეგ პორთფელს აიღებდა, ქუდს დაიხურავდა და კარისაკენ რომ გაემართებოდა, სანამ სტუდენტები წამოიშლებოდნენ, ერთხანს დაყოვნდებოდა (ეს ჩვეულებადაც ჰქონდა, თუ გაბრაზებული არ იყო), თვითონვე რაღაცნაირად ისე მოახერხებდა, რომ შენ მიახლოვებოდი; მხარზე ხელს დაგადებდა, საპროფესოროსაკენ გაგაცილებინებდა თავს, და შენ იგრძნობდი როგორ სასურველ თანაგრძნობად დუღდა სხეულში მისი ხელის სითბო. თავად კი ამ დროს სავსებით ორდინარულ რამეზე გელაპარაკებოდა.

მძიმე წლები იყო. ყოველ გათენებას სულ ახალი და ახალი საშინელებანი მოჰქონდა. ქუჩებში შეწუხებული, შეჭირვებული, გაწბილებული ხალხი დადიოდა. ორი ახლობელი რომ შეხვდებოდა ერთმანეთს, ჯერ გულზე მოეფონებოდათ — რომ ისევ აქ არიან, არ წაუყვანიათ, და მერე იმას შეატყობინებდნენ ერთმანეთს, წუხელ ვინ წაიყვანეს; კი არ ეტყოდნენ — ისე მიახვედრებდნენ, რათა არავის გაეგონა. თან აქეთ-იქით იყურებოდნენ — დამფრთხალნი, დაფეთებულნი, დამცირებულნი. შიშმა თითქოს ხორცი შეისხა და ხილული გახდა — თითქოს ხედავდი, როგორ დადიოდა ქუჩაში, როგორ მოგდევდა თან, სახლში როგორ შემოგყვებოდა... მიჰყავდათ ღამით და მიჰყავდათ დღისითაც, ლექციებიდანვე. კარზე დააკაკუნებდნენ, და აუდიტორიაში, რომელიც ხშირად ასამდე კაცს იტევდა, შიში დაუვლიდა ყველას, ელექტროდენის სისწრაფით მოივლიდა ყველა მერხს, და წამება, რაც დროის გალებას სჭირდებოდა, მტანჯველ საუკუნედ გაიწელებოდა ხოლმე — ნეტა ვინ? ვინ მიჰყავთ? ადამიანის მაღალი ღირსება იბღალებოდა იმის შეგნებით, რომ იგი გაუცნობიერებლად შესთხოვდა ღმერთს — თავად არ ყოფილიყო და სხვა ყოფილიყო ვინმე. გამყავდათ ხან სტუდენტი, ხან ლექტორი. რასაც ღამით ვერ ასწრებდნენ დღისით ანაზღაურებდნენ. ჩვენი ტყუპისცალი ჯგუფიდანაც — გერმანული განყოფილებიდან — წაიყვანეს გერმანული ენის ლექტორი. შესანიშნავი ვაჟკაცი, კარგი მცოდნე თავისი საგნისა და საქმისა, დიდებული ადამიანი, რომლის შეყვარება უკვე მოასწრეს სტუდენტებმა — მათთვის ამ კაცის წაყვანა გულიდან მოგლეჯას ნიშნავდა. წაიყვანეს იმიტომ, რომ განათლება გერმანიაში მიეღო ახლახან; იმიტომ, რომ ნამდვილი ინტელიგენტი იყო; იმიტომაც, რომ იგი მომავალში ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებდა თავისი ერისათვის, ქართული კულტურისათვის. დიახ, აქ სხვა ბნელი ზრახვებიც მოქმედებდა — ანტიეროვნული, ანტიქართული. ივანე ჯავახიშვილი ალბათ იმიტომ გადაურჩა „წაყვანას", რომ ადრე მოჰკვეთეს თავისივე დაარსებულ უნივერსიტეტს. მე პირადად არ მინახავს, სხვებისგან ვიცი — რა სამარცხვინო ბრძანება ყოფილა გამოკრული უნივერსიტეტის შესასვლელში. ერთ პატარა ქაღალადის ნაგლეჯზე ჯერ რომ უნივერსიტეტის დამაარსებლის მოხსნის განკარგულება იყო აღნიშნული, იქვე, ქვემოთ, მეორე პარაგრაფად, თურმე ეწერა, როგორ ნიშნავდნენ — მართალია, არა რექტორად, არამედ რაღაც თანამდებობაზე, — ერთ უვიც ადამიანს, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ თაღლითობაში ამხილეს. ცალკე ბრძანებაც არ აღირსეს!.. ერეკლე ტატიშვილიც მაშინ ალბათ იმიტომ გადაურჩა „წაყვანას", რომ ფართო, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას უკვე დიდი ხნის ჩამოშორებული იყო, უცხოეთშიაც ძალიან დიდი ხნის წინათ ნამყოფი, და როგორც ენის საცოდავ მასწავლებელს, ისე უყურებდნენ. მისი თანამდებობა არ შურდათ, ვერც შეცვლიდნენ მას. არც ბინა შურდათ მისი — ერთი პაწაწინა საცოდავი ოთახი ვის რად უნდოდა. ბინა შემთხვევით არ მიხსენებია — რამდენი უკეთური ადამიანი დააცხრა მაშინ ამგვარად „გამოთავისუფლებულ" ბინებს, და რამდენმა შეუწყო ხელი ბინის ამგვარ „გათავისუფლებას", უგზოუკვლოდ წაყვანილთა ბავშვებს ან ქუჩაში გამოყრიდნენ, ან იქვე, საკუჭნაო ოთახში შეტენიდნენ და თავად ეპატრონებოდნენ არა მარტო ბინას, არამედ ავეჯსაც, ბიბლიოთეკასაც იმ ადამიანისა, ვისი სუნთქვითაც ჯერ ისევ თბილი იყო ეს ოთახები... ნეტა, როგორ ეძინათ იმ ბინებში! მო-

ლანდებები მაინც არ აწუხებდათ?!. მახსოვს, მაშინდელი პლეხანოვის პროსპექტზე, ყოფილი „არტოს“ ბაღში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა უნივერსიტეტის პროფკავშირების საგადარჩევო კრება. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. დანტეს ფანტაზიაც ვერ მისწვდებოდა იმ საშინელებას, რაც იქ სამი დღის განმავლობაში ხდებოდა. ადამიანებს არა თუ ადამიანური ღირსება, ადამიანის სახეც დაეკარგათ და სიბილწის მორევში თუხთუხებდნენ. გამოდიოდნენ და ხელს აღებდნენ, წარმოუდგენელი სისასტიკით სწირავდნენ თავიანთ მასწავლებლებს, ამხანაგ სტუდენტებს, ვთქვათ, იმისთვის, რომ ამა და ამ სტუდენტმა (და ზოგჯერ პროფესორმაც!) ძალიან მალე შეწყვიტა ტაშის დაკვრა ერთ-ერთ მიტინგზე (ამ მიტინგსაც დაასახელებდა), როცა ჩვენი საყვარელი ბელადი ახსენესო (და ამ დროს იგი არა მთავარ, არამედ რიგით ბელადს ახსენებდა); ახლა ეს ძალიან ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი. — ან: ციხისძირის დასასვენებელ სახლში (უნივერსიტეტს თავისი დასასვენებელი სახლი ჰქონდა ციხისძირში) ამა და ამ კაცმა ჩემთან საუბარში ისე წარმოთქვა ბელადის სახელი, რომ აშკარად ჩანდა, მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა არა აქვსო... „გაიყვანეთ! გაიყვანეთ ხალხის მტერი!“.. — წამოიძახებდა რამდენიმე არამზადა დარბაზიდან... და მიჰყავდათ ან იქიდანვე ან რამდენიმე საათის შემდეგ შინიდან. ერთხელ ლათინური ენის ლექციაზე ლექტორმა, რომელსაც მერხებს შორის სიარული უყვარდა, გვერდზე რომ ჩამიარა, უცებ დაფეთებულმა დაადო ხელი ჩემს რვეულს და, ჩქარა დამალეო, ჩუმად მითხრა. დავიბენი, ვერ მივხვდი, რა უნდოდა ამ კაცს. და მერეღა მოვედი გონს. მგონი, პუშკინის დღეები იყო და ჩემს რვეულზე პუშკინი იყო გამოსახული, ფონად კი რაღაც ღრუბლის მაგვარი ჰქონდა, ეს ასევე იყო დაბეჭდილი. ეს ღრუბელი ჩვენი ლათინურის ახალგაზრდა მასწავლებელს ტროცკის წვერად მოსჩვენებია და მეც ამარიდა საფრთხეს და საკუთარი თავიც. დიდი, დიდი ხნის შემდეგ რომ შემხვდა, მაშინაც კი არ დავიწყებია — მითხრა, გახსოვს, როგორ გადაგარჩინეო. ასეთი დაეჭვება ძალიან გავრცელებული იყო. განსაკუთრებით ქაღალდზე დახატულ ღრუბლებს უყურებდნენ უნდობლად, შეატრიალებდნენ, ყოველი კუთხიდან საგულდაგულოდ გასინჯავდნენ, ტროცკის წვერს ხომ არ ჰგავსო. გავრცელებული იყო ხმა, ხალხის მტრები შეფარვით ტროცკის წვერს ბეჭდავენ, რადგან წვერი ძნელი გამოსაცნობიაო. ამბობდნენ, თითქოს ამისთვისაც წაეყვანოთ ხალხი. ვერ ვიტყვი, რამდენად მართალი იყო, თუმცა დაუჯერებელიც არაფერია. ერთხელ ობლიგაციები დაგვირიგეს. ჩემს მეგობარს, ალექსანდრე ხაჯაიას ხელში ეჭირა ახალმიღებული ობლიგაცია. ვიღაცამ გააბრაზა. ფიცხი კაცი იყო და უნივერსიტეტის დერეფანში სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, უნებურად ობლიგაცია გახია კბილით. იმავე დღეს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში გამოიძახეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, რომ გაბედა და სახელმწიფო სესხის ნიშანი გახია. კიდევ კარგი, დიდ პოლიტიკურ დანაშაულად არ ჩაუთვალეს და სასტიკი საყვედური აკმარეს. მაგრამ ეს არ არის მთავარი, ამისთვის არ დამიწყია ეს ამბავი. შემდეგ ხაჯაიამ მიამბო, რომ მასთან ერთად კომკავშირის კომიტეტში გამოძახებული ყოფილა ერთი გოგონა, რომლის მამაც წინა დღეებში „წაუყვანიათ“. ათასნაირი კითხვა დაუსვეს გოგონას, რათა „გამოეტეხათ“ და, რაკი ვერაფერს გახდნენ, საბოლოოდ ასეთი შეკითხვა მისცეს — „მაშ, ეს გვითხარი, რა ურთიერთობა გქონდა მამაშენთან?“ გოგონა შემცბარა — დაბნეული, გაფითრებული, მამის ბედით განადგურებული. არავითარი ურთიერთობა არა მქონიაო, უპასუხა, გარდა იმისა, რომ დილით, სამსახურში წასვლის წინ, სანამ მე ისევ ლოგინში ვიწექი, მოვიდოდა და შუბლზე მაკოცებდა... და მეტი აღარც ცრემლებმა და აღარც მათ დააცალეს. „გაკოცებდა?!“.. — ირონიულად შეაწყვეტინა მთავარმა დამკითხველმა. ერთმანეთს გაბოროტებით გადახედეს. ესე იგი, მეშჩანური ოჯახიდან ყოფილა! ეს არ უთქვამს, მაგრამ მათი ირონიული ღიმილი ამას გამოხატავდა. — გულისტკივილით და იმ გოგონას სიბრალულით ჰყვებოდა ამას ხაჯაია. თავად მეტისმეტად გამკაცრებულები, ყოველგვარ ადამიანურ სითბოსა და სინაზეს მომაკვდინებელ მეშჩანობად მიიჩნევდნენ... ასე იყო მაშინ. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექცია ოაზისივით იყო ამ გამკაცრებულ ატმოსფეროში. ჩვენივე კურსის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ასეთი „ფხიზელი“ სტუდენტები სჭარბობდნენ. მათ თავიდანვე დაიჭირეს მაღალი თანამდებობები უნივერსიტეტის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. იმათი ფაკულტეტი გაცილებით დიდი იყო და ასეთი ხალხიც ბლომად ჰყავდათ. უმთავრესად ჩექმებში ჩატანებული ხაკისფერი გალიფე ეცვათ, ზემოთაც ხაკისფერი კიტელი, წვერს იშვიათად იპარსავდნენ — ეს იმის ნიშნად, რომ პარტიული საქმეებით დატვირთულნი წვერის გასაპარსადაც ვერ იცლიდნენ. თავიანთ თანაკურსელებზე გაცილებით უფროსები იყვნენ. უნივერსიტეტში შესვლამდე, ეტყობა, პარტიულ სამუშაოზე ემოღვაწათ. ისინი ყველაფერს ეჭვით უყურებდნენ, პროფესორებს უდიერად ექცეოდნენ. ორი გამოირჩეოდა მათ შორის. გვარებს განგებ არ ვასახელებ. ლექციებზე იშვიათად ესწრებოდ-

ნენ. უფრო ხშირად უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტში იყვნენ. ჰყავდათ ჯგუფში რამდენიმე გოგონა, რომელთაც საშუალო სკოლაში ერთად ესწავლათ და ახლაც ერთად აგრძელებდნენ სწავლას. ბავშვობიდანვე ერთად გაზრდილები, ბუნებრივია, ახლაც ერთად იყვნენ. ეს იმათ აბრაზებდა. ესეც მეშჩანობის გამოვლინებად მიაჩნდათ. მით უმეტეს, რომ „მეშჩანური" (ესე იგი ინტელიგენტური) ოჯახებიდან იყვნენ. მათი ზედმეტი სილაღეც აბრაზებდათ... დიდხანს შეჰყურებდნენ დაბღვერით ამ ლაღად მოკისკისე გოგონებს და ერთ დღეს — ეს მოხდა პირველსავე კურსზე — ერთ-ერთმა გალიფოსანმა, რომელიც მეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა, ჯგუფის კრება მოიწვია და დაადგინა — ოქმში შეიტანა, — რომ ამ გოგონებს ემეგობრათ არა ერთმანეთთან, არამედ იმათთან, ვისაც კრება შეარჩევდა. წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული და ჩაწერილი, იმ სტუდენტ ქალთაგან თითოეულს ვისთან ემეგობრა. ასე გადაწყვიტეს იმ „მეშჩანური" წრის უვნებელყოფა. პროფესორებსაც უდიერად ეპყრობოდნენო, ითქვა. ერთხელ აკაკი შანიძე ატარებს ლექციას (ასეთი ბედი ერგოთ თვით აკაკი შანიძე ასწავლიდა ენას და, ნახეთ, როგორ აფასებდნენ!). როგორც ჩანს, არსებითი სახელის ბრუნებას გადიოდნენ. პროფესორმა გამოიძახა ერთ-ერთი გალიფოსანი, სახელად კალე, და ჰკითხა: „აბა, მითხარით, რომელ ბრუნვაშია „კაცო"?. ეს გალიფოსანი ვეება კაცი იყო, გადმოშვებული ლიპი ჰქონდა. ჩაფიქრდა, მაგრამ ჩაფიქრება რას უშველიდა! მერე გაბზარებამ წამოუარა, რომ შეჰკადრეს და დაფასთან გამოიყვანეს. „ესე იგი, რომელ ბრუნვაშია „კაცო" არა?" — დრო გაჰყავს კალეს. „დიახ, — უპასუხებს ლექტორი, — რომელ ბრუნვაშია „კაცო". ამასობაში სტუდენტები მიეშველნენ, უკარნახეს, და მანაც რიხიანად, ცოტა არ იყოს, ნიშნისმოგებითაც უპასუხა პროფესორს: „მაშასადამე, „კაცო" არის წოდებითში!" „ძალიან კარგი! — მოუწონა პროფესორმა, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, ისიც გაიგონა, როგორ უკარნახეს და ამის განწყობილებასაც მშვენივრად მიხვდა. „ძალიან კარგი, — გაიმეორა პროფესორმა, — ახლა ესეც მიბრძანეთ, „ქალო" რომელ ბრუნვაშია?" გალიფოსანი კვლავ დაიბნა და ისევ გაბრაზებამ წამოუარა, ამჯერად უფრო ძალუმადაც. რას ჩააცივდა ეს კაცი, მეტი საქმე არა აქვს?! ისევ სტუდენტებს გადახედა და მათაც მიაშველეს სხვადასხვა მხრიდან — „წოდებითში", „წოდებითში!" და ახლა კიდევ უფრო მეტი რიხით და უფრო ხაზგასმული ნიშნისმოგებითაც უპასუხა გალიფოსანმა: „მაშასადამე, „ქალოც" არის წოდებითში!"... მაგრამ ლექტორი არ ცხრება: „ძალიან კარგი, — კვლავ მოუწონა მან, — მაშ, ესეც მითხარით, „იყო" რომელ ბრუნვაშია?" გალიფოსანმა უკვე ალღო აუღო სიტუაციას, აღარ შეუყოყმანებულა, მყისვე უპასუხა ხმამაღლა და ერთგვარი სილაღითაც: „ესეც წოდებითშია!" აუდიტორიაში სიცილი ატყდა. პროფესორს გაეღიმა, დაფასთან გამოყვანილი გალიფოსანი შეცბა, ჯერ პროფესორს გადახედა, მერე აუდიტორიას, დაიბნა. უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. გაბრაზებულმა მეორე გალიფოსანს მოძებნა თვალებით, ის მეორე — ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანი იყო. ამასობაში პროფესორმა განუმარტა სტუდენტს, რომ „იყო" არსებითი სახელი არ არის და მისი ბრუნება არ შეიძლება... და ახლა კი წამოვარდა მეორე გალიფოსანი: „ამხანაგო პროფესორო, რამდენად სწორია, რომ ლექტორმა სტუდენტს მცდარად დაუსვას კითხვა?!" საქმე აშკარად პოლიტიკური ხასიათს იღებდა. ეს იმ დროს საკმარისი იყო, „ხალხის მტრად" მოენათლათ პროფესორი. აკაკი შანიძე არ დაიბნა... მაგრამ აღარ გავაგრძელებ... ისედაც გამიგრძელდა სიტყვა... მინდოდა, მეჩვენებინა, როგორი ატმოსფერო იყო იმ დროს უნივერსიტეტში. რა დღეში იყვნენ პროფესორები. მაგრამ ჩვენთვის, ჩვენივე ლექტორების და უპირველეს ყოვლისა, ერეკლე ტატიშვილის წყალობით, აქაური სიხასტიკე თითქოს არ იყო იმდენად საგრძნობი. პირიქით, გულდამძიმებულები და შეჭირვებულები, აქ, უნივერსიტეტში, იმ რამდენიმე საათს — ჩვენი მასწავლებლის ლექციებზე — თითქოს შვებასა ვგრძნობდით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტშივე, ჩვენს ირგვლივ, ასეთი საშინელება ტრიალებდა. ფუჭი გამამხნევებელი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ ამ ალალი და ბრძენი ადამიანის გვერდით ყოფნა იმ საშინელების დროს თავისთავად დიდი ნუგეში იყო. მაშინ ყველას ეშინოდა თავისი ასაკოვანი ახლობლის გამო; და ჩვენ, სტუდენტებს, ფარული შიში გვქონდა მის გამოც. რა ბევრი საბაბის ძებნა ამას სჭირდებოდა (თუკი საერთოდ ეძებდა ვინმე იმ დროს საბაბს) — უცხო ენების მცოდნე, უცხოეთში განათლებამიღებული, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ნამყოფი, შეუპოვარი, უკომპრომისო, მაღალი რანგის ინტელიგენტი!.. მეტი რაღა იყო საჭირო! ბნელი ძალები ასეთ ხალხს არ ინდობდნენ... და როცა დილით, ჩვეული ნელი ნაბიჯით, უნივერსიტეტის ჭიშკარს მოადგებოდა ბატონი ერეკლე, ჩვენ ქვეცნობიერად გვიხაროდა. გვიხაროდა, რომ იგი ისევ ჩვენთან იყო.

ისე დავამთავრეთ უნივერსიტეტი, რომ არც წაუყვანიათ.

დიდხანს გვწვავდა ცნობისმოყვარეობა თუ გაუცნობიერებელი პატივმოყვარული ჟინი,

ვწველოდით მას შინ, გვენახა მისი პატარა ოთახი. და როცა ამის საშუალება მოგვეცა, თვალებს არ ვუჯერებდით — ნუთუ შეიძლებოდა, ამ სახელოვან კაცს ასეთ ბინაში ეცხოვრა! ხომ ადრევე გვქონდა გაგონილი, პატარა ოთახი აქვსო, მაგრამ რაც ჩვენ ვნახეთ, იმას პატარაც არ ეთქმოდა. სიგრძით ალბათ ხუთიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა, სიგანითაც — სამიოდე თუ სამნახევარი. ბელეტაჟივით იყო, ერთადერთი ფანჯარა, ძერჟინსკის ქუჩაზე გამოდიოდა. ფანჯარასთან მჭიდროდ მიდგმული ჰქონდა საწოლი. საწოლის ბოლოში, იქვე, ნავთქურა იდგა დ კარამდე სულ ცოტაღა რჩებოდა. აქ მხოლოდ კალოშს თუ გაიხდიდა და პალტოს დაკიდებდა, თუმცა პალტო უმეტესად მოსხმული ჰქონდა — ციოდა ოთახში. ასეთი გახლდათ ოთახის სიგრძე. მოპირდაპირე კედელთან — საწოლის გასწვრივ — საწერი მაგიდა იდგა და საწოლსა და მაგიდას შორის სკამილა ჩაიდგმებოდა, რომელზეც თვითონვე იჯდა ხოლმე. სხვა სკამი ოთახში არა ჰქონდა. მაგიდასთან მიდგმული იყო დიდი, ძველებური ტყავის სავარძელი, უკვე საკმაოზე მეტად დაძველებული და შეფერთხილი. ეს იყო და ეს. სავარძელზე სტუმარი დაჯდებოდა, თუ სტუმარი ერთი იყო; თუ ორი იქნებოდა, ორიც მოთავსდებოდა, თუ ძალიან გაჭირდებოდა, სამიც კი. მაგრამ სტუმრები ზოგჯერ მეტი მოსდიოდნენ...

ჰო, როცა უკვე დავუახლოვდით, გვაფრთხილებდა, კარზე არ დაგვეკაკუნებინა. ეს კარი საერთო იყო ვიღაც მეზობელთან, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გვინახავს—შეიკეტებოდა მთელი ოჯახი სახლში და იყვნენ ასე. როცა ცხარე ლაპარაკი ჰქონდათ ოჯახში, მაშინ მკაფიოდ გამოდიოდა ხმა. და ეს იყო კიდევ ერთი სატანჯველი ერეკლე ტატიშვილისა. ვერ იტანდა იმ ოჯახს. უცნაური ხალხი იყო. ერთ დღეს რომ მივედი — ეს ომის დროს — საშინლად გაბრაზებული და აღელვებული დამხვდა ბატონი ერეკლე. ნეტა ხუთი წუთით ადრე მოსულიყავი და შენი ყურით მოგესმინა, — მეუბნება, — რა ბედი მარგუნა ღმერთმა!..

თურმე მამა ეჩხუბება შვილს — პატარა ბიჭს — ჩემი შაქარი რად იხმარეო. მთავრობა რომ საგანგებო ულუფას მინიშნავს, ეტყობა, მე მჭირდება, და შენ თუ შეჭამე, რაღა გამოვიდაო! მთელი საათი ასე ეჩხუბებოდაო. და განა ეს პირველიაო. ვერ ვიტყვი, რა ხალხი იყო, რა ჯურისა, საიდან ჩამოთესლებულები, მაგრამ ეს ფაქტიც ხომ კარგად ამტკიცებს, რა ჯოჯოხეთურად ძნელი იქნებოდა მათ გვერდით ცხოვრება ერეკლე ტატიშვილისთანა კაცისათვის.

ერთი სიტყვით, გვთხოვდა, არ დაგვეკაკუნებინა იმ საერთო კარზე, რომელსაც პატარა დერეფანში შევყავდით. ქუჩიდან სადარბაზოში რომ შეხვიდოდი, რამდენიმე საფეხურს აივლიდი და კედელზე დააკაკუნებდი — სწორედ მისი ოთახის კედელი გამოდიოდა გარეთ.

იმას ვამბობდი — როცა სტუმრები მეტნი იყვნენ, პირდაპირ საწოლზე ჩამოსხდებოდნენ. ესენი, ჩვეულებრივ, მისი ახლობლები იყვნენ, მისი ძველი მოწაფეები, რომელთაც ტატიშვილი ერთ დროს საშუალო სკოლაში ასწავლიდა და მას შემდეგ მათი მეგობრობა აღარ შეწყვეტილა, პირიქით — დღითიდღე მტკიცდებოდა. შვილებივით შემოერტყმოდნენ ხოლმე გარს და ყველაზე სასურველი სტუმრები ბატონი ერეკლესი ეს. იყო. ვინ იყვნენ ესენი? აკაკი ანდრიაშვილი, ლადო დონაძე, ლუარსაბ იაშვილი, ქუჯი ძიძიშვილი, ლექსო ივანიშვილი, ვანო ტაბიძე, ვასო მურმანიძე და, რაღა თქმა უნდა, ნიკო სამადაშვილი. მუდამ დიდი სიყვარულით გაიხსენებდნენ ხოლმე უდროოდ გარდაცვლილ მწერალს ბასილ მელიქიშვილს... ისინი, ჩვეულებრივ, შაბათობით იკრიბებოდნენ თავიანთ მასწავლებელთან. კვირაძალის შეხვედრებს ეძახდნენ ამას. არა მგონია, რომელიმე შაბათ სალამო გამოეტოვებინოთ, მაგრამ ისე სხვა დღეებშიაც ნახავდით, ცალცალკე მოსულებს, განსაკუთრებით, ნიკო სამადაშვილს, რომელსაც, ცოტა შეზარხოშდებოდა თუ არა, უსათუოდ მოენატრებოდა თავისი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი და აქეთკენ მოეშურებოდა. ხშირად გვიან ღამემდე აქ იჯდა. ღელავდა, ბობოქრობდა, ვერ მოესვენა, რაღაც აწუხებდა. ჯიბეში ახლადდაწერილი ლექსი ედო და ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა წაეკითხა. კითხულობდა წამღერებით, ძალიან მქუხარედ, მღელვარედ, მაგრამ არა ცრუ მგზნებარებით. მარცხენა ხელში ლექსი ეჭირა, მეორეს კი რიტმს აყოლებდა — ლაღად, საკუთარი ძალის შეგრძნებით — თითქოს ნიშნის მოგებითაც; ოღონდ არა იმათ მიმართ, ვინც იმ დროს იქ ისხდნენ, არამედ იმ პოეტების მიმართ, რომლებიც კონკრეტულად იქნებ არცა ჰყოლია წარმოდგენილი, მაგრამ რომლებიც მეტისმეტად ემორჩილებოდნენ კონიუნქტურას. ჩასკვნილი კაცი იყო, გალაჟღაჟებული, ძველი ტრადიციული წარმოდგენით პოეტს არა ჰგავდა, მაგრამ მთელი არსებით პოეტი იყო და, მგონი, ის აწუხებდა, რომ ძალიან არაპოეტური სამსახური ჰქონდა — საფინანსო დარგის მუშაკი გახლდათ. კისერი მაღალი არა ჰქონია, მაგრამ ლექსის კითხვის დროს ყელი მაინც მოღერებული ჰქონდა და ეშხიანად კითხულობდა, თავადვე სიამოვნებდა. წაიკითხავდა, ფურცელს დაკეცავდა და ჯიბეში შეინახავდა. თანდათანობით დაუცხრებოდა მღელვარება. ამ დროს საჭირო არ იყო, თქვენი აზრი გამოგეთქვათ, და არც გამოთქვამდნენ. ერთხელ მოგვიანებით მივედით მე და საშა. ბატონი ერეკლე რაღაცას წერდა

თუ კითხულობდა მაგიდასთან, ის კი საწოლზე ჩამომჯდარიყო და ჩასძინებოდა. ასევე დამჯდარს ეძინა. ცოტა მეტი მოსვლოდა ღვინო. ჩვენ სავარძელზე ჩამოვსხედით და საუბარი გავაბით ბატონ ერეკლესთან. ნიკოს არ გაუღვიძია, ჩვენი მოსვლა არ გაუგია. იჯდა მყარად და დროდადრო მისი ქშენა ისმოდა. ბატონი ერეკლე მალიმალ გახედავდა ხოლმე მამის მზრუნველი თვალით. ძველი მოწაფეები ყველა ძალიან უყვარდა, გამორჩევა თითქოს არ იცოდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ნიკო სამადაშვილის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა. როცა შევედით და დავსხედით, ხელი ნიკოსკენ გაიშვირა და სიცილით თქვა: „ხედავთ — ბუდა! ბუდას არა ჰგავს?!“ და ჩვენს იქ ყოფნაში ერთი-ორჯერ კიდევ გაიმეორა ეს სიტყვები. მერე თავისი პლედიც წამოახურა. ციოდა ოთახში, ნავთქურა კი ხრჩოლავდა, მაგრამ დიდად ვერ ათბობდა — დროდადრო ფანჯარა უნდა გაეღო, კვამლი გაეშვა, ერთბაშადვე სიცივე შემოიჭრებოდა.

ნიკო სამადაშვილს ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი ერეკლე ტატიშვილისადმი, მაგრამ ერთი მათ შორის თავად განსაკუთრებით უყვარდა, და, მგონი, ბატონ ერეკლესაც.

როგორი იყო ეს „კვირაძალის შეხვედრები?“

იხსენებდნენ წარსულს, ახალგაზრდობის დღეებს, საუბრობდნენ საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებზე — ცხარე კამათი გაიმართებოდა ხოლმე — საერთოდ ისტორიაზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე... რაზედაც კი სიტყვა ჩამოვარდებოდა. ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ერთმანეთის ოჯახების ამბავს გაიგებდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. ბატონი ერეკლე ძალიან კარგი მოსაუბრე იყო და უყვარდა თანამოაზრეთა წრეში საუბარი. საოცარია, ეს ძველი მოწაფეები „შენობით“ მიმართავდნენ თავიანთ მასწავლებელს, მაგრამ მათი ურთიერთობა ფამილარობაში არასოდეს გადასულა. თანაც „ბატონო“ ყოველთვის უნდა დაერთოთ მისი სახელისთვის — მაშინაც, როცა პირადად მიმართავდნენ, და მაშინაც, როცა თავად იქ არ იყო და ისე ახსენებდნენ მის სახელს. აქვე იგონებდნენ ბეთანიაში გატარებულ წარსულ დღეებს და მომავალს გეგმავდნენ. ძალიან უყვარდა იქაურობა ბატონ ერეკლეს. ბავშვური გატაცებით მოენატრებოდა ბეთანიის მთვარიანი ღამეები. და მგონი, ყოველ წელიწადს დადიოდნენ.

ზაფხულს ნეძვში ატარებდა — ნეძვიც უყვარდა. იქ თავისი მასპინძელი ჰყავდა და ყოველ ზაფხულს მიდიოდა. ხშირად ახსენებდა ბეთანიის ცას და ნეძვის ცას. ამაზე უკეთესს ვერაფერს ნახავო, იტყოდა. ვერავითარი ხელოვნება ამას ვერ შეედრება, ეს ღვთის უშუალო ქმნილებააო. მართლაც საოცარია — ბეთანიაშიც და ნეძვშიაც ადამიანი თითქოს უფრო გრძნობს ბუნების სიახლოვეს, გრძნობს, რომ ისიც ამ ბუნების განუყოფელი ნაწილია, აქ თითქოს ღმერთთანაც ახლოს არის ადამიანი, ღმერთთან საუბარიც შეიძლება. ალბათ ამიტომაც შეარჩიეს ეს ადგილები მონასტრებისათვის. სამწუხაროდ, ნეძვის უძველესი, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროს აგებული მონასტერი ერთიანად ჩაქცეულია და აღდგენაც ვერ მოხერხდება. ახლა დაცარიელდა ნეძვი — გზას ვერ მოუარეს, არა-და ახალდაბიდან შვიდიოდე კილომეტრზეა. სოფელმა ქვეით ჩამოინაცვლა. დაცარიელებული სახლები იქვე დგას, გულისმომკვლელად.

მე პირადად ნეძვში არ მინახავს ბატონი ერეკლე, ალექსანდრე გამყრელიძე კი ერთხელ ესტუმრა, და მისგან ვიცი, როგორ შეჰხაროდა იქაურობას. საშას მამა ზაფხულობით წალვერში მუშაობდა და მთელი ოჯახი იქ ატარებდა ზაფხულს. საშა და მისი ძმა სწორედ წალვერიდან წავიდნენ ფეხით, მთა გადაიარეს და ბატონ ერეკლეს ესტუმრნენ. მგონი ნეძვშივე აჩუქა საშას მინიატურული ბიბლია ინგლისურ ენაზე და ფსალმუნის სიტყვები წააწერა (რალა თქმა უნდა, შავი მელნით) We bring our years to an end as if it were a tale that is told. — (ჩვენ გავლევთ ჩვენი ცხოვრების წლებს, როგორც ზღაპარს, რომელიც ოდესღაც უამბნიათ).

რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვები ამოარჩია ბიბლიიდან?! ესეც მის ხასიათსა და ცხოვრების წესზე ხომ არ მიგვანიშნებს? თვითონაც ამ განწყობილებით ხომ არ ცხოვრობდა და ამითვე ხომ არ გვისუბუქებდა იმ ბედუკულმართი წლების სიმძიმეს?!

„რალა თქმა უნდა, შავი მელნით“-მეთქი, ზემოთ შევნიშნე. თუკი შეიძლება ხელწერის მიხედვით უტყუარად გამოცნობა ადამიანის ხასიათისა, მაშინ ერეკლე ტატიშვილზე სრული წარმოდგენა შეგიძლიათ იქონიოთ მისივე ნაწერების მიხედვით. რამდენი ხელწერაც არ უნდა ნახოთ მისი, სულ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში შესრულებული, მიკროსკოპული ანალიზითაც კი განსხვავებას ვერ შენიშნავთ. და არა მარტო საკუთარი სახელისა და გვარის ხელმოწერა. სპეციალისტი სულაც არ არის საჭირო, რომ მიხვდეს, რა რკინის ნებისყოფა ჰქონია ამის დამწერს, რა კეთილი და უშურველი ყოფილა ეს კაცი. მის ნაწერებს რომ შეჰყურებ, თვალს უხარია, თითქოს მაღალი გრაფიკული ხელოვნების ქმნილებას შეჰყურებდე. რა გასაკვირველად თანაბარი დაშორებაა მკვეთრად დახრილ ასოებს შორის, სიტყვებს შორის, სტრიქონებს შორის. და მელანიც რო-

გორი თანაბარი ინტენსივობით გაუნაწილებია. რა სიმტკიცით გამოუკვეთია თითოეული ასო, თითქოს საგანგებოდ ქვაზე დაუჭდევიაო.

ერეკლე ტატიშვილი შინ ყოველთვის შავი მელნით წერდა. შინ-მეთქი, იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ავტომატური კალმებისთვის მაშინ შავ მელანს არ უშვებდნენ და იძულებული იყო, ლურჯი მელანი ჩაესხა. მე, როგორც მომიხდებოდა, ისე ვწერდი — ხან ლურჯი მელნით, ხან იისფერით, ხან მწვანით. დიდხანს არაფერი უთქვამს ამაზე და ერთ დღეს კი — მაშინ უკვე მისი ასპირანტი ვიყავი — მეუბნება (რჩევა და დარიგება ყოველთვის ოხილად იცოდა, ცდილობდა, საკუთარი აზრი შენთვის არ მოეხვია): რატომ შავ მელანს არა ხმარობ? ან ერთი ფერი მაინც აირჩიე. ადამიანს თავისი ცხოვრების სტილი უნდა ჰქონდეს. ესეც სტილია. ასე აჭრელებული წერა სად გაგონილა! ამაზე აქამდე არც დავფიქრებულიყავი — რასაც ვიშოვიდი და რაც შემხვდებოდა, იმით ვწერდი. შავი მელანი სად ვიშოვო-მეთქი, მოვიმიზეზე. მე მოგცემო, მითხრა და უჯრიდან ამოიღო შავი მელნის რამდენიმე ტაბლეტი, მასწავლა, როგორ გამეხსნა წყალში. ეს ტაბლეტები რომ გამომელია, შევჩივლე, სად ვიშოვო-მეთქი. კიდევ მოგცემო, და რამდენიმე ტაბლეტი კიდევ მომცა. ესეც გამითავდა და უფრო მტკიცედ ვკითხე, იქნებ მასწავლოთ, სად შოულობთ-მეთქი. გამოიღო და კიდევ მომცა. ამდენი როგორ იყიდეთ, რომ აღარ გამოგელიათ-მეთქი. საშასაც ამარაგებდა შავი მელნით. ისეთ დროში ვართ, რომ, რასაც იშოვი, ბლომად უნდა იყიდო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ მეტად ველარ შეხვდები. გამეცინა და მანაც იცინა. ახლა უკვე სხვა მელნით წერა მიჭირს. მერე ტუშში ვაზავებდი ხოლმე წყალს და იმით ვწერდი, თუმცა ტუში კალამზე ილექებოდა და კალმის ხშირი ფხეკა და გამოცვლა იყო საჭირო.

თავად ძალიან კარგი ქართული იცოდა და სტუდენტებისგანაც მოითხოვდა სწორ მეტყველებას. ვერ იტანდა ქართული ენის დამახინჯებას, დიალექტებით აჭრელებულ მეტყველებას. „წე-ვი-და, მე-ვი-და"... საყვედურით გაიმეორებდა ხოლმე სტუდენტის სიტყვებს და ყოველთვის გაუსწორებდა, ამას არასოდეს არ დაიზარებდა. ერთხელ მყვება — წყალტუბოდან მოვდივარ (ეს უკვე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იყო), უნებურად ვისმენ სხვების ლაპარაკს — საერთო ვაგონით მოდიოდა — და ვხედავ, აშკარად ვხედავ, ჩემ თვალწინ როგორ იგონებს ერთ-ერთი მოსაუბრე სიტყვას, ჯერ არავისგან თქმულ სიტყვას, როგორ ცდილობს, სიტუაციის ასაწერად უფრო შესაფერისი ბგერები შეარჩიოსო. და ამას მოაყოლა ერთი პროფესორის ამბავი, რომელიც წარმოშობით ქართლელი იყო. ამ კაცს იმერელი ქალი შეერთო ცოლად. დიდი ხანი არ მენახაო, ბატონი ერეკლე მყვება, ერთ დღეს ვხვდები და იმერულად არ უქცევს — „პაწა, რაცხა"... რა ღმერთი გაგიწყრა, ვეუბნები. ბატონო ირაკლი, ვერ წარ-მე-იდგენ, რა სუმ-ბუქი ენააო, მიპასუხა. სუმ-ბუქიაო, განა. და იცინსი ბატონი ერეკლე, ჩვეული, გულიანი სიცილით.

მისი საყვარელი მოწაფეები სულ სხვადასხვა კუთხის შვილები იყვნენ, საქართველოს ყველა კუთხისა თითქმის — კახელები, ქართლელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, რაჭველები... გამორჩევა არავისი იცოდა და ყველასაგან მოითხოვდა სწორ მეტყველებას. საბას ლექსიკონი უნდა იკითხოთ, როგორც რომანი ისეო, გვეტყოდა ხოლმე. ანატოლ ფრანსს აქვს ზუსტად ასეთი გამოთქმა — ყოველგვარ რომანზე საინტერესო საკითხავი ლექსიკონიაო. აგერ, დავწერე „ზუსტად" და გამახსენდა, რომ ბატონი ერეკლე ამას არ მომიწონებდა. არ უყვარდა სიტყვა „ზუსტი", „მეთქი"... ერთხელ, „რომეო და ჯულიეტას" თარგმანს რომ ვუკითხავდი, დამქუტსა — „ზუსტი" რამ დაგაწერინა, როგორ შეიძლება. აბა, როგორ უნდა გამოვთქვა ეს აზრი-მეთქი. „ზედმიწევნითო". კი მაგრამ, შევეკამათე, შეიძლება განა, ვთქვათ — „ხვალ ზედმიწევნით ხუთ საათზე მოვალო". ცოტა კი შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს დამიდასტურა — ასე უნდა თქვაო. ცოტა არ იყოს, კონსერვატიული შეხედულებები ჰქონდა ენის საქმეში. ახლა — „მეთქი", ამ სიტყვასაც ვერ იტანდა და როცა ეს სიტყვა შეგვხვდა „რომეოსა და ჯულიეტას" კითხვის დროს, ესეც დამიწუნა. ამაზე დათანხმება ძნელი იყო. როცა შევეკამათე და კონკრეტული მაგალითიც დავუსახელე, აბა როგორ უნდა თქვას კაცმა, „არ გინდა-მეთქი", — მიპასუხა — „არა, ვამბობ"... შემატყო, რომ ვერ დამარწმუნა, მაგრამ იმ დღეს აღარაფერი უთქვამს. თუმცა არც დავიწყებია. და აი, ერთხელ რომ მივედი, პირველად ეს მითხრა სიცილით — მოდი, ერთი, რა გაჩვენოო. მის დისწულს, რეჟისორ გიორგი ჟურულს რუსულ თეატრში დასადგმელად ერთი ახალი ქართული პიესა აეღო, და ამ პიესის რუსულად თარგმნა თავის ბიძას, ბატონ ერეკლეს სთხოვა. ბიძამაც ხათრი ვერ გაუტეხა და თარგმნა. მგონი, აღარ დადგმულა ის პიესა. ისტორიული იყო და ისტორიას მაშინ პატივს არა სცემდნენ. ერთი სიტყვით, ბატონმა ერეკლემ გადმოიღო პიესა და ის ადგილი წამიკითხა, რასაც იგი აღუშფოთებია და რაზეც ახლა იცინოდა. იქ იყო ერთი სცენა, როცა თამარ მეფე კარიბჭეს მიადგება და გუშაგს შესძახებს: — „გააღე-მეთქი!" ეს მართლაც ძალიან უხერხული და სასაცილო იყო, მაგრამ „მეთქის" საწინააღმდეგო არგუმენტად

რაღა თქმა უნდა, არ გამოდგებოდა. ასევე ვუთხარი. მაგრამ მისი გადარწმუნება ძნელი იყო.

მაგრამ ეს ამბები უფრო მოგვიანებით ხდებოდა, ცოტა წინ გავიჭერი.

დადგა ის დღეც, რასაც მოუთმენლად მოველოდით სამი წლის განმავლობაში. ერეკლე ტატიშვილმა უნდა წაგვიკითხოს ინგლისური ლიტერატურის ისტორიის კურსი. წინასწარ ვღელავდით: გავიგებდით კი ყველაფერს, რასაც ჩვენი ლექტორი ინგლისურად წაგვიკითხავდა? და შემდეგ მოვახერხებდით ამის ჩაბარებას ინგლისურადვე?.. კარგად მახსოვს ის პირველი საღამო. ლექციები ამ დროს საღამოობით გვქონდა. უნივერსიტეტის ძველი კორპუსის ჩრდილო მხარეს დიდი აუდიტორიის ფანჯრები ვერეს ხეობას გადაჰყურებენ. მაგრამ ახლა ღამეა, ხეობას ვერა ვხედავთ, ოდნავ შეღებული ფანჯრების მინებში ჩვენი გამოსახულებაღა ჩანს ბუნდოვნად, და გარეთ — შავი სივრცე. დღისით აქ დროდადრო შემოიჭრება ხოლმე ზოოპარკის ბინადართა ყრუ ღმუილი, როგორც სამუდამოდ თავისუფლებადაკარგულთა და თავის მწარე ბედსშეგუებულთა დუნე გმინვა, ახლა კი იქაც დუმილია; გატანჯული დღის შემდეგ დათრგუნვილ შვების მომგვრელ სიზმრებს მისცემიან და მხოლოდ ჭოტის კივილი თუ შემოიჭრება...

ზარი დაირეკა და შემოვიდა ჩვენი ლექტორი — გაღიმებული, გაბრწყინებული, გახარებული... ასეთი ჯერ არ მენახა. ეს სიხარული ადვილი გასაგები იყო. შედარებით მოკლე დროში მან მიაღწია იმას, რომ დღეს უკვე შეუძლია ინგლისურად წაუკითხოს ლექცია ყმაწვილებს, რომელთაც მანვე შეასწავლა ენა და საგანი შეაყვარა. აშკარად ჩანდა, ეს ეამაყებოდა. იმიტომაც გაბრწყინებოდა სახე, იმიტომაც იყო გახარებული.

იგი კათედრაზე შედგა, ჩვეულებისამებრ, ნელი მოძრაობით ხელები მოიფშვნიტა — ამ მოძრაობაშიაც იყო რაღაც საზეიმო — და დაიწყო. ლაპარაკობდა დინჯად, მაგრამ არა ძალიან ნელა; ჩვენ პირველად ვუსმენდით მას, როგორც ორატორს და მოჯადოებულივით ვიყავით. ახლა უფრო მკაფიოდ ვგრძნობდით მისი ხმის გულშიჩამწვდომ სითბოსა და სილამაზეს. ლაპარაკობდა უბრალოდ, კონკრეტულად, ყოველგვარი პათეტურობის გარეშე. მისი შთაგონებული მეტყველებით მაშინვე იგრძნობდი, როგორ უყვარდა ეს ლიტერატურა, და თითქოს იმასაც ვგრძნობდით, რაღაც უხილავი ძალით ჩვენს გულებშიაც როგორ გადმოდიოდა ეს სიყვარული. დროდადრო ფანჯრისკენ გაიხედავდა, ამ დროს იგი თავის სილუეტს ხედავდა შეღებული ფანჯრის მინაში, ყელსახვევს გაისწორებდა ხოლმე. ეს არ იყო კეკლუცობა. ეს იყო თითქოს სურვილი, როცა ადამიანს სურს თავისი გახარებული სახე დაინახოს სარკეში. საოცარია: მას — ცხოვრების მძიმე გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანს — შეეძლო ბავშვური სიხარულის განცდა. ეს იყო მისი ხასიათის ერთი მომხიბლავი თვისება, და ალბათ ერთ-ერთი სხივი — იმ მცირერიცხოვან სხივთა კონაში, რაც მეტად თუ ნაკლებად, ყველა ადამიანისათვის მიუნიჭებია განგებას, რათა ცხოვრების გზა გაუნათოს, და რაც ჩვენს მასწავლებელს მძიმე ცხოვრებას უადვილებდა. ორი საათი ისე გავიდა, არაფერს დაურღვევია მისი შთაგონება — არც დერეფნიდან დროდადრო შემოჭრილ ჟრიამულს, არც მერხების ჭრაჭუნს; ძაღლების წკავწკავსაც კი არა, რაც დროდადრო ამოიჭრებოდა ქვემო სართულიდან და რასაც სხვა დროს ჩვენი ლექტორი მოთმინებიდან გამოჰყავდა ხოლმე.

ბარემ აქვე უნდა მოვყვე ამ ძაღლების ამბავს. უნივერსიტეტის პირველ სართულზე, სწორედ ჩრდილოეთ მხარეს, ფიზიოლოგიის კათედრა იყო და იქ, ლაბორატორიაში, საცდელი ძაღლები ჰყავდათ. დილის ლექციებზე კიდევ არა უშავდა რა, უფრო მიყუჩებულები იყვნენ თუ დღის საერთო ხმაური შთანთქავდა მათ წკავწკავს. ღამით კი დროდადრო ამოიჭრებოდა გნიასი, და ამას მოთმინებიდან გამოჰყავდა ჩვენი ლექტორი, ხელებს მაღლა შემართავდა — თითქოს ღმერთს მიმართავს, რას ერჩიან ამ საწყალ ცხოველებსო, და აღშფოთებით წარმოთქვამდა თავის საყვარელ შეძახილს — „საკრამენტო!"... და ცოტა ხნის შემდეგ გაიმეორებდა — „საკრამენტო!"...

ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მარტო ძაღლების წკავწკავი არ ყოფილა ჩვენი მასწავლებლის გაბრაზების მიზეზი. რამდენიმე ხნის წინათ ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა — თვით ივანე ბერიტაშვილმა — დარვინის დიდი თხზულების თარგმნა სთხოვა ტატიშვილს. ბატონმა ერეკლემ თარგმნა და ჩააბარა. ამის შემდეგ გავიდა წლები და მისი გამოცემა აღარავის გახსენებია. მგონი, ბოდიშიც არ მოუხდიათ მთარგმნელისათვის. ვერ ვიტყვი, შემოსწყრნენ დროის იმ მონაკვეთში დარვინს თუ რა მოხდა — ასეთ „შემოწყრომას" ხომ მაშინ კანონზომიერება არა ჰქონია — ფაქტი ის არის, რომ ტყუილუბრალოდ ათარგმნინეს იმოდენა თხზულება. და, ბოლოს, დაკარგეს კიდეც თარგმანი. აღარც დედანი შერჩა მთარგმნელს...

□გაგრძელება იქნება□

# წიგნების მიმოხილვა

## „მე სიყვარულმა მთებში მატარა...“

ბოლო ხანებში საკმაოდ მომრავლდა მთის პრობლემებზე დაწერილი წიგნები, ნარკვევები. მათი ავტორები გულისტკივილით გვიამბობენ დაცარიელებულ სოფლებზე, მამა-პაპეული კერიის მოშლაზე, ტრადიციული ადათ-წესების დავიწყებისა და გაქრობის საშიშროებაზე, ხოლო ზოგიერთს ჯერ კიდევ რომანტიკულად წარმოუდგენია მთაში ცხოვრება, იგი საფუძვლიანად ვერ გაცნობია მთიელთა ყოფა-ცხოვრების ავ-კარგს, ვერ დაუნახავს ის უმთავრესი სიძნელენი, რომელთა გადალახვა მკაცრ კლიმატურ პირობებში უხდებათ მთიელებს. ასეთები მხოლოდ შიშველი ლოზუნგებით მოუწოდებენ ხალხს მთაში დაბრუნებისაკენ. მარტო ლოზუნგებით კი, მოგეხსენებათ, საქმე არ კეთდება.

ზემოთ ნათქვამ სიტყვებს ვერ გავიმეორებთ იზა ჯაჭვაძის მისამართით. მისი ნარკვევების კრებული „მიყვარხარ, მთაო ტიალო“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“) საქმის ცოდნითაა დაწერილი. ხსენებული წიგნის ავტორი კარგად ჩაწვდომია მთიელთა ჭირ-ვარამს, გაუთავისებია მათი სატკივარი და მათ ცხოვრებაზე დაკვირვებით ცდილობს რეალური გზები გამონახოს მიგრაციის პროცესის შესაჩერებლად. ამ კრებულში მოთავსებული წერილები საქართველოს ბარსაც ეხება, მაგრამ ავტორის მთავარი საზრუნავი მაინც მთა და მთის მკვიდრნი არიან. თავისი ხალისიანი და ზოგჯერ „ფათერაკებით ალსავსე“ მოგზაურობის აღწერას ავტორი კახეთიდან იწყებს და თუშეთით ამთავრებს, ხოლო გზადაგზა ფშავ-ხევსურეთის ამბებსაც გვიყვება. ასე, რომ მისი ნარკვევების გმირთა სამოქმედო არეალი ფართო და მრავლისმეტყველია.

მშობელი მიწის სიყვარული ოდითგანვე ასულდგმულებდა ქართველ კაცს. იგი მიწას ხნავდა, თესავდა, მოჰყავდა მოსავალი. თიხა-მიწისაგან ძერწავდა დოქებს, ჰინჰილებს, ჯამებს, ფიალებს, წვავდა კრამიტს, აკეთებდა კეცებს. მეთუნეობის ძირძველი ტრადიცია არ გამქრალა ჩვენი ხალხის ყოფიდან. უკანასკნელ დრომდე მოაღწიეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა ხელმარჯვე ოსტატებმა.

---

იზა ჯაჭვაძე — მიყვარხარ, მთაო ტიალო. „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ.

სწორედ ასეთ მეთუნეებზე — თელთოელ აბრამ და ვანო მრელაშვილებზე მოგვითხრობს წიგნის ავტორი. კერამიკის დამუშავების ტრადიცია მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მრელაშვილებსაც გაუჩენიათ მოწაფეები, რომლებიც მონდომებით სწავლობენ წინაპართა მიერ დამკვიდრებულ ხელობას.

ჩვენი ერის კულტურულ ფასეულობას ქმნიან მქსოველები, ხეზე კვეთის ოსტატები, რომლებიც დიდ სითბოსა და სიყვარულს აქსოვენ თავიანთ ნახელავში, მზე და მთვარე გამოჰყავთ ორიგინალურ ორნამენტებში. მათი საქმიანობის დახასიათებას გარკვეული ადგილი უკავია იზა ჯაჭვაძის ნარკვევებში.

წიგნის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ეკოლოგიაზე. თანამედროვე ეპოქაში ხომ მთელი სიმწვავით დაისვა ბუნების დაცვის საკითხი. ტექნიკური ცივილიზაციის არნახულმა ტემპმა გადაგვარების საშიშროება შეუქმნა ფლორისა და ფაუნის მრავალ სახეობას. ზოგიერთი უნიკალური ჯიში კიდეც გადაშენდა. ამიტომაც ყველა მოქალაქის ვალია — გაუფრთხილდეს გარემომცველ ბუნებას — ტყეებს, მდინარეებს, ცხოველებს, ფრინველებს. ნარკვევების ავტორი წერს ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალზე, ბუნების ქომაგებზე, მათზე, ვინც მთელ დღეს ალამებს ტყეში, რგავს ახალ-ახალ ნარგავებს, თევზს ამრავლებს მდინარეში, მაგრამ ასეთები თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. მათ ჯერ კიდევ უხდებათ მწვავე ბრძოლა ბრაკონიერებისა და სხვადასხვა სახის მავნებლების წინააღმდეგ. მწარე სიმართლე გამოსჭვივის იზა ჯაჭვაძის მიერ ხატოვნად ნათქვამ სტრიქონებში: „მეტყევეს ხან ჩიტების ჭიკჭიკი აღვიძებს, ხანაც ვინმე ხელბოროტი კაცის ცულის კაკუნი. „ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალს დამცველები არც ადრე ჰკლებია: „აქ წინათ სახლობდა ქისტი — ყურმახან ცათიაშვილი, სანადირო თოფიარაღში ჩამჯდარი, სამოცდაათიოდე წლისა. ეს კაცი ყველაზე ხნიერი იყო ახმეტის სატყეო მეურნეობაში, ტყის კარგი მცოდნე და ქომაგი“.

ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალში შემორჩენილი ათასწლოვანი უთხოვრისა და ძელქვას იშვიათ ჯიშებს დიდი გაფრთხილება სჭირდება. გაფრთხილება სჭირდება სხვა მცენარეებსაც. ტყემ ეროზიისაგან უნდა დაიცვას ფერდობები, შეა-

კავოს ზამთრის ზვავები, მეწყრები, ადინოს ცივი წყაროები, ამრავლოს ნადირ-ფრინველი, მისცეს მათ საიმედო თავშესაფარი და უჩინო ქმნას ისინი ბრაკონიერთა მავნე თვალისაგან.

ბუნება წარმოუდგენელია ადამიანის გარეშე, იგიც ხომ ბუნების შვილია, მისი განუყოფელი ნაწილი. ადამიანის, ზნესრული პიროვნების აღზრდისა და ჩამოყალიბების ურთულეს საქმეს ემსახურებოდნენ პედაგოგები: დევანოზ კოჩილაიძე, გიორგი ლიქოკელი და გიორგი თურმანაული. საინტერესოდაა მოთხრობილი გიორგი ლიქოკელის პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისი. ახალგაზრდა მასწავლებელი მაღალმთიან სოფელ როშკაში გაუგზავნიათ. ხევსურეთის მთებში შუაგული ზამთარია. დიდთოვლობას გარესამყაროსგან მოუწყვეტია სოფელი როშკა. მეზობლები ძლივს ახერხებენ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას ვიწროდ გაკვალული ბილიკებით. თოვლში დაწალიკებული ბავშვები გაჭირვებით მიიკვლევენ გზას დაწყებითი სკოლისაკენ, სადაც მათ ელოდება გიორგი მასწავლებელი. ნარკვევის ავტორი ძალზე ცოცხალ და ხელშესახებ სურათს ხატავს: „სკოლის აივანზე რომელიღაც სალოცავიდან ჩამოხსნილი დიდი ზარი ჰკიდია. პირველად რეკავს სკოლის ზარს გიორგი მასწავლებელი. ბანზე ძია თოთია გადმოდგება, ქუდს მოიხდის და როგორც ხატის კარში მდგარი, ისე იწერს პირჯვარს".

მწყემსთა ცხოვრების შესახებ ვრცლად საუბრობს იზა ჯაჭვაძე. „ძნელია, ძმაო, მწყემსობა, მუხლს ადნობს კაი ყმისასა", — უთქვამს ხალხურ მთქმელს. ამ სტრიქონებში მწყემსთა მთელი გაჭირვებაა ჩატეული — ველზე გატარებული დღე-ღამეები, ქარიშხალი, სიცივე, ოჯახისა და თბილი კერის მონატრება, მაგრამ მწყემსი ერთგულია თავისი არჩეული გზისა, არასოდეს ღალატობს საქმეს. მეცხვარეებისთვის განსაკუთრებით დამღლელია მოგზაურობა საზამთრო ბინებიდან საზაფხულო საძოვრებისაკენ და პირიქით. ამ გადაადგილების დროს ზარალდება ცხვარი, უმეტესობა იხოცება ზვავების, ადიდებული წყლების და მეხისაგან. ადრე იყო მსხვერპლი მწყემსების მხრიდანაც. თუშეთში, ყოველ სუფრაზე, ახლაც სვამენ „ზვავ-წყლის ნალეკების, მთა-წვერთ დამჩრალი მწყემსების" შესანდობარს.

მეცხვარეები მტკივნეულად განიცდიან ცხვრის დაღუპვას. იზა ჯაჭვაძე საკუთარი თვალით შესწრებია ერთ ტრაგიკულ ამბავს, რომელსაც ასე გადმოგვცემს: თუშებმა აგვისტოში ცხვარი გაპარსეს. ერთ დილას გათოვდა. „გაპარსული ცხვარი იყინებოდა. ჩვენ ვხედავდით, როგორ ეცემოდნენ მიწაზე სიცივეს ვერსაით გაქცეულნი ოთხფეხნი, როგორ ახვევდნენ მათ საკუთარ ქურქებსა და ნაბდებში სასოწარკვეთილი, ცრემლმორეული თუში მწყემსები... შვილივით ნალოლიავებ მომაკვდავ ცხვრებს ცრემლიანი მეცხვარეები ხანჯლებით სჭრიდნენ ყელს. და იელინთებოდა ლამეული მიწა თოვლით, ცრემლითა და სისხლით... მე კი იმ ღამეს პირველად ვნახე მამაკაცის ცრემლი — მისი ნამდვილი ფასიც მას შემდეგ ვიცი".

როგორც ვხედავთ, ავტორი არაა გულგრილი მემატიანე იმ ამბებისა, რომელსაც თვითონ აღწერს. იგი გულწრფელად თანაუგრძნობს თავის ნარკვევების გმირებს და მკითხველსაც აღუძრავს მათ მიმართ თანაგრძნობის სურვილს.

ნარკვევების ავტორის მიმართ გამოვთქვამ ორიოდე შენიშვნას: მის წერილებში ვხვდებით ერთგვარ გადაჭარბებებს, თვალში საცემია პათეტიკური სტილი. ამა თუ იმ პიროვნებათა ღვაწლის დახასიათებისას ავტორი ხშირად მიმართავს ამგვარ ეპითეტებს: „სახელოვანი", „უბერებელი", „უბადლო ოსტატი", „მას მთელი მსოფლიო იცნობს", „საქვეყნოდ ცნობილი ყოფილა", „მისი ნახელავით სახვითი ხელოვნების მრავალი ოსტატი აღფრთოვანებულა" და სხვა.

მწყემსთა ფათერაკიანი ცხოვრების მძაფრად დახატვის სურვილს ისე გაუტაცია ავტორი, რომ მას ასეთი რამ ჩაუწერია: მწყემსები „გრძელი შინდის კავის, თოფის, ხანჯლის, ფხიზელი ნაგაზის იმედით არიან. **ძაღლი აქ მამლის როლს ასრულებს: ცისკარს ყეფით ეგებება**". სამწყემსურში „მამლის როლს" მთის ფრინველები ასრულებენ. მოვუსმინოთ ვაჟას:

„გათენებისას ჭიუხში
შურთხმა დარეკა ზარიო,
ძაღლებს კი სძინავთ თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო".

ფარისა და პატრონის ერთგული ძაღლები მთელი ღამე ფხიზლობენ, ყეფით გარს უვლიან ფარას და ნადირს აფრთხობენ, ხოლო გათენებისას თავს მიდებენ კუდზე და ფხიზელი ძილით სძინავთ. მწყემსები თენებისხანს ეძახიან „ძაღლის ძილის დროს". ისინი იტყვიან: „მეც ძაღლის ძილის დროს ჩამთვლიმა", ანდა: „ძაღლის ძილის დროს გაწვიმდაო".

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (1988 წ. № 9) უკვე დაიბეჭდა ლიზა ვახვახიშვილის რეპლიკა იმის გამო, რომ იზა ჯაჭვაძემ თავისი ნარკვევების კრებულში ავტორის დაუსახელებლად შეიტანა ადამ ალვანელის (ადამ

ბობღიაშვილის) ლექსი. ადამ ალვანელი საინტერესო პოეტია, რომლის ლექსები ცალკე წიგნად გამოცემას იმსახურებს. ჩემი თუშეთში მოგზაურობის დროს (1987 წლის ივლისი) თუში გოგონები გარმონზე მღეროდნენ ადამის ლექსებს და ეს სიმღერები საოცრად ერწყმოდა თუშეთის პეიზაჟებს.

ზემოთ მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინება მხოლოდღა წაადგება ავტორს სამომავლო მუშაობაში.

ტრისტან მახაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მნათობის“ მეორე — მეექვსე ნომრებში გამოქვეყნდა ქეთევან ჯავახიშვილის მონოგრაფია „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“. ეს პუბლიკაცია დასაბეჭდად მოამზადა და შემოგვთავაზა მწერლის შვილიშვილმა რამაზ შიშნიაშვილმა, რისთვისაც რედაქცია მას დიდ მადლობას მოახსენებს.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 12. 05. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 07. 89. წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07869. ტირაჟი 30.000. შეკვ. 1124. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ